

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

ურომათა კრებული
COLLECTION OF THE WORKS
№25

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
ა-846

რედაქტორი: ელდარ მამისტვალიშვილი

რედაქციები:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ბუბა კუდავა

პაველ ლიბერა

მირიან მახარაძე

ელდარ ნადირაძე

მურმან პაპაშვილი

ჯაბა სამუშია

გიორგი სოსიაშვილი

როინ ყავრელიშვილი

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Buba Kudava

Pawel Libera

Mirian Makharadze

Eldar Nadiradze

Murman Papashvili

Jaba Samushia

Giorgi Sosiashvili

Roin Kavrelishvili

ISSN 1512-4657

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

საქართველოს ისტორია
History of Georgia

კახა კვაშილავა – აფხაზ ბოლშევიკთა ანტიქართული პოლიტიკა გალის რაიონში (1921-1939) Kakha Kvashilava – ANTI-GEORGIAN POLICY OF THE ABKHAZ BOLSHEVIKS IN THE GALI DISTRICT (1921-1939)	6
მარიამ მარჯანიშვილი – დავით აღმაშენებლის სახელის უქრობი შარავანდედი Mariam Marjanishvili – THE IMMORTAL SUCCESS OF DAVID THE BUILDER	17
მალხაზ მაცაბერიძე – ვარლამ ჩერქეზიშვილი და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია (1919 წელი) Malkhaz Matsaberidze – VARLAM CHERKHEZISHVILI AND THE PARIS PEACE CONFERENCE (1919)	22
მურად მთვარელიძე – მივიწყებული ნიკოლოზ ყიფიანი Murad Mtvarelidze – THE FORGOTTEN NIKOLOZ KIPIANI	29
ელდარ ნადირაძე – ქართული მეტალურგიის სათავეებთან Eldar Nadiradze – AT THE ORIGINS OF GEORGIAN METALLURGY	34
ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო დიპლომატიური მისია რუმინეთში (1918-1919) Nikoloz Nikolozishvili – EXTRAORDINARY DIPLOMATIC MISSION OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA TO ROMANIA (1918-1919)	40
ნესტან სულავა – ადამიანის კონცეფცია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ Nestan Sulava – THE HYMNOGRAPHIC TRADITION OF DEPICTING THE LYRICAL HERO AND THE ANTI-HERO AND DAVID THE BUILDER'S "HYMN OF THE REPENTANCE"	68
ოთარ ჯანელიძე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მეორე საერთაშორისო ინტერნაციონალი Otar Janelidze – THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA AND THE SECOND INTERNATIONAL	75

წყაროთმცოდნეობა
Source Studies

- ნათელა (ნათია) მირიანაშვილი, არჩილ კოხრეიძე – საინგილოს (ზაქათალის ოლქის) ბედი 1918-1921 წლებში** 88
Natela (Natia) Mirianashvili, Archil Kokhreidze – THE FATE OF SAINGILO (ZAQATALA DISTRICT)
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – ქსნის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის სიგელის ისტორიული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა** 98
Nikoloz Otinashvili – THE HISTORICAL AND SOCIAL SIGNIFICANCE OF THE DEED OF SHALVA KVENIPNEVELI, ERISTAVI OF KSANI
- თამარ ორჯონიკიძე – ივანე ჯავახიშვილი სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში** 103
Tamar Orjonikidze – IVANE JAVAKHISHVILI IN SCHOOL HISTORY TEXTBOOKS
- ბაჩანა რუხაია – 1905 წლის გლეხთა მოძრაობა აფხაზეთში პრესის მასალების მიხედვით** 109
Bachana Rukhaia – 1905 PEASANT MOVEMENT IN ABKHAZIA ACCORDING TO THE PRESS MATERIALS
- ნიკოლოზ სარაჯიშვილი – XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შედგენილი ანდერძის აღსრულების პრობლემატიკა (დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ანდერძის მაგალითზე)** 115
Nikoloz Sarajishvili – PROBLEMS OF TESTAMENT EXECUTION AT THE TURN OF THE 19TH-20TH CENTURIES (BASED ON THE EXAMPLE OF DAVID AND EKATERINE SARAJISHVILI'S TESTAMENT)
- კახაბერ ქებულაძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიიდან** 121
Kakhaber Kebuladze – FROM THE HISTORY OF THE FOUNDATION OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY LIBRARY

ეკლესია და კულტურა
Church and Culture

- დავით ახლოური** – *ახალგორის მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში* 127
Davit Akhlouri – *THE POPULATION OF AKHALGORI IN THE 60S OF THE 19TH CENTURY*
- თამარ გოგოლაძე** – *საქართველოს წარსულისა და კულტურის ისტორიის გერონტი ქიქოძისეული გააზრება* 153
Tamar Gogoladze – *GERONTI KIKODZE'S UNDERSTANDING OF THE HISTORY OF GEORGIA'S PAST AND CULTURE*
- ვახტანგ ინაური** – *დავით აღმაშენებლის ისტორიული და ლიტერატურული სახე* 159
Vakhtang Inauri – *HISTORICAL AND LITERARY IMAGE OF DAVID AGMASHENEBELI*
- მერაბ კალანდაძე** – *ორი მნიშვნელოვანი თარგმანი* 163
Merab Kalandadze – *TWO IMPORTANT TRANSLATIONS*
- იგორ კეკელია, ედიშერ ბალათურია** – *ახალსენაკის განაშენიანება და გარეგნული იერსახე XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის ათიან წლებში* 177
Igor Kekelia, Edisher Baghaturia – *EVILUTION OF URBAN DEVELOPMENT AND EXTERNAL APPEARANCE OF AKHALSENAKI IN THE LATE 19TH CENTURY AND EARLY 20TH CENTURY*
- თამარ მესხი** – *იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა XVI საუკუნეში* 191
Tamar Meskhi – *THE CONDITION OF GEORGIAN CHURCHES AND MONASTERIES IN JERUSALEM IN THE 16TH CENTURY*
- ზაზა ქარჩავა** – *არმაზის კერპის საკითხი ქართულ-ხეთური და ქართულ-ირანული რელიგიური მიმართებების მიხედვით* 201
Zaza Karchava – *THE ISSUE OF THE ARMAZ CULT ACCORDING TO GEORGIAN-HITTITE AND GEORGIAN-IRANIAN RELIGIOUS RELATIONS*
- თეონა შავლოხაშვილი** – *სარკის (სარკის) წმინდა გიორგის ისტორია* 207
Teona Shavlokhashvili – *THE HISTORY OF ST. GEORGE OF THE MIRROR*

აფხაზ ბოლშევიკთა ანტიქართული პოლიტიკა გალის რაიონში (1921-1939)

1921 წ. 16 თებერვალს, როცა ბოლშევიკებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჯერ კიდევ დაპყრობილი არ ჰქონდათ, საქართველოს რევკომმა საქართველო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა და იქვე განაცხადა, რომ „აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის მოძმე ერები თვითონ განსაზღვრავენ საკუთარ ბედს“.¹ სწორედ ამის საფუძველზე 26 მარტს აფხაზეთის რევკომმა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის (რსფსრ) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესა და ეროვნებათა სახალხო კომისარ ი. სტალინს მიმართა წერილით, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად უნდა გამოცხადდეს და ის რსფსრ-ს შეუერთდეს.² 28 მარტს ქ. ბათუმში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსა და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს, აჭარისა და აფხაზეთის ბოლშევიკთა თათბირი გაიმართა, რომელმაც განიხილა საკითხი „აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურისა და კომპარტიის შესახებ“ და გადაწყვიტა, რომ „აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე საბჭოთა აფხაზეთის რსფსრ-სთან თუ საქართველოს სსრ-თან ფედერაციის საკითხი რჩება ღიად და აფხაზეთი ცხადდება სოციალისტურ რესპუბლიკად. პარტიული ორგანიზაცია კონფერენციამდე ატარებს სახელს – რკპ(ბ)-ს ორგბიურო აფხაზეთში და მუშაობს რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს ღირექტივების შესაბამისად. საქართველოს რევკომის დეკრეტები უნდა წარმოადგენდნენ მასალას (აფხაზეთის) რევკომისათვის, რათა ორივე რევკომის მოქმედებაში წინააღმდეგობა არ იყოს“.³ მკვლევართა შენიშვნით, აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საკუთრივ ბოლშევიკურ მიდგომას რესპუბლიკების დაფუძნებისა: „იმდროინდელი საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკა არ ითვალისწინებდა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, თუ ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა მილიონზე მეტი არ იქნებოდა. აფხაზეთის მოსახლეობა მაშინ დაახლოებით 200 ათასი იყო, აფხაზები კი მოსახლეობის მხოლოდ 17%-ს შეადგენდნენ, მაგრამ კავბიუროს ბათუმის თათბირის გადაწყვეტილებით აფხაზი ბოლშევიკების მოთხოვნა დაკმაყოფილდა“.⁴ ამ იდეას მხარს უჭერდა 1920-1921 წწ. საქართველოში რსფსრ-ს სახმედრო წარმომადგენელი, გენერალ-მაიორი პაველ სიტინი (1870-1938). უფრო მეტიც, ის ანალოგიურად საკითხის გადაჭრას სამეგრელოს მიმართაც მოითხოვდა. რსფსრ კი, გენერლის აზრით, ამგვარად დაშლილი საქართველოს კონტროლს ადვილად შეძლებდა.⁵

აქედან გამომდინარე, 31 მარტს საბჭოთა ჯარების მიერ ოკუპირებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ტფილისისგან ფორმალურად „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი – აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის (აფხ. სსრ) შექმნა გამოცხადდა. 21 მაისს

¹ Б. Е. Сагария. Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии (1921-1938). Сухуми, 1981, გვ. 40.

² Б. Е. Сагария. Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии, გვ. 41-42.

³ Дж. Гамахория, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тб., 1997, გვ. 469.

⁴ ბ. ზორავა, ნ. ჭანტურია. აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში. თბ., 2019, გვ. 19.

⁵ А. В. Ганин. Советская военная разведка в Грузии в 1920-1921 годах. Миссия Павла Сытина, – «Государственное управление». Электронный вестник. Вып. № 43, апрель, 2014, გვ. 239-240.

კი საქართველოს რევკომმა ეს ფაქტი ცნო. ჩვენი აფხაზი კოლეგები მიიჩნევენ, რომ ეს იყო აფხაზეთის „სახელმწიფოებრიობის“ „აღდგენა“.¹

თუმცა, რეალურად ასე სულაც არ იყო. აფხაზეთის სსრ სინამდვილეში ფიქტიურ „სახელმწიფოებრიობას“ წარმოადგენდა, რომელსაც საკუთრივ იმ იმდროინდელი ოფიციალური სოხუმის ისტებლიშმენტიც (ნ. ლაკობა, ე. ეშბა) კი სერიოზულად არ აღიქვამდა და მას დროებით მოვლენად განიხილავდა.² უფრო მეტიც: მიუხედავად იმისა, რომ ო. ბლაჟა და ს. ლაკობა აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“ ვ. ლენინის დამსახურებად მიიჩნევენ,³ ბოლშევიკთა ლიდერს, როგორც ჩანს, ამ საკითხზე აფხაზ ისტორიკოსთაგან რადიკალურად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა.⁴ 1921 წ. 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირზე საკუთრივ ნ. ლაკობა საუბრობდა აფხაზეთის რუსეთთან მიერთების შეუძლებლობაზე და საქართველოსთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე ეთნოგრაფიული და ისტორიული პირობების გათვალისწინებით.⁵ საინტერესოა, რომ 1921 წ. 24 ნოემბერს რკპ(ბ)-ს აფხაზეთის ორგბიურო საქართველოს კპ(ბ)-ს გადაულოცა, რაც იურიდიულად 1922 წ. იანვარში გაფორმდა.⁶

ყველამ კარგად იცოდა, რომ აფხაზეთის „სსრ“ დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა. მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი არ იყო ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად საკმარისი. ამიტომ გასაგებია, რომ აფხაზეთის სსრ პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების მმართველი პირების დამტკიცება ტფილისში ხდებოდა. აქედანვე იმართებოდა ეკონომიკური საკითხებიც.⁷ ამ აბსურდის გამოსასწორებლად, ისე, რომ რაღაც ეტაპზე დარჩენილიყო აფხაზეთი როგორც „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკა, მიღებული იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება: ტფილისმა და სოხუმმა 1921 წ. 16 დეკემბერს ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას.⁸ ამ გზით შევიდა აფხაზეთი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის (ასფსრ) შემადგენლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკებმა საკუთარი ადმინისტრაციული რეფორმა („საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების“ დაარსება) გაატარეს, კრემლში მაინცდამაინც სერიოზულად არ აღიქვამდნენ აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ სტატუსს. ამის მაგალითია საბჭოთა სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, 1922-1923 წწ. რკპ(ბ) ჩელიაბინსკის საგუბერნიო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მ. ი. ლისოვსკის (1887-1938) სიტყვა სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე (23-27.12.1922), სადაც ის ასახელებს სამხრეთკავკასიურ 3 საბჭოთა რესპუბლიკას და შემდეგ აფხაზეთს მოიხსენიებს, როგორც „რესპუბლიკის მსგავსს“.⁹ საინტერესოა, რომ ეს „საბჭოთა რესპუბლიკა“ სსრკ-ს პირველ

¹ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времен до наших дней.* Сухум, 2007, გვ. 319.

² საკუთრივ ნ. ლაკობა ამ „დამოუკიდებლობას“ აბრად მოიხსენიებდა, რომელიც მათ დროებით სჭირდებოდათ (**Н. А. Лакоба.** Статьи и речи. *Составитель: кандидат исторических наук А. О. Тулумджян.* Сухуми, 1987, გვ. 176).

³ **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времен до наших дней.* Сухум, 2007, გვ. 319.

⁴ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, – **ზ. პაპასჭირი, ზ. ზონელიძე, ლ. ახლაძე, ჯ. გამაზარია, ბ. ზორავა, კ. კვაშილაძე, კ. ყალიჩაძე.** აფხაზეთი საქართველოა. *ისტორიული რაკურსი.* თბ., 2021, გვ. 395.

⁵ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 396-397.

⁶ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 398.

⁷ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 394-395.

⁸ ტექსტი იხ.: *Документы по истории Абхазии (1917-1931).* Над изданием работали: **Г. Анчабадзе (руководитель), М. Пагава, И. Туташвили, Г. Майсурадзе.** Тб., 2021, გვ. 228.

⁹ **С. С. Войтиков.** За фасадом сталинской конституции. *Советский парламент от Калинина до Громыко.* Москва, 2021, გვ. 65.

კონსტიტუციაში (იხ. IV თავის XV მუხლის შენიშვნა) საკვებით სამართლიანად „ავტონომიურ რესპუბლიკად“ მოიხსენიებოდა.¹

„დამოუკიდებელი“ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნით, კრემლი, ერთის მხრივ, ცდილობდა 1918-1921 წწ. მის მიერ ტირაჟირებული ქართველთა მიერ აფხაზეთა „ჩაგვრის“ პროპაგანდის ერთგვარად გამართლებას. ამასთან ერთად, ეს იყო ქართველთა გატეხვის მცდელობა. საინტერესოა, რომ აფხაზეთში 1924 წ. აგვისტოში საქართველო შედრა ანტისაბჭოთა და ანტისაოკუპაციო აჯანყება, რომელიც ხელისუფლებამ ძალიან მალე და ძალიან სასტიკად ჩაახშო. სწორედ ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ პოლიტიკური ორიენტაციის გარკვეული ცვლილებების მცდელობას სოხუმში. კერძოდ, აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ (26.03.–1.04.1925) 1925 წ. 1 აპრილს ყოველგვარი განხილვის გარეშე დაამტკიცა კონსტიტუცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სსრ, ასფსრ-სა და სსრკ-ს კონსტიტუციებს, საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას. აფხაზეთი ცხადდებოდა სუვერენულ რესპუბლიკად.² რა თქმა უნდა, ასეთ დოკუმენტს სოხუმი მოსკოვიდან თანხმობის გარეშე ვერ მიიღებდა. ვფიქრობთ, კრემლს სჭირდებოდა მინიშნება როგორც ქართველი ბოლშევიკებისადმი, რომლებიც მისთვის მოულოდნელად „ნაციონალ-უკლონისტებად“³ გარდაიქცნენ, ასევე – ანტირუსულად განწყობილი საზოგადოებისთვის, რომ საქართველოს საბოლოოდ ჩამოერთმეოდა მისი ისტორიული მხარე – აფხაზეთი. საბოლოოდ, ეს „კონსტიტუცია“ ყრილობამ მხოლოდ „პროექტად“ ცნო და ის არ გამოუქვეყნებია.⁴ ეს საკმაოდ ნათელი მინიშნება იყო კომუნისტური ახალრუსული იმპერიის მხრიდან.

ვითარება 1930-იანი წლების დასაწყისისთვის შეიცვალა. ამ დროისთვის ფაქტიურად განადგურდა „ნაციონალ-უკლონისტური“ ოპოზიცია ქართველ ბოლშევიკებში. ამასთან ერთად, „სახელმწიფოებო რესპუბლიკის“ სტატუსს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია არ ცნობდა, ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთი, რომელსაც პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, არ ჰქონდა დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობა, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით იარსებებდა საქართველოს ფარგლებში. შესაბამისი გადაწყვეტილება აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ 1931 წ. 11 თებერვალს მიიღო.⁵

ოკუპანტებმა მალევე დაიწყეს ადმინისტრაციული რეფორმების გატარება, რომელსაც მათი მმართველობა უნდა უზრუნველყო. 1921 წ. 10 მარტს შეიქმნა სამურზაყანოს სამაზრო რეგკომი,⁶ რომლის დაკომპლექტება მხოლოდ 22 მარტისთვის დასრულდა და მის შემადგენლობაში შევიდნენ გვარამია, დათა ლაბაზუა და დიმიტრი თორია.⁷ 1 აპრილს რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიურომ და რეგკომმა სამურზაყანოს რეგკომის ხელმძღვანელად ნ. სვანიძე დანიშნეს, წევრებად კი – დ. თორია და რ. გოგოხია, განყოფილებების გამგეებად – იას.

¹ Конституция (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик. Принята II Всесоюзным съездом Советов 31 января 1924 года, – [https://ru.wikisource.org/wiki/Конституция_СССР_\(1924\)_первоначальная_редакция](https://ru.wikisource.org/wiki/Конституция_СССР_(1924)_первоначальная_редакция).

² **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 404.

³ „ნაციონალ-უკლონისტები“, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს წამყვანი წევრები (ფილიპე მახარაძე, ბუღუ მდივანი, კოტე ცინცაძე, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე და სხვ.) ერთგვარად იცავდნენ საქართველოს „დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას“ (რაც იმ პერიოდში ისედაც სრული ფიქცია იყო) და ითხოვდნენ ფორმირებად საბჭოთა კავშირში დამოუკიდებლად და არა – ასფსრ-ს მეშვეობით შესვლას.

⁴ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 404.

⁵ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 412.

⁶ *Революционные комитеты Абхазии в борьбе за установление и упрочение советской власти* (февраль 1921 г. – февраль, 1922 г.). *Сборник документов и материалов*. Составители **И. Д. Ахалая, Ф. М. Галустян, Д. Н. Ницуа**. Сухуми, 1961, გვ. 383.

⁷ დოკ. №48 – *Революционные комитеты Абхазии...*, გვ. 383.

ხაბურზანია, ფ. თორია და სხვები. ადგილობრივი პარტიული ლიდერი კი ნ. ბოკუჩავა გახდა.¹ მალე შეიქმნა სასოფლო რევეკომები.²

საოკუპაციო რეჟიმმა სამურზაყანოში კომპეტენტური კადრები ვერ მოიძია ადგილობრივი სახელისუფლო სტრუქტურების დასაკომპლექტებლად, რაზეც 1921 წლის მაის-ივნისში არაერთხელ მიუთითებდა ადგილობრივი რევეკომი.³ მოსახლეობა ბოლშევიკებთან თანამშრომლობას თავს არიდებდა.⁴

1922 წ. იანვარში აფხაზეთში საბჭოების პირველი არჩევნები ჩატარდა. განსხვავებით სხვა მაზრებისგან, სამურზაყანოში⁵ ადგილობრივი საბჭო მთლიანად კომუნისტებით დაკომპლექტდა.⁶ ამ არჩევნების საფუძველზეც 18 თებერვალს დაკომპლექტდა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკ), რომლის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახდა ე. ეშბა, ხოლო სახკომსაბჭო ნ. ლაკობამ ჩაიბარა.

მიუხედავად იმისა, რომ 1925 წელს აფხაზმა ბოლშევიკებმა თითქოს უარი თქვეს საქართველოსთან კავშირზე, ძნელი დასაჯერებელია, რომ ნ. ლაკობა ამ გზით წავიდოდა, რადგან ჯერ კიდევ 1921 წ. 16 ნოემბერს, როცა ე. ეშბა აფხაზეთის ასფსრ-ში უშუალო შესვლას ითხოვდა, კავშირით სავსებით გარკვევით მიანიშნა, რომ აფხაზეთის ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა, ამიტომ მას მხოლოდ ორი გზა ჰქონდა: 1) სახელშეკრულებო კავშირი საქართველოსთან; 2) ავტონომიური ოლქის სტატუსი რსფსრ-ში.⁷ ამიტომ ნ. ლაკობა, რომლისთვისაც სავსებით ნათელი იყო, რომ „მოკავშირე რესპუბლიკის“ სტატუსი აფხაზეთისთვის რეალურად მიუღწეველ მიზნად ჩანდა, თავს ძალიან მშვიდად გრძნობდა ტფილისის ქოლგის ქვეშ. ამიტომაც ამბობდა ის 1926 წ. ასეთ სიტყვებს: „...აფხაზეთი მოინდომებს – წავა საქართველოდან, მოინდომებს – დარჩება საქართველოში. იმისათვის, რომ ამის შესახებ არ იყოს ოდესმე რაიმე გაუგებრობა, საჭიროა, სრულიად გადაჭრით განვაცხადოთ, რომ აფხაზეთის საქართველოდან წასვლა არ შეუძლია, არ აქვს განზრახვა და არც სურს ეს“.⁸ ამ ვითარებაში ნ. ლაკობამ 1925 წლისთვის აფხაზეთში ეთნოკრატიული რეჟიმი დაამყარა.⁹

აფხაზეთის რევეკომის თავმჯდომარე ე. ეშბა 1921 წ. 20 ივნისს შეხვდა სამურზაყანოს მოსახლეობას, რომელიც ძლიერ უკმაყოფილებას გამოთქვამდა აფხაზეთის სსრ-ს შექმნით, რაც, გააზრებული იქნა, როგორც საქართველოდან გამოყოფა. ამიტომ ისინი რეგიონის ტფილისისადმი დაქვემდებარებას ითხოვდნენ.¹⁰ გალელეებმა მათ წარმომადგენლად ხოფო ეთერია აირჩიეს. მან რესპუბლიკის ხელმძღვანელს გადასცა მოსახლეობის მოთხოვნები, რომელთა ერთი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის იყო; იქვე იდგა საკითხი აფხაზეთისა და საქართველოს სსრ-ების მომავალი ურთიერთობებისა და ადგილობრივ სკოლებში ქართულენოვანი განათლების

¹ **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии, гл. 80.

² **А. Э. Куправа.** Труды. Т. 1: *ССР Абхазия в начале становления советского общества. 1921–1925 годы.* Научный редактор **Салакая С. Ш.** Сухум, 2013, гл. 551.

³ დოკ. №105 – *Революционные комитеты Абхазии...*, გვ. 110.

⁴ დოკ. №230 – *Революционные комитеты Абхазии...*, გვ. 269.

⁵ 1925 წ. ნოემბერში სამურზაყანოს მაზრას სახელი გადაერქვა და *გალის მაზრა* ეწოდა (**ბ. ზორავა, ნ. ჭანტურია.** აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში, გვ. 27).

⁶ **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии, гл. 80.

⁷ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 397.

⁸ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 406.

⁹ **ზ. პაპასჭირი.** აფხაზეთის ბოლშევიკური რეჟიმის სეპარატისტული ქმედებები XX ს. 20-30-იან წლებში, – **ზ. პაპასჭირი, ზ. ზონელიძე, ლ. ახალაძე, ჯ. გამაზარია, ბ. ზორავა, კ. კვაშილაშვილი, კ. ყაღიჩაშვილი.** აფხაზეთი საქართველოა. *ისტორიული რაკურსი.* თბ., 2021, გვ. 416.

¹⁰ *ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში, 1921-1924.* ნარკვევი, დოკუმენტები. ნარკვევი: **ლ. ჯიქია.** გამოსაცემად მოამზადეს **ლ. ჯიქიამ** და **დ. სილაქაძემ.** თბ., 2024, გვ. 94.

შესახებ.¹ ე. ეშბა შეეცადა სამურზაყანოელთა დარწმუნებას, რომ საბჭოთა სისტემაში დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, აფხაზეთი რუსეთთან იქნებოდა თუ საქართველოსთან. ისინი აფხაზები იყვნენ. ამიტომაც, სკოლებში მათ ქართულის ნაცვლად, აფხაზური და რუსული უნდა ესწავლათ. რეგიონის მოსახლეობამ ამას დიდი წინააღმდეგობა გაუწია. პირიქით, მათ მოითხოვეს ქართულენოვანი განათლების უზრუნველყოფა. ამასთან ვინმე იასონ აგუმაგამ, რომელიც, როგორც ჩანს, ეშბა-ლაკობას იდეების თანამოაზრე და მათი გუნდის წევრი ჩანს, განაცხადა, რომ სამურზაყანოელთა ენა აფსუური იყო და, შესაბამისად, განათლებაც ამ ენაზე უნდა წარმართულიყო. მოსახლეობამ არც ეს აზრი გაიზიარა.² ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობა უპირობოდ იდგა ქართულ ორიენტაციაზე. შესაბამისად, აფხაზ ბოლშევიკებს ეს გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებდა.

საინტერესოა, რომ მკვლევარი გ. ლეჟავა რატომღაც მიიჩნევდა, რომ XX ს. პირველ 30 წელიწადში ხდებოდა სამურზაყანოს აფხაზური მოსახლეობის მიზანმიმართული ასიმილაცია.³ გალის რაიონი რომ მეგრული (ქართული) კუთხე იყო, ამას აფხაზები მოგვიანებით აღიარებდნენ. მაგალითად, აფხაზი კომპოზიტორი ივან ლაკერბაია (1888-1978) 1945 წ. აღნიშნავდა, რომ „აფხაზეთი სამეგრელოდ გადაიქცა. ზუგდიდმა და გალმა (ხაზგასმა ჩვენია – კ.კ.) დატბორეს სოხუმი“.⁴

ნ. ლაკობას ეთნოკრატიული რეჟიმი მძიმე ზეწოლას ახდენდა აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაზე, რომლის დიდი ნაწილი გალის მაზრაში იყო კონცენტრირებული. ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა სამურზაყანოელ ქართველთა გააფსუებას. ამ მიზნით ადგილი ჰქონდა გაუმართლებელ პრივილეგიებმა აფხაზებისთვის – სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება, მიწით პირველ რიგში დაკმაყოფილება, უპირატესობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე კადრების შერჩევისას და ა.შ.⁵

როგორც საქართველოს შსს არქივში დაცული საბუთები მოწმობს, აფხაზებს ყოველგვარი პრივილეგიები ენიჭებოდა: „აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ ფორმალური სახე აქვს... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში 1925 წლისთვის არა თუ საბჭოთა, არამედ ოლიგარქიული მმართველობაა, რომლის მიზანიც მთელი მოსახლეობის გააფხაზებაა“. ამასთან ერთად, აფხაზებს უნერგავდნენ რწმენას, რომ ქართველი მისი მტერი იყო.⁶ ე. ეშბა და ნ. ლაკობა სრულად უგულვებელყოფდნენ ქართველთა ინტერესებს.⁷

ბოლშევიკებმა, აგრესიიდან თვე-ნახევარში შეძლეს სდრ-ს დაპყრობა, მაგრამ დამკვიდრება და სტაბილურობის უზრუნველყოფა არც ისე ადვილი შეიქმნა. მოსახლეობა პერიოდულად სამხედრო აჯანყებას მიმართავდა. 1921-1922 წწ. სვანეთის აჯანყების ექო საქართველოს საზღვრებს გასცდა და მან გენუის კონფერენციის ყურადღებაც კი მიიქცია. 1922 წ. სექტემბრის

¹ **Дж. Гамахрия, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии..., გვ. 474-475.

² **გ. გასვიანი.** აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში (ქართველთა და აფსუათა ურთიერთობების პრობლემები). თბ., 2004, გვ. 315, 317; **ბ. ხორავა, ნ. ჭანტურია.** აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში, გვ. 19; **Дж. Гамахрия, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии..., გვ. 474-475.

³ **Г. П. Лежава.** Изменение классово-национальной структуры населения Абхазии (конец XIX в. – 70-е гг. XX в.). Сухуми, 1989, გვ. 13.

⁴ *Абхазский архив. XX век. Вып. I. Выявление документов, составление, введение* **С. З. Лакоба.** Предисловие, введение к разделам, именной указатель **Ю. Д. Анчабадзе.** Москва, 2002, გვ. 26.

⁵ **ჯ. გამაზარია.** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 409; **ტ. ბლაუველტი.** კლიენტელიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში. *თარგმანი: ქ. ქანთარია. რედაქტირება და ბიოგრაფიული ცნობები: დ. ზვადავიანი, ირ. ზვადავიანი.* თბ., 2023, გვ. 140.

⁶ **ნ. ყიფშიძე.** აფხაზეთის რეგიონის გააფხაზების პოლიტიკა, – კრებ.: *უშიშროების არქივი.* საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია. ტ. 1. თბ., 2015, 114-115.

⁷ **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთის ბოლშევიკური რეჟიმის სეპარატისტული ქმედებები XX ს. 20-30-იან წლებში, გვ. 416.

დასაწყისში აჯანყებამ კახეთ-ხევსურეთი მოიცვა. ამის შესახებაც შეიტყო მსოფლიო საზოგადოებრიობამ.¹ ამასთან ერთად, ქართული პატრიოტული ძალები, რომლებიც ემიგრაციაში გახიზნულ ხელისუფლებასთან მუდმივ კონტაქტში იყვნენ, ბუნებრივია, არ ეგუებოდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაკარგვას. ამასთან ერთად, აშკარა იყო, რომ საქართველოს სსრ-ს დეკლარირებული „სუვერენიტეტი“, რეალურად, ფარსს წარმოადგენდა და ქვეყანა ისევ დაუბრუნდა რუსეთის გუბერნიის მდგომარეობას. ბოლშევიკებმა დაიწყეს რეპრესიები როგორც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, ისე – საზოგადოების იმ წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რომლებიც თანაუგრძნობდნენ პირველ რესპუბლიკას.

დაპყრობილ აფხაზეთშიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითი წევრები სხვადასხვა სოფლებში გაიფანტნენ და მიიმალნენ. იატაკქვეშ გადასული მენშევიკები აჯანყებას ამზადებდნენ ოკუპანტი ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამბოხების დღედ 1922 წ. 26 მაისი დადგინდა, თუმცა რეჟიმმა შეძლო ინფორმაციის მოპოვება და გეგმა ჩაიშალა. შეთქმულებამ მხოლოდ აფხაზეთში ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელება მოახერხეს.² 28 მაისს ბოლშევიკთა უშიშროების სამსახურმა – საგანგებო კომისიამ (ე.წ. „ჩეკა“) – აფხაზეთში მცხოვრები მენშევიკების დაპატიმრება დაიწყო.³ 1 ივნისს ისინი მოქვის ტყეში შეიკრიბნენ და ოჩამჩირეზე გალაშქრება გადაწყვიტეს. თუმცა, ხელისუფლების მიერ დაწყებულმა მასობრივმა რეპრესიებმა, ეს გეგმაც ჩაშალა.⁴ იმავე წლის სექტემბრის მიწურულს ნ. ხომერიკის დავალებით სტამბოლიდან ჩამოვიდა სოფელ ბედიას მკვიდრი, სამურზაყანოს მაზრის ყოფილი კომისარი (1917 წ.) და სოხუმის განსაკუთრებული რაზმის ყოფილი უფროსი (1920 წ. აპრილიდან გასაბჭოებამდე) ეროვნებით აფხაზი თავადი თარასხან ღიმიტრის ძე ეშბა (1886-1923).⁵ ზემოხსენებულ თანამდებობაზე მას ევალეზოდა არალეგალურ, ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა. აქ სოხუმის განსაკუთრებული რაზმის უფროსმა შეძლო სრულად გამოეშკარავებინა ქალაქის იატაკქვეშა კომიტეტის სრული შემადგენლობა.⁶ თ. ეშბას დაბრუნებამ მხარეში კიდევ უფრო გაამწვავა ანტისაბჭოური მუხტი.⁷ თ. ეშბამ მალე დაჯგუფება ჩამოაყალიბა (ოკუპ კაჭარავა, ნოჩო ღურწყაია, ევგენი ჯობავა, ათანასი შელია, გოგია, გიორგი ბუსკაძე და ელიზბარ მიქაძე),⁸ რომელიც ბედიისა და საბერიოს მიდამოებში მოქმედებდა.⁹ 1923 წ. ივნისის პირველ რიცხვებში თ. ეშბამ აფხაზეთში ამბოხების ორგანიზება სცადა,¹⁰ გარკვეული გამოსვლებიც გაიმართა, თუმცა – უშედეგოდ. ხელისუფლებამ სწრაფად მოახდინა რეაგირება.¹¹ მალე, 7 ივლისს თ. ეშბა იძულებული გახდა რეჟიმს ჩაბარებოდა.¹² იმავე წელს ის დახვრიტეს.¹³

¹ ალ. დაუშვილი. კავკასია 1917-1990 წლებში, – წგნ.: რ. მეტრეველი, ვ. ვაშაყიძე, ვ. გურული, ა. დაუშვილი, ლ. მიქაშვილი, ჯ. კვიციანი, გ. ჭეიშვილი, ო. ჯანელიძე. კავკასიის ისტორია. ტ. 2. მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი რ. მეტრეველი. თბ., 2023, გვ. 539.

² ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012, 122-123.

³ ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 124.

⁴ ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 122.

⁵ ქ. სარსევანიძე. თარასხან ეშბას დაჯგუფება, – ჟურნ.: საარქივო მონაცემები. №2, ივლისი, 2008, გვ. 84-85.

⁶ „თულნი“. პროექტის ხელმძღვანელი ო. თუშურაშვილი. თბ., 2015, გვ. 47.

⁷ ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 125.

⁸ ამ დაჯგუფებაში ასევე შეუერთდნენ: ლეონტი ოკუჯავა, ბაგრატ ზანთარაია, იონა და იასონ ჯინჯოლიები, თარასხან (ტარას) ანჩაბაძე (ქ. სარსევანიძე. თარასხან ეშბას დაჯგუფება, გვ. 88.).

⁹ ქ. სარსევანიძე. თარასხან ეშბას დაჯგუფება, გვ. 86-87.

¹⁰ ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 125.

¹¹ ქ. სარსევანიძე. თარასხან ეშბას დაჯგუფება, გვ. 88.

¹² ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 125.

¹³ ქ. სარსევანიძე. თარასხან ეშბას დაჯგუფება, გვ. 89.

თ. ეშბას რაზმის ნეიტრალიზაციით, ოკუპანტმა სამურზაყანო ვერ დაამშვიდა. მალე რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდა ზუდა ემუხვარი, რომლის რაზმმა, 1923 წ. 28 ოქტომბერს სოფ. ბარლებში ცეცხლი გაუხსნა მაზრის მილიციას.¹

როგორც პროფესორმა ბ. ხორავამ მოიხია, სამურზაყანო მაზრაში 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში ასევე მონაწილეობდნენ: გიორგი ანჩაბაძე (ოჩამჩირე), კონსტანტინე ბოკუჩავა (სოფ. ლეკუხონა), ხაჩა ბულისკერია (სოფ. ოქუმი), ლავრენტი ჯობავა (სოფ. ცხირი), არსენი გვაგვალა (სოფ. დიხაზურგა), მოსე ქეცბაია (დაბა გალი); გალის სკოლის პედაგოგები: ბაგრატ ხორავა, გრიგოლ ქავთარაძე, გიორგი თორუა; ღუმურიშელი პედაგოგი თეიმურაზ ზუზბაია; ეროვნული გვარდიის ყოფილი წევრი თეოთე ზარანდია და სხვ.²

ასეთი მდგომარეობა იყო ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთში 1924 წ. აგვისტოს აჯანყების წინ. ეს იყო აფხაზეთის ერთადერთი მაზრა, რომელმაც საერთოქართულ საქმეს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. ბოლშევიკების თვითნებობა და არსებული წესრიგის რღვევა მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ ხელისუფლებას მოზარდების პიონერთა ორგანიზაციაში გაწევრიანების გამოც.³

სამურზაყანო სამეგრელოს შტაბის გამგებლობის სფეროში შედიოდა.⁴ სამხედრო გეგმით, აჯანყების წარმატებით განვითარების შემთხვევაში, სამურზაყანოელებს შეტევა სოხუმის მიმართულებით უნდა წარემართათ.⁵ როგორც ცნობილია, აჯანყება, მთელი რიგი მიზეზების გამო, არაორგანიზებულად დაიწყო დათქმულ ვადაზე – 29 აგვისტო – ერთი დღით ადრე – 28 აგვისტოს.⁶ ძირითადი ბრძოლები საბერიოს მიდამოებში გაიმართა.⁷ სამურზაყანოელებს ბრძოლაში სვანეთიდან წამოსული რაზმები უნდა მიშველდებოდნენ, თუმცა საოკუპაციო რეჟიმის ქმედებებმა ეს გეგმა ჩაშალა.⁸

ამბოხების დამარცხების შემდეგ, რეჟიმი მკაცრ რეპრესიებზე გადავიდა.⁹ მარტო სამურზაყანოში იმდენი პატიმარი ჰყავდათ, რომ საპყრობილესთან ერთად, გალის სკოლაშიც ჰყავდათ გამოძევდებული.¹⁰ ბოლშევიკური ეგზეკუცია არაფერს და არავის ინდობდა ამბოხებულთა ნაწილი სვანეთის მთებს აფარებდა თავს.¹¹

ბოლშევიკურმა უშიშროებამ – მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ – 1928 წ. 16 სექტემბრისთვის მოამზადა სია ყოფილ თავადთა, აზნაურთა და მემამულეთა შესახებ, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობდნენ.¹² ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ გალის მაზრის თითქმის მთელი ყოფილი არისტოკრატია მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და „აგვისტოს ავანტურაში“ (როგორც წყაროს შემდგენელი წერს) აქტიურად მონაწილეობდა.¹³

¹ ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 125-126.

² Б. Хорава. Из истории борьбы против Советской власти в Абхазии (1921-1931 гг.), – *The Caucasus and the World. International scientific journal.* #26, 2022 (DOI: <https://doi.org/10.52340/isj.2022.26.14>).

³ А. Э. Куправа. Труды. Т. 1, გვ. 368.

⁴ ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 99.

⁵ ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 128.

⁶ დ. შველიძე. საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012). *სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის*. თბ., 2021, გვ. 126.

⁷ ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 129.

⁸ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში, 1921-1924, გვ. 496.

⁹ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში, 1921-1924, გვ. 496.

¹⁰ *Документы по истории Абхазии (1917-1931)*, გვ. 232-267; ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 213.

¹¹ *Документы по истории Абхазии (1917-1931)*, გვ. 258-263.

¹² ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში, 1921-1924, გვ. 533, 535.

¹³ *Документы по истории Абхазии (1917-1931)*, გვ. 258-263.

ავვისტოს აჯანყებაში სამურზაყანოელთა მონაწილეობის მიზეზად ნ. ლაკობამ ადგილობრივი გლეხის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაში დაინახა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჯეროვანი დახმარება ვერ აღმოუჩინა, რის გამოც, თურმე, ის იმედს მენშევიკებზე ამყარებდა.¹ სინამდვილეში აქ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მხოლოდ საბაბია. ადგილობრივი მოსახლეობა, პირველ რიგში, სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდა. როგორც წინა თავში ვნახეთ, სწორედ სამურზაყანო იყო 1918-1921 წწ. ქართული საქმის მედროშე აფხაზეთში. ბუნებრივია, ეს განწყობილება არსად გამქრალა.²

ხელისუფლება მიხვდა, რომ გალის ჩართულობა 1924 წ. აჯანყებაში ძირითადად ეროვნული ფაქტორით იყო განპირობებული. ვითარების დარეგულირების მიზნით ასფსრ-ს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აფხაზეთის „სსრ“-ში მიავლინა სპეციალური კომისია სომხეთის სსრ ცაკ-ის თავმჯდომარის მოადგილის ჰაიკ აზატიანის ხელმძღვანელობით. კომისიამ 1925 წლის ზაფხულის ბოლოს მუშაობის ანგარიში წარმოადგინა, რომელშიც ეწერა: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1925 წლის აფხაზეთი სრულებით არ არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ესაა ეთნიკური აფხაზების ქართველებზე ოლიგარქიული მმართველობის ნიმუში, რომელთა მიზანი არა მთელი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური გასაბჭოება ან სოციალიზაციაა, არამედ ქვეყნის „გააფხაზება“, ეთნიკურად აფხაზი მოქალაქეებისთვის ყველა შესაძლო პრივილეგიის მინიჭებით... ამიტომ ხშირად პირები, რომლებიც არ არიან აფხაზი ეროვნებისა, თავს აფხაზებად ასაღებენ, სამუშაოს პოვნა რომ გაუადვილდეთ“.³

საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმმა 1925 წ. 31 ივლისს იმსჯელა აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით და შეიმუშავა საგანგებო რეზოლუცია, რომლის X პუნქტი მოითხოვდა ენის პრობლემების მოგვარებას, განსაკუთრებით გალის ქართული მოსახლეობის მიმართებაში.⁴ რესპუბლიკაში ოფიციალურ ენად ინერგებოდა რუსული. აფხაზი ბოლშევიკების აზრით (რაც მათ, 1925 წ. მარტში აფხაზეთის საბჭოების III ყრილობაზე დაადასტურეს), მრავალეროვანი აფხაზეთისთვის ეს უფრო მისაღები იყო, ვიდრე იგივე – ქართული და აფხაზური.⁵

ნ. ლაკობას მცდელობამ აფხაზეთში მონონაციონალური რეჟიმის შესაქმნელად, შედეგი მალე აჩვენა: 1926 წლის საკავშირო აღწერით გალის მაზრის ძირითად მოსახლეობას ქართველები (36 802) ⁶ და აფხაზები (12 962 ადამიანი) წარმოადგენდნენ.⁷ ნ. ლაკობას ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა გალის მაზრის ქართული მოსახლეობის აფსუიზაციას. საინტერესოა, რომ სწორედ ეს აისახა ზემოხსენებული მოსახლეობის საკავშირო აღწერაში, სადაც 9 ათასამდე „აფსუამ“ მშობლიურ ენად მეგრული დაასახელა.⁸ მაგრამ ეს ციფრებიც მნიშვნელოვანად გაბერილია, რადგან 1909 წ. მონაცემებით, სამურზაყანოში 40 687 ადამიანი

¹ Н. А. Лакоба. Статьи и речи, გვ. 147.

² საინტერესოა, რომ თავად ნ. ლაკობა, როგორც საგანგებო სპეცლეს-სასამართლო ორგანოს – ე.წ. „ტროიკას“ (სამეული) – თავმჯდომარე, მონაწილეობდა ავვისტოს აჯანყებაში მონაწილე პირთა გასამართლებაში და იმავე წლის 15-17 სექტემბრის სხდომაზე სასიკვდილო განაჩენი 13 ადამიანს გამოუტანა (ჯ. გამაზარია. აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, გვ. 412-413; 1924. ასი წელი აჯანყებიდან. პროექტის ხელმძღვანელი: ბ. ჩერქეზიშვილი, მ. ხოსიტაშვილი. თბ., 2024, გვ. 159-160; 1924 წლის აჯანყება საქართველოში (ბიბლიოგრაფია). შემდგენელები: თ. ზიზამბარელი, თ. მარიხაშვილი, ს. ლაღანიძე. თბ., 2024, გვ. 95).

³ ტ. ბლაუველტი. კლიენტელიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში, გვ. 98.

⁴ ტ. ბლაუველტი. კლიენტელიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში, გვ. 93.

⁵ ტ. ბლაუველტი. კლიენტელიზმი და ეროვნება ნესტორ ლაკობას საბჭოთა აფხაზეთში, გვ. 93.

⁶ ქართველებში ცალკე გამოჰყოფდნენ მეგრელებს (19 018 ადამიანი) და სვანებს (36 ადამიანი).

⁷ Г. П. Лежава. Изменение классово-национальной структуры населения Абхазии..., გვ. 16.

⁸ Г. П. Лежава. Изменение классово-национальной структуры населения Абхазии..., გვ. 20.

ცხოვრობდა, საიდანაც აფხაზი ეროვნების მხოლოდ 1 100 იყო, ხოლო 1917 წლისთვის რეგიონში ქართველთა რაოდენობამ 40 959 სულს მიაღწია.¹

საინტერესოა, თავად ნ. ლაკობასვე აღნიშვნითვე, „რამდენიმე ათასმა კაცმა თავის თავი აფხაზ ეროვნებას მიაკუთვნა, თუმცა მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული (მეგრული)“.² უფრო ზუსტად კი, ზემოთ მოყვანილი ციფრიდან აფხაზური მშობლიური იყო მხოლოდ 5 295 ადამიანისთვის, დარჩენილი 7 668 კი „სხვა ენაზე“ მეტყველებდა, რაც მკვლევარებს სავსებით სამართლიანად აფიქრებინებს, რომ „1926 წელს რეჟიმმა აღწერის შედეგები უხეშად, ბოლშევიკურად გააყალბა – ქართველთა ნაწილი აფხაზად ჩაწერეს“.³ ამიტომ სრულიად გაუგებარია ს. ლაკობას რიტორიკა, როცა ის საუბრობს ნ. ლაკობას ეპოქაში გალის რაიონში აფხაზთა მიზანმიმართულ „ქართველიზაცია (მეგრელიზაცია)“-ზე, რითაც, თურმე, იქ შემცირდა ამ ეთნოსის რაოდენობა.⁴

ქ. სოხუმში გამართულ სრულიად საქართველოს ცაკ-ის III სესიაზე აფხაზეთის მთვარობის საქმიანობის შესახებ მოხსენებისას (3.06.1926) ნ. ლაკობა შენიშნავდა, რომ აფხაზეთში აფხაზთა რაოდენობა დაახლოებით 50 000-ს შეადგენდა, ბერძნების – 18-19 000, ამდენივე – სომხები, ხოლო მოსახლეობის საერთო მონაცემები – 190-200 000-ს ფარგლებში მერყეობდა. ის არ ასახელებდა ქართველთა რაოდენობას, თუმცა აღნიშნავდა, რომ მათი მესამედი გალის მაზრაში ცხოვრობდა. აფხაზებისგან განსხვავებით, ქართველები აფხაზეთის ყველა მაზრაში იყვნენ განსახლებულნი.⁵

უკვე 1927-1928 წწ. ის ადასტურებდა, რომ გალის მაზრაში ერთადერთი სამეტყველო და სამწერლობო ენა მხოლოდ ქართული იყო.⁶ მართლაც, აფხაზეთის სსრ 1927 წლის კონსტიტუციით, გალის მაზრაში საქმეთწარმოების ენად ქართული დადგინდა.⁷ ადგილობრივი ხელისუფლება (1925-1926 წწ. მონაცემებით), შესაბამისად, ძირითადად, ქართველებით კომპლექტდებოდა.⁸

გალის რაიონში ქართველთა რაოდენობის ხელოვნურად შემცირების მიზნით, ნ. ლაკობას რეჟიმმა რამდენი სოფელი, რომელშიც ქართველები და აფხაზები ცხოვრობდნენ, 1931 წ. ოჩამჩირეს დაუქვემდებარა.⁹ ვინაიდან ეს პროცესი ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია იყო, ნ. ლაკობას რეჟიმს მანიპულირების შესანიშნავი შესაძლებლობა ჰქონდა.¹⁰

მიუხედავად ამისა, გალის რაიონში 1932 წ. მონაცემებით, აქ ქართველთა რაოდენობა მაინც მნიშვნელოვანი იყო (39 854 კაცი), აფხაზები კი სულ 8 645 კაცი. ამასთან ერთად, აქ ყველაზე ნაკლებად ჩანან სხვა ეროვნებების წარმომადგენლები.¹¹ შემდგომ წლებშიც გალის

¹ გ. გასვიანი. აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში..., გვ. 46-47; **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 98.

² ავთ. სონღულაშვილი. საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი. თბ., 2004, გვ. 181.

³ გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე, ს. ჭავჭავაძე, მ. ზობელია. ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია დ ენობრივი პოლიტიკა 30-იანი წლების აფხაზეთში. თბ., 2024, გვ. 87-88.

⁴ **С. З. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 43.

⁵ **Н. А. Лакоба.** Статьи и речи, გვ. 207.

⁶ *Документы по истории Абхазии (1917-1931)*, გვ. 347; **Н. А. Лакоба.** Статьи и речи, გვ. 215-216, 296.

⁷ *Конституции Абхазии. XX век.* Составители: **Т. А. Шанава, С. З. Возба.** Сухум, 2015, გვ. 52; **А. Э. Куправа.** Труды. Т. 2: *История доколхозной абхазской советской деревни. 1928–1929 годы.* Научный редактор **Авидзба А. Ф.** Сухум, 2014, გვ. 324;

⁸ *Документы по истории Абхазии (1917-1931)*, გვ. 345.

⁹ *Абхазия: документы свидетельствуют (1937-1953).* Сборник материалов. Составители: **Б. Е. Сагария, Т. А. Ачугба, В. М. Пачулия.** Сухум, 1992, გვ. 429.

¹⁰ **ბ. ზორავა, ნ. ჭანტურია.** აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში, გვ. 29.

¹¹ გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე, ს. ჭავჭავაძე, მ. ზობელია. ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია და ენობრივი პოლიტიკა 30-იანი წლების აფხაზეთში. თბ., 2024, გვ. 78-79.

რაიონში სასკოლო განათლებისა და ოფიციალურ საქმეთწარმოების ენად მხოლოდ ქართული რჩებოდა.¹

1934 წლის აღწერით, სრულიად ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული შემდგომი სოფლები: გუდავა, ნაბაკევი, საბერიო, ოქუმი, ჭუბურიშხინჯი, პირველი გალი, რეფო-შეშელეთი, ზემო ბარლები, ლეკუხონა, დიხაზურგა, ხუმუშქური, თავილონი, ცხირი-გალი, რეჩხი-ცხირი, ოტობაია, გაგიდა-ნოჭკალუე, აჩიგვარა, წარჩე, მეორე ბედია, ქვემო ბარლები, ღუმურიში, ფიჩორა, მუხური.² თ. აჩუბა, რომელიც კარგად იცნობდა რეგიონს, ცდილობდა რა ადგილობრივი ეთნიკური მოცემულობის გაყალბებას, აცხადებდა, რომ 1930-იან წლებში გალში ძალით აქართველებდნენ იმ აფხაზებს, რომელთა ასიმილაცია წინა პერიოდში ვერ მოხერხდა.³ მისი თქმით, საურზაყანოს აფხაზთა გაქართველების მიზეზი შერეული ოჯახები, სადაც დედები იყვნენ ქართველები/მეგრელები. თუმცა, იქვე ასახელებს ვინმე კოხორელ ჩვატა ზუხბაიასა (1896-1963) და მის აფხაზ მეუღლე ოლღა ზვანბას (1892-1982). მიუხედავად ამისა, მკვლევარი იტყულებულია შენიშნოს, მათი შვილები აფსუურად არ საუბრობდნენ.⁴

საბჭოეთის ბოლშევიკური რეჟიმი ხელს უწყობდა ქართველთა დეზინტეგრაციის პროცესს. მოსახლეობის აღწერებში (1926, 1937 წწ.) ქართველი (აქ შეიყვანეს: ქართლები, კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები, სომხები, ჯავახები, მესხები, კლარჯეთელები, ტაოელები, აჭარლები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმლები) ერი დაშლილი იყო საკუთრივ ქართველებად და ასევე – მეგრელებად, ჭანებად, სვანებად, ბაცებად, აჭარლებად.⁵ ამ პოლიტიკას აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკაშიც აქტიურად მისდევდნენ. ამიტომაც აქ გამოიცემოდა გაზეთები მეგრულ ენა-კავზე: „მშრომელი ყაზაყი“ (საქართველოს სსრ კპ(ბ) გალის რაიკომის, რაიდმასკომისა და რაიპროფსაბჭოს დეკადური ორგანო) – იბეჭდებოდა 1931 წლიდან, 1932 წ. ეწოდა „კოლმეურნეში ზუმა“, 1936 წ. კი – „სტალინური შარათ“; „ბოლშევიკური ტემპით“ (გალის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების ექსკლდური ორგანო, 1934 წ.).⁶

ნ. ლაკობას გარდაცვალების შემდეგ, „აფსუიზირებულმა“ ქართველებმა დაიბრუნეს საკუთარი ეროვნება და რეგიონში აღდგა ისტორიული ეთნიკური ბალანსი: 1939 წელს 1 786 აფხაზი აღირიცხა.⁷

ამდენად, აფხაზ ბოლშევიკთა ნაციონალისტურ-შოვინისტური რეჟიმის მცდელობა სამურზაყანოს ქართველთა აფსუიზაციისა უშედეგოდ დასრულდა. პირიქით, ამ მხარის მოსახლეობამ შესაშური თავდადება აჩვენა და დაადასტურა საქართველოსადმი სრული ერთგულება და მამულიშვილობა. ამის გამოვლენა იყო ჯერ კიდევ 1921 წელს მოთხოვნა, რომ სამურზაყანოს მხარა გამოჰყოფოდა აფხაზეთის სსრ-ს და შეერთებოდა საქართველოს სსრ-ს, ხოლო შემდგომ კი აქტიური მონაწილეობა ანტისაბჭოთა მოძრაობასა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში, რომელშიც, სხვათა შორის, ეთნიკურად აფხაზებიც იყვნენ ჩართულნი. ისინი ქართველ თანამოძმეებთან ერთად ებრძოდნენ საერთო სამშობლოს – საქართველოს – დამპყრობელ რუს ბოლშევიკებს.

¹ გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე, ს. ჭაავა, მ. ზობელია. ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია..., გვ. 148.

² გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე, ს. ჭაავა, მ. ზობელია. ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია..., გვ. 157.

³ Т. А. Ачугба. Этническая история абхазов XIX–XX вв. *Этнополитические и миграционные аспекты*. Сухум, 2010, გვ. 166.

⁴ Т. А. Ачугба. Этническая история абхазов XIX–XX вв., გვ. 174-175.

⁵ ნ. ყიფშიძე. რას წერდა ლავრენტი ბერია იოსებ სტალინს..., – „საარქივო მოამბე“. №2, ივლისი, 2008, გვ. 37.

⁶ გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე, ს. ჭაავა, მ. ზობელია. ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია..., გვ. 355.

⁷ აქ არ შესულა სოფლების – რეკა, აგუბდია და ბედია I – მოსახლეობა, რომლებიც 1930-იან წლებში ოჩამჩირის რაიონს მიაწერეს.

⁸ Г. П. Лежава. Изменение классово-национальной структуры населения Абхазии..., გვ. 20-21.

Kakha Kvashilava
Sokhumi State University

**ANTI-GEORGIAN POLICY OF THE ABKHAZ BOLSHEVIKS IN THE GALI DISTRICT
(1921-1939)
RESUME**

On March 4, 1921, the Russian Bolsheviks captured the city of Sukhumi. Soon the creation of the Abkhazian Socialist Soviet Republic was announced, which was actually a fiction, since Sukhumi was still subordinate to Tbilisi, and according to the hierarchy of the Communist Party, the Abkhazian communists were included in the ranks of the Georgian Communist Party. The nationalist-chauvinist regime of the Abkhazian Bolsheviks, led by Nestor Lakoba, set itself the goal of Abkhazizing the Georgian population of the Samurzakano district and thus increasing the number of the Abkhazian ethnic group. Tsarism actively tried to Abkhazize the Georgians of Samurzakano back in the 19th century, but the desired result did not come. In the 20s-30s of the 20th century, N. Lakoba regime's attempt to afsuize the Georgians of Samurzakano also ended in vain. On the contrary, the population of this region showed enviable dedication and confirmed their complete loyalty and patriotism to Georgia. This was demonstrated by the demand in 1921 that the Samurzakano district secede from the Abkhazian SSR and join the Georgian SSR, and later by their active participation in the anti-Soviet movement and the August uprising of 1924, in which, by the way, ethnic Abkhazians were also involved. Together with their Georgian brothers, they fought against the Russian Bolsheviks who were occupying their common homeland – Georgia.

დავით აღმაშენებლის სახელის უქრობი შარავანდედი

დღესაც, დიდი მეფე დავით აღმაშენებელი ქართველისათვის სამშობლოს პოლიტიკური სიძლიერის, მისი კულტურის აყვავების, ჭეშმარიტი შემწყნარებლობის, ხოლო ძლევამოსილებისას კი თავდამბლობის სიმბოლოა.

დავით აღმაშენებელმა ქართველი ერის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი არა მხოლოდ როგორც სწორუპოვარმა მეფემ და პოლიტიკურმა მოღვაწემ დაიმკვიდრა, არამედ, როგორც დიდმა ჰუმანისტმა და პოეტმაც.

სამეფო ტახტზე იგი სრულიად ჭაბუკი 16 წლისა ავიდა და მთელი 36 წლის განმავლობაში სახელმწიფო საჭეს ბრძნულად უძღვებოდა. მართალია, ყმაწვილ მეფეს გაპარტახებული სამეფო ჩაბარდა, მაგრამ თავისი გონივრული პოლიტიკისა და ბრწყინვალე სტრატეგიის წყალობით, მან საქართველო პოლიტიკურ- ეკონომიკური სიმტკიცის მხრივ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: თუ რა მანევრირების პოლიტიკით შეძლო სრულიად ახალგაზრდა მეფემ მაჰმადიანთა ტყვეობაში მყოფი საქართველოს განთავისუფლება?!

უპირველესად, დავით აღმაშენებელმა სტრატეგიული და ტაქტიკური ბრძოლის სინთეზზე დაყრდნობით, შინ თუ გარეთ რეალური და ფიზიკური პოლიტიკის წარმოებით, ასევე რელიგიის გადამწყვეტი მნიშვნელობის უგულებელყოფითა და მანევრირების პოლიტიკით, რაც გულისხმობდა ერთი მტრის მეორის წინააღმდეგ გამოყენებას, - ანუ თურქული ტომის ყივჩაღების ბრძოლას საქართველოს დაცვის მიზნით თურქეთის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად დავით აღმაშენებელმა საქართველოში შექმნა მრავალეროვანი სახელმწიფო, სადაც მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანები.

დიდი მეფის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი გახლდათ ასევე ქართული კულტურის კერების როგორც საზღვარგარეთული, ასევე ადგილობრივი საგანების შექმნა. მისი ინიციატივით დაარსდა არა მხოლოდ სასწავლებლები, არამედ ფილოსოფიურ - თეოლოგიური ცენტრები - გელათისა და იყალთოს აკადემიების სახით.

დავით აღმაშენებლის სახელი სიცოცხლეშივე მოიცვა უქრობმა შარავანდედმა. შუა საუკუნეებში მას როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, იცნობდნენ როგორც უძლიერეს ხელმწიფეს, რომელიც მთელ საქრისტიანობის მხსნელად უზენაესისაგან იყო მოვლინებული.

მეფე დავითს ქართველმა ხალხმა და ეკლესიამ სწორად შეურჩია სახელი და მას აღმაშენებელი უწოდა და წმინდანადაც შერაცხა.

უკვდავია, დიდი მეფის პოეტური აღსარება „გალობანი სინანულისანი“, რომელიც მან თავისი ცხოვრების მიმწუხრისას შექმნა. სწორუპოვარი მეფისაგან სწორედ „მაღალთა თავმდაბლობის“ გამომხატველია ტაძარში შესვლისას ქვაზე ფეხის დადგმა.

დავით აღმაშენებელი უპირველესად ქართველმა ხალხმა შეიყვარა და აღიარა, რაც კარგად ჩანს ქართულ ფოლკლორში.

ცნობილია, რომ მრავალ საუკუნოვან ქართულ საისტორიო სიტყვიერების პირველი პერიოდი ვრცელ ისტორიულ მანძილს V-XIV საუკუნეებს მოიცავს.

ამ პერიოდის ნაწარმოებები მრავალფეროვანია, როგორც ჟანრობრივად, ისე ციკლობრივად.

ესენია ლექსები, თქმულებები და ლეგენდები ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, სვეტიცხოვლის ოსტატის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, შალვა და ივანე ახალციხელებისა და რუსუდანის შესახებ.

საისტორიო ხალხური სიტყვიერების განსაკუთრებული ისტორიული ღირებულებაა ისიც, რომ იგი აშუქებს ძველ ისტორიკოსთა მიერ უგულებელყოფილ მნიშვნელოვან მოვლენებს.

მაშინ, როცა ძველი ისტორიკოსები დუმდნენ დავით აღმაშენებლის ზებუნებრივ ძალებზე, ხალხი ლეგენდას ქმნიდა თავის საყვარელ მეფეზე.

ხალხურ სიტყვიერებაში ყურადღებას იქცევს ლეგენდა „დავით აღმაშენებელზე“, რომელიც მოგვითხრობს: „დავით აღმაშენებელი იყო ძალიან მოწყალე და ღვთისმოყვარე. იმას უყვარდა ეკლესიების შენება და ძალიან ხალისიანათაც ასრულებდა ამ საქმეს. ერთი ომის გათავების შემდეგ მოისურვა დავითმა აეგო დიდებული გელათის მონასტერი. მისი სურვილი, რასაკვირველია, სისრულეში უნდა მოსულიყო. მუშები დაიბარეს და დაიწყეს შენება.

წყეულმა ეშმაკმა მოინდომა ხელი შეეშალა მისთვის ამ წმინდა ღვთის სასიამოვნო საქმეში. კედლები რამდენჯერ ააშორეს ბალავერს, იმდენჯერ ანგრევდა ი წყეული ღამდამობით.

დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ, და არ იქნა კედლები ბალავერს ვერ ააშორეს. მეფე, რასაკვირველია, მიხვდა, რომ მისი ხელის მცარავი ეშმაკი იყო და გადასწყვიტა, როგორც არ უნდა დაჯდომოდა, ეშმაკი ხელთ ეგდო. იმან აიღო ჯამი, აავსო წყლით და დადგა ბალავრის მახლობლათ; თვითონ კი - კუთხეში მიიმალა და დაუწყო დარაჯი.

როცა კარგად დაბნელდა, სად იყო, სად არა, გაჩნდა ი წყეული და გულმოდგინეთ შეუდგა თავის საქმეს. ამ დროს იმან შენიშნა წყლიანი ჯამი და ზედ მივიდა. უცებ საფარიდან გამოხტა დავითი და ხელები სტაცა. ეშმაკი ჯორად იქცა, მაგრამ გულადი მეფე მაინც არ შეშინდა; იმან ამოსდო ჯორს პირში ლაგამი და სწრაფად მოახტა ზედ.

ამ დღის შემდეგ ის ამ ჯორს არ იშორებდა. ამის შემდეგ ადვილად მოათავა გელათის მონასტერიც. გელათის მონასტრის აგებაზე მეფე დავითს დიდი შრომა გაუწევია. წყალწითელიდან თავის ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა. ეს ქვები მეტად დიდებია. ისინი არიან დატანებული სამხრეთ-დასავლეთის ყურეში. ერთ მათგანზე დღემდისაც არის, ვითომ დავითის მიერ გაკეთებული მზის საათი.

დარუბანდიდან ჩამოუტანია დიდი უშველებელი კარები და მონასტრის გალავანზე დაუკიდა. ეს „ეშმაკ-ჯორი“ - კი ისევ ემსახურებოდა დავითს. დადიოდა ის აქეთ-იქით იმ ჯორით...

ის ორი ვეება ქვა და დარუბანდის კარებიც თურმე იმ ჯორით მოიტანა დავითმა - უკან შემოკრული. დავითიც ჯორს თავისი ხელით უვლიდა: დაყავდა წყლის დასალევად და საძოვრად, რადგანაც სხვას არ ენდობოდა: ეშმაკია, მოატყუებს და გაექცევაო“.

ერთხელ მეფეს მოუცლელობის გამო არ შეეძლო თითონ წაეყვანა წყალზე ეშმაკ-ჯორი. დაუძახა მეჯინიბეს და უბრძანა ჯორი წყალზე წაეყვანა. ამასთანავე უთხრა: „არამც და არამც ალვირი არ წაჰყარო“.

მეჯინიბემ მიიყვანა ეშმაკ-ჯორი წყალზე, ჯორმა დასუნა წყალს, თავი ისევ მაღლა აიღო და მოყვა საშინლად ფრთხვენას და წიხლებს ისროდა. მეჯინიბემ იფიქრა: საწყალს იქნება ალვირი უშლისო და წაჰყარა. ეშმაკ-ჯორმა სიხარულით დაიფრთხვინა, წყაროში ჩახტა და გაუჩინარდა.¹

კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ტეტრალოგიაში, რომელსაც მეოთხედი საუკუნის მანძილზე წერდა, ასახა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მღელვარე ეპოქა.

¹ ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, თბილისი, 1970, გვ. 226-227.

თავის მონუმენტურ ქმნილებაში „მწერლის დამოკიდებულება ფოლკლორული მასალების მიხედვით საოცრად ფართო და მრავალმხრივია. ადამიანს აოცებს ის ტიტანური შრომა, რაც მწერალს ჩაუტარებია სხვადასხვა ქვეყნის ზეპირი ტრადიციების შესწავლის საქმეში. მიუხედავად ამისა, რომანში ძირითადი ხვედრითი წონა, მაინც ეროვნულ ფოლკლორულ ყოფის ასახვას აქვს დათმობილი, რომლის დასტურია ზემოთ აღნიშნული ხალხურ თქმულება დავით აღმაშენებელზე.

ლევენდას მწერალი ტეტრალოგიაში ოსტატურად იყენებს, მიუსადაგებს გმირის სულიერ განწყობილებასა და მის ხასიათს.

ლევენდა დავით აღმაშენებელზე მწერალს თითქმის სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოცემული რომანში. შეცვლილია მხოლოდ დეტალები.

ტეტრალოგიის მიხედვით დედის იმედი აფრთხილებს მეფეს, რომ ლიპარიტის უბანში მარტო არ წამოვიდეს, რადგან შეიძლება ღალატით მოჰკლან; თან მეფეს მოუთხრობს მნათე მიქელას ნაამბობ თქმულებას ეშმაკის დამორჩილების თაობაზე.

ისტორიულ რომანში მიქელას გადმოცემით, „დავით მეფე უფლისწული ყოფილა მაშინ, როცა ერთ საღამოს ნადირობიდან მობრუნებულს გზაზე შემოხვდომია ეშმა, წასტანებია და შეუპყრია სული ბოროტი. ეშმა ჯორად ქცეულა წამსვე, ზედ შემჯდარა უფლისწული, აქ მოუყვანია, საყბურები შეუსხამს და ამ გალაგანში შემოუგდია. მეორე დღეს ბერებს გაჰკვირვებიათ, საყბურებიანად რაღა სძოვსო ჯორი, საყბური აუხსნიათ თუ არა, ჯორი გაუჩინარებულა მყისვე“.¹

დავითმა, როცა ეს ამბავი მოისმინა, დედისიმიედი დაამშვიდა: „შენ ნურას იდარდე, მე თუ ეშმას წურთენა შემძლება, როგორც შენა თქვი არც ქვეგამხედვართ ასცდებათ წრთენა“.²

ტეტრალოგიაში ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მინიჭებული მეზირის (გველის) კულტს. დავით აღმაშენებლის ბიძა მახარა გველების მგეშავია. იგი გველს თავის სურვილის მიხედვით ათამაშებს, მაგრამ გველი მაინც გველად რჩება და მახარას აზრით, მას აუცილებლად ხერხემალი უნდა გადაუტეხოს ადამიანმა.

ხერხემალ გადატეხილი გველი სიმბოლურად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, თუ როგორ უნდა მოექცეს ქვეყნის ორგულთა და „ქვეგამხედვართ“ ეროვნული ერთიანობის სადარაჯოზე მდგარი მეფე. მახარამ სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება, როცა მომავალ მეფეს ასწავლა „ქვეგამხედვართა“ ხერხემლის დროზე გადატეხა.

აღნიშნული ეპიზოდი რომანში საოცარი მხატვრული ფორმით არის აღწერილი, სადაც მწერალი რემბრანდტიესური ფუნჯით არაჩვეულებრივ სურათს გვიხატავს.

დავითი, მახარა, ჯონდო და გვანცა სათაფლიას გამოქვაბულისაკენ გაემგზავრნენ ცხენებით. ამაღა ერთ კლდეს მიუახლოვდა. დავითმა ყველანი შეაჩერა. გამოჩნდა შავი პეპლები. ეს შავი პეპლები იქ ჩნდებიან, სადაც გველები ბუდობენ. მახარამ „ამოიღო ლელის საღამური და ტკბილად დაუკრა... აპარპალებდა შაბიამნისფერ თვალებს. დავითი ყურს უგდებდა... აქ ასწავლიდა მას იღუმალის წამყოფით გამოვლინებას ქოსა. დავითმა უჩურჩულა სტუმრებს, იყურეთო მცირე ხანს... დავითმა თვალი წაატანა, თუ როგორ მოსრიდებდა უზარმაზარი ასპიტი... მახარამ საღამური ჯიბეში ჩაიღო, თავზე წაადგა მცურავს, ტუჩ-პირზე მუშტი მიიღო და დაიწყო ჩურჩული.

მერე დაწვდა, კისერში ხელი წაავლო და ისე დაგრაგნა, როგორც ქართული ასო ი. მერე რუდუნებით დასვა მიწაზე გველი. დავითმა თვალი უყო. გაუღიმა თანაც: „ახლა შენ იცი!“...

¹ გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ.1, თბილისი, 1954, გვ. 336.

² იქვე, გვ. 338.

მეფე უხმოდ მიეახლა ქვეწარმავალს... წამოეწია და ხელის იმგვარი მოძრაობით, როგორითაც ნაკვერჩხლებიდან აიღებენ ხოლმე რაიმეს, სამი თითი წაატანა წაწვეტებულ კუდზე, აგერ აიყვანა ჰაერში. სამჯერ ზედიზედ შეატოკა ზევიდან ქვემოთკენ... ბოლოს შეუშვა ხელი და უკუდგა თავათ... ბალახებში საწყალობლად სხმარტალებდა მცურავი.

„ეს რა ჰქენი?“ ამბობდა გოცებული გვანცა.

„ხერხემალი გადაუტეხეს უხსენებელს“, - მიუგო ქოსამ და შაბიამნისფერ თვალებში გაიელვა ეშმაკურმა ღიმილმა.¹

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში მწერალი სიმბოლურად მიგვანიშნებს მეფის ძლიერებაზე: გველს ხერხემალი უნდა გადაუტეხო, ხოლო ჯორად ქცეული ეშმაკი კი აღვირამოდებული იყოლიო. მასასადამე, გველის ანუ ვეზირის კულტი და ეშმაკის დამორჩილების ამბავიც კ. გამსახურდიას მიერ გამოყენებულია მიზანდასახულად, გარკვეული მხატვრული ეფექტის შესაქმნელად. მას იდეური დატვირთვაც ახლავს და ამდენად ორგანულად არის შერწყმული რომანის სიუჟეტურ ქსოვილში.

მეზირის კულტის, ეშმას-ჯორის დამორჩილების ლეგენდების გარდა მწერალი დავით აღმაშენებელში იყენებს თქმულებას გაქარხნული სასახლის შესახებ. დავითის გამეფების წელს (1089) მომხდარი მიწისძვრის შემმუსვრელი შედეგები, ციხეების დანგრევა, გეგუთის სასახლეში მეციხოვნეთა დაღუპვა და სხვა.

მწერალს აღწერილი აქვს, როგორც წინასწარ მოახლოებული უბედურება, რომელიც მახარამ იგრძნო, რადგან „აჭიხვინდაო ბაგრატიისეული საომარი ცხენი, კედელზე დახატული 20 წლის წინად“.²

გაქარხნული ვარაზის ციხის საიდუმლოების აღწერა ავტორს გარკვეული შთანაფიქრის საჩვენებლად სჭირდება. ტეტრალოგიის მთავარი მოქმედი გმირი დავით აღმაშენებელი არა მარტო ეშმაკის მწვრთნელია და გველის მგეშავი, იგი ყოველგვარი დემონური არსების დამმორჩილებელიცაა. დავითი ადამიანის მოდგმის მტერს რომანის მიხედვით ხმალში იწვევს, ამარცხებს მას და ანთავისუფლებს „მოჯადოებულ“ ციხე-სიმაგრეს, რომელიც ეგზომ საჭირო იყო ქვეყნის თავდაცვისათვის. ე.ი ხალხის მიერ დავით აღმაშენებლისათვის მიკუთვნებულ ზებუნებრივ თვისებებს, მწერალი დიდი ტაქტითა და ოსტატობით იყენებს რომანის ცალკეული პასაჟების შესაქმნელად.

ტეტრალოგიაში ბაკური, თავისი ერთადერთი შვილის ვალანგის ქორწილის დღეს, დავით მეფეს ელოდებოდა სტუმრად ამაღლითურთ. მეფეც მოვიდა. მან ბინა დაიღო ვარაზის სასახლის იმ პალატაში, სადაც „საკუთარი ხატება“ გამოესახა ხუროთმოძღვარს. მეფემ სწრაფად იხმო მახარა და უჩვენა: „კარგად დააკვირდი, მახო, ამ ხუროთმოძღვრის ხუჭუჭა თმას, დახე ორი, ოდნავ, სულ ოდნავ შესამჩნევი რქაი მოუჩანს კუპრისფერ კულულებს შორის“.³

„ოდნავ შესამჩნევი რქაი“ დემონურის ატრიბუტია. ამ დემონს მოუწამლავს (გველის საშუალებით) ვალანგის დაბადების დღეს გავსებული უზარმაზარი ქვევრი, რომელსაც ბაკურმა ქორწილის დროს ახადა თავი. მექორწილები მოიწამლნენ, მაგრამ „დავით მეფემ უაქიმა მექორწინეებს, რომელთაც ქვევრში გახრწნილი გველის გესლისაგან სიკვდილი მოელოდათ, მაშინ განრისხდა ეშმა, ვარაზის ციხის ამგები. საკუთარი ხატისაგან გადმოიჭრა და ხმლით შეებრძოლა დავით მეფეს, მაგრამ სირცხვილეული გაიქცა ციხის სარკმლიდან“.⁴ დავითი ეშმას „ვადაჯვრიანი ხმლით“ შეებრძოლა.

¹ გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ.1, თბილისი, 1954, გვ. 340-342.

² იქვე, გვ. 3 . 101

³ გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ.1, თბილისი, 1954, გვ. 518.

⁴ იქვე, გვ. 3 . 523

რომანში თქმულებებისა თუ ლეგენდების ასე შთამბეჭდავად გადმოცემა ერთ მიზანს ემსახურება: „ამაღლოს, ხელშესახებად გვიჩვენოს ხალხის მიერ ზებუნებრივი ძალით დაჯილდოებული დავით აღმაშენებელი, რომლის წინაშე არ არსებობდა არავითარი საფრთხე, რადგან თვითონ იყო „უშიში, ვითარცა უხორცო“.

საერთოდ, კიდევ მრავალი სახის წარმართული წესჩვეულებები, რიტუალები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებია გამოყენებული „დავით აღმაშენებელში“, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია მიზანდასახულად, გარკვეული მხატვრული თვალსაზრისით იყენებს.

დასასრულ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნა საგანგებოდ დაემთხვა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, რადგან სწორედ მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოში გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლის სამართალმემკვიდრედ ბუნებრივად გახლდათ ქართული უნივერსიტეტი.

გონების სფეროშიც კი ეს მოვლენა იყო საქართველოს სუვერენობის აღდგენა და ახალი რენესანსის გზა, რომელსაც თავისთავად ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოჰყვა.

Mariam Marjanishvili
Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum
THE IMMORTAL SUCCESS OF DAVID THE BUILDER
RESUME

Even today, the great king David the Builder is a symbol of the political strength of the homeland, the flourishing of its culture, true tolerance, and even self-reliance in the face of power.

David the Builder occupied an important place in the history of the Georgian nation not only as an incorruptible king and political figure, but also as a great humanist and poet.

He ascended the throne at the age of 16 and wisely led the state for 36 years. Although the young king was given a desolated kingdom, thanks to his wise policy and brilliant strategy, he raised Georgia to the highest level in terms of political and economic strength.

Naturally, the question arises: with what maneuvering policy did the completely young king manage to liberate Georgia from Muslim captivity?!

First of all, David the Builder, relying on the synthesis of strategic and tactical struggle, pursuing a realistic and sober policy at home and abroad, as well as ignoring the crucial importance of religion and a policy of maneuvering, which meant using one enemy against another - that is, the struggle of the Turkic tribe to protect Georgia against Turkey.

At the same time, David the Builder created a multinational state in Georgia, where people of different nationalities and religions lived peacefully.

One of the main concerns of the great king was also the creation of centers of Georgian culture, both abroad and locally. On his initiative, not only schools were founded, but also philosophical and theological centers - in the form of the Gelati and Ikalto academies.

The name of David the Builder was covered with an unquenchable fire during his lifetime. In the Middle Ages, he was known both in the East and in the West as the most powerful ruler, who was sent by the Almighty as the savior of all Christianity.

The Georgian people and the Church correctly chose the name for King David and called him the Builder and also considered him a saint.

The poetic confession of the great king, "Gallobani Sinanulisani", which he composed at the end of his life, is immortal. The expression of the "humility of the high" from the unfaithful king was precisely the stepping on the stone when entering the temple.

ვარლამ ჩერქეზიშვილი და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია (1919 წელი)

1917 წლის ზაფხულში საქართველოში დაბრუნებული ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925) 1918 წლის ბოლოს ან 1919 წლის დასაწყისში კვლავ გაემგზავრა ევროპაში. პარიზში ყოფნის დროს, მისთვის მოულოდნელად, ვარლამ ჩერქეზიშვილს მოუხდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919-1920) გაგზავნილ საქართველოს დელეგაციასთან თანამშრომლობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს დელეგაციის მხოლოდ რამდენიმე წევრმა შეძლო საფრანგეთში ჩასასვლელი ვიზის მიღება და შემცირებული შემადგენლობით ძალზედ უჭირდა დაკისრებული მოვალეობის შესრულება. საქართველოდან გაგზავნილი დელეგაციის უმთავრესი ამოცანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების მიღწევა იყო. ვარლამ ჩერქეზიშვილს ქონდა თავისი ხედვა, თუ როგორ უნდა მიეღწიათ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის, რასაც ყოველთვის აღნიშნავდა დელეგაციის პარიზში გამართულ სხდომებზე. ვარლამ ჩერქეზიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველო რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანა კი არ იყო, არამედ ხელშეკრულებით მასთან შეერთებული (გულისხმობდა 1783 წელს გაფორმებულ გეორგიევსკის ტრაქტატს). რუსეთის იმპერიის დანგრევამ საფუძველი გამოაცალა ამ შეთანხმებას და საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. ვარლამ ჩერქეზიშვილის კონცეფციის მართებულობა საკამათოა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ 1919 წელს არსებული რეალობა, როდესაც პარიზის სამშვიდობო კონფერენციის წამყვანი ქვეყნები ჯერ კიდევ მხარს უჭერდნენ რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობის აღდგენას და იმპერიის ნანგრევებზე შექმნილ დამოუკიდებლობის მსურველ სახელმწიფოებს მოუწოდებდნენ დარჩენილიყვნენ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

შეხვედრა კონსტანტინეპოლში

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაცია 1919 წლის 20 იანვარს ჩავიდა კონსტანტინეპოლში (სტამბულში). ვარლამ ჩერქეზიშვილი იქ დახვდათ. ის დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა საფრანგეთში შესასვლელად ვიზის მიღებას და მხოლოდ 25 იანვარს მიიღო ვიზა. ამის შესახებ კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე კონსტანტინეპოლიდან წერდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. მისი თქმით, ვარლამ ჩერქეზიშვილი “ამდენხანს ცდილობდა წასვლას და მხოლოდ დღეს მიიღო ნებართვა საფრანგეთში გამგზავრებისა”.¹

ვარლამ ჩერქეზიშვილი ნებართვის მიღების შემდეგ მაშინვე არ გამგზავრებულა და თებერვლის დასაწყისშიც კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა. ქართული დელეგაციის წევრი ივანე ჯავახიშვილი 1919 წლის 7 თებერვალს თავის მეუღლეს ნასტასია ჯამბაკურ-ორბელიანს წერდა: “ვ. ჩერქეზიშვილმაც ძლივადღივობით მიიღო ნებართვა”.²

კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს ვარლამ ჩერქეზიშვილი დაინტერესდა ქალაქში მყოფი ყოფილი ქართველი სამხედრო ტყვეების ბედით. მას მიუძღრთავს ინგლისელი კომისრისათვის ქართველ ტყვეებთან დაკავშირებით (80-მდე კაცი). მან მიიღო წერილობითი დაპირება, რომ “პირველი შეძლებისთანავე” ბრიტანელები ტყვეებს საქართველოში გაისტუმრებდნენ. მის

¹ „ჯავახიანი“, ტ. III, თბილისი, 2020, გვ. 226.

² იქვე, გვ.275.

თაობაზე კარლო ჩხეიძე აცნობებდა ნოე ჟორდანიას და ტყვეების საქართველოში დასაბრუნებლად საქართველოს მთავრობის ჩართვა მიიჩნია საჭიროდ.¹

საქართველოს დელეგაცია პარიზში და ვარლამ ჩერქეზიშვილის ჩართვა მის მუშაობაში

პარიზში გაგზავნილ საქართველოს დელეგაციას დიდხანს ალოდინეს კონსტანტინეპოლში, საფრანგეთში ჩასვლის ნებართვა დელეგაციის მხოლოდ რამდენიმე წევრმა მიიღო, დანარჩენებს კი უკან დაბრუნება მოუხდათ საქართველოში. პარიზში ჩასულ დელეგაციეს წევრებს, დაკისრებული მოვალების შესასრულებლად, სჭირდებოდათ დელეგაციის საქმიანობაში სხვა პირების ჩართვაც, რომლებმაც თავიანთ საქმეების გამო მოახერხეს საფრანგეთში ჩასვლა. ერთ-ერთი ასეთი პირი ვარლამ ჩერქეზიშვილი აღმოჩნდა.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციეს პირველი სხდომა პარიზში 1919 წლის 7 მაისს შედგა. თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე, ესწრებოდნენ ვ. ჩერქეზიშვილი, ზ. ავალიშვილი, ირ. წერეთელი, კ. გვარჯალაძე, ი. გობეჩია, მდივობდა ც. დემოლონ-წერეთელი. დელეგაციის ხელმძღვანელმა კარლო ჩხეიძემ პირველ რიგში აღნიშნა, რომ საჭირო იყო დელეგაციის შემადგენლობის გაფართოება და ერთ-ერთ კანდიდატად ვარლამ ჩერქეზიშვილი მიიჩნია. ოქმში არის კარლო ჩხეიძის სიტყვის მოკლე ჩანაწერი: “ვ. ჩერქეზიშვილიც ძალიან სასურველია, მაგრამ როგორც ანარქისტი, უარს ამბობს”.² სხდომის დადგენილებებში არის მოკლე, გარკვეულწილად გაურკვეველი ჩანაწერი: “1/3. ჩერქეზიშვილი უარს ამბობს მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინია”.³

მიუხედავად საქართველოს დელეგაციის ოფიციალურ წევრობაზე უარის თქმისა, თავისი ანარქისტობის გამო, ვარლამ ჩერქეზიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დელეგაციის საქმიანობაში, ის დელეგაციის ფაქტობრივად ყველა სხდომას დაესწრო (20 მაისის სხდომის გარდა), გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს და მონაწილეობდა რიგი მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში.

ბანკეტი 26 მაისის აღსანიშნავად

საქართველოს დელეგაციეს 1919 წლის 7 მაისის სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ საქართველოს საკითხით პოლიტიკური პირების, ჟურნალისტების და საზოგადოებრივი აზრის დასაინტერესებლად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მოეწყოთ ბანკეტი, სადაც მიიწვევდნენ “ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვა ქვეყნების” წარმომადგენლებს, ასევე, მიწვეული იქნებოდა “პრესა და ფართე საზოგადოება”.⁴

ამავე დროს უმჯობესად მიიჩნიეს, რომ “ბანკეტს საზეიმო და საიუბილეო ხასიათი არ მიეცეს, არამედ იყოს გამართული კერძო ინიციატივით მოწყობილი ვახშამის სახით, რომელსაც დელეგაციეს წევრებიც ისე დაესწრებიან, როგორც სტუმრები”.⁵ იქვე დაადგინეს, რომ ამგვარი ვახშამის მოწყობა მინდობოდა ვ. ჩერქეზიშვილს.

დელეგაციის სხდომის ოქმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მოსაწყობი ვახშამის საკითხს შემდგომში აღარ დაბრუნებიან და ისიც ძნელი სათქმელია, შედგა თუ არა საერთოდ ასეთი ვახშამი.

¹ იქვე, გვ. 229.

² საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1992 N 4, გვ. 129.

³ იქვე, გვ. 130.

⁴ იქვე, გვ. 129.

⁵ იქვე, გვ. 129.

ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილი ფრანგულა ჟურნალში

საქართველოს დელეგაციის 1919 წლის 20 მაისის სხდომაზე, რომელსაც ვარლამ ჩერქეზიშვილი არ დასწრებია, ი. გობეჩიამ დამსწრეთ აცნობა, რომ შესაძლებელი იყო ფრანგულ წამყვან გაზეთებში წერილების გამოქვეყნება საქართველოს შესახებ. სხდომაზე დაადგინეს, რომ სარედაქციო კომისიას ეზრუნა “პრესაში შესაფერი წერილების დაბეჭდვაზე და განსაკუთრებით ეცადოს “le temps”-ში მოაქციოს რაიმე საერთო ხასიათის სტატია, რაც დიდ გავლენას იქონიებს საზოგადოებრივ აზრზე”.¹

დელეგაციის 23 მაისის სხდომაზე, რომელსაც ვარლამ ჩერქეზიშვილი ესწრებოდა, დაადგინეს ფრანგულად საჩქაროდ ეთარგმნათ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია საზღვრების შესახებ.²

ფრანგულ პრესაში საქართველოს შესახებ სტატიების დაბეჭდვის აუცილებლობის შესახებ დელეგაციის სხდომებზე კიდევ რამდენჯერმე ისაუბრეს. მაგალითად, დელეგაციის 9 ივნისის სხდომაზე დაადგინეს “გაზეთებში სტატიების მოთავსებაზე ზრუნვა”.³

ვარლამ ჩერქეზიშვილმა ამ საკითხზეც იზრუნა და თავის მხრივ საქართველოს შესახებ სტატია გამოაქვეყნა ფრანგულა ჟურნალში “La Revue de Paris”. სათაურით “საქართველო, მისი წარსული და პოლიტიკური უფლებები”. ამ სტატიის შინაარსი გამოქვეყნდა ოფიციალურ გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში”.⁴ ქართული გაზეთი იუწყებოდა, რომ ფრანგულა ჟურნალის “მწიფობისთვის ნომერში დაბეჭდილია დიდი წერილი მთელ ევროპაში კარგად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილისა... წერილი პირდაპირ შეეხება თანამედროვე მომენტს და ურყევი ლოგიკური სისწორით ამტკიცებს ქართველი ერის უფლებას სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას”.⁵ თუ როგორ ასაბუთებდა ვარლამ ჩერქეზიშვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

საქართველოსთვის ხორბლის მოსაპოვებლად

საქართველოს დელეგაციის 1919 წლის 13 ივნისის სხდომაზე ვარლამ ჩერქეზიშვილმა დამსწრეთ აცნობა, რომ საქართველოსთვის ხორბლის მისაწოდებლად ინახულა ამერიკული კომისია და აუხსნა მათ, თუ რა რთული მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში. მიღებული პასუხი დამაიმედებელი იყო. დელეგაციის სხდომის ოქმში აღნიშნულია: “ვ. ჩერქეზიშვილი ყოფილა კუპერის კომისიაში. თვით კუპერი არ დახვედრია, მაგრამ უნახავს მისი მდივანი, ბეკერი. უამბნია მისთვის საქართველოს მდგომარეობა, პურის ფასები, ბლოკადა. ბეკერს უთქვამს, ამერიკას ბათუმში საკმარისი პური აქვს და შეიძლება სომხებს გარდა ქართველებისთვისაც მიეცათ, მაგრამ რკინიგზა ცუდად მუშაობს ბათუმსა და თბილისს შუა და ტექნიკური საშუალება არა გვაქვს თბილისში გადავიტანოთ პური, ყარსსა და ალექსანდროპოლშიც ძლივს გადაგვაქვს დამშეული სომხებისთვის”.⁶

ვ. ჩერქეზიშვილის ინფორმაცია საქართველოს დელეგაციის წევრებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ჩერქეზიშვილს დაევალა უკვე წერილობით მიეღო პასუხი

¹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1992 N 4, გვ. 134.

² იქვე, გვ. 135.

³ იქვე, გვ. 142.

⁴ ბ-ნ ჩერქეზიშვილის წერილი ფრანგულა გაზეთში – “საქართველოს რესპუბლიკა”, 1919 წ. 19 ნოემბერი, N 262, გვ. 2.

⁵ იქვე

⁶ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1993 N 3-4, გვ. 177.

ამერიკელებისგან, ამასთან საქართველოს მთავრობისთვისაც ეცნობებინათ ამ შესაძლებლობის შესახებ. 13 ივნისის სხდომაზე დაადგინეს: “ვ. ჩერქეზიშვილმა მიწეროს წერილი ბეკერს, რათა მისგანაც ზემოაღნიშნული პასუხი წერილობით მიიღოს. მაშინ შეუძლია დელეგაციეს გადადგას ამ მხრივ საჭირო ნაბიჯები და მთავრობასაც შეუთვალოს, უთხარიტ ამერიკის წარმომადგენლებს, რომ პური გაგზავნოსო, ტექნიკურ დაბრკოლებას კი თქვენ იღებთ თავზეო”.¹

“ჩვენ გამოგვაგზავნეს დამოუკიდებლობის დასაცავად...”

1919 წელს პარიზში გაგზავნილ საქართველოს დელეგაციეს უაღრესად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. კონფერენციის მონაწილე წამყვანი ქვეყნები რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს არ ცნობდნენ და საქართველოს დელეგაციეს ურჩევდნენ, რომ სამომავლოდ შესულიყვნენ “რუსეთის ფედერაციაში”.

დელეგაციის 1919 წლის 3-4 ივნისის სხდომაზე ირაკლი წერეთელმა მოხსენება გააკეთა ინგლისის წარმომადგენელ სიმპსონთან შეხვედრის შესახებ, რომელიც საქართველოს კოლჩაკთან მოლაპარაკებას და რუსეთის ფედერაციაში შესვლას ურჩევდა. ამასთან დაკავშირებით ოქმში დაფიქსირებულია ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თუ რა პოზიცია უნდა დაეკავებინათ საქართველოს წარმომადგენლებს ასეთი მოთხოვნის დროს: “ვ. ჩერქეზიშვილი აგონებს დამსწრეებს, რომ ყოველი მოლაპარაკების დროს ხაზგასმული უნდა იყოს, რომ საქართველო არის არა რუსეთის პროვინცია, არამედ ცალკე სახელმწიფო, ხელშეკრულებების უფლებებით აღჭურვილი”.²

დელეგაციის 1919 წლის 13 ივნისის სხდომაზე, როდესაც დაისვა საკითხი რუსეთის ფედერაციულ მოწყობაზე, ვარლამ ჩერქეზიშვილმა კვლავ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომელიც სხდომის ოქმში შეიტანეს მისი თხოვნით: “ჩერქეზიშვილმა (ოქმში შეტანილია მისი თხოვნით) – ამცნო დამსწრეებს, რომ საქართველოს წარმომადგენლებს ყოველთვის ამგვარი პოზიცია უნდა ეკავოთო: საქართველო ხელშეკრულებით იყო რუსეთთან შეერთებული; ახლა რუსეთი დაინგრა, მაშასადამე საქართველო თავისუფალია. როცა რუსეთი აღდგება და დემოკრატიული სახელმწიფო გახდება, – გვითხრას თავისი პირობები და მაშინ ვნახავთ, შევეუერთდებით ხელახლა თუ არა”.³

დელეგაციის 1919 წლის 18-20 ივნისის სხდომაზე, როდესაც განიხილავდნენ ურთიერთობას ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებთან, რუსეთის პარტიებთან, ვარლამ ჩერქეზიშვილმა კვლავ გაიმეორა თავისი პოზიცია: “ვ. ჩერქეზიშვილი ახსენებს დამსწრეებს, რომ საქართველო არის სახელმწიფო ხელშეკრულებითი უფლებებით, ხელშეკრულებისაგან განთავისუფლებული, რადგანაც რუსეთი დაინგრა, რომ ქართველებმა ყოველთვის და ყველგან ეს ხაზი უნდა გაატარონ, – და წინადადებას იძლევა ამის შესახებ დელეგაციამ მიმართოს ამერიკას”.⁴

იმავე სხდომაზე ჩერქეზიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა კარლო ჩხეიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ “დამოუკიდებლობა ფედერაციაზე ლაპარაკით უნდა მოეთხოვათ”. ვარლამ ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაცია დამოუკიდებლობის დასაცავად იყო პარიზში გაგზავნილი და ეს ხაზი უნდა გაეტარებინა. სხდომის ოქმში დაფიქსირებულია

¹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1993 N 3-4, გვ. 179.

² საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1992 N 4, გვ. 139.

³ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1993 N 3-4, გვ. 178.

⁴ იქვე, გვ. 185.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პოზიცია: “ჩვენ გამოგვაგზავნეს დამოუკიდებლობის დასაცავად და უნდა დამოუკიდებლობა დავიცვათ. კოლჩაკის მიწერ-მოწერაში ჩვენ მოხსენიებულნი არა ვართ, ამიტომ არაფრის უნდა გვემინოდეს. უნდა ვიდგეთ ხელშეკრულებით უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფოს პოზიციაზე. ამას გარდა ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის არის მრავალი სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებლობას თხოულობს, ისე რომ ჩვენ შეიძლება, სულ მოშორებული ვიქნებით რუსეთზე”.¹

იმავს სხდომაზე ვ. ჩერქეზიშვილმა რამდენჯერმე გაიმეორა თავისი თვალსაზრისი. ოქმში აღნიშნულია: “ვ. ჩერქეზიშვილი იმეორებს, რომ კონფერენციას ჯერ არაფერი უთქვამს საქართველოზე, მაშასადამე ჩვენ არ უნდა გვემინოდეს, რომ ალიები უსვამენ კოლჩაკს პირობებს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი გაიმართლონ მოწინავე პარტიების წინაშე, და რომ, ამას გარდა, ჩვენსა და რუსეთს შორის სხვა პატარა სახელმწიფოებია, რომელნიც დამოუკიდებლობას თხოულობენ, ისე რომ არც კი ვიცით, დავბრუნდებით რუსეთის გვერდით თუ არა”. “ვ. ჩერქეზიშვილის ფიქრით, თუ ვვაჭრობთ, პირველი რაც შეიძლება მეტი უნდა მოვითხოვოთ და დავიცვათ დაჟინებით ჩვენი ზაზი, დამოუკიდებელი, ხელშეკრულებითი უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფოს პოზიცია”.²

ვარლამ ჩერქეზიშვილის პოზიცია გავლენას ახდენდა დელეგაციის წევრებზე. მაგალითად, დელეგაციის 1919 წლის 24 ივნისის სხდომაზე ირაკლი წერეთელმა ილაპარაკა თავის შეხვედრის შესახებ გიორგი ლვოვთან (1861-1925), რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო საყვედურობდა. საუბრის დროს ირაკლი წერეთელმა ფაქტობრივად ვარლამ ჩერქეზიშვილის არგუმენტაცია გამოიყენა: “მე გავახსენე, რა პირობებით იყო საქართველო შეერთებული რუსეთთან, რომ ამ შეერთების მთავარი პირობა იყო საქართველოს დაცვა ოსმალეთისაგან და, რაკი ეს პირობა რუსეთმა ვერ შეასრულა, საქართველო იძულებული იყო თავისი ძალით დაეცვა თავი და ამით რუსეთის ერთეულში დარჩენის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა”.³

ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატია ფრანგულ ჟურნალში

ვარლამ ჩერქეზიშვილის თვალსაზრისი საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მიღწევასთან დაკავშირებით ყველაზე კარგად არის გადმოცემული ფრანგულა ჟურნალში მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

ვარლამ ჩერქეზიშვილის თქმით, “დღევანდელი თაობა განათლებულ კაცობრიობისა” საქართველოს იცნობს როგორც “რუსის იმპერიის ერთ პროვინციას”, ამიტომ სტატიაში მოკლედ გადმოსცემს საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიას. მისი თქმით, ევროპამ უნდა გაიცნობიეროს, “თუ რა დიდი სამსახური გაუწია საქართველომ ევროპას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, როცა მან მსხვერპლად შესწირა საკუთარი შვილები დასავლეთის ცივილიზაციის დასაცვლად”.⁴ ვარლამ ჩერქეზიშვილი განიხილავს საქართველოს მიერ რუსეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, ეხება საქართველოს ჩაგვრას რუსეთის მიერ მე-19 საუკუნეში. ვარლამ ჩერქეზიშვილი აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საქართველოს აქვს უდაო უფლება იყოს თავისუფალი, რადგანაც “შეუერთდა რა რუსეთს თავისუფლად პროტექტორატის ხელშეკრულებით ის იძულებული გახდა, როდესაც

¹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1993 N 3-4, გვ. 187.

² იქვე, გვ. 189.

³ იქვე, გვ. 193.

⁴ ბ-ნ ჩერქეზიშვილის წერილი ფრანგულა გაზეთში – “საქართველოს რესპუბლიკა”, 1919 წ. 19 ნოემბერი, N 262, გვ. 2.

რუსეთის იმპერია დაინგრა, აღდგინა თავისი განკერძოებული არსებობა”.¹ ვარლამ ჩერქეზიშვილი იხსენებდა ყირიმის ომის (1853-1856) პერიოდს, რომლის დროსაც, 1855 წელს, ინგლის-საფრანგეთი საქართველოს დამოუკიდებლობას და “განათლებულ ერთა დიდ ოჯახში” შესვლას აღუთქვამდნენ, მაგრამ მაშინ, ვარლამ ჩერქეზიშვილის თქმით, “მიუხედავად ასეთი დაპირებისა, საქართველომ არ ისურვა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა”, ღღეს კი, “რომანოვთა იმპერიის დანგრევით ის (საქართველო – მ. მ.) სრულიად თავისუფალია ყველა წინანდელ კავშირისაგან და მთელი ქართველი ერი მოითხოვს პოლიტიკურ და მორალურ უფლებას ხელახლა დაიჭიროს თავისი ისტორიული ადგილი დამოუკიდებელ ერთა შორის”.²

ევროპელთა დაინტერესების მიზნით, ვარლამ ჩერქეზიშვილი ეხება საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს, რაც “სამრეწველო და სავაჭრო წრეებმა კარგად იციან”, მაგრამ “ამ სიმდიდრეთა გასავითარებლად საქართველო საჭიროებს უფრო დაწინაურებულ ქვეყანათ თანამშრომლობას”, გარდა ამისა, “რომ შეძლოს საქართველომ ეს სიმდიდრე განავითაროს და ეკონომიური აღორძინება შეძლოს, მისთვის საჭიროა ყოველ უწინარეს მისი პოლიტიკური ბედი უზრუნველყოფილ იქნას”.

მის მისაღწევად საქართველოს მთავრობამ გააგზავნა პარიზში ოფიციალური დელეგაცია, “რათა მიაპყროს ევროპის ყურადღება საქართველოს პოლიტიკურ უფლებებზე და იმ პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციაზე, რომლის განხორციელებაც ქართველმა ერმა შესძლო თავის ერთი წლის დამოუკიდებელ არსებობის განმავლობაში”, ხაზს უსვამს, რომ “ეს ორგანიზაცია არის” საქართველოს “სიცოცხლის ძალის საუკეთესო გამოცდა და გარანტია”.³

დასკვნა

ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც თავის საქმეების გამო 1919 წლის დასაწყისში გაემგზავრა საფრანგეთში, აქტიურად ჩაერთო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილი დელეგაციის საქმიანობაში. დელეგაციის მხოლოდ რამდენიმე წევრმა შეძლო საფრანგეთში ჩასვლა და მცირერიცხოვნობის გამო უჭირდა დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ცნობილი პოლიტიკოსის და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის ჩართვა მის საქმიანობაში მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო.

ვარლამ ჩერქეზიშვილის მთავარი წვლილი დელეგაციის საქმიანობაში იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხედვა, რომლის მიხედვითაც საქართველო განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიაში შემაგალი სხვა ხალხებისაგან. საქართველო დაპყრობილი კი არ იყო, არამედ ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული რუსეთთან და რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ დამოუკიდებლობის აღდგენის სრული უფლება ჰქონდა.

¹ იქვე

² ბ-ნ ჩერქეზიშვილის წერილი ფრანგულა გაზეთში – “საქართველოს რესპუბლიკა”, 1919 წ. 19 ნოემბერი, N 262, გვ.2.

³ იქვე

Malkhaz Matsaberidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
VARLAM CHERKHEZISHVILI AND THE PARIS PEACE CONFERENCE (1919)
RESUME

The paper uncovers some archival materials and discusses various nuances of participation of the Georgian public figure – Varlam Cherkhezishvili (1846-1925) – at the Paris Peace Conference (1919-1920), in the framework of the delegation of the Democratic Republic of Georgia.

In 1919, during his stay in Paris, Varlam Cherkhezishvili was unexpectedly included in the work of the Georgian delegation at the Paris Peace Conference as only couple of members of the delegation were able to secure the permission to arrive in Paris and the limited number of delegates had to struggle with a great deal of work. The main task of the delegation was to secure the international recognition for the Democratic Republic of Georgia. Varlam Cherkhezishvili had his own vision how Georgia's international recognition could be attained and vehemently promoted his opinions at the sessions of the delegation held at the sidelines of the Paris Peace Conference.

Varlam Cherkhezishvili argued that Georgia was not the annexed country by Russia, rather a country in alliance, who joined Russia according to the treaty [he had in mind the Treaty of Georgievsk, signed in 1783]. The demise of the Russian empire annulled the treaty, hence Georgia restored its independence. The validity of the conception of Varlam Cherkhezishvili is highly debatable, although the context of the 1919 should be taken into account: at those times, the participant countries of the Paris Peace Conference supported the idea of restoration of the territorial integrity of Russia and urged those countries, which were the members of the former empire and struggled for independence, to remain in the framework of the Russian state.

მივიწყებული ნიკოლოზ ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟი ნიკოლოზ ყიფიანი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ის იყო საზოგადო მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, მეცნიერი, კრიტიკოსი, წიგნების გამომცემელი, დიდი მამის ღირსეული მემკვიდრე. „ნიკოლოზ ყიფიანს თვალსაჩინო ადგილი უკავია როგორც ქართულ ლიტერატურაში, ისე ბელგიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არც ტალანტით, არც შრომისმოყვარეობით, არც პატრიოტული მეზნებარებით და ბოლოს, არც ტრაგიკული ბედით იგი სახელოვან მამას არ ჩამოუვარდებოდა” – წერდა ფრანგულა ენაზე დაბეჭდილი ნიკო ყიფიანის ერთ-ერთი ნაშრომის წინასიტყვაობაში ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი იოზეფა იოტიეკო.

ნიკო იყო დიმიტრი ყიფიანისა და ნინო ჭილაშვილის პირველი შვილი და შესაბამისად მშობლებმა მის აღზრდა-განათლებაზე დიდი ყურადღება გადაიტანეს. იმ პერიოდში დიმიტრი ყიფიანი ვორონცოვის კანცელარიის უფროსად მუშაობდა და პატარა ნიკოს იმდროინდელი არისტოკრატიის გარემოცვაში უზღებოდა ყოფნა, რამაც მის განვითარებაზე სეიოზული გავლენა მოახდინა. მან ბავშვობაშივე შეისწავლა ფორტეპიანოზე დაკვრა, ცეკვა, ფრანგული ენა. ფრანგი მასწავლებლების შემდეგ დიმიტრიმ შვილის მასწავლებლად მოიწვია თავისი ახლო ნათესავი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი და ნიკოლოზის განათლების საქმე მას მიანდო, რომლის პიროვნულმა თვისებებმა და პედაგოგიურმა ტაქტმა იმთავითვე მოხიბლა ნიკო და სწავლის სიყვარული გაუღვივა. „რაკი მიხაკოსთან კარგად ვიწყე სწავლა, მამაჩემმა დამიყენა ფორტეპიანოს მასწავლებელი მოსიო სიმონ, ხატვის მასწავლებელი პოლიდორ ივანიჩ ბაბაევი, ფრანგულა ენისა კიკამპოა. ასე რომ მიხაკოს გარდა კიდევ სამი მასწავლებელი მყავდა”.¹

ნიკოს გარშემო საზოგადოება ძირითადად რუსულ და ფრანგულა ენაზე საუბრობდა, რის გამოც დიმიტრი შიშობდა, ვაითუ მშობლიურ ენაში მისი ვაჟი კარგად ვერ დახელოვნებულიყო და თავის უპირველეს ამოცანად სწორედ ეს მიიჩნია. ნიკოც გრძნობდა მშობლიური ენის ცოდნის აუცილებლობას და მამას პერიოდულად ატყობინებდა თავის მიღწევებს ამ თვალსაზრისით. ფრანგულ, რუსულ, ინგლისურ და იტალიურ ენებთან ერთად ნიკომ ბრწყინვალედ შეისწავლა მშობლიურ ენა.

ნიკოლოზ ყიფიანის, როგორც მოღვაწის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს ქართველმა სამოციანელებმა, მისმა ახლო ნათესავებმა – ზემოთ ნახსენებმა მიხეილ ზაალის ძე ყიფიანმა, დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანმა, ანტონ ფურცელაძემ, რომელიც დედის მხრიდან დიმიტრის ბიძაშვილი იყო და იმხანად მის ბინაში ცხოვრობდა.

1859-1860 წლებში ანტონმა თავის თანამოაზრეებთან ერთად შექმნა ფართო წრე, რომელიც მიმართული იყო ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ წრეში 13 წლის ნიკო ყიფიანიც გაერთიანდა. ამით კმაყოფილმა ანტონ ფურცელაძემ მას მიუძღვნა ნეკრასოვის ლექსის „ოდეს მესმის კვლავაც ბრძოლის ხმა” თარგმანი, რომელიც ჟურნალ „ცისკარში” დაიბეჭდა.

ნიკო ყმაწვილობაშივე ეზიარა პროგრესულ იდეებს, რამაც განსაზღვრა მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. მიხეილ ყიფიანის ბრწყინვალე გაკვეთილებსა და დიდ განათლებას ნაზიარევი ყმაწვილის ცხოვრებაში ახალი სხივი შემოიჭრა. ეს იყო პეტერბურგის

¹ ჟურნალი „კვალი”, 1893, 15.

უნივერსიტეტის კანდიდატის ხარისხით კურსდამთავრებული დავით ყიფიანი, რომელსაც დიმიტრი ნიკოს შემდეგში განათლება მიანდო.

დავით ყიფიანმა ნიკოს ყმაწვილურ გონებას საზოგადოებრივი ცხოვრების საინტერესო ასპარეზი დაანახა. ნიკო ცდილობდა მეტი დრო გაეტარებინა დავითის გვერდით, მეტი გაეგო მისგან, მას განსაკუთრებით ხიბლავდა დავითის საუბრები მიმდინარე პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. სწორედ დავითმა აზიარა ნიკოლოზი ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის დემოკრატიულ იდეებს.

ჭაბუკი ნიკო გაიტაცა გარიბალდის ბიოგრაფიამ, მისმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და ისე, როგორც ილია და მისი თაობა, ისიც მთლიანად დადგა ამ მოძრაობის მხარეზე. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მისი იმდროინდელი ბარათი მამისადმი: „ახ, როგორ მადლობელი ვარ, რომ გამომიგზავნე ეს წიგნები (იგულისხმება წიგნები: გარიბალდის ცხოვრება” და „გარიბალდის ჩანაწერები”. მ. მ.) მე ძლიერ შემეყვარდა ისა, რაც წავიკითხე მაგისი პატიოსნება და ვაჟკაცობა. მე იტალიელი რომ ვყოფილიყავი, უეჭველად წავიდოდი სამსახურში იმის ჯარში, მაგრამ ქართველი რომ ვარ, ჩემი ვალაა ვემსახურო საქართველოს და ვიყო იმისთვის სასარგებლო ყოველთვის”.

სწორედ ამ განწყობილებების შედეგად ნიკომ დაიწყო გიმნაზიის მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალის „თაიგულის” გამოცემა, რომელიც, როგორც ეს შენიშნულია, დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდებოდა და გარკვეული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

სწორედ ამ პერიოდში იწყო მასში ჩამოყალიბება იმ შეხედულებებმა, რისთვისაც არასოდეს უღალატია, მასში იფეთქა ეროვნულმა ცნობიერებამ და ისიც გაჰყვა საკუთარი გულის ძახილს.

გიმნაზიაში სწავლის დროს მას შეუდგენია სოლომონ დოდაშვილის ბიოგრაფია. იქვე ჩამოაყალიბა მან თანამოაზრეთა წრე, რომელმაც თავისი საქმიანობის უმთავრეს მიზნად მშობელი ქვეყნის სულიერი და კულტურული აღორძინება დაისახა. ამავე პერიოდში დაეწაფა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეოლოგიას, გაიტაცა ტურგენევის ნააზრევმა, თვალს ადევნებდა „რუსსკოე სლოვოსა” და „სოვრემენნიკს” შორს ატეხილ პოლემიკას, გაეცნო მილერის, ჰიუგოს შემოქმედებს.

1862 წელს ნიკოლოზი თავის უმცროს ძმასთან კოტესთან ერთად დავით ყიფიანის ახლადგახნილ პანსიონში მიიბარეს. ცნობილია, რომ ამ პანსიონში თავი მოიყარა ისეთმა საზოგადოებამ, რომელთა შორის პოპულარული იყო სამოციანელთა განწყობილებები, რამაც ნიკოს სულიერ სამყაროზე დიდი გავლენა მოახდინა. ის აქტიურად ჩაერთო ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენაში, რაც იმდროინდელ თბილისში ხდებოდა.

საყურადღებო ფაქტია, რომ 16 წლის ყმაწვილი „საქართველოს მოამბის” დამფუძნებელთა შორის აღმოჩნდა. ამავე დროს, ამ ასაკში ის მამის ნაწერებს კორექტურას უკეთებდა. ნიკოს დიდ მომავალს უწინასწამეტყველებდნენ.

1864 წელს ნიკოლოზი დავით ყიფიანთან ერთად პეტერბურგს გაემგზავრა., რათა უნივერსიტეტში სწავლა გაეგრძელებინა. იმ დროისათვის მამამისი დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგში იმყოფებოდა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ნიკოს სწავლის გაგრძელების უფლება არ მისცა, რადგან დავით ყიფიანის პანსიონში სწავლა მას სათანადო ცენზად არ ჩაუთვალა, ამიტომ ნიკომ ერთდროულად დაიწყო მეცადინეობა გიმნაზიის ატესტატის ასაღებად და უნივერსიტეტში შესასვლელად. „პეტერბურგში რომ ჩავედი, მაშინ იმედი მქონდა, რომ 1865 წელს შევიდოდი და 1869 წლის სექტემბერში დავამთავრებდი უნივერსიტეტს, თუ მართლაც კანდიდატობას მივაღწევდი 69-ში, მაშინ არაფერი არ დამიკარგავს, თუ 70-ის აგვისტოში ან სექტემბერში

დავამთავრებ, გამოვა, რომ ერთი წელი დამიკარგავს. პირობას ვაძლევ მამას, რომ 70-ის შემოდგომაზე მაინც დავამთავრო”, – წერდა ნიკო ყიფიანი ღელას.

პეტერბურგში სწავლის პერიოდში დაუახლოვდა ნიკო დადიანების ოჯახს. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ იგი ერთხანს გატაცებული იყო სალომე დადიანით. სწორედ ეკატერინე ჭავჭავაძის პეტერბურგის სასახლეში გაიგო მან პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი. „ნეტავ ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? – ეკითხება 1865 წლით დათარიღებულ ბარათში ნიკო მამას, – შენ მგონია, იცნობდი. სწავლა სად მიიღო? სამსახურში ყოფილა თუ არა? ყოფილა სადმე, ან რუსეთში ან იქით, სპარსეთში? რა ხასიათის იყო? საზოგადოებაში რა იყო? საზოგადოება როგორ უყურებდა?“

ახალგაზრდა ნიკო კარგად გრძნობდა, რომ ეროვნული ცნობიერების გაღრმავება ყველა ქართველის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა ამ საქმეში კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლობას და ჟურნალ-გაზეთებს. „შევიტყვე, – წერს იგი ანტონ ფურცელაძეს, – რომ 1867 წლიდან „ცისკრის“ რედაქტორობა მიგიღია. თუ დრო ჩაიგდე, შეგვატყობინე, როგორ აპირებ საქმის წაყვანას, რის იმედი გაქვთ და რა მასალა ან მუშები გყავთ ჟურნალის გამოსაცემათ, თუ რომ საქმეს სერიოზულად უყურებთ, მე ვეცდები რითიმე მოგეხმაროთ, თუ გამოდგა ჩემი მოხმარება”.¹

პეტერბურგში ყოფნის დროს ნიკო მეფის მთავრობის საწინააღმდეგოდ განიმსჭვალა, რასაც ხელი შეუწყო დიმიტრი ყიფიანისადმი ხელისუფლების უსამართლო დამოკიდებულებამაც. 1865 წლის 13 ივნისს იგი მამას წერდა: „არა გწყალობენ, რაღა! ჯანი გავარდეთ თუ არ გწყალობენ! რად გინდათ მაგათი წყალობა! ამისთანა მთავრობასაც რა ვუთხრა, შეარცხვინა ღმერთმა“.

ნიკო მთელი შეგნებით ჩაება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც 1868 წლის 28 სექტემბერს დააპატიმრეს. იმ დროისათვის მას უკვე ნათარგმნი ჰქონდა სტატია „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი“, ასევე ხელმძღვანელობდა კავკასიელ სტუდენტთა ფარულ სალონს, რომელიც 1867 წელს დააარსა.

1868 წლის 10 ოქტომბერს ნიკოლოზ ყიფიანი სატუსალოდან გაათავისუფლეს. ციხეში გატარებულმა დრომ ნიკო კიდევ უფრო შეუპავარი გახადა. ის აქტიურად ეწეოდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას, რის გამოც უნივერსიტეტიდან გარიცხეს და საქართველოში გამოგზავნეს. სამშობლოში დაბრუნებული ნიკო იძულებული გახდა, მშობლებისთვის ანგარიში გაეწია და გარკვეულწილად უკან დაეხია. ამასთან დაკავშირებით ნიკო წერდა: „როდესაც დაგბრუნდი პეტერბურგიდან, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დამაბრუნეს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, ჩემი მოსვლა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ჩამოყვანა თბილისში მიხაკომ შეატყობინა მამაჩემს. მამაჩემთან და მიხაკოსთან საუბრებმა გადამაყენა იმ გზიდან, რომელსაც სტუდენტობაში დავადექი და რომელსაც შეეძლო ძალიან შორს, ძალიან მოშორებულადაც წავეყვანე“.

1869-1871 წლებში ნიკოლოზ ყიფიანი ძირითადად ქვიშხეთში ცხოვრობდა. ქვიშხეთში ყოფნის დროს ნიკომ იქ უფასო სახალხო სასწავლებელი გახსნა, სადაც გლეხის შვილებს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მშობლიურ ენასა და არითმეტიკას ასწავლიდა.

1871 წელს მას კერძო ადვოკატობის ნება დართეს. ამის პარალელურად, ის აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. აღსანიშნავია ის, რომ ნიკოლოზ ყიფიანმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ჩვენში ხალხური ნაწარმოებების გამოცემა. 1872 წლის „სახალხო გაზეთის“ მე-19 ნომერი მკითხველს აუწყებდა: „გამომცემელი ნიკოლოზ ყიფიანი აპირებს ამ მოკლე ხანში შეუდგეს სახალხო წიგნების გამოცემას“. მართლაც, იმავე წელს მან გამოსცა „არსენას ლექსი“ და მენახირის ნაამბობი პოემიდან „კაკო“.

¹ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი 3931/2.

„არსენას ლექსი” ნიკო ყიფიანმა 1859 წელს თვითონ ჩაიწერა. ქართველი საზოგადოება ნიკოს ამ საქმიანობას აღფრთოვანებით შეხვდა. ასეთივე ენთუზიაზმით ჩაერთო ნიკო ყიფიანი ქართული თეატრის აღორძინების საქმეში. ის მონაწილეობდა თბილისსა და ქვემოხეობაში გამართულ სპექტაკლებში, წერდა რეცენზიებს ამა თუ იმ წარმოდგენისა თუ სამსახიობო ხელოვნების შესახებ.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში არ ყოფილა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, ნიკო ყიფიანი რომ არ შეხებოდა, იქნებოდა ეს ახალგაზრდების სწავლა-განათლება, ფერეიდნელი ქართველების ბედი თუ ხელოვნება და ლიტერატურა. „ხელოვნების წმინდა ვალია, – წერდა ერთ-ერთ წერილში, – აღძრას სიყვარული კეთილისა, ჭეშმარიტისა და მშვენიერისა”.¹

ნიკო ყიფიანის კალამი რეალისტურად ასახავდა იმ შთაბეჭდილებებს, რაც მას უჩნდებოდა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებთა კითხვისას. პროფ. ალ. კალანდაძის თქმით, „ნიკოლოზ ყიფიანის ლიტერატურულ გემოვნებასა და მიმართულებებზე მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს მისი ვრცელი წერილი კირილე ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული „ჩონგურის” შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1865 წლის 9 მარტით, ე. ი. დაწერილია აკაკი წერეთლის ცნობილი რეცენზიის დაბეჭდვამდე”.²

ნიკო ყიფიანი დიდი სიფრთხილით და ერთგვარი სიმკაცრითაც კი აყენებდა სათარგმნი ლიტერატურის შერჩევის საკითხსაც. იგი მოითხოვდა მაღალმხატვრული თხზულების თარგმნას და ვერ ეგუებოდა, როდესაც მთარგმნელი ხელს ჰკიდებდა სუსტ ნაწარმოებს. საგულისხმოა ის, რომ მან ამ კუთხით არ დაინდო და გააკრიტიკა საკუთარი მამა და და ელენე. 1872 წელს ნიკოლოზი წერდა: „სამწუხაროა, რომ უფ. დიმიტრი ყიფიანი ზოგჯერ იღებს კალამს იმისთანა თხზულებების სათარგმნელად, როგორიცაა ოქტავ ფულიეს „რომანი ღარიბ ყმაწვილ კაცისა”.³

ნიკო ყიფიანი მხურვალედ ეხმაურებოდა საქართველოში მიმდინარე ყველა მოვლენას. მისი გამოსვლები მსმენელზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამის დასტურად გამოდგება მის მიერ გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე გრიგოლი მამამისის ერთ-ერთი უპირველესი მოწინააღმდეგე იყო, ნიკომ, მამის დიდსულოვნების დარად, განსვენებული პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრა, რამაც დამსწრე საზოგადოების საერთო კმაყოფილება გამოიწვია

1875 წელს ნიკოლოზ ყიფიანი დაოჯახდა. მან ცოლად შეირთო მიხეილ ერისთავის ასული ანასტასია, რომელთანაც შეეძინა ოთხი შვილი, მაგრამ შემდგომ ცოლ-ქმარს შორის წარმოქმნილი უთანხმოების შედეგად ოჯახი დაინგრა. ნიკო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ სულიერად არ დაცემულა, იმ მძიმე პერიოდშიც იკრებდა ძალებს საზოგადოებრივი საქმიანობისთვის.

1887 წელი უმძიმესი ლახვარი იყო მთელი ქართველი საზოგადოებისათვის. დიმიტრის მკვლელობამ სულიერად დასცა ნიკო ყიფიანი. ამას დაემატა მძიმე ეკონომიკური პირობები, რის გამოც ის იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და საზღვარგარეთ წასულიყო.

თითქმის ხუთი წელი ნიკოლოზ ყიფიანი სრულ გაჭირვებაში ცხოვრობდა, მაგრამ სამშობლოსთან კავშირი არ გაუწყვეტია, გზავნიდა წერილებს ქართულ პერიოდულ პრესაში.

1895 წლიდან იგი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში დაემკვიდრა, სადაც მოღვაწეობა დაიწყო ივანე მარტინოვის გვარით.

¹ გაზ. „დროება”, 1883, 87-88.

² ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ. 1965, გვ. 648.

³ გაზ. „დროება”, 1872, 2.

უცხოეთში გამოსცა ნიკოლოზ ყიფიანმა ცნობილი ნაშრომი თამარ მეფესა და ქეთევან დედოფალზე.

სამშობლო ნიკოსთვის იყო ის სალოცავი, რომლის გარეშე ფიქრში მას ერთი დღეც არ დაუღამებია. „სულით და გულით ქართველი ვარ, დავრჩები ქართველი, – წერდა იგი ანტონ ფურცელაძეს, – თუმცა გადმომტყორცნა ბედმა საქართველოდამ ცხრა მთას აქეთ, რა დამავიწყებს ჩემს საქართველოს, ჩვენს რუსთაველსა და ბარათაშვილს, როგორ მიეცემა დავიწყებას ჩემი მშობელი, დაუვიწყარი და თავდადებული დიმიტრი ყიფიანი”.

ნიკოლოზ ყიფიანის სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომები იბეჭდებოდა ფრანგულ პერიოდიკაში, ევროპის სამეცნიერო წრეები ის ცნობილი იყო როგორც პოლიგლოტი.

გარდაიცვალა ბრიუსელში 1905 წლის 1 მაისს. ის დიდი პატივით მიაბარეს უცხო მიწას, მისი სურათი კი დიდხანს ამშვენებდა ბრიუსელის უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზს.

მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ბრიუსელის უნივერსიტეტის რუსული სიტყვიერების კათედრის გამგე, პროფესორი ივან მარტინოვი სინამდვილეში იყო დიდი ქართველი მამულიშვილის ვაჟი ნიკოლოზ ყიფიანი

Murad Mtvarelidze
Gori State University
THE FORGOTTEN NIKOLOZ KIPIANI
RESUME

A public figure, lawyer, publicist, scientist, critic, bookpublisher, worthy successor of his great father – Dimitri Kipiani, Nikoloz Kipiani has played an important role in Georgian public life since the 1960s. Inspired by democratic ideas, the figure tirelessly worked to revive the country's cultural life. Despite the fact that he spent the last 15 years of his life abroad, he continued to send interesting letters to the Georgian press from there.

The contribution of Nikoloz Kipiani, a professor at the University of Brussels, a polyglot, and the author of numerous works, should not be forgotten; his name should always be mentioned among the worthy figures of the nation.

ქართული მეტალურგიის სათავეებთან

კულტურის ისტორიაში ლითონის მოპოვებისა და დამუშავების პრობლემა არის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რომლის ირგვლივ დღესაც არ ცხრება კამათი. ლითონის იარაღის წარმოებამ, იქნებოდა ეს სამეურნეო თუ საბრძოლო დანიშნულებისა, უდიდესი გარდატეხა მოახდინა ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაზე და ფაქტობრივად შეცვალა დამოკიდებულების ხარისხი, რომელიც მანამდე არსებობდა დედამიწის ბინადართა შორის. ლითონების ისტორიის შესწავლას მიეძღვნა არაერთი მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ნაშრომი, როგორც სპეციფიკური მიმართულებით, ასევე წმინდა ისტორიული კუთხით და საკითხმა, როგორც პრობლემის დასმის, ასევე მყარი მეცნიერული არგუმენტირების თვალსაზრისით, გამოკვეთილი სახე მიიღო ისეთი სახელოვანი სწავლულების შრომებში, როგორებიც იყვნენ, ევროპაში: რ. ფორბესი, ლ. ეიჩისონი, ვ. ჩაილდი, ბ. პროზნი, ე. ტაილორი, ფ. ლენორმანი, ფ. ზოპე, ჰ. კოგლანი, ო. ლაროში, ჯ. მელარტი, ს. პშევორსკი და სხვანი, ხოლო საქართველოში ამ პრობლემას მიძღვნა ო. ჯაფარიძის, ი. გძელიშვილის, ც. აბესაძის, ნ. რეხვიაშვილის, გ. კვირკველიას და სხვათა ნაშრომები, რომელთაგან რეხვიაშვილის ნაშრომს უჭირავს უმნიშვნელოვანესი ადგილი, როგორც ქართული მეღიფთონების გარდასული პროცესების გაცოცხლებისა და რეალური სურათების წარმოჩენაში, რის გარეშე ძნელია წამოვიდგინოთ ძველი ქართველი ტომების როლი ზოგადად ამ უძველეს და უმნიშვნელოვანეს პროცესში.

საინტერესოა უცხოელ მეცნიერთა თვალსაზრისი იმის თაობაზე თუ რა ადგილი უჭირავს ძველ საქართველოს და რა წვლილი შეიტანეს ქართველური მოდემის ტომებმა – ხალიბებმა, მოსინიკებმა, თუბალებმა და მოსხებმა მეღიფთონების განვითარებაში. საგულისხმოა რომ ჰეროდოტე თავის ცნობილ ისტორიაში ქართველური მოდემის ტომების ხალიბების, მოსხების, მარებს, მოსინიკების და კოლხების საბრძოლო აღჭურვილობაში ჩამოთვლის სპილენძის მუხარადებს, ფარებს, რკინის შუბებს და ხანჯლებს.¹ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის გამოჩენილმა მკვლევრმა, ხეთოლოგმა ბერდუიხ პროზნიმ ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მეტალურგიის სათავე საძებნელი იყო და არის კავკასიაში.² პროზნისავე მოსაზრებით, კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეტალურგიულ ცენტრს, არა მარტო ძველა ღმოსავლეთში, არამედ საერთოდ, ეს იყო უზარმაზარი მეტალურგიული სახელოსნო, საიდანაც ლითონის დამუშავების კულტურა ვრცელდებოდა მაშინდელ მსოფლიოში.³

ეგვიპტის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონი ანუ კავკასია მიაჩნდა ასევე მეტალების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად ინგლისელ მეცნიერს ტომას რიკარდს.⁴ ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ზიპე რკინის წარმოებით განთქმულ ქვეყნებს შორის ასახელებს ხალიბთა ქვეყანას.⁵ გამოჩენილი ავსტრალიელი არქეოლოგის, ნეოლითური რევოლუციის მკვლევის, გორდონ ჩაილდის აზრით, კავკასიას მიიჩნევა ცენტრად, სადაც

¹ ჰეროდოტე, ისტორია, ტ. II, თბ., 1976, გვ. VII, 76; 78; 79.

² Грозный Б. Исторические Судьбы Передней Азии, ВДИ, 1940, с. 37.

³ Грозный, Грозный Б., Доисторические Писмена и Их расшифровка. вестник древней истории, 1940, с. 65.

⁴ Ricard T., Man und metalls, London, 1932, p. 19.

⁵ Zippe D., Geschichte der Metalle, Wien, 1857, p. 14.

პირველად უნდა მიეკვლიათ მაღალხარისხოვანი რკინის მიღების საიდუმლოსათვის.¹ იყენებს რა მეტალების ისტორიის სპეციალისტის ფრენკფორტის მონაცემებს, თავის მასალებთან შეპირისპირებით, გორდონ ჩაილდი ასკვნის, რომ „მეტალურგიის თავდაპირველი აკვანი არის სამხრეთ კავკასია“.²

ორიენტალისტი ფ. ლენორმანი აზრით, ძვ. წ. XVII-XIV საუკუნეებში ფინიკელებს კოლხეთიდან გაჰქონდათ დიდძალი ლითონის ნაწარმი: ვერცხლი, ტყვია, კალა, წმინდა რკინა და ისეთი სიმაგრის ფოლადი, რომელისთანა სხვაგან არსად არ მოიპოვებოდა.³

XX ს. პირველ ნახევარში, ევროპაში, გავრცელდა თეორია ლითონის კულტურის ადგილობრივი წარმოშობის შესახებ, რომელიც სამართლიანად უარყვეს მეტალების ისტორიის ცნობილმა მკვლევრებმა ფორბესმა და ეიჩისონმა. სხვადასხვა დროს გამოთქმული აზრის მიხედვით, ორივე ეს მკვლევარი მიიჩნევდა, რომ მეტალურგია ევროპაში შემოვიდა აღმოსავლეთიდან.⁴ ფორბესის აზრით, პონტოს ის რაიონი, სადაც ცხოვრობდნენ ხალიბები, თუბალები და მოსინიკები, წარმოადგენს მრავალი ფერადი ლითონისა და რკინის წარმოების უმთავრეს კერას.⁵ გერმანელი მეცნიერის ვირხოვის, პოლონელი პშევორსკისა და ინგლისელი კარპენტერის აზრით, ბრინჯაოს და თითბრის მეტალურგიას საფუძველი ჩაუყარეს პონტოს რაიონში მცხოვრებმა ხალიბებმა და ტიბარენებმა.⁶

ენათმეცნიერთა მტკიცებით, ზოგიერთი მადნის სახელი სხვა ენებში ქართული რკინა-მჭედლობის სფეროდან უნდა იყოს შესული. მაგალითად თითბრის სახელი გერმანულად – მესსინგ, ანგლო საქსურად – მესტლინგ, ნორმანულად – მესსინგ, პოლონურად – მოსინდ, ძველი ქართველი მელითონე ტომების მოსინიკების სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.⁷ ასევე ითქმის ფოლადის ბერძნული სახელის „ხალიფ“-ის მიმართ, რომელიც საუკეთესო ფოლადის დამამზადებლების, ასევე ქართველური ტომის ხალიბების სახელს უნდა უკავშირდებოდეს.

როგორც ეთნოლოგი და სპარსული კულტურის მკვლევარი გ. კვირკველია აღნიშნავს: სპარსულში სპილენძის აღმნიშვნელი ტერმინია „მეს“, ასევე ეს ირანულ ტერმინ „ტუბა“ „ტუპალ“-თან დაკავშირებითაც, რაც ლითონის ბურბუშელას ანუ მეტალის დამუშავებისას ლითონისაგან ჩამონაცვენს აღნიშნავს, „ჩვენი აზრით, სპარსული ტერმინების წარმოშობას საფუძველად უნდა დადებოდა მელითონეობით განთქმული უძველესი ქართველური მოდგმის ორი ტომის – თუბალებისა და მოსინიკების სახელწოდება“.⁸

ეთნიკური სახელწოდების პროფესიულ საქმიანობაზე გადასვლის არაერთი მაგალითი იცის ხელოსნობის ისტორიამ, ამ თვალსაზრისის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს სპილენძის კლასიკური სახელწოდება „ჩყპრიუმ“, რომელიც ამ მეტალს მიუღია სპილენძის მადნის დამუშავების ერთ-ერთი სახელოვანი ცენტრის კვიპროსისაგან. ფორბესმა დაამტკიცა, რომ მოსინიკები მთელ მსოფლიოში თითბრის წარმოების ხელოვნების აღმომჩენები არიან, რითაც დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. ამავე აზრისაა მოსინიკების შესახებ ეიჩისონიც.⁹

¹ Чайлд Г., Прогресс и археология, М., 1949, с. 72.

² Чайлд Г., Древний Восток в свете новых раскопок, М., 1956, с. 34.

³ Lenormant F., Manuel d, historie ansienne de l'Orient, 1868, p. .

⁴ Forbes R., Studies in ancient technology, leiden, 1964; Aitchison L., A histoy of metals, London, 1960.

⁵ Forbes R., Studies in ancient technology, leiden, 1964. Aitchison L., A histoy of metals, London, 1960, p. 93.

⁶ კვირკველია გ., უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976, გვ. 15.

⁷ Paul H., Deutsches worterbuch, Halle, 1960, p. 34.

⁸ კვირკველია გ., უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976, გვ. 16.

⁹ კვირკველია გ., უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976, გვ. 13.

საგულისხმოა, რომ ბიბლიაში ნახსენები ქართველთა უძველესი წინაპარი თუბალი ანუ იგივე თუბალკაინი წარმოდგენილია, როგორც კვერთხსურო, მჭედელი რვალისა და რკინისა.¹

ფსევდოარისტოტელეს ცნობით, ხალიბები რკინას ღნობისას უმატებდნენ შავ ქვას (ეს ქვა მანგანუმი უნდა ყოფილიყო). ამ ხერხით მიღებული რკინა მაგარი იყო და ჟანგს არ იკიდებდა. ფაქტობრივად, ეს იყო რკინა ნახშირბადის მინარევით, რომელმაც სრულიად ახალ ეტაპზე აიყვანა რკინის იარაღის ხარისხი. ცნობილია, რომ რკინა დაუფოლადებელი სახით გვხვდება მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან, მაგრამ იგი სუსტი მასალაა იმ ნივთებისათვის, რომლებმაც შემდგომში საბრძოლო და სამეურნეო საქმიანობაში გადატრიალება მოახდინეს. საქმე ისაა, რომ დაუფოლადებელი რკინა ბრინჯაოზე რბილია და მისგან გაკეთებული იარაღი არაეფექტურია. ამიტომ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას რკინის ის სახეობა, რომელშიც პირველად გაურიეს ფოლადი და იგი მანამდე არსებულ ლითონის ყველა იარაღზე მტკიცე გახადეს. ხალიბებმა შეიმუშავეს ჯერ „რკინის დაფოლადების, ხოლო შემდგომ ფოლადის მიღების ტექნოლოგია“.²

ფორბესის აზრით, „ფოლადის აღმოჩენას დასაბამი მიეცა პონტოს რაიონში, სადაც მეტალურგიასთან დაკავშირებით მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემა გადაწყდა“.³ ასეთივე აზრისაა გერმანელი მეცნიერი ჰეიხელჰეიმი და ეიჩისონი. პირველის მიხედვით, ადამიანის მიერ რკინის დაფოლადება აღმოჩენილ იქნა მცირე აზიაში ხალიბურ-პონტოურ-ხალღური მოღვმის ხალხების მიერ,⁴ ხოლო ეიჩისონი აზრით, ცხელი ფოროვანი ლითონის ჭედვა და დაფოლადება პირველად ჩაისახა და პრაქტიკულად განხორციელდა ხალიბების მიერ“.⁵

საქართველოში, ჭოროხის აუზი იყო ერთ-ერთი ის ადგილი, სადაც საფუძველი უნდა დადებოდა მეტალურგიის ჩასახვას, ესაა ხალდიის მთები, ჭანთა ტერიტორი, ლელვარის მთები, ასევე ენგურის, ხობისწყლის, ყვირილას, რიონის, სუფსის, კოდორის აუზები. ესაა ადგილები, სადაც უძველესი მეტალურგიული გამონამუშევრების მიკვლევა ამჟამადაცაა შესაძლებელი. აქ უპრიანი იქნება კონსტატაცია იმისა, რომ ქართველი ხალხის ეთნოგენეზის ხანაში, რომელიც დაახლოებით მესამე ათასწლეულში უნდა დაწყებულიყო, ასპარეზზე გამოდის მითოლოგიური გმირი ამირანი, რომლის მამა მჭედელია, თავადაც კარგადაა დაუფლებული ამ ხელობას და ასწავლის კიდევ ადამიანებს. ამირანი თავისი დაუმორჩილებელი ბუნების გამო ღმერთებმა დასაჯეს და ჯაჭვებით მიაბეს კავკასიონის ქედზე და ბოლოს, მჭედლები არიან ის ხალხი, რომლებიც მის გალეულ ჯაჭვებს კვლავ აძლევენ სათანადო სიმტკიცეს, რათა გმირმა თავი არ აიშვას.⁶ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ უძველეს მითში, მეტალთან და მჭედლობასთან დაკავშირებული ეპიზოდები რეალურ მოვლენათა გარეშე ვერ იპოვიდა თავის ადგილს.

ყველა ვარაუდი თუ მეცნიერული აზრი საჭიროებს სათანადო დასაბუთებას, ამიტომ, როცა ქართული მელითონეობის კულტურის უძველესობაზე ჩამოვარდება სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც ისტორიული წყაროები, ასევე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. უცხოელ მეცნიერთა თვალსაზრისი, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი, ქართველ ტომთა მელითონეობის მნიშვნელობის შესახებ, ძირითადად ეყრდნობა ისტორიულ დოკუმენტებს და შედარებით ნაკლებად არქეოლოგიურ მასალას, რადგან პერმანენტული ძიებანი და ახალი აღმოჩენები განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს არქეოლოგიაში მას შემდეგ, რაც ეს შრომები დაიწერა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახალმა აღმოჩენებმა განამტკიცა ზემოთ წარმოდგენილი ვარაუდები და უფრო

¹ ბიბლია, თბ., 2018, 1:22.

² კვირკველია გ., უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976, გვ. 44.

³ Forbes R., Studies in ancient technology, leiden, 1964, p. 203.

⁴ კვირკველია გ., უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976, გვ. 46.

⁵ Aitchison L., A history of metals, London, 1960, p. 101.

⁶ ვირსალძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964.

მყარი და არგუმენტირებული გახდა მეცნიერული დასკვნები ქართველ მელითონეთა დამსახურების შესახებ მსოფლიო მეტალურგიის განვითარების პროცესში. კერძოდ, ამ აღმოჩენებმა გადაათარიღეს სპილენძის მასალის პირველადი გამოყენების ხანა, რომელიც ადრე IV ათასწლეულით განისაზღვრებოდა, ამჟამად კი უახლესი ტექნიკურ-ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, საბოლოოდ დამტკიცდა, რომ საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში სპილენძის წარმოება VI ათასწლეულიდან იღებს სათავეს.¹ ამ თარიღს მხარს უჭერს სამხრეთკავკასიის ისეთი ცნობილი ძეგლების არტეფაქტები, როგორებიცაა: საქართველოში – არუხლო, შულავერის გორა, ხრამის დიდი გორა და იმირის გორა. სომხეთში – არტაშენი და აზერბაიჯანში – შოშუ თეფე.² ესაა სრულიად ახალ აღმოჩენებზე დამყარებული მონაცემები და ამდენად, ეს თარიღი საქართველოში სპილენძის წარმოების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.³ საგულისხმოა რომ თვითნაბადი სპილენძის დამუშავების პრეცედენტები შეინიშნება ანატოლიის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ტიგროსისა და ეფერატის ზემო წელში, ასევე სამხრეთ დასავლეთ ირანში და აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები თარიღდება VIII–VII ათასწლეულებით. მართალია, ამ ეპოქის ნივთიერი მასალა თავისი ასაკით წინ უსწრებს სამხრეთკავკასიური სპილენძის წარმოების ეპოქას, მაგრამ ეს ვერ დაამცირებს სამხრეთ კავკასიური სპილენძის წარმოების მნიშვნელობას, რადგან აქ მცხოვრები მეტალურგები, სპონტანურად თუ დიფუზიურად (ეს უკვე მომავალი კვლევების საგანია), ითვისებენ სპილენძის დამუშავების ხელობას და დგებიან მსოფლიოში ლითონის პირველმწარმოებელთა რიგში.

ქართული ლითონწარმოების ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ოქროს მოპოვებისა და მისი დამუშავების კულტურას, რომლის შესახებ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ბერძნული წყაროები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“.⁴ უკანასკნელ ხანს, საქართველოში ოქროს მოპოვების ისტორია შეივსო უაღრესად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენით, რომელიც უკავშირდება ქვემო ქართლში მდებარე საყდრისის უძველეს ოქროს საბადოს. ეს სამუშაოები დაიწყო 2004 წელს იმ ადგილას სადაც შეიმჩნეოდა უძველესი გამონამუშევრების ნაკვალევი სხვადასხვა გვირაბ-მალაროების სახით. ოქროს გამონამუშევარ ძარღვების ნაკვალევთან ერთად მალაროებში აღმოჩენილი იქნა ძვლისა და ქვის იარაღები და სხვა ისეთი დამხმარე საშუალებანი (ჭრაქები, თიხის ჭურჭელი), რომელიც აუცილებელს წარმოადგენდა აქ მიმდინარე სამთოწარმოებისათვის.

არქეოლოგიური კვლევების შემდეგ დამტკიცდა, რომ საყდრისის მალაროდან ოქროს ამოღება იწყება IV ათასწლეულში და გრძელდება ვიდრე III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე. ესაა თარიღი, რომელიც საყდრისში ოქროს მოპოვების ისტორიას საფუძველს უდებს ექვსი ათასი წლის წინ, რაც ევრაზიის მასშტაბით, ოქროს მოპოვების ყველაზე ძველ თარიღად იქნა მიჩნეული.⁵ ეს ფაქტი კიდევ ერთი ნათელი საბუთია ქართული ლითონწარმოების ფართო მასშტაბისა და მისი უძველესობის ნათელსაყოფად.

ძველ ქართულ მელითონეობაში დადგენილ მეტალის დამუშავების წესებს დღემდე არ დაუკარგავთ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, განსაკუთრებით თვალნათლივ ეს ჩანს

¹ ლამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი., უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბ., 2010, XIII-XIV.

² Кавтарадзе Г., Хронология эпохи энеолита и бронзы Грузии, 1983, с. 49.

³ ლამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი., უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბ., 2010, გვ. /115.

⁴ აპოლონიოს როდოსელი, თბ., 1970.

⁵ ლამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი., უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბ., 2010, გვ. 56-85.

ფოლადის დამზადების პრაქტიკაში, ქართული მელითონეობის ნოვატორობა „მხოლოდ ამ მხრივ, რომ ავწონ-დავწონოთ არ შეიძლება არ ვაღიაროთ მისი დიდი მიღწევები“.¹

ქართული მელითონეობის წარსულს სავსებით ათვალსაჩინოებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, ასევე, მატერიალურ გარემოში დადასტურებული გამონამუშევართა ნაშთები, კლდეში შეჭრილი შახტები, გამოსადნობი ქურები, რკინის ლუგვები, წიდეები და სხვადასხვა ტიპის ნახევარფაბრიკატული ნაწარმი. რკინა-მჭედლობის ასეთი ნაშთები საქართველოში მრავალგანაა დადასტურებული, მათი ნახვისას ადამიანის თვალწინ იშლება მასშტაბურ სამუშაოთა ნაკვალევი, რომელიც ვერ დაუფარავს დროის დინებას. ეს გარემოება მოწმობს, რომ ადრეული ხანებიდანვე ლითონის წარმოების კულტურას ხარბად დაწაფებიან ჩვენი წინაპრები.² საგულისხმოა, რომ რკინა იყო ყველაზე ეფექტური მასალა სამიწათმოქმედო საქმიანობისათვის, რკინის სახნისის გამოყენება ფაქტობრივად გადატრიალებას წარმოადგენდა მიწის დამუშავების რთული პროცესის გასაიოლებლად, როგორც ცნობილი არქეოლოგი ო.ჯაფარიძე შენიშნავს, ლითონის გამოჩენის ადრეულ ხანაში ერთგვაროვანი კულტურების გავრცელება საკმაოდ დიდ ფართობზე ინერგება.³ ქართული მიწათმოქმედების ისტორიული სიმაღლე, მისი ღვინო და პური თუ დღეს მსოფლიო ცივილიზაციის კულტურულ მონაპოვართა შორის ექცევა, ეს უპირველეს ყოვლისა, მიწის დასამუშავებელი სამეურნეო იარაღის ეფექტიანობითაა გამოწვეული. **შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას, რომ ლითონის წარმოების ისტორიულად მაღალი კულტურა სრულ თანხმობაშია ჩვენში არსებული ისტორიულად მაღალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებასთან.**

ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ისტორიული განვითარების პროცესში ინახავს თავის ოდინდელ სახეს, მოაქვს ჩვენამდე ემპირიული ცოდნა-გამოცდილება და აგრძელებს სიცოცხლეს, წარმოგვიდგება უმკვეთრეს საბუთად წარსული ტრადიციის რეკონსტრუქციისათვის.

ზემოთ მინიშნებული იყო ეთნოლოგიური მასალის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ასეთი პროცესების თვალსაჩინოდ წარმოჩენისათვის. შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოს ეთნოგრაფიაში მოპოებული და შესწავლილი უმდიდრესი სამჭედლო ჩვევა-გამოცდილებანი არის სწორედ ერთი ძლიერი საბუთი იმისა, რომ ქართულ მელითონეობას აქვს მდიდარი ისტორიული წარსული. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენში, მეოცე საუკუნის შუა წლებამდე მაინც, იშვიათად თუ იყო სოფელი ან დასახლებული პუნქტი, სადაც არ ყოფილიყო სამჭედლო და არ ემუშავა მჭედელს. მიუხედავად იმისა, რომ ამავე პერიოდში, რკინა მასალით მომარაგების სახელმწიფო პროგრამები არსებობდა, სამჭედლო საქმიანობაში კვლავ ქმედითი იყო ძველი საბადოებიდან მადნის გამოღების პრაქტიკა და ადგილობრივი ნედლეულით ნივთიერი პროდუქტის დამზადება. ეთნოლოგმა ნიკო რეხვიაშვილმა, მის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, მოგვცა მჭედლობის განვითარების, სამჭედლო საქმიანობის სრული სურათი,⁴ მასში ნათლად გამოკვეთილი დიფერენცირებულ პროფესიათა ჩამონათვალთ, რომლის გარეშე ხელოსნობის ვერცერთი დარგი ვერ განვითარდება და მით უფრო, მის ტრადიციულ ბუნებაზე წარმოდგენა ვერასდროს იქნება სრულყოფილი.

¹ რეხვიაშვილი ნ., ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964, გვ. 22-23.

² რეხვიაშვილი ნ., ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964, გვ. 32.

³ ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეული საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 240.

⁴ რეხვიაშვილი ნ., ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964, გვ. 38-251.

Eldar Nadiradze
Georgian National Museum
AT THE ORIGINS OF GEORGIAN METALLURGY
RESUME

The article deals with the illustration of the achievements of the tribes of Georgian origin (Mosiniks, Khalibs, Tubals, Macrons) in the process of developing metallurgy.

This topic has been devoted to a number of highly qualified scientific works and has taken a prominent form in the works of such famous scholars as, in Europe: R. Forbes, L. Aitchison, W. Child, B. Hrozny, E. Taylor, F. Lenormand, F. Soppe, H. Coghlan, O. Laroche, J. Mellaart, S. Przeworski and others. The findings of Georgian scientists (O. Japaridze, I. Gdzlishvili, Ts. Abesadze, N. Rekhviashvili, B. Kvirkvelia) who have studied this problem coincide with the conclusions of foreign scientists and more firmly demonstrate the contribution that the ancestors of Georgians made to the history of the development of metallurgy.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო დიპლომატიური მისია რუმინეთში (1918-1919)

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ქვეყნის მთავრობამ დაიწყო ზრუნვა საგარეო საქმეთა უწყების ჩამოყალიბებასა და საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების გაგზავნაზე. პირველ რიგში ასეთი წარმომადგენლობები ევროპის რამდენიმე დედაქალაქსა (ბერლინი, სტოკჰოლმი, კონსტანტინოპოლი, ბერნი, ლონდონი, პარიზი) და ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ახლადამოცნებული სახელმწიფოების დედაქალაქებში გაიგზავნა (ვარშავა, კიევი, ბაქო, ერევანი, მოსკოვი). სხვა ქალაქებში დაარსდა საკონსულოები და ვიცე-საკონსულოები (გლადიკავკაზი, სტავროპოლი, ოდესა, ხარკოვი, ეკატერინოდარი, პეტროგრადი).¹ ხშირ შემთხვევაში, ასეთი წარმომადგენლობების გაგზავნა უცხოეთში წინასწარ იგეგმებოდა და განსაზღვრული მისია ეკისრებოდათ, ზოგ შემთხვევაში კი მისიები დაუგეგმავად, ადგილზე გაჩენილი საჭიროებიდან და ვითარებიდან გამომდინარე, ad hoc იქმნებოდა. სწორედ ასე სპონტანურად შეიქმნა საქართველოს საგანგებო დიპლომატიური მისია რუმინეთში, რომელსაც წარსულში ცნობილი სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერი და შემდგომ დიპლომატი, სოსიპატრე (ჭიჭიკო) სამსონის ძე ასათიანის ხელმძღვანელობდა.²

თუ ევროპის დიდ დედაქალაქებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (სდრ) დიპლომატიური მისიების საქმიანობა ასე თუ ისე შესწავლილია, რუმინეთში საქართველოს საგანგებო დიპლომატიური მისიის შესახებ, ბოლო დრომდე, ბევრი არაფერი იყო ცნობილი. ეს მისია ქართველ მეცნიერთა ყურადღების მიღმა დარჩა და ის სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა. მასზე მწირი ინფორმაცია მოცემულია მხოლოდ ს. კილაძის 1996 წლის საგანგებო სტატიაში. რადგან სტატია არა სამეცნიერო, არამედ უფრო პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა,³ შესაბამისად, არ გამოკვლეულა მისიის არც ბუქარესტში ჩასვლის დრო და მიზანი, ადგილსამყოფელი, შემადგენლობა, აქტივობები და არც მისიის დასრულების თარიღი და მიზეზები.⁴

2018 წელს შესაძლებლობა მომეცა რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ არქივში გავცნობოდი საქართველოსთან დაკავშირებულ მასალებს, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისიის რუმინეთში

¹ შარაძე, გიორგი. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბილისი, 2003; სარალიძე, ლელა. საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) – ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, 342-43.

² ს. ასათიანი დაიბადა 1883 წლის 8 სექტემბერს ლეჩხუმის მაზრის სოფ. დღნორისაში (ქართულ სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში მითითებული დაბადების თარიღი არასწორია). სწავლობდა ქუთაისში, შემდეგ – კიშინეუს აგრარულ სასწავლებელში. 1903 წლიდან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წელს დაპატიმრეს და მოათავსეს ქუთაისის ციხეში, საიდანაც მალე გაიქცა. ფენევაში დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა პეტროგრადში, შემდეგ კი – საქართველოში. იყო ლეჩხუმისა და სვანეთის კომისარი. 1918 წლის ზაფხულში მივლინებულ იქნა კიევში საქართველოს წარმომადგენლობაში მდივნად, საიდანაც 1918 წლის ბოლოს გაემგზავრა რუმინეთში.

³ სტატია დაიბეჭდა 1996 წლის 26 მარტს რუმინეთის პრეზიდენტ იონ ილიესკუს თბილისში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით.

⁴ კილაძე, სიმონ. საქართველო-რუმინეთი: ურთიერთობის უცნობი ფურცლები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 55 (2168), 26 მარტი, 1996.

საქმიანობას ეხებოდა.¹ ამ ფაქტმა მომცა სტიმული, რომ გავცნობოდი იმდროინდელ რუმინულ პრესასაც და მასზე, ასევე საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ მასალებსა და მემუარეული ლიტერატურაზე დაყრდნობით გამოძიებულია მისი და მისი წევრების საქმიანობისა და ცხოვრების დეტალები.

მისია ბუქარესტში – მისი ჩამოყალიბება და გამგზავრება

როგორც ირკვევა, რუმინეთში საქართველოს საგანგებო მისია, თავდაპირველად, კიევის დიპლომატიურ წარმომადგენლობის შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ კოლექციაში ინახება ორი ფოტო. პირველ მათგანზე, წარწერის თანახმად, აღბეჭდილია საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიურ მისია უკრაინაში (სურ. 1). უკრაინის დედაქალაქ კიევში საქართველოს დიპლომატიური მისია 1918 წელს გაიხსნა, რომელსაც სათავეში ბიქტორ თევზაია² (1883-1932) ედგა. წარწერის თანახმად, ფოტოზე შემდეგი პირები არიან გამოსახული: სხედან – მატვეი (მათე) ივანეს ძე სკობელევი, სოსიპატრე სამსონის ძე ასათიანი, ვიქტორ ვასილის ძე თებზაია, მიხეილ ექვთიმეს ძე ბიბინიშვილი,³ ალექსი ოქროპირის ძე სვანიძე, დგანან: ანტონ კარლის ძე კარპოვიჩი, ნიკოდიმოს სპირიდონის ძე ბრეგვაძე, ვალერიან თევდორეს ძე მაქაცარია. ფოტოს გადაღების თარიღი და ზუსტი ადგილი უცნობია. დაახლოებითი თარიღის დადგენა შესაძლებელია მათე სკობელევის⁴ ბიოგრაფიული მონაცემებით. ცნობილია, რომ ის 1918 წლის ბოლოს, კიევისა და ოდესის გავლით, სამხრეთ კავკასიაში ჩავიდა. შესაბამისად, ფოტო 1918 წლის ბოლოს არის გადაღებული.

მეორე ფოტოზე (სურ. 2) გამოსახული არიან რუმინეთში საქართველოს მისიის წევრები: შუაში – სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანი – მისიის ხელმძღვანელი, მარცხნიდან პირველი: თავადი მიხეილი ფალავა – „საქართველოს ჯარის სამხედრო ატაშე“, ზოლო მარცხნიდან მესამე – ანტონ კარლის ძე კარპოვიჩი, მისიის მდივანი.⁵ აღსანიშნავია, რომ ორივე ფოტო ერთ ოთახში და ერთ დღეს უნდა იყოს გადაღებული, რაზეც მეტყველებს ფანჯრების გვერდობის სახასიათო დეკორაცია და მინის ღიზინი, ასევე, ს. ასათიანისა და ა. კარპოვიჩის ჩაცმულობა და სკამების განლაგება. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ფოტოები გადაღებულია კიევში, ს. ასათიანის, მ. ფალავას და ა. კარპოვიჩის რუმინეთში საგანგებო მისიით გამგზავრების წინ. ფოტოს თარიღი რომ ნამდვილად 1918 წლის მიწურულია, კიდევ ერთხელ გამოჩნდება, როდესაც მისიის გამგზავრების საკითხს შევეხებით.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდები ამ და სხვა საკითხების გარკვევას სოსიპატრე ასათიანის მოხსენებების, მისი მემუარეების (რომელიც ემიგრანტულ ჟურნალში – „კავკასიონი“ დაიბეჭდა⁶), იმდროინდელი რუმინული და ქართული პრესის, სხვადასხვა მემუარეული ლიტერატურისა, თუ საარქივო დოკუმენტების საფუძველზე.

როგორც ასათიანის მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის, ნიკოლოზ ჩხეიძის სახელზე 1919 წლის 18 თებერვალს გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, კიევიდან გამგზავრებული სამკაციანი მისიის მიზანი ხანმოკლე

¹ მსურს, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ბატონ დორუ ლიჩიუს (Doru Liciu), რომელიც იმ პერიოდში რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური არქივის განყოფილების დირექტორის პოსტს იკავებდა, აღნიშნულ მასალებზე წვდომისთვის და გაწეული დახმარებისთვის.

² ზოგიერთ წყაროში ის ვიქტორ თებზაიადაც იხსენიება.

³ რევოლუციონერ ბარონ (ბართლომე) ბიბინიშვილის ძმა.

⁴ Скобелев Матвей Иванович, 1885-1938 – რუსი რევოლუციონერი; რუსეთში ბოლშევიკური აჯანყების შემდეგ სდრ-ს სამსახურში ჩადგა.

⁵ თავის მოგონებებში ს. ასათიანი კარპოვიჩს, შეცდომით, მარკევიჩად იხსენიებს.

⁶ ასათიანი, სოსიპატრე (ჭიჭიკო). მცირე მოგონებანი. „კავკასიონი“ 12, 1967, 99-117; 13, 1968, 97-110.

იყო და მისი შესრულების შემდეგ ის კიევში უნდა დაბრუნებულიყო. მისიის გაგზავნის შესახებ ინსტრუქცია კიევში საქართველოს საელჩოსთვის ახლადდანიშნულ საგარეო საქმეთა მინისტრს, ევგენი გეგეჭკორს დეპეშით მიუცია.¹ მისიას, საქართველოს მთავრობის დავალებით, მონაწილეობა უნდა მიეღო 1918 წლის ბოლოს, რუმინეთში, „ალიების“ ანტიბოლშევიკურ კონფერენციაში,² რომელიც რუმინეთის იმდროინდელ დედაქალაქ იაშში ფრანგული მხარის მიერ იყო ორგანიზებული. იაში იმ დროს, ბუქარესტის გერმანული ოკუპაციის გამო, 1916 წლის 6 დეკემბრიდან 1918 წლის ნოემბრის ბოლომდე, ქვეყნის დროებითი დედაქალაქი იყო. მისია იაშში დაგვიანებით ჩავიდა. კიევიდან იაშამდე ჩასასვლელად მას ორი კვირა დასჭირვებია. იაშში ჩასვლას კი კონფერენცია უკვე დამთავრებული დახვედრიათ (იაშის კონფერენცია 16 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე (ახ. სტ.) გრძელდებოდა).³

თუ გავითვალისწინებთ მგზავრობის 2 კვირას, კიევიდან მისიის გამოსვლის თარიღად არაუგვიანეს 1918 წლის ნოემბრის ბოლო – დეკემბრის დასაწყისი უნდა გვევლინებოდეს. მაგრამ უკრაინის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ცენტრალური სახელმწიფო არქივში (ЦДАВО України) დაცული ერთი დოკუმენტიდან ვიგებთ მისიის გამგზავრების ზუსტ თარიღს. უკრაინაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ვ. თევზაია 1918 წლის 30 დეკემბერს N1699 ნოტით მიმართავს უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს⁴ და სთხოვს გასცეს ბრძანება, რათა გამოიყოს 4 ადგილი მატარებელში მისიის დელეგაციისთვის, რომელიც 1919 წლის 2 იანვარს მიემგზავრებოდა იაშში. მისიის ხელმძღვანელთან ერთად ნოტას ხელს აწერს მისიის მდივანი ს. ასათიანი.⁵ გამოდის, რომ კიევიდან მისია იაშისკენ ძველი სტილით 20 დეკემბერს, ხოლო ახალი სტილით 2 იანვარს გამგზავრებულა და ბუქარესტში მხოლოდ 16 იანვარს (ძვ. სტილით 2 იანვარს) ჩასულა.⁶ ბუქარესტში გამგზავრების მიზეზი გასაგებია – იაშში 2 წლიანი დევნილების შემდეგ, რუმინეთის მთავრობა 1918 წლის დეკემბერში, კვლავ ბუქარესტში დაბრუნდა. როგორც ჩანს, ს. ასათიანმა ეს გადაწყვეტილება თავად, თბილისიდან წინასწარი თანხმობის გარეშე მიიღო.

აღსანიშნავია, რომ რუმინეთში მისიის დაგვიანებით ჩასვლის მიზეზს ს. ასათიანი ორი გარემოებით ხსნის. პირველი და, როგორც ჩანს, მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თბილისიდან გამოგზავნილი ე. გეგეჭკორის ტელეგრამა-ინსტრუქცია კიევში დიდი დაგვიანებით მიუღიათ; მეორეც, მგზავრები გზაში უკრაინელი რესპუბლიკელებისა და ჰეტმან პავლო სკოროპადსკის ჯარებს შორის ბრძოლების გამო შეფერხებულან.

მოკლევადიანი მისია

ბუქარესტში გაწეული მუშაობის შესახებ, მოგვიანებით, 1919 წლის 23 აგვისტოს, აკაკი ჩხენკელისადმი⁷ გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ს. ასათიანი წერდა:

„საქართველოს მთავრობის დავალებით, – კიევის მისიამ გამოგზავნა (sic!) რუმინიაში საგანგებო დიპლომატიური მისია ჩემის თავჯდომარეობით. ბუქარესტში ჩამოსვლისთანავე მისსია შეუდგა მუშაობას: პირველად მან ინახულა რუმინიის

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი: 1864, ანაწ. 2, საქ. 122, ფურც. 1-4.

² იგულისხმება ფრანგ. Allié – მოკავშირეები (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია, აშშ).

³ სცსა, ფონდი: 1864, ანაწ. 2, საქ. 122, ფურც. 1-4.

⁴ ამ დროს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ვოლოდიმირ ჩეხივსკი (Володимир Чехівський).

⁵ ЦДАВО, Ф. 3696. Оп. 1. Стр. 29. Арк. 1. (გაურკვეველია, თუ ვისთვის იყო განკუთვნილი მეოთხე ბილეთი).

⁶ სცსა, ფონდი: 1864, ანაწ. 2, საქ. 122, ფურც. 1-4. უკრაინის სახალხო რესპუბლიკის კანონი ახალი სტილის შემოღების შესახებ მიღებულ იქნა 1918 წლის 12 თებერვალს.

⁷ აკ. ჩხენკელი მოხსენიებულია, როგორც „საქართველოს საგანგებო დიპლომატიური წარმომადგენელი დასავლეთში“.

მინისტრთა ... საბჭოს თავმჯდომარე ბ[ატონი] ფერიკიდე,¹ ბრატანუს² მოადგილე, რომელიც იმ ჟამად პარიზში იმყოფებოდა. შემდეგ კი მოკავშირეთა, როგორც დიპლომატიური ისე სამხედრო წარმომადგენლები. [მისიამ] გაუკეთა ყველა ზემო აღნიშნულ პირებს სრული ინფორმაცია საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და ეს დიდათ საჭიროც იყო, რადგანაც ზოგიერთ მათგანმა არ იცოდა არაფერი არა თუ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობის, არამედ თუ სად არის საქართველო და რა ხალხით არის დასახლებული. ... წარმომადგენლებს გადასცა მისიამ ნოტა, სადაც აღნიშნული იყო საერთო მდგომარეობა და სურვილი მისი, რომ მოკავშირე[ებს] ეცნოთ საქართველოში არსებული წეს-წყობილება, რომლის შექმნა გამოწვეულ-იყო საერთო მდგომარეობის და მიხედვით და რაც ამავე დროს არ ეწინააღმდეგებოდა არც ვილსონის³ მიერ გამოთქმულ პრინციპებს და არც სამართლიანობისა და უფლების აღდგენის დევიზს, რომლის სახელ[ითაც] მოკავშირენი იბრძოდნენ. ნოტის გადაცემით მისიამ დაამთავრა მუშაობა რუმინიაში“.⁴

როგორც ვხედავთ, თავდაპირველად, მისია საგანგებო იყო და რუმინეთში მოკლე ვადით ყოფილა მივლინებული. მას კონკრეტული დავალებები სამ კვირაში შეუსრულებია: მოუნახულებია რუმინეთის მთავრობის წევრები და მოკავშირეთა დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები. მათთვის ნოტის გადაცემით და საქართველოს მისწრაფებების გაცნობით მისიამ დაამთავრა მუშაობა რუმინეთში და იმის მიუხედავად, რომ ასათიანი საჭიროდ სცნობდა იქ დარჩენას და მუშაობის გაგრძელებას, ის მაინც მოეშადა უკან დასაბრუნებლად, „რადგანაც ხანგრძლივად დარჩენა მას დავალებული არ ჰქონია და ამისთვის მომზადებულიც არ იყო“.⁵

როგორც ჩანს, ნ. ჩხეიძის სახელზე 18 თებერვალს დაწერილი წერილის გაგზავნა მაშინვე ვერ მოხერხებულა და 23 თებერვალს ს. ასათიანი კიდევ რამდენიმე წინადადებას ამატებს. კერძოდ, ის პარიზში დელეგაციის თავმჯდომარეს უხსნის, თუ რის გამო შეფერხდა მისი ბუქარესტიდან კიევი დაბრუნება და რატომ გადაწყვიტა იქ დარჩენა. ასათიანი წერს, რომ, მართალია, ბოლშევიკები კიევიდან „გაურეკავთ“, მაგრამ მაინც ბუქარესტში აპირებს დარჩენას და პასუხის დალოდებას, რადგან ავადმყოფობის გამო ექიმმა კიდევ 15 დღით აუკრძალა მგზავრობა. წერილიდან ირკვევა, რომ მას სურდა პარიზში ჩასვლა, რათა საქართველოს ახალი ამბები უშუალოდ გაეგო, მაგრამ რადგან ეს ვერ ხერხდება, ითხოვს დაფინანსებას, რათა ისარგებლოს ვითარებით და ურთიერთობა დაამყაროს როგორც ბუქარესტში მყოფი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, ასევე რუმინულ პრესასთან. აქვე ის წერს, რომ ბუქარესტში 2 კვირის სამყოფი თანხით ჩამოვიდა და აგერ უკვე შვიდი კვირაა, რაც კიევიდან გამოვიდა.⁶

იგივე ვითარებით ხსნის ასათიანი მისიის ბუქარესტში დარჩენის მიზეზებს თავის აგვისტოს წერილში აკ. ჩხენკელის მიმართ: „უკან დაბრუნებას ხელი შეუშალა უმთავრესად

¹ ასათიანი ოდნავ არაზუსტად გადმოსცემს გვარს – Pherekyde. მიხაილ ფერეკიდე (Mihail Pherekyde) – რუმინელი პოლიტიკოსი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი; სხვადასხვა დროს ეკავა იუსტიციის, საზოგადოებრივი სამუშაოების, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტები. იყო დეპუტატთა ასამბლეის თავმჯდომარე და რუმინეთის სენატის თავმჯდომარე. 1918 წლის დეკემბრიდან 1919 წლის ივლისამდე იყო დროებითი პრემიერ-მინისტრი ი. ბრეტთანუს ქვეყანაში არყოფნის დროს, რომელიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა.

² იონ ბრეტანუ (Ion I. C. Brătianu) – რუმინელი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკოსი, ეროვნულ-ლიბერალური პარტიის ლიდერი. ხუთჯერ იყო რუმინეთის პრემიერ-მინისტრი. 1907-1926 წლებს შორის ეკავა შინაგან საქმეთა, ეროვნული თავდაცვის, საზოგადოებრივი სამუშაოების და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები.

³ ვუდრო უილსონი (Woodrow Wilson) – აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი 1913-1921 წლებში.

⁴ სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

⁵ სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

⁶ სცსა, ფონდი: 1864, ანაწ. 2, საქ. 122, ფურც. 1-4.

კიევში მეუმრავლესების¹ შემოსვლამ, რაც მისიას გზას უღობავდა. გზაში დარჩენას და ცდას მან ამჯობინა ბუქარესტში დარჩენა და შეძლებისდაგვარად მუშაობის გაგრძელება“.²

მისიას ბუქარესტში ჩასვლიდან მალევე დაუმზადებია ბლანკიანი ქაღალდი წარწერით: *Republique Géorgienne, Mission diplomatique extraordinaire en Roumanie. Bucarest*; მაგრამ თავისი ბეჭედი არ ჰქონია. რაც შეეხება მის ადგილსამყოფელს, ჩასვლიდან მისიის დასრულებამდე ის განთავსებული იყო ერთ ადგილას. 1919 წლის 23 იანვარს გაზეთი *România* - *ziar de dimineață* იუწყებოდა ბუქარესტში საქართველოს საგანგებო დიპლომატიური მისიის ჩამოსვლას და ხაზს უსვამდა, რომ მან სასტუმრო მაესტიკში (*Hotel Majestic*) დაიღო ბინა. იქვე ჩამოთვლილია მისიის შემადგენლობა: ხელმძღვანელი ბ-ნი ს. ასათიანი (*S. Assatiany*), მდივანი ბ-ნი ა. კარპოვიჩი (*A. Karpowicz*) და [სამხედრო] ატაშე ბ-ნი მ. ფაღავა (*M. Pagava*).³

ასათიანის ნიკოლოზ ჩხეიძისადმი 1919 წლის თებერვალში გაგზავნილი წერილიდანაც ირკვევა მისი მისამართი, როდესაც ასათიანი საპასუხო წერილის ან სხვა ინფორმაციების გამოგზავნას ითხოვს პარიზში მყოფი რუმინეთის დელეგაციის საშუალებით, რომელსაც კორესპონდენცია უნდა მიეწვდინა შემდეგ მისამართზე: *Bucarest, Hotel Majestic, la Mission Géorgienne*. მისიის დასრულებისას, აკ. ჩხენკელისადმი გაგზავნილი წერილშიც უკანა მისამართად მითითებულია: *Hotel Majestic, Bucarest*. აქედან ჩანს, რომ მისიას თავისი იქ ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში მისამართი არ შეუცვლია.⁴

ამ პერიოდში საქართველოსთან საფოსტო კავშირი უკიდურესად გართულებული იყო და მისიას თბილისთან კონტაქტი თითქმის არ ჰქონია. მისი მოხსენებების მთავარი ადრესატი იყო პარიზში მყოფი სამთავრობო დელეგაცია და ჟენევაში მყოფი აკ. ჩხენკელი, რომელიც არაფორმალურად უწევდა კოორდინაციას ევროპაში მყოფ ქართულ მისიებს. ფოსტა იგზავნებოდა პარიზში რუმინეთის დელეგაციის საშუალებით, ან პირადი კავშირების წყალობით; მაგ. ასათიანმა თავისი პირველი მოხსენება პარიზში ერთ-ერთი რუმინული გაზეთის რედაქტორის შვილის მეშვეობით გააგზავნა. მოგვიანებით, 1919 წლის ზაფხულში, ასათიანი, სავარაუდოდ, რუმინეთში მყოფი ინგლისის სამხედრო მისიის დახმარებით, კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის შავი ზღვის არმიის (*British Army of the Black Sea*) წარმომადგენლობის საკომუნიკაციო არხებით, ტელეგრამას უგზავნის საქართველოს მთავრობას.⁵

მისიის გახანგრძლივება და აკრედიტაციის პრობლემა

როგორც ჩანს, ასათიანის მცდელობას, რომ მისიას რუმინეთში გაეგრძელებინა მუშაობა, თავდაპირველად, მისი ავადმყოფობიდან და უკრაინაში არეულობიდან გამომდინარე, პარიზიდან თუ ჟენევიდან სიტყვიერი თანხმობა მოჰყოლია და ისიც აქტიურად შეუდგა საქმეს. ბუქარესტში მისიის ჩასვლას დიდი თანაგრძნობით შეხვედრია ადგილობრივი რუმინული პრესა და ინტელექტუალური წრეები, მას მჭიდრო კონტაქტები დაუმყარებია ადგილობრივი რუმინული და ფრანგულენოვანი გაზეთების რედაქტორებთან. უკვე გაზაფხულისთვის საქართველოს მისიის

¹ იგულისხმებიან ბოლშევიკები.

² სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

³ *România*: *ziar de dimineață* N35, (10) 23 Jan, 1919, București <https://dspace.bcuciluj.ro/handle/123456789/89455>

⁴ ეს სასტუმრო დღესაც ფუნქციონირებს სახელით – *Ramada Bucharest Majestic Hotel* და მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და ისტორიულ ქუჩაზე *Calea Victoriei* 38-40. 2018 წლის 25 მაისს, საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ბუქარესტის მერიისა და სასტუმროს ადმინისტრაციის მხარდაჭერით, სასტუმროს შენობაზე საზეიმოდ გაიხსნა აბრა, რომელიც ქართულ, რუმინულ და ფრანგულ ენებზე იუწყება: „1919 წელს ამ შენობაში განთავსებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია რუმინეთში“.

⁵ სცსა, ფონდი: 1864, ანაწერი: 2, საქმე: 210, ფურც. 69.

წევრები ბუქარესტში თავს შინაურულად გრძნობდნენ. როგორც ასათიანი წერს, მისი ასეთი მდგომარეობა გამოწვეული ყოფილა საქართველოსადმი რუმინელების სიმპათიებით:

„საზოგადოების დამოკიდებულება იყო საუცხოო; სადაც კი გამოჩნდებოდა, ყველგან დიდ თანაგრძნობას უცხადებდნენ საქართველოს: სამინისტროებში, მინისტრებთან, რედაქციებში, თეატრში თუ კრებაზე. რესტორანში, როგორც კი დამინახავდნენ შესულს, დამჯდარი კიდეც არ ვიყავი, რომ ორკესტრი „ალავერდის“ დაუკრავდა.“¹

მიუხედავად ამისა, მისიის საქმიანობას სირთულეები მაინც ახლდა. ჯერ კიდევ არაღიარებული ქვეყნის მისიას, ბუნებრივია, დიპლომატიური აკრედიტაციის პრობლემა ჩასვლისთანავე დაუდგებოდა, რასაც ს. ასათიანი მოგონებებშიც იხსენებს: „რალაც რწმუნებულების ქაღალდის მსგავსი რუმინეთის მთავრობას წარუდგინეთ“.² ეს შეიძლებოდა ყოფილიყო თბილისიდან მიღებული ევგენი გეგეჭკორის დეპეშა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ან კიევში საქართველოს წარმომადგენლის, ვიქტორ თევზაიას მიერ გაცემული დოკუმენტი, რაც მისიის სრულფასოვან დიპლომატიურ წარმომადგენლობად აღიარების საფუძველი ვერ იქნებოდა. იგივე პრობლემაზე ასათიანი უფრო მეტს საუბრობს აგვისტოს წერილში აკ. ჩხენკელისადმი: „დღეს, რუმინიაში მყოფ მისიას არა აქვს არც დირექტივები და არც საჭირო ქაღალდები და თუ აქვს პირდაპირ დაუშვებელ ფორმაში საერთაშორისო წესთა მიხედვით“. აკაკი ჩხენკელის, 1919 წლის 29 აგვისტოს ქუენევიდან პარიზის ქართული დელეგაციისადმი გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ კიევიდან ბუქარესტში საქართველოდან მიღებული ბრძანებით ჩასულ ს. ასათიანს თან ჰქონია მხოლოდ კიევში საქართველოს ელჩის, ვიქტორ თევზაიას მიერ გაცემული დოკუმენტი და მთავრობის დეპეშა: „მისთვის მიუცია ქაღალდი თევზაიას, რაც არაა საკმარისი. მთავრობისაგან მხოლოდ დეპეშა ყოფილა ბუქარესტში წარმომადგენელის გაგზავნის შესახებ.“³

აკრედიტაციის პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებს ასევე რუმინეთში პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ვარშავაში გაგზავნილ ანგარიშში ქართული მისიის წევრებთან შეხვედრის შესახებ, თუმცა ამის მიზეზად საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა მოჰყავს. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ საქართველოს დიპლომატიური მისია რუმინეთის ხელისუფლებას არ მიუღია ოფიციალური ფორმით, „ახალი სახელმწიფოს დაურეგულირებელი დიპლომატიური ურთიერთობებისა და კოალიციის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ჯერ კიდევ არაღიარების მიზეზით“.⁴

მიუხედავად იმისა, რომ მისიამ წარმატებულად დაიწყო თავისი საქმიანობა და საჭიროების შემთხვევაში მინისტრებთან და ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრებსაც კი ახერხებდა, აკრედიტაციის არქონის პრობლემა მას მაინც თითქმის ბოლომდე თან გაჰყვა. ეს პრობლემა მაისში სკანდალშიც კი გადაზრდილა. 19 მაისს გაზეთი *Românimea* იუწყებოდა, რომ რუმინეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის მეთაური, სოსიპატრე ასათიანი შეხვდა მიხაილ ფერეკიდეს, რომელიც, პრემიერ ბრეტუანუს პარიზის კონფერენციაზე ყოფნის დროს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, თუმცა საუბრის შინაარსის შესახებ არაფერს იტყობინებოდა.⁵ ასათიანის მოგონებებიდან ირკვევა ფერეკიდესთან შეხვედრის

¹ ასათიანი, სოსიპატრე (ჭიჭიკო). მცირე მოგონებანი. „კავკასიონი“ 13, 1968, 104-106. უნდა იგულისხმებოდეს იმ დროისთვის პოპულარული სიმღერა „Аллаверды, Господы с тобою“, რომლის მუსიკა ქართულ მოტივებზე რუსმა კომპოზიტორმა, გრაფმა ვ. ა. სოლოგუბმა (1813-1882) დაწერა.

² ასათიანი, სოსიპატრე (ჭიჭიკო). მცირე მოგონებანი. „კავკასიონი“ 13, 1968, 104-106.

³ სცსა, ფონდი 1864, ანაწერი: 2, საქმე: 122, ფურც. 34.

⁴ იმ დროს პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელი ბუქარესტში იყო მარიან ლინდე / Marian Linde (1890-?); იხ. Dubicki, Andrzej. *Dzieje przedstawicielstwa polskiego w Bukareszcie 1919-1940*. Łódź: Wydawnictwo Uniwersytetu Łódzkiego, 2014, 11, 15-27.

⁵ *Românimea*: ziar de dimineață N137, 19 May 1919, 2 <https://dspace.bcucuj.ro/handle/123456789/89591>

მიზეზი და საუბრის დეტალები. როგორც ის იხსენებს, ამ პერიოდში მომხდარა ერთი არასასიამოვნო ფაქტი: ერთ-ერთი მიღებიდან („დარბაზობიდან“) დაბრუნებულ ასათიანს შეუტყვია, რომ რუმინულ პოლიციას მისი წევრები – ფალავა და კარპოვიჩი, გაუჩხრეკავს. მისი თქმით, იმ დროს პოლიცია ყველა რუსს თუ არ იჭერდა, ჩხრეკდა მაინც. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ დროს რუმინეთსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის, ბასარაბიისა და ბუკოვინის გამო არსებული კონფლიქტით. ასათიანი დაუყოვნებლივ შეხვედრია ფერეკიდეს და განუცხადებია „სასტიკი პროტესტი, ზრდილობიანი ფორმით“. ფერეკიდეს მის პროტესტზე უპასუხია შემდეგი: „მაგრამ, ჩემო ბატონო, პოლიტიკურად თქვენ რუსებად ითვლებით“, რაზეც ასათიანს უპასუხია: „სრულებითაც არა, მე არ დამვიწყებია რუმინეთის ისტორია“. მას მიუნიშნებია იმაზე, რომ თავად რუმინელები სულ რაღაც 50 წლის წინ, ოსმალეთის („სათათრეთის“) ბატონობის ქვეშ იყვნენ. ასათიანის თქმით, ამაზე ფერეკიდე გაწითლებულა და ქართველი დიპლომატი დაურწმუნებია, რომ სათანადო განკარგულებას გასცემდა.

მიუხედავად ამისა, რუმინეთის დიპლომატიური არქივის ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ მ. ფერეკიდესთან შეხვედრის მეორე დღეს, 20 მაისს, ს. ასათიანი გამოუძახიათ ბუქარესტის პრეფექტურაში მისი დოკუმენტების შემოწმების საბაბით. მას არ დაუყოვნებია და 21 მაისს საპროტესტო ნოტით მიუმართავს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, სადაც ის მომხდარს საერთაშორისო სამართლის დარღვევად აფასებს. მისი სიტყვებით, მას არ სურს რუმინეთის მთავრობის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება, რის გამოც სთხოვს მინისტრს, რომ პირადად მან მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ბუქარესტში ქართული დიპლომატიური მისიის დარჩენის მიზანშეწონილობის შესახებ.¹ აქვე მომყავს ამ დოკუმენტის სრული თარგმანი:

„თქვენო აღმატებულებავ,

მართალია, საქართველო ჯერ კიდევ არ არის აღიარებული ანტანტის მიერ, მაგრამ მას აქვს ყველა პოლიტიკური და ისტორიული უფლება, მისი ერთი საუკუნით დარღვეული უფლებების აღსადგენად.

დღეს ყველა ჩაგრული ერი, ვილსონის პრინციპებით, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყალიბდება, ცარიზმის უღლისაგან გათავისუფლებული საქართველოც იგივეს აკეთებს.

თუ რუმინეთი ვერ ეგუება მეგობარი ქვეყნის მისიას, როდესაც ჩვენი წარმომადგენლები ივ ზავნიანი თითქმის ყველა ქვეყანაში და იქ მიღებულები არიან, მითხრას თქვენმა აღმატებულებამ და მე ქვეყნის დატოვებას არ დავაყოვნებ.

გუშინ, მიუხედავად გარანტიისა, რომელიც თქვენმა აღმატებულებამ კეთილი ინება და მომცა, პრეფექტურაში დამიბარეს საბუთების შესამოწმებლად – რაც უნიკალური შემთხვევაა საერთაშორისო სამართლის ისტორიაში.

თქვენმა აღმატებულებამ კარგად იცის, რომ საქართველოსა და რუმინეთს შორის საუკეთესო ურთიერთობები არსებობდა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს. დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ მან წარგზავნა თავისი წარმომადგენლები ამ ურთიერთობების განახლების მოსამზადებლად.

რადგან არ მსურს რუმინეთის მთავრობა ჩავაყენო უხერხულ მდგომარეობაში – ამ შემთხვევას ვუტოვებ გადასაწყვეტად მხოლოდ თქვენს აღმატებულებას.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი უღრმესი პატივისცემის დასტური.

საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი რუმინეთში,

ს. ასათიანი.“²

¹ რუმინეთის დიპლომატიური არქივი (Arhiva diplomatică - Ministerul Afacerilor Externe, AD - MAE), Fondul 71/1914 E 2, 259.

² AD - MAE, Fondul 71/1914 E 2.

ამის, შემდეგ, მ. ფერეკიდეს მართლაც მიუღია ზომები და ს. ასათიანის საპროტესტო ნოტა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაუგზავნია, რაზეც შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციისა და საზოგადო უსაფრთხოების სამმართველოს დირექტორი ედუარდ გიკა (Eduard Ghica) 23 მაისის საპასუხო წერილში მას წერდა:

„ბატონო მინისტრო

პატივი მაქვს დაგიბრუნოთ თანდართული დოკუმენტი, ბატონ ასათიანის ხელმოწერით და ამასთან გაცნობებთ, რომ მე, ბატონ პოლიციის პრეფექტთან ერთად, მივიღე შესაბამისი გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან აღარ შეაწუხონ ბ-ნი ასათიანი ყოველთვიური შემოწმებით, რომელიც სავალდებულოა ყველა უცხოელისთვის.

უსაფრთხოების დირექტორი

ედ. გიკა“¹

მაგრამ მისიის წევრების ჩხრეკასთან დაკავშირებული საკითხი ამით ბოლომდე არ ამოწურულა. ამ საკითხზე საუბარი, რამდენიმე დღეში, ს. ასათიანსა და პარიზიდან დაბრუნებულ ი. ბრეტთან შორის გაგრძელდა. 25 ივლისს გაზეთი *România* წერდა, რომ საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი, სოსიპატრე ასათიანი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, იონელ ბრეტთან მიიღო. მოკლე ინფორმაციაში ნათქვამია, რომ პრემიერ-მინისტრმა საქართველოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე ისაუბრა, გამოხატა თავისი სიმპათიები და ქვეყანას აყვავება უსურვა. ასათიანი თავის მოგონებებში ასევე იხსენებს, დიალოგის ფორმით, საუბრის იმ დეტალებს, რომელიც რუმინეთში ქართული მისიის სტატუსს შეეხებოდა:

„ამ შემთხვევის ერთი თვის შემდეგ,² პარიზიდან ბრეტანე დაბრუნდა და შეუდგა მთავრობის თავმჯდომარეობის ფუნქციის ასრულებას. მივედი სადარბაზოდ და სხვათა შორის ზემოაღნიშნული შემთხვევა ვუამბე და თან ვკითხე, თუ როგორ უყურებს იგი საქართველოს მისიას.

– ამის შესახებ მე უნდა მოგიყვებოდა ჩემი შემთხვევა: იმ დროს, როდესაც რუმინეთი იყო თავისუფალი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო სავსებით ჩამოყალიბებული, როგორც ყველა სახელმწიფო, ჩვენ ვღებულობდით სხვა ქვეყნებიდან როგორც წარმომადგენლებს, მხოლოდ მინისტრებს. ინგლისმა კი გამოავლინა დიპლომატიური აგენტი, რომელმაც მამაჩემს, მთავრობის თავმჯდომარეს, დაუსვა იგივე საკითხი, რომელსაც თქვენ მე მისვამთ. აი მამაჩემის პასუხი: ტიტრი,³ რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, თქვენ არა გაქვთ! ტიტრი თქვენ რომ გაქვთ, მას ჩვენ არ ვღებულობთ – უპასუხა ინგლისის აგენტმა.

– ბატონო თავმჯდომარე! რასაც თქვენ ბრძანებთ, უნდა მივიღო ის, როგორც პასუხი ჩემს შეკითხვაზე?

– ჩვენ ყოველთვის მეგობრებო ვართო! – იყო მისი პასუხი.“

რამდენიმე დღეში, 28 ივნისს, იგივე ედუარდ გიკა კონფიდენციალურ წერილს უგზავნის საგარეო საქმეთა მინისტრს მისიის სტატუსის შესახებ შეკითხვით. საგარეოდ, საკითხის ხელახლა წამოწევა განპირობებული უნდა ყოფილიყო პარიზიდან ბუქარესტში პრემიერ ბრეტთან დაბრუნებით, რომელიც, ამავე დროს, საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო. წერილში ვკითხულობთ:

„პირადად – კონფიდენციალურად.

ბატონო მინისტრო,

¹ AD - MAE, Fondul 71/1914 E 2.

² ივლისისხმება, მისიის წევრთა ჩხრეკა პოლიციის მიერ, მაისის მეორე ნახევარში.

³ ფრანგ. Titre, ტიტული.

პატივი გვაქვს გთხოვოთ, რათა კეთილი ინებოთ და გასცეთ განკარგულება, რომ გვაცნობონ, თუ რა მდგომარეობაა ქართული მისიისა და მის წევრებთან დაკავშირებით და, ასევე, თუ არის ის ცნობილი და აკრედიტებული, როგორც დიპლომატიური მისია რუმინეთში¹.

როგორც ჩანს, ბრეტთანუს პასუხმა ეს საკითხი მისიის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რადგან მას შემდეგ მსგავს ინციდენტებს აღვილი აღარ ჰქონია.

დიპლომატიური ძალისხმევა

ამ პერიოდში მისიის ძალისხმევა, ძირითადად, მიმართული იყო რუმინეთის პოლიტიკურ წრეებთან საქართველოს აღიარების საკითხზე მუშაობისკენ; ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ეკონომიკური საკითხებიც. ასევე, მისია მუშაობდა ქვეყნის აკადემიურ წრეებთან და პრესასთან საქართველოს ცნობადობის ამაღლებაზე; ცალკე გამოსაყოფია, ბუქარესტში წარმოდგენილ დიპლომატიურ კორპუსთან ურთიერთობაც – ასათიანი თავის მოგონებებში იხსენებს, რომ ასეთ შეხვედრებს უცხოელ წარმომადგენლებთან ის სისტემატურად, ყოველთვიურად მართავდა. მათაც, ისევე როგორც რუმინელებს, ის აცნობდა საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებას, ისტორიას, გეოგრაფიას, მის ბუნებრივ სიმდიდრეს და ქვეყნის, როგორც ევროპისა და აზიის შემაერთებელი გზის მნიშვნელობას. იმ პერიოდში, სანამ ბუქარესტში გერმანელები კიდევ იყვნენ, ასათიანს მათთან ჰქონია კავშირი, ხოლო შემდეგ – ფრანგებისა და ინგლისელების დიპლომატიურ და სამხედრო მისიებთან ურთიერთობდა. ამავე დროს, მოკავშირეთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ეგზავნებოდა მისიის მიერ გამოშვებული საინფორმაციო ბიულეტენები საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ჯერ-ჯერობით უცნობი რჩება გერმანიის წარმომადგენლებთან ასათიანის საუბრები. რაც შეეხება მოკავშირეებს, ფრანგი გენერლის, ანრი ბერტელოს² მოგონებებიდან ირკვევა, რომ 1919 წლის 21 იანვარს მას ქართული მისიის წევრები მიუღია. ბერტელო თავის დღიურში ივსენებს, რომ 21 იანვარს მას ჯერ მიუღია რუსი გენერალი ანდრეევი, რომელიც სიმონ პეტლიურას არასწორი ნაბიჯების შესახებ ესაუბრა, შემდეგ მინისტრი კონსტანტინესკუ,³ ტრანსილვანიის საკითხებთან დაკავშირებით და ბოლოს, შეხვედრია ბუქარესტში მყოფი საქართველოს საგანგებო მისიის წევრებს – ასათიანს (Assatiany), კარპოვიჩს (Karpowicz) და ფაღავას (Pagava), რომლებიც რუმინეთში დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად ჩამოვიდნენ.⁴ სამწუხაროდ, იგი არაფერს წერს შეხვედრისას საუბრის შინაარსის შესახებ. უცნაურია, მაგრამ ამ შეხვედრას არც ს. ასათიანი ახსენებს თავის წერილებსა თუ ანგარიშებში. აკ. ჩხენკელისადმი 1919 წლის აგვისტოში გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ ს. ასათიანს გენერალ ბერტელოსთან კავშირი შემდგომშიც გაუგრძელებია, რაზეც ქვემოთ იქნება ლაპარაკი.

23 იანვარს ქართული მისიის წევრები შეხვედრიან ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსსა და ცნობილ მეცნიერს, აკად. ნიკოლაე იორგას,⁵ რომელსაც გააცნეს საქართველოს იმდროინდელი ვითარება. ის ამ დროს პარლამენტის ქვედა პალატის წევრი და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე იყო. თავის მოგონებებში ნ. იორგა ასე იხსენებს საქართველოს მისიის წევრებთან შეხვედრას:

¹ AD - MAE, Fondul 71/1914 E 2.

² Henri Mathias Berthelot, 1861-1931. იმ დროს ა. ბერტელო ღუნაის არმიის ხელმძღვანელობდა და ბუქარესტში იმყოფებოდა. მან დიდი როლი ითამაშა ტრანსილვანიის რუმინეთთან გაერთიანების საქმეში.

³ ივულისხმება ალექსანდრუ კონსტანტინესკუ / Alexandru Constantinescu, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი, 29 ნოემ. 1918 - 26 სექტ. 1919.

⁴ Torrey Glenn E. General Henri Berthelot and Romania: mémoires et correspondance, 1916-1919. Boulder, Colorado: East European Monographs, 1987.

⁵ Nicolae Iorga, 1871-1940.

„ქართული მისია მოვიდა ჩემთან. სოსიპატრე ასათიანი – გარეგნულად უბრალო ადამიანი, რომელიც ლაპარაკობს მშვიდად, კარგ ფრანგულ ენაზე. მას თან ახლავს კეთილსახოვანი ადიუტანტი, ჩაცმული ფრიად მოვარაყებულ ეროვნულ სამოსში¹ და კარგი აღნაგობის მდივანი,² რომელიც საკუთარ თავს ქართველს უწოდებს, მაგრამ აქვს სლავური სახელი და გარეგნობა. ასათიანი კომპლიმენტს მითვლის ბულგარეთის ყოფილ მინისტრ შიშმანოვისგან, რომელიც კიევშია.³ ის მეუბნება, რომ ჩხეიძე⁴ და წერეთელი⁵ მხოლოდ იმისთვის ჩაერივნენ რუსულ რევოლუციაში, რომ თავისი ერის ინტერესებისთვის ემსახურათ და რომ დღეს, ერთი არის პალატის თავმჯდომარე,⁶ ხოლო მეორე – მთავრობის თავმჯდომარე⁷ თავის სამშობლოში. [მისი თქმით,] ისინი მიემგზავრებიან პარიზში თავისუფალი საქართველოს სახელით.⁸ მთელი მთავრობა სოციალისტურია, მაგრამ სამჯერ იომეს ბოლშევიკებთან. ქვეყანამ მოახერხა 30 ათასიანი არმიის ორგანიზება და ჩვენთან კავშირებს ეძებენ. აქედან ისინი დაბრუნდებიან კიევში. მათ გადაწყვეტილი აქვთ არ იქონიონ კავშირი არც მათთან, ვინც ომსკშია⁹ და არც მათთან, ვინც ღონზეა¹⁰ და ერთიანი რუსეთის აღდგენის აბსურდული მიზანი აქვთ“.¹¹

საქართველოს დიპლომატიური მისიის ბუქარესტში გამოჩენით ყოფილა განპირობებული ის, რომ პირველი მსოფლიო ომის გამო შეწყვეტილი რუმინეთის აკადემიის სხდომების განახლებული, პირველივე სხდომა საქართველოსადმი მიძღვნილი მოხსენებით გაიხსნა. მემუარული ლიტერატურისა და საგაზეთო ინფორმაციების საფუძველზე ირკვევა, რომ ამ საკითხზე მოხსენება გაუკეთებია ცნობილ ფილოლოგ-ლინგვისტს, პროფ. იოან ბიანუს.¹² 27 იანვარს, ქ. არადში (ტრანსილვანიის რეგიონი) გამომავალი გაზეთი Românul, რუმინეთის აკადემიის კომუნიკებზე დაყრდნობით, იუწყებოდა, რომ აკადემიის სხდომაზე ნიკოლაე იორგას საჯარო მოხსენების წაკითხვამდე, აკადემიკოსმა იონ ბიანუმ რუმინეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, საზოგადოებას შეახსენა რუმინელებისა და ქართველების ადრინდელი ურთიერთობები, კერძოდ, ეს ეხებოდა ანთიმოზ ივერიელის ღვაწლს თბილისის სტამბის დაარსების საქმეში და „კულტურულ კავშირს ივერიასთან, დიდი მიტროპოლიტის ანთიმის სამშობლოსთან. როგორც ცნობილია, XVIII ს-ის დასაწყისში მან ტიფლისში გააგზავნა არდეალელი¹³ მიხაილ შტეფანოვიჩი¹⁴ ტიპოგრაფიით, ქართულ ენაზე საეკლესიო წიგნების დასაბეჭდად“.¹⁵

¹ იგულისხმება სამხედრო ატაშე მიხეილ ფაღავა.

² იგულისხმება მისიის მდივანი ანტონ კარლის ძე კარპოვიჩი.

³ Ivan Shishmanov / Иван Димитров Шишманов, 1918-1919 წლებში ბულგარეთის ელჩი კიევში.

⁴ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, 1864-1926 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე.

⁵ ირაკლი (კაკი) წერეთელი, 1881-1959 – პოლიტიკოსი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი.

⁶ იგულისხმება დამფუძნებელი კრება.

⁷ აქ შეცდომაა. ა. წერეთელი მმართველი სოც-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე იყო.

⁸ ჩხეიძე და წერეთელი საქართველოს წარმოადგენდნენ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.

⁹ იგულისხმება იმ დროს ქ. ომსკში მყოფი ადმირალი ალექსანდრე კოლჩაკი.

¹⁰ იგულისხმება ღონის ატამანი ალექსეი კალედინი.

¹¹ Iorga, Nicolae. Memorii 1918-1920 - Războiul național. Lupta pentru o nouă viață politică. **Vol. 2.** București: Paul Editions. 2018, 107.

¹² Ioan Bianu, 1856-1935.

¹³ არდეალი / Ardeal ტრანსილვანიის რეგიონის მეორე სახელწოდებაა.

¹⁴ მიხეილ შტეფანოვიჩი, იგივე იშტვანოვიჩი, რუმინელი ტიპოგრაფი, ანთიმოზ ივერიელის მოწაფე.

¹⁵ Românul N22, 27 Ianuarie (9 Februarie) 1919, 3

https://dspace.bcucuj.ro/bitstream/123456789/16551/1/BCUCLUJ_FP_P2581_1919_008_0022.pdf

ამ ფაქტს ს. ასათიანი თავის მოგონებებშიც იხსენებს. ბუქარესტში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში, მას წერილი მიუღია რუმინეთის აკადემიის მუღმივი მდივნის, პროფესორ ბიანუსგან (ასათიანი მას უწოდებს „ბიანო“), უკვე ჩატარებულ ღონისძიებასთან დაკავშირებით. წერილის შინაარსი, მისი სიტყვებით, შემდეგი იყო:

„ბატონო თავმჯდომარევ, ვესალმები რა თქვენი სახით საქართველოს, მის გმირულ ერს, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ თქვენ პირველი არა ბრძანდებით რუმინეთსა და საქართველოს შორის დამოკიდებულების აღმდგენი. გუშინლამ, ომის შემდეგ, პირველი კრება გაიხსნა ძველად საქართველოსა და რუმინეთის შორის დამოკიდებულებაზე მოხსენებით; თქვენ ალბათ დავიწყებული გაქვთ, თუ ვინ იყო ანთიმოზ ივერიელი (ანტიმ ივერიანულ). ამ შეუდარებელმა პიროვნებამ ითამაშა უდიდესი როლი რუმინეთის ცხოვრებაში...“¹

რადგან ზემოთ მოყვანილი საგაზეთო ინფორმაციიდან ვიცით, რომ რუმინეთის აკადემიის აღნიშნული სხდომა 25 იანვარს ჩატარებულა, შესაბამისად, აკად. ბიანუს ეს წერილი ს. ასათიანისადმი 26 იანვრით უნდა დათარიღდეს.

აკად. ბიანუსგან წერილის მიღებიდან მეორე დღესვე, ანუ 27 იანვარს, ასათიანი რუმინეთის აკადემიას ესტუმრა, სადაც ბიანუმ მისდამი დიდი ყურადღება გამოიჩინა და დაათვალიერებინა აკადემია და მისი ბიბლიოთეკა; ქართველი დიპლომატისთვის მას უჩვენებია თბილისში ანთიმოზის მიერ გაგზავნილი მბეჭდავების მიერ 1709 წელს გამოცემული სახარება. ასევე, უჩვენებია მარი ბროსეს² მიერ ნათარგმნი „საქართველოს ისტორია“ და ურჩევია, რომ „ეს საუკეთესო შრომა მრავლად გამოეცათ“. იქვე გაუგია ასათიანს ბუქარესტში ანთიმოზ ივერიელის მიერ აშენებული ეკლესიის შესახებ (ანთიმოზის მონასტერი), რომელიც იმავე დღეს მოუნახულებია. მისი თქმით, იქ ნახა ანთიმოზ ივერიელისა და კონსტანტინე ბრინკოვიანუს ფრესკული პორტრეტები: „შიგნით შესვლისას, მარჯვნივ, ვეებერთელა სურათია კედელზე გამოხატული ანთიმოზ ივერიელის მთელი ტანით და დიდი წვერებით, რაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. მარცხნივ არის გამოხატული კონსტანტინე ბრაკოვანი,³ მაშინდელი ვოლახიის-მოლდავიის მთავარი (მე-18 საუკუნეში).⁴ ეს ორი პიროვნება უძღვოდა წინ საერო და სასულიერო ცხოვრებას მაშინდელი რუმინეთისას...“⁵ ამ მოგონების შემდეგ ს. ასათიანი აღნიშნავს, ანთიმოზ ივერიელის როლს რუმინეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, რომ მისი ცხოვრება ისწავლება რუმინეთის ყველა სკოლაში და რომ ის წმინდანად არის აღიარებული.⁶

თავისი დღიურის 27 იანვარის ჩანაწერში ნიკოლაე იორგა იგონებს: „საქართველოს მისიის მდივანი (ანტონ კარპოვიჩი; ნ.ნ.) ჩემგან ანთიმ ივერიელის ეკლესიის ფოტოს ითხოვს. მისიის

¹ ასათიანი, სოსიპატრე (ჭიჭიკო). მცირე მოგონებანი. „კავკასიონი“ N13, 1968, 104-106.

² Marie-Félicité Brosset, 1802-1880.

³ იგულისხმება კონსტანტინე ბრინკოვიანუ (Constantin Brâncoveanu), ვლახეთის მთავარი 1688-1714 წლებში.

⁴ აქ ასათიანი პატარა შეცდომას უშვებს, ანთიმოზის მონასტრის ეკლესიის დასავლეთ კედელზე მართლაც გამოსახული არის ანთიმოზ ივერიელი, მაგრამ ერისკაცი არის არა კონსტანტინე ბრინკოვიანუ, არამედ შტეფან კანტაკუზინო (Ștefan Cantacuzino) ვალახიის მთავარი 1714-1716 წლებში. მან გადასახადებისგან გაათავისუფლა ანთიმოზის მიერ მონასტრისთვის შეძენილი მიწები, ვენახები და მთელი ქონება. მონასტრის მთავარი ტაძრის კურთხევა მოხდა 1715 წელს, რის გამოც ანთიმოზმა გასცა განკარგულება, რომ შტეფან კანტაკუზინო გამოსახულიყო ტაძრის დასავლეთ კედელზე.

⁵ ასათიანი, სოსიპატრე (ჭიჭიკო). მცირე მოგონებანი. „კავკასიონი“ N13, 1968, 104-106.

⁶ ოფიციალურად ანთიმოზ ივერიელის წმინდანად კანონიზაცია მოხდა 1992 წელს, მაგრამ ასათიანის სიტყვები ასახავს რუმინელი ხალხის ამ დიდი მღვდელმთავრისადმი დამოკიდებულებას ჯერ კიდევ მის ოფიციალურ კანონიზაციამდე.

ხელმძღვანელი ავად არის და მისი გამგზავრება პარიზში გადაიდო“.¹ ეს ჩანაწერები ადასტურებს, რომ ქართული მისიის წევრებს კარგად ესმოდათ ქვეყნებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში საერთო ისტორიული წარსულისა და კულტურული დიპლომატიის მნიშვნელობა.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ერთი დოკუმენტით ირკვევა, რომ 30 იანვარს ს. ასათიანი და მისიის წევრები, კარპოვიჩი და ფალავა შეხვედრიან ბუქარესტში პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს – მინისტრს (დიპლომატიური რანგი).² თავის ანგარიშში პოლონელი დიპლომატი ვარშავას აცნობებს ბუქარესტში მისიის ჩამოსვლის დროს, შემაღენლობასა და მიზნებს. საუბარი შეხება ქართველებსა და პოლონელებს შორის ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობებს. საქართველოს მისიის წევრებს უთხოვიათ პოლონელი კოლეგისთვის, რათა გადაეცა თხოვნა პოლონეთის მთავრობისთვის, პარიზის კონფერენციაზე საქართველოს მხარდაჭერისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. პოლონელ დიპლომატს თავის მხრივაც სიმპათიები გამოუხატავს ახლად დაარსებული საქართველოს სახელმწიფოს მიმართ და მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს მსოფლიო ომის დროს პოლონელი ლტოლვილების საქართველოში თბილად მიღების გამო.³ საუბარი ასევე შეეხო საქართველოს სახელმწიფოს მაშინ ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუდგენელ საზღვრებს, ხელისუფლების ფორმას და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობებს. მისი თქმით, საქართველოს მისიის ბუქარესტში ჩამოსვლის მთავარი მიზანი იყო რუმინული მხარის ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ და რუმინეთთან სასაქონლო გაცვლა. ანგარიშის ბოლოს პოლონელი დიპლომატი აღნიშნავს, რომ რუმინეთის მთავრობას ქართული მისია ოფიციალური ფორმით არ მიუღია „დაურეგულირებელი დიპლომატიური ურთიერთობებისა და კოალიციის მიერ მისი არაღიარების მიზეზით“. საქართველოს მისიის წევრებს მისთვის გადაუციათ ნოტა და თანდართული ორგვერდიანი დოკუმენტი საქართველოში არსებული მდგომარეობისა და მისი დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.⁴ ნოტის შინაარსი შემდეგი იყო:

„იმ დროს, როდესაც წყდება პატარა ერების ბედი, საქართველოს საგანგებო დიპლომატიურ მისიას აქვს პატივი წარუდგინოს თქვენს აღმატებულებას ეს მოკლე განცხადება, რათა გაცნობოთ, რა ხდება ამჟამად საქართველოში.

მისია იმედოვნებს, რომ გმირული პოლონეთი, რომელიც ასე იბრძოდა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, გაიგებს გათავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხის მდგომარეობას“.

ქართულმა მისიამ, ასათიანის ხელმოწერით, თითქმის იდენტური შინაარსის ნოტა 31 იანვარს რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრსაც გაუგზავნა, რომელსაც, იგივე ორგვერდიანი დოკუმენტი ჰქონდა თანდართული.⁵ ნოტაში აღნიშნულია შემდეგი:

¹ Iorga, Nicolae. Memorii 1918-1920 - Războiul național. Lupta pentru o nouă viață politică. Vol. 2. București: Paul Editions. 2018, 107.

² ამ დროს რუმინეთის სამეფოში პოლონეთის საქმეთა რწმუნებული იყო მარიან ლინდე (Marian Linde, 1890-?); იხ. Dubicki, Andrzej. Dzieje przedstawicielstwa polskiego w Bukareszczu 1919-1940. Łódź: Wydawnictwo Uniwersytetu Łódzkiego, 2014, 11, 15-27.

³ იგულისხმება 1915 წლის გერმანულ-ავსტრიული შეტევა პოლონეთზე, რომლის დროსაც 800 000 პოლონელი ლტოლვილი გადაასახლეს რუსეთის შიდა გუბერნიებში, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე. 1918 წ. ზაფხულის ბოლოს ვარშავიდან თბილისში პოლონეთის რეგენტთა საბჭოს წარმომადგენლობა ჩამოვიდა ვაცლავ ოსტროვსკის მეთაურობით, რომლის ძირითადი ამოცანა საქართველოში მცხოვრები პოლონელების რეპატრაციის ორგანიზაცია და პოლონურ არმიაში მოხალისეთა აყვანა იყო (იხ. ანდერსენი ე. საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-1921. „მწიგნობარი“, თბ., 2020, გვ. 377-78).

⁴ Archiwum Aktów Nowych (AAN) Ministerstwo Spraw Zagranicznych, sygn. 6674b. str. 93.

⁵ AD – MAE, Fondul 71/1914 E 2, 246.

„მის აღმატებულებას, ბატონ საგარეო საქმეთა მინისტრს, ბუქარესტი.

იმ დროს, როდესაც წყდება პატარა ერების ბედი, საქართველოს საგანგებო დიპლომატიურ მისიას აქვს პატივი წარუდგინოს თქვენს აღმატებულებას ეს მოკლე განცხადება, რათა გაცნობოთ, რა ხდება ამჟამად საქართველოში.

მისია იმედოვნებს, რომ რუმინელი ხალხი, რომელიც შეუპოვრად იბრძვის თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისათვის, გაიგებს გათავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხის მდგომარეობას.

რუმინეთში საქართველოს საგანგებო დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი ს. ასათიანი“.

ნოტას თან ერთვის ორგვერდიანი დოკუმენტი, სადაც დაწვრილებით არის ახსნილი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, ქართველი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისადმი და ის წარმატებები, რასაც მოკლე ხანში ქვეყანამ მიაღწია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების მხრივ. ამგვარად, მასში დასაბუთებულია, რომ საქართველო იმსახურებს აღიარებას მსოფლიოს სხვა ქვეყნების მხრიდან.¹

ს. ასათიანის აკ. ჩხენკელისადმი გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ 1919 წლის მარტში დენიკინის მიერ საქართველოს საზღვრების გადმოლახვის შესახებ მას ნოტები დაუგზავნია ბუქარესტში არსებული დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლობებისთვის. დენიკინის ამ ქმედების გამო, ასათიანის სიტყვებით, ყველამ დიდი უკმაყოფილება გამოთქვა და აღუთქვეს, რომ ნოტას გადაგზავნიდნენ თავიანთ დედაქალაქებში. ამავე დროს, ასათიანს გენერალ ბერტელსოვის უთხოვია დახმარება დენიკინის მიერ დატყვევებული ქართული გემის გათავისუფლების, დენიკინის მომხრეთა ძალმომრეობისაგან ოდესაში საქართველოს საკონსულოს დაცვისა და ოდესასა და საქართველოს ნავსადგურებს შორის ქართული გემების თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფის საქმეში. როგორც ასათიანი წერს, გენერალმა მას ამ თხოვნების დაკმაყოფილება აღუთქვა და დაპირებული სისრულეშიც მოუყვანია.²

19 მარტს მისიამ ბეჭდური სახით გამოსცა თავისი პირველი საინფორმაციო ბიულეტენი, სადაც იტყობინებოდა, რომ მისიამ გადაწყვიტა შექმნას პრესსამსახური, კავკასიასა და, განსაკუთრებით, საქართველოში მიმდინარე ამბებით რუმინეთის პოლიტიკური ელიტისა და დიპლომატიური წრეების, ასევე რუმინული პრესის ინფორმირებისთვის. ამ სამსახურის დაარსება გამოწვეული ყოფილა იმ გარემოებით, რომ რუმინეთში კავკასიის შესახებ გავრცელებული სიახლეებიდან ბევრი არაავტორიტეტული წყაროდან მომდინარეობდა. მისიის მიერ გამოცემულ საინფორმაციო ბიულეტენს სპეციალური კურიერის მეშვეობით აწვდიდნენ დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს. პირველ ასეთ ბიულეტენში გამოქვეყნებული იყო დავით (დათიკო) ღამბაშიძის (1884-1963) ლონდონში საქართველოს წარმომადგენლად დანიშვნისა და სომხეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია.³ მართლაც, ბიულეტენში მოყვანილი ინფორმაცია მეორე დღესვე რუმინულ პრესაში აისახა.⁴

20 მარტს გამოიცა მისიის მეორე ბიულეტენი, სადაც გამოქვეყნდა სომხეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გაგრძელება და ვრცელი ცნობა აღმოსავლეთში ბრიტანეთის

¹ AD – MAE, Fondul 71/1914 E 2, 247-48.

² სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

³ AD – MAE, Fondul 71/1914 E 2, 251-53.

⁴ România: ziar de dimineață 20 Mart/2-Apr-1919, 2 <http://dspace.bcucuj.ro/jspui/handle/123456789/89569>

ჯარების მეთაურის, გენერალი მილნის¹ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან, ნოე ჟორდანიასთან შეხვედრის შესახებ. სხვა ბიულეტენების მოძიება, ჯერ-ჯერობით, ვერ მოხერხდა.

ს. ასათიანის თქმით, რუმინულ პრესაში კვირაში სამჯერ-ოთხჯერ და ხანდახან ყოველ დღესაც კი საქართველოს შესახებ, მის ისტორიაზე, კულტურაზე წერილები იბეჭდებოდა, რასაც ადგილობრივი სომხების გაღიზიანება გამოუწვევია. ერთ-ერთ მთავარ რუმინულ გაზეთში – „ადევერულ“ (Adevărul) თუ „ლა რუმანი ენდეპანდანტ“ (უნდა იგულისხმებოდეს გაზეთი L'Indépendance Roumaine; 6.6.) – ასათიანს ზუსტად არ ხსომეხია, – მათ „საქართველოს წინააღმდეგ გაულაშქრებით“. როგორც ჩანს, წერილი ეხებოდა საქართველოსა და სომხეთის იმდროინდელ დაძაბულ ურთიერთობას, რაც სომხეთის საქართველოში შემოჭრამ და რამდენიმე დღიანმა ომმა (5-31 დეკემბერი. 1918) განაპირობა. ასათიანის სიტყვებით, წერილი გადაჭარბებულ და ცრუ ცნობებზე იყო დამყარებული და მისთვის პასუხიც გაუცია. თავის პასუხში ასათიანს აღუნიშნავს, რომ „იმ დროს, როდესაც სომხეთის და საქართველოს ხალხთა დიდი უმრავლესობა ხელისხელ ჩაკიდებული დიდ ერთსულოვნობით აღჭურვილნი, მიექანებიან ამ ორი ერის განთავისუფლების გზაზე, რაც უზომო სისხლისა და ცრემლის გზაა და თავგანწირულ ბრძოლას ეწვევიან ამ მათთვის უდიდეს და უმძიმეს ისტორიულ მომენტში, სამწუხაროა, რომ ამ დროს რუმინეთში მოიპოვება ისეთი სომეხი, რომელმაც იკადრა ასეთი გამოლაშქრება საქართველოსა და მისიის წინააღმდეგ“. მისი თქმით, ამ პასუხის შემდეგ მსგავს გამოხდომებს სომხების მხრიდან ადგილი აღარ ჰქონია.²

ქვემოთ მოყვანილია ორი მცირე პუბლიკაცია რუმინული პრესიდან, რომელიც ამ ფაქტის ასახვა უნდა იყოს. კერძოდ, 20 მარტის / 2 აპრილის ნომერში გაზეთი Românimea იუწყებოდა, რომ რუმინეთში საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ შექმნა პრეს-სამსახური იმისთვის, რათა რუმინულ საზოგადოებას მიეწოდოს ზუსტი ინფორმაცია კავკასიისა და, განსაკუთრებით, საქართველოს შესახებ. იმავე ნომერში გამოქვეყნებულია ინფორმაცია სომხეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტზე (ინფორმაციის ბოლოს მინაწერი B. P. Georgian, ჩემი აზრით, უნდა ნიშნავდეს „ქართული პრესის ბიუროს“ – *Bureau de presse géorgien*). ინფორმაციაში ნათქვამია, რომ დეკემბრის თვეში სომხეთის რეგულარული არმიის შენაერთები შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოკლეს პოსტზე მყოფი რამდენიმე მესაზღვრე. საქართველოს ხელისუფლებამ, სურდა რა სისხლისღვრის თავიდან აცილება, საპროტესტო ნოტა გაუგზავნა სომხეთის ხელისუფლებას და შესთავაზა სადაო საკითხის საარბიტრაჟო წესით განხილვა, რაზედაც სომხეთისგან უარი მიიღო. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია, რომელსაც არასრული ორი დღის განმავლობაში 200 000 კაცი გამოეხმარა. სომხური შენაერთები უკუგდებულ იქნა საქართველოს საზღვრებიდან, რის შემდეგაც საქმეში ჩაერთვნენ ანტანტის წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით თბილისში გაიმართა საზავო მოლაპარაკება, რომლის შედეგადაც შეიქმნა ნეიტრალური ზონის დროებითი ადმინისტრაცია, მაგრამ ზონაში დარჩენილი რკინიგზის მონაკვეთი რჩებოდა საქართველოს მთავრობის განკარგულებაში. ანტანტის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა სტიუარტმა³ სომხურ მხარეს განუმარტა, რომ მათი მხრიდან სამხედრო ქმედების განმეორების შემთხვევაში, ანტანტა საპასუხო ზომებს მიიღებს.⁴

¹ George Francis Milne, 1866-1948. ბარონი ჯორჯ მილნი, ბრიტანეთის არმიის ფელდმარშალი, ბრიტანეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, ბრიტანეთის შავი ზღვის ჯარების სარდალი.

² ასათიანი, სოსიპატრე (ჭიჭიკო). მცირე მოგონებანი. „კავკასიონი“ 13, 1968, 104-106.

³ გამოცემაში გვარი არასწორად არის მითითებული Stuard. ეს არის ლეიტენანტ-პოლკოვნიკი რობერტ ნილ სტიუარტი, კამერონის მთიელთა მე-2 ბატალიონის მეთაური (Lieutenant Colonel Robert Neil Stewart, commander of the 2d Battalion, Cameron Highlanders).

⁴ Românimea: ziar de dimineață 20 Mart/2-Apr-1919, 2 <https://dspace.bcuciluj.ro/handle/123456789/89569>

იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში (31 მარტი / 13 აპრილი) ქვეყნდება რუმინეთში საქართველო დიპლომატიური მისიის მცირე შენიშვნა-ინფორმაცია კვლავ სომხეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტზე, „სომხეთის ცენტრალური კომიტეტის“ საპასუხოდ, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს სურს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა, რადგან მიიჩნევს, სომეხი ხალხი არაა პასუხისმგებელი ნაციონალისტი პოლიტიკოსების ქმედებაზე.¹

ასათიანის წუხილი, რომ რუმინეთის პრესაში საქართველოს შესახებ ინფორმაცია დაგვიანებით და, ხშირად, არაავტორიტეტული წყაროებიდან მოდიოდა, გარკვეულწილად, სიმართლეს შეესაბამება. მაგ. გაზეთი Adevărul თითქმის ერთი თვის დაგვიანებით, 20 (7) აპრილს, ბეჭდავს ინფორმაციას საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის შესახებ, რომელიც 12 მარტს გაიხსნა. თუმცა, მასში მოყვანილი ინფორმაცია ვითარებას ზუსტად ასახავს:

„საქართველოს პირველმა დამფუძნებელმა კრებამ თბილისში თავისი პირველი სხდომა გაიხსნა ლომთათიძის² თავმჯდომარეობით, ანტანტის წარმომადგენლების თანდასწრებით. დამფუძნებელმა კრებამ, რომლის 90 პროცენტი სოციალისტია, რომელთა შორის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატია, მოახდინა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის რატიფიცირება და გამოაცხადა იგი ნეიტრალურად ყველა საერთაშორისო კონფლიქტში“.³

კიდევ უფრო მეტი, თითქმის სამი თვის დაგვიანებით, გაზეთმა Românimea პარიზიდან მიღებული ცნობის საფუძველზე, 12 ივნისს, გამოაქვეყნა ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის ახალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ.⁴ ინფორმაციაში ასახულია საქართველოს რესპუბლიკის მესამე მთავრობის შემადგენლობა (მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრთა გვარების ძლიერ დამახინჯებული ორთოგრაფიით), რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტს დაამტკიცა.⁵

მაგრამ, თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოს პრესაშიც. 11 აპრილით დათარიღებული გაზეთის – „Грузия“ პატარა ინფორმაციაში – „Грузинская миссия в Румынии“ – ნათქვამი იყო, რომ კიევიდან ბუქარესტში გაგზავნილი მისია, ს. ასათიანის ხელმძღვანელობით, აქტიურად იყო დაკავებული საქართველოს გარშემო შექმნილი პოლიტიკური ვითარების მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ინფორმირებით. იქვე ნათქვამი იყო, რომ მისიის მდივან კარპოვიჩის განცხადებით, მისია ამჟამად მუშაობს რუმინეთსა და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხზე.⁶ ანალოგიური ინფორმაცია – „საქართველოს მისია რუმინეთში“, – მცირე სხვაობით, დაიბეჭდა ასევე 12 აპრილს, გაზეთში „საქართველო“.⁷

¹ Românimea: ziar de dimineață 31 Mart/13-Apr-1919, 2 <https://dspace.bcuculuj.ro/handle/123456789/89576>

² იგულისხმება ალექსანდრე ლომთათიძე, 1882-1924; შეცდომით წერია Londadisze.

³ Adevărul N10755, 20 (7) Aprilie 1919, 3

<http://www.digibuc.ro/proxy/?px=aHR0cDovL2RpZ2l0b29sLmJpYm1ldC5ybzo4ODgxL1IvTFA3NFRJNTk3QTZCWEM4R05SRUNWWFZHMkFSN0ZOMjdCQVU3OEVCTEIKVENFNFFEQkYtMDU0MzY/ZnVuYz1yZXN1bHRzLWp1bXAAtZnVsbCZhbXA7c2V0X2VudHJ5PTAwMDAwNyZhbnXA7c2V0X251bWJlcj0wMTA5NTcmYW1wO2Jhc2U9R0VOMDE=>

⁴ Românimea: ziar de dimineață N160, 12 Iunie 1919, 2 <https://dspace.bcuculuj.ro/handle/123456789/89601>

⁵ კუპატაძე, ბონდო. მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) – ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, 274.

⁶ „Грузинская миссия в Румынии“, „Грузия“ 80, 11 апреля 1919, 3

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/314873>

⁷ „საქართველოს მისია რუმინეთში“, „საქართველო“ 81, 12 აპრილი 1919, 2 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/147242/1/Sakartvelo_1919_N81.pdf

ოდესაში საქართველოს გენერალური საკონსულოს 6 მაისით დათარიღებული ტელეგრაფიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კარპოვიჩი, გარკვეული ხნით, ოდესაში დარჩა და იქიდან აგრძელებდა რუმინეთსა და საქართველოს შორის საგარეო ურთიერთობების საკითხის გარკვევას. კერძოდ, ამ ბუნდოვან ტელეგრაფაში დასმულია შეკითხვა საქართველოდან ნახშირის ტრანსპორტირების შესაძლებლობაზე; ასევე, ბუქარესტში საქართველოს წარმომადგენლის, ასათიანისთვის ბუქარესტში ფულის გადაგზავნის საკითხზე და მისი მეუღლის ბუქარესტში გაგზავნის შესაძლებლობაზე.¹ ამ ინფორმაციებიდან ჩანს, რომ ს. ასათიანს რუმინეთში უკვე კარგად აუწყვია დიპლომატიური საქმიანობა და, ჯერ-ჯერობით, იქიდან წასვლა მის გეგმებში არ შედიოდა.

19 მაისს გაზეთი *România* კვლავ იუწყებოდა რუმინეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის მეთაურის აქტივობებზე. ორ სხვადასხვა ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ სოსიპატრე ასათიანი შეხვდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ მიხაილ ფერეკიდეს და ასევე რუმინეთში საფრანგეთის დიპლომატიური მისიის მინისტრს (დიპლომატიური რანგი; ნ.ნ.), მის აღმატებულება შარლ დე ბოპუა კონტ დე სანტ-ოლარს.²

რუმინეთის საგარეო საქმეთა დიპლომატიურ არქივში დაცული 24 მაისით დათარიღებული ვრცელი წერილით ს. ასათიანი მიმართავს რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელშიც განმარტებულია საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე შექმნილი სიტუაცია და დაპირისპირება დენიკინის არმიასთან. ქართული მისიის ხელმძღვანელს რუმინეთის ხელისუფლების ყურადღებას მიაქცევს აღნიშნულ ინფორმაციას და ითხოვს ქმედითი ღონისძიებების გატარებას, რათა მოხდეს სიტუაციის მშვიდობიანი განმუხტვა. წერილს თანდართული აქვს გენერალ ალექსეევის³ განცხადება და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ე. გეგეჭკორის ნოტა თბილისში ბრიტანეთის მისიის ხელმძღვანელის მიმართ.⁴

სოსიპატრე ასათიანის და მისიის წევრთა ძალისხმევით, რუმინულ პრესაში საქართველო სულ მოკლე ხანში მართლაც პოზიტიურად წარმოჩინდა. ამის კარგი ნიმუშია სამხედრო ჟურნალში *Ilustrațiunea Armatei* 15 ივნისს გამოქვეყნებული სტატია სათაურით – „ახალი სახელმწიფო ითხოვს მეგობრობას: საქართველო“, რომელიც საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის მოზრდილი ფოტოთი გამოქვეყნდა. ქვემოთ მომყავს სტატიის სრული ტექსტი, რომელშიც კარგად ჩანს, ერთი მხრივ, მისიის აქტიური მუშაობის შედეგი და, მეორე მხრივ, – რუმინელების დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს მიმართ.

„ცოტამ თუ იცის, ზუსტად სად მდებარეობს საქართველოს ახალი სახელმწიფო. რა თქმა უნდა, რუსულ რევოლუციას რომ არ მიეყვანა დაშლამდე უდიდესი მეზობელი იმპერია, ისეთი ღირსეული და მამაცი ხალხი, როგორიც არიან ქართველები, არავინ იცის კიდევ რამდენ ხანს გააგრძელებდნენ ცხოვრებას სლავურ სივრცეში ჩაკარგულები, რომელთადაც მას არაფერი საერთო არ აქვს, გარდა რელიგიისა. საქართველოს დღევანდელი ლიდერები, ჩხეიძე და წერეთელი, ყველასთვის ნაცნობია, ვინც რუსეთის რევოლუციას იმთავითვე აკვირდებოდა. ორივე იყო ღუშის წევრი და მინიმალისტთა⁵ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი რევოლუციურ რუსეთში მის ადრეულ

¹ სკსა, ფონდი: 1864 ანაწერი: 2 საქმე: 219, ფურც. 58.

² Charles de Beaupoil, conte de Saint-Aulaire (1866-1954); იხ. România: ziar de dimineață N137, 19 May 1919, 2 <https://dspace.bcuculuj.ro/handle/123456789/89591>

³ Алексеев Михаил Васильевич, 1857-1918. აღსანიშნავია, რომ გენ. ალექსეევი ამ დროს უკვე ექვსი თვის გარდაცვლილი იყო.

⁴ AD – MAE, Fondul 71/1914 E 2.

⁵ იგულისხმებიან მენშევიკები.

პერიოდში და კერენსკის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. 1917 წლის რევოლუციის დაწყებიდან მალევე ჩხეიძე პეტროგრადის საბჭოების თავმჯდომარედ იქნა არჩეული, მოგვიანებით კი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი რუსეთი მოიცვა, ის მთლიანი რუსეთის საბჭოების თავმჯდომარე გახდა.¹

ბოლშევიკთა მოსვლას კერენსკისა და მენშევიკების დამხობა მოჰყვა და ჩხეიძე იძულებული შეიქნა მშობლიურ საქართველოში გადახვეწილიყო, სადაც ის ახალგაზრდა კავკასიის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

იმ დროიდან ის აგრძელებდა ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ და თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამყარებისთვის მუშაობდა. მისი ამხანაგი, წერეთელი 1903 წელს² ციმბირში იყო გადასახლებული სტოლიპინის გადატრიალების შემდეგ, რომელმაც დუმის ექსტრემისტულად განწყობილი ყველა დეპუტატი გააციმბირა.

სწორედ იქ მოუსწრო მას რევოლუციამ და 1917 წლის თებერვლის ამნისტიაში ერთი თვის შემდეგ, ის თავად ლეოვის კაბინეტში ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი გახდა, შემდეგ კი, კერენსკის მთავრობაში – შინაგან საქმეთა მინისტრი. მაქსიმალისტების³ გადატრიალების შემდეგ მან ორი თვე პეტროგრადში გაატარა, სადაც უზურპატორების წინააღმდეგ თავდაუზოგავად იბრძოდა. მაგრამ წერეთელმა, რომელიც ბოლშევიკებისგან იდეენებოდა, თავი დააღწია ლენინის შურისძიებას და მშობლიურ საქართველოს შეაფარა თავი.

საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს პარლამენტი, რომელიც კონსტიტუციური წესების თანახმად არის არჩეული და ერის ყველა კლასს მოიცავს. საქართველოში, სადაც ხელოვნების ყველა დარგია წახალისებული, დასავლური ატმოსფერო ბატონობს. საინტერესოა გავიხსენოთ რა პირობებში შეუერთდა საქართველო ოდესღაც რუსეთს. ამას საფუძვლად ედო საერთო საფრთხე: თურქები. ხელმოწერილ შეთანხმებებში ნათლად იყო დათქმული, რომ იმ დღეს, რა დღესაც საქართველოს მთლიანობა გარანტირებული აღარ იქნებოდა, მას შეეძლო სრულ თავისუფლებას დაბრუნებოდა.

ეთნიკური თვალსაზრისით, ქართველები ცალკე ეთნიკურ ბლოკს წარმოადგენენ, რადგან, როგორც ზემოთ ვაჩვენე, ისინი სლავები არ არიან. გეოგრაფიული თვალთახედვით, საქართველოს აქვს თავისი ეროვნული საზღვრები, რომელიც შეიძლება დავაკონკრეტოთ ერთი სიტყვით – კავკასია. ქვეყანაში ცხოვრობს 3,5 მილიონი ადამიანი, რომელთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობით არის დაკავებული.

მოჰყავთ ხორბალი, მატყლი, ბამბა, აბრეშუმი და ღვინო. აქვს ვრცელი ტყეები და მანგანუმის მნიშვნელოვანი საბადოები. მთავარი პორტებია: ბათუმი, ფოთი, სოხუმი. მისი ფართობი 5-ჯერ უფრო მეტია ბელგიაზე. უნივერსიტეტი მდებარეობს თბილისში, საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქში.

როგორც ამბობს ასათიანი, საქართველოს რესპუბლიკის მიერ რუმინეთში წარმოგზავნილი საგანგებო მისიის თავმჯდომარე, რომელმაც ეს ურთიერთობები გაგვიზიარა, [საქართველო] არავისგან არაფერს ითხოვს; სურს ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და კარგი ურთიერთობების ქონა აღმოსავლეთ ევროპის ხალხებთან, კერძოდ, რუმინეთთან განზრახული აქვს დაამყაროს მჭიდრო მეგობრული კავშირი, – რასაც ადასტურებს მისიის გამოგზავნა, ორი ხალხის რასობრივი და რელიგიური ერთობა და, განსაკუთრებით, იმ ინტერესების ერთობა, რომელიც ორ ქვეყანას აქვს, როგორც

¹ ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.

² უნდა იყოს 1907 წელს.

³ იგულისხმებიან ბოლშევიკები.

ბოლშევიზმის, ასევე ძველი რუსეთის იმპერიალიზმის საფრთხის წინაშე და სწორედ ამიტომაც, მოგვიწოდებს გულითადი დაახლოებისკენ.

ჩვენი მხრივ, მამაც ქართველ ხალხს მთელი გულის სითბოთი ვუსურვებთ აყვავებას და „მისიას“ ვუსურვებთ წარმატებას იმ საქმიანობაში, რომლისთვისაც ის იღწვის, ორი ერის საკეთილდღეოდ¹.

რუმინეთის პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებთან კავშირის პარალელურად, ჩანს, რომ ს. ასათიანი ჟენევაში ყოფნისას შეძენილ ძველ კავშირებსაც არ კარგავდა და გარკვეულ ინფორმაციას მათაც აწვდიდა რუმინეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის მუშაობისა და რუმინულ-ქართული ურთიერთობების შესახებ. შვეიცარულ გაზეთში - Journal de Genève 1919 წლის 10 ივლისს J.M.-ის ფსევდონიმით (Jean Martin) საქართველოზე გამოქვეყნებულ სტატიაში ასათიანზეც და რუმინეთში ქართულ მისიაზეც იყო საუბარი:

„ცარიზმის ეპოქაში, ამ ლამაზი ქვეყნის მრავალმა ახალგაზრდამ გაქცევა მოახერხა, ათასი საფრთხის მიუხედავად მათ, საბოლოოდ, ჟენევაში, ჩვენს ქალაქში გულთბილად შეხვდნენ და კარგად მიიღეს. აქ მათ შვება ნახეს. როდესაც დრო მოვიდა, ისინი მადლიერნი და გახარებულნი თავიანთ სამშობლოში გაემგზავრნენ, მათ შორის, გვახსენდება ერთი ინტელექტუალის, ბატონი სოსიპატრე ასათიანის ემოციური და მხიარული ღიმილიანი სახე, საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების მოლოდინით რომ იყო გაცისკროვნებული. თვეები გავიდა და მისთვის, როგორც მისი სხვა თანამემამულეებისათვის, ამოცანები იზრდებოდა: ჩვენი ყოფილი სტუმარი, დიდი პროვინციის ყოფილი მმართველი,² დღეს საქართველოს დიპლომატიური მისიით იმყოფება რუმინეთში. ბუქარესტში მას კარგად შეხვდნენ და ისიც დაუკავშირდა რუმინელ ინტელექტუალებს. ამ ორ ქვეყანას საუკუნეთა განმავლობაში აქვს კავშირები.“³

25 ივლისს გაზეთი Românimea წერდა, რომ საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი, სოსიპატრე ასათიანი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, იონელ ბრეტუანუმ მიიღო. მოკლე ინფორმაციაში ნათქვამია, რომ პრემიერ-მინისტრმა საქართველოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე ისაუბრა, გამოხატა თავისი სიმპათიები და ქვეყანას აყვავება უსურვა.⁴ 1919 წლის აგვისტოს მოხსენებით ბარათში ასათიანი აღნიშნავს, რომ პრემიერ ბრეტუანუს მისთვის უთქვამს: „თუმცა თვით ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობა ჯერჯერობით მთლიანად არ არის გარკვეული, ჩვენი სიმპათია საქართველოს მხარეზეა, მაგრამ საგარეო საკითხებში საკუთარი ნაბიჯების გადადგმა ანტანტასთან შეუთანხმებლად ჯერჯერობით არ შეგვიძლია... დრო მალე გვიჩვენებს რა სამსახურის გაწევას შეძლებს რუმინეთი მეგობარი ქვეყნის – საქართველოს სასარგებლოდ“.⁵ ამავე საუბრის დეტალს გადმოსცემს ის აკ. ჩხენკელისადმი 1919 წლის 22 აგვისტოს მიწერილ წერილშიც. ქართული მისიის ხელმძღვანელისთვის ბრეტუანუს უთქვამს: „მთელი ჩვენი სიმპათია თქვენკენ არის, ხოლო ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა არ არის სავსებით გამორკვეული და ამისათვის ვერავითარ ნაბიჯს (sic!) ვერ გადავსდგამთ საგარეო პოლიტიკაში მოკავშირეთა დაუკითხავათ – მოვიცადოთ ცოტა კიდევ და

¹ „Ilustrațiunea Armatei” Nr. 1-2, 15 iunie 1919, p. 23-24.

² იგულისხმება ს. ასათიანის საქართველოს ლენჩუშისა და სვანეთის რეგიონში კომისრობის პერიოდი, მის დიპლომატიურ კარიერამდე.

³ I.M. La Géorgie. Journal de Genève N188, 10 Juillet 1919
https://www.letempsarchives.ch/page/JDG_1919_07_10/2

⁴ Românimea: ziar de dimineață N201. 25 ივლისი 1919, 2 <https://dspace.bcuculj.ro/handle/123456789/89626>

⁵ კილაძე, სიმონ. საქართველო-რუმინეთი: ურთიერთობის უცნობი ფურცლები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 55 (2168), 26 მარტი 1996, 1-2 (სცსა, ჰარვარდის ფონდი, საქმე 140. ფოტოპირი).
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/130554>

შემდეგში ნახავთ თუ რა სამსახურის გაწევა შეუძლია რუმინიას თავის მეგობარ ქვეყნებისადმი-
ო, უპასუხა მისსიას რუმინეთის მთავრობამ მინისტრთა თავმჯდომარის პირით“.¹

იმავე გაზეთის Româniea 20 აგვისტოს ინფორმაციით ქართული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი ს. ასათიანი მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს, ალექსანდრუ კონსტანტინესკუს მიუღია.² ამ შეხვედრას ახსენებს ასათიანი აკ. ჩხენკელისადმი მიწერილ წერილში და მემუარებშიც. კონსტანტინესკუსთან საუბრის თემა საქართველოსა და რუმინეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას ეხებოდა, კერძოდ, საუბარი შეეხო რუმინული ხორბლის ქართულ თუთუნზე გაცვლას. ასათიანი ჩხენკელს მოახსენებდა უკვე მიმდინარე სავაჭრო მოლაპარაკებაზე რუმინეთის მთავრობასთან და ამასთანავე, ასაბუთებდა რა საქართველოს ეკონომიკისთვის რუმინეთის მნიშვნელობას, საჭიროდ მიიჩნევდა რუმინეთის მისიაში ეკონომიკური პროფილის დიპლომატის ყოფნასაც:

„ამასთანავე მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ რუმინიის მთავრობამ ამ უკანასკნელად აღგვითქვა ყოველგვარი დახმარება იმ საქონელით რაც მას მოეპოვება და რაც ჩვენ გვჭირდება. ამ გზობისად იძლევა რამდენიმე ას ვაგონ პურს (ხორბალს) თუთუნზე გაცვლით. რუმინიის მისიისათვის საჭირო იქნება ვაჭრობა-მრეწველობის საკითხის მცოდნე პირი“.³

თავის მემუარებში ს. ასათიანი აღნიშნავს, რომ მან იცოდა რა, რომ საქართველოში სურსათის გაჭირვება იყო, რუმინეთის ვაჭრობის მინისტრს დახმარებისთვის მიმართა. მინისტრი დაპირებია საქართველოსთვის 40 ვაგონი პურის⁴ მიცემას თუთუნის სანაცვლოდ. ოდესიდან გაგზავნილი ტელეგრამის შინაარსიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, საუბარი უნდა ყოფილიყო ასევე პურის ქვანახშირზე გაცვლის შესაძლებლობაზეც. ეს მტკიცდება ასევე პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე საქართველოს მთავრობის დელეგაციის 1919 წლის 28 ნოემბერს გამართული სხდომის ოქმითაც.⁵

როგორც ჩანს, თავისი მისიის დასასრულს ასათიანი კვლავ გააქტიურებულა უცხოელ დიპლომატებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ მხრივ, გამოირჩევა 20 აგვისტო, როდესაც ს. ასათიანი ერთი დღის განმავლობაში ერთდროულად სამი ქვეყნის წარმომადგენელს შეხვედრია,⁶ – პოლონეთის ელჩს (მინისტრს) – გრაფ ალექსანდერ სკშინსკის, ⁷ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენელს – ბოჰუმირ ჩერმაკს, ⁸ და უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მისიის ხელმძღვანელს – კონსტანტინ მაციევიჩს. ⁹ სამწუხაროდ, პოლონეთის, ჩეხეთისა და უკრაინის დიპლომატიურ არქივებში ამ საუბრის ჩანაწერების ან მასზე მისიათა ხელმძღვანელების შეტყობინების პოვნის ცდა ჯერ-ჯერობით უშედეგო აღმოჩნდა.

მისიის მოულოდნელი შეწყვეტა და შედეგები

1919 წლის აგვისტოს ბოლოს რუმინეთში საქართველოს მისია მოულოდნელად შეწყდა. 20-22 აგვისტოს შემდეგ, მისიის საქმიანობაზე ცნობები აღარ გვაქვს. ს. ასათიანი წერს, რომ ის რუმინეთიდან, ჟენევის გავლით, პარიზში ჩასულა 1919 წლის ნოემბერში. სოსიპატრე

¹ სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

² Româniea: ziar de dimineață N227, 20 Aug. 1919, 2 <https://dspace.bcuculuj.ro/handle/123456789/89441>

³ სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

⁴ საინტერესოა, რომ ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერილში ის „რამდენიმე ას ვაგონზე“ ლაპარაკობს.

⁵ სცსა, ფონდი: 1864, ანაწ. 2, საქ. 129, ფურც. 135-136.

⁶ Româniea: ziar de dimineață N227, 20 Aug. 1919, 2 <https://dspace.bcuculuj.ro/handle/123456789/89441>

⁷ Aleksander Józef Skrzyński, 1882-1931.

⁸ Bohumil Čermák, 1870-1921.

⁹ Мацієвич Костянтин Андріанович, 1873-1942.

ბუქარესტიდან აგვისტოს ბოლოს უნდა გამგზავრებულიყო. ამ თარიღს აზუსტებს ჟენევიდან აკაკი ჩხენკელის 1919 წლის 29 აგვისტოს წერილი პარიზში საქართველოს დელეგაციისადმი, სადაც ის აღნიშნავს: „ზემოთ მოვიხსენიე ასათიანი, ის ჩამოვიდა ბუქარესტიდან, სადაც გაიგზავნა საქართველოს მთავრობის ბრძანებით კიევიდან“.¹ მაშასადამე, ს. ასათიანი ბუქარესტიდან ჟენევაში გამგზავრებულა 29 აგვისტოს წინა დღეებში. იქიდან ის გაემგზავრა პარიზში, რის შესახებაც ასევე აკაკი ჩხენკელის 22 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან ვიგებთ, სადაც ის ამბობს, რომ ასათიანი პარიზში ერთი თვის ჩამოსულიაო: „ბუქარესტიდან ერთი თვეა ჩამოვიდა ჭ. ასათიანი.“² პარიზის დელეგაციის გადაწყვეტილებით ბუქარესტში წარმომადგენლობა გაუქმდა, რასაც მე არ ვეთანხმები. შეგვეძლო იქიდან ინფორმაციები მიგველო უკრაინა-რუმინიის დამოკიდებულებაზე, დამოკიდებულება დაგვეყარებინა ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან, მაგრამ პარიზის დელეგაცია არ დამეთანხმა.“³

1919 წლის 22 აგვისტოს წერილში ჩხენკელისადმი ასათიანი, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთგვარად აჯამებს რუმინეთის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში: „თვით რუმინია უფრო ხის ჯერ-ჯერობით გადადგას რაიმე პოლიტიკური ნაბიჯი ჩვენს სასარგებლოდ. სახეში მაქვს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხი ... და მართლაც პოლიტიკური აზრი რუმინიის პოლიტიკურ მოღვაწეთა - როგორც შინ, ისე გარეთ - დასტრიალებს თავს დიდი რუმინიის შექმნის იდეას - რაც დღეს კიდევაც იმარჯვებს. ეს იდეა აიძულებს რუმინიას დიდი სიფრთხილით მოქმედებას რათა მოკავშირეთა წყრომა არ გამოიწვიოს...“.⁴

ვერ ვიტყვით, რომ ბუქარესტში მისიის გაუქმება ს. ასათიანისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. როგორც ჩანს, მას ასეთი განცდა უკვე რუმინეთში ყოფნის დროს გაუჩნდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ის ყოველთვის ცდილობდა საქართველოს მთავრობისთვის და, განსაკუთრებით, პარიზში მყოფი საქართველოს დელეგაციისთვის აეხსნა რუმინეთის მნიშვნელობა საქართველოსთვის, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით და ამ მხრით დაესაბუთებინა ბუქარესტში მისიის არსებობის აუცილებლობა. მთავრობისადმი ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში ის ასე ასაბუთებდა თავის აზრს: „ჯერ ერთი, რუმინეთი მდიდარია პურით, მეორეც - მის ტერიტორიაზე გადის უმოკლესი და იაფი გზა დასავლეთ ევროპისაკენ...“.⁵ აკ. ჩხენკელისადმი 1919 წლის აგვისტოში გაგზავნილ ანგარიშში კი დაწვრილებით წერდა:

„მიუხედავად იმისა, რომ რუმინიას დღეს დღეობით ბევრის გაკეთება არ შეუძლია ჩვენთვის განსაკუთრებით პოლიტიკურად, მისია მაინც ნახულობს საჭიროდ, რომ საქართველოს ყავდეს წარმომადგენლობა ამ ქვეყანაში რა სახითაც უნდა იყოს ის. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი: 1) რუმინია დიდ როლს თამაშობდა პოლიტიკურად აღმოსავლეთში. გადიდებულ რუმინიაში ეს პოლიტიკა - პოლიტიკა აღმოსავლეთის, იწარმოებს უფრო ფართო ფარგლებში. ჩვენ, როგორც ნაწილი აღმოსავლეთ ევროპის - ამ პოლიტიკას გვერდს ვერ აუვლით - ასე თუ ისე, მისი პასიური თუ აქტიური მონაწილე შევიქნებით - თუ რასაკვირველია დამოუკიდებელი დავრჩებით. 2) რუმინია ერთი უმდიდრესი მხარეთაგანია, განსაკუთრებით კი ნაფთით და ხორბლეულობით - ეს უკანასკნელი მაინც მეტად გვაინტერესებს ჩვენ, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით თუ რა მდგომარეობაში იქნება რუსეთი და ან ჩვენ როგორ დამოკიდებულებაში ვიქნებით

¹ სცსა, ფონდი 1864, ანაწერი: 2, საქმე: 122, ფურც. 34.

² ამ შემთხვევაში ჩხენკელი ასათიანს შინაურული სახელით - „ჭიჭიკო“ იხსენიებს.

³ სცსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 89, ფურც. 13.

⁴ სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

⁵ კილაძე, სიმონ. საქართველო-რუმინეთი: ურთიერთობის უცნობი ფურცლები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 55 (2168), 26 მარტი 1996, 2 (სცსა, პარვარდის ფონდი, საქმე 140. ფოტოპირი).

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/130554>

მასთან. თუ მივიღებთ მხედველობაში მიმოსვლის სიადვილეს (შავი ზღვა, რუმინიის პორტები – კონსტანცა-გალაცი – ეს უკანასკნელი ღუნაიზე არის) ადვილათ წარმოსადგენია თუ რამდენათ დიდი მნიშვნელობა ექნება ეკონომიურად რუმინიას დამოუკიდებელ საქართველოსთვის. საქართველოს დასავლეთთან დიდი კავშირი ექნება ამ შემთხვევაშითაც, რუმინია დიდ სამსახურს გაგვიწევს, როგორც წყლით ღუნაიზე – ისე ხმელეთით. ამასთანავე, ისეც მისაღებია მხედველობაში, რომ დღეს უკვე შეუდგენ განხორციელებას, შეეცარიის შავ ზღვასთან დაკავშირების გეგმისას, რაც საშუალებას მოგვცემს რუმინიის შემწეობით საშავლო ევროპის სახელმწიფოებთან და შეეცარიასთან იოლი მიმოსვლა და მუდმივი კავშირი გვექნეს. ამის შესახებ შემდეგ მექნება შემთხვევა ცალკე მოხსენება გაახლოთ. ჩვენი დამოუკიდებლობა და მისი შერჩენის საკითხი სრული სავსებით დაკავშირებულია ჩვენს ეკონომიურად სიძლიერეზე. ვერც ვილსონის პრინციპები და ვერც სამართლიანობის და უფლების აღდგენის ლოზუნგი ჩვენი დამოუკიდებლობის გარანტიათ ვერ გამოდგება. გარდა ამისა, რუმინია პუნკტი იქნება საერთოერთო ინფორმაციისათვის – აქ ჩვენი წარმომადგენლობის საშუალებით დასავლეთს ეცოდინება თუ რა ხდება ჩვენში და ჩვენ კი თუ რა ხდება დასავლეთში. ყველა ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო რუმინიაში ჩვენი წარმომადგენლობის ყოლა აუცილებელია, რათა აქედანვე იქნეს მზადება მჭიდრო კავშირის დაკავების ამ ორ მეგობარ და შეიძლება ითქვას – მეზობელ მხარეთა შორის...“¹

ამ პრაგმატული წერილის ბოლოს, ასათიანი იმედგაცრუებას ვერ მალავს ვერც საქართველოს მთავრობისა და ვერც პარიზში საქართველოს დელეგაციის მიმართ იმ ინერტულობის გამო, რომელსაც ისინი იჩენდნენ ბუქარესტში საქართველოს მისიის მიერ დასმული საკითხების მიმართ. მას ერთადერთ თანამოაზრედ აკაკი ჩხენკელი მიაჩნდა, როგორც ევროპულ საკითხებში ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსი და გამორჩეული დიპლომატი და გულისწუხილითა და თხოვნით მიმართავს:

„მე ვერავითარი პასუხი ვერ მივიღე ვერც საქართველოს მთავრობიდან და ვერც პარიზის მისიისგან, რომელთაც მე გადავუგზავნე მოხსენებანი და აგრეთვე მიმართვა, რომ ეპასუხნათ ზოგიერთ საკითხებზე, რომელთა გამორკვევა ჩემთვის მეტად საჭირო იყო. ეხლა გადავსწავიტე თქვენ გაახლოთ ეს მოხსენება, როგორც საქართველოს საგანგებო წარმომადგენელს. გთხოვთ უმორჩილესად განიხილოთ და კეთილ ინებოთ მაცნობოთ თქვენი აზრი, როგორც მისიის მოქმედების შესახებ ისე რუმინიაში წარმომადგენლობის ყოლის. თუ თქვენ დაამოწმებთ პირველს და გაიზიარებთ მეორეს, მაშინ გთხოვთ მიიღოთ შესაფერი ზომები ასეთ წარმომადგენლობის შესაქმნელათ და მისი არსებობის, ფინანსიური მხრით, საკითხის გამოსარკვევათ. აგრეთვე საჭირო იქნება ღირეკტივები და შესაფერი ქაღალდები, რადგანაც დღეს რუმინიაში მყოფ მისსიას არა აქვს არც ღირეკტივები და არც საჭირო ქაღალდები და თუ აქვს პირდაპირ დაუშვებელ ფორმაში საერთაშორისო წესთა მიხედვით“.²

როგორც ჩანს, აკ. ჩხენკელს მართლაც მალევე მიუღია ზომები რუმინეთში ქართული მისიის მომავლის გასარკვევად. უკვე 29 აგვისტოს წერილში პარიზში მყოფი საქართველოს დელეგაციისადმი იგი დაწვრილებით ლაპარაკობს რუმინეთის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის და ცდილობს დაარწმუნოს დელეგაცია, რომ სოსიპატრე ასათიანს აუცილებლად უნდა

¹ სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

² სცსა. პარვარდის ფონდი, საქმე 180, მიკროფირი.

გაეგრძელებინა თავისი დიპლომატიური მისია რუმინეთში. ამ აზრს ის, გარდა ასათიანის მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტებისა, სხვა, თავისი არგუმენტებითაც ამყარებდა:

„მე ვიზიარებ იმ აზრს, რომ საჭიროა განაგრძოს მან ბუქარესტში ყოფნა, ვინაიდან იქ ახლა ინასკეება ახალი კომბინაციები შესახებ უკრაინისა, პოლონეთისა და საზოგადოთ რუსეთისგან გამოყოფილ სახელმწიფოებისა. საჭიროა ინფორმაციები გვექონდეს იქიდან რეგულიარული, რომ შეგვეძლოს თვალ-ყურის დევნება. რუმინიას აქვს ჩვენთვის ეკონომიური მნიშვნელობაც და განსაკუთრებით, ვინაიდან მას აქვს თავისი საკუთარი გასავალი შავ ზღვაზე, ჩვენ შეგვიძლია ამ გზით, ინგლისელების დამოუკიდებლათ, პირდაპირი კავშირი ვიქონიოთ ჩვენს ქვეყანასთან, თან სააღებმძიმო გაცვლა-გამოცვლაც. რუმინია ლამობს გადიდებას და ამას კიდევ მიაღწევს ალბათ, მამსადაძე მას ექნება მნიშვნელობა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობისათვის, განსაკუთრებით დიდი რუსეთის იმპერიალიზმის შესასუსტებლათ. ბოლოს, ვინაიდან ჩვენ იქ უკვე გვყავდა წარმომადგენელი, ამიტომ უხერხულია მისი უმიზეზოთ გაქრობა ბუქარესტიდან. თუ დელეგაცია თანახმაა ჩემი აზრისა, მაშინ მან უნდა გამოუგზავნოს ასათიანს ... მთავრობის სახელით მანდატი... ამასთანავე, მე ვთვლი საჭიროთ, რომ ასათიანს მიენდოს წარმომადგენლობა ბელგრადშიც, მხოლოდ აღნიშვნით, რომ მან ბუქარესტში უნდა იცხოვროს.“¹

ჩხენკელი იქვე ამატებს, რომ მისი აზრით, ათენიც ბუქარესტის მისიას უნდა გადაეფარა, მაგრამ აღნიშნავდა, რომ იმ დროისთვის ათენში წარმომადგენელი უკვე დანიშნული იყო.² ჩხენკელისავე წერილით, რომელიც 1919 წლის 22 სექტემბრით თარიღდება, ვიგებთ, რომ მწვავე ფინანსური კრიზისის გამო, პარიზში მყოფმა სამთავრობო დელეგაციამ აკ. ჩხენკელისა და ს. ასათიანის აზრი არ გაიზიარა. ბუქარესტში მისიის დახურვა გადაწყვიტა და პრიორიტეტად დიდი ქვეყნების დელაქალაქებში წარმომადგენლობის ყოლა მიიჩნია. დელეგაციის ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგა აკ. ჩხენკელი, მაგრამ უშედეგოდ.³ როგორც ჩანს, პარიზის დელეგაცია ზედმეტად იყო ორიენტირებული მხოლოდ დასავლეთის დიდ სახელმწიფოებზე და არასათანადოდ აფასებდა რეგიონული ალიანსების (მაგ. რუმინეთთან, პოლონეთთან, უკრაინასთან) სასიცოცხლო მნიშვნელობას. ასათიანისა და ჩხენკელის წერილები სწორედ ამ ლოკალური, რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელობაზე მიუთითებდა.

ასათიანის მოგონებებიდანაც ჩანს, რომ ის ბუქარესტიდან პარიზში დროებით ჩასვლას აპირებდა და განზრახული ჰქონია უკან დაბრუნება, სადაც პირადი ნივთები და ტანსაცმელიც კი დაუტოვებია, მაგრამ მისიის უცაბედი გაუქმების გამო იქ აღარასოდეს დაბრუნებულა. სამწუხაროდ, მას ბუქარესტში დაუტოვებია მისიის არქივიც, სადაც რუმინეთში თითქმის ათი თვის განმავლობაში⁴ ჩატარებული ყოველი შეხვედრის შინაარსის ჩანაწერები ჰქონია გაკეთებული.⁵ ვინ იცის, იქნებ ოდესმე ეს ჩანაწერები რუმინეთის არქივებში აღმოჩნდეს?

საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სოსიპატრე ოქტომბრის ბოლოს უკვე პარიზშია (და არა ნოემბერში, როგორც ის წერს მოგონებებში). კერძოდ, ერთი დოკუმენტი გვამცნობს, რომ ს. ასათიანი 24 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ევროპაში საქართველოს „ცენტრალური

¹ სცსა, ფონდი 1864, ანაწერი: 2, საქმე: 122, ფურც. 33-34.

² ათენში საქართველოს წარმომადგენელი იყო ალექსანდრე (ალიოშა) მდივანი. იხ. გაიპარაშვილი, ზურაბ. ქართული დიპლომატიის ისტორიის ერთი დეტალის დასაზუსტებლად. მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის ქართველოლოგიური სამეცნიერო კითხვანი. თბ., 2022.

³ სცსა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 89, ფურც. 13.

⁴ რეალურად ასათიანმა ბუქარესტში რვა თვე დაჰყო.

⁵ ასათიანი, სოსიპატრე (ჭიჭიკო). მცირე მოგონებანი. „კავკასიონი“ 13, 1968, 104-106.

დიპლომატიური მისიის“ კანცელარიის მდივნად და ხელფასი დაენიშნა 2500 ფრანკი.¹ მეორე დოკუმენტი, ბრძანება ქართული მისიის გენერალურ მდივნად მისი დანიშვნის შესახებ კი, 25 ოქტომბრით არის დათარიღებული.² ის ამ თანამდებობაზე დელეგაციის სამშობლოში დაბრუნებამდე მუშაობდა, შემდეგ კი იყო აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით პარიზში საქართველოს ლეგაციის გენერალური მდივანი 1933 წლამდე. საფრანგეთის მთავრობის მიერ ლეგაციის გაუქმების შემდეგ, ასათიანი იყო „ქართული ოფისის“ გენ. მდივანი. გარდაიცვალა პარიზში, 1971 წლის 22 ივლისს. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

მისიის წევრთა შემდგომი ბედი

რაც შეეხება მისიის სხვა წევრებს, მათ შესახებ ძალიან ცოტაა ცნობილი. სამხედრო ატაშე, თავადი მიხეილ ფალავა კიევში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი არ ყოფილა და უცნობია თუ როგორ მოხვდა ის ბუქარესტში გასაგზავნი მისიის შემადგენლობაში. თუ ერთ საგაზეთო ცნობას ვერწმუნებით, ის ჰეტმანის მთავრობასთან „მენშევიკების“ წარმომადგენელი ყოფილა.³ მეფის არმიის ოფიცერ ფალავასთვის ჰეტმანის მთავრობასთან ურთიერთობა დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ რამდენად ოფიციალურად წარმომადგენდა ის საქართველოს მთავრობას, ეს გაურკვეველია.

ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუმინეთში საქართველოს მისიის სამხედრო ატაშე მიხეილ ფალავა და ოხოტსკის 43 პოლკის (ОХОТСКИЙ 43-й ПЕХОТНЫЙ ПОЛК) უნტეროფიცერი მიხეილ ფალავა (Пагава Михаил), რომელიც 1916 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება,⁴ ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება იყოს. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პოლკი 1916-1917 წლებში სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის საბრძოლო მოქმედებებში იღებდა მონაწილეობას – დნესტრისპირეთში, მოლდოვისა და ბუკოვინის ტერიტორიებზე.⁵ 1918 წელს, პოლკის დაშლის შემდეგ,⁶ სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული მ. ფალავა შესაძლოა უკრაინაში ქართულ მისიაში ძალიან მოკლე ხნით იქნა მიღებული, როგორც რუსეთის ყოფილი იმპერიის სამხრეთ-დასავლეთი რეგიონის სამხედრო ვითარებაში კარგად გარკვეული ადამიანი, ხოლო იქიდან მალევე, პირდაპირ რუმინეთში გაიგზავნა სამხედრო ატაშეს რანგში.

როგორც ჩანს, საგარეო საქმეთა სამინისტროდან რუმინეთში საქართველოს მისიის მომავალ ბედზე გარკვეული პასუხების არარსებობისა და სახსრების უქონლობის გამო, მაისში ასათიანმა გადაწყვიტა მ. ფალავა თბილისში გაეგზავნა. მართლაც, 1919 წლის მაისის ბოლოს ფალავა უკვე სტამბულშია, რასაც სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა საეკლესიო წიგნის ჩანაწერი ადასტურებს:

„ამა ათასცხრაას ცხრამეტსა წელსა, დღესა ოცდარვას მაისს გავხდი ბედნიერი და ვინაზულე ქართული მონასტერი კონსტანტინეპოლისა, სადაც მოვიარე, სადაც მოვიპოვე სულის სიმშვიდე და დაეტკბი აქაური სანახაობით და მიღებით აქაური ჩვენი ღვიძლი

¹ სცსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 128.

² სცსა, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 316.

³ გაზ. „კომუნისტი“, 1928 წ., 8 დეკემბერი.

⁴ Приказы о чинах военных 1916 г. за 10 август. Санкт-Петербург, 1916, 19 https://viewer.rusneb.ru/ru/000202_000006_743876%7C4D31CF0F-4CB8-49DE-8271-2058B7E3A4B3?page=393&rotate=0&theme=white

⁵

https://gwar.mil.ru/army/63/?backurl=%2Farmy%2F%3Fmilitary_unit_name%3D%D0%9E%D1%85%D0%BE%D1%82%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9%2043-%D0%B9%20%D0%BF%D0%B5%D1%85%D0%BE%D1%82%D0%BD%D1%8B%D0%B9%20%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BA%26page%3D1

⁶ Приказ русским войскам Румынского фронта 19 февраля 1918 года № 1504.

ძმების მიერ. ვბრუნდები საქართველოში იმ ნეტარ გრძნობით, რომ გადავცე მათ მოძმე მონათესავეთ მათი ეგეთი სიყვარული სამშობლოსადმი, გარჯილობა ჩვენი წმინდა სარწმუნეობა-ზნე ჩვეულება-ადათის პატრონობა-შენახვაში და თავის პატარა ერის თავისუფლება და კეთილდღეობის მსახურებაში. დიდს მადლობას გიძღვნი, ძმებო – ვვედრი უფალს თქვენს მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ. თქვენი თაყვანისმცემელი მოყვარული თავადი – მიხეილ ფალავა. 28 მაისი 1919 წ. ქ. სტამბოლი“¹

იგივეს მოწმობს ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორის, ზ. მაჩაბლის 17 ივლისის 5051 წერილი, რომლითაც ის „საქართველოს წარმომადგენელს რუმინიაში“, ს. ასათიანს ამცნობს, რომ თანახმად მინისტრის განკარგულებისა, მას ეგზავნება 100.000 მანეთი, რომლიდანაც 20 ათასი უნდა გამოიყოს მისიის სამხედრო ატაშეს ფალავას სამგზავროდ, 80 ათასი კი – მისიის ხარჯების დასაფარავად; შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის შემდეგ კი ჰპირდებოდა ახალი კრედიტის გახსნას. ამასთანავე, ვიცე-დირექტორი ასათიანს უგზავნიდა ინფორმაციას საქართველოს სამინაო და საგარეო ვითარებაზე, კავკასიაში ინგლისის სამხედრო მისიასთან მიმოწერას, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის ოქმებს და დადგენილებებს, ქართულ გაზეთებს და სხვა და სხვა. სამაგიეროდ ზ. მაჩაბელი მისიისგან ითხოვდა ცნობებისა და ევროპული გაზეთების თბილისში გამოგზავნას.²

ფალავა თბილისიდან ბუქარესტში აღარ დაბრუნებულა. რა ბედი ეწია 100.000 მანეთს და დიპლომატიურ ფოსტას, უცნობია. არდაბრუნების მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ მას მიაწოდეს ინფორმაცია აგვისტოს ბოლოს სოსიპატრე ასათიანის ბუქარესტიდან გამგზავრების შესახებ. საფუძველი იმისა, რომ ფალავამ ეს ფული მიითვისა, არ არსებობს, რადგან 1919 წლის დეკემბერსა და 1920 წლის იანვარში ბერნში საქართველოს წარმომადგენელი და აწ უკვე პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის კანცელარიის დირექტორი სოსიპატრე ასათიანი ეძებენ გზებს, როგორ გააგზავნონ ვარშავაში ჩარჩენილი მიხეილ ფალავას მეუღლე ელენე ფალავა (Hélène PAGAVA) თბილისში. 26 დეკემბერს მ. სუმბათაშვილი ს. ასათიანს აცნობებდა, რომ მისმა ნაცნობმა, ვინმე მუსილევიჩმა (Musielewicz) ვარშავიდან ბერნში ჩამოიტანა მისი „ყოფილი თანამოსამსახურის“, ბატონ ფალავას მეუღლის საბუთები, რომელიც იმჟამად ვარშავაში იმყოფებოდა. ის დელეგაციისგან ითხოვდა პასპორტს და სამგზავრო ფულს სესხად, თბილისში წასასვლელად, სადაც მისი ქმარი იყო. სუმბათაშვილის თქმით, წარმომადგენლობის შეზღუდული ბიუჯეტის გამო სესხის გაცემას თავის თავზე ვერ აიღებდა და ამიტომ სთხოვდა პარიზში მყოფ დელეგაციას, რომ საქმე განეხილა და გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დელეგაციისგან მიღებულ ფულს და პასპორტს დანიშნულებისამებრ გადააგზავნიდა ვარშავაში.³ ასათიანის პასუხი სუმბათაშვილის სახელზე გაიგზავნა 1920 წლის 2 იანვარს, რომლითაც ის ატყობინებდა, რომ დელეგაცია, სამწუხაროდ, ვერ დააკმაყოფილებს ქალბატონი ფალავას მიერ წარდგენილ 2000 ფრანკით დახმარების მოთხოვნას, რადგან დელეგაცია საფრანგეთის ფარგლებს გარეთ მსგავს დახმარებას არ გასცემს. ამავე დროს აძლევდა რჩევას, რომ შეატყობინოს ქალბატონ ე. ფალავას, რომ ამ საკითხზე მას შეუძლია მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლობას, მაგალითად, ვარშავასთან ყველაზე ახლოს მდებარე წარმომადგენლობას, ბერლინში. წერილთან ერთად ასათიანმა სუმბათაშვილს დაუბრუნა ე. ფალავას თანდართული ფოტოსურათები და ცნობები და აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტები საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ქალბატონ

¹ ფუტყარაძე, შუშანა. სტამბოლის ქართული სავანე. თბილისი: არტანუჯი, 2012, 56.

² სცსა, ფონდი: 1864 ანაწ. 1 საქ. 56, ფურც. 25.

³ სცსა, ფონდი: 1864, ანაწერი: 2, საქმე: 146, ფურც. 9 და ფონდი: 1864, ანაწერი: 2, საქმე: 199, ფურც. 23.

ფალავას თბილისში დაბრუნების საშუალება ახალი პასპორტის გაცემის გარეშე მიეცეს. თავის მხრივ, ასათიანმა დაამატა, რომ ქალბატონ ფალავას მოთხოვნას გადასცემდა თბილისში საგარეო საქმეთა სამინისტროს და სთხოვდა, რომ მისი მეუღლე საქმის კურსში ჩაეყენებინათ.¹ 6 იანვარს სუბპათაშვილი კვლავ მიმართავს ასათიანს და რადგან ქ-ნ ფალავას გადმოგზავნილი საბუთები სამგზავროდ საკმარისი არ აღმოჩნდა, ხოლო ვარშავასა და ბერლინს შორის მიმოსვლა კი აღდგენილი არ არის, დელეგაციისგან ითხოვს ნებართვას, რომ ბერნში საქართველოს წარმომადგენლობამ გასცეს პასპორტი.² ქ-ნ ფალავასთვის პასპორტის გაცემაზე ნებართვა სუბპათაშვილმა 7 იანვრის წერილით მიიღო,³ რის შემდეგაც როგორ განვითარდა მოვლენები უცნობია.

თავად მიხეილ ფალავას ცხოვრება საქართველოს ოკუპაციის შემდეგ არცთუ სასიამოვნოდ წარიმართა და, საბოლოოდ, ტრაგიკულად დასრულდა. 1928 წლის 8 დეკემბრის გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა მიხეილ მიხეილის ძე ფალავას დაპატიმრების შესახებ. სტატიის ავტორი (ფსევდონიმი „გერ“) მას აზნაურად მოიხსენიებს და უხსენებს ძველ „ცოდვებს“, კერძოდ იმას, რომ 1918 წელს ის „ამშვენებდა მენშევიკების წარმომადგენლობას კიევში (გეტმანის მთავრობასთან), ხოლო 1919 წელს შედიოდა იმ მისიაში, რომელმაც რუმინეთის მთავრობას ნოტა გადასცა საქართველოს „დამოუკიდებლად“ გამოცხადების შესახებ“. 1922 წელს მ. ფალავა პასუხისმგებლობაში ყოფილა მიცემული ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის სალაროს გაძარცვის მცდელობისთვის, მაგრამ ჩანს, მდგომარეობიდან ადვილად გამოსულა. 1923 წელს მან მოახერხა თბილისის ტრამვაის სამმართველოში მუშაობის დაწყება და მალე საქმეთა მმართველიც გახდა. 1927 წლის ივლისში ის დაუკავებიათ ტრამვაის ყალბი სამგზავრო წლიური ბილეთების გასაღებისა და, ამ გზით, 2500 მანეთის მითვისების ბრალდებით, რომელსაც ის „პურ-მარილებით“ ბევრი ადამიანის გულის მოგებასა და საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებას ახმარდა: „ფალავა ცხოვრობდა განცხრობით, კარგი ბინა, კარგი ჩაცმა, კარგი ჭამა-სმა და ხშირი ქეიფი – ყველაფერი ეს თბილისის ტრამვაის ხარჯზე! დიდებულიად გრძნობდა თავს ფალავა“, – წერს სტატიის ავტორი.⁴ ფალავას საქმე თბილისის მაზრის სასამართლოს უნდა განეხილა. ცხადია, რომ ეს სასამართლო მის სასარგებლოდ არ დამთავრდებოდა და, როგორც ირკვევა, ის არხანგელსკში გადაუსახლებიათ, სადაც ამ ამბიდან 10 წლის შემდეგ საბოლოოდ, რეპრესიებს შეეწირა. სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა სიაში მის გვარსაც ვპოულობთ (აქ ის აღნიშნულია როგორც: Пагаво Михаил Михайлович). ამ საბუთების თანახმად მიხეილ მიხეილის ძე ფალავა, დაბადებულია 1871 წელს, საქართველოში. ცხოვრობდა არხანგელსკში, სადაც დაკავებული იყო ხე-ტყის საქართველოში გაგზავნით. იქვე დაუპატიმრებიათ 1937 წლის 4 ნოემბერს, კონტრრევოლუციური აგიტაციისათვის. 1937 წლის 29 დეკემბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის არხანგელსკის ოლქის სამმართველოს „ტროიკის“ გადაწყვეტილებით, მიესაჯა დახვრეტა; დახვრიტეს 1938 წლის სექტემბერში. რეაბილიტირებულია 1989 წლის 31 ივლისს.⁵

რაც შეეხება მისიის მდივანს, ანტონ კარლის ძე კარპოვიჩს, რომელსაც მემუარებში ს. ასათიანი შეცდომით მარკევიჩად მოიხსენიებს, შეიძლება ითქვას, რომ მასზე დანამდვილებით თითქმის არაფერი ვიცით. ნიკოლაე იორგა მას იხსენიებს, როგორც სლავური გარეგნობისა და გვარისა ადამიანს, რომელიც აცხადებს, რომ არის ქართველი. აქედან გამომდინარე, ის უნდა იყოს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყების შემდეგ საქართველოში

¹ სცსა, ფონდი: 1864, ანაწერი: 2, საქმე: 199, ფურც. 29.

² სცსა, ფონდი: 1864, ანაწერი: 2, საქმე: 146, ფურც. 10.

³ სცსა, ფონდი: 1864, ანაწერი: 2, საქმე: 199, ფურც. 33.

⁴ „ფართოდ ცხოვრობდა თბილისის ტრამვაის ხარჯზე“, „გაზ. „კომუნისტი“, 1928 წ., 8 დეკემბერი.

⁵ <https://vizs.nlr.ru/person/show/70718>

გადმოსახლებულ იმ პოლონელთა შთამომავალი, რომლებიც ადვილად ინტეგრირდნენ მათდამი მეგობრულად განწყობილ ქართულ გარემოში. მართლაც, ამ გვარის სხვადასხვა წარმომადგენელი გვხვდება XIX-XX საუკუნეების თბილისურ დოკუმენტებში, მაგრამ რა ნათესაური კავშირი ჰქონდათ მათ მისიის მდივან ანტონ კარპოვიჩთან, ჯერ-ჯერობით ვერ დგინდება. როგორც ზემოთ ვნახეთ, ა. კარპოვიჩი ბოლოს, 1919 წლის აპრილ-მაისში, ოდესაში იმყოფებოდა და რუმინეთსა და საქართველოს შორის საქონლის გაცვლის საკითხებს აგვარებდა. ამ ამბის შემდეგ კი მისი კვალი სამუდამოდ იკარგება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბუქარესტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისიის ხანმოკლე, რამდენიმე თვიანი მოღვაწეობისა, მან მაინც დატოვა კვალი ქართულ-რუმინულ ურთიერთობებში. ძალიან შეზღუდულ ფინანსურ და საკომუნიკაციო პირობებში, მისიამ შეძლო დაემყარებინა კავშირები რუმინეთის პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებთან, მოეხდინა ქვეყნის პოპულარიზაცია და ახლადფენადგმული საქართველოს სახელმწიფოსთვის რუმინეთში ახალი მეგობრები შეეძინა. 1921 წლის 18 თებერვალს რუმინეთმა დე იურე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც მოკავშირე დიდ სახელმწიფოთა აღიარებას მოჰყვა, თუმცა, ვფიქრობ სამართლიანი იქნება ვთქვათ, რომ ასათიანის აქტიურმა საქმიანობამ, ნიკოლაე იორგას მსგავს ინტელექტუალებთან დამყარებულმა კავშირებმა და რუმინეთის საზოგადოებაში საქართველოს პოზიტიურად წარმოჩენამ, მოამზადა საფუძველი იმისთვის, რომ 1921 წლის 18 თებერვალს რუმინეთს საქართველოს დამოუკიდებლობა ელიარებინა. ისტორიის ტრაგიკული ირონიით, ეს აღიარება მხოლოდ მაშინ შედგა, როდესაც საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია უკვე თბილისის მისადგომებთან იდგა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის დაცემამდე სულ რამდენიმე დღე რჩებოდა.

წლების შემდეგ, თავის მოგონებებში, ს. ასათიანი იხსენებს რუმინეთში თავის ყოფნის მთავარ შთაბეჭდილებას და აღნიშნავს, რომ საქართველოს პროპაგანდისა და კავშირების დამყარების საქმეში მისთვის დიდი დამხმარება გაუწევია პროფესორ ნიკოლაე იორგას. ის დახასიათებულია, როგორც ევროპის მასშტაბით ერთი საუკეთესო ისტორიკოსთაგანი, განათლებული და დიდი პოლიტიკური მოღვაწე. რუმინეთს, საერთო ჯამში, კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია ასათიანზე, თუმცა ზოგადად აღნიშნავს, რომ იმდროინდელ მთავრობას ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეებიც. ეს, მისი აზრით, ერთი თვალის გადავლებითაც კი იგრძნობოდა იმაში, რომ ერთი მხრივ იყო დიდი სიმდიდრე, ხოლო მეორე მხრივ – დიდი სიღარიბე, რასაც ბევრ სხვა ქვეყანაშიც შეხვდებით, თუმცა პატარა ქვეყანაში ეს უფრო ნათლად ჩანსო. საბოლოოდ, იგი ასკვნის:

„ჩვენი ორი ერის ისტორია დიდად ჰგავს ერთი მეორეს: ერთი და იმავე ქვეყნებისაგან ვითანჯეობდით და იმავე ქვეყნებისაგან, ვინ იცის რა მოგველის, თუ პოლიტიკურ-ეკონომიური რეჟიმის სისტემა ძირიანბუდიანად არ შეიცვალა?! და ამ სისტემის შეცვლა მე მესმის ევროპის სახელმწიფოთა ერთი კონფედერაციის შექმნით“.

Nikoloz Nikolozishvili
Georgian International University
**EXTRAORDINARY DIPLOMATIC MISSION OF THE DEMOCRATIC
REPUBLIC OF GEORGIA TO ROMANIA (1918-1919)**
RESUME

The article examines the history of a little-known diplomatic mission of the Democratic Republic of Georgia to Romania. The Extraordinary Diplomatic Mission was established at the end of 1918, based on the Georgian Mission in Kyiv. Its members were Sossipatré Assathiany – Chief of the Mission, Anton Karpowicz – Secretary, and Prince Michel Pagava – Military Attaché.

Initially, the mission was intended to be short-term, with the goal of attending the anti-Bolshevik Jassy Conference to present Georgia's case to before the Allied and Romanian governments and secure their support.

Due to military actions between the forces of the Hetmanate and the Ukrainian People's Republic in Ukraine, the mission arrived in Iași late, after the conference had already concluded. It relocated to Bucharest and established relations with Romanian political circles, the academic community, and the local press, as well as with foreign diplomatic and military representatives present in Bucharest.

The ongoing hostilities in Ukraine and Assathiany's poor health led to the mission's stay in Romania being prolonged, ultimately lasting eight months. During this period, the mission focused its efforts on several key issues: achieving international recognition of Georgia's independence; introducing the economic and political situation of Georgia to Romanians and foreign missions; promoting economic cooperation; popularizing the country's history and culture; and highlighting its natural resources and its geographical importance as a connecting route between Europe and Asia.

Assathiany's attempt to make the Georgian Mission in Bucharest permanent was unsuccessful. Due to a severe financial crisis in Georgia, the Georgian Delegation at the Paris Peace Conference decided to close the mission in Bucharest, prioritizing representation in the capitals of the major powers. The mission concluded at the end of August 1919. During its operation, it was housed at Hotel Majestic, Calea Victoriei 38–40, Bucharest.

Following the closure of the mission in Bucharest, S. Assathiany served as Secretary-General of the Georgian Legation in Paris until its dissolution in 1933, and later as the Director of the Office for Georgian Refugees. He died in Paris in 1971 and is buried in the Georgian Cemetery of Leuville-sur-Orge. Michel Pagava fell victim to Stalin's repressions: he was first exiled to Arkhangelsk and then executed in 1938. The fate of Anton Karpowicz remains unknown after 1919.



სურ. 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია უკრაინაში (1918 წ.).
მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ალექსი სვანიძე, მიხეილ ბიბინეიშვილი, ვიქტორ თევზაია, სოსიპატრე
ასათიანი, მატვეი სკობელევი. მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ვალერიან მაქაცარია, ნიკოდიმოს
ბრეგვაძე, ანტონ კარპოვიჩი. (წყარო: იოსებ იმედაშვილის კოლექცია, საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკის ფოტო მატეიანე)



სურ. 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო დიპლომატიური მისია რუმინეთში
(1918 წ.). მარცხნიდან მარჯვნივ: მიხეილ ფალავა, სოსიპატრე ასათიანი, ანტონ კარპოვიჩი. (წყარო:
იოსებ იმედაშვილის კოლექცია, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო მატეიანე)

ადამიანის კონცეფცია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“

დავით აღმაშენებელმა თავისი ცხოვრების მიმწუხრს თანამოსახელის, დავით წინასწარმეტყველის, კვალობაზე შექმნა საგალობელი, რომელშიც ასახა კაცობრიობის ისტორია ღმერთის მიერ ადამიანის შექმნიდან მოყოლებული, პირველქმნილი ადამიანის ცოდვით დაცემა და შემდგომ ადამიანთა სწრაფვა პირველსახის დასაბრუნებლად, რისთვისაც აუცილებელია სინანულის განცდა, აღსარების მოთხოვნილება და სურვილი, იმის აღქმა, რომ პირველქმნილი ცოდვა მისი საკუთარი ცოდვაა; შესაბამისად, საგალობელში ადამიანის ინდივიდუალური განცდა და სინანული ზოგადსაკაცობრიო დონეზეა აყვანილი. ეს საგალობელი მეფე-პოეტის სულიერი აღსარება იყო, რომლითაც, ერთი მხრივ, ადამიანის ზნეობრივი იდეალი შექმნა, მეორე მხრივ, ანტიგმირის მოდელი შექმნა.

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ მეცნიერული კვლევა, მართალია, XIX საუკუნიდან დაიწყო, მაგრამ იგი იმდროინდელ მეცნიერულ დონეს შეესაბამებოდა და არსებითი ხასიათისა არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მაინც გამოითქვა მოსაზრებები, რომლებიც მეოცე საუკუნეში სიღრმისეულად იქნა განხილული. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, დავითის საგალობელი სახისმეტყველებითი ასპექტებით, იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით ძირითადად ფსალმუნებსა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მსოფლმხედველობას, სახისმეტყველებასა და ჰიპოდიმურ-პარადიმულ სტრუქტურას უახლოვდება. დავით წინასწარმეტყველის, სოლომონისა და დავითის თხზულებებს შორის საერთო ნიშნები დაინახა ა. ხახანაშვილმა¹, ხოლო წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის საგალობელთა მსგავსება პირველმა ა. გებელიძემ შენიშნა². კორნელი კეკელიძემ დავით აღმაშენებლის საგალობელში აზრისა და გრძნობის სიღრმე და სიტყვაკაზმულობა დაინახა, რის საფუძვლადაც დავითის ღრმა განათლება მიიჩნია³. თანმიმდევრულად, მხატვრული სპეციფიკის გათვალისწინებით, საღვთისმეტყველო საზრისის ასახვითა და ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მოძღვრებათა შედარების საფუძველზე თხზულება განიხილა ლაურა გრიგოლაშვილმა, რომელმაც შეისწავლა ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საერთო პრობლემები, რომელთა საფუძველზეც იკვეთება თხზულების მხატვრული მოდელი; მან კვლევა მიმართა თხზულების იდეური და მხატვრული შინაარსის გახსნისაკენ, მისი ტექსტოლოგიური პრობლემატიკის შესწავლისა და დადგენისაკენ, რომელთა გარეშე უშუალოდ ტექსტის სწორი გააზრება შეუძლებელი იქნებოდა. განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სამყაროს არსისა და ადამიანის შესახებ ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო შეხედულებები და მათი ურთიერთმიმართება, ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპები და ნორმები, სინანულისა და აღსარების საღვთისმეტყველო არსი და საზრისი, ესქატოლოგიური შეხედულებანი, ღვთისმშობლის კულტი, მხატვრული სახის ბუნების, საგალობლის რიტმისა და კომპოზიციის საკითხები. პირველმა დააჯგუფა და შეაფასა საგალობლის შემცველი ხელნაწერები და

¹ А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, Вып. I, Москва, 1897, гл. 125.

² А. Гзелиев, ДзеглисЦера (Хартия) грузинского царя Давида III Возобнавителя, Тбилиси, 1898: гл. 6.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 271-272.

გამოცემები, საგალობლის ტექსტს დაურთო მეცნიერული კომენტარები¹. აგრეთვე, სხვადასხვა კუთხით საგალობელი განხილულია ი. ჯავახიშვილის², შ. ნუცუბიძის³, ა. გაწერელიას⁴, მ. კაკაბაძის⁵, ნ. ნათაძის⁶, ზ. ჭავჭავაძის⁷, რ. ბარამიძის⁸, რ. მეტრეველის⁹, ი. ცინცაძის¹⁰, ვ. აბაშმაძისა¹¹ და სხვა მკვლევართა მიერ.

საგალობელი ბიბლიური სახისმეტყველებითაა გამსჭვალული, რასაც მოწმობს მასში გამოყენებული ბიბლიური სიუჟეტების ამსახველი პასაჟები, ბიბლიურ პერსონალიათა ჰიპოდოგური ხატ-სახეები, ბიბლიური ენიგმები. თხზულების საფუძველი, ისევე როგორც დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებისა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ შექმნისა, სინანულის მოტივია, რაც პიროვნების სულიერი ზედასვლით სრულდება. მათში ერთდროულად ვლინდება უღრმესი წუხილი და სინანული ადამიანის შინაგანი სამყაროს დაცემის, სულიერი დაცემის გამო, რაც განაპირობებს სწრაფვას უზენაესისაკენ, ზრუნვას პიროვნების ზნეობრივი ამაღლებისა და სრულყოფისაკენ. სწორედ ეს დებულება უდევს საფუძვლად საგალობელში ლირიკული გმირის ხატ-სახისა და ანტიგმირის ჩვენებას. საგალობელში ასახული სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორია და კაცობრიობის მიერ გავლილი გზა, ღმერთის მიერ ადამიანის შექმნიდან მოყოლებული, პირველქმნილი ადამიანის ცოდვით დაცემა და შემდგომ ადამიანთა სწრაფვა პირველსახის დასაბრუნებლად ლირიკული გმირისა და ანტიგმირის წარმოსახვით სახიერდება. გმირისა და ანტიგმირის თემა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში აქტუალურია, რადგან ჰაგიოგრაფიაში, ჰომილეტიკასა და ჰიმნოგრაფიაში დადებითი, იდეალური გმირის გვერდით უთუოდ ჩნდება უარყოფითი პერსონაჟიც, რომელთა არსებობა მხატვრულ ლიტერატურაში დადებითი პერსონაჟის უკეთ წარმოჩენას ისახავს მიზნად. საგალობლებში ამ მხრივ საყურადღებოა იესო ქრისტესთან დაკავშირებულ პერსონალიათა ხსენება, რათა მსმენელს/მკითხველს უკეთ შეაცნობინოს მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნება, ძალმოსილება და სიღაღდე.

დავით აღმაშენებლის საგალობლის ლირიკულ გმირს ახასიათებს სინანულის მძაფრი განცდა, აქვს აღსარების მოთხოვნა და სურვილი, რომ პირველქმნილი ცოდვა მისი საკუთარი ცოდვაა, რაც ადამიანის ინდივიდუალური დამოკიდებულებიდან ზოგადსაკაცობრიო ღონეზეა აყვანილი; ესაა თვით ავტორის შინაგანი სამყაროს სიმდიდრის, ზნეობრივი პასუხისმგებლობის, სულიერი განწყობისა და ამაღლების, განდმრთობის საწინდარი. მეფე-პოეტმა თავისი საგალობლით ადამიანის ზნეობრივი იდეალი შექმნა. ლაურა გრიგოლაშვილის სიტყვით, „გალობანი სინანულისანი არის ჰიმნი ადამიანზე, რომელიც სამყაროს საფეხურების დაღმავალი და აღმავალი გზით შინაგან განწყობასა და სრულქმნას აღწევს“¹². საგალობლით, მეფე-პოეტი საკუთარი თავის უმკაცრეს მსაჯულად წარმოგვიდგება, იგი საკუთარ თავს პირველი ადამიანის, ადამის შთამომავლად და მემკვიდრედ მიიჩნევს, როდესაც ამბობს: „ხატსა

¹ ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბილისი, 2005, 296 გვ.

² ი. ჯავახიშვილი, დავით აღმაშენებლის პიროვნება, შინაური პოლიტიკა და საკულტურო მოღვაწეობა // ქართველი ერის ისტორია, მეორე წიგნი. – თხზ. 12 ტომად, ტ. 2, თბილისი, 1983, გვ. 219-220.

³ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბილისი, 1958, გვ. 23-25.

⁴ ა. გაწერელია, სკიპტრა და საფლავი, ჟ. „ჯვარი ვაზისა“, 1989, № 1, გვ. 80-81.

⁵ მ. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა. მნათობი, 1962, №4, გვ. 137-139.

⁶ ნ. ნათაძე, დროთა მიჯნაზე, თბილისი, 1974, გვ. 48-52.

⁷ ზ. ჭავჭავაძე, ლიტერატურათმცოდნეობა. წერილები. თარგმანი. თბილისი, 1993, გვ. 52-159.

⁸ რ. ბარამიძე, ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი, თბილისი, 1995: 15-21.

⁹ რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2018, გვ. 282-283.

¹⁰ ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, (X-XVI სს.), თბილისი, 1954, გვ. 174.

¹¹ ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1969, გვ. 336.

¹² ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბილისი, 2005, გვ. 177.

თ სსა მამსგავსე“, და თავს ცოდვილად მიიჩნევს, რასაც ღვთაებისაგან, პირველსაზისაგან, უმაღლესი „მესაგან“ დაცილებით ხსნის. სწორედ აქ იჩენს თავს ანტიგმირის პრობლემა, რაც ადამისა და ევას პირველცოდვასთანაა დაკავშირებული. გვირგვინოსანი მეფე თხზულებაში ჩამოთვლილ კაცთა მოდგმის მიერ ჩადენილ ცოდვებს საკუთარ ცოდვებად აღიქვამს და საკუთარ თავს უცოდვილესად სახავს: „მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართად“, რითაც ანტიგმირის თვისებები წარმოჩნდება, მაგრამ, ამავე დროს, პერსპექტივა ისახება ადამიანის სულიერი განახლებისა. ავტორმა პირველსავე ტროპარში გმირისა და ანტიგმირის სახე-იდებები ერთმანეთს დაპირისპირებულად წარმოაჩინა და უარყოფით კონტექსტში წარმოდგენილი ანტიგმირის, დაცემული ადამიანის თვისებების მომავალი სულიერი განახლების მოლოდინი დაინახა. ამიტომ შეიძლება დავსვათ კითხვები: საზოგადოდ, როგორია ჰიმნოგრაფიის პერსონაჟი-გმირი და ანტიგმირი? რა არის მათი მახასიათებლები, საერთო და განმასხვავებელი ნიშნები? რისთვის დასჭირდა დავით აღმაშენებელს კაცობრიობის ბუნების უარყოფით თვისებებზე მსჯელობა მაშინ, როდესაც საგალობელი ჩვეულებრივ იდეალური პერსონაჟის წარმოსახვად იქმნება, ლირიკულ გმირად წარმოსახულ წმინდანს//ადამიანს აქებს? ჰიმნოგრაფიის მიზანდასახულება არ არის უარყოფითის ჩვენება, პირიქით, მთავარია ზესთასოფლად გადანაცვლებული წმინდანის განდმრთობისა და ღმერთთან ზიარების ასახვა, პიროვნების ინდივიდუალურ განცდებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ დავით აღმაშენებლის საგალობელში უარყოფითი თვისებების ჩვენებით დაისახა მისი გამოსწორების გზები, რაც გარდაუვალია, რადგან საწყისის, დასაბამის მქონე მხოლოდ სიკეთეა, არეოპაგიტული მოძღვრების კვალობაზე კეთილი იმარჯვებს, ბოროტი მარცხდება; ბოროტი მხოლოდ იქ იჩენს თავს, სადაც სიკეთე კლებულობს. ანტიგმირი სიკეთის ნაკლებობის შედეგად ჩნდება, მაგრამ ქრისტიანული ღმერთი მოწყალე ბუნებისაა და ადამიანს არასოდეს ტოვებს გასაჭირში, მას ეძლევა შესაძლებლობა, დათრგუნოს ბოროტი, უარყოფითი თვისებები და საბოლოოდ დადებითი პერსონაჟის სახედ ჩამოყალიბდეს. დავით აღმაშენებელს გმირისა და ანტიგმირის გააზრებისას წინამორბედებად ჰყავდა წმ. დავით წინასწარმეტყველი და წმ. ანდრია კრიტელი. ფსალმუნები ცოდვილი ადამიანის ლირიკულ აღსარებად შეიქმნა, საზოგადოდ, ლირიკული პოეზიის განვითარებას ფსალმუნთა წიგნით დაედო საფუძველი. ადამიანის შინაგანი სამყაროს, თვითშემეცნების გზისა და მისი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის წარმოჩენა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებით დაიწყო. ესაა ადამიანის პიროვნულ, ინდივიდუალურ განცდათა ასახვის საუკეთესო ჰიპოდოგმური ნიმუში, რომელსაც მიჰყვებიან წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი თავიანთ საგალობლებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გმირისა და ანტიგმირის საკითხი დასმულია ფსალმუნთა წიგნში, წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონსა“ და დავით აღმაშენებლის „გალობანში“, რომელთა ლირიკული გმირები თვით თხზულებათა ავტორები არიან და რომელთა თვითშემეცნება აღმავალი გზით მიემართება. მათი უმთავრესი მიზანია ადამიანის პიროვნულ გრძნობათა და ინდივიდუალურ განცდათა ასახვა, რაც ამ თხზულებებს ძველი აღთქმის გალობებისა და ჰიმნოგრაფიული პოეზიისაგან საკმაოდ განასხვავებს.

ლირიკული გმირის ამგვარი ასახვა ჰიმნოგრაფიული თხზულების შემოფარგლული და შემოსაზღვრული თემატიკის გამო, კერძოდ, ღვთის დიდებისა და ქების, საღვთო-საღვთისმშობლო დღესასწაულებისა და წმინდანებისადმი მიძღვნილ საგალობელთაგან, განსხვავებულია ფსალმუნებში, წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის საგალობლებში, რადგან ისინი ავტორთა სულიერი განწყობის, განცდის, შინაგანი მდგომარეობის, სინანულის, აღსარების, საკუთარი თავის მიმართ მოთხოვნის, პასუხისმგებლობის, ღვთისადმი ვედრებისა და შენდობის თხოვნის, ფიქრის, განსჯის ასახვას ეძღვნება. ამ თვალსაზრისით წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მსგავსად, დავითის

საგალობლის ჰიპოდოგური საფუძველი დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებია, რომელთაგან საგანგებოდ უნდა გამოიყოს 50-ე ფსალმუნი. ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია მე-14 და 23-ე ფსალმუნთა რაობის გათვალისწინება და მისი მიმართების დადგენა დავით აღმაშენებლის საგალობლის სახისმეტყველებითი თვალთახედვით გასააზრებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით წინასწარმეტყველისა და დავით აღმაშენებლის სამეფო ხელისუფლების, გენეალოგიის იდეოლოგიური მიმართებები, რის შესახებაც ელდარ მამისთვალისშვილმა აღნიშნა, რომ ბიბლიური „დავითი გამორჩეული იყო არა მხოლოდ გვიანდელი ინტელექტუალებისათვის, არამედ ძველი აღთქმის ავტორებისთვისაც“¹. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დავით წინასწარმეტყველს არაერთი ცოდვა ჩაუდენია, მაგრამ მისი მთავარი ღირსება ის იყო, რომ მან შეძლო მონანიება, რითაც იგი, საზოგადოდ, მეფის წინასახედ, არქეტიპად მოიაზრება. დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა მიხედვით დავითი თავისი ჩადენილი ცოდვებით ანტიგმირის სახით წარმოგვიდგებოდა, რომ არა მისი იშვიათი უნარი ცოდვათა აღიარებისა და სინანულისა, რის გამოც მოგვევლინა მისაბამ და სანიშნო მეფედ და მისი სახე ჰიპოდოგმად იქცა შემდგომი ხანის ლირიკული თხზულებებისათვის. ნიმუში 50-ე ფსალმუნია. ჩადენილ შეცოდებათა შეგნების გასაოცარი უნარი და მაღალი ეთიკური მრწამსი, რომელიც დავით აღმაშენებლის საგალობლიდან გამოსჭვივის, ფსალმუნთა ლირიკული გმირის ფენომენს, ჰიპოდოგურ სახისმეტყველებას, ემყარება, რომლის პარადიგმული წარმოსახვა ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ყველაზე მკაფიოდ წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონია“.

ამ სამ ავტორთან არის დასმული ლირიკული გმირისა და ანტიგმირის საკითხი, ხოლო სხვა ავტორთა საგალობლები, მთელი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა ამ პრობლემას ძალზე მკრთალად ასახავს. ეს გასაგებიცაა მათი თემატიკის გათვალისწინებით. საგალობელში უარყოფითი ფენომენის, ანტიგმირის ხსენება საკმარისი ფაქტორი არაა. მხოლოდ ისეთი შემთხვევები შეიძლება დავიმოწმოთ, როდესაც ჰიმნოგრაფი ახსენებს იესო ქრისტეს მტრებს ან ბიბლიურ//ჰაგიოგრაფიულ უარყოფით პერსონაჟებს, რომელთა რიგში უნდა მოვიანოთ გლისპი და გამცემი იუდა ისკარიოტელი, „მძლავრის“ ზედწოდებით დასახელებული საქართველოს მტრები, როგორც ეს წმ. აბოსადმი მიძღვნილ საგალობლებში გვხვდება, ან ვინმე ოზანი, რომელიც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილ საგალობელშია დამოწმებული როგორც წმ. ეფთვიმეს ნათარგმნ თხზულებათა ხელმყოფი.

დავითმა საქართველოს სამეფო ტახტი 16 წლისამ მაშინ ჩაიბარა, როდესაც საქართველო უმძიმეს პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარების გამოსასწორებლად ახალგაზრდა მეფეს მკაცრი მეთოდებით ბრძოლა დასჭირდა ქვეყნის სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად, მის გასაერთიანებლად და დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. როგორც ლიტურგიული ცნობიერების ადამიანს მკაცრი მეთოდებით ბრძოლის გამო უთუოდ აღეძვებოდა სინანულის გრძნობა, რისთვისაც დაიწერა „გალობანი სინანულისანი“, რომლითაც ავტორმა აჩვენა საკუთარი სულის განვითარების ინდივიდუალური გზა, ინდივიდალ ჩამოყალიბების გზა. დავითის საგალობელში ლირიკული გმირი იმგვარად არაა წარმოსახული როგორც ეს სხვა ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში გვხვდება. იგი სულიერი განვითარების, სულიერი ზრდის ურთულეს გზას გაივლის, ადამის შექმნიდან მოყოლებული საკუთარი ცხოვრების თითქმის აღსასრულამდე, რისთვისაც სჭირდება იმგვარ ბიბლიურ პერსონაჟთა და ეპიზოდთა დამოწმება, რომლებშიც ადამიანის მიერ ჩადენილ ცოდვაზე, სისხლისღვრაზე ამახვილებს ყურადღებას. საგალობლის მიხედვით, ასეთი ეპიზოდებია მეორე გალობაში გადმოცემული ბიბლიური პასაჟები და პერსონალები: „კანის მკვლელები ცნობად, სეითის ძეთა ღირწებად, გმირთა სიღოლით მავალობად... მეგვპტური გულმძიმობად,

¹ ე. მამისთვალისშვილი, ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბილისი, 1998, გვ. 22; 26.

ქანანელთა ჩუეულებანი, ... კოწოლი თმათაჲ“... „ვჰმძლავრე ქორწილთა მიერ ზენეშთა“... ყოველი მათგანი, საზოგადოდ, ადამიანის სულიერი დაცემის გზის მაუწყებელია და რომლებიც ანტიგმირის ჩვენებას ემსახურება, თუმცა, საბოლოო მიზანი ადამიანის სულიერი ზეაღსვლაა, რომლითაც მიიღწევა განღმრთობა და ადამიანი ღმერთთან ზიარების ღირსი ხდება. ყოველივე ეს დავით აღმაშენებელთან იშვიათი ესთეტიზმითაა წარმოდგენილი, ხოლო ღვთაებრივის, ამაღლებულის განცდა მშვენიერია, ე. ი. ესთეტიზმს ნაზიარებია, ადამიანის ზიარება ღმერთთან სულის ხსნის უმთავრესი და უძირითადესი საშუალებაა. ადამიანის მიერ ღვთის ბაძვა და მსგავსება უთუოდ უკავშირდება მშვენიერს, რადგან სამყარო ღმერთმა შექმნა მშვენიერად, რაც ესთეტიკურ შინაარსს თავისთავად შეიცავს, ხოლო სულიერი ზეაღსვლა, ღმერთთან ზიარება, მისი წვდომა, ადამიანის განღმრთობა სულიერი განვითარების უმაღლესი საფეხურია.

დავით აღმაშენებლის „გალობანში“ ასახულია ლირიკული გმირის დადებითი თვისებები, რომელთა ჩამოყალიბება ადამიანის სულიერი ზრდის შედეგია. პოეტი-ჰიმნოგრაფისათვის, ლირიკულობისა და სულიერ-ინტელექტუალური ბუნების სიახლოვის მიუხედავად, - „გალობანის“ მხატვრულ-ესთეტიკური, მსოფლმხედველობრივი წყარო მხოლოდ ფსალმუნები და წმ. ანდრია კრიტელის საგალობელი არაა, - ისინი ჟანრობრივად, თემატურად, ფორმით ერთმანეთისაგან განსხვავდება. დავით აღმაშენებლის საგალობლის წყარო მთელი ბიბლიურ-ეპანგელური მოძღვრება და პატრისტიკული წიგნებია, ხოლო დავითის საგალობლის მხატვრული სიძლიერის საფუძველს ჰიმნოგრაფიული სახისმეტყველება ქმნის.

მეფე-პოეტმა თავისი საგალობლით ადამიანის ზნეობრივი იდეალი შექმნა, ერთი მხრივ, ადამიანის დადებითი, მისაბაძი და, მეორე მხრივ, მისი უარყოფითი თვისებების წარმოჩენით თავისი ეპოქის (არა მხოლოდ თავისი ეპოქის!) იდეალი დასახა, როგორი უნდა იყოს იგი და როგორი არ უნდა იყოს, რაც ლირიკული გმირის ხატ-სახითა და ანტიგმირის ჩვენებით შეძლო. სწორედ ესაა დავით აღმაშენებლის საგალობლის უმთავრესი მიზანიცა და ღირსებაც. ავტორის პოეტური აზროვნება, ინდივიდუალური ხელწერა იმით მჟღავნდება, რა ინტონაცია შეიტანა და რა დატვირთვა მიანიჭა თითოეულმა სიმბოლომ თუ მხატვრულმა სახემ საგალობელს. ამიტომაც მიიჩნევა დავით აღმაშენებელი დავით წინასწარმეტყველისა და წმ. ანდრია კრიტელის სულიერ მემკვიდრედ, ხოლო მისი საგალობელი ფსალმუნთა და „დიდი კანონის“ ლირიკული გმირის სულიერი ზეაღსვლის ჰიპოდოგმურ-პარადოგმული სახისმეტყველების კვალობაზე შექმნილ თხზულებად, რომელშიც ლირიკული გმირის სულიერი სამყარო ყალიბდება ადამიანის, კერძოდ, ანტიგმირის, უარყოფით თვისებათა დაძლევით. ამაში მას შეეწევა ყოველადწმიდა ღვთისმშობელი როგორც იესო ქრისტეს დედა-მშობელი, რომელმაც ვალი მიუზღა ევას და პირველცოდვა გამოისყიდა.

„არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედა თჳნიერ შენსა, არცა ჩემოდენ ბრალეულსა - ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა!“ - ასეთი ზეაწეული ინტონაციით, იშვიათი სინატიფითა და სიფაქიზით, საღვთისმეტყველო სიღრმით მთავრდება საგალობელი, რომელშიც სრულიად ნათლად წარმოჩნდება ლირიკული გმირის სულიერი აღმასვლა და ღმერთთან შეერთება რწმენის, იმედისა და სიყვარულის გზით, რომელთა შორის უპირატესად აპოსტოლური სწავლების კვალობაზე დავითიც სიყვარულს აღიარებს.

Nestan Sulava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Samtskhe-Javakheti State University

**THE HYMNOGRAPHIC TRADITION OF DEPICTING THE LYRICAL HERO AND THE
ANTI-HERO AND DAVID THE BUILDER'S "HYMN OF THE REPENTANCE"
RESUME**

The hymn "*Hymn of the Repentance*" by David the Builder is deeply rooted in biblical allusions, as evidenced by its references to biblical narratives, archetypes of biblical figures, and scriptural enigmas. The foundation of the text, much like the Psalms of David and St. Andrew of Crete's "*Great Canon*," is the theme of repentance, symbolizing spiritual transcendence. This theme intertwines with a profound exploration of the duality of human nature—mortal frailty versus spiritual aspiration. It encapsulates the internal struggle of humanity between the physical limitations of existence and the longing for divine fulfillment, shedding light on the tension between heroic virtue and its antithesis.

In this hymn, the biblical story of creation and the human journey unfolds, beginning with God's creation of man, the fall through original sin, and the subsequent efforts of humanity to return to its primordial purity. The lyrical hero, embodying repentance and striving for redemption, stands in contrast to the anti-hero, representing human frailty and moral failure. This juxtaposition creates a rich narrative of humanity's endeavor to transcend sin and achieve divine likeness.

The hero of David the Builder's hymn is characterized by the victorious struggle for righteousness, accompanied by the recognition that the burden of original sin is personal and universal. The hymn emphasizes the individual's moral responsibility and spiritual awakening, making it not merely a work of religious devotion but also a profound philosophical meditation on human nature. The lyrical hero reflects the author's inner dialogue with the cosmos, marked by a deep sense of spiritual accountability, aspiration, and transformation. This creation serves as a testament to the king-poet's vision of the ideal human being, where virtues triumph over weaknesses.

Through his hymn, David the Builder creates a spiritual ideal for humanity. By presenting himself as a humble servant of divine will, the king-poet subtly addresses the problem of the anti-hero, directly tied to the fall of Adam and Eve. The hymn's reflections on human transgressions reframe them as personal struggles and illuminate the path to repentance and renewal.

The purpose of hymnography is not to glorify human failure but to reveal the path to divine reconciliation, emphasizing the transformative journey of the soul. It seeks to direct attention to individual introspection while revealing the consequences of shortcomings. David the Builder's contemplation of heroism and anti-heroism draws inspiration from the Psalms and St. Andrew of Crete, whose works profoundly influenced the tradition of hymnographic poetry.

The Psalms, as lyrical expressions of humanity's spiritual struggle, became the ideal paradigm for conveying individual reflections, inspiring St. Andrew of Crete and David the Builder in their hymns. Their works highlight the duality of heroism and anti-heroism, where the authors themselves embody their creations, narrating their inner spiritual journey.

In "*Hymn of the Repentance*," the positive traits of the lyrical hero are portrayed as the fruit of spiritual growth. Through this hymn, David the Builder delineates an ideal of human nobility—one that balances the virtuous and the flawed, ultimately creating an image of what humanity should and should not aspire to be. This duality, embodied in the heroic and anti-heroic, forms the central theme and mission of the hymn, transcending the boundaries of personal spiritual reflection to offer a universal message of hope and redemption.

The king-poet's poetic vision and individual expression resonate through the hymn's tone and symbolism, where each image and metaphor carries profound spiritual and philosophical meaning. In this way, "*Hymn of the Repentance*" emerges as a timeless contribution to hymnographic and lyrical traditions, providing a bridge between biblical archetypes and the human quest for transcendence.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მეორე საერთაშორისო ინტერნაციონალი

პირველი ინტერნაციონალი – იგივე მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა, როგორც პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო ცენტრი, ჯერ კიდევ 1864 წელს, ლონდონში დაფუძნდა. მისი დამაარსებლები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი იყვნენ. ინტერნაციონალის ძირითადი საქმიანობა ოთხი კონგრესით შემოიფარგლა. 1872 წელს ორგანიზაცია ორ – მარქსისტულ და ანარქისტულ ფრთად გაითიშა, ხოლო 1876 წელს, ფილადელფიის კონგრესზე, მიღებულ იქნა თვითდაშლის გადაწყვეტილება.

XIX საუკუნის 80-იან წლებში მუშათა მოძრაობის შემდგომმა აღმავლობამ ინტერნაციონალის განახლება ისევ დააყენა დღის წესრიგში, რაც კიდევაც განხორციელდა. 1889 წლის ივლისში, პარიზში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ კონგრესზე დაარსდა სოციალისტური პარტიების საერთაშორისო გაერთიანება – მეორე ინტერნაციონალი. იგი სხვადასხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიულ და ლეიბორისტულ პარტიებს აერთიანებდა. 1900-იანი წლებიდან ინტერნაციონალის წევრი გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაც (რსდმპ), რომლის ბოლშევიკი თუ მენშევიკი ხელმძღვანელები რევოლუციურად მონაწილეობდნენ მის საქმიანობაში. ინტერნაციონალის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან დაახლოებულნი იყვნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებიც. ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისათვის მიმზიდველი იყო პარლამენტარიზმის, დემოკრატიისა და მასობრივი პარტიების იდეები, რომელთაც მეორე ინტერნაციონალის წევრთა უმეტესობა უჭერდა მხარს.

მეორე ინტერნაციონალს მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზნად, მშვიდობიანი ბრძოლისა და რეფორმების გზით, სოციალიზმის მიღწევა ესახებოდა, სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაციის ფორმად კი საყოველთაო საარჩევნო უფლებებზე დაფუძნებული საპარლამენტო რესპუბლიკა მიაჩნდა. ბრძოლის უახლოეს ამოცანებად დასახელებული იყო 8-საათიანი სამუშაო დღე, ბავშვებისა და ქალების სამუშაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.

ინტერნაციონალი აქტიურ კამპანიას ეწოდა ნაციონალიზმისა და იმპერიალისტური კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციას უკავშირდება ისეთი ფართოდ ცნობილი საზეიმო თარიღების დაწესება, როგორიცაა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა (1 მაისი) და ქალთა საერთაშორისო დღეები (8 მარტი).

მეორე ინტერნაციონალში შემაჯავლი სოციალისტური პარტიები თავიანთ რიგებში 380 000 წევრს აერთიანებდნენ, სოციალისტების განკარგულებაში იყო ასეულობით ჟურნალი და გაზეთი.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ახლო ხანებში, შიდა უთანხმოების გამო ინტერნაციონალი დაიშალა. იდეოლოგიურ წინააღმდეგობებთან ერთად, ორგანიზაციის გათიშვა ომისადმი დამოკიდებულების საკითხმაც განაპირობა.¹ ერთ მხარეს აღმოჩნდნენ სამოქალაქო მშვიდობის მომხრე, ხოლო მეორე მხარეს – ომში საკუთარი მთავრობების მხარდამჭერი პარტიები. წარმოიშვნენ მრავალრიცხოვანი ფრაქციები და შიდაპარტიული ჯგუფები, რამაც ეჭვქვეშ დააყენა ორგანიზებული მუშათა მოძრაობის ერთიანობა. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ ეს განხეთქილება კიდევ უფრო გააღრმავა (ბოლშევიკური პარტიის ინიციატივით, 1919 წელს ახალი (მესამე) კომუნისტური

¹ <https://www.britannica.com/topic/Second-International>

ინტერნაციონალი ჩამოყალიბდა. ვ. ლენინის ფორმულირებით, კომინტერნი ეს არის „მთელი მსოფლიოს მუშათა კავშირი, რომელიც ცდილობს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ყველა ქვეყანაში“¹).

რევოლუციური ბრძოლის მომხრეებმა (ძირითადად რუსეთის ბოლშევიკები) მეორე ინტერნაციონალი „ყვითელ ინტერნაციონალად“ მონათლეს. როგორც საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა: „მეორე ინტერნაციონალის სოციალისტური პარტიების ოპორტუნიზტმა ლიდერებმა, რომლებიც გამოვიდნენ ბურჟუაზიული ლოზუნგის „სამშობლოს დაცვის“ მხარდასაჭერად, უღალატეს სოციალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმეს და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბანაკში გადავიდნენ“.² სინამდვილეში, მრავალი ქვეყნის მშრომელთა პარტიამ თავისი ეროვნული მთავრობების პოლიტიკური პოზიცია გაიზიარა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის კონცეფციამ მარცხი განიცადა და შემდგომი თანამშრომლობის საფუძველი დიდი ხნის განმავლობაში დაიკარგა.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან მალევე დაიწყო მეორე ინტერნაციონალის აღდგენის პროცესი, რომელიც 1920 წლის ივლისში, ჟენევის კონგრესზე მისი ფორმალური განახლებით დასრულდა. ინტერნაციონალში წამყვანი როლი ინგლისელ ლეიბორისტებს, ბელგიელ სოციალისტებსა და გერმანელი სოციალ-დემოკრატებს დაეკისრათ. მანამდე, ჯერ კიდევ 1919 წლის თებერვალში, ინტერნაციონალის ბერნის კონფერენციაზე, რომელშიც ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმეტესობა მონაწილეობდა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ამ ორგანიზაციაში გაწევრების სურვილი გამოხატა. საქართველოს დელეგაციამ ბერნის კონფერენციას ასევე წარუდგინა რეზოლუცია, რომლის საპასუხოდ მიღებულ განცხადებაში აღნიშნული იყო: „კონფერენცია საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობას სთვლის საქართველოს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებად, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლების უმთავრეს დებულებას, – თვითგამორკვევას. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა უდავო პოლიტიკური შეგნება, როდესაც შეჰქმნა, მიუხედავად ყველაზე მძიმე პირობებისა, დემოკრატიული და რესპუბლიკანური წესწყობილება და დამოუკიდებელი სცხოვრობდა უკვე რვა თვის განმავლობაში. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მოითხოვს საზავო კონფერენციისაგან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იქნეს ცნობილი“.³

1919 წლის აპრილში, ამსტერდამის კონფერენციამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მეორე ინტერნაციონალის შემადგენლობაში მიიღო. ამავე კონფერენციაზე ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი მეორე ინტერნაციონალის მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომისიის წევრად აირჩიეს. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ინტერნაციონალში ოთხი ადგილი და ქართული სექციის შექმნის უფლება მიიღეს.⁴

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციამ ამსტერდამის კონფერენციას კვლავ წარუდგინა რეზოლუცია, რომლითაც ითხოვდა ინტერნაციონალის მხარდაჭერას საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებაში. კონფერენციამ სრულად გაითვალისწინა ეს თხოვნა და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. დადგენილება პარიზის

¹ В. Ленин, Крах II Интернационала, Полн. собр. соч., 5 изд., т. 26. М., 1969, с. 209-265.

² <https://www.booksite.ru/fulltext/1/001/008/055/641.htm>

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 5 ივნისი. აღსანიშნავია, რომ ბერნის და მოგვიანებით ლუცერნის კონფერენციაზე განიხილებოდა სომხეთსა და საქართველოს შორის ტერიტორიული დავის საკითხიც (სომხეთის მმართველი დაშნაკცუთუნის პარტიას ინტერნაციონალის წევრი იყო). იხ. ფ. ქაზეშაძე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის. 1917-1921, თბ., 2016, გვ. 228-229.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1825, ანაწ. 1, საქმ. 47, ფურც. 1; ასევე, ნ. ვაშაყმაძე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წლებში) და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა, ქუთაისი, 2014, გვ. 72.

სამშვიდობო კონფერენციისგან საქართველოს სუვერენიტეტის ოფიციალურად ცნობას ითხოვდა.¹

აკაკი ჩხენკელის შეფასებით: „ეს პირველია, რაც ინტერნაციონალმა გამოთქვა თავისი აზრი საქართველოს შესახებ. ...სიზარულთ ვეგებები საქართველოს საკითხის ინტერნაციონალში დასმას, ეს მოასწავებს მისი საერთაშორისო საკითხად ცნობას“. ჩხენკელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინტერნაციონალში შესვლასაც მნიშვნელოვან წარმატებად თვლიდა და მას „უმნიშვნელოვანესი ფაქტად“ მოიხსენიებდა.²

აღსანიშნავია, რომ 1919 წლის აგვისტოში ლუცერნში გამართულ მეორე ინტერნაციონალის კონფერენციაზე უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ერთა ლიგის დაარსებას. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია მაშინ მიიჩნევდა, რომ ერთა ლიგას შეეძლო თავიდან აეცილებინა უსამართლობა, უზრუნველყო ხალხთა დამოუკიდებლობა და ფართო უფლებები, გადაეჭრა ყველა სადავო საკითხი ერებს შორის ურთიერთობაში, განეხორციელებინა სრული განიარაღება და სხვ. იმავდროულად, კონფერენციამ დაგმო ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება, როგორც გამარჯვებულთა დიქტატი და მოითხოვა მისი გადახედვა ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე.³

ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესზე წარგზავნილმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა ირაკლი წერეთელმა და სხვებმა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელები საქართველოში მოიპატიჟეს, რაზეც მათ თანხმობა განაცხადეს.

რა მიზანს ისახავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი პოლიტიკური ძალა, როდესაც ევროპელი სტუმრების საქართველოში მოწვევით ასეთ მასშტაბურ აქციას გეგმავდა? მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ახალი ქართული სახელმწიფო დე ფაქტო უკვე ცნობილი იყო და საერთაშორისო ურთიერთობებში მისი ჩართვის კონტურებიც იკვეთებოდა, რესპუბლიკას სჭირდებოდა იურიდიული აღიარებაც. ამასთან, ყალიბდებოდა ახალი უნივერსალური გაერთიანება ერთა ლიგა, რომლის წევრად გახდომაც ქვეყნის უსაფრთხოების ქმედით გარანტიად აღიქმებოდა. ორივე საქმე საქართველოს ცნობადობის გაზრდას, მის ირგვლივ საზღვარგარეთ საზოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობასაც მოითხოვდა. ეს მით უფრო რომ, როგორც გაზეთი „საქართველო“ შენიშნავდა: „კულტურული ევროპა და ამერიკა დღესაც მოწამლულია იმ შხამიანი ინსინუაციებით, რომელსაც დაუზოგველად ავრცელებენ ჩვენი ერის მტრები დღეიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა“.⁴ თვალსაჩინო ევროპელ სოციალისტებს შეეძლოთ გაეფანტათ ამგვარი სიცრუის ბურუსი და ქართულ სახელმწიფოს საინფორმაციო ომის თავის სასარგებლოდ გარდატეხაში დახმარებოდნენ.

თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, პიარის აზრი კარგად ესმოდა გაზეთ „ერთობის“ რედაქტორს ვიქტორ ნოზაძეს, რომელიც წერდა: „ნურავინ იტყვის, რომ საქართველოს პროპაგანდის საქმეს დიდი მნიშვნელობა არ ქონდეს ჩვენი ქვეყნის ბედის საკითხში. ...ევროპისათვის გაცნობას, ევროპაში სახელის ქონას დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ჩვენთვის, რომელნიც გუშინ გამოვედით საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთი პროპაგანდა არ სჭირდება პოლონეთს, არ სჭირდება ფინეთს, მაგრამ მეტის მეტად გვჭირდება ჩვენ“.⁵ სწორედ ამ საჭიროების გაცნობიერებას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ევროპელ სტუმართა საქართველოში

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 119, ფურც. 1; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 5 ივნისი.

² ა. ჩხენკელი, დღიურები, წიგნი პირველი, თბ., 2021, გვ. 93.

³ Р. Костюк, Социал-демократия и Версаль, Вестник Санкт-петербургского университета, Сер. 6, 2009, Вып. 3, с. 144-145.

⁴ გაზეთი „საქართველო“, 1920 წ., 1 ოქტომბერი.

⁵ გაზ. „ერთობა“, 1920 წლის 28 ივლისი.

ვიზიტი და ქვეყნის შიგნით მოგზაურობა მთლიანად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დააფინანსა.¹

საქართველოში გამოსამგზავრებლად ინტერნაციონალის ფართო წარმომადგენლობითი დელეგაცია მარქსიზმის ცნობილი თეორეტიკოსის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერის კარლ კაუცკის² ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა. დელეგაციაში კ. კაუცკის გარდა, შევიდნენ: ჯეიმს რამზეი მაკდონალდი, თომას შოუ, ქ-ნი ეთელ სნოუდენი (დიდი ბრიტანეთი); პიერ რენოდელი, ლეონ ბლიუმი, ალფრედ ინგელსი, ადრიენ მარკე (საფრანგეთი); ემილ ვანდერველდე და კამილ ჰიუსმანსი მუღლეებითურთ, ჰიუსმანსის ქალიშვილი სარა (ბელგია), რომელიც მოგზაურობის დღიურს წერდა და დე ბრიუკერი (ბელგია).

მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა საქართველოში დაგეგმილი ვიზიტის ამბავი ფართოდ გახმაურდა. მის შესახებ არა მხოლოდ ევროპის სოციალისტური პრესა იყო ინფორმირებული, არამედ გაცილებით გავლენიანი პერიოდული გამოცემებიც. მაგალითად, ლონდონური „ტაიმსი“ ჯერ კიდევ 1920 წლის 4 აგვისტოს იუწყებოდა: „1 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის მიწვევით, სოციალისტური დელეგაცია საქართველოში გაემგზავრება, რათა შეისწავლოს იქ არსებული პოლიტიკური და სოციალური პირობები. დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ სოციალისტები, რომლებმაც ბოლშევიკური რუსეთი უკვე მოინახულეს, რათა მათ შეძლონ ამ ორ ქვეყანაში არსებული ვითარების შედარება“.³ მსგავსი შინაარსის ინფორმაცია გაზეთ „მორნინგ პოსტსაც“ დაუბეჭდავს. ამ კონსერვატიული პერიოდული ორგანოს თანახმად, „ევროპის მუშათა მისიის“ საქართველოში ვიზიტის მიზანია აქაური პირობების სხვა ქვეყნების პირობებთან შედარება.⁴

1920 წლის 5 სექტემბერს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „ერთობა“, რომელიც სტუმრებს „ინტერნაციონალის მნათობებად“, და „ძმობა-ერთობის მოციქულებად“ მოიხსენიებდა,⁵ თავის მოწინავეში წერდა: „საქართველოს დემოკრატიას შეგვიძლია მივულოცოთ: ჩვენი სათაყვანებელი მეთაურები ევროპის მუშათა მოძრაობის, საუკეთესო მებრძოლნი ამ იდეალებისთვის, რომლებმაც ჩვენ გამარჯვების კარზე მიგვიყვანა, უკვე გამოსული იქნებიან ევროპიდან ჩვენი ქვეყნისაკენ.

ვინ არ სწევია ამ რამდენიმე რევოლუციური წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას: გენერალი, პრინცი, სალდათი, ვაჭარი და სპეკულიანტი უცხო ქვეყნის. რომელი ფერის და ჯურის ხალხი გინდათ არ იხილეს თფილისის ქუჩებმა, მაგრამ ჩვენი სტუმრები არასოდეს ყოფილან ისინი. ზოგნი საბატონოთ მოდიოდნენ, ზოგნი მოსაგებათ. ასე რომ, ისინი იყვნენ სტუმარი ან ჩვენი მდიდარი ბუნების, ან სულ არ გავდნენ სტუმრათ მოსულთ. მხოლოდ ახლა მოდიან ნამდვილი სტუმრები, მეგობრები საქართველოსი და მასწავლებლები საქართველოს დემოკრატიის, ისინი ვის ნაწერებზეც იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი რევოლუციური აზრი და ცხოველდებოდა ენერგია. საერთაშორისო სოციალიზმის საუკეთესო მატარებელნი იქნებიან წვეულნი ჩვენი ქვეყნის, ჩვენის დემოკრატიის“. წერილის დასასრულს აღნიშნული იყო: „ჩვენ

¹ ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში. 1920, I, თბ., 2020, გვ. 16.

² კარლ კაუცკი დელეგაციას ვერ ჩამოჰყვა. ავადმყოფობის გამო რომში დარჩა, თუმცა 1920 წლის სექტემბრის ბოლოს თბილისში მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა და აქ სამი თვე დაჰყო.

³ ერიკ ლი, სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცია საქართველოში, 1920 წელი, წიგნში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ. მოდელი ევროპისთვის? თბ., 2018, გვ. 208

⁴ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 4 სექტემბერი.

⁵ გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 5 სექტემბერი; საქართველოს დამფუძნებელ კრებაში მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებს „ევროპის მუშათა კლასის სინდისი და ბელადები“, „უფროსი ძმები და მასწავლებლებიც“ უწოდეს. საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები 7 ტომად. ტ. VII. 1920 წლის 9 ივლისი – 31 დეკემბერი, თბ., 2019, გვ. 442.

შეგვიძლია ვიამყოთ, რომ ისინი მოდიან იმ პრაქტიკისათვის თვალის გადასავლელად, რომელსაც აწარმოებენ სოციალ-დემოკრატები, რომელსაც აწარმოებს მათი სახით საქართველოს მშრომელი მასა“.¹

მოგვიანებით ნოე ჟორდანია იგონებდა, რომ „სოციალისტური დელეგაცია ჩვენ მიგვაჩნდა საუკეთესო იარაღად ევროპაში და მოვიწვიეთ დიდი პატივითა და ნდობით“. მან პირნათლად შეასრულა თავისი როლი, გაამართლა ჩვენი იმედები“.²

როდესაც ცნობილ ევროპელ სოციალისტებს საქართველოში იწვევდნენ, აშშ-ს მიმართება ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფოსადმი ჯერ კიდევ ბოლომდე ნათელი არ ყოფილა. მართალია, ევროპის წამყვანი ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული ღრსპუბლიკა უკვე დე ფაქტოდ აღიარებული იყო, მაგრამ ოკეანისგაღმელ დიდ სახელმწიფოს მსგავსი გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონია. ევროპელი სტუმრების საქართველოში ჩამოსვლამდე ერთი თვით ადრე, 1920 წლის 10 აგვისტოს, გამოქვეყნდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის ცნობილი ნოტა. ნოტა ძირითადად რუსეთ-პოლონეთის გამწვავებულ ურთიერთობას შეეხებოდა, მაგრამ მასში თეთრი სახლის ადმინისტრაციის დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიისა და მათ შორის, საქართველოს მიმართაც ერთმნიშვნელოვნად იყო გამოკვეთილი. აშშ არ იწონებდა ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ცნობას და ეჭვქვეშ აყენებდა დამოუკიდებლობისაკენ მათ მისწრაფებასაც კი.³ ნოტა იზიარებდა რუსეთის მთლიანობის იდეას და ემხრობოდა მისგან მხოლოდ ფინეთის, პოლონეთისა და სომხეთის ჩამოშორებას.

აშშ-ს უარყოფითი დამოკიდებულება გარკვეულად აბრკოლებდა ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებას, თუმცა მეორე ინტერნაციონალის ლიდერებზე ამერიკის პოზიციას გავლენა არ მოუხდენია.

მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია ავსტრო-უნგრეთის სახაზო ჯავშნოსანი გემით „ფრანც-ფერდინანდით“ ბათუმში 1920 წლის 14 სექტემბერს ჩამოვიდა. საპატიო სტუმრებს აფრიალებული ალმებით და ვარდ-ყვავილებით მორთული პატარა გემი „ბათომი“ მიეგება, სანაპიროზე კი ათასობით ადამიანი იყო გამოსული ბაირაღებით ხელში. როგორც დელეგაციის ერთ-ერთი წევრი აღწერდა: „ბავშვებს თაიგულები ეჭირათ, ტრიუმფალური თადის ქვეშ მუსიკა უკრავდა. ჩვენთან შეხვედრას არავის ავალდებულებდნენ. ხალხი მოდიოდა იმიტომ, რომ მოსვლა უნდოდა. ... ისინი ჩვენს ეტლებს მოსდევდნენ, წითელ ვარდებს ესროდნენ და კოცნას გვიგზავნიდნენ. ჩვენ ამ ვარდებს ვაგროვებდით და ტანსაცმელზე ვიბნევდით, როგორც საერთაშორისო სოლიდარობის წითელ სიმბოლოს“.⁴

ბათუმის ქალაქის საბჭოში გამართული შეხვედრისას გადაწყდა, რომ მარინეს პროსპექტს ინტერნაციონალის პროსპექტი უწოდონ, ხოლო დელეგაციის წევრები ბათუმის საპატიო მოქალაქეებად აერჩიათ.⁵

ზღვისპირა ქალაქის დათვალიერების შემდეგ, სადამოს, დელეგაცია საგანგებო მატარებლით თბილისში გამოემართა. სტუმართა პატივსაცემად, საქართველოს მთავრობამ 15 სექტემბერი უქმე დღედ გამოაცხადა. საპატიო დახვედრა, რომელშიც მონაწილეობდა

¹ გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 5 სექტემბერი.

² ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990, გვ. 118.

³ ვ. ტაბაღუა, საქართველოს საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში 1917-1920 წლებში, კრებულში – საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. I, თბ., 1994, გვ. 299-305; ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, ქუთაისი, 1999, გვ. 110-111.

⁴ ერიკ ლი, სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცია საქართველოში, 1920 წელი, წიგნში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ. მოდელი ევროპისთვის? თბ., 2018, გვ. 211.

⁵ გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 17 სექტემბერი.

რესპუბლიკის მთავრობა, დამფუძნებელი კრების დეპუტატები, სახალხო გვარდიის შტაბის წევრები და დიდძალი ხალხი, თბილისის რკინიგზის ვაგზალზე გაიმართა. მთელი ქალაქი ეროვნულ აღმშენებლობით და წითელი დროშებით მოირთო. ვაგზლიდან სასახლისაკენ მომავალ ქუჩებში ჩამწკრივებული იყო ჯარისა და გვარდიის ნაწილები. სახელმწიფო თეატრის წინ ამართულ ესტრადაზე უკრავდა ორკესტრი. გამოფენილი იყო ევროპულ ენებზე დაბეჭდილი პლაკატები და სხვ. იმავე დღეს შედგა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საგანგებო სხდომა, რომელსაც დამფუძნებელი წევრების გარდა ესწრებოდა მთავრობა სრული შემადგენლობით. სასახლის მიმდებარე მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. საზეიმოდ მორთულ დარბაზში სტუმრებს ოვაცია გაუმართეს.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქმეს კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძემ, ფრაქციათა სახელით – გრიგოლ გიორგაძემ (სოციალ-დემოკრატი), შალვა ალექსი-მესხიშვილმა (სოციალისტ-ფედერალისტი), გიორგი გვაზაძემ (ეროვნულ-დემოკრატი), ლეო შენგელიამ (სოციალისტ-რევოლუციონერი), გრიგოლ ვეშაპელმა (ეროვნული პარტია) და ლეონ ტერ-სტეპანიანციმ (დამნაკიცითური).

მეორე დღეს სახელმწიფო თეატრში სტუმრები დაესწრნენ საოპერო დადგმას „აბესალომ და ეთერი“, ასევე, გაიმართა შეხვედრა ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებთან. სიტყვებით გამოვიდნენ პოეტი კოტე მაცაშვილი და მწერალი გრიგოლ რობაქიძე. განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო ამ უკანასკნელის მიმართვა, რომელშიც აღნიშნულია: „მაღალნო სტუმარნო! ...ორი ათასი წელი ქართველნი ...გელოდებოდათ თქვენ: რჩეულ შვილებს დასავლეთისას. ...მოშვებულნი აღმოსავლეთს ჩვენ მივიღებოდით მუდამ დასავლეთისკენ. ...დღეს შევხვდით ჩვენ ერთმანეთს და ამიერიდან ამ შეხვედრით დაიწყება ახალი უღელტეხილი ქართული ისტორიის“.¹

დელეგაციამ შეხვედრები გაიმართა მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრებთან, პროფკავშირების, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიების წარმომადგენლებთან და სხვ. სტუმრებმა ათი დღე დაყვეს საქართველოში, იმოგზაურეს კახეთში (საგარეჯო, გურჯაანი, წინანდალი, თელავი), ქართლში (მცხეთა, გორი, ქარელი, ხაშური, ბორჯომი), იმერეთში (ქუთაისი, სამტრედია, ჭიათურა, ტყიბული); სამეგრელოში (აბაშა, ახალი სენაკი, ფოთი); გურიაში (ლანჩხუთი, ოზურგეთი, ნატანები), შეხვდნენ ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას, დაესწრნენ მრავალ მიტინგსა და საზეიმო სხდომას, არაერთხელ სიტყვებით მიმართეს საქართველოს მოქალაქეებს და ა. შ. ინტერნაციონალის დელეგაციის სტუმრობა ფართოდ გააშუქა ქართულმა პერიოდულმა პრესამ, ვიზიტის ამსახველი კადრები აღბეჭდილია ფოტოგრაფიულად და კინოფირზეც.

საქართველოში ვიზიტად ჩამოსული მეორე ინტერნაციონალის ლიდერები, „სოციალიზმის თეორეტიკოსები იყვნენ, ხოლო მათი მასპინძლები – სოციალიზმის პირველი პრაქტიკოსები“.² საქართველოს სოციალ-პოლიტიკური სინამდვილის გაცნობის შედეგად ევროპულ სტუმრებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ სამხრეთ კავკასიის ამ პატარა რესპუბლიკაში დემოკრატიული სოციალიზმის ახალი მოდელი მკვიდრდებოდა, რომელიც შეიძლებოდა მაგალითად ქცეულიყო დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი სხვა პატარა ერებისათვის. მათი თქმით, საქართველო წარმოადგენდა დასავლურ ცივილიზაციას ბოლშევიზმისა და ქემალიზმის „აზიურ“ ტრადიციებს შორის.³

¹ გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 15 სექტემბერი.

² დ. შველიძე, წინასიტყვაობები ახალი გამოცემისთვის, წიგნში – კ. კაუცკი, საქართველო: გლეხთა სოციალდემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბ., 2018, გვ. 5.

³ ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში. 1920, I, თბ., 2020, გვ. 24.

ამ მხრივ შთამბეჭდავად ჟღერს რამზეი მაკდონალდის სიტყვები: „ჩვენი მიზანია: თქვენი დახმარება და თქვენი გამოცდილების გაზიარება, რადგან ჩვენ სახელმწიფოებს ჯერ არ მიუღწევიათ იმისთვის, რასაც საქართველომ მიაღწია.

საქართველო სოციალისტური რესპუბლიკაა, რომელიც ევროპული სოციალ-დემოკრატიის ერთგული დარჩა. ...თქვენ დააფუძნეთ სოციალისტური რესპუბლიკა თქვენს ტრადიციებზე, თავისუფლების პრინციპებზე, თავისუფალ აზრზე, სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე. ...დელეგაცია აღიარებს, რომ საქართველო, როგორც ღირსეული მემკვიდრე თავისი წარსულისა, რესპუბლიკაა, რომელიც ავითარებს საკაცობრიო და საერთაშორისო იდეალებს“.¹

უფრო ლაკონიური იყო ემილ ვანდერველდე, რომელმაც განაცხადა: „ნება მიბოძეთ, გამოვთქვა ჩემი აღფრთოვანება იმის გამო, რაც აქ მე თვითონ ვიხილე. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თქვენ თითქოს ჩვენგან გინდათ ისწავლოთ. ჩვენ, დასავლეთი, უნდა თქვენთან მოვიდეთ სასწავლებლად“.²

იგივე გაიმეორა თომას შოუმატ: „დარწმუნებული ვარ, საქართველოს მიერ არჩეული გზა მუშათა კლასის სოციალისტურ მიზნამდე მიიყვანს. ჩვენ მხოლოდ თქვენ მხარდასაჭერად არ ჩამოვსულვართ, გვსურს თქვენი გამოცდილება გაგვიზიაროთ“.³ არც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლის ალბერტ ინგელსის დამოკიდებულება ყოფილა განსხვავებული: „საქართველოსკენ მთელი ევროპის მუშათა კლასს აქვს მზერა მიპყრობილი. ქართულმა დემოკრატიამ ნაწილობრივ უკვე განახორციელა სოციალიზმი... საქართველო ...სწორ გზას ადგას და მუშათა კლასს გამარჯვებამდე მიიყვანს“.⁴

ამას აცხადებდნენ უცხოელი სტუმრები მაშინ, როდესაც მათ ქართველ იდეურ მიმდევრებს სწორება ევროპელ სოციალისტებზე ჰქონდათ ალებული. ქართველი სოციალ-დემოკრატები მარქსის, ენგელსისა და კარლ კაუცკის ნააზრევით იყვნენ აღზრდილნი და მათ მსოფლმხედველობას ერთგულობდნენ. დასტურად გამოდგება რამდენიმე მიმართვა ინტერნაციონალის ლიდერებისადმი, რომლებსაც ქვემოთ დავიმოწმებ:

ნოე ჟორდანი: „ჩვენ თქვენი მოწაფეები ვართ, ვიზიარებთ თქვენს სოციალურ მოძღვრებას, პოლიტიკურ ტაქტიკას, ერთგულნი ვართ ისეთი დიდოსტატებს, როგორებიც არიან მარქსი, ინგელსი, კაუცკი, ჟორესი, ვანდერვალდე, კეირ ჰარდი“.

ისიდორე რამიშვილი: „შეხედეთ გზას, რომელსაც ჩვენ გავდივართ მიზნის მისაღწევად და მიგვითითეთ შეცდომებზე, რომელსაც აუცილებლად დაგუშვებდით ამგვარი საქმის ასე სწრაფად შესრულებისას. ჩვენ კი ჩვეული ყურადღებით მოვეკიდებით თქვენ რჩევებს“.

სილიბისტრო ჯიბლაძე: „გთხოვთ, ახლოს გაიცნოთ ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკა და დაგვებულ შეცდომებზე მიგვითითოთ, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ისინი“.⁵

ალექსანდრე ლომთათიძე: „ძვირფასო მეგობრებო, ...ჩვენზე მეტი გამოცდილება გაქვთ, გაგვიცანით, შეგვისწავლეთ, განგვისაჯეთ, პირდაპირ გვითხარით, რა არის ცუდი ჩვენს საქმიანობაში, რა არის კარგი. საერთაშორისო დემოკრატიის საქმის გაკეთებაში, გწამდეთ, საქართველოს დემოკრატია თავის როლს პირნათლად შეასრულებს“.⁶

¹ იქვე, გვ. 29-30.

² გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 17 სექტემბერი.

³ ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში. 1920, I, თბ., 2020, გვ. 32.

⁴ იქვე, 34.

⁵ იქვე, გვ. 32.

⁶ საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები 7 ტომად. ტ. VII. 1920 წლის 9 ივლისი – 31 დეკემბერი, თბ., 2019, გვ. 441.

სტუმრები უშუალოდ გაეცნენ საქართველოს წარსულს, კულტურას, ტრადიციებს, მიმდინარე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მიღწევებსა თუ სიძნელებებს.¹ მათ პირუთვნელად აღნიშნეს ცალკეული ხარვეზები, მაგრამ ქართველი სოციალ-დემოკრატების „ზომიერებმა და ერთგულებამ დემოკრატიისადმი“ ყველანი უსაზღვროდ მოხიბლა. მაგალითად ემილ ვანდერველდემ განაცხადა: საქართველოში, რომელიც „აზიის შვეიცარიაა“, ჩვენ დავინახეთ „დემოკრატიის იდეების განხორციელება და დავინახეთ გზა, რომლითაც მიდის საერთაშორისო სოციალიზმის იდეალების განხორციელება“.² რამზეი მაკდონალდის სიტყვებით: „საქართველო, როგორც ქვეყანა, მისი პოლიტიკა, მისი ხალხი საუცხოვოა“.³

აღფრთოვანებული დარჩა კარლ კაუციცი,⁴ რომელიც საქართველოში 1920 წლის 28 სექტემბერს ჩამოვიდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ „ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა ვერასოდეს იქნება პიონერი სოციალისტური მმართველობის ფორმების განვითარებაში“, თუმცა საქართველოში სტუმრობის შთაბეჭდილებით შექმნილ წიგნში ჩაწერა: „ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ რევოლუციის პერიოდში საქართველოს მთავრობა გახლდათ ის მთავრობა, რომელსაც ყველაზე მტკიცე მხარდაჭერა ჰქონდა საკუთარ სამშობლოში. ...როცა არ უნდა მოვიდეს ძალაუფლებაში სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, იგი იძულებული იქნება, იმავე პრინციპების მიხედვით იმოქმედოს და ქართული გამოცდილებით მიღებული სარგებელი მის განკარგულებაში იქნება“.⁵

მეორე ინტერნაციონალის ლიდერები საქართველოს ქმედით დახმარებას აღუთქვამდნენ. მაგალითად, რამზეი მაკდონალდმა საგარეჯოს მშრომელებთან შეხვედრისას ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენ წავიღებთ თქვენზე მშვენიერ ამბებს ევროპაში და იქ ქვეყნის წინაშე, პარლამენტში ვიტყვით სიმართლეს, მოვითხოვთ იმას, რაც უზრუნველყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას“.⁶ „მთელი ევროპის მუშების სახელით უნდა გითხრა, რომ ჩვენ ერთი წადილი გვაქვს, რომ თქვენ არ დაკარგოთ თავისუფლება, ამისთვის ევროპის მუშათა კლასმა უნდა მიიღონ ზომები და მოითხოვონ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და ხალხთა ლიგაში მიღება“, – აღნიშნავდა ტომას შოუ.⁷

ვიზიტი წარმატებული გამოდგა. სტუმრებმა დანაპირები შეასრულეს. მათ თავიანთ ქვეყნებში არა მარტო რეკლამა გაუწიეს „ქართულ ექსპერიმენტს“ და მის შესწავლებას, არამედ სერიოზული ძალისხმევა გასწიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების მიმართულებითაც. 1920 წლის შემოდგომაზე ლონდონში მყოფი ვიქტორ ნოზაძე, რომელიც აქტიურად ადევნებდა თვალს ევროპულ პრესას, წერდა: „საქართველოში სოციალისტების ჩასვლას ჩვენ პირადად დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით, მაგრამ თუ ეს ჩასვლა ასეთ უდიდეს ნაყოფს გამოიღებდა, ეს მაინც საეჭვოდ გვეგონა. ვერავითარი სხვა ორგანიზაცია ვერ მოუწყოდა საქართველოს იმ პროპაგანდას, რომელიც დღეს სოციალისტების მეშვეობით სწარმოებს“.⁸ ცხადია, ქართველი სოციალ-დემოკრატები კმაყოფილები დარჩნენ და სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერთა მიმართ საქართველოს წინაშე გაწეული

¹ ო. ჯანელიძე, საქართველოს დემოკრატიული დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება. აღიარება. <https://gfsis.org/wp-content/uploads/2024/04/Geo.pdf>

² გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 21 ნოემბერი.

³ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 18 სექტემბერი.

⁴ რ. სუნი, სოციალიზმი ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში: ქართული ექსპერიმენტი, 1918-1921 წლები, წიგნში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ. მოდელი ევროპისთვის? თბ., 2018, გვ. 334.

⁵ კ. კაუციცი, საქართველო: გლეხთა სოციალდემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბ., 2018, გვ.136; 115.

⁶ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 25 სექტემბერი.

⁷ გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 23 სექტემბერი.

⁸ გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 30 ნოემბერი.

ღვაწლისათვის მადლიერება არაერთგზის გამოხატეს. მაგრამ ყველა არ ფიქრობდა სოციალ-დემოკრატებივით. მაგალითად, იმხანად დამფუძნებელი კრების დეპუტატი გერონტი ქიქოძე, მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდის ჩანაწერებში, დადებითად აფასებდა ხსენებული ვიზიტს, როგორც „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლე ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს“, მაგრამ იმასაც დასძენდა, რომ: „არ ვიცი რა შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ უკან ევროპელი დელეგატები. ნოე ჟორდანიას მთავრობამ მათ ბევრი ვერაფერი აჩვენა გარდა უხვი ქართული სუფრისა და მოფარიკავე ხეცურებისა. მხოლოდ ემილ ვანდერვილდემ წაიკითხა ფრანგულ ენაზე ქართული თეატრის დარბაზში მოხსენება. მან რამდენიმე ჩვეულებრივი კომპლიმენტი მიუძღვნა საქართველოს ბუნების სიმდიდრეს და სილამაზეს და თქვა, როგორც ეტყობა სოციალიზმს ელიანო“.¹

სხვათა შორის, მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის საქართველოში სტუმრობის გამო გადამეტებული მოლოდინისაგან ქართველ სოციალ-დემოკრატებს თავშეკავებას ურჩევდა კარლ კაუცკიც. იგი წერდა: „ისე არაფერი ავნებს საქმეს, როგორც ილუზიები. აღფრთოვანება, რომელიც ინტერნაციონალური დელეგაციის ჩამოსვლამ გამოიწვია საქართველოში, რა თქმა უნდა, ფრიად გასახარებელია, რამდენადაც იგი ქართველი პროლეტარების ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობის სიძლიერეს მოწმობს, მაგრამ მავნებელი იქნებოდა ეს ენთუზიაზმი ინტერნაციონალის ძალას გაზვიადებული წარმოდგენით რომ იყოს გამოწვეული“.²

უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი თვალსაჩინო ქართველი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი, რომელიც მიიჩნევდა, რომ მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეთა ჩამოსვლა საქართველოში უფრო „იდუური დემონსტრაცია“ იყო. მისი სიტყვებით, ამ „ექსკურსიამ“ „დასავლეთის დემოკრატიის დახმარების“ მცდარი შთაბეჭდილება შექმნა და ილუზია გააძლიერა, რასაც დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად მნიშვნელობა არ ჰქონია.³

ეს შეფასება რამდენადმე გადაჭარბებული ჩანს. ევროპელი სოციალისტების დელეგაციის ვიზიტს ჩვენს ქვეყანაში ორმაგი დანიშნულება ჰქონდა: საგარეო-პოლიტიკური და შიდა. სტუმრები, მართალია, თავიანთ სახელმწიფოებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) ხელისუფლებებთან დაპირისპირებულ ოპოზიციურ სპექტრს მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ ბელგიაში, ავსტრიაში და გერმანიაში მათი პარტიები კოალიციურ მთავრობებში შედიოდნენ. ამდენად, მათ სიტყვასა თუ აზრს დემოკრატიულ სინამდვილეში მაინც გარკვეული წონა და რეზონანსი ჰქონდა. სამშობლოში დაბრუნებულმა მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა კარგი სამსახური გაუწიეს ქართულ სახელმწიფოს, ხმა აღიმადლეს მისი უფლებების დასაცავად, თავიანთი ქვეყნების მთავრობებისა და პარლამენტების წინაშე დასვეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარების მოთხოვნა.⁴ ცნობილია, რომ ინგლისელ, ფრანგ და ბელგიელ სოციალისტთა მიერ გამოხატულმა მხარდაჭერამ, რაც ფართოდ გამოიხატა ევროპულ პერიოდული გამოცემებში: „ეკლერი“ (L'Ouest-Éclair), „ნაციონ“ (The Nation), „თაიმს“ (The Times), „ლე სოირ“ (Le Soir), „მატენ“ (Le Matin), „ტან“ (Le Temps), „ლე კრი დუ ნორ“ (Le Cri du Nord), „ლა ვი სოციალისტე“ (La Vie socialiste) და სხვ. გაზარდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცნობადობა და ასე თუ ისე გავლენა

¹ გ. ქიქოძე, თანამედროვეის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 36-37. არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი აბზაცი საბჭოთა გავლენის შედეგად იყოს. იხ. გ. საითიძე, პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია – ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო (1918-1921 წ.წ.), თბ., 2010, გვ., 61.

² კ. კაუცკი, სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1920, გვ. 30.

³ ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1926, გვ. 359-360.

⁴ გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 19 ნოემბერი; გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 16 ნოემბერი.

იქონია ოფიციალური ლონდონზე, პარიზსა და ბრიუსელზე, მიეღოთ საქართველოს იურიდიულად აღიარების გადაწყვეტილება.¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „ენციკლოპედია-ლექსიკონში“ აღნიშნულია: სავარაუდოა, რომ მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის მხარდაჭერამ, ისე როგორც დასავლეთის ქვეყნების სოციალისტური პარტიებისა და მათი ლიდერების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის პოპულარიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპულ სახელმწიფოების მთავრობათა და ანტანტის ხელმძღვანელობაზე, რისი შედეგიც იყო საქართველოს დე იურე დამოუკიდებლობის აღიარება.²

როგორც გაზეთი „ერთობა“ წერდა: „მართალია, ჩვენ გვიცნო ბურჟუაზიულ მთავრობათა კონფერენციამ, და მას მხედველობაში ექნებოდა, ეჭვი არაა, თავისი ინტერესები, მაგრამ უნდა ყოველი ქართველი დარწმუნებული იყოს, რომ ამ ცნობაში ამასთანავე დიდი როლი ითამაშეს ჩვენმა ევროპიელმა მეგობრებმა და ამხანაგებმა, რომელნიც ეწვიენ გასულ ენკენისთვეში საქართველოს“. გაზეთის თანახმად, საქართველო რომ „უკვე ევროპის სახელმწიფოთა რიგში ითვლება“, ეს მუშათა საერთაშორისო დემოკრატიის ძალისხმევამაც განაპირობა. „ჩვენ გვიცნო ჯერ მუშათა ინტერნაციონალმა. გვიცნო გერმანიამ და ბოლოს დაგვირგვინდა ყოველი ეს ევროპის უდიდეს სახელმწიფოთა სასიხარულო დადგენილებით. ...მუშათა კლასმა უდავოთ და უშუალოდ გვიცნო, ბურჟუაზიულმა მთავრობამ კი დიდი ცდისა და ჩვენს სიმტკიცეში დარწმუნების შემდეგ“.³

დოკუმენტური ფაქტობრივი მასალებით დასტურდება, რომ თავიანთი „იდეოლოგიური მეგობრები“ ქართველ სოციალ-დემოკრატებს არაერთგზის დაეხმარნენ მნიშვნელოვან შეხვედრათა ორგანიზებაში. მაგალითად, ალბერტ თომასმა უზრუნველყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფი საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელთა შეხვედრები ევროპულ დიპლომატებთან და საგარეო საქმეთა მინისტრებთან;⁴ ბრიტანელმა ლეიბორისტმა ჰენდერსონმა, ლონდონში ყოფნისას, ირაკლი წერეთელს გააცნო თემთა პალატის თავმჯდომარე, კონსერვატიული პარტიის ლიდერი და მომავალი პრემიერ-მინისტრი ბონარ ლოუ, რომელსაც ქართველმა პოლიტიკოსმა გენერალ დენიკინის ანტიქართულ მოქმედებათა შესახებ მოხსენება გადასცა; საერთაშორისო სოციალიზმის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა და თეორეტიკოსმა, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორმა ალფონს ოლარმა გაზეთ „Le Pays“-ის 1919 წლის 13 ივნისის ნომერში საქართველოს მხარდამჭერი ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც გააკრიტიკა დენიკინი და საფრანგეთის ხელისუფლებას საქართველოს დახმარებისაკენ მოუწოდა. ფრანგი პარლამენტარი ანატოლი დე მონზი და ბრიტანელი ჯოზეფ ქენვორსი თავიანთი ქვეყნის მთავრობებს კითხვებს უსვამდნენ საქართველოს შესახებ და სხვ.⁵ აკაკი ჩხენკელის თანახმად, 1919 წლის სექტემბერში არგენტინის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებაში ხელი უნდა შეეწყოთ იქაურ სოციალისტებს ჯუსტოსა და ტომაზოს.⁶ სათქმელია ისიც, რომ აკაკი ჩხენკელი თავის ჩანაწერებში კრიტიკულად შენიშნავდა: „სტუმრების მიღებას უნდა მისცემოდა ხალხური და პარტიული ხასიათი და არა სახელმწიფოური“, მაგრამ

¹ მაგალითად, ერიკ ლი მიიჩნევს, რომ ბრიტანეთის მთავრობა მაკდონალდმა აიძულა ელიარებინათ საქართველო. იხ. ერიკ ლი, სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცია საქართველოში, 1920 წელი, წიგნში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ. მოდელი ევროპისთვის? თბ., 2018, გვ. 218.

² დ. შველიძე, მეორე სოციალისტური ინტერნაციონალი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი“, თბ., 2018, გვ. 271.

³ გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 1 თებერვალი.

⁴ ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში. 1920, I, თბ., 2020, გვ. 19.

⁵ ბ. კობახიძე, საქართველოს საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2015, გვ. 56-57 (ხელნაწერის უფლებით).

⁶ ა. ჩხენკელი, დღიურები. წიგნი პირველი, თბ., 2021, გვ. 295; 297.

დელეგაციის ვიზიტს მაინც დიდი მიღწევად აფასებდა, რადგან იგი „განამტკიცებდა ჩვენს მდგომარეობას შიგნით და გარეთ, არა იმდენათ ნივთიერათ, რამდენათ მორალურათ“.¹

მეორე ინტერნაციონალის ცნობილ წარმომადგენელთა საქართველოში დელეგაციის სახით ვიზიტში არანაკლებ საგულისხმო იყო მისი პროპაგანდისტული მხარე და შიდა მნიშვნელობაც. უცხოელ თანამოძმე სოციალისტურ პარტიათა ლიდერებს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტია იწვევდა და მათი ძირითადი მასპინძლობაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს უნდა გაეწიათ. გამოჩენილი პიროვნებების საქართველოში ჩამოსვლა მოსახლეობის და უპირველესად, ელექტორატის თვალში, სწორედ სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტის აღიარებას მოემსახურებოდა, მისი საქმიანობის მოწონების დემონსტრირება იქნებოდა. მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების პირობებში (არჩევნები კონსტიტუციის მიღებიდან მალევე, 1921 წლის მარტში უნდა გამართულიყო), ეს დამატებით პოლიტიკურ ქულას ნიშნავდა და ერთგვარ წარმატებად გაიანგებოდა. მით უფრო რომ, ახალ არჩევნებში კონკურენცია უფრო მძაფრი იქნებოდა, რადგან მემარჯვენე ოპოზიციური ძალები გაერთიანებისათვის ემზადებოდნენ (ამგვარი ერთობა ოფიციალურად მართლაც გაფორმდა 1921 წლის იანვარში ჩატარებულ არასოციალისტურ პარტიათა გაერთიანებულ კონფერენციაზე (ეროვნულ-დემოკრატიების, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიებისა და უპარტიოთა კავშირის შერწყმის გზით შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული პარტია²).

ამერიკელი მკვლევრის სტივენ ჯონსის დაკვირვებით, ევროპელ სოციალისტთა ვიზიტი არ იყო მხოლოდ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალის – სოციალ-დემოკრატიის თანადგომა, – იგი „მოქალაქეებისათვის დასავლეთის მხარდაჭერის დემონსტრირებას წარმოადგენდა“.³

როგორი იყო მაშინდელი ქართული პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულება ვიზიტისადმი?

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „საქართველოს“ ზედმეტად მიაჩნდა ინტერნაციონალის ლიდერთა არაოფიციალური დელეგაციის საზეიმო შეხვედრები, სტუმართა თბილისში ჩამოსვლის დღის დასვენების დღედ გამოცხადება, განსაკუთრებით პომპეზურ ღონისძიებებში მთავრობისა და სახელმწიფო ინსტიტუციების მონაწილეობა,⁴ თუმცა მთლიანობაში ვიზიტს დადებითად აფასებდა: „ჩვენი სტუმრები თვალთ დაინახავენ ჩვენი ერის ტრადიციის ძლიერებას სახელმწიფოს შექმნის საქმეში და აქედან წავლენ კიდევ უფრო დარწმუნებული მომხრენი ჩვენი დამოუკიდებლობისა“.⁵

უფრო ლოიალური იყო სოციალისტ-ფედერალისტური „სახალხო საქმე“, რომელიც წერდა: „საქართველოს დემოკრატია პირველად უკავშირდება კულტურულ ევროპას და ეს დიდი სიკეთეა ქართველი ხალხისთვის“.⁶ ესერთა ერთ-ერთი ლიდერი კრიტიკას გამოთქვამდა იმ

¹ ა. ჩხენკელი, დღიურები, წიგნი პირველი, თბ., 2021, გვ. 128. ზუან ბაუტისტა ჯუსტო არგენტინის სოციალისტური პარტიის დამაარსებელი და თავმჯდომარე, ხოლო ანტონიო დე ტომაზო ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ორივენი არჩეულნი იყვნენ არგენტინის პარლამენტის დეპუტატებად. ა. ჩხენკელმა მათთან კავშირი ინტერნაციონალის ბერნის კონფერენციაზე დაამყარა, სადაც ისინი არგენტინის სოციალისტურ პარტიას წარმოადგენდნენ.

² ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 398-400.

³ ს. ჯონსი, საქართველო, ევროპული სოციალიზმი და მეორე ინტერნაციონალი, წიგნში – ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში, I, თბ., 2020, გვ. 16.

⁴ გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 14 სექტემბერი

⁵ გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 15 სექტემბერი.

⁶ გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 18 სექტემბერი.

ფაქტის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული მოხსენება მეორე ინტერნაციონალისადმი დაბეჭდილ იქნა სახელმწიფოს ხარჯზე.¹

ხსენებული გაზეთებისაგან განსხვავებით, მეორე ინტერნაციონალს ზოგადად და მისი ლიდერების საქართველოში სტუმრობასაც ბოლშევიკები მხოლოდ მრუდე სარკეში წარმოაჩენდნენ. მაგალითად, თბილისში გამომავალი გაზეთი „ახალი კომუნისტი“ მათ უწოდებდა „გაკოტრებულ სოციალისტებს“, „მარქსიზმის რევიზიონისტებს“ და „ოპორტუნიზტებს“, „რომლებმაც მთელი თავისი ტალანტი ბურჟუაზიის ტახტთან მიიტანეს და მის საქმეს მოახმარეს თავდავიწყებით“. გაზეთში კარლ კაუცკი დახასიათებული იყო, როგორც „კლასთა შერიგების, კაპიტალისტური წყობილების ცხოველყოფილობის და რევოლუციის უნაყოფოების დაჩაჩანძიებული მქადაგებელი“, პიერ რენოდელი – „საფრანგეთის ბურჟუაზიის და იმპერიალისტების უერთგულესი ნოქარი“² და სხვ.

„ახალი კომუნისტი“ თანახმად, „მეორე ინტერნაციონალის მთელი შემადგენლობის (დაწყებული მისი თავმჯდომარიდან და გათავებული მისი მდივანით) ასეთი უჩვეულო დარბაზობა წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში და ამაზე რაღაც იმედების დამყარება მოასწავებს მხოლოდ იმას, რომ თავისი ძველი სამოქმედო ასპარეზიდან განდევნილი და ახლა უგზო-უკვალთ მოხეტიალე მეორე ინტერნაციონალი ფაქტიურათ უკვე მკვდარია და ცდილობს მხოლოდ თავისი აღსასრული რაც შეიძლება მეტი ზეიმით გამოიგლოვოს“. მათი საქართველოში მოსვლით „არც პური გაიფუტება და არც რაიმე ბოროტება აღმოიფხვრება, მუშათა კლასის მდგომარეობა თუ გაუარესდება თვარა არ გაუმჯობესდება“, – დასძენდა გაზეთი.³ საქართველოში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის სტუმრობა უეჭურადღებოდ არ დაუტოვებია არც რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ლევ ტროცკის. მისი სიტყვებით: „ყველა მათგანი, ისევე როგორც ძველი მოციქულები, საუბრობდა ენებზე, რომლებიც არ იცოდნენ, ჰქონდათ ხილვები, რომლებიც მოგვიანებით აღწერეს სტატიებსა და წიგნებში“. თროცკი აკრიტიკებდა ევროპელ სოციალისტებს, რომ მათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვერ შეამჩნიეს „მენშევიკების დიქტატურა“, რომ „არც კაუცკის, არც ვანდერველდეს, არც თვით ქალბატონ სნოუდენს, არც ბურჟუაზიული პრესის ჟურნალისტებს, – ერთი სიტყვით, არავის, ვისგანაც საქართველოს დემოკრატიას კურთხევა მიუღია, – არ შეუნიშნავს ამ ქვეყანაში საგანგებო რაზმების მოქმედება. რადა, ასეთები იქ მოქმედებდნენ“.⁴

მეორე ინტერნაციონალი არსებული სახით 1923 წლამდე მოღვაწეობდა. 1923 წელს მეორე ინტერნაციონალისა და სოციალისტური პარტიების საერთაშორისო მუშათა კავშირის („ორ-ნახევარი“, იგივე ვენის ინტერნაციონალი) გაერთიანებით ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული, ლეიბორისტული და სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელმაც 1940 წლამდე იარსება.

ჩვენს ქვეყანაში 1920 წელს სტუმრად მყოფ მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მხარდაჭერა არც მას შემდეგ შეუწყვეტიათ, რაც საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ეს რესპუბლიკა დაემხო და მის მესვეურებს უცხოეთში მოუწიათ გახიზვნა.

¹ საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. VIII, 1921 წლის 1 იანვარი – 17 მარტი, თბ., 2020, გვ. 28.

² გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ., 14 სექტემბერი.

³ გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ., 17 სექტემბერი.

⁴ Л. Троцкий. Между империализмом и революцией, Берлин, 1922, с. 21; 58. ტროცკი ქართულ საგანგებო რაზმს „მენშევიკურ ჩეკას“ უწოდებდა.

Otar Janelidze

Gori State University

THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA AND THE SECOND INTERNATIONAL RESUME

The Second International was an international association of socialist parties that sought to achieve socialism through peaceful struggle and reform. As for the form of organization of the socialist state, it was considered to be a parliamentary republic based on universal suffrage. In April 1919, the Georgian Social Democratic Party also joined this organization.

In 1920, Georgian Social Democrats, who were present at the Geneva Congress of the International, invited the leaders of the international labor movement to Georgia, to which they agreed.

This large-scale action pursued several goals and objectives. The de facto recognized Georgian state needed legal recognition. In addition, the country sought to join the League of Nations, which was perceived as a guarantee of its security. In both cases, it was necessary to increase Georgia's visibility and form favorable public opinion abroad. In September 1920, a broad representative delegation of the Second International headed by Karl Kautsky arrived in Georgia. The delegation included: James Ramsay MacDonald, Thomas Shaw, Mrs. Ethel Snowden (Great Britain); Pierre Renoudel, Leon Blum, Alfred Ingels, Adrien Marche (France); Emile Vandervelde, Camille Huysmans, De Bruycker (Belgium) and others.

The article presents the twists and turns, results and significance of the visit of European socialists to Georgia. The attitude of the government and the opposition to this visit is shown.

ნათელა (ნათია) მირიანაშვილი
საქართველოს ეროვნული არქივი;

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლის და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი
არჩილ კოხრეიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

საინგილოს (ზაქათალის ოლქის) ბედი 1918-1921 წლებში

საქართველოს საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორი მოიცავს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს. 1918-21 წლებში დავას იწვევდა ამ სექტორში მდებარე ზაქათალის ოლქი, იგივე საინგილო. საინგილო უძველეს დროში წარმოადგენდა ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომით ჰერებით.

ტერმინი „საინგილო“ და „ინგილო“ მე-19 საუკუნეში შექმნილი ტერმინებია. „ინგილო“ ეწოდა მე-19 საუკუნეში საინგილოში მცხოვრებ უძველეს მკვიდრ ქართულ მოსახლეობას, უკეთ ამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. სიტყვა „ინგილოს“ სხვადასხვანაირად ხსნიან. ზოგის აზრით, იგი სოციალური ტერმინია, ზოგი ფიქრობს, რომ ეს სიტყვა ახლად მოქცეულს, მორჯულებულს ნიშნავს. „ინგილა“ სპარსულად ამოძირკეულის, ამოგდებულის შესატყვისია. თვითონ ინგილოები ამ სიტყვის შემოღებას უკავშირებენ შაჰ-აბასის შემოსევას, რომლის დროსაც ქართველები გადარჯულდნენ, სპარსელების აზრით მორჯულდნენ ე. ი. გამაჰმადიანდნენ, ყოველივე ამაში ერთი უდავო ჭეშმარიტება ის არის, რომ სიტყვა ინგილო ეთნიკური ტერმინი არ არის და მისი შემოღება მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებს მიეწერება.¹ ზაქათალის ოლქი საინგილო - ძველი ჰერეთი, ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული ინგილო - ქართველებით, ერთგვარი ხიდი იყო საქართველოს დასაპყრობად მომავალი მტრებისათვის. „მათ კარგად იცოდნენ, რომ ჯერ ეს გზა-ხიდი უნდა მოესპოთ და შემდეგ გამაგრებულიყვნენ საქართველოში. ეს ის პლაცდარმი იყო, რომლის დამპყრობელსაც შეეძლო მუდამ შიშსა და მორჩილებაში ჰყოლოდა მთელი კახეთი და აღმოსავლეთი საქართველო“.² გეოგრაფიულად ზაქათალის ოლქი შემოჭრილია ერთი წვერით სიღნაღის მაზრაში, თითქმის 80 კერსის მანძილზე, რაც უფრო აახლოვებს მას როგორც კახეთთან, ისე თბილისთან. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ოლქს სამხედრო თვალსაზრისით. ოლქი ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნიაში შედიოდა. 1917 წლის თებერვლიდან რუსეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ზაქათალის ოლქის მანამდე შედარებით მშვიდი ცხოვრებაც გაართულა. რევოლუციით გამოწვეულ არეულობაში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული და მაშასადამე არც საქართველოს მთავრობა არსებობდა, ოლქს დაეპატრონა აზერბაიჯანი. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დღის წესრიგში მაშინვე დადგა საზღვრების გამიჯვნის საკითხი. აზერბაიჯანელები საზღვრების საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდნენ რელიგიურ საფუძველზე, ამ პრინციპით აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო საინგილო, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა და ბათუმის ოლქი. გამიჯვნის ეს პრინციპი საქართველოს მთავრობისთვის მიუღებელი იყო. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა საზღვრების საკითხში ეხელმძღვანელა ისტორიული, პოლიტიკური,

¹ ალექსანდრე ჩხენკელი, საინგილო, საისტორიო მოამბე, თბ, საისტორიო მოამბე, 1991წ. №61-62, გვ. 163.

² ზ. ედილი, საინგილო, თბ. 1947 წ. გვ.4.

ეკონომიური, სტრატეგიული საკითხების გათვალისწინებით. 1918 წლის 11 ივნისს შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ი. წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროყვა და ნიკოლოზ ოდიშელიძე. კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს საზღვრები შემდეგნაირად უნდა მოწყობილიყო: „საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთიდან გადის მცირე კავკასიონის ქედზე, მიდის ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვართან, გადადის გოგჩის ტბის ჩრდილოეთ ნაპირამდე. უხვევს მდინარე აქსტაფაზე, მიდის საღურ ძეგამამდე, შეიცავს საინგილოს და თავდება სილაგათის მთით“.¹ ესე იგი, ყველა ის მხარე, რომელნიც მეზობლებმა თავის საკუთრებად გამოაცხადეს, საქართველომ თავისად აღიარა. არსებული საზღვრების დასაცავად 1918 წლის 5 ივნისს საქართველოს სამხედრო მინისტრს გ. გიორგაძეს დაევალა ბორჩალოს, სიღნაღის და თბილისის მაზრების საზღვრებზე განლაგებინა შეიარაღებული ძალები.² საზღვრებზე ჯარების განლაგებამ აზერბაიჯანის მთავრობის პროტესტი გამოიწვია. საქართველო-აზერბაიჯანის შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხი, მიუხედავად დაფიქსირებული სადავო-ტერიტორიული პრობლემებისა, დინამიურად ვითარდებოდა. თუმცა საინგილოში დროებით აზერბაიჯანის მთავრობის იურისდიქცია ვრცელდებოდა და იქ მათი სამხედრო ნაწილები იდგნენ, საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ საკითხს მშვიდობიანი პოლიტიკური გზით მოაგვარებდა. ზაქათალის ოლქის წარმომადგენელი ეროვნულ საბჭოში, ცნობილი საზოგადო მოღვაწე რაფიელ ივანიცკი (ინგილო) უკმაყოფილო იყო საქართველოს მთავრობის ამ პოლიტიკით: „უხსოვარი დროის საქართველოს პროვინციის მნიშვნელობის საჭიროება ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის, ქართველი საზოგადოებისათვის სავსებით გამორკვეულია. აღმოსავლეთ საქართველოში გამაგრება და დამკვიდრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ხელთ გვიპყრია ისეთი პუნქტები, როგორიც არის სამხრეთით ბამბაკ-ლორეს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ზაქათალის ოლქი, ნუხის მაზრის ადმინისტრაციულ მიჯნამდე. უცნაურად გადაწყდა საინგილოს ბედი: ამიერკავკასიის რესპუბლიკის დანაწილების შემდგომ ეს კუთხე დარჩა, რომის უფლების ტერმინი რომ ვიხმაროთ Heraditas jaccns-ად. იმ დროს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ისეთი მიმართულება ჰქონდა, რომ ზაქათალის ოლქის შემოერთებას ბევრი ქართველიც იმპერიალისტურ აქტად ჩასთვლიდა. მაშინ საქართველოში სახელმწიფო საკითხები და განსაკუთრებით ტერიტორიული შემოფარგვლა პრინციპულად წყდებოდა ხოლმე სამერმისოდ. ამიტომაც მოხდა, რომ უფრო რეალური პოლიტიკის მიმღევარმა აზერბაიჯანმა მიიკუთვნა საქართველოსაგან მიტოვებული ოლქი და ჩვენი უმოქმედობით წაქეზებულმა ბოლოს ალაზნის გამოღმა ნაწილზედაც შეგვედავა“.³ უმოქმედობაში სდებს ბრალს რ. ინგილო საქართველოს მთავრობას, ამავე მოსაზრებას იზიარებს მ. ჯანაშვილიც: „საინგილოს ბოლოს რომ ალაზანი ჩაბრუნდება მტკვარში ჩასაქანებლად, მისკენ რკალივით მიიწევს დიდი კავკასიონი და იმდენად უახლოვდება ალაზანსა და მის აქეთ სიღნაღის მთებს, რომ შუაში რჩება 15-ოდე ვერსის მანძილი, აი ეს 15 ვერსიანი მანძილი არის საქართველოს აღმოსავლეთის მხარის მიჯნა... საჭირო იყო თავიდანვე ამ 15 ვერსიან მიჯნაზე დაგვეყენებინა 40-ოდე გერმანელი და ხუთიოდე ქართველი, რომ საინგილო დღეს ჩვენი ყოფილიყო... დაგვეკარგა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი დარაჯები დროით ვერ ჩავაყენეთ საინგილოს მიჯნაზე“.⁴ ამ დროისათვის საქართველო რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო. ტერიტორიის ნაწილი დაკავებული ჰქონდათ თურქებს, სომხებთან საზღვრის გამიჯვნის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მთავრობას ზაქათალის ოლქში ჯარების შეყვანით არ სურდა კიდევ ერთი

¹ ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, 1989 წ., თბ., გვ. 14

² სცსა, ფ. 1861, ან. 1, საქ. 10, გვ. 82

³ გაზეთი „საქართველო“, 1918 წ. 31 ღვინობისთვე

⁴ გაზეთი „საქართველო“, 1918 წ. 21 გიორგობისთვე

დადაბულობის კერა შეექმნა. ამიტომ ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა ზაქათალის ოლქის საკითხი, რომელსაც თეორიულად ყოველთვის თავისად აღიარებდა. 1918 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ სომხეთში, აზერბაიჯანში და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირთან არსებულ თავიანთ წარმომადგენლობას გაუგზავნა ნოტა კონფერენციის მოწვევის შესახებ, სადაც აღნიშნულია: „მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება და ეჭვი არაა, უახლოეს მომავალში დადგება დრო, როცა მსოფლიო კონგრესზე გადაწყდება საერთოდ ხალხთა და კერძოდ ყოფილი რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ ერთა ბედი. კონგრესის წინაშე ამიერკავკასიის და კავკასიის ხალხი უნდა წარსდგენენ მეგობრულად და სოლიდარულად. ამ მიზნით აუცილებელია რომ კავკასიის და ამიერკავკასიის ხალხმა მოილაპარაკონ, როგორც სოლიდარული გამოსვლის პირობებზე, ასევე ურთიერთშორის კეთილგანწყობილი, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე. ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა წინადადებას აძლევს სომხეთის, აზერბაიჯანის რესპუბლიკებს, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის მთავრობას შეიკრიბონ თბილისში კონფერენციაზე 3 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში... საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დააყენოს კონფერენციაზე შემდეგი საკითხები: 1. დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ ურთიერთ ცნობის შესახებ; 2. ყველა სადაო საკითხის, მათ შორის საზღვრების საკითხის გადაწყვეტა დაინტერესებულ სახელმწიფოების თანხმობით, თუ არ იქნება ასეთი თანხმობა – არბიტრაჟის დახმარებით“.¹ კონფერენციის მუშაობა ჩაიშალა სომხეთის გამოუცხადებლობის გამო. ამავე დროს საქართველოს მთავრობამ საკითხი გადაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე. მან თავისი დელეგაცია გაგზავნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე. დელეგაციის თავმჯდომარე იყო ნ. ჩხეიძე. მემორანდუმი, სადაც მოთხრობილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორია და აღნიშნულია საქართველოს სახელმწიფოებრივი შემადგენლობა შემდეგი სახით: „საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთისი და არტანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნის ვილაიეთი... ამ ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ ქართულ მიწებს მოიცავს, მოსახლეობის დაახლოებით 75%-ს ქართველები წარმოადგენენ. ეთნიკური და ისტორიული თვალსაზრისით, აგრეთვე ეკონომიურადაც არის მთლიანი, გამორჩეული მაღალი ერთგვაროვნებითა და შეურევლობით ყველა აღმოსავლეთ ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის. მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური წყობის გათვალისწინებით, საქართველოს დამოუკიდებლობა, ბუნებრივი საზღვრით კავკასიის მთავარი ქედით დაცული და შესაბამისი საერთაშორისო აქტით განმტკიცებული იქნება, არა მარტო გარანტია საქართველოს ბუნებრივი უფლებებისა და სამართლიანობისა, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ სფეროებს შორისაც, რომლებიც მუდმივად მზად არიან კონფლიქტებისათვის აღმოსავლეთში“.²

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენის მიზნით 1919 წლის მარტში და 1920 წლის აპრილში ჩატარდა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა კონფერენციები. დაისახა პრობლემის გადაჭრის გზები, განსაკუთრებით უკანასკნელ შეხვედრაზე, მაგრამ სანამ თბილისში დელეგაციები საზღვრების საკითხს იხილავდნენ, აზერბაიჯანში 1920 წლის 27 აპრილს მე-11 წითელი არმია შევიდა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დროს ქართული საზოგადოებრივი აზრი მტკიცე რადიკალურ პოზიციაზე იდგა. 1920 წლის 28 აპრილს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ ნ.

¹ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тиф., 1919 г., გვ. 428-429

² ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1991 წ., თბ., გვ. 380

ჟორდანიამ მოახსენა კრებას ბაქოში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების შესახებ და აღნიშნა, შესაძლებლობა იმ საფრთხისა, რომელიც, ადვილად საფიქრებელია უნდა მოჰყოლოდა აზერბაიჯანში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. ამ მიზნით მთავრობამ გაატარა საჭირო ღონისძიებები: 1. დაარსდა თავდაცვის საბჭო, მთავრობის თავმჯდომარის მეთაურობით. 2. მთავარსარდლად დანიშნულ იქნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. 3. საბჭოს დადგენილებით გამოცხადდა სამხედრო წესები აღმოსავლეთ საქართველოში. 4. გამოცხადდა საერთო მობილიზაცია. 5. გამოთხოვილია სამხედრო საჭიროებისათვის 300000000 მან.¹ 1920 წლის 29 აპრილს გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა წერილი „საიდან მოგველის საფრთხე?“. მასში ნათქვამი იყო: „აზერბაიჯანის მხრიდან მტრის მთავარ ბაზად აუცილებლად შეიქმნება ის მხარე ჩვენი სამშობლოსი, რომელიც დღესაც აზერბაიჯანის გამგებლობაშია. საქართველო სამხედრო ბედს ზაქათალის ოლქში გადაწყვეტს. ეს კუთხე ჩვენმა ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიჭირონ... ზაქათალის ოლქში გამაგრებული მტერი საგონებელში ჩააგდებს არა მარტო ქიზიყ-კახეთს, არამედ თვით ტფილისის კარიც ღია იქნება მათთვის... საინგილოში მტერი სულ ადვილად შემოვა ნუხის მხრიდანაც.“² მე-11 არმიის ნაწილები სწრაფი ტემპით მოიწვედნენ საქართველოს საზღვრებისაკენ. აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრებს საბჭოთა რუსეთის წითელი არმია უტევდა. როგორც ნოე ჟორდანია წერს: „პირველი შეტაკება მოხდა წითელ ხიდზე. მტერი დაამარცხა გვარდიამ – მხოლოდ გაკვირვებით ამბობდნენ – თათრები ყველა გაიქცნენ და მათ შორის არეულმა რუსებმა თავი შეგვაკლესო; მოკლულები აღმოჩნდნენ ყველა რუსი, არც ერთი აზერბაიჯანელი! ეს გარემოება ძალიან აფიქრებდა ბევრს, – ვინ გვებრძვის მართლა რუსი თუ თათარი?“³ რუსების მონაწილეობა ბრძოლაში აშკარა იყო, ამ დროს მოსკოვში მოლაპარაკება მიმდინარეობდა მშვიდობიან ხელშეკრულებაზე. ჩვენი მთავრობის შეკითხვაზე რა ხდება აზერბაიჯანში? იქიდან პასუხობდნენ „ადგილობრივი ინციდენტი“ არისო, ხოლო როცა ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და წინ წაიწიეს, საბჭოთა რუსეთიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის კარახინის გამაფრთხილებელი დეპეშა მოვიდა, რუსები „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩეაო“ – პრინციპით მოქმედებდნენ, ხოლო ჩვენი მთავრობა, მოსკოვთან ურთიერთობაში მიაბიტი იმედებით იკვებებოდა. 9 მაისს აზერბაიჯანელები შეიჭრნენ ზაქათალის მხრიდან სიღნაღის მაზრაში... მიაღწენ ქალაქ ლაგოდესს. 10 მაისს აზერბაიჯანის ჯარმა წითელ ხიდთან ცეცხლი გაუხსნა ჩვენს ჯარს, რომელიც განლაგებული იყო ტერიტორიის სიღრმეში საზღვრიდან 7 კერსზე და დაიწყეს შეტევა. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობას არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ გაეცა ბრძანება გაეთავისუფლებინათ საქართველოს ტერიტორია მტრისგან, რაც იქნა კიდევ შესრულებული... ამ შეტევის დროს აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანის ჯარის შემადგენლობაში, რომლებიც შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე იყვნენ 287-ე და 288-ე საბჭოთა პოლკები, გათავისუფლდა რა საქართველოს ტერიტორია, საქართველოს მთავრობამ 12 მაისს კვლავ მოუწოდა მშვიდობიანი მოლაპარაკებისაკენ. ამაზე ჰუსეინოვმა თანხმობა მხოლოდ 15 მაისს განაცხადა. იმავე დღეს საქართველოს მთავრობამ ბრძანება გასცა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, 16 მაისს 6 საათზე, დილით და აცნობა ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰუსეინოვს და საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიჩერინს 15 მა-ისს, მაგრამ 15 მაისს აზერბაიჯანის ჯარი რუსეთის საბჭოთა ჯართან ერთად გადავიდა შეტევაზე... მიუხედავად ამისა, 16 მაისს, 3 საათზე და 40 წუთზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ კვლავ დაუდასტურა ბრძანება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს: დაუკავშირდეს აზერბაიჯანის ჯარების მეთაურებს შეთანხმების დასადებად. მთავარსარდალი გ.კვინიტაძე წინააღმდეგი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ

¹ სცსა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 713, გვ. 105

² გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ., 29 აპრილი

³ ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990 წ., გვ. 116

ბოლშევიკების თავდასხმა საქართველოს დაპყრობის აშკარა დადასტურება იყო და არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა, მაშინ, როცა მტერი უკვე ჩვენს ტერიტორიაზე იყო და იერიშს აგრძელებდა. ნ. ჟორდანიას ორჯოფობდა. გ. კვინიტაძემ მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ არაფერი იცოდა. საფიქრებელია, რომ ეს იყო ნ. ჟორდანიას ორჯოფობის მიზეზი. ბოლოს ნ. ჟორდანიამ თანხმობა განაცხადა „საკმაო რაოდენობის ჯარი გვყავს, ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა უტყუარი წარმატების საწინდარიო“.¹ ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და წარმატებებს მიაღწიეს. მათ ბრძოლა მტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს, ყველას გამარჯვების იმედი ჰქონდა... 19 მაისს ჯარი გადამწყვეტ შეტევაზე უნდა გადასულიყო. 18 მაისს გ. კვინიტაძე სადახლოში იყო. ამ დღეს მთავრობის თავმჯდომარისაგან მოკლე დეპეშა მიიღო. უბრძანებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და მოწინააღმდეგესთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებას.² საომარი მოქმედებების შეწყვეტა დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. კვლავ გამარჯვებულებმა დაუთმეს დამარცხებულებს. „ისტორიაში შეიძლება პირველად მოხდა ასეთი რამ, კარგად მომზადებული, ენერგიით სავსე ძლიერი არმია უარს ამბობს ლამაზი გამარჯვების ნაყოფი გამოიყენოს. მას ხომ არაფერი უშლიდა ხელს საბოლოო გამარჯვებაში! ისტორიაში ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დამარცხდა, გაიქცა, თავად კი უკან დაიხია... ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ საქართველოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა“.³ საქართველოს მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მოსკოვის ძალდატანებით მიიღო. მოსკოვში მყოფი გრ. ურატაძე დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდა და საქართველოს მთავრობას მოსკოვის სურვილს ატყობინებდა, თან დათანხმებისაკენ მოუწოდებდა. აი, ერთ-ერთი მათგანი: „ვიყავი ჩიჩერინთან, რომელიც გთხოვთ არ აწარმოოთ საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ ზაქათალის მხარეში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოლქში მათი ჯარი შევა. ის პირობას იძლევა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველა ღონეს იხმაროს, რათა გადაწყვიტოს ეს საკითხი საქართველოს სასარგებლოდ, შეთანხმების თანახმად. ის გთხოვთ კავკასიაში მშვიდობის დამყარების მიზნით გააგზავნოთ აზერბაიჯანში შემდეგი შინაარსის ნოტა: საქართველოს გამოყავს თავისი ჯარი ზაქათალის ოლქიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას დაიჭერს აზერბაიჯანის ჯარი“.⁴ გრ. ურატაძე დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვი ზაქათალის ოლქის საკითხს საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტდა, ამიტომ საქართველოს მთავრობას სთხოვს მიიღოს ჩიჩერინის წინადადება. დამარცხებულები გვკარნახობდნენ პირობებს. ასეთი დეპეშები არაერთი იყო, სწორედ ამან განაპირობა ნ. ჟორდანიას გადაწყვეტილება. იგი იმედოვნებდა, რომ რაკი მან უარი თქვა ესარგებლა გამარჯვების შედეგით, ამით მოსკოვის ხელისუფლების გულს მოიგებდა და ხანგრძლივ მშვიდობას დაამყარებდა. თავის მოგონებებში ნ. ჟორდანია წერს: „ჩემთვის მთავარი იყო ჩვენი იურიდიული ცნობა რუსეთისაგან, რასაც შემდეგ სხვა სახელმწიფოებიც მიმართავდნენ“.⁵ ამავე მოსაზრებით დათანხმდა ნ. ჟორდანია ხელშეკრულებაში ერთი მუხლის შეტანაზე, „რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იდგეს სამტრო უცხო ჯარო“⁶, რუსებს „ემინოდათ“, რომ ჩვენი ტერიტორია გადაიქცეოდა მათ წინააღმდეგ შეტევის უცხო ქვეყანათა ბაზად. ნ. ჟორდანიამაც დაიჯერა რუსეთის მიერ შემოგდებული ეს „საკენკი“ და ამით საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი შეურყია, რადგან რუსეთი სწორედ ამას ელოდა, რომ ინგლისის ჯარს დაეტოვებინა საქართველო, მაშინ ხელფეხი გაეხსნებოდა, საქართველოს

¹ სცსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 100, გვ. 37

² გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ. I, 1998 წ., თბ., გვ. 226

³ რ. დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, 1994 წ., თბ., გვ. 162

⁴ სცსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 100, გვ. 72

⁵ ნ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ. გვ. 117

⁶ იქვე

უღელტეხილების ნეიტრალიტეტიც მის სასარგებლოდ მოქმედებდა და თავისი მიზნების განხორციელებამდე სულ მცირეა რჩებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ საომარი მოქმედებების დროს, 1920 წლის 7 მაისს, საიდუმლო პირობებში, დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ საქართველოს მხრიდან გრ. ურატაძე და საბჭოთა რუსეთის მხრიდან ლევ კარახანი.¹ 7 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შემაჯალ ტერიტორიად აღიარა, მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მესვეურებმა გაიგეს რა ეს ფაქტი, იმ დღესვე სასწრაფო დეპეშები აფრინეს მოსკოვში. ისინი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო, რა თქმა უნდა, მოსკოველმა ბოლშევიკებმა არ აწყენინეს ბაქოელ კოლეგებს. ამის შედეგი იყო, რომ 12 მაისს საქართველო-რუსეთის დამატებითი შეთანხმების ძალით, ზაქათალის ოლქის მიკუთვნების საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას, თანაბარი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა. არც საქართველოს და არც აზერბაიჯანს კომისიის გადაწყვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ შეეყვანათ ჯარების ახალი კონტინგენტი, ე. ი. იმაზე მეტი რაც 12 მაისს იქ იმყოფებოდა. დამატებითი შეთანხმების წამგებიანობა საქართველოსთვის აშკარა იყო, რადგანაც ზაქათალაში მხოლოდ მე-11 არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ, 12 მაისის მდგომარეობით და ჩვენ აღარ შეგვეძლო ქართული სამხედრო ძალების შეყვანა. როგორც ზემოთ მოყვანილ დეპეშიდან დავინახეთ, რუსებმა „კავკასიაში მშვიდობის“ დამყარების საბაბით თვითონ მოგვთხოვეს ჯარების გაყვანა ზაქათალის ოლქიდან. ყველაფერი წინასწარ გათვლილი იყო. თუ კომისია საკითხს განიხილავდა და კენჭისყრამდე მივიდოდა საქმე, რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი იქნებოდა, იგი რა თქმა უნდა ბოლშევიკებს დაუჭერდა მხარს და ამით პრობლემა საქართველოს საზიანოდ გადაწყდებოდა. რატომ დათანხმდა გრ. ურატაძე ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერაზე? უნდა ვივარაუდოთ, რომ მისთვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს იურიდიულად აღიარების ფაქტს. რაც შეეხება ტერიტორიულ პრობლემებს, იგი თვლიდა, რომ მათი გადაწყვეტა შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით, ყოველ შემთხვევაში ამის თეორიული შანსი არსებობდა. აი, რას წერს ამის შესახებ თვითონ გრ. ურატაძე: „არც „გადამიცია“ ოლქი და არც „მოუგლევია“ ის ვინმეს საქართველოსთვის. ოლქი აღნიშნულია ხელშეკრულებაში და დარჩა ისე, როგორც იყო შედგენილი და შეტანილი. 12 მაისის ხელშეკრულება მოითხოვს მხოლოდ საზღვარზე თუ ოლქში, რომელიმე ნაწილის (თუ იქნებოდა ასეთი ნაწილი) დავის გადაწყვეტას თვით დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ პირდაპირი მოლაპარაკებით, თუ არადა – არბიტრაჟით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის არა ხელშეკრულება, არამედ შეთანხმება ჩემსა და კარახანს შორის და ასეთი სათაურიც არის დაბეჭდილი ცალკე ფურცელზე. ამ დროს აზერბაიჯანის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის გამო – ეს იყო საუკეთესო გამოსავალი. ოლქი უდავოდ საქართველოს საზღვრებში დარჩა, სადავო ადგილების საკითხი კი უნდა მოგვარებულიყო მოლაპარაკებით და არა იარაღით. ახალ სახელმწიფოთა შორის ყველგან და ყოველთვის ყოფილა და იქნება დავა საზღვრებზე თუ რომელიმე ნაწილზე. მაგრამ მისი მოწესრიგება უნდა მოხდეს დაინტერესებული მხარეების მიერ. ამას ვიცავდი მე და კიდევაც მივაღებინე. ასეთი შეთანხმება იმ მომენტში სამხედრო მხრითაც დიდი მიღწევა იყო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებული იყო და იქ მრავალრიცხოვანი წითელი ჯარი იდგა, ჰეკერისა და ორჯონიკიძის მეთაურობით, რომლებიც ყოველგვარ საბაბს იყენებდნენ, რომ ჩვენს საზღვრებში შემოჭრილიყვნენ. ხოლო თუ როგორი იყო იმ დროს ჩვენი სამხედრო მდგომარეობა – ეს ყველასათვის ცნობილია“.² ამრიგად,

¹ სცსა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 903, გვ. 9-12

² გრ. ურატაძე, ნამდვილი და ყალბი ისტორია, პარიზი, 1958 წ., გვ. 83-84

ზაქათალის ოლქი, 7 მაისის ხელშეკრულებით იქნა აღიარებული საქართველოს უდავო ნაწილად. ამან დიდი როლი ითამაშა იმ მხრივაც, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ მთელი ოლქის მინდობილობით თბილისში ჩამოვიდა საგანგებო დელეგაცია, რომელშიც შედიოდა ა. კარდაშვი, პ. აბაკაროვი, ისმაილ მამედოვი და ალიბაღა ახმედოვი, რომელთაც მიმართეს ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას წერილობითი თხოვნით, სადაც წერდნენ: „7 მაისის ხელშეკრულებით მთელი ზაქათალის ოლქი აღიარებულია საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ამით აღდგენილია უდიდესი ისტორიული მომენტი, შეერთება ჩვენ საერთო სამშობლო – საქართველოსთან ...მოგმართავთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარე, დააჩქაროთ ქართული ჯარების შემოყვანა ოლქში მოძმე ხალხის უფლებების დასაცავად და სხვა“¹. 1920 წლის 12 ივნისს სასაზღვრო ქალაქ აქსტაფაში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძემ, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ სიმონ გურგენის ძე მდივანმა და ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილმა. საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მირზა დაუთ ჰუსეინოვმა. ამ ხელშეკრულების მიხედვითაც ზაქათალის ოლქის საკითხი გადასჭრელად უნდა გადასცემოდა საარბიტრაჟო კომისიას. კომისიაში საქმის გადაწყვეტამდე არც ერთ მხარეს არ ქონდა ახალი ჯარი შეიყვანის უფლება ზაქათალის ოლქში. “². ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე 1920 წლის 25 ივნისს.³ ხელშეკრულების განხილვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აკაკი ჩხენკელი. მან აღნიშნა, რომ „ომი ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის დაიწყო ჩვენს ტერიტორიაზე; რაც ამტკიცებს იმას, რომ ომი დაიწყო ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ომი გათავდა ჩვენი გამარჯვებით და მეზობლის დამარცხებით. ამ ომმა უეჭველად გაფანტა ის ილუზიები, რომელიც ჰქონდათ ჩვენს მტრებს – თითქოს საქართველოს რესპუბლიკა, მისი დემოკრატია, ხალხი და მისი სამხედრო ძალები ნაკლები ხალისითა და ენერგიით დაიცავდნენ თავის თავს წინააღმდეგ ბოლშევიკების თავდასხმისა... ჩვენმა ხალხმა იცის რას იცავს. ის იცავს არსებობას, თავის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სამართლიან საქმეს და ამიტომ მისთვის სულ ერთი არის ვინც უნდა გაილაშქროს ამ ღირებულებათა წინააღმდეგ, მეზობელი იქნება ის თუ არა, არის ამ პოლიტიკური მიმართულების თუ იმ პოლიტიკური მიმართულების, ის მთელის არსებით შეუტევს მას. მე გადავდივარ პირდაპირ ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულება ნაწილდება სამ კატეგორიად. აქ არის ნაწილი ტერიტორიული, საზღვრების საკითხი, არის ნაწილი პოლიტიკური და ეკონომიური. რაც შეეხება ტერიტორიულ საკითხს, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ საზღვრები გადის ჩვენ და ადერბაიჯანს შორის ძველი საადმინისტრაციო საზღვრით, ან უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იმ საზღვრით, რა საზღვრითაც გადიოდა საზღვრები თბილისსა და განჯის გუბერნიას შუა. პოლიტიკური მხარე ამ ხელშეკრულებისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვცნობთ ურთიერთდამოუკიდებლობას, სუვერენობას, რასაც ჩვენთვის აქვს უეჭველად მნიშვნელობა. რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულება მთლად დამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით იმით, რომ ზაქათალის ოლქის შესახებ მოგახსენებთ, რომლის საზღვრების საკითხი მთლიანად ღიად რჩება, მაგრამ ნუ ვივიწყებთ, რომ ჩვენ, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ვერიდებით სისხლის დაქცევას იქ, სადაც ცოტაოდენი იმედი მაინც არის, რომ უსისხლოდ მოგვარდება საქმე და ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ უსისხლოდ მოგვარდება სწორედ ზაქათალის საკითხი ჩვენდა სასარგებლოდ. ამისთვის საჭიროა მთავრობის ეროვნული ნაბიჯები...

¹ სცსა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 239, გვ. 17

² სცსა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 239, გვ. 17-19

³ სცსა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 239, გვ. 14

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ნაბიჯს, მოქმედებას ჩვენი მეზობელი დააფასებს, დააფასებს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბოლომდე არ ვისარგებლეთ ამ ომის შედეგებით. არ ვისარგებლეთ მეზობლის, შეიძლება ითქვას, კრიტიკული მდგომარეობით. ჩვენ გავიხსენეთ ზვალინდელი დღეც, ის, რომ ჩვენ მეზობლები ვართ და გვინდა არ გვინდა ერთიმეორის გვერდით უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ადერბაიჯანის ხალხი ადრე თუ გვიან ამაღლდება ჩვენი ხალხის შეგნების ღონემდე“.¹

9 ივნისს საინგილოში ადგილობრივი მაცხოვრებლები აჯანყდნენ ბაქოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, დააპატიმრეს კომისრები და საქართველოს მთავრობას სთხოვეს ჯარის შეყვანა. აჯანყებულებმა დაიკავეს საოლქო ცენტრი, ჩამოაყალიბეს მთავრობა და მიმართეს საქართველოს, რათა ოლქი შეერთებინა. მე-11 არმიის სარდალმა ლევანდოვსკიმ, აჯანყების ჩასაქრობად სასწრაფო ღონისძიებები განახორციელა. საინგილოში გაგზავნა დამატებითი სამხედრო ძალები, რეპრესიები განსაკუთრებით თავს დაატეხეს ქართულ მოსახლეობას. სიღნაღის მაზრა უამრავი ლტოლვილით – ლეკით, ქართველით თუ აზერბაიჯანელით გაივსო. 18 ივნისისათვის აჯანყება საბოლოოდ ჩაახშვეს.² საქართველოს მთავრობამ ოლქში დამატებითი ჯარების შეყვანის გამო საპროტესტო ნოტა გაუგზავნა აზერბაიჯანის სსრ ხელმძღვანელობას, მაგრამ აზერბაიჯანელები უარყოფდნენ ზაქათალის ოლქში ჯარების შეყვანის ფაქტს. მხოლოდ საქართველო ასრულებდა მოსკოვისა და აქსტაფის ხელშეკრულებებს, მას არ შეჰყავდა ჯარი ზაქათალის ოლქში, თუმცა ამის მოსურნე თითქმის მთელი ოლქი იყო. იგი გულმოდგინედ ელოდა როდის ინებებდნენ რუსეთისა და აზერბაიჯანის მესვეურები საარბიტრაჟო კომისიის შექმნას. მათ არ უნდოდათ იმის დაჯერება, რომ არც მოსკოვი და მით უფრო არც ბაქო არ იჩქარებდნენ ამისათვის, მითუმეტეს რომ ამ დროს საქართველოს ბედი მოსკოვში უკვე გადაწყვეტილი იყო. რაფიელ ინგილო კვლავ ბრალს სდებს საქართველოს მთავრობას უმოქმედობაში: „დღეს მთელი ზაქათალის ოლქი მოცქერალია საქართველოსთან შეერთებისა, მცხოვრებლები განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მოითხოვენ საქართველოს ხელმწიფების დამკვიდრებას ოლქში, მისთვის ავტონომიის მინიჭებით... მე მინდა უკანასკნელად დაგსვა საკითხი, ეხლა უკვე საჯაროდ, რას ჰფიქრობს ქართული საზოგადოება ზაქათალის ოლქის შესახებ? ნუთუ სამხრეთით მომდგარი რეალური საფრთხე მაინც არ უნდა აფიქრებდეს მას და არ ააჩქაროს ამ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც სულერთია, მაინც არ ასცდება საქართველოს, თუ მას განზრახვა აქვს იარსებოს ვითარცა სუვერენული პოლიტიკური ერთეული... საქართველო ალბათ მოკლე ხანში იქნება ცნობილი ევროპის მიერ იურიდიულად. მე ვშიშობ, რომ იქვე გადაწყდება, რესპუბლიკის ტერიტორიის საკითხი და მას მოუჭრიან იმდენ მიწას, რამდენის დაპატრონება და მოვლა მან შესძლო... შემდგომ წუწუნს საქართველოს ისტორიულ წარსულისა და ტერიტორიულ უფლებებზე ყურადღებას აღარავინ მიაქცევს... მამასადამე მთელი წყება ფაქტები და კარზე აღმართული საფრთხეც ეხლავე ჩაგვიჩინებენ, რომ საჭიროა ეხლავე, დაუყოვნებლივ კატეგორიული გადაჭრა ზაქათალის საკითხისა საქართველოს სასარგებლოდ“.³ მართლაც დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. საქართველოს გარშემო რკალი იკვრებოდა. აზერბაიჯანის სსრ და საბჭოთა რუსეთის მხრიდან ყოველდღიურად ირღვეოდა შეთანხმების პირობები, საქართველოს მთავრობას კარგად ესმოდა, რომ აზერბაიჯანის ხელით საქმეს საბჭოთა რუსეთი აკეთებდა. 1921 წლის 15 თებერვალს მე-11 არმიამ საბრძოლო მოქმედება დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ აქსტაფა-ფოილის მხრიდან, ხოლო 17-18 თებერვალს მათ გადმოლახეს მდინარე მაზიმ-ჩაი და შემოიჭრნენ ლაგოდეხში და საერთოდ სიღნაღის მაზრაში. საქართველო ყველა მხრიდან ალყაში იყო მოქცეული... 1921 წლის 25

¹ სცსა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 782, გვ. 5-7

² გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წლის 12 ივნისი

³ გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. ქრისტეშობისთვის 10

თებერვალს საქართველო გაასაბჭოეს. გასაბჭოების შემდეგ საქართველომ საბოლოოდ დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი.

საქართველოს კომუნისტებმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრის საკითხი გადაწყვეტეს „ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმის“ თვალსაზრისით და მეზობელ სახელმწიფოებს დაუთმეს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. 1921 წლის 5 ივლისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა საკითხი სასაზღვრო ხაზის შესახებ და ზაქათალის საკითხთან დაკავშირებით შემდეგი დადგენილება მიღეს: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქში სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას. წინასწარ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების რევკომთა თავმჯდომარეებმა: ფილიპე მახარაძემ და ნარიმანოვმა.¹ ამ ოფიციალური შეთანხმებით ხორცი შეესხა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავშიურის გადაწყვეტილებას აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში ზაქათალის ოლქის დატოვების შესახებ. 1921 წლის 15 ნოემბერს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მუხტარ გაჯი ზადემ. ამ შეთანხმებით საბოლოოდ იურიდიულად დაფიქსირდა ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანის სსრ-სადმი მიკუთვნების საკითხი.² საქართველოს ისტორიული კუთხე ზაქათალის ოლქი – საბოლოოდ მოსწყდა დედა-სამშობლოს – საქართველოს. დავა ორ ქვეყანას შორის კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა არა მთლიან ოლქებს, არამედ მიწების, ტყეების, საძოვრების ცალკეულ მონაკვეთებს.

საქართველო-აზერბაიჯანის შერეული კომისიის წევრი იყო რაფიელ ივანიცკი, რომელსაც დავალებული ქონდა ზაქათალის და სიღნაღის მაზრების შორის არსებული სადავო საკითხების გამორკვევა. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გაგზავნილ წერილში რაფიელ ივანიცკი წერს:

ზაქათალის ოლქმა პოლიტიკური გამოცდა დაატერინა საქართველოს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მის მენშევიკურ მთავრობას და უნდა გამოტეხილად განვაცხადო, რომ ეს მთავრობა სასტიკად ჩაიჭრა ამ გამოცდაში; მან გამოიჩინა სრული უმეცრება დიპლომატიაში და საოცარი სიბეცე პოლიტიკაში; ეს მთავრობა უმაგალითოდ დამარცხდა მუსავატელებისგანაც კი, ხოლო ეს დამარცხება მეტისმეტად ძვირად დაუჯდა მთლიან ხალხოსნურ საქართველოს იდეას!³

მას არც საქართველოს მეორე რესპუბლიკის ხელისუფლების აღებული პოლიტიკური კურსი არ მოსწონს და დარწმუნებულია, რომ ისტორია არ გვაპატიებს ქვეყნის ინტერესების ასეთ უგულბელყოფას და მომავალი თაობა უეჭველად დაგმობდა მათ უსისტემო და ანტიპატრიოტულ პოლიტიკას ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში. მაშინდელ მთავრობას არ მიუღია არავითარი ზომები ოლქის შემოერთებისათვის. ასე ხელოვნურად მოსწყდა საქართველოს მასთან პოლიტიკურად, ეკონომიურად, გეოგრაფიულად ყოველმხრივ შეზრდილი ნაწილი.

¹ სუიცა, ფ. 288, ან. 1, საქ. 5, გვ. 14

² სუიცა, ფ. 288, ან. 1, საქ. 5, გვ. 8

³ სუიცა, ფ.285, ან.1, საქ. 238.

Natela (Natia) Mirianashvili

National Archives of Georgia;

Scientific Center for the Study of History, Ethnology, Religion and Propaganda

Archil Kokhreidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

THE FATE OF SAINGILO (ZAQATALA DISTRICT)

RESUME

This article deals with the fate of Zaqatala district (its other name is Saingilo) during the period of Georgia's independence and in the first years after its Sovietization (during the existence of the Second Republic). Georgia's north-western and south-western regions border on Azerbaijan. In 1918-1921, there were certain disputes between Georgia and Azerbaijan over these territories. There was no agreement as to who should own Zaqatala district located in this region. Saingilo is the other name of Zaqatala. From ancient times, Saingilo was part of the Georgian historical region of Hereti, where the Heret tribes, related to Georgia, settled. Saingilo district is located in such a way that part of its territory is wedged 80 miles into the territory of Georgia, namely into the Georgian district of Signagi. This geographical position brought the population of this region close to Kakheti and Tbilisi. This circumstance also made this region very important from a military point of view.

Administratively, the district was part of the Tiflis Governorate. Beginning in February 1917, as a result of the development of political processes in Russia, the previously relatively calm life of the population of Zaqatala became more complicated. The political unrest that arose as a result of the Russian revolution, when Georgia had not yet declared its independence and when, therefore, the government of the country did not yet exist, led to the district being transferred to Azerbaijan. After Georgia declared independence, its government tried to change the situation in its favor. However, it was unable to resolve the disputes that arose with the government of Azerbaijan over the border territories. In May 1920, the government of Georgia was unable to take advantage of the favorable conditions for resolving territorial disputes and was forced to give in. In theory, Georgia has always considered Zaqatala as part of its territory. On February 21, 1921, Georgia adopted a constitution in which Abkhazia, Muslim Georgia (Batumi District) and Zaqatala were declared as integral parts of the country.

However, this was more a wish than a reality. In reality, Georgia lost its control over Zaqatala district. On February 25, 1923, Soviet rule was established in Georgia, after which it lost part of its historical territories permanently. The Georgian communists preferred to resolve the disputed territorial and border issues in the South Caucasus entirely on the basis of the principle of "proletarian internationalism". As a result of this policy of the new Georgian authorities, many of Georgia's historical territories were ceded to neighboring republics. On July 5, 1921, a conference of representatives of Georgia and Azerbaijan was held in Tbilisi, at which the following decision was made regarding the affiliation of Zaqatala district: the Georgian Soviet Socialist Republic renounces its claims to this district, and the Revolutionary Committee of Georgia adopts the corresponding decree.

On November 15, 1921, based on an agreement between the governments of Georgia and Azerbaijan, the question of the Zaqatala district's affiliation was legally and finally decided in favor of Azerbaijan. Thus, Georgia lost this historical territory once and for all.

ქსნის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის სიგელის ისტორიული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა

აღნიშნული გუჯარის (სიგელი) ქსნის ერისთავს შალვას შეუდგენია 1470 წელს და უბოძებია ლარგვისის მონასტრისათვის. ძეგლი დაბეჭდილია 1910 წელს „საქართველოს სიძველენის“ მესამე ტომში ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით.

ქართულ ისტორიულ დოკუმენტებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებისას მთელი რიგი ობიექტურობის დადგენაში. საბუთები საქართველოს სხვადასხვა მხარეშია შედგენილი, რაც ხელს უწყობს მთელი რიგი ფორმების სიჭრელეს, მრავალფეროვნებას, სხვადასხვა დიალექტის თავმოყრას. ასეთი საბუთების კვლევისას თვალსაჩინო ჭიდილი ხდება დადგენილ ფაქტებსა და ჯერ დაუდგენელს შორის.

ზემოხსენებული ძეგლები ისტორიული ქარტეხილების გამო ნაკლებად გვხვდება, თუ შემოგვრჩა ისინი წარმოადგენენ ძვირფას წყაროს ისტორიული და არამართო ისტორიული მეცნიერებისათვის.

ასეთი ძეგლების გამო გვაქვს შესაძლებლობა თვალი გავადევნოთ ეპოქას, ხალხთა მიგრაციას, იმიგრაციას, ბოძების სიგელებს და გამოვიტანოთ სრულყოფილი დასკვნა. ყოველივე ეს კი მოითხოვს ფაქიზ ობიექტურ მოპყრობას, რომ დადგინდეს სრული კანონზომიერება.

სოფელი ლარგვისი მდებარეობს მდინარე ქსნის ხეობაში, ქსნისა და ჭურთის წყლის შეერთების ადგილას კლდოვან კონცხზე და საკმაო დიდ ტერიტორიას მოიცავს. სოფელი ქსანი ერისთავების რეზიდენცია იყო საუკუნეების განმავლობაში, შემდეგ კი ერისთავებმა რეზიდენცია ლარგვისიდან ახალგორში გადაიტანეს, სადაც დიდი ციხე-სიმაგრის კომპლექსი და სასახლე ააშენეს. ერისთავთა საგვარეულო მატანიე „ძეგლი ერისთავთა“ აღნიშნავს, რომ თითქოს ქალაქი ლარგვისი როსტომმა ააშენა VI საუკუნეში და შეამკო ყოვლითურთ, ამ ცნობას მკვლევარები არ იზიარებენ.

წყალდიდობას ტაძარი დაუზიანებია და „ძეგლი ერისთავთა“ ცნობით იოანე ერისთავს განუახლებია, შემდგომ კი მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში შალვა ქვენიფნეველს განუახლებია, რაც აღწერილია მის მიერ დაწერილ სიგელშიც.

„მე მინდობილმან თქვენმან ქვენიფნეველმან ერისთავმან შალვა ვიგულისმოდგინე შემდგომად ჩემთა ჩამომავალთა ერისთავმან და ხელეყავ მათგან სასოებით აშენებულსა საუკუნისა სამკვიდრებელისა, საძვალესა ჩვენსა მონასტერსა ლარგვისისა, რომელი პაპათა, მამათა და ჩამომავალთა ჩვენთა აღეშენა და ყოვლითურთ უნაკლო შეემკო“...¹

ზემოხსენებული სიგელი დაწერილი ყოფილა ეტრატზე ლამაზი ნუსხური ასოებით, წინადადების გათავების შემდეგ გამოყენებულია ერთი წერტილი, მუხლების გათავების შემდეგ ორი და სამი წერტილი. ეტრატი შედგება ორი ერთმანეთზე მიწებებული ნაჭრებისგან. პირველ ნაჭერზე დახატულია წელს ზევით თვით შალვა ერისთავი ფერადებით.

სიგელი ძალზე საყურადღებოა ვინაიდან მასში მოთხრობილია ისტორია ლარგვისის მონასტერსა და კანონმდებლობა იქ ჩადენილ დანაშაულის შესახებ. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ძეგლის შესავალში წერს სიგელი მას მიუღია ზაქარია ერისთავის ოჯახისაგან ახალგორში სიძველეთა ძიებისას.

¹ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. 3. ტფ., 1910, გვ. 557.

სიგელი იწყება მაცხოვრის ქება-დიდებათ აღმატებით ხარისხში: „გონება მინდობილისა, ძალ-უხვისა, უხილავისა, სიტყვა-მიუთხრობელისა, წყაროსა უკვდავებისა, უდაბნოსა მოწყურესა, საკვირველსა აღმატებულსა...“ მონასტრის აგება-განახლებაზე თვით ავტორი შალვა ქვენიფნეველი კვლავ აღნიშნავს: „მე მინდობილმან სხვა-ფარვითა თქვენთამან გულისმოდგინედ მასასოელმან ქვენიფნეველმან ერისთავმან შალვა ვიგულისმოდგინე შემდგომად ჩემთა ჩამომავალთა ერისთავთა და ხელ-გყავმათგან სასოებით აღმაშენებლისა საუკუნისა სამკვიდრებელსა საშუალებსა ჩუენსა მონასტერსა ლარგვისსა, რომელი საკურთხეველთა პაპათა, მამათა და ჩამომავალთა ჩვენთა ამეშენა და უნაკლოდ შეიმკო ხატითა წიგნითა, ხატვითა და ყოვლითა მოწყობილობითა და შემდგომად მათისა მეუწყა საღთოთა განგებულებითა და ვიწყე შენობად. პირველად დავახატვინე კამარათა უკანათი წმიდისა თევდორესი თავი ეკლესია და აღემართე ჯუარი, საკურთხეველისა კართა, დავაწერინე ახალი საულ-დავითი და საწინასწარმეტყველო ერთ წიგნად, დავაკაზმინე წიგნები, დავდევე შესამოსელი მიწყობილსა, აღვაშენე ეკლესიაი ნათლისმცემლისა, შემოვავლენ ზღუდენი და აღვაშენე ტრაპეზნი, მოვაწყუნენ ჭურვებითა, მივჭედენ კარნი კოშკისანი და ზღუდისანი, დავასვენე ჯვარი სპილენძისათ, ჩავდგი მათ ქვეშე ჭური, ბიყრით მოვიტანე.¹

როგორც შალვა ერისთავი სიგელში აღნიშნავს მათ გვარს საუკუნო სამკვიდრებელი ლარგვისი პირველად ბერძენთა მეფის იუსტინიანესგან ყოფილა აღშენებული და მათი გვარისათვის გადაცემული: „პირველად იყო აღშენებული ბერძენთა მეფისაგან იუსტინიანესგან და ჩუენთა ჩამომავალთაგან ერისთავთა ნათესავთათვის საძვალედ ბოძებული ღვთივ გყვავით მეფობასა ღვთივ გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისსა წარსამართებლად ერისთავობისა ჩვენისა და ძისა ჩუვენისა. აღვაშენენ სოფელნი მეჯუდის ხევს სოფელი ახალუბანი, აღვაშენე სოფელი ივრეთი, აგრეთვე ქსანზე სოფელი ჰერედაი, აღვაშენე ზუარი, ქურთაი და სხუაი, ვინცა ლარგვსა მონასტრისათვის შეწირული იყო.“

გუჯარი-სიგელი, რომლის ავტორი ქსნის ერისთავი იასე ერისთავია ბოძებულია ასევე ლარგვისის მონასტრისათვის, დაწერილია წინა გუჯარის მეორე გვერდზე ნუსხახუცურის გრაფიკით, რომელიც ეკუთვნის მეთექვსმეტე საუკუნეს.

სიგელი პირველ რიგში განადიდებს ქრისტე ღმერთსა და მერე ახსენებს წარჩინებულსა მოწამეს თეოდორეს, რომლის სახელზეც აგებულია ლარგვისის მონასტერი. იგი აღნიშნავს: „მასასოებელმან ერისთავთ-ერისთავმან ძემან ქვენიფნეველისმან, პატრონმან იასე და თანამეცხედრემან ჩვენმან პატრონმან როდამ და ძეთა ჩუენთა ლარგუელმან და ქვენიფნეველმან და ჩუენთა მამათაგან სასოებით აღშენებულსა საუკუნოსა სამკვიდრებელსა ლარგვისსა მონასტერსა წმიდაის თეოდორესა შემოვწირეთ თემი ქურთა და ციხი და სხვათა“...²

როგორც სიგელშია აღნიშნული ხსენებული დროისათვის საკუთარი სახელები ერისთავთა ჩამომავლობაში მემკვიდრეობითი ყოფილა რასაც ადასტურებს იასე ერისთავი, რომლის შვილები ლარგველი და ქვენიფნეველი საკუთარ სახელად არიან მოხსენებული.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც შიდა ქართლის სხვა ისტორიულ დოკუმენტებში ისე ქსნის ხეობის მთელ რიგ საბუთებში -ელ სუფიქსიანი საკუთარი სახელები ხშირია, მათ შორის აღსანიშნავია 1774-1781 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერის მასალები სადაც ასეთი ტიპის გვარები რაიმეს მფლობელობას აღნიშნავს და ტოპონიმიზებული გვარები ეწოდებათ. ასეთი სახის დოკუმენტებია ასევე „ძეგლი ერისთავთა“, 1804-1818 წლების რუსული კამერალური აღწერის მასალები და სხვები.

იოანე ბაგრატიონი ნაშრომში „შემოკლებითი აღწერა ქართველ თავადთა აზნაურთა გვარებისა“ აღნიშნავს, რომ პირველი ერისთავი იყო ვინმე კონსტანტინე, რომელიც

¹ იქვე, გვ. 557-558.

² იქვე, გვ. 562.

სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა. შემდგომ თორნიკე ერისთავობს და შემდგომ იყვნენ მონათესავენი მათნი. მაშინ მართავდნენ ქსანსა სხვადასხვა მოსულნი მთისანი და სხვანი თავადნი“.¹

რუსუდან მეფის დროს „მოვიდნენ ორნი მამანი, პირველს ეწოდა ბიბილა, ხოლო მეორეს რატი. ხოლო ბიბილა უკვე ესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენიფნევეს, ხოლო აწ იწოდება იფნეკად, ხოლო რატი დასახლდა ჟამურის ხეობასა შინა. მიიღეს თავადობის ხარისხი მერე კონსტანტინეს მსახურებისათვის წელსა 1412-სა და იწოდენ ბიბილურები ქვენიფნეველებად, ხოლო სიმონ მეფისა ძმამან დაუთხანად წოდებულმან ამან იმოყვრა ელიზბარ ქვენიფნეველი და დაუმტკიცა ერისთავობა ქრისტეს აქეთ 1569 წელს და იწოდებიან გვარნი ამათნი ერისთავად“²

დავით ციციშვილი აღნიშნავს „ესენი იყვნენ გვარით ბიბილურნი ქართლის მეფეთაგან აზნაურობისა ხარისხსა აღჟუანებულნი და რომელნიცა მიითვისებდნენ გვარსა ქვენიფნეველისასა გვარსა არ არიან ქუნაფნაველისა გვართაგან. ბიბილურნი მდგარან იალბუზის კალთათა შორის მამულსა ზედა ქვენიფნეველისასა“.³

საერისთავოს რეზიდენცია ლარგვისის სამხრეთით ქვენიფნევეში მდებარეობდა, აქედან წარმოიშვა ერისთავთა გვარი ქვენიფნეველი. XV საუკუნეში ძირითადად დამთავრდა ქსნის საერისთავოს სათავადოდ გარდაქმნის პროცესი. ზემოხსენებული შალვა ქვენიფნეველის სამფლობელოში შედის ცხრაძმის ხევი, ქარჩოხი, ქოლოთი, მეფე ვახტანგ მესამემ შალვა ქვენიფნეველს უბოძა - თრუსო, ღუდა, მღეთე, არახვეთი, ხანდო, ყანჩაეთი, ძაგნაკორანი, დიდუამი, აწრისხევი, ბეხუშე, ქნოლო, მაღრან-დვალეთი და ასევე ქართლის მთელი რიგი სოფლები სადაც ჰქონდათ საუფლისწულო რეზიდენციები. ერისთავების აზნაურები იყვნენ: კორინთელი, ლოლაძე, თულაშვილი, ხმალაძე, უთნელისშვილი, სრესელი, ფავლენიშვილი, მრულისშვილი, მაჭავარიანი, ალექსიშვილი, ბასილაშვილი, ჩუბინაშვილი, ძამელაშვილი, კობახიძე, განძელი, ჯაფარიძე და სხვები, რომლებმაც დიდი კულტურული და ეკონომიკური დახმარება გაუწიეს, როგორც ერისთავებს ისე მთელ ქართულ საზოგადოებას.

ზემოხსენებული ძეგლი - გუჯარი, რომელიც შესანიშნავი ნიმუშია ქართული ენისა, რომელიც ასევე ახალი ქართულის ბევრ ნიუანსს შეიცავს მთელი რიგი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით არის გამორჩეული. ტერმინი ნუსხახუცური მეცხრე საუკუნიდან ჩამოყალიბდა ასომთავრული გრაფიკის საფუძველზე. „ნუსხური“ ნაწარმოების სიტყვისაგან „ნუსხა“, რომელსაც სულხან-საბა ასე განმარტავს: „ნუსხა ჩქარას დაწერილი არს“. ნუსხური სახეობა განსხვავდება ასომთავრულისგან, რადგან ასომთავრული ორხაზოვანი სისტემაა, ხოლო ნუსხური კუთხოვანი სისტემისაა, რომელსაც კუთხურსაც უწოდებენ - ოთხხაზოვანი სისტემაა და ასევე ხდება ასოთა გადაბმაც.

აღრეულ საუკუნეებში საწერ მასალად გამოიყენებოდა მაგარი საგნები: ქვა, ლოდი, ხე და სხვა მასალა. მოგვიანებით ჩვენმა წინაპრებმა საწერ მასალად გამოიყენეს ტყავი, რასაც სულხან-საბა ასე განმარტავს: „ეტრათი ტყავის ქალაღი“. ეტრათს ასევე პერგამენტსაც უწოდებენ, რომელსაც ეს სახელი შეერქვა საბერძნეთის ქალაქ პერგამონიდან სადაც პირველად დაიწყეს საწერ მასალად ტყავის დამუშეება.

სიგელში რამდენიმეჯერაა ნახსენები სიტყვა ჭური, რომელსაც სულხან-საბა ასე განმარტავს: „ჭური ეწოდების ტყბილისა საცავსა, ტყბილი ეწოდების წვენსა ყურძნისასა, ხოლო ტყბილი - თაფლითა და ყოფლითა მისთანათა ტერმინი. ჭური ეწოდების საცავდა ტყბილისასა და კვალად ჭური ჯაჭვითა და ჯავშნითა, რომელი არის საცავი სხეულისა და

¹ ბაგრატიონი ი. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ. 1997, გვ. 22.

² იქვე, გვ. 22.

³ დ. ციციშვილი, შემოკლებითი მოთხრობა საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარებისა. (ხელნაწერი).

სულისა, რომელი არს ყოველთა უტკბესი, ზოლო ჭური საცავი ტყბილისა. რამეთუ დიდსა ეწოდების ქვევრი...”

როგორც ჩანს, ზემოხსენებულ მონასტრებში უფრო გამოყენებული იყო სიტყვა ჭური, სადაც ტკბილს ინახავდნენ ეკლესიის საჭიროებისათვის.

სიგელში გვხვდება მთელი რიგი არქაიზმები, რომელთა გამოყენება მიზნობრივია, გვხვდება დღეს ხმარებიდან გასული ასო-ბგერები, რომლებიც სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებშია ფიქსირებული. მაგალითად, „იოტა“ ნახევარი ხმოვანი, როცა ი სუსტდება და იოტად იქცევა, მაგალითად უსაზღვროისა, უდაბნოისა, რიტორობაი, წყაროი, მადლისაი, საიდუმლოისა, სამრეკლოი, სპილენძისაი, ეკლესიაი...

ღ - უწოდებენ რიგის მიხედვით, რომელიც ანბანში მერვე ადგილზეა, ბგერა დასტურდება ზემოხსენებულ ტექსტში სხვადასხვა შემთხვევებში: მამისა უტყუზებასა, წინასწარმეტყუზელთა ბეჭედსა, ქუჭსკნელად შთასრულთა, ღვთისა ჩუწნისა...

ვი მიღებულია უ-სა და ი-ს შეერთების შედეგად. წარმოითქმის როგორც ვი, რომელიც ტექსტში ხშირად დასტურდება: თვით სამებისგან, მახვილსა მადლისასა, თანამკვიდრსა მეფისასა, ამისათვის აღვაშენე...

ასეთი ფორმები ტექსტის სამკაულია.

ძეგლში წარმოდგენილია რთული სახელები - კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია ფუძის გაორკეცებით ან სხვადასხვა ფუძეების შეერთებით, ისინი ტექსტის სამკაულებია და კარგად გვიხასიათებს ქართული ენის ლექსიკას: პირმეტყველი, წინააღმდეგობა, მძინარეთ-მღვიძებელი, მოუსარჩლელ-მოუდევარი, მიერცა იდიდებოდეს, ღთისანი ზეცისანი, ლაშქარ-ნადირობაი, ხორციელ-უხორციონი და სხვა მრავალი...

ძველად როცა მწიგნობრობა განვითარდა საწერი მასალის სიძვირის გამო სიტყვებში მარცვლების გამოტოვებით შემოკლებული წერა შემოიღეს, სიტყვას ზევიდან განსაკუთრებულ ნიშანს უკეთებდნენ, რომელსაც პატივი ან ქარაგმა ეწოდებოდა: ზემოხსენებულ ძეგლში გვხვდება ასეთი ქარაგმები, მაგალითად: ი – ე იოანე, მ – სსა მეფისა, შ – დ შემდგომად, ჩ – ა ჩამომავალთა, რ – ლ რომელ, წ – თა წმინდათა...

ზემოხსენებული ძეგლი არის ძვირფასი დოკუმენტი, რომლის კვლევა უნდა გაგრძელდეს.

Nikoloz Otinashvili

Gori State University

**THE HISTORICAL AND SOCIAL SIGNIFICANCE OF THE DEED OF SHALVA
KVENIPNEVELI, ERISTAVI OF KSANI
RESUME**

The aforementioned decree (seal) was composed by Ksani Eristavi Shalva in 1470 and presented to the Largvisi Monastery. This historical artifact was published in 1910 in the third volume of Georgian Antiquities, edited by Ekvtime Takaishvili. The village of Largvisi is situated in the Ksani River Gorge at the confluence of the Ksani and Churti rivers, perched on a rocky promontory, and encompasses a considerable area. For centuries, Largvisi served as the residence of the Ksani Eristavs before the seat was relocated to Akhlagori, where a grand palace was

subsequently constructed. The seal itself was inscribed on a sheet of paper in elegant Nuskhuri script, with three dots placed at the conclusion of sentences and clauses.

The sigil recounts the history of the Largvisi Monastery and outlines the legislation regarding crimes committed within its grounds, which were subject to punishment. As noted by the author of the charter, the monastery was originally constructed by the ancestors of Shalva Kvenipleveli. As their descendant, Shalva felt a profound duty to continue their legacy.

To fulfill this obligation, he ensured the continuation of construction, adorning the monastery with icons, manuscripts, and various ecclesiastical furnishings. He erected a cross, built the Church of the Baptist, enclosed the monastery with a fence, laid tiles, and consecrated the entire complex in the name of Saint Theodore.

At that time, the residence of the Ksani Saeristavo was situated in Kvenipnevi, located south of Largvisi. It is from this location that the surname of the Eristavis, Kvenipneveli, originates. The Saeristavo encompassed the Gorge of the Nine Brothers, Karchokhi, Koloti, Truso, Ghuda, Mleta, Arakhveti, Khando, Kanchaeti, Atriskhevi, Knolo, as well as several villages in Shida Kartli, where the Eristavis maintained princely residences. The sigil features complex, composite names formed by either doubling stems or combining different ones. These linguistic constructions are gems of the text, reflecting the norms of both ancient and modern Georgian languages. This monument is an invaluable historical document, and its further research remains an important endeavor.

ივანე ჯავახიშვილი სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში

შესავალი

სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოს, როგორც კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, დიდი როლი აქვს ახალგაზრდების ეროვნული თუ კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში. სახელმძღვანელოები, მასში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რომელიმე სახელმწიფოს მომავალი განვითარების, მიზნების თუ პოლიტიკური ორიენტაციის წარმოსაჩენად. რეალური ისტორიის გაცნობა მნიშვნელოვანია, რადგან სწორი ინფორმაციის მიწოდებით მან მნიშვნელოვანი კვალი შეიძლება დატოვოს მოსწავლის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. სკოლაში ისტორიის სახელმძღვანელოებიდან მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ახალგაზრდის დამოკიდებულებას მისი ქვეყნის არამხოლოდ წარსულის, არამედ მიმდინარე და მომავალი მოვლენების შესახებ. საბჭოთა პერიოდში მოსკოვიდან ნაკარნახევი ისტორიის სწავლის/სწავლების შემდეგ, საინტერესოა, დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოები როგორ ასახავს რეალურ წარსულს და რა ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემული სახელმძღვანელოები შესაძლებელია დაჯგუფდეს სამ თაობად - საქართველოს ხელმძღვანელობის ცვლილების შესაბამისად: 1. ელუარდ შევარდნაძის მმართველობა (მოქალაქეთა კავშირი (1993 წლიდან) - 1992-2003); 2. მიხეილ სააკაშვილის მმართველობა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 2003-2012); 3. ბიძინა ივანიშვილის მმართველობა (ქართული ოცნება - 2012 წლიდან).

საქართველოს ხელმძღვანელობა	სახელმძღვანელო
ელუარდ შევარდნაძის მმართველობა - (1992-2003);	• ბოლოთაშვილი, 1998 • ლომაშვილი, 2002
მიხეილ სააკაშვილის მმართველობა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 2003-2012);	• ბოლოთაშვილი, კილურაძე, მეძმარიაშვილი, 2004 • ვაჩნაძე & გურული, 2005 • აბდალაძე, კუპატაძე...2008 • ახმეტელი, მურღულია, 2008 • მალაზონია, კვიტაშვილი, მალაზონია, 2008
ბიძინა ივანიშვილის მმართველობა (ქართული ოცნება - 2012 წლიდან).	• კილურაძე, გაჩეჩილაძე, სანიკიძე, 2012 • აბდალაძე, კუპატაძე...2012 • ჯანელიძე, თაბუაშვილი...2012 • ასათიანი, ლორთქიფანიძე...2012 • ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა, 2020 • სურგულაძე, კეკელია...2021 • ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა, 2021

ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა პერიოდის ისტორიის ქართულ სახელმძღვანელოებში

აღსანიშნავია, რომ 1961 წელს ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში საერთოდ არაა ნახსენები ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დაარსებაზე საუბრისას. კერძოდ, სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „რევოლუციამდელ საქართველოში ქართველი მეცნიერები (ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი და სხვ) მიმოფანტულნი იყვნენ რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში. 1918 წელს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით თბილისში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ მთავრობის მხრივ იგი მოკლებული იყო მატერიალურ დახმარებას და კერძო სახსრებით არსებობდა“¹. ამავე წელს გამოიცა გუჩუასა და მესხიას ავტორობით საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო VII-VIII კლასებისათვის². აღნიშნული არც ჯავახიშვილს ახსენებს და არც უნივერსიტეტის დაარსებას.

განსხვავებით 1961 წლისგან საბჭოთა პერიოდის კიდევ ერთ, 1968 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის VII-X კლასების სახელმძღვანელოში, საბჭოთა საქართველოში მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილზეცაა საუბარი. სახელმძღვანელოს ავტორები ცარიზმის დამხობას უკავშირებენ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნას, რაც „გამოჩენილი ქართველი მეცნიერების პ. მელიქიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ა. რაზმაძის და სხვათა თაოსნობით გახდა შესაძლებელი“³. ამავე სახელმძღვანელოში ივანე ჯავახიშვილი მოხსენიებულია როგორც „უდიდესი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ისტორიის შესწავლისა და გამოკვლევის დარგში“⁴.

1973 წელს, მიხეილ ცერცვაძის ავტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ივანე ჯავახიშვილს და მის მოღვაწეობას დიდი ადგილი ეთმობა და მისი სურათიცაა მოცემული. კერძოდ, სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ „1918 წლის იანვარში ქართველი ხალხის კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მოვლენა მოხდა. მეცნიერ-პატრიოტთა ჯგუფმა ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, პ. მელიქიშვილმა, ფ. გოგიჩაიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, ე. თაყაიშვილმა, ი. ყიფშიძემ, ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა და სხვ. შესძლეს თბილისში დაეარსებინათ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებელი - უნივერსიტეტი“⁵. სახელმძღვანელოში ხაზგასმულია აგრეთვე ჯავახიშვილის როლი ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის დარგების განვითარებაში; აღნიშნულია მისი დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. სახელმძღვანელოში ავტორი ჯავახიშვილს კიდევ ერთხელ მეორე მსოფლიო ომის განხილვისას ახსენებს - „ისტორიკოსებმა 1943 წელს შექმნეს საშუალო სკოლების საქართველოს ისტორიის (ძველი დროიდან მე-19 საუკ.) მეცნიერული სახელმძღვანელო. მის ავტორებს ივ. ჯავახიშვილს, სიმ. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს სტალინური პრემია მიენიჭათ“⁶.

1990 წელს გამოცემულ, საქართველოს ისტორიის მეათე კლასის სახელმძღვანელოში ივანე ჯავახიშვილზე სამეცნიერო მოღვაწეობაზე შედარებით ვრცლადაა საუბარი განათლებისა

¹ საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო VIII-X კლასებისთვის. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1961. გვ. 342

² გუჩუა, ვ. და მესხია, ს. საქართველოს ისტორია: VII-X კლასების სახელმძღვანელო. თბ., 1961.

³ ციხისთავი, ლ. ცერცვაძე, მ. და მახარაძე, ი. საქართველოს ისტორია. VII-X კლასების სახელმძღვანელო. თბ., 1968. გვ. 284

⁴ ციხისთავი, ლ. ცერცვაძე, მ. და მახარაძე, ი. საქართველოს ისტორია. VII-X კლასების სახელმძღვანელო. თბ., 1968. გვ. 286

⁵ ცერცვაძე, მ. საქართველოს ისტორია. თბ., 1973. გვ. 63

⁶ ცერცვაძე, მ. საქართველოს ისტორია. თბ., 1973. გვ. 119

და მეცნიერების განხილვისას მეოცე საუკუნის დასაწყისში. ხაზგასმულია ივანე ჯავახიშვილის წვლილი ქართველოლოგიის განვითარებაში. აღნიშნულია, რომ ე.წ. „პეტერბურგის სკოლაში“ წამყვან როლს უკვე ქართველ მეცნიერთა ის ახალი თაობა ასრულებდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დიდი ივანე ჯავახიშვილი¹. ნაშრომში ავტორი ხაზს უსვამს ჯავახიშვილის იმ შრომებს, რომლებიც მან აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნდა. მათ შორის განსაკუთრებით აღნიშნავს „ქართველი ერის ისტორიის“ I და II წიგნებს (1908-1913 წ.წ.), „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ და სხვ, რომელთაც მიიჩნევს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ახალი ეტაპის დასაწყისად. ლომაშვილი აკონკრეტებს იმ ამოცანებს, რომლებიც მისივე თქმით ჯავახიშვილმა ქართველოლოგიის წინაშე დააყენა - „ერთი მხრივ, აუცილებელი იყო „ევროპოცენტრიზმის“ კონცეფციის კრიტიკა, ე.ი. იმ შეხედულების დაძლევა, თითქოს პროგრესული კულტურული განვითარების უნარი მხოლოდ ევროპის ხალხებს ჰქონდათ. მეორე მხრივ კი საჭირო იყო სათანადო ფაქტების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იმის დასაბუთება, რომ მსოფლიო კულტურის საგანძურში აღმოსავლეთის ხალხებმაც საპატიო წვლილი შეიტანეს. რაც მთავარია, საჭირო იყო იმის ჩვენება, თუ რა ადგილი ეკავა მსოფლიო კულტურაში ორიგინალურ ქართულ კულტურას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებთან მჭიდრო ურთიერთობაში ვითარდებოდა“².

ივანე ჯავახიშვილი პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის ქართულ სახელმძღვანელოებში

კვლევაში გამოკვეთა, რომ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების მხოლოდ მცირე ნაწილშია მოცემული ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის შესახებ. მოცემული ინფორმაციაც ეხება მის სამეცნიერო მოღვაწეობას, რექტორობას; მის დამსახურებას უნივერსიტეტის დაარსებისას. ლომაშვილის ავტორობით 2002 წელს გამოცემული XI კლასისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია 1801-2001“, მხოლოდ რამდენიმე წინადადებით ეხება ჯავახიშვილს. კერძოდ, მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ჯავახიშვილის როლზე საქართველოში პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში და მის რექტორად პეტრე მელიქიშვილის არჩევაში. შემდეგ კი აღნიშნავს, რომ მალევე თავად ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა უნივერსიტეტს სათავეში. ამავე სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯავახიშვილის, ჯანაშიასა და ბერძენიშვილის ავტორობით 1944 წელს გამოიცა ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პატრიოტიზმის გავრცელებას ემსახურებოდა. ავტორისათვის მოცემული სახელმძღვანელო „ჭეშმარიტად ბრწყინვალეა“ და „დღესაც მიუწვდომელ მწვერვალად რჩება“³. ლომაშვილისთვის ჯავახიშვილი „ქართველოლოგიის ერთგული მსახური“ საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელებისას. აქვე აღნიშნულია, რომ 1930-იანი წლების რეპრესიებისას „ივანე ჯავახიშვილი მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტიდან გააძევეს“⁴. სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი საქართველოს ოკუპაციის პერიოდში ჯავახიშვილის პოზიციაზე.

ჯავახიშვილი სამეცნიერო მოღვაწეობასა და მის როლზე ქართული უნივერსიტეტის დაარსებისას აღნიშნავს 2005 წელს გამოცემული IX კლასელთათვის განკუთვნილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო⁵. მოცემული სახელმძღვანელო როგორც

¹ლომაშვილი, ფ. საქართველოს ისტორია. თბ., 1990. გვ. 149

²ლომაშვილი, ფ. საქართველოს ისტორია. თბ., 1990. გვ. 149

³ლომაშვილი, ფ. საქართველოს ისტორია 1801-2001. თბ., 2002. გვ. 51.

⁴ლომაშვილი, ფ. საქართველოს ისტორია 1801-2001. თბ., 2002. გვ. 77.

⁵ვაჩნაძე, მ. და გურული, ვ. საქართველოს ისტორია IX. თბ., 2005.

ჯავახიშვილის, ისე მის მოწაფეთა 1921-1942 წლებში დაწერილ ნაშრომებს აცნობს მოსწავლეებს.

კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც ივანე ჯავახიშვილის შესახებ აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს, 2012 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული, მე-9 კლასისათვის განკუთვნილი „საქართველოს ისტორია“¹. აღნიშნულ სახელმძღვანელოშიც ყურადღება გამახვილებულია ჯავახიშვილის სამეცნიერო მუშაობასა და მის წვლილზე საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისას. არც მოცემული სახელმძღვანელო აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას ჯავახიშვილის პოზიციაზე 1921 წლის მოვლენებისას.

ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაზე 1920-1930-იან წლებში ამახვილებს ყურადღებას 2008 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული კიდევ ერთი სახელმძღვანელო². ხაზგასმულია რექტორების, პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის წვლილი, საქართველოსათვის უნივერსიტეტის მნიშვნელობა, რასაც განამტკიცებს სახელმძღვანელოში მოყვანილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის, გიორგი ლასხიშვილის სიტყვები.

2008 წელსვე ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემულ მეთორმეტე კლასის უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოში სხვებთან შედარებით მოცულობითი ინფორმაციაა მოცემული სურათებთან ერთად სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი ივანე ჯავახიშვილის შესახებ³. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, თერგდალეულთა სურვილი თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, რომელიც 1917 წელს რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ განხორციელდა და რომელსაც სათავეში პეტერბურგში არსებული “ქართული საუნივერსიტეტო საზოგადოების” ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა; მან თანამოაზრეებთან ერთად საქართველოს ეროვნული საბჭოს მხარდაჭერით 1918 წლის 26 იანვარს ქართული გიმნაზიის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. აქვე ხაზგასმულია ჯავახიშვილის წვლილი პეტრე მელიქიშვილის პირველ რექტორად არჩევაში; აღნიშნულია, რომ ჯავახიშვილმა განსაზღვრა უნივერსიტეტის სტატუსიც - სრული ავტონომია, შესაძლებლობა, თვითონ აერჩია რექტორი, ფაკულტეტების დეკანები და პროფესორები⁴.

სახელმძღვანელოს ავტორები მოსწავლეებს აწვდიან ასევე მოკლე ინფორმაციას უნივერსიტეტის სტრუქტურის და გამოჩენილ მეცნიერთა მიერ წაკითხული ლექციების შესახებ, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართველი ერის ისტორიისა და სამართლისა და ეკონომიკური ისტორიის სწავლების შესახებ.

სახელმძღვანელოში ივანე ჯავახიშვილს კიდევ ვხვდებით 1930-იანი წლების რეპრესიებზე საუბრისას. ავტორები აღნიშნავენ, რომ “მართალია, ფიზიკურ განდგურებას გადაურჩნენ, მაგრამ უმძიმეს მორალურ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში აღმოჩნდნენ და მრავალი ტანჯვა-წამება გამოიარეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა: ივანე ჯავახიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, ვუკოლ ბერიძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ნიკო ლორთქიფანიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ და სხვებმა”⁵.

ავტორთა ჯგუფის მიერ 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში⁶ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შიდა თუ საგარეო პოლიტიკის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია საქართველოში სხვადასხვა

¹ ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ. საქართველოს ისტორია. თბ., 2012.

² მალაზონია, დ. კვიტაიშვილი, ნ. მალაზონია, თ. საქართველოს ისტორია. თბ., 2008.

³ აბდლაძე, გ. კუპატაძე, ბ. კვიტაიშვილი, ნ. და ჯანუაშვილი, კ. უახლესი ისტორია. თბ., 2008. გვ. 47

⁴ აბდლაძე, გ. კუპატაძე, ბ. კვიტაიშვილი, ნ. და ჯანუაშვილი, კ. უახლესი ისტორია. თბ., 2008.

⁵ აბდლაძე, გ. კუპატაძე, ბ. კვიტაიშვილი, ნ. და ჯანუაშვილი, კ. უახლესი ისტორია. თბ., 2008. გვ. 81/82

⁶ ასათიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომაშვილი, ფ. მეტრეველი, რ. სანიკიძე, გ. და ოთხმეზური, გ. საქართველოს ისტორია. თბ., 2012.

მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე, მათ შორის საქართველოს კულტურის ევროპეიზაციის ახალ შესაძლებლობებზე (რუსიფიკაციის შეწყვეტის კვალდაკვალ). სწორედ ამ კონტექსტშია ნახსენები სახელმწიფო უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილი. სახელმძღვანელოში ნაჩვენებია უნივერსიტეტის სურათი და აღნიშნულია, რომ “განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში დაარსებული უნივერსიტეტის განმტკიცებას, რომელსაც სახელმწიფო სტატუსი და სრული შინაგანი ავტონომია მიენიჭა”¹.

ივანე ჯავახიშვილზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიტანილ იერიშზე ამახვილებს ყურადღებას 2021 წელს, ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის“ მე-9 კლასის სახელმძღვანელო². წიგნში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯავახიშვილი ჯერ აიძულეს რექტორობაზე ეთქვა უარი, შემდგომ კი საერთოდ აუკრძალეს პედაგოგიური საქმიანობა; დაუპირისპირეს ე.წ. „წითელი პროფესორები“, ბრალად სდებდნენ „მხაგერელი კლასის სიყვარულს“. მისი დევნა 1936 წელს დასრულდა, როცა ავტორთა თქმით, „საბჭოთა მთავრობას და პირადად სტალინს მისი მეცნიერული ავტორიტეტი დასჭირდა“³.

დასკვნა

კვლევისას შესწავლილი სახელმძღვანელოების ძირითად ნაწილში ივანე ჯავახიშვილის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მოცემულია. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში მოცემულია ჯავახიშვილის სურათები და ავტორები ყურადღებას ამახვილებენ რამდენიმე ფაქტორზე, როდესაც მოსწავლეებს ჯავახიშვილის შესახებ მოუთხრობენ. ესენია:

- ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა;
- ჯავახიშვილის წვლილი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებაში და მისი რექტორობა;
- საბჭოთა ხელისუფლების შეტევა ჯავახიშვილზე 1930-იანი წლების რეპრესიების დროს.

სახელმძღვანელოებში არაა მოცემული ინფორმაცია უნივერსიტეტის, მისი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პოზიციის შესახებ საქართველოს ოკუპაციისას, არადა საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოში შემოჭრის დროს წინააღმდეგობის გამწვევთა შორის ახალგაზრდები, უნივერსიტეტის სტუდენტები საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ. ამ ყველაფრისკენ კი მათ უნივერსიტეტის რექტორმა, ივანე ჯავახიშვილმა მოუწოდა. ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 1919 წელს აირჩიეს. საქართველოს გასაბჭოებისას სწორედ ის ხელმძღვანელობდა პირველ ქართულ უნივერსიტეტს. საბჭოთა პერიოდში რა თქმა უნდა არაფერი იწერებოდა იმის თაობაზე, თუ როგორი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 1921 წლის პირველი სამი თვე. მხოლოდ გაკვრით აღინიშნებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მუშაობის პირობები შეუქმნა ქართულ უნივერსიტეტს. თუმცა არაფერი იყო ნათქვამი, თუ რას აკეთებდა უნივერსიტეტი ომის დღეებში, როგორ იბრძოდნენ და ილუპებოდნენ სტუდენტები სამშობლოსათვის. ამ პერიოდის შესახებ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში დაიწყო საუბარი და გარკვეული ნაშრომებიც

¹ ასათიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომაშვილი, ფ. მეტრეველი, რ. სანიკიძე, გ. და ოთხმეზური, გ. საქართველოს ისტორია. თბ., 2012. გვ. 373.

² სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. და ქურთუბაძე, მ. საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია. თბ., 2021.

³ სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. და ქურთუბაძე, მ. საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია. თბ., 2021. გვ. 52.

გამოქვეყნდა. თუმცა არც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოებშია მოცემული ინფორმაცია ჯავახიშვილის პოზიციის შესახებ 1921 წელს მიმდინარე მოვლენების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის, როგორც გამოჩენილი მეცნიერის შესახებ ინფორმაციას მოსწავლეებს როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოები აწვდის. თუმცა საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებში ჯავახიშვილზე ინფორმაცია თანდათან ჩნდება და მოცულობაში იზრდება - 1961 წლის სახელმძღვანელოები არც ახსენებს ჯავახიშვილს, 1990 წელს კი მასზე შედარებით ვრცელ (თუმცა არასაკმარის) მასალას ვხვდებით.

Tamar Orjonikidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Ilia State University

IVANE JAVAKHISHVILI IN SCHOOL HISTORY TEXTBOOKS

RESUME

The paper discusses whether the school textbooks provide any information to students about Ivane Javakhishvili and what kind of information this is. The paper employs the method of content analysis to examine history textbooks. The research discusses 5 textbooks from the Soviet period and 14 textbooks covering Georgian and world history that were published after the Soviet era. Attention is focused on the volume of material and presented documents. The main facts are highlighted, to which textbook authors pay special attention when discussing this issue.

The study revealed that in the textbooks the focus is made on the contribution of Ivane Javakhishvili to the founding of the university in Georgia, his scientific activities and rectorship. The position of the university, its professors, academic staff, and students during the occupation of Georgia is not mentioned. Some authors also note the attack of the Soviet authorities on Javakhishvili in the 1930s and talk about repressions carried out against him.

1905 წლის გლეხთა მოძრაობა აფხაზეთში პრესის მასალების მიხედვით

1905-1907 წლები რუსეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. რევოლუციამ გამოძახილი ჰპოვა იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებში, რასაც მოჰყვა რეაქციის უმძიმესი წლები. აღსანიშნავია, რომ აფხაზები რევოლუციის მიღმა დარჩნენ და მასში მონაწილეობა არ მიუღიათ, რაზეც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი გიორგი შარვაშიძე აღნიშნავდა: „როგორ მოხდა, აფხაზები - „ცნობილი მეამბოხენი“ , უეცრად იყვნენ მშვიდად და ეს მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი მღელვარებაშია... მათთვის ჯერ კიდევ ფეოდალიზმი გრძელდება, საჭიროა მათში ამ განცდის აღმოფხვრა, რადგან სასაცილოა, ჩვენს დროში, გყავდეს სახელმწიფოში ხალხი ფეოდალური წყობილების ყოფითი სისტემით... რევოლუციურმა პროპაგანდამ აქ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან აქ, არ არსებობდა წოდებრივი დაპირისპირება“. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციას არ თანაუგრძნობდნენ, რუსეთის იმპერიის კოლონიალისტურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები გააჩინა აფხაზეთში, რაც გლეხთა მასობრივ გამოსვლაში გადაიზარდა.

რუსი მოახალშენეების ჩამოსახლებამ აფხაზეთში გააუარესა აფხაზი და ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. რუსეთ-ოსმალეთის ომისა და აფხაზთა მასობრივი გადასახლების(მუჰაჯირობის) შემდეგ დაცარიელებულ აფხაზეთში მიწები ახალმოსულებს გადაეცა.¹ ადგილობრივ მოსახლეობას დაეკისრა მძიმე გადასახადები. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი ქართველი და აფხაზი გლეხების საკუთრებიდან ხდებოდა მიწების ჩამოჭრა და მოახალშენეებისათვის უმეტეს შემთხვევაში უსასყიდლოდ ან იჯარის წესით გადაცემა. აღნიშნულმა მდგომარეობამ გლეხების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც მალე მოედო მშრომელი ხალხის დიდ ნაწილს. ასე ეხმაურება აღნიშნულ ვითარებას გაზეთი ივერია: „იმ განმათავისუფლებელმა დიადმა ტალღამ, რომელიც კიდიით-კიდე ასე მძლავრად მოედო მთელს საქართველოს და ძილად მიგდებული ხალხი ზეზე დააყენა, აფხაზეთიც აახმაურა და ააღელვა: ხალხი აზვირთდა და აღსდგა“². გლეხთა მოძრაობა აფხაზეთში ძირითად მის სამ მხარეში იყო გამოხატული. თვდაპირველად მოძრაობა დაიწყო დასავლეთ აფხაზეთში(ბზიფი), საიდანაც მოძრაობა მალე გაგრძელდა აბჟუასა და სამურზაყანოში. გარდა რუს მოახალშენეების გლეხთა მოძრაობის დაწყებას ხელი შეუწყო იმპერიის ძირგამომპალმა ბიუროკრატებმა, რომელიც პირამდე ჩაფლული იყო კორუფციაში.

აფხაზეთში გლეხების მძიმე მდგომარეობის ამსახველი მრავალი მაგალითი მოგვეპოვება პრესის მასალებში: „როგორც დასავლეთის აგრეთვე აღმოსავლეთ აფხაზეთის მეზობლად რუს-მოლდავან-ესტონელთა რამდენიმე კოლონია არსებობს; დღიდან მათის დაარსებისა, რაც მოახალშენეებს ეკარგება, იმისი აუცილებლად უნდა უზღოს აფხაზთა იმ სოფელმა, რომლის საზღვრამდის მოიტანეს დაკარგული პირუტყვის კვალი“³. გაზეთ ივერიის ამავე ნომერშია საუბარია ჩამოსახლებულ მოახალშენეთა სხვა მანკიერ თვისებებზე, რომლის სიმძიმესაც პირნათლად განიცდიდა ბზიფის მოსახლეობა. „ბიუროკრატით ზურგ-მომავრებული

¹ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ქურობა, თავდასხმები, ყაჩაღობები, მკვლევლობები. 1905. 22 აპრილი. N 2801. გვ. 4

² გაზეთი „ივერია“ ალი-მურზა-სელიმ ოღლი. 1905. 15 ივლისი N 118. გვ. 2-3

³ გაზეთი „ივერია“. ალი-მურზა-სელიმ-ოღლი. 1905 15 ივლისი N 118. გვ. 2-3

მეახალთშენენი რაებს არ ჩადიოდნენ : დაკარგული საქონლის ფასს თვითონვე სწყვეტდნენ, ერთი და იმავე საქონლის ფასს ორჯერ ახდევინებდნენ და სხვა, ყოფილა მაგალითი, რომ ჭაში ჩამხვრჩალ ჭაკის ფასად ასი მანათი გადაეხადოს და შემდეგ ფაქტი გამოამკარევებულიყოს ! აღსანიშნავია მათი დანაკარაგი ყურადღების ღირსადაც არავის მიაჩნდა; ეკარგებოდათ კი ბლომად¹. იქვე აგრძელებს საგაზეთო სტატიის ავტორი რომ ღღესაც ბზიფელებს გაწერილი აქვთ გადასახადი 11 თუ 12 ათასი მანათი, რომლის გადახდაზეც უარს აცხადებენ და ამბობენ, რომ „იმიტომ ვიხდიდით სახელმწიფო გადასახადს თუ საეროხოს, რომ ავი კაცისაგან დაგვიფაროთო და არა უდანაშაულო მცხოვრებთ, ქურდბაცაცათ მაგიერ, სასჯელი მოგვაყენოთო“². ამასთან უნდა აღინიშნოს რომ მოახალშენეები არ ერიდებიან ადგილობრივ მოსახლეობას და ხშირ შემთხვევაში მათი სურვილების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ძალასაც ხმარობენ ადგილობრივების წინააღმდეგ. ასე მაგალითად 1905 წლის 5 მარტს მოახალშენეებმა გადაწვეს ზვანდრიფშის სასოფლო სკოლა.³ აფხაზთა სოფელი ააციც მეტად შეწუხებული იყო რუს მოახალშენეებისგამო. „საქონლისთვის მდინარესთან ჩასავალი გზაც აღარ მისცეს იმ აფხაზთ, რომელთა ნამოსახლარზეც თვითონ მოსახლაკარობენ“. მსგავსი ვითარება შეიმჩნევა აღმოსვლეთ აფხაზეთშიც - აბჟუაშიც და ასევე სამურზაყანოშიც, თუმცა იქ შედარებით ნაკლებად.

კიდევ უფრო მძიმე პირობებში იმყოფებიან აფხაზეთში ქართველი გლეხები. ძირითადად ეს ითქმის მეგრელებსა და სვანებზე. თუკი აფხაზებს მიწებს ართმევენ ან რაიმე სახის გადასახადს ახდევინებენ, ქართველ გლეხებს ცდილობენ, რომ საერთოდ არ გააჩნდეთ მიწა აფხაზეთში და არ მოხდეს მათ მიერ იმ დაცარიელებული მიწების ათვისება, რომელიც გაჩნდა აფხაზეთში მუჰაჯირობის შემდეგ. არა მხოლოდ თავისუფალ მიწაზე სახელმწიფო დასახლების უფლება კი არა, იჯარის წესით მიწის აღებაც ეკრძალებოდათ ქართველებს. ისეთი ადგილებიც არ ემეტებოდათ ქართველებისათვის, სადაც რუსების დასახლებასაც არ განიხილავდნენ. ხოლო თუკი ისეთი შემთხვევა მოხდა რომ რომელიმე რუსმა მოხელემ მისცა ნება დასახლებისათვის, მათ აუცილებლად გადაასახლებდნენ შემდგომ მათი „მისიის“ შესრულებისთანავე. ამგვარი შემთხვევები ხშირად არის აღწერილი პერიოდული პრესის მასალებში. გაზეთ ცნობის ფირცლის 1905 წლის 14 მაისის ნომერში ვკითხულობთ: „გავლენიანმა ადგილობრივმა მოხელემ ამას წინათ, ჩხალთაში (წებელდაშია) დაასახლა ათიოდე გაჭირვებული მოსახლე ტყე-ჯაგნარად ქცეული სახელმწიფო ადგილზე, ფორმალური პირობითაც შეეკრა მოიჯარადებს, სვანის შრომის უნარი და მხნეობა ყველას მოეხსენება: დიდიან-პატარიან, ქალიან-კაციან მთელი ძალ-ღონით შეუდგნენ საქმიანობას გაჰკაფეს ჯაგენარი, გასწმინდეს ადგილი, გააშენეს ქოხები სისხლითა და ოფლით მორწყეს ყოველი მტკაველი „ახალ სამშობლოში“ და მათი მისიაც დამთავრდა, ადგილობრივ მთავრობისაგან გამოეცხადათ, რომ ეს ადგილები დანიშნულია რუსთა დასახლებლად, რის გამოც უნდ აიბარგოთო“⁴.

მსგავსი რამ მოხდა სოხუმის მახლობლას, კერძოდ „მატროსების უბანში“ ჩასახლებულ მეგრელთა შემთხვევაშიც. „კავკასიის უმაღლეს მთავრობის ბრძანებით მიეჩინათ ქ. სოხუმის მამულიდან კანდელის (მაიაკის) ახლო სამასი ღესეტინა ჭაობიანი ადგილი ადგილობრივ მატროსების დასახლებლად განურჩევლად ეროვნებისა. ყველა მატროსმა უარი განაცხადა ამ საჩუქარზე, ისეთი უვარგისი და ჩირგვნარი ადგილი იყო. ქალაქი თავის საკუთრებას დაესაკუთრა და მატროსებისაგან ათვალისწინებული ჩირგვნარი ადგილი მეგრელებს მისცა. ამ უკანასკნელმა თავიანთი ძალ-ღონე შეაღიეს და იქ სადაც, ოცი წლის წინად მარტო ბაყაყის

¹ გაზეთი „ივერია“. აღი-მურზა-სელიმ-ოღლი. 1905. 15 ივლისი N 118. გვ. 2-3

² გაზეთი „ივერია“. აღი-მურზა-სელიმ-ოღლი. 1905. 15 ივლისი N 118. გვ. 4

³ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ აფხაზი. 1905. 27 მარტი. N 2782. გვ. 2-3

⁴ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სოხუმელი 1905. 14 მაისი. N 2819 გვ. 2

ყიყინსა და ტურის ჩხავილის მეტს ვერას გაიგონებდით ესლა მართლა უბანი აშენდა“¹. საბოლოოდ აქაც იგივე სცენარი განვითარდა რაც სვანი მოახალშენეების შემთხვევაში. მეგრელებსაც მოუწიათ დაეტოვებინათ ჭაობიდან უბნად ქცეული ადგილები.

ამასთან ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე, მსგავსი მოპყრობის ფაქტებს ვაწყდებით არა მხოლოდ გამომჟღავნებული ბიუროკრატიის მხრიდან, არამედ ამ პროცესში წარმატებით არის ჩართული ცარისტულ პოლიტიკასთან კარგად აფილირებული სასულიერო წოდებაც. გაზეთ ცნობის ფურცლის 1905 წლის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: აფხაზეთის უპატრონოდ დარჩენილი მიწების განაწილების დროს არაფერი მიეზომა სოხუმის კათედრას უბრალო შემთხვევით, მაშინ სოხუმში კათედრა არ არსებობდა.(საუბარია 1885 წლამდე პერიოდში) თუმცა შემდგომ ეპისკოპოსმა მოითხოვა თავისი წილი, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ მიეზომა ნადელი. 82 დესეტინა მიწა წაერთვა ფშაფის საზოგადოებას(მეგრელებითაა დასახლებული) და 80 ესტონელთა სოფელსო. ამ ნაჭრებს მიემატა თავისუფალი მიწებიც. ახლა საფიქრალი გაუჩნდა ეპისკოპოსს - ვინ უნდა დაასახლოს ამ ტერიტორიაზე. რუსი მოიჯარადენი ერჩივნათ მაგრამ რა თქმა უნდა ეს უკანასკნელნი არ დათანხმდებოდნენ იჯარის მიცემას, რადგან თუკი მოისურვებდნენ სახელმწიფო მიწები ისედაც მიეზომებოდათ. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზის გამო მოიწვიეს მეგრელი მოიჯარეები, რომელთაც ძლიერ მიეხედეს იქაურობას. „სულ-ადრე გაურისხდა მეგრელებს მღვდელ-მთავარი, თუმცა იმათ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ იმის წინაშე და მით არავითარი საბუთი არ მიუციათ ასაყრელად. მაგრამ საბუთი რა საჭიროა ? საბუთიც ის არ კმარა რომ მეგრეები იყვნენ და ამიტომ - წუხილს გამოთქვამს სტატის ავტორი - სიძულვილის ღირსნი ? მეგრელებმაც, როგორც ჩხალთელ სვანებმა, თავისი „მისია“ ადგილების გაწმენდით დაასრულეს“². ცხადია ამგვარმა ქმედებებმა აფხაზეთში ხელი შეუწყო საყოველთაო მღელვარების დაწყებას.

პირველად გლეხთა მოძრაობას სათავეში უდგად სოფელ ლიხნის გლეხები. გამოსვლები იწყება 1905 წლის 2 მარტს.³ ისინი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მოახალშენეებს 10-10 დესეტინა მიუზომეს, ხოლო აფხაზ გლეხობას 3-7 დესეტინა მიწა. რაც შეეხება აღმოსავლეთ აფხაზეთს, აქ ძირითადად სამი სასოფლო საზოგადოება ჩაება ახალ მოძრაობაში, ესენია: ილორის, ტამიშისა და აძვიბუის. დანარჩენი 8 სასოფლო საზოგადოება თანაუგრძნობდა ახალ მოძრაობას თუმცა მათში ამ ახალ მოძრაობას სერიოზული სახე არ მიუღია.

ამავდროულად გადაწყდა მოწვეულიყო საერთო კრება გლეხთა და თავადაზნაურთა საერთო მონაწილეობით. პირველი კრება ჩატარდა ტამიშში 1905 წლის 2 მარტს, რასაც მალევე მოჰყვა უფრო მასშტაბური შეკრება სოფელმ მოქეში 5 აპრილს. კრებაზე გლეხობა და თავადაზნაურობა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რის გამოც გადაწყდა რომ მომავალი შეკრება უნდა ჩატარებულიყო ცალ-ცალკე. უნდა ითქვას, რომ მოქეის ყრილობამ კარგად აჩვენა თავადაზნაურთაგან ვინ იყო რეალურად გლეხთა მოძრაობის მომხრე და ვინ ცარიზმის ერთგული მსახური.

აი როგორ ეხმიანება ამ პროცესს გაზეთი „ივერია“: „საზოგადოდ ჩანს რაღაც უხილავი ძალა, რომელიც ყოველ საშუალებას ხმარობს, ხალხი ააცილოს ეხლანდელ საგულისხმო მოძრაობას და მისი უგულისთადესი მისწრაფებანი „უმორჩილეს თხოვნებითა და აზრებით“ შეზღუდოს,მაგრამ მგონია საწადელს ველარ მიაღწიოს“⁴. როგორც ჩანს ცარისტულმა პოლიტიკამ მოძრაობის გასანეიტრალებლად ქმედითი ნაბიჯების გაადგმა დაიწყო. იმ თავადაზნაურთა ნაწილს, რომელიც მოუწოდებდა გლეხებს დამშვიდებულიყვნენ ყველაზე მეტად

¹ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ჰამუთბეი 1905. 10 მარტი. N 2766. გვ. 3

² გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სოხუმელი 1905. 14 მაისი. N 2819 გვ. 2

³ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სოხუმელი 1905. 14 მაისი. N 2819. გვ. 2

⁴ გაზეთი „ივერია“ ალი-მურზა-სელი-ოღლი 1905. 15 ივლისი. N 118. გვ. 2-3

ახმოვანებდა მათ სათქმელს თავადი ხაშუგ ანჩაბაძე. გამოსვლისას თავდაპირველად ილაპარაკა იმაზე თუ როგორ „მამულიშვილურის მზრუნველობით“ ეპყრობა თავად-აზნაურობა აფხაზეთში გლეხობას და ამის საპირწონედ სამეგრელოსა და გურიაში კეთილშობილი წოდება როგორ აძრობდა ტყავს თავის ყმებს. ანჩაბაძე ღიად ემუქრება ამბოხებულ გლეხებს და მათ გამოსვლას უწოდებს „ბუნტს“, რომელიც მკაცრად დაისჯება იმპერიის მხრიდან. „მთავრობა ყაზახ-რუსებს დაგისევთ, აგაწიოკებთ, დაგაოხრებთ, ცოლ-შვილს გაგიუპატიურებთ“¹. ანჩაბაძის ბანაკში იყო თავადი ზოურბეგ ძიაფშიფაც, რომელიც ცდილობდა წარსული შეხსენებინა აძვიბუღელებისათვის. ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ კი გამოდიოდნენ თავადები ალექსანდრე შარვაშიძე და ტატაში მარშანია. საბოლოოდ აღნიშნულმა გარემოებამ აუცილებელი გახადა საერთო კრებების ცალ-ცალკე მოწვევა. გადაწყდა რომ 8 აპრილს მთელი აბჟუისა და სამურზაყანოს გლეხებს უნდა განეხილათ შემდეგი საკითხები და ამა წლის 10 აპრილს შეხვედრილიყვნენ ოხურეში საერთო კრებაზე.

განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება: 1) უმაღლესი ადრესის მირთმევა ხელისუფლებისათვის 2) როგორ დაუხვდნენ ახალ მოძრაობას და 3) რა საშუალება იხმარონ რომ აფხაზეთის მკვიდრთა კეთილდღეობის გამანადგურებელი ქურდობა მოსპონ. ადრესის მირთმევა დაევალა თავად ალექსანდრე შარვაშიძეს და ამასთან დამატებით გადაწყვიტეს რომ გლეხების ინტერესების გამომხატველიც ყოფილიყო მიწვეული ხელისუფლებასთან მომავალ შეხვედრაზე. ხოლო დანარჩენ ორ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი მზადყოფნა გამოაცხადა აბჟუის კრებამ. რაც შეეხება სამურზაყანოელებს მათ კაცი გამოუგზავნეს აფხაზებს და შეატყობინეს, რომ შინაურ განხეთქილების გამო ვერ მოხერხდა საერთო კრების მოწვევა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ერთიანი ძალებით გამოსვლის შესაძლებლობა. ამასთან აღნიშნულ კრებაზე აირჩიეს თავადაზნაურობისა და გლეხობის წარმომადგენლები: აღმოსავლეთ აფხაზეთში თავადაზნაურობამ აირჩია: თავადი ალექსანდრე შარვაშიძე და აზნაური კიჭონ (ალექსანდრე) მარღანია, ხოლო გლეხობამ ნესტორ საძეკია, ჰაბიჟ აშვბა, **დიმიტრი გულია** და რაზან შაკაია. ხოლო დასავლეთ აფხაზეთში თავადაზნაურობამ აირჩია - თავადი ალხაზ ანჩაბაძე და აზნაური შაჰან ლაკერბაია, გლეხობამ კი ალექსი ლადარია და კობლუხ ჯიკირბა. ისინი უკვე მომზადებულნი იყვნენ რომ უახლოეს პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა შეხვედროდნენ. ალექსანდრე შარვაშიძეს დაკისრებული მისიის შესრულება არ მოუწია, რადგან აფხაზეთის გლეხთა საკითხი მიუერთეს მთელ დასავლეთ საქართველოში არსებულ ვითარებას.

1905 წლის გლეხთა მოძრაობას სერიოზული ზიანი მიაყენა აფხაზური ინტელიგენციის ზოგიერთმა რადიკალურად განწყობილმა პირმა, რომელნიც პირდაპირ თუ ირიბად ცდილობდა გლეხთა პრობლემის მთავარ მიზეზად გამოეყვანა აფხაზეთში მცხოვრები ადგილობრივი ქართული მოსახლეობა. აი რას წერს გაზეთ ივერიის 1905 წლის ნომერი ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით: „ზოგიერთ გავლენიან თავად-აზნაურთა შემწეობით აბოხოქრებული ხალხი შეუსისინეს ადგილობრივ მცხოვრებ ქართველთ - ყველა თქვენი უბედურების მიზეზნი ეგენი არიანო, ჰკა მაგათო და კინალამ ის უბედურება დატრიალდა რაც ბაქო-ნახიჩევანში, კინალამ უდანაშაულოთა სისხლით მოირწყო გუდაუთის ქუჩები რომ უბრალო შემთხვევას არ ეხსნათ!“². გარდა ცალკეული შეგონებებისა და მოწოდებისა ამგვარ მიმდინარეობას აფხაზეთში გააჩნდა იდეოლოგიური საყრდენიც- ბეჭდური მედიის სახით. აფხაზეთში იმ პერიოდში ვრცელდებოდა ბათუმელი ჯამბაზის გაზეთად³ წოდებული „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომელშიც ხშირად იბეჭდებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ერთმანეთისადმი წამქეზებული მასალები,

¹ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ოჩამჩირელი. 1905 5 მაისი. N 2812 გვ. 2-3

² გაზეთი „ივერია“ ალი-მურზა-სელიმ-ოღლი. 1905. 15 ივლისი. N 118 გვ. 4

³ გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ გამოიცემოდა ბათუმში, რომლის რედაქტორი იყო გრიგოლ ალექსანდრე ძე პალმი.

რამაც საბოლოოდ დაასამარა საერთო ძალებით გამოსვლის შესაძლებლობა. აფხაზური ინტელიგენციის ერთადერთ ნათელ წერტილს წარმოადგენდა შარვაშიძეთა სახლი, კერძოდ გიორგი შარვაშიძე, რომელიც პერიოდულად აქვეყნებდა სტატიებს, სადაც ღიდ შეწუხებას გამოთქვამდა აფხაზებსა და ქართველებს შორის დაწყებული გაუცხოების გამო. აი რას წერს გიორგი შარვაშიძე ცნობის ფურცლის 1905 წლის ნომერში: „მხოლოდ ბნელი ძალები აქაც ავრცელებენ საზიზღარ ჭორებსა და ზღაპრებს, ვითომც ემზადებოდნენ ქართველები აფხაზების ამოწყვეტას და მათი მიწა ადგილის დასაკუთრებას...“¹.

ამრიგად, გლეხთა მოძრაობის მიმდინარეობისას გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება რამაც საბოლოო ჯამში ღიდი გავლენა იქონია მთელი ამ პროცესის მსვლელობაზე. თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ მკაფიოდ იკვეთებოდა ქართულ-აფხაზური საერთო ძალებით გამოსვლის შესაძლებლობა, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც, თუმცა მომდევნო ხანებში აფხაზურმა თავდაზნაურობამ თავდაპირველად სცადა მოძრაობის შეჩერება ამბოხებულების დამუქებისა და დაშინების ხარჯზე, ხოლო მოგვიანებით კი რადიკალურმა ფრთამ სცადა ყველაფერი ქართველებზე გადმოებრალებინა, რითაც ხელი შეუწყო ქართველი და აფხაზი ხალხების გაუცხოებას და კონფლიქტური ვითარების შექმნას. აქვე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ერთ გარემოებაზე, აფხაზეთში აფხაზებისა და ქართველების მძიმე პირობების შესახებ წერდა მხოლოდ ქართული პრესა და ეს არც მას შემდეგ შეჩერებულა რაც აფხაზურმა მხარემ დაიწყო გადმობრალების პოლიტიკა. ისევე როგორც მუჰაჯირობის პერიოდში, ახლაც ქართული მხარე გვერდით იდგა აფხაზებისა და იზიარებდა და თანაუგრძნობდა ნებისმიერ წამოწყებას, რომელიც მათი მდგომარეობის უკეთესობისაკენ წასვლას ემსახურებოდა.

Bachana Rukhaia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

1905 PEASANT MOVEMENT IN ABKHAZIA ACCORDING TO THE PRESS MATERIALS RESUME

Interest in issues of the history of Abkhazia has become relevant in recent times. A deep scientific study of the history of individual regions and ethno-political units is of great importance for a complete and comprehensive study of the history of Georgia. One such complex region full of ethnic, political and cultural collisions is Abkhazia. Individual Abkhazian scientists are trying to falsify the historical interdependence of the Georgian and Abkhazian peoples in order to separate Abkhazia from the rest of Georgia. Such a trend in the last century, from the time of the Russian Empire and later during the existence of the Soviet Union, brought serious dissonance to the relations between the two brotherly peoples. The issue is relevant to the extent that it concerns one of the important periods of coexistence of Georgian and Abkhazian people. The peasant movement of 1905 in Abkhazia is characterized by several peculiarities : First of all, we would like to point out that initially, during the mentioned movement, there was an attempt to create a joint front of Georgian and Abkhazian peasants, which was partially implemented. However, we would like to

¹ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ჰამუთ-ბეი. 1905. 10 მარტი. N 2766 გვ. 3

point out here that this last feature was not consistent throughout the entire movement. The ardent supporters of tsarism achieved so much as to introduce dissonance into the cause of the common struggle of the Georgian and Abkhazian people, which was also carried out partially which finally cast a serious shadow on the entire peasant movement. In modern conditions, when the conflict relationship between Georgians and Abkhazians is extremely tense and unresolved, When one of the historical parts of Georgia - Abkhazia - is facing a real threat of finally being separated from the Georgian state, the correct and true coverage of the problems of Abkhazia's history is not only of great scientific importance, but also of great political importance.

**XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შედგენილი ანდერძის აღსრულების პრობლემატიკა
(დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების
ანდერძის მაგალითზე)**

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უხვად შეხვდებით სხვადასხვა სახის ქველმოქმედების მაგალითს. მათ შესახებ სხვადასხვა არაერთი გაზეთის მრავალ ნომერშია მიმოხეული ინფორმაცია. 1910-იან წლებში თავისი მნიშვნელობით გვსურს ორი ანდერძი გამოვარჩიოთ – 1911 წელს დავით სარაჯიშვილის, ხოლო 1916 წელს მისი ქვრივის – ეკატერინე ფორაქიშვილის.

წინამდებარე სტატიაში გვსურს შევხვით დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ვრცელი ბიოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს: მათ ანდერძებს და ანდერძების აღსრულებას, რაც საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან გამოჩნდა, ანდერძით გათვალისწინებული მილიონობით მანეთი, ადრესატებამდე ან სერიოზული შეფერხება/დაყოვნებით მიდიოდა, ან საბოლოო ჯამში, ადრესატები, საერთოდ კუთვნილი თანხის გარეშე რჩებოდნენ.

1900-იანი წლების ბოლოს, დავით სარაჯიშვილს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, რის გამოც საკმაოდ ხშირად უწევდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ სიარული. ბერლინისკენ მიმავალმა ქალაქ როსტოვში, ნოტარიუს ვასილი ცვეტკოვთან, მოწმეების თანდასწრებით გააფორმა ანდერძი¹ და მისი აღსრულება ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილსა² და ნიკოლოზ (ნიკო) ცხვედაძეს დაეკისრა. დავით სარაჯიშვილი 1911 წლის 20 ივნისს გარდაიცვალა. 21 ივნისის გაზეთები მკითხველს უკვე მისი გარდაცვალების შესახებ აუწყებდა. პანაშვიდები უნდა გამართულიყო ყოველდღე, საღამოს შვიდი საათიდან, სერგეევის ქუჩაზე, მისსავე სახლში, ხოლო დაკრძალვა 26 ივნისს, კვირა დღეს.³ საქალაქო გამგეობის სხდომაზე პატივი მიაგეს გარდაცვლილს,⁴ ხოლო საზოგადო პანაშვიდზე სიტყვით გამოვიდნენ გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი გავრილის ძე ჩერნიავესკი და ქალაქის თავი ალექსანდრე ი. ხატისოვი.⁵ პანაშვიდის შემდეგ გარდაცვლილის ქვრივმა და ანდერძის ერთ-ერთმა აღმსრულებელმა ალექსანდრე პ. სარაჯიშვილმა დამსწრეებს მადლობა გადაუხადეს გარდაცვლილის დაფასებისათვის და მოახსენეს მისი უკანასკნელი ნება, რომ მისივე სახლი

¹ დავით სარაჯიშვილის ანდერძი იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, აღწერა 1, საქმე 1269, ფურცელი 2-5; დავითისა და ეკატერინეს ანდერძები ქართულ ენაზე ჩვენ გამოვქვეყნეთ შესაბამისი წინასიტყვაობითა და განხილვით: დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების გარდაცვალება და ანდერძი, რუსულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განხილვა დაურთო ნიკოლოზ სარაჯიშვილმა, თბილისი: „უახლესი ისტორიის ცენტრი“, გამომცემლობა ინტელექტი, 2025.

² არ უნდა აგვერიოს პუბლიცისტ ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილში. ალ. პეტრეს ძე სარაჯიშვილს შეხება არ ჰქონდა მწერლობასთან და ის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დავით სარაჯიშვილის მარჯვენა ხელი იყო ბიზნეს საქმიანობაში. ალ. ივანეს ძე სარაჯიშვილი 1911 წლიდან (ნიკო ცხვედაძის გარდაცვალების შემდეგ) გარდაცვალებამდე (1914 წლამდე), ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილთან ერთად აგვარებდა დავითის ანდერძის აღსრულების საქმე(ებ)ს.

³ გაზ. Кавказ, 1911, №136. გვ. 1.

⁴ გაზ. Кавказ, 1911, №137. გვ. 3.

⁵ გაზ. Кавказ, 1911, №138. გვ. 3.

ყველანაირი შიგნით მყოფი ნივთით გადასცემოდა ქალაქს, რომელიც თავის მხრივ იქ გახსნიდა მუზეუმს ან გალერეას, ან ორივე დაწესებულებას ერთად.¹

ანდერძის შესახებ ინფორმაცია გაზეთებში უკვე 23 ივნისს გამოქვეყნდა. გვაუწყებდნენ, რომ გარდაცვლილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უტოვებდა დაახლოებით 300,000 მანეთს, რომელიც უნდა შეგროვებულიყო არასავაჭრო უძრავი ქონების გაყიდვით. ამ თანხის ნახევარი უნდა მოხმარებოდა ქართული მუზეუმის გახსნას, ხოლო მეორე ნახევარი რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებელში ქართველი სტუდენტების სტიპენდიებზე წავიდოდა. იქვეა ჩამოთვლილი ის დაწესებულებები, რომელთაც ანდერძით გარკვეული თანხა ხვდებოდა.² 24 ივნისს ქალაქის სათათბიროს სხდომათა დარბაზში გამართულ პანაშვიდზე, სადაც მიწვეულნი იყვნენ სათათბიროს ხმოსნები და ყველა თანამშრომელი, ალექსანდრე ხატისოვმა შეკრებილთ მიმართა³ და ანდერძის საკითხს შეეხო: „მე განსაკუთრებით მოხარული ვარ აღვნიშნო უკანასკნელი საქმე ამ იშვიათ ადამიანის ცხოვრებაში, საქმე, რომელიც ღირსია ჩვენი ქალაქის ოქროს წიგნში შეტანისა. მე ვლაპარაკობ თავის ქონების განაწილებისათვის განსვენებულის მიერ არჩეულ წეს-რიგზე. ჯერ მე აღვნიშნავ 1-ელ მაგალითს, რომელიც ვიცი, სახელდობრ იმას, რომ მან უანდერძა თავის ქარხნის მუშებსა და მოსამსახურეებს 125,000 მანეთი. ეს იმისთანა საქმეა, რომლის წინაშე ჩვენ უნდა ქედი მოვიხაროთ განსაკუთრებულ პატივისცემის გამოსახატავად, საქმე რომელიც ყველასთვის მიბაძვის ღირსია და რომელსაც დიდი საზოგადოებრივ-სოციალური მნიშვნელობა აქვს. შემდეგ მე სურვილი მაქვს მოვიხსენიო აგრეთვე ორი მისი საჩუქარი, რომელსაც დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს: ეს არის საჩუქარი ქართულ ეროვნულ მუზეუმის ასაგებად და საჩუქარი საქალაქო შინა-მრეწველობის მუზეუმის და სამხატვრო გალერიის მოსაწყობად. თუ გავიხსენებთ მაღალ აზრებს – მამულიშვილობას და ხელოვნებას, რომელთაც უნდა ემსახურონ უხვმა საჩუქრებმა, – ჩვენ მივხვდებით, რომ კავკასიელების ცხოვრებაში განსვენებულმა დავით ზაქარიას ძემ გაკვალა ახალი გზა ხელოვნების ასაყვავებლად...“⁴

დაკრძალვის დღეს პროცესიაზე სიტყვები წარმოთქმეს ისეთმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ ეპისკოპოსი ლეონიდე, ქალაქის თავის მოადგილე თავადი ალექსანდრე არღუთინსკი, ქუთაისის ქალაქის თავი ილია ჩიქოვანი და რუსეთის იმპერიის III მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე,⁵ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელმა ალექსანდრე მდივანმა, აკაკი წერეთელმა და სასულიერო სემინარიის ინსპექტორმა იაკუბოვსკიმ, ბათუმის სათათბიროს ხმოსანი სიმონ მდივანი, ვაჭართა წარმომადგენელი ი. მერკვილაძე და აკაკი ჩხენკელი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ზოგიერთი ფულადი თანხა ადრესატებს რაიმე ქონების გაყიდვის შემდეგ აღებული თანხით უნდა მიეღოთ, შესაბამისად, ჯერ საჭირო იყო ამ უძრავი ქონების გაყიდვა, რა დროსაც რიგი პრობლემები წარმოიშვა. ეს ყოველივე ანდერძის აღმსრულებლებს, ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილსა და ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილებს დააწვათ. საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია წერილები, რომლებიც სწორედ დავითის ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებულ პერიპეტეებს ჰყვანს ნათელს.⁶

¹ გაზ. Кавказ, 1911, №138. გვ. 3.

² გაზ. Кавказ, 1911, №138. გვ. 3.

³ პანაშვიდს ესწრებოდნენ გარდაცვლილის დების შვილები, ანდერძის ნების აღმსრულებელნი – ალექსანდრე პ. სარაჯიშვილი და ნიკო ცხვედაძე.

⁴ გაზ. თემი, 1911, №25. გვ. 2.

⁵ გაზ. თემი, 1911, №26. გვ. 3.

⁶ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა), ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1311.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას იმავე გამგეობის წევრის გ. რცხილაძის მოხსენება, დათარიღებული 1914 წლის 22 აპრილით:

თანახმად გამგეობის და განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილის ჭირისუფლის ა. ივ. სარაჯიშვილისა ნაფიცმა ვეჟილებმა ირაკლი გუნცაძემ, სერგეი ჯაფარიძემ და მე ამ თვის 19 ვიქონიეთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა აღსრულდეს განსვენებულის სურვილი ფულის გადაცემის შესახებ სასტიკენდიო და სამუზეუმო თანხად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის ეხლანდელ პირობებში, როდესაც გამოირკვა, რომ ანდერძში აღნიშნულ ვადის განმავლობაში განსვენებულ სარაჯიშვილმა, მამულების გაყიდვა ვერა ხერხდება. ვეჟილებმა ერთმანეთს საუკეთესო საშუალებად აღიარეს, თვით ეს მამულები დამტკიცებულ იქმნას ნასყიდობის აქტის შედგენით წ.-კ. საზოგადოების სახელზე. ამასთან მოგახსენებთ, რომ ნაფიც ვეჟილის ჯაფარიძის აზრით, სასარგებლო იქნებოდა წინასწარ შეჰკითხებოდნენ ჭირისუფალნი უფროსს ნოტარიუსს, უარს ზომ არ იტყვის აქტის დამტკიცებაზე, როდესაც ამ აქტს წარუდგენენ მას. ვეჟილების ზემოხსენებულ დასკვნას წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას მოგახსენებ სათანადო განკარგულებისთვის.“¹

ქონების გაყიდვებზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ქართველ თავადაზნაურობასთან.

1914 წლის 27 მაისი, ქმწკ საზოგადოების გამგეობას: „განსვენებულ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის ანდერძის აღმსრულებლებმა ალ. ივ. და ალ. პეტ. სარაჯიშვილებმა მიმართეს თავადაზნაურობას წინადადებით წყნეთის ქუჩაზე (დღევანდელი ჭავჭავაძის გამზირი – ნ. ს.) მდებარე მამული განსვენებულისა, რომელიც ანდერძის ძალით უნდა გაიყიდოს და ფული გადაეცეს წერა კითხვის საზოგადოებას, შეისყიდოს თავადაზნაურობამ. პირობები შესყიდვისა მოხსენებულია მათ განცხადებაში, რომელიც ამასთანავე იგზავნება.

თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა მიიღეს ხსენებული წინადადება და დაადგინეს – იყიდოს თავ. აზნ. სახელზედ წყნეთის ქუჩის მამული ათი ათას თუმნად, ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდით ათის წლის განმავლობაში, მანამდე-კი წლიურად ხუთ ხუთი პროცენტი იხადოს გადასახდელ თანხისა.

მოლაპარაკება ანდერძის აღმსრულებლებთან უკვე დამთავრებული იყო, როცა ალ. ივ. სარაჯიშვილმა აღძრა ახალი პირობა, რომ ვიდრე თავადაზნაურობა მამულის ფასს სრულიად გადაიხდიდეს მამული გირაოდ ჰქონდეს წერა-კითხვის საზოგადოებასაო.

ასეთი გარემოება, ე. ი. მამულის დაგირავება თავადაზნაურებისათვის ხელ-შემშლელია, რადგანაც იგი ვერ ახორციელებს განზრახულ გეგმას მამულის მოხმარებისას.

ამის გარეშე, თავადაზნაურობის წარმომადგენელთ მიაჩნიათ სრულიად საკმარისად და წერაკითხვის საზოგადოების უზრუნველ საყოფელად თავადაზნაურობის მიერ თავის თავზედ მიღებული ვალდებულება რომ მამულის ფასს თავის დროზედ გადაიხდის.

ამის გამო ვთხოვ წერაკითხვის საზოგადოების გამგეობას დაკმაყოფილდეს თავადაზნაურობის მიერ მიღებულ პირობებით და ნება დართოს ანდერძის აღმსრულებელთ უგირავნოთ მიჰყიდონ მამული თავადაზნაურობას. წინააღმდეგ შემთხვევაში თავ. აზნაურობა იძულებული იქნება უარი სთქვას ხსენებულ მამულის სყიდვაზედ.“

ხელს აწერს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი კონსტანინე აფხაზი.²

¹ მიწერ-მოწერა ზ. სარაჯიშვილთან დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის ნაანდერძევი ქონების მიღების შესახებ, 1912 წ. მარტის – 1910 წ. ნოემბრის 10. სსცა, ფონდი №481, ანაწერი 1, ს. 1311, ფ. 9.

(აქვე გვსურს განმარტების გაკეთება, რომ აღწერილობაში უნდა იყოს არა „ზ. სარაჯიშვილი“, არამედ „ი. სარაჯიშვილი“. ჩვენი ვარაუდით (და სხვა ახსნას ვერ ვპოულობთ), აღმწერმა შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც რუსული ხელნაწერი „ე“ (Е), ქართულ „ზ“-დ მიიჩნია. ცხადია, საუბარია ე[კატერინე]. სარაჯიშვილზე).

² სცა, ფონდი №481, ანაწერი 1, ს. 1311, ფ. 11.

ამ განცხადებაზე, 28 მაისსვე პასუხი მიუვიდათ განსვენებულის ნების აღმსრულებლებს. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა უფლებას აძლევდა ალექსანდრე ივ. და ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილებს მიეყიდათ აღნიშნული მიწის ნაკვეთი „100,000 მანეთად გირავნობის ქალაქის ჩამოურთმევლად, იმ პირობით, რომ ჩამოერთვას თავად-აზნაურობას ასი ათასი მანეთის ვექსილები.“¹

მიმოწერაში აგრეთვე ნახსენებია წოდორეთის მამულის გაყიდვის ამბები. ვფიქრობთ, ეს წერილი საკმაოდ საინტერესოა, ამიტომ მასაც სრულად მოვიტანთ. მისი აღრესატები ალ. ივ. სარაჯიშვილი და ალ. პ. სარაჯიშვილი არიან.

„სოფელ წოდორეთის გლეხთა რწმუნებულები: ივანე ჩოხელი და ივანე ქავთარაძე ასწერენ, თუ რა აუტანელ პირობებში ჩავარდებიან იმათი მარწმუნებელნი, თუ წოდორეთის მამული სხვის ხელში გადავიდოდა, შუამდგომლობას სთხოვენ წ.კ. საზოგადოების გამგეობას, რომ ის მამული, რომელიც განსვენებულმა დავით ზაქარიას ძემ წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა და რომლის გაყიდვა დავალებული გაქვთ თქვენ, გაყიდულ იქნას მათზე, რადგან ისინი 16 წელიწადია თურმე იქა სცხოვრობენ და მათი იქიდან აყრა და დარბევა, მათი მოსპობის მომასწავებელი იქნება.

გავითვალისწინეთ რა ამ საქმის ვითარება, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ წ. კ. საზოგადოების გამგეობის აზრით უფრო სამართლიანი იქნება, ზნეობრიობის მხრივ, რასაკვირველია, თუ თქვენ, როგორც დავით ზაქარიას ძის ნებისამსრულებელნი, ხსენებულს წოდორეთის მამულს მიჰყიდით იქვე მცხოვრებ გლეხებს, რომლებიც ამდენი ხანია იქ ბინადრობენ და რომლებსაც ხსენებული მამული ოფლით აქვთ მორწყული.

ამასთანავე გაახლებთ წოდორეთის გლეხთა რწმუნებულების თხოვნას.“²

ოქტომბერში ანდერძის აღსრულების საქმით ვიცე-გუბერნატორი დაინტერესდა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას წერილიც მიწერა, სადაც კითხულობდა, გადავიდა თუ არა დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერძით გათვალისწინებული ყველა შემოწირულობა ქმშკ საზოგადოების განკარგულებაში.³ იმავე თვეში, 10 ოქტომბერს (ვიცე-გუბერნატორის წერილი 4 ოქტომბრით თარიღდება) უკვე გამგეობა ეკითხება ნებისამსრულებელთ და სწერენ: „უმორჩილესად გთხოვთ მოკლე ხნის განმავლობაში გვაცნობოთ დაახლოებით რამდენი ერგება ნაანდერძევი ფული წ. კ. გამ. საზოგადოებას დ. სარაჯიშვილის მემკვიდრეობიდან.“⁴ იმავე დღეს კი საგუბერნიო სამმართველოს აცნობეს, რომ ამ ეტაპისთვის მიღებულია 160 751 რუბლი და 68 კაპიკი და იქვე დასძენდნენ, რომ სხვა შემოწირულობები ჯერ არ მიუღიათ.⁵

საბოლოო ჯამში, საქმე იქამდე მივიდა, რომ 1916 წლის 23 თებერვალს⁶ გადაწყდა არჩეულიყო განსაკუთრებული კომისია ქმშკ საზოგადოების გამგეობის წევრთაგან, რომელსაც დაევა: „ცნობაში მოიყვანოს მთელი ნაანდერძევი ქონება, მისი ისტორიის აღწერით და შეადგინოს მომავალი სამოქმედო გეგმა.“ კომისიაში არჩეულ იქნენ: გ. ლასხიშვილი, გ. ცინცაძე, გრიგოლ რცხილაძე და ვ. ბურჯანაძე.⁷ მიუხედავად ამისა, პრობლემები კვლავ გაგრძელდა. შემდეგ კი ამას პოლიტიკურმა პროცესებმა სრულიად შეუშალა ხელი და ანდერძის ზოგიერთი პუნქტი, ფაქტობრივად, სრულიად შეუსრულებელი დარჩა. მსგავსი ბედი გაიზიარა ეკატერინე

¹ სცა, ფონდი №481, ანაწერი 1, ს. 1311, ფ. 12.

² იქვე, ფ. 15.

³ იქვე, ფ. 17.

⁴ იქვე, ფ. 18.

⁵ იქვე, ფ. 19.

⁶ 1916 წლის 15 თებერვლის მონაცემებით წერა კითხვის საზოგადოებამ ნაანდერძევი ქონების განაღდებათ ჯამურად მიიღო 179,751 მანეთი და 68 კაპიკი (დავით სარაჯიშვილის ანდერძი საზოგადოებისთვის ქონების დატოვების შესახებ. 1911 წ. ივლისის 6 – 1916 წ. დეკემბრის 31. სცა, ფ. №481, ს. 1269, ფ. 7.).

⁷ სცა, ფონდი №481, ანაწერი 1. საქმე 1311, ფ. 28.

ივანეს ანდერძმაც, რომლის აღსრულების პროცესიც, 1916 წლიდან დავითის ანდერძის აღსრულების პარალელურად მიმდინარეობდა.

ეკატერინე 1916 წლის 5 აგვისტოს გარდაიცვალა. 9 აგვისტოს გამოქვეყნდა განსვენებულის ანდერძი.¹ კონკრეტული თანხების ჩათვლის შემდეგ, აღნიშნული იყო, რომ „ქონების გარდა განსვენებულმა დასტოვა ქარხნები და სამრეწველო დაწესებულებანი, რომელსაც ეხლა დაახლოებით აფასებენ ორ მილიონად. ფირმის და ამ დაწესებულებათა ლიკვიდაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს ექვსის წლისა და რაც თანხა შედგება უნდა გაუნაწილდეს წ.-კითხვის საზოგადოებას, თბილისის დრამატიულ საზოგადოებას და ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას. ამ ანდერძის ამსრულებლად დანიშნულნი არიან: ძმა განსვენებულისა ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი, დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილი, ალექსანდრე თევდორეს ძე სარაჯიშვილი, მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი და თ.-დი გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი.“²

ანდერძშივე აღნიშნული იყო, რომ „ყველა მოსამსახურენი, ვინც მსახურებენ ქარხნებში, კანტორებში და სხვა მის დაწესებულებებში, მიიღებენ ერთ დროულ დახმარებას თვე-ნახევრის ჯამაგირს იმდენჯერ – რამდენი წელიწადიც უმსახურნია.“³

როგორც არქივში დაცული მიმოწერებიდან ჩანს, დავითის არ იყოს, ეკატერინეს ანდერძის აღსრულებაც არ მიდიოდა „გეგმის მიხედვით“. ჯერ ერთი, რომ ომის მიმდინარეობა ყველაფერს აროთულებდა, მისმა დასრულებამ კი ანდერძის აღსრულების საკითხი უფრო პრობლემური გახდა, ვინაიდან პოლიტიკური სიტუაციის ცვლასთან ერთად იცვლებოდა ეკონომიკური ფორმები და მდგომარეობა. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ კი აღნიშნული პროცესი უფრო პრობლემური გახდა. არქივში დაცული მონაცემებით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და ადამ ფორაქიშვილს შორის მოლაპარაკებები თანხის მიღებასთან დაკავშირებით 1920 წელსაც კი მიმდინარეობდა. მართალია, რიცხვითი დათვლები საარქივო საქმეში უხვადაა მოტანილი წლების მიხედვით, თუმცა სხვა ბევრი დეტალი უცნობია 1916-1918 წლის პერიოდში. 1918 წლის 21 თებერვალს წ. კ. გ. საზოგადოება წერილს უგზავნის ადამ ივანეს ძეს. წერილში საუბარია, რომ საზოგადოება, უსახსრობისა და ამასთან, ქაღალდის სიძვირის გამო, ვერ უშვებს სკოლებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს და სთხოვს ნაანდერძევი ფულის ანგარიშში მისცეს 120,000 მანეთამდე,⁴ როგორც ჩანს, ადამ ივანეს ძემ, ეს შესაძლებლად ჩათვალა და „შუამავლად“ საზოგადოებამ დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი დანიშნა.⁵

იმავე წლის 5 ნოემბერს ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ წერილი გამოუგზავნა წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას: „ქუთ. ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობა ამ ჟამად ძლიერს ფინანსიურ გაჭირვებას განიცდის. ამიტომ მას გადაწყვეტილი აქვს დაუყოვნებლივ ისარგებლოს ქ.-ნ. ე. სარაჯიშვილის მიერ ნაანდერძე 25 ათასი მანეთით. განსვენებულის ნების ამსრულებლები თანახმა არიან ეს თანხა ეხლავე მისცენ ქუთ. დრამ. საზოგად., მხოლოდ იმ პირობით, თუ ამისთვის თქვენი საზოგადოების თანხმობა იქნება. ამიტომ გთხოვთ ეს თანხმობა მოგვცეთ და ის %, რომელიც გერგებათ ანდერძის ვადის შესრულებამდე, შესწიროთ ჩვენს საქმეს, რათა 25 ათასი მანეთი უკლებლად გვერგოს.“⁶ როგორც ჩანს, წკგ საზოგადოების გამგეობას, შემოუთვლია, რომ ისინი თანახმანი არიან, მიიღოს 25 ათასი მანეთი

¹ გაზ. საქართველო, 1916, №176. გვ. 1.

² გაზ. საქართველო, 1916, №176. გვ. 3.

³ გაზ. საქართველო, 1916, №178. გვ. 2.

⁴ საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 481, აღწერა 1, საქმე 1669, ფ. 33.

⁵ საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 481, აღწერა 1, საქმე 1669, ფ. 34.

⁶ სცა, ფ. 481, ა. 1, ს. 1669, ფ. 38.

ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას, თუმცა უშუალოდ ქმშგკ საზოგადოება ხსენებულ %-ის გაცემაზე უარს აცხადებდა.¹

ამრიგად, როგორც საარქივო მასალებში დაცული ცნობებიდან ჩანს, ანდერძით გათვალისწინებული თანხების დიდი ნაწილი ადრესატებს არ მიუღიათ. ამ ყველაფერს სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პოლიტიკური მიზეზები. ერთი მხრივ, ეს პირველი მსოფლიო ომის დაწყება იყო. 1914-1918 წლებში მიმდინარე „დიდმა ომმა“ შეუძლებელი გახდა ის ოპერაციები, რომელიც საჭირო იყო ანდერძის აღსრულებისთვის. ლოგორც აღინიშნა, ზოგიერთი თანხა კონკრეტული მამულის გაყიდვით მიღებული თანხით უნდა გადასცემოდა ადრესატს. მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციის (1917 წელი) შემდეგ დაწყებულმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა განაპირობა ანდერძის აღსრულების შეუძლებლობა. რუსეთის რევოლუციით გამოწვეული მოვლენების შედეგად საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, 1921 წლის თებერვალ-მარტში კი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად, ანდერძის აღსრულების საკითხს საერთოდ ტაბუ დაედო.

Nikoloz Sarajishvili

The Centre For Contemporary History

**PROBLEMS OF TESTAMENT EXECUTION AT THE TURN OF THE 19TH-20TH
CENTURIES (BASED ON THE EXAMPLE OF DAVID AND EKATERINE
SARAJISHVILI'S TESTAMENT)
RESUME**

This article examines the problematic issues of will execution in early 20th-century Georgia through the example of the wills of David and Ekaterine Sarajishvili. David Sarajishvili had his will notarized in 1910. It provided for assistance to institutions of public and national significance (including: the Society for Spreading Literacy Among Georgians, the Kutaisi Theatre, the Historical and Ethnographic Society of Georgia, etc.), as well as private individuals.

David Sarajishvili appointed Aleksandre P. Sarajishvili and Nikoloz Tskhvedadze as executors of his will. After the latter's death (October 1911), his position was taken by Aleksandre I. Sarajishvili.

David's wife, Ekaterine, died in 1916. Her will also provided no less for the financing of institutions necessary for the country.

The article examines the problematic issues of will execution and the factors that determined the impossibility of their execution. Among these, the following should be highlighted: World War I; the processes taking place in the Russian Empire in 1917; and ultimately, the occupation of Georgia by Soviet Russia.

¹ სცა, ფ. 481, ა. 1, ს. 1669, ფ. 39.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიიდან

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწყობასთან დაკავშირებით 1933 წლის თებერვლის 1-დან სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გადაყვანილ იქნას ქ. ქუთაისში და გაიხსნას მიმდინარე წელს ამ ინსტიტუტის პირველი და მეორე კურსი. მოსწავლეთა კონტინგენტი განისაზღვროს 700 კაცით“¹.

„1933 წლის დასაწყისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენასთან დაკავშირებით და მასთან ერთდროულად, მის ერთ-ერთ უპირველეს „მემკვიდრედ“ მიჩნეული სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის ფორმირება ფაქტობრივად ჯერ დასრულებულიც არ იყო, თავისი სტუდენტური კონტინგენტისა და პროფესორის ძირითადი ნაწილით, ფაკულტეტებით, სპეციალობებით, კათედრებით, ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, ასპირანტურით, ხელმძღვანელი პერსონალის ძირითადი ბირთვით და, თქვენ წარმოიდგინეთ, სასწავლო - სამეცნიერო ინვენტარის, სხვა ქონებისა და სახსრების ნაწილითაც კი, არც მეტი, არც ნაკლები, თბილისიდან ქუთაისში იქნა გადმოყვანილი და დაფუძნებული“- წერს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გურამ გაბუნია².

1933 წლის 3 თებერვლის განათლების სახალხო კომისიის 61 ბრძანებით - განყოფილებებისა და კათედრის გამგეების დანიშვნის შესახებ - ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ და სასწავლო ნაწილის გამგედ გიორგი სარიდანის ძე ახვლედიანი დაამტკიცეს. იგი ასევე ხელმძღვანელობდა, ინსტიტუტში უკვე დაარსებული 17 კათედრიდან ერთ-ერთს - ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას 1933-1937 წლებში.

ახლადშექმნილი ინსტიტუტის ხელმძღვანელობას მოსაგვარებელი ჰქონდა ბევრი საკითხი. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო ბიბლიოთეკის მოწყობა.

ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პირველი დირექტორი იყო გიორგი ახვლედიანი. მან ამ თანამდებობაზე 1922 წლამდე იმუშავა. გიორგი ახვლედიანმა ამ კუთხით თბილისის უნივერსიტეტში გარკვეული გამოცდილება დააგროვა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ამ საქმის ორგანიზება არ გაუჭირდებოდა.

მართალია, ინსტიტუტის ფაკულტეტები და კათედრები გევით გათვალისწინებულ მუშაობას აწარმოებდნენ, როგორც ამის შესახებ თვით გიორგი ახვლედიანი წერს გაზეთ „მუშა და კოლმეურნე“-ში (1933, 84, 11 აპრილი, გვ.2), მაგრამ კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად საჭირო იყო სათანადო ლიტერატურის შეგროვება.

„მე იმ დროს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ვმუშაობდი, მივიღე მოწვევა ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე, მაგრამ მე მოადგილეობა ვარჩიე, - წერს დოცენტი ქეთევან სანიკიძე და იქვე აგრძელებს, - ბიბლიოთეკის გამგე შუშანა მგალობლიშვილი დაუკავშირდა კათედრის გამგეებს და შეუდგა უსაჭიროესი ლიტერატურის შეძენას... გარდა ამისა, ბიბლიოთეკას გადაეცა ქალაქის არქივში თავმოყრილი რევოლუციამდელი

¹ საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული, თბ., 1959, ტ. I, გვ., 285-288.

² იხ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I (35), 1999, გვ. 10.

სასწავლებლებისა და გიმნაზიების ბიბლიოთეკებში დაცული წიგნები - სულ 6.396 ცალი წიგნი”¹.

ამას ემატებოდა ისიც, რომ დადგენილებით, თბილისის უნივერსიტეტიდან უნდა მიეღოთ ლიტერატურა, მაგრამ ეს საქმე ჭიანურდებოდა. რომც მიეღოთ, ის მინიმუმამდეც ვერ დააკმაყოფილებდა მოთხოვნებს. პედაგოგიური ინსტიტუტის დირექციას კი არ გააჩნდა საჭირო ლიტერატურის შესაძენი თანხა, მაგრამ თანხა რომ გამოძებნილიყო, სათანადო წიგნები შესაძენად არ იშოვებოდა. მაღლკვალიფიციური კადრების მომზადება სპეციალური საჭირო ლიტერატურის გარეშე ყოველად შეუძლებელი იყო, - წერენ ავტორები გ. მჭედლიძე და ი.ბასილაძე წიგნში „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი 80 წლისაა”².

ბიბლიოთეკისათვის წიგნადი ფონდის შესაგროვებლად დიდი შრომა გასწია ინსტიტუტის პედაგოგიურმა კოლექტივმა. ასეთი რთული ვითარებიდან გამოსავალი გიორგი ახვლედიანმა გამოიგონა. მან ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „მუშა და კოლმეურნეში” 1933 წლის 11 აპრილს გამოაქვეყნა სტატია „გავაძლიეროთ ქუთაისის პედინსტიტუტის ბიბლიოთეკა.”

გიორგი ახვლედიანი ამ წერილში გულახდილად საუბრობდა იმ შემაფერხებელ მიზეზებზე, რაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ხელს უშლიდა საქმის მცოდნე სპეციალისტების აღზრდაში. „ერთ-ერთი ასეთი საკითხია მძლავრი ბიბლიოთეკის უქონლობა პედინსტიტუტში. არა თუ ცალკეულ სპეციალობათა კაბინეტებს აკლიათ უსაჭიროესი სამეცნიერო ლიტერატურა, არამედ თვით ფუნდამენტური ბიბლიოთეკის ფონდიც მხოლოდ რამდენიმე ათასეული სახელწოდების წიგნებისგან შედგება. ასეთი მდგომარეობა სახიფათოა როგორც სასწავლო, ისე ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობისათვის. თითოეულ სპეციალურ დარგს ინსტიტუტში აქვს თავისი სპეციალური მოთხოვნილება კაბინეტებსა, ლაბორატორიებსა და სხვათა სახით, მაგრამ ფუნდამენტური ბიბლიოთეკა ის საერთო მატერიალური ბაზაა, ის ნერვია, რომელმაც უნდა ასაზრდოოს ინსტიტუტის მთლიანი სხეული და რომლის აკარგვიანობაზე დამოკიდებულია ინსტიტუტის მთლიანი მუშაობის ხარისხიანობა”³.

შექმნილ ვითარებას რომ კარგად აფასებდა პედინსტიტუტის ხელმძღვანელობა, ამიტომ მიიღო ზომები ბიბლიოთეკის ფონდის გასაძლიერებლად. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ჩათვალია საზოგადოებრივი დახმარების გამოყენება ამ მნიშვნელოვან საქმეში. „ამიტომ მან გადაწყვიტა მოაწყოს ქუთაისში „პედინსტიტუტის წიგნის ერთთვიური (10 აპრილიდან 10 მაისამდე), რომლის განმავლობაში ყოველ მოქალაქეს ქუთაისში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შემთხვევა მიეცემა, გამოამჟღავნონ თავიანთი განწყობილება ქუთაისის პედინსტიტუტისადმი”⁴.

ამ პატრიოტული საქმის მოსაგვარებლად შეიქმნა ერთთვიურის კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გიორგი ახვლედიანი (თავმჯდომარე), წევრები: თ. ჭუმბურიძე, შ. მგალობლიშვილი, მ. კოსტავა და კ. ფანცულაია. იქვე პირველი, ვინც პედინსტიტუტის ფონდში 15 სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული წიგნი შეიტანა, იყო გიორგი ახვლედიანი, რომელმაც ამ წამოწყებაში გამოიწვია დია ჩიანელი და მეორე ათწლედი.

გიორგი ახვლედიანის ამ წერილს გაზეთ „მუშა და კოლმეურნის” მომდევნო ნომრებში არაერთი პასუხი მოჰყვა. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ რამდენიმეს:

„ამხანაგ შ. მგალობლიშვილის გამოწვევით, შემომაქვს პედინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდის გასაძლიერებლად 30 ცალი სამეცნიერო, სასწავლო და სალიტერატურო შინაარსის

¹ იხ. ქ. სანიკიძე, დაუვიწყარი დღეები, გაზ. „სტალინელი”, 1958, N78 (7129), 19 აპრილი, გვ. 4.

² ქუთ., 2014, გვ. 29

³ იხ. გ. ახვლედიანის დასახ. წერილი.

⁴ იქვე

წიგნი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პროფ. მ. გოგიბერიძეს, პროფ. არნ. ჩიქობავას, ასისტ. გიორგი როგავას, ინჟ. გიორგი პატარიძეს და ამხ. შალვა მშვილდაძეს.”

ქეთევან სანიკიძე

გაზეთი „მუშა და კოლმეურნი“, 1933, 95, 24 აპრილი, გვ. 2.

დასახელებული ამხანაგების უმეტესმა ნაწილმა გამოწვევა მიიღო და 1933 წლის 12 მაისის „მუშა და კოლმეურნის“ 108-ში პროფ. არნ. ჩიქობავა წერდა: „ამხ. ქ. სანიკიძის გამოწვევით შემოვიტანე 50 ცალი სამეცნიერო ხასიათის წიგნი ქუთაისის პედაგოგიკური ფუნდამენტური ბიბლიოთეკის ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვუკოლ ბერიძეს, დოცენტ ვარლამ თოფურიას, დოცენტ სიმონ ხუნდაძეს და დოც. სიმონ ჯანაშიას”.

არნოლდ ჩიქობავა

ქეთევან სანიკიძის გამოწვევის პასუხად შემომაქვს პედაგოგიკური ბიბლიოთეკის გასაძლიერებლად 40 ცალი სამეცნიერო ხასიათის წიგნი და ვიწვევ ამხანაგებს: ლ. რუხაძეს, ა. ჩხეიძეს, ვ. ბახტაძეს, ა. ბეგიაშვილს და ე. გიორგაძეს...

გიორგი როგავა

1933 წ., 10 მაისი, გაზეთი „მუშა და კოლმეურნი“

ეს წერილები გაზეთში იბეჭდებოდა რუბრიკით: „პედაგოგიკური ბიბლიოთეკის გასაძლიერებლად“. აპრილ-მაისში წიგნები შეუტანიათ: ტრიფონ ჯაფარიძეს - 60, პარმენ გუჯაბიძეს - 30, ქეთევან სანიკიძეს - 30, ნანი ახოშაძეს - 30, გ. ქარაბაქს - 40, გიორგი ძოწენიძეს - 30, გიორგი როგავას - 40, შ. ავალიანს - 50, გ. კოკჩაშვილს - 30 არნ. ჩიქობავას - 50, გ. ჩაჩანიძეს - 60 და ა.შ.

სულ ერთთვიურში მონაწილეობა მიიღო 200-მდე მოქალაქემ - ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, თანამშრომლებმა, ქალაქის ინტელიგენციამ. ამ ღონისძიებით ბიბლიოთეკის ფონდს 5 ათასამდე წიგნი შეემატა.

პედაგოგიკური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი თანდათან გაიზარდა და მრავალფეროვანიც გახდა. ამას დაემატა ისიც, რომ 1933 წლის ზაფხულში თბილისის უნივერსიტეტიდან კუთვნილი ლიტერატურა მთლიანად მიიღეს. დოცენტი ქ. სანიკიძე თავის წერილში აკონკრეტებს ამ ფაქტს და აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტიდან ქუთაისის პედაგოგიკურმა მეცნიერებით მიიღო 6.864 წიგნი და ჟურნალი¹.

გარდა ამისა, ინსტიტუტის ღირეციათ კი ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად 5.000 მანეთი გაიღო. ყველაფერმა ზემოთქმულმა ბიბლიოთეკის მაშინდელ გამგეს დოც. ა. ბოჭორიშვილს საბაბი მისცა, 1934 წლის აპრილში საბჭოს სხდომაზე მოეთხოვა ახალი ბინის გამოყოფა სამკითხველო დარბაზისა და ბიბლიოთეკისათვის, რამდენადაც წიგნადი ფონდი უკვე შეადგენდა 25.000 ერთეულს. მართლაც, ეს მაშინ არ მოხერხდა, მაგრამ ბიბლიოთეკა ახალ ბინაში 1936 წლიდან მოთავსდა².

ა. ბოჭორიშვილს, ბიბლიოთეკის მაშინდელ გამგეს, რომელიც 1934 წელს დაინიშნა ამ თანამდებობაზე, არ დაევიწყებია ბიბლიოთეკის საჭიროება და გააფორმა ხელშეკრულება სამეცნიერო ბიბლიოკლექტორებთან. იმ დროიდან პედაგოგიკური ბიბლიოთეკა უშუალოდ მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო ბიბლიოკლექტორებიდან იღებდა ახალ წიგნებს.

¹ უფრო ვრცლად იხ. ქ. სანიკიძე, დაუვიწყარი დღეები, გაზ. „სტალინელი“, 1958, 78 (7129), 19 აპრილი, გვ.4

² უფრო ვრცლად იხ. გ. გაბუნია, დ. გურეშიძე, პ. ვაჭრიძე, გ. მჭედლიძე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი-50, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1985, გვ. 37

1938 წელს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი კიდევ უფრო შეივსო, თუმცა არა იმდენად, რომ ახლადდარსებული ინსტიტუტის მოთხოვნილებები სრულად დაეკმაყოფილებინა¹.

1940 წლისათვის ღირეკციის ყურადღების შედეგად ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადმა ფონდმა 100 ათასამდე მიაღწია. იგი უკვე საინტერესო ბიბლიოთეკად იქცა და „ქართული წიგნის“ ბიბლოგრაფიაშიც კი შევიდა 800-მდე სახელწოდების უძველესი გამოცემით².

1941 წლის 26 აპრილს გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ ზ. რამიშვილი - ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე წერს: „წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს ჩვენს ქალაქში. იგი მომსახურებას უწევს პედინსტიტუტის 27 კაბინეტ-ლაბორატორიას, 500-მდე პროფესორ-მასწავლებელს, აგრეთვე 4 000-ზე მეტ სტუდენტს“³.

1942 წლის 1 აპრილს „ინდუსტრიულ ქუთაისი“ იმავე ზ. რამიშვილის სტატიით „ბიბლიოთეკამ მუშაობა გააუმჯობესა“ ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „ბიბლიოთეკაში ამჟამად დაცულია წიგნადი ფონდი, რომელიც 181. 619 ეგზემპლარ წიგნს, ბროშურასა და ჟურნალს შეიცავს. დამუშავებულია რეკოლუციადელი და რეკოლუციის შემდეგ პერიოდის ქართული ჟურნალები (400 ეგზემპლარი) და რეკოლუციის შემდეგი პერიოდის რუსული ჟურნალები 20 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით“⁴.

1949 წელს ისევ გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ რ. შამელაშვილის სტატიით გვაწვდის მეტად სასიამოვნო ინფორმაციას: „ბიბლიოთეკას აქვს თავისი განყოფილებები ინსტიტუტის 28 კაბინეტ-ლაბორატორიაში. წიგნადი ფონდის შესაძენად (სამეცნიერო ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის გამგე დოცენტი ვ. გომხეთელიანი) ბიბლიოთეკისათვის ყოველწლიურად იხარჯება 110 ათასი მანეთი. ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური გამოცემები, რომელთა შორის არის ისეთი იშვიათი ეგზემპლარები, რომლებიც ან სულ არ მოიპოვებიან რესპუბლიკის სხვა ბიბლიოთეკებში, ან დაცულია ერთ ან ორ ცალად⁵.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წლების განმავლობაში ასეული ათასობით მანეთი იხარჯებოდა წიგნადი ფონდის შესავსებად. ინსტიტუტის დაარსებიდან 25 წლის მანძილზე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დიდად გაიზარდა. ამ პერიოდში ბიბლიოთეკაში უკვე 300.000-მდე წიგნი და ჟურნალი ირიცხებოდა. წიგნადი ფონდის ზრდას ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში (გამგები: ვლადი გულუა, აკაკი კობალაძე, თედო ადამაძე) სასწავლო-მეთოდური და სასწავლო-კვლევითი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა ქართულ ენაზე 25 სხვადასხვა სახელწოდების, რუსულ ენაზე 232 სახელწოდების და სხვა ენაზე 63 სახელწოდების ჟურნალ-გაზეთები. აქედან განსაკუთრებით საინტერესო იყო მე-19 საუკუნის ისეთი დიდი ისტორიული და ლიტერატურული მნიშვნელობის მქონე ჟურნალ-გაზეთები, როგორებიცაა „ცისკარი“, „ივერია“, „იმედი“, „კვალი“ და ა. შ. საინტერესო იყო რუსული პერიოდიკის ფონდი, რომელიც ინსტიტუტმა ლენინგრადში შეიძინა⁶.

ბიბლიოთეკა ასევე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა თემატურ-ბიბლიოგრაფიული მასალების შედგენისა და გამოცემის მხრივ. ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა თამარ ახვლედიანის

¹ მსჯელობისათვის იხ. ლ. ჭელიძე, ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის 20 წლისთვი, 1933-1953: პედინსტიტუტის შრომები, კრ. XI, 1952-1953, გვ. 10

² იხ. ქ. სანიკიძის დასახ. წერილი

³ იხ. გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1941, 98 (2680), 26 აპრილი, გვ. 3

⁴ უფრო ვრცლად იხ. გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1942, 77 (2970), 1 აპრილი, გვ. 2

⁵ იხ. გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1949, 185 (4917), 21 სექტ., გვ. 2

⁶ მსჯელობისათვის იხ. მ. ტუსკია, პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, გაზეთი „სტალინელი“, 1956, 49 (6583), 3 მარტი, გვ. 3

რამდენიმე ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. მასვე შედგენილი აქვს მდიდარი კარტოთეკა, რაც ასახავდა პედაგოგიური ინსტიტუტის ცხოვრების ყველა მხარეს¹.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-დამუშავების მხრივ ნაყოფიერად მუშაობდნენ უფროსი ბიბლიოთეკარები: ა. აფხაიძე, ქ. ახობაძე, კ. რამიშვილი².

სწორედ ამიტომ იყო, რომ ბევრ მათგანს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ საპატიო წოდება³.

წლების მანძილზე განუწყვეტლივ იზრდებოდა პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. თუ 1970 წლისათვის იგი შეადგენდა 353.734 ერთეულს, 1980 წელს ის გახდა 579.270 ერთეული. 1999 წლისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (დირექტორი თამაზ მეძველია) ფონდი 800 ათასამდე წიგნსა და 40 ათასამდე ჟურნალს აღემატებოდა⁴.

ამ პერიოდისათვის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან არსებობდა დაკომპლექტება-დამუშავების, წიგნთსაცავისა და მომსახურების, ასევე ბიბლიოგრაფიული, საბიბლიოთეკათშორისო განყოფილებები, პერიოდიკისა და უცხოური ენების სექტორები. ასე ნელ-ნელა წლიდანწლამდე გროვდებოდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

რა ხდება დღეს? აქვე მოგაწვდით მცირეოდენ ინფორმაციას ამ საკითხზე, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დღევანდელი დირექტორის (გიორგი ჭიჭინაძისაგან) მოვიპოვეთ. ბ-ნი გიორგი 2007 წლიდან ხელმძღვანელობს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, 2017 წელს აიგო და ბიბლიოთეკის ახალი შენობა ექსპლოატაციაში შევიდა 2018 წელს. შენობის ფართი შეადგენს 2810,32 კვ. მეტრს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს რამდენიმე განყოფილება. მათ შორის: დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება, საცნობარო ბიბლიოგრაფიული განყოფილება, ბიბლიოთეკის განვითარებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, კატალოგიზაციის განყოფილება, საცავის, მომსახურების, ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილება.

ბიბლიოთეკაში დაარსდა რარიტეტების განყოფილება, რომელსაც აქვს სპეციალური საცავი. უკვე მიმდინარეობს ამ განყოფილების რესტავრაცია, კონსერვაცია, გამაგრება.

ბიბლიოთეკაში დაინერგა თანამედროვე ელექტრონული სისტემები, ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ბიბლიოთეკა და ა. შ. ეს კი როგორც ლექტორებს, ისე სტუდენტებს კარგად გამოადგათ პანდემიის პერიოდში.

დღევანდელი მონაცემებით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია დაახლოებით ერთ მილიონამდე წიგნი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უმდიდრესია საქართველოში წიგნადი ფონდით. ყოველწლიურად წიგნების შესაძენად უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოფა დაახლოებით 200 ათასი-დან 250 ათასამდე ლარი.

¹ იხ. კ. მეძველია, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე, პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, კრ. XXX, ქუთ., 1967, გვ. 8

² უფრო ვრცლად იხ. ლ. ჭელიძე, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი 25 წლისთავზე (1933-1958), ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, კრ. XVIII, ქუთ., 1958, გვ. 13-14

³ მსჯელობისათვის იხ. გ. გაბუნია, დ. გურუშვიდი, პ. ვაჭრიძე, გ. მჭედლიძე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი-50, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1985, გვ. 187

⁴ იხ. გ. მჭედლიძე, სათავეებიდან დღევანდლობამდე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 65 წლისთავისათვის, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, (35), ქუთ., 1999, გვ.7

Kakhaber Kebuladze
Akaki Tsereteli State University
**FROM THE HISTORY OF THE FOUNDATION OF AKAKI TSERETELI STATE
UNIVERSITY LIBRARY
RESUME**

At the beginning of 1933, professors and teachers were transferred from Tbilisi State University to Kutaisi Pedagogical Institute and 700 people. According to the order N61 of the People's Commissar of Education of February 3, 1933 - on the appointment of heads of departments and departments - Giorgi Saridani's son Akhvlediani was approved as the deputy director of the institute and the head of the educational department. He also headed one of the 17 already established departments in the institute - the department of general linguistics in 1933-1937.

The leadership of the newly created institute had many issues to resolve. Among them, the arrangement of the library was the most important. It is known that after the establishment of Tbilisi State University, Giorgi Akhvlediani was the first director of Tbilisi University Library. He worked in this position until 1922. Giorgi Akhvlediani has gained some experience in this regard at Tbilisi University and it would not be difficult to organize this work at Kutaisi Pedagogical Institute.

The teaching staff of the institute worked hard to collect books for the library. Giorgi Akhvlediani found a way out of such a difficult situation. On April 11, 1933, he published the article "Let's strengthen the library of Kutaisi Pedestrian Institute" in "Musha da Kolmeurne" newspaper. In this letter, Giorgi Akhvlediani spoke frankly about the hindering reasons that prevented the institute's management from raising knowledgeable specialists.

The management of the Pedestrian Institute appreciated the created situation and therefore took measures to strengthen the library fund. He considered the use of public assistance in this important work as one of the important measures. The book fund of the Pedestrian Institute library gradually grew and became diverse. In addition, in the summer of 1933, the literature belonging to Tbilisi University was completely received. In addition, the directorate of the institute donated 5,000 manats for the purchase of books for the library.

In 1938, the book collection of the library was further replenished, but not enough to fully meet the needs of the newly founded institute. By 1940, as a result of the attention of the directorate, the book fund of the institute's library reached 100,000. Over the years, the book fund of the Pedestrian Institute's library grew continuously. If by 1970 it was 353,734 units, in 1980 it became 579,270 units. By 1999, the fund of the university library exceeded 800,000 books and 40,000 magazines. According to today's data, about one million books are preserved in the university library. The university library is one of the richest in Georgia with its book collection.

ახალგორის მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში

ახალგორი მდებარეობს ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 800 მეტრზე, თბილისიდან 66 კილომეტრის დაშორებით. იგი უძველესი ქართული ქალაქი იყო, მის დაარსებას ქართლის ანუ იბერიის სამეფოს პირველი მეფის ფარნავაზის ძეს საურმაგს (234-162 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე) მიაწერენ¹.

არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ახალგორში მოსახლეობა ნეოლითის ხანიდან თითქმის უწყვეტად სახლობდა და სხვადასხვა დროს, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად იცვლებოდა. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია შეიქმნა თემურ-ლენგის ქსნის ხეობაში ლაშქრობის შემდეგ, როცა მისმა ლაშქარმა „შემუსრნა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი და ეკლესიანი“². ჩვენი აზრით, სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო ახალგორში ქართველების გვერდით სომხების დასახლება, რასაც რამდენიმე გარემოება უწყობდა ხელს, მათ შორის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება და ახალგორის, როგორც ქსნის ხეობის სავაჭრო ცენტრის ადგილმდებარეობა. არ არის გამორიცხული ახალგორში სომხები უშუალოდ გორიდან გადმოსახლებულიყვნენ, მათ ახალგორის, როგორც ქსნის საერისთავოს სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ცენტრის შესახებ ბევრი რამ ეცოდინებოდათ. სავარაუდოდ, მათვე უნდა დაერქმიათ ახალი საცხოვრებლისთვის ახალი გორი ანუ ახალგორი³.

ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ახალგორს მცირე ქალაქად მოიხსენიებს: „ომისს ზევით არს მონასტერი ზოფა უგუშბათო, დიდნაშენი კეთილად და აწ ცარიელი. მის ჩრდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი, მსახლობელნი არიან სომეხნი“⁴. ახალგორს ქალაქის სტატუსით მოიხსენიებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგი ოფიცერი შარლ დე გრაი დე ფუა, რომელიც ქართველებისთვის კარგად ცნობილი გენერალ ტოტლებენის ადიუტანტი გახლდათ და რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768-1774) დროს რუსეთის არმიაში მსახურობდა. იგი 1770 წელს შემოსულა საქართველოში და 1777-1783 წლებში დაუწერია მეძუარული ხასიათის რელაცია (ცნობა, მოხსენება), სადაც ახალგორზეც საუბრობს: ქართლის „მესამე სადროშო თავადი ერისთავისაა და აერთიანებს გლეხებს მისი კუთვნილი მიწებიდან, მათ შორის, ქალაქ ახალგორიდან (ხაზგასმა ჩვენია - დ.ა.), რომელიც მთლიანად მას ეკუთვნის“⁵.

ახალგორს პატარა ქალაქად აგვიღწერს გერმანელი მოგზაური რაინეგსიც, რომელზეც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ...

¹ კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 171

² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, 1897, გვ. 209; პ. ზაქარაია, ლარავისის არქიტექტურული ანსამბლი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI- , 1950, გვ. 49

³ დ. ახლოური, ახალგორის ისტორია, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006, გვ. 36-37

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 359

⁵ დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985, გვ. 53

გვიანფეოდალური ხანის ახალგორის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის II ნახევრის ისტორიული წყარო, სადაც საუბარია წილკნელის სარგოზე ქსნის საერისთავოში. ქართველების გვერდით წყაროში სომხებიც არიან მოხსენიებული. წყაროს მიხედვით ახალგორელთა გამოსაღებ სარგოს შეადგენს:

„დეკანოზს - ერთ ღლეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი (მარჩილი ვერცხლის ფულის სახელწოდება იყო და ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით 12 შაურს ანუ 3 აბაზს შეადგენდა. ქართველ კაცს თითო ძღვენი. მსახურს საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრეთვე იმათი მეუღლის ერთი საწირავი. დრამა კომლზედ თითო შულო, ქერი ლიტრა ერთი. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით. სომხები, მაგისტანა კაცი თითო ძღვენს მიართმევს და თითოს შულოს“. ბოლო სიტყვები - „და თითოს შულოს“ მიწერილი ყოფილა შემდეგ¹. შულო წრიულად ამოხვეული და შესაღებად გამზადებული ნართის ქსელი იყო².

ვახტანგის დასტურლამალში (1707-1709), რომელიც სახელმწიფო სამართლის ძეგლი გახლდათ, მითითებულია, თუ რა სახისა და ოდენობის გადასახადი უნდა გაეღოთ ქსნის ერისთავის მამულიდან: „ქსნის ერისთავის ყმა - გამომღები და თარხანი ას ორმოცდარვა. ამისი თარხანი ორმოცდათორმეტი, გამომღები, ორმოცდათორმეტი ქათმით. სხვა გამოსაღები საბალახე თუ რაც რამ ფერი, როგორც ზემო ქართლსა ძეს, ისერე ამას. საამილახვროს და საერისთავოს კოდისპურის გამომღების კომლის ჯუმალი (ჯამი - და.) ორას ოთხმოცდათექვსმეტი. ამისაგან ქალაქს უნდა ჩამოუტანონ საკომლო პური კოდი ას ორმოცდათერთმეტი. კიდევ გორს უნდა მოიტანონ გორის ზვრის სარი საკომლო სამოცი, საკომლოზედ სარი კონა. ქსნისხეველთ აქეთ უფლება: როდესაც ბატონი სალაშქროდ წაბრძანდება - კვირაში ხარი - 1, ცხვარი - 2, მარჩილი ლიტრა - 10, ღვინო საპალნე - 2 (საპალნე იყო ცხენის ან სახედრის ასაკიდი ტვირთი), ფქვილი საპალნე - 2“³.

წილკნელის სარგოსა და დასტურლამალზე საუბრის კვალდაკვალ მინდა ყურადღება გავამახვილო „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავეთარზე“, რომლის მიხედვით ახალგორში 50 სახლი (კომლია) დაფიქსირებული, 67 მამრობითი სქესის მოსახლით. წყაროში ახალგორი სოფლის სახელწოდებითაა მითითებული, რომელიც იმ დროს შანშე ერისთავს ეკუთვნოდა⁴.

ოსმალურ წყაროში მოსახლეობისა და დუქნების რაოდენობასთან ერთად მინიშნებაა იმ გადასახადებზე, რომელიც ადგილობრივთ კჰონდათ დაკისრებული ვენახზე, ერბოზე, ცხვარზე, მიწაზე, წისკვილზე, ღორზე, ხილზე, თივაზე... ჩანს, როგორ იყვნენ შევიწროებული და დაბეგრული დამპყრობელთაგან ახალგორელები.

დავთრის მიხედვით ახალგორის მოსახლეობაზე ყურადღებას ამახვილებს თვითონ ოსმალური ტექსტის მთარგმნელი და გამომცემელი პროფ. ნ. შენგელია: „შედარებით დიდი

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974, გვ. 37; ქართული სამართლის ძეგლები (ქსმ), საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 561

² გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „საუნჯე“, 2014, გვ. 370

³ დასტურლამალი წიგნში ქართული სამართლის ძეგლები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 528-529

⁴ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავეთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 423-424

სოფელი ჩანს ახალგორი, რომლის მოსახლეობა შეადგენს 67 კომლს. ადგილობრივ მოსახლეობაზე შეწერილ გადასახადთა საერთო ჯამია 22570 ახჩა."¹

აქვე ყურადღება მინდა გაავამახვილო 1730-1732 წლების კიდევ ერთ თურქულ წყაროზე „თბილისის ლივის სამეუფო ხასები“, საიდანაც ჩანს, რომ იმ დროისთვის „სოფელი ახალგორი“ გივი ამილახვარს აქვს გადაცემული და „გორის კაზაში“ შედის².

ჩვენამდე მოღწეული დემოგრაფიული მონაცემებიდან მნიშვნელოვანი წყაროა 1770 წლის 5 აპრილის ქართლ-კახეთის აღწერა, რომლის მიხედვით, „ქ. არს მცირე ქალაქი ქსანზედ ახალგორი და ამას შინა მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი, 140. ერისთვის დავითის მამულია“³. აღნიშნული ნუსხის მიხედვით, ახალგორი ქართლ-კახეთის იმ დასახლებებს შორისაა, რომლებიც ქალაქის სტატუსს ატარებდნენ: თბილისი, გორი, ცხინვალი, სურამი, თელავი, სიღნაღი, ანანური...

რამდენად ზუსტია 1770 წლის დემოგრაფიული მონაცემები, რთული სათქმელია, რადგან ქსნის საერისთავოს 1774 წლის სტატისტიკური აღწერილობით ახალგორის მცხოვრებთა რაოდენობა 88 კომლია, ამას ემატება 17 ოჯახი მემკვიდრის ობლების, რომლებიც ცალკე კომლებად არ აღირიცხებიან, ჯამში ვიღებთ 105 კომლს.

ახალგორის მკვიდრი მოსახლეობის ჯამი ბევრად აღემატება ბოგანო და ხიზან მოსახლეობას, მკვიდრი მოსახლეობის კომლობრივი რაოდენობა 55-ს შეადგენს, მამაკაცთა რაოდენობა 88-ს. მემკვიდრის ობლების ჯამი 21-ია ანუ 21 ობოლი მამრობითი სქესის წარმომადგენელია. 4 კომლი ბოგანოა, მათ შორის მამაკაცთა რაოდენობა 6-ია. ხიზნის ჯამი კომლობრივად 29-ს უდრის, მამაკაცთა რაოდენობა - 44-ს. სულ ახალგორში მცხოვრებ მამაკაცთა რიცხვი 159-ს შეადგენს.

ერეკლე მეორის მიერ 1774 წელს შედგენილი მორიგე ჯარის განჩინებით, ახალგორიდან სალაშქროდ 17 მეზობლი უნდა გამოსულიყო.⁴

1783 წლის აღწერით კი ახალგორში 86 კომლია, 4 ოჯახი მემკვიდრის ობლების, ჯამში 90 ოჯახი. მკვიდრი მოსახლეობა 72 კომლია, 104-მამაკაცი, მემკვიდრის ობლის მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 5-ია, ხიზანთა კომლობრივი რიცხვი 14-ს უდრის, მამაკაცთა რაოდენობა -15-ია, ხიზანის ობლები 2 მამრობითი სქესის წარმომადგენელია. 1774 წელთან შედარებით ახალგორში მცხოვრებ მამაკაცთა საერთო რიცხვი შემცირებულია 159-დან 124-მდე. ასევე, 1783 წლის აღწერაში, ბოგანო და ხიზანი მოსახლეობის ჯამი 35 მოსახლით ნაკლებია, თუმცა 16 მოსახლითაა გაზრდილი მკვიდრთა რაოდენობა სწორედ ბოგანოებისა და ხიზნების ხარჯზე. უფრო მეტიც, 80-იანი წლების ახალგორში საერთოდ აღარ ჩანს გლეხთა კატეგორია - „ბოგანო“⁵.

ასევე საყურადღებოა ქსნის საერისთავოს მესამე სტატისტიკური აღწერის მონაცემები, რომელიც რამდენადმე განსხვავდება მეორე აღწერისაგან. მაგალითად, მესამე აღწერაში ხიზანთა

¹ ნ. შენგელია, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, კრ., ქართული დიპლომატია, წელიწდეული 7, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, გვ. 344

² სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2008, გვ. 410

³ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1870 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 1973, გვ. 153

⁴ ი. ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე II-ის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, თბ., 1947, გვ. 340

⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967, გვ. 221-223

კატეგორია აღარაა მითითებული. მეორე აღწერაში ნახსენებ ავეტიქა ბუდიაშვილს მესამეში ვეღარ ვხვდებით, სამაგიეროდ, მესამე აღწერაში ჩნდება ახალი კომლები, რეგაზ და შალვა რატიშვილების ყმები¹.

XVIII საუკუნის სტატისტიკური აღწერილობებით რთულია განსაზღვრა, რამდენი კომლია ქართველი და რამდენი სომეხი, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ქართველი შვილს როგორც ქართულ, ისე სომხურ სახელს არქმევს, აღწერებში ვხვდებით ასეთ პიროვნებებს: მეარაყისშვილი არუთინა, პაპა, გიორგი და აკოფა, კაკასშვილი ოჰანეზა, აკოფა, პაპა... ქართველი ბავშვებისთვის სომხური სახელების დარქმევა გამოწვეული იყო იმითაც, რომ სომხების მიერ აღდგენილ ქართულ ეკლესიაში მოღვაწე სომეხი მღვდელი ახლადმონათლულ ქართველებს სომხურ სახელებს არქმევდა². შემდგომში მამიშვილობა საფუძველი ხდებოდა ახალი გვარის, მაგალითად: არუთინაშვილი, ოჰანეზაშვილი, აკოფაშვილი... ქართველები სომხურფუძიანი გვარების მატარებელნი ხდებოდნენ, რაც ხელს უწყობდა მათ გასომხებას (უფრო ვრცლად ქართველთა გასომხების მიზეზებზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

იოანე ბატონიშვილი 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში ახალგორს ყასაბა ქალაქად მოიხსენიებს³, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს კიდევ რამდენიმე ქალაქს: ცხინვალს, ღუშეთს, ანანურს, სურამს...

იოანე ბატონიშვილის საუფლისწულოს 1803 წლის ივნისის აღწერის შეჯამებითი ცნობების მიხედვით „ყასაბა ქალაქის“ 77 კომლიდან 71 სომხადაა მიჩნეული, 6 - ქართველად, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 419-ს, აქედან 243 მამაკაცია, 176 - ქალი.⁴

1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ახალგორში კომლების რაოდენობა უკვე 93-ია, აქედან მხოლოდ სამი კომლია ქართველებად მითითებული, დანარჩენები - სომხებად:

სულ ახალგორის მოსახლეობა 518-ია, აქედან - 288 მამაკაცი, 230 - ქალი, მათ მფლობელობაშია 32 დღის სახნავი მიწა, 7 წისქვილი, 88 ბაღი, მოჰყავთ 11096 თუნგი ღვინო. გადახდილი აქვთ 257 მანეთი და 40 კაპიკი.

აქედან ეკლესიის ყმები 16 კომლია, 50 მამაკაცი, 40 ქალი, მათ მფლობელობაშია 8 დღის მიწა, 2 წისქვილი, 15 ბაღი, მოჰყავთ 2224 თუნგი ღვინო. გადასახადი არ გადაუხდიათ, მაგრამ საეკლესიო დღესასწაულზე მომსვლელ ხალხს უმასპინძლებოდნენ თავისი შესაძლებლობების მიხედვით⁵.

როგორც აღვნიშნეთ, ახალგორის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სომხურ ეთნოსს არიან მიკუთვნებულნი, ზოგადად, ანანურის მაზრაში მცხოვრები 154 სომეხიდან 90 კომლი ახალგორში მოსახლეთა სიებში გვხვდება.

რუსულ აღწერაში ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლები ქართველებადაც არიან მიჩნეული და სომხებადაც; ნონია ელჩუაშვილი - ქართველია, ალაბეგ და სიმონ ელჩუაშვილები - „სომხები“...

რა მიზეზები ახლდა თან ქართველთა მასიურ „გასომხებას“?.. ახალგორში სომხები და გასომხებული ქართველებიც, ძირითადად, ვაჭრობას ან ხელოსნობას მისდევდნენ. „ყველგან, მათ შორის საქართველოში გაბნეულ სომხურ მოსახლეობაში წამყვანი ადგილი ეკავა მის ვაჭრულ-

¹ იქვე, 243-245

² რ. ოვაშელი (ოვაშვილი), „ვითარცა ზღუდე დაუცემელი“, ისტორიული ამბავი, „ლენინელი“, 7 ივნისი, 1983, გვ.4

³ იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, გვ. 36

⁴ Акты, собранные Кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868, გვ. 82

⁵ გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486, გვ. 20-31

ხელოსნურ ფენებსო" - წერდა სომეხი ისტორიკოსი ს. ერემიანი.¹ საქართველოში „ვაჭრის“ და „სომეხის“ მცნებები თითქმის სინონიმური იყო, სავაჭრო ურთიერთობაში ჩართულ ქართველს გასომხებულს უწოდებდნენ, მაგრამ ქართველთა მასიური გასომხების მნიშვნელოვანი საფუძველი იყო ის პრივილეგირებული მდგომარეობა, რომლითაც სომხები სარგებლობდნენ; ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე, ვაჭრობისა და ხელოსნობის დარგების განვითარებისათვის, ცდილობდა საქართველოში ჩამოესახლებინა სომხები და მათთვის სათანადო პირობები შექმნა. ეს ყოველივე ხელს უწყობდა ახალგორში არა მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობის, არამედ ხიზნად მოსულების „გასომხებასაც“. „ერეკლე მეფემ მათ (სომხებს - დ.ა.) გადასახადები არ დაადვა. ამის გამოისობით ზოგი ქართველი სომხად მოინათლა... ახალგორში ხიზნად მოვიდა როსტომ ერისთავის ყმა უფლისციხელი მზარეულის შვილი სიმონა. ახლა მემკვიდრე კომლი გახდა და გასომხდა - ბეგარის გადახდა არ ინდობა. სომხებად მოიქცნენ ხიზანი ხელთუბნელი აკოლანთ ბერუას შვილი გიორგი, გათენას შვილი ალექსა, მეარაყის შვილი როსტომა, ჯავახის შვილი ნარიმანა, კაკას შვილი პაპა, გორელაშვილი დავითა, სამი ძმა ბერის შვილები ოსეფა, ბერუა, შალვა, რატის შვილის ყმა ხოცუას შვილი მამულა და ბოგანი ელჩუანთ ლომუას შვილი შეუძლებელი ბეჟანა.“²

ქართველთა სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნების ხელშემწყობი ფაქტორი იყო სარწმუნოებისა და ეროვნების ერთმანეთთან გაიგივებაც. „სომხებთან ერთად ახალგორში მოსახლეობდნენ ისეთი გვარებიც, რომლებიც სომხური ეთნოსისადმი კონფენსიური მიკუთვნილობის გამო არიან მიწერილი. ასეთ გრიგორიან ქართველებს შორის შეიძლება დავასახელოთ: მზარეულოვი, ბურდინოვი, მეარაყოვი, კაკილოვი, კიკოლიშვილი, ხუბაშვილი (ძირითადად ოსი), ხოცეულიშვილი (ხოცუაშვილი? - დ.ა.), ბერიაშვილი, ლოსეურაშვილი, გათენაშვილი, გელიაშვილი, დათიაშვილი, გრემელაშვილი, ცაგარელი. ეთნოგრაფიული მასალებითაც ჩამოთვლილი გვარები ქართველები არიან, რომლებმაც, გარკვეული მიზეზების გამო მიიღეს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და შესაბამისად მიეკუთვნენ სომხურ ეროვნებას“.³ „XIX საუკუნეში, ცარიზმის დროს, გრიგორიანულ ქართველებს სომხური ეროვნება ოფიციალური იურიდიული დოკუმენტით დაუკანონეს... ამ გზით აღმოჩნდა გაგრიგორიანებულ-გასომხებულთა შორის ახალგორელი ხოცუაშვილებისა და სირაშვილების (შემდგომში სირუნოვების) ქართული გვარიც“.⁴ ბურდანოვებად იქცნენ ბურდიაშვილები, რომლებიც „ისტორიული საბუთების თანახმად ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ცხოვრობდნენ სოფელ ლომისის ქვევით. XX საუკუნის დასაწყისში ბურდიაშვილებს ვაჭრობასთან დაკავშირებით შეუცვლიათ სარწმუნოება, მართლმადიდებლობის ნაცვლად მიუღიათ გრიგორიანული სარწმუნოება და დაწერილან სომხებად“.⁵ მეარაყიშვილის გვარი მეარაგოვით შეიცვალა.⁶ ასევე, ცნობილია, რომ ძირად გიგაურები იყვნენ ახალგორელი გათენაშვილები.⁷ უბრალო დაკვირვებითაც ნათელია, როგორ მასიურად ხდებოდა ახალგორში ქართველთა გასომხება, როგორც XVIII საუკუნის ბოლოს, ისე მომდევნო პერიოდშიც. 1893 წლის 23 ოქტომბერს ალ. ყიფშიძე ფრონელის ფსევდონიმით წერს თბილისიდან მოსკოვში ძმას, სამხედრო სასწავლებლის კურსანტს ზაქარია

¹ მ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), თბ., 1999, გვ. 143

² რ. ოვაშელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4

³ რ. თოფჩიშვილი, XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ, „მნათობი“, №12, 1987, გვ. 159

⁴ გ. მელიქიშვილი, თ. თოდრა, რ. თოფჩიშვილი, „ხოცუაშვილები, სირუნოვები“, „ლენინელი“, 9 ნოემბერი, 1989, გვ. 4

⁵ ვ. ლუნაშვილი, ვისი გორისა ხარ? „ლენინელი“, 28 თებერვალი, 1985, გვ. 4

⁶ რ. ოვაშელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4

⁷ რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები), თბ., 2002, გვ. 28

ყოფნის: „ახალგორში უმეტესად სომხები არიანო".¹ თუ როგორ მასიურად შეიცვალა გვარის ქართული მაწარმოებელი „შვილი" „ოვი" - ით, ჩანს ს. მაკალათიას მონათხრობში: ახალგორში „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხური მოსახლეობა ას კომლზე მეტი ყოფილა, ქართველები კი ექვსი კომლი - ცაგარელი, წიფთაური (წიპტაური - დ. ა), მეტრეველი, დუშაშვილი და ბულბულაშვილი. სომხები: ამირუმოვი, მზარეულოვი, სტეფანოვი, მთარაგოვი, კაკინოვი, გათენოვი და სხვა, ყველაზე მეტი სტეფანოვები." ² აქვე იგი საუბრობს „ახალგორელი სომხების" სალოცავებზე: „სომხებს (ახალგორში - დ.ა) ერთი ეკლესია ჰქონიათ"... „აქაური სომხები სალოცავად მიდიოდნენ ალევის სამებაში, თან მიჰქონდათ დროშა, რომელზედაც გამოსახული ყოფილა წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი. აქ ხატობაზე სომხები მართავდნენ საერთო ხარჯით დიდ პურობას..."³ „ახალგორელი სომხები სალოცავად მიდიოდნენ აგრეთვე ჯვარპატიოსნის (ლევურის ხეობაშია, სხვილოს ნასოფლარზე) დღეობაზე ურმებით, ცხენებითა და გაშლილი დროშებით".⁴ რთული სათქმელია, რამდენად შესაძლებელია, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები გრიგორიანელი „სომხების" ან მათი წინაპრების სალოცავები ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ ვ. ჯაოშვილის სიტყვებს: ქართველები სარწმუნოებას იმ პრივილეგიების გამო თმობდნენ, რომლითაც სომეხი ვაჭარ-ხელოსნები სარგებლობდნენო.⁵ უფრო დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ქართველთა გადასვლა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე, ვიდრე პირიქით - სომხების მიერ სარწმუნოების მასიურად შეცვლა. ასე, რომ ახალგორელები სომხებისათვის დაწესებული პრივილეგიების გამო ფორმალურად იცვლიდნენ ეროვნებასაც და სარწმუნოებასაც, ისინი კვლავ ქართველ მართლმადიდებლებად რჩებოდნენ თავიანთი ენით, მრწამსითა და ადათ-წესებით...

პირველ რუხულ კამერალურ აღწერაში ცალკეა საუბარი სამების ეკლესიის ყმებზე. სწორედ მათ შთამომავლებზე უნდა საუბრობდეს ს. მაკალათია - სალოცავად მიდიოდნენ ალევის სამებაშიო... ხოლო საერთო ხარჯით პურობის გამართვა ასევე ტრადიცია ყოფილა. საეკლესიო ყმები გადასახადს არ იხდიდნენ, მათ ევალებოდათ რელიგიურ დღესასწაულზე მომსვლელ ხალხს შესაძლებლობების ფარგლებში გამასპინძლობდნენ. ის ფაქტი, რომ ახალგორელი „სომხები" ქართული სალოცავების მრევლს წარმოადგენდნენ, თავის მხრივ მიგვანიშნებს ქართველთა გასომხებაზე.

ახალგორში სომხური ეთნოსის დომინაციას ტოპონიმებზე დაკვირვებაც გამორიცხავს, მათი უმრავლესობა ქართულია: ახალშენი, ბაზრის მინდორი, ბარდანაული, დიდველი, გიგნიაანთ წყარო, გურგვეთელების ღელე, დარეხვილები, ზენუბნები, თავისუფლების მოედანი, იოსებას ახო, მზვარე, ტახტაბანი, საკირეები, ფირუზაანთ ხევი, ფიჭვნარი, ციხის წისქვილი, ჩირდილის ტყე, ჭალები, ჭაობისუბანი, ჯალაბაანთ წყარო და ა.შ.⁶

XIX საუკუნის დასაწყისის ახალგორის მოსახლეობაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქსნის საერისთავოში და თვითონ ახალგორშიც ყმები და მამულები ერისთავთა სახლეულის რამდენიმე წარმომადგენელს ეკუთვნოდა, რაც ჩანს გაყრის წიგნებიდან. მაგალითად, 1802 წლის 20 მაისს დავით და იესე ერისთავების შვილებს საზაფხულო სასახლეები და ყმები გაუყვიათ, მათ შორის ახალგორშიც: შანშეს და მის ძმებს წილად ხვდათ „ახალგორელი ღურგლის

¹ აღ. პავლიაშვილი, ილია ახალგორში, „ლენინელი", 9 ივნისი, 1987, გვ. 3

² ს. მაკალათია, ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1968, გვ. 60

³ იქვე, გვ. 60-61

⁴ ს. მაკალათია, ქსნის ხეობა, გვ. 61; ს. მაკალათია, ლევურის ხეობა, თბ., 1954, გვ. 28

⁵ ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1996, გვ. 311

⁶ დ. ახლოური, ახალგორის ტოპონიმები, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 24 ივნისი, 2020

დავითას შვილი ბეჟანა თავისის შვილებით და წიპტაური ღურგალი თავისის ძმებით ღღეს რისა მამულის მქონენი არიან". მიხეილ ერისთავს კი - „ღურგალი შერმაზანას შვილები და ღურგლის შვილი არუთინა, ღღეს რისაც მამულის მქონებელნი არიან".¹ ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა შანშე და მიხეილ ერისთავების ხვედრი გლეხების სია, რომელიც 1807 წლის 3 ივნისს მათი გაყრის გამოა შედგენილი: ამ შემთხვევაშიც, ყმების ნაწილი შანშეს და მის ძმებს რგებია, ნაწილი - მიხეილს და მის ძმებს.²

1821 წლის აღწერის მიხედვით ახალგორში 3 კომლი ქართველი იყო, 11 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის, 79 კომლი სომეხი, 212 მამრობითი სქესის და 138 მდედრობითი, სულ 82 კომლი, 223 მამრობითი სქესის და 143 მდედრობითი (366 სული).³

ახალგორის მოსახლეობა მკვეთრად მომატებული 1831 წლის აღწერისას. იმ დროისთვის ახალგორში ცხოვრობდა 116 კომლი, 339 მამრობითი და 270 მდედრობითი სქესის (609 სული), აქედან ქართველები: 8 კომლი, 33 მამრობითი და 25 მდედრობითი სქესის (58 სული), სომხები: 106 კომლი, 302 მამრობითი და 243 მდედრობითი სქესის (545 სული), ოსები: 2 კომლი, 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის (6 სული).⁴

1843 წლის აღწერით ახალგორში 92 კომლი იყო, 259 მამრობითი სქესის მცხოვრებით.⁵

1860 წლის აღწერით, ახალგორში 107 კომლი ცხოვრობდა.

კამერალური სია შედგენილი 1859 წლის 31 დეკემბერს.

„სოფელს ახარგორში (ახალგორში) მდებარე სახე(ლ)მწიფო გლეხი საკუთარს მამულზედ მცხოვრები“ (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. არსენა მარქარას ძე მზარეულოვი (რუსულ ტექსტში - მზარეულიშვილი) - 45 წლის, №42 (წინა 1843 წლის კამერალური აღწერის რიგითი ნომერი).

ამისი ძმები: ზაქარა - 35 წლის, იაგორა - 32 წლის. არსენას ძმისწული მარქარა - 6 წლის, ახალშობილი (იგულისხმება პირი, რომელიც წინა კამერალური აღწერის დროს დაბადებული არ იყო).

მდედრნი - 4.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 2. პეპანა გოგიას ძე მეარაყოვი (რუსულ ტექსტში მეარაყიშვილი) - 65 წლის, გაშვებული იყო (პირი, რომელიც წინა აღწერის დროს გამოტოვებული იყო), ამისი შვილები: გოგია - 25 წლის, გაშვებული იყო, გიქოა - 18 წლის, გაშვებული იყო, იაგორა - 13 წლის, ახალშობილი, კონუა - 6 წლის, ახალშობილი, სიმონა - 3 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 2.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 3. სარქისა ოსეფას ძე მეარაყოვი (მეარაყიშვილი) - 60 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილი წყალობა - 10 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 5.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 4. როსტომა ალალოას ძე სტეფანოვი - 52 წლის, №74

¹ გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486, გვ. 428

² იქვე, გვ. 445-447

³ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №254, ანაწერი №1 საქმე №689, გვერდი 559-580

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №254, ანაწერი №1 საქმე №1247, ფურცელი 337-356

⁵ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 2038

ამისი შვილი არტემა -1 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 2.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 5. არტემა ტერ თადეოზას ძე სტეფანოვი - 24 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმა ალა - 18 წლის, ახალშობილი, გაშვებული იყო.

მდედრნი - 1.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 6. მატია ზალიკოს ძე სტეფანოვი - 41 წლის, №76

ამისი შვილები: 1. ს(ე)რაფიონა - 7 წლის, ახალშობილი, 2. გრიგოლა - 5 წლის,

ახალშობილი, 3. სიმონა - 3 წლის, ახალშობილი. მატიას ძმა: 1. თემოა - 38 წლის, თემოას

შვილები: 1. ზურაბა - 5 წლის, ახალშობილი, 2. იაგორა - 4 წლის, ახალშობილი, 3. სერგოა -

3 წლის, ახალშობილი. მატიას ძმები: 2. ყაზარა - 36 წლის, 2. ზაქარა - 32 წლის, 3.

სოლომონა - 22 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 6.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 7. თათუა გიორგის ძე სტეფანოვი - 31 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 2.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 8. დარჩია თათულას ძე სტეფანოვი - 25 წლის, გაშვებული იყო, გარდაიცვალა 1860 წელს,

ამისი ძმები 1. ივანე - 18 წლის, გაშვებული იყო, 2. დავითა - 14 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 2.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 9. არუთინა გიორგის ძე ტერტეროვი - 55 წლის, №25

ამისი შვილი დავითა - 1 წლის, ახალშობილი, არუთინას ძმა კოსტინა - 38 წლის, ამისი

შვილები: 1. გიორგი - 4 წლის, ახალშობილი, 2. მარქარა - 2 წლის, ახალშობილი. არუთინას

ძმა გიქუა - 35 წლის.

მდედრნი - 6.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 10. ივანე გიორგის ძე ტერტეროვი - 32 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმები: თათეოზა - 22 წლის, გაშვებული იყო, 2. ალა - 16 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 11. ივანე ზაქარას ძე ამირუმოვი - 38 წლის, №18

ამისი შვილი ზაქარა - 4 წლის, ახალშობილი. ივანეს ძმები: 1. კარაპეტა - 35 წლის, 2.

მარქარა - 31 წლის, გაშვებული იყო, ივანეს ბიძაშვილი არტემა - 30 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 3.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 12. წყალობა ტერ დავითის ძე პოპოვი - 42 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 2.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 13. აფრიაძე ანტონის ძე დემუროვი - 33 წლის, №7

ამისი შვილი ანტონა - 8 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 2.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 14. არტემა ანტონის ძე დემუროვი - 30 წლის, გაშვებული იყო, არტემას ძმა მიხაკა - 13 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 3.

სომეხთ წმინდის გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 15. ზაქარა პაწაწუნას ძე წიპტაური - 40 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილები: 1. იაკობა - 7 წლის, ახალშობილი, 2. გიორგი - 1 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 1.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი 16. ბაბუა პეტრეს ძე წიპტაური - 10 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 3.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი 17. ივანე გოგიას ძე ბულბუთოვი - 40 წლის, №1

ამისი ძმები: 1. გაბუა - 35 წლის, 2. ზაქარა - 32 წლის, გაშვებული იყო, 3. გიგოლა - 18 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 3.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი 18. დათიკა კირილეს ძე დოლმაზაშვილი - 37 წლის, გარდაცვალა 1860 წელს,

დავითას ძმა 1. გიორგი - 31 წლის, გაშვებული იყო, შვილი გიორგისი კირილე - 1 წლის, ახალშობილი. ძმა დათიკასი 2. ანდრია - 29 წლის, №75.

მდედრნი - 3.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლნი - 18. მამრნი - 62. მდედრი - 50.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლებნი და მათ შორის სულნი ოცდა თერთმეტს რიცხვს დეკემბერს ამას სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოჩნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვნეთ პასუხის მგებელნი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერთ ნაცვალნი ივანე ხახიაშვილი, რადგანაც ამან წერა არ იცოდა, ამის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ იაგორ მზარეულოვი (ხელმოწერილია), ზაქარ სტეფანოვი (ხელმოწერილია). აღმორჩეული იაგორ მზარეულოვი.

სახელმწიფო გლეხი მცხოვრები მემამულის მიწაზე.

კომლი 1. კონა ბაბულა შვილი - 35 წლის,

ამისი შვილი არტემ - 7 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 2.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი 1. მამრნი - 2. მდედრნი - 2.

დამოწმებულია ნაცვალის ივანე ხახიაშვილისა და აღმორჩეული პირების: ალა ამირუმოვისა და მელქუა კაკინოვის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 5 იანვარს.

სოფელს ახალ გორს საბატონო მამულზედ მცხოვრებნი თავად დავით ივანეს ძის ერისთავის ყმანი (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. კონუა სოსიას ძე ბურდინოვი - 45 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილი დარჩუა - 6 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. მელქო ალექსანდრეს ძე კაკუჭაშვილი - 35 წლის, №53

ამისი შვილები: 1. ალექსანდრე - 3 წლის, ახალშობილი, 2. პოლოზა - 1 წლის, ახალშობილი.
მდედრნი - 1.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 3. როსტომა სოსიას ძე ბურდინოვი - 35 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილი სიმონა - 5 წლის, ახალშობილი.
მდედრნი - 1.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 4. მინასა სოსიას ძე ბურდინოვი - 30 წლის, გაშვებული იყო,
რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 5. გიორგი ალაბეგას ძე ამირუმაშვილი - 80 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს,
ამისი შვილები: 1. ალა - 25 წლის, გაშვებული იყო, 2. კოსტანა - 20 წლის, გაშვებული იყო,
3. ყაზარა - 18 წლის, გაშვებული იყო, 4. ავეტიქა - 14 წლის, ახალშობილი, 5. ივანე - 8
წლის, ახალშობილი.
მდედრნი - 6.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 6. გიქო სტეფანას ძე ოსეფაშვილი - 30 წლის, №55
ამისი ბიძაშვილი წყალობა იოვანეს ძე ოსეფაშვილი - 10 წლის, ახალშობილი.
მდედრნი - 4.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 7. გიორგი ბუდალას ძე მოსესაშვილი - 35 წლის, №52
ამისი შვილი არტემა - 5 წლის, ახალშობილი. გიორგის ძმები: 1. შაქარა - 30 წლის, 2. ონეზა
- 20 წლის, გაშვებული იყო.
მდედრნი - 2.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 8. გასპარა ბუდალას ძე მოსესაშვილი - 40 წლის, №52
ამისი შვილი ბუდალა - 7 წლის, ახალშობილი.
მდედრნი - 1.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 9. ივანე ხალათას ძე ხახიაშვილი (ხალალაშვილი - რუსულ ტექსტში) - 50 წლის,
№50
ამისი შვილი დარჩია - 3 წლის, ახალშობილი.
ივანეს ძმისწული იაგორა დავითის ძე (მამის სახელი რუსულ ტექსტშია მითითებული) - 12
წლის, ახალშობილი.
მდედრნი - 2.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 10. კაკუა გიქუას ძე ფირყულაშვილი - 40 წლის, №56.
ამისი შვილები: 1. გიქუა - 4 წლის, ახალშობილი, 2. ივანე - 2 წლის, ახალშობილი. კაკუას
ძმები: 1. სოლომონა - 30 წლის, 2. ზაქარა - 20 წლის, გაშვებული იყო. კაკუას ბიძაშვილი
სარქისა გიორგის ძე ფირყულაშვილი - 25 წლის.
მდედრნი - 1.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.
კომლი 11. პეპანა მარტიროსას ძე ჯანიაშვილი - 60 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. გეურქა - 25 წლის, გაშვებული იყო, 2. ანანია - 21 წლის, გაშვებული იყო, 3. არტემა - 16 წლის, ახალშობილი, 4. დარჩია - 4 წლის, ახალშობილი, 5. სერგუა - 2 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 12. გიორგი გოგიას ძე დეკანოზის შვილი - 40 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს,

ამისი შვილი ლავრენტი - 2 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 4.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლნი - 12. მამრნი - 39. მდედრი - 25.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი ხუთს რიცხვს იანვარს 1860-სა წელს ამა სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსწნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვე პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერთ ნაცვალთა ივანე ხახიაშვილი, რადგანაც ამან წერა არ იცოდა, ამის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ თავადი დავით ივანეს ძე ერისთავი (ხელმოწერილია).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 16 მარტს.

სოფელ ახალგორში თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. თათულა ავეტიკას ძე ღურგლი-შვილი - 40 წლის,

ამისი ძმები: 1. ზურაბ - 30 წლის, 2. დავით - 28 წლის, 3. გეუა - 25 წლის.

მდედრნი - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი გადახაზულია, რადგან ცხოვრობს გორის მაზრის სოფელ გრაკალში.

კომლი 2. გეუა გალუას ძე ნაზუქა-შვილი - 45 წლის, ამისი ძმა კიკუა - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი გადახაზულია, რადგან ცხოვრობს გორის მაზრის სოფელ ცხინვალში.

რადგან წინა ორი კომლი გადახაზულია, დავით ივანეს ძე ერისთავის ყმების გათვალისწინებით, აღწერა იწყება მე-13 კომლიდან...

კომლი 3. გიქო ასატურას ძე ფრიდონა შვილი - 45 წლის, №45.

ამისი შვილები: 1. ალექსა - 20 წლის, გაშვებული იყო, 2. ალექსანდრე - 10 წლის, ახალშობილი. გიქოს ძმა ივანე - 30 წლის, ძმიშვილი გიქოსი ყაზარ - 3 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 6.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 4. გინუა ივანეს ძე ღურგლი შვილი - 35 წლის, №35

გინუას ძმა: 1. თათეოზი - 28 წლის, შვილი თათეოზისა არტემ - 3 წლის, ახალშობილი,

გინუას როდნი ძმა: 2. ისაკ - 23 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 5. ტეტუა გიორგის ძე დოღმაზა შვილი - 60 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს, ამისი

შვილები: 1. მიხეილ - 10 წლის, ახალშობილი, 2. სიმონ - 3 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს.

მდედრნი - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 6. პეტრე ტატოს ძე მზარეული შვილი - 60 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილები: 1. არტემ - 15 წლის, ახალშობილი, 2. სერგეი - 3 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 7. წყალობა გიქუას ძე მზარეული შვილი - 30 წლის, ამისი ძმა კიკოლა - 25 წლის, 2. სერგეი - 3 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 8. გიორგი შიოს ძე პავლე შვილი (პავლიაშვილი) - 50 წლის, ამისი შვილი ივანე - 10 წლის, ახალშობილი. ძმიშვილი გიორგისი შიო - 20 წლის.

მდედრნი - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 9. ვანო შაველას ძე შაველა შვილი - 17 წლის.

მდედრნი - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 10. ანდრია ნინიას ძე გიგუა შვილი - 40 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილები: 1. პოლოს - 12 წლის, ახალშობილი, 2. დარჩო - 10 წლის, ახალშობილი, 3. იაგორ - 1 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 11. იაგორ ესტატეს ძე მეარაყიშვილი - 40 წლის, ამისი შვილი დარჩო - 4 წლის, ახალშობილი. ამისი ძმები: 1. არუთინ - 28 წლის, 2. როსტომ - 25 წლის, 3. თათეოზ - 23 წლის.

მდედრნი - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი გადახაზულია და მითითებულია, რომ ოჯახი იმყოფება თბილისში.

აღწერას მოსდევს 1 კომლი საეკლესიო ყმებისა (რუსული ტექსტი):

კომლი 1. დათიკო ათანასეს ძე მელთაური - 25 წლის,

ამისი შვილი ათანაზე - 1 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 1.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი გადახაზულია და მითითებულია, რომ ოჯახი იმყოფება გორის მაზრის სოფელ ტყვიავში.

დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ოსები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. ყარამან გიგოლას ძე ბოლოთა-შვილი - 22 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი 2. ივანე ქუჯას ძე ბოლოთა-შვილი - 6 წლის, ახალშობილი,

ამისი ძმა ზაქარა - 4 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი 3. ბიძინა ბათრაჯას ძე ხუბა-შვილი - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი 4. ლუა ბურდულას ძე გაბარა-შვილი - 50 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 1.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

კომლი 5. ზაქარია ქუჯას ძე გალო-შვილი - 10 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 1.

მართლმადიდებლობის სარწმუნოებისანი.

სულ დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მიწაზე მითითებულია 12 კომლი, 43 მამრობითი სქესის და 23 მდედრობითი (66 სული).

აღწერა დადასტურებულია დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 22 თებერვალს.

„ქსნის უჩასტის სოფელს ახალ გორს

საბატონო მამულზედ მცხოვრებნი ღენერალ მაიორის კნიაზ გრიგოლ ბაგრატიონ მუხრანსკის ყმანი“ (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. მიქელა ტეტუას ძე მღებრი შვილი - 30 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილი ზაქარა - 5 წლის, ახალშობილი. მელ ქუას (უნდა იყოს მიქელას - დ.ა.) ძმები: 2.

ივანე - 25 წლის, ზურაბა - 20 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 4.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. მარკოზა ხოსროს ძე ხოცუაშვილი - 17 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. გიორგი კაკოლას ძე ხოცუაშვილი - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლნი - 3. მამრნი - 6. მდედრნი - 5.

აღწერას ახლავს მინაწერი; „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი ოც და ორს რიცხვსა შინა თებერვლისას ამა სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსწრდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვე პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ ახალ გორის ნაცვალი ივანე ხახიაშვილი, რადგანაც ამან წერა არ იცოდა, ამის თხოვნით და ხელ(ის) ჩამორთმევით ხელს ვაწერ მარკოზა ხოცო აშვილი“ (ასეა ხელმოწერილი)

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 19 თებერვალს.

„ქსნის უჩასტის სოფელს ახალ გორს

თ“ა კონა მირიმანოზის ძის ერისთავის ყმანი ამასივე მამულზედ მცხოვრებნი“ (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. აბელა ოსეფას ძე დურგლიშვილი - 40 წლის, №57.

ამისი შვილი ასლანა - 9 წლის, ახალშობილი, აბელას ძმა თომა - 30 წლის.

მდედრნი - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. მელქუა კარაპეტას ძე საგიაშვილი - 37 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმის წული მიხაკა გიორგის ძე - 9 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. ნინია ავეტიქას ძე ოსეფაშვილი - 36 წლის, №59.

ამისი შვილი კარაპეტა - 1 წლის, ახალშობილი.

მდედრნი - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 4. პეპიკა ზურაბის ძე ოსეფაშვილი - 40 წლის, №58.

ამისი შვილები: 1. ვანო - 5 წლის, ახალშობილი, 2. სოსება - 3 წლის, ახალშობილი, მდედრნი - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი - 4. მამრნი - 10. მდედრნი - 8.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი ოცსა რიცხვსა შინა თებერვლისას ამა სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსწნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვე პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ“ი კონა ერისთავი“ (ხელმოწერილია).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 19 თებერვალს.

„ქსნის უჩასტის სოფელს ახალ გორს

თ“ა ესტატე მირიმანოზის ძის ერისთავის ყმანი ამასივე მამულზედ მცხოვრებნი“ (რუსული ტექსტი):

კომლი 1. გიქო მანუჩარის ძე უმარილო-შვილი - 18 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. ბაღუა გოგეას ძე უმარილო-შვილი - 24 წლის, №60.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი - 2. მამრნი - 2. მდედრნი - 0.

აღწერა დადასტურებულია მეპატონე თავად ესტატე ერისთავის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 18 თებერვალს.

სოფელ ახალგორში თავად სოლომონ ზურაბის ძე ერისთავის ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

სოფელს ახალგორში მცხოვრებელი

კომლი 1. მარქარა ზურაბას სტეფანაშვილი - 25 წლის, გაშვებული იყო.

მდედრნი - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

სულ კომლი - 1. მამრნი - 1. მდედრნი - 2.

აღწერა დადასტურებულია ახალგორის ნაცვალის ივანე ხახიაშვილისა და აღმორჩეული კაცების ალა ამირუმოვისა და მელქუა კაკინოვის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 30 იანვარს.

„სოფელს ახალგორს საბატონო მამულზედ მცხოვრებნი ღენერალ ლეიტენანტის კნიაზ გიორგი რევაზის ძის ერისთავის ყმანი“ (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. გიქო პეპანას ძე მეარაყიშვილი - 40 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ბიძა შვილი დარჩო ყაზარას ძე მეარაყიშვილი - 13 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. სოლომანა არუთინას ძე ოსეფაშვილი - 25 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილები: 1. სტეფანე - 5 წლის, ახალშობილი, 2. არტემა - 3 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი - 2. მამრნი - 5. მდედრნი - 3.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი ოც და თერთმეტს რიცხვს იანვარს 1860-სა წელსა ამას სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსწნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვე პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ ღენერალ ლეიტენანტის კნიაზ გიორგი რევაზის ძის ერისთავის მოურავი დიმიტრი ფარნაძე (ხელმოწერილია).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 19 თებერვალს.

„გორსკი ოკრულის ქსნის უჩასკის

სოფელს ახალგორს

საბატონო მამულზედ მცხოვრებნი კნიაზთ: ალექსანდრე, მიხეილ და ნიკოლოზ ლევანის ძე(ე)ბის ერისთავთ ყმანი“ (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. თომა ქიტესას ძე ოლუაშვილი - 60 წლის,

ამისი შვილი ქიტუა - 3 წლის, ახალშობილი.

თომას ძმა სოსიკა - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. აზარა თათულას ძე ჯანიაშვილი - 20 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმა ალა - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. ალა თანდილას ძე ელჩუაშვილი - 30 წლის,

ამისი ძმები: 1. სერგუა - 20 წლის, გაშვებული იყო, 2. იაგორა - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 4. სოსია შავერდას ძე ბერიაშვილი - 50 წლის,

ამისი შვილები: 1. მარქარა - 4 წლის, ახალშობილი, 2. სერგუა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 5. ბადუა თურმანას ძე შაულაშვილი - 50 წლის,

ბადუას შვილები: 1. დარჩო - 18 წლის, 2. წყალობა - 15 წლის, ახალშობილი, 3. გეუა - 12 წლის, ახალშობილი. ძმიშვილი ბადუასი გურგენა მიქელას ძე - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

რუსულ ტექსტში კომლი გადახაზულია, რადგან ცხოვრობს კასპში (გორის მაზრა).

კომლი - 5. მამრნი - 16. მდედრნი - 10.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტს რიცხვსა შინა თებერვლისასა 1860-სა წელსა ამა სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსწნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვე პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 14 თებერვალს.

სოფელ ახალგორში თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. ავეტიკა გიორგის ძე ლომუაშვილი - 45 წლის, №82

ამისი შვილი გიორგი - 2 წლის, ახალშობილი. ძმა ავეტიკასი არუთინ - 40 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. მურადა ოანეზას ძე ჯანიაშვილი - 6 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 3. პეპუა ოსეფას ძე შაველაშვილი - 13 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი - 3. მამრნი - 5. მდედრნი - 5.

აღწერა დადასტურებულია რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის მოურავის გიორგი დვანადის მიერ (ხელმოწერილია).

სოფელ ახალგორში თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. ნარიმან სვიმონის ძე მეარაყიშვილი - 35 წლის, №66.

ამისი ძმა პეპო - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. დარჩია პაპას ძე გათენაშვილი - 30 წლის, №70

ამისი შვილები: 1. პაპა - 7 წლის, ახალშობილი, 2. გიორგი - 4 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. ივანე ყაზარას ძე მეარაყიშვილი - 29 წლის, №66.

ამისი ძმა მიხაკა - 14 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი - 3. მამრნი - 7. მდედრნი - 4.

სოფელ ახალგორში თავად ბიძინა რევაზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. თათუა როსტომის ძე როსტევეანაშვილი - 50 წლის, №67.

შვილები თათუასი: 1. როსტომ - 15 წლის, ახალშობილი, სვიმონ - 8 წლის, ახალშობილი, 3. ივანე - 1 წლის, ახალშობილი. ძმა თათუასი 1. ისაკა - 40 წლის (ისაკა ცალკე კომლად ითვლება), №67, ამისი შვილები: 1. წყალობა - 12 წლის, ახალშობილი, 2. კაკუა - 9 წლის, ახალშობილი, 3. იაგორა - 6 წლის, ახალშობილი, 4. ზაქარა - 4 წლის, ახალშობილი, 5. არტემა - 2 წლის, ახალშობილი, ძმა თათუასი 2. თანდილა - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 6.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. შაქარა გიორგის ძე როსტევეანაშვილი - 30 წლის, №68

ამისი შვილი იაგორ იაგორ - 4 წლის, ახალშობილი. ძმები შაქარასი: 1. ოანესა - 25 წლის, 2. მინასა - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 4. გოგია გიქუას ძე ოუაშვილი - 55 წლის, ამისი შვილები: 1. წყალობა - 8 წლის, ახალშობილი, 2. დარჩია - 1 წლის, ახალშობილი. ძმიშვილი გოგიასი გიქუა ვართანას ძე - 18 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი - 4. მამრნი - 19. მდედრნი - 12.

სოფელ ახალგორში მაიორის, თავად ელიზბარ პავლეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. ზურაბ ბეჟანის ძე ფირუაშვილი - 55 წლის, №16

ამისი შვილები: 1. ბეჟანი - 15 წლის, ახალშობილი, 2. გოგია - 2 წლის, ახალშობილი. ძმა ზურაბისა ფირან - 53 წლის, ამისი შვილები: 1. ავანეზ - 12 წლის, ახალშობილი, 2. ბადუა - 9 წლის, ახალშობილი, 3. გეურქა - 6 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. ივანე ზურაბის ძე გელუაშვილი - 25 წლის, №23

ამისი შვილი ზურაბ - 1 წლის, ახალშობილი, ივანეს ძმა ისაი - 18 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. გიორგი მოსესოს ძე მოსესოვი - 35 წლის,

ამისი ძმა ბეჟან - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი გადახაზულია და მითითებულია, რომ 1845 წლიდან ცხოვრობს თბილისში.

კომლი - 3. მამრნი - 12. მდედრნი - 6.

სოფელ ახალგორში თავად გიორგი დავითის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. შიო გიგოლას ძე ბისო შვილი - 40 წლის, გაშვებული იყო,

ამისი შვილი იოვ - 1 წლის, ახალშობილი, ძმა შიოსი გიორგი - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. გიო ავეტიკას ძე მამასახლი შვილი - 30 წლის, №33

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. პეტრე გიორგის ძე ხეჩეტურა შვილი - 35 წლის, №41

ამისი ძმა გიორგი - 20 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 4. პაპა გელუას ძე ხეჩატურა შვილი - 30 წლის (წაშლილია 20), №41

ამისი შვილი ივანე - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 5. სანდრო ხუგაზას ძე ღურგლი შვილი - 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი გადახაზულია და მითითებულია, რომ ცხოვრობს დუშეთის მაზრის სოფელ ძალისში.

კომლი 6. ზაქარია დავითის ძე ამირუმა შვილი - 35 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილი ივანე - 2 წლის, ახალშობილი. ძმები ზაქარასი: 1. ივანე - 30 წლის (წაშლილია - 20 წლის), №32, 2. გიგოლა - 15 წლის, ახალშობილი, 3. ბასილა - 8 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 2.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 7. ოგანეზ ხუგაზას ძე ღურგლი შვილი - 30 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს. რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

ოგანეზის გარდაცვალების გამო კომლი გადახაზულია.

კომლი 8. დარჩია არუთინას ძე საკია შვილი - 10 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისანი.

კომლი 9. ზურაბ კანუას ძე ხაჩატურა შვილი - 13 წლის, ახალშობილი, ამისი ძმა არუთინა - 8 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი - 9 მამრნი - 18. მდედრნი - 8.

აღწერა დადასტურებულია ნაცვალის ივანე ხახიაშვილისა და აღმორჩეული პირების: ალა ამირუმოვისა და მელქუა კაკინოვის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 12 იანვარს.

„ქსნის უჩასტკის სოფელს ახალგორს საბატონო მამულზედ მცხოვრებელნი ღენერალ მაიორის კნიაზ მამუკა ჯამბაკურიან ორბელიანოვის კნეინა ქეთევანის ყმანი“ (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. თომა სისუას ძე ამირუმა შვილი - 30 წლის, №17
თომას ძმა იაკოვ - 20 წლის, ამისი შვილები: სვიმონა - 8 წლის, ახალშობილი, გერასიმე - 3 წლის, ახალშობილი, რიცხვი დედაკაცთა - 3.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. პეპანა ბეროს ძე დათია შვილი - 60 წლის, №22
პეპანას ძმის ოპანეზას შვილი თათუხა - 25 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილები: ვასილ - 8 წლის, ახალშობილი, სერგო - 3 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 2.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. გეუა თათუას ძე უსეფა შვილი - 30 წლის, №20
ამისი ძმები: სოლომონ - 20 წლის, გაშვებული იყო, იაგორ - 18 წლის, გაშვებული იყო, მარქარა - 15 წლის, ახალშობილი. გეუას ძმის პეპანას შვილი წყალობა - 8 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 2.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 4. სარქისა ალა ბეგის ძე უსეფა შვილი - 15 წლის, ახალშობილი, რიცხვი დედაკაცთა - 1.
სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 5. შერმაზან ბეჟანის ძე ღურგლის შვილი - 7 წლის, შეცდომა ქართულ ტექსტში, რუსული ტექსტის რედაქტირებულ ვარიანტში მითითებულია - 60 წელი), №12
ამისი შვილები: 1. მიხაკა - 20 წლის, გაშვებული იყო, 2. დარჩია - 15 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 6. გეუა მიტუას ძე უსეფა შვილი - 40 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილი გიგო - 4 წლის, ახალშობილი. გეუას ძმის სისუას შვილი ისაკა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 7. არტემა როსტომის ძე მოსესა შვილი - 30 წლის, გაშვებული იყო, ამისი ძმები: 1. გეურქა - 20 წლის, გაშვებული იყო, იაგორა - 15 წლის, ახალშობილი, ს(ე)რაფიონ - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 8. იოვანე მარქარას ძე დურგლის შვილი - 45 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს, ამისი შვილი გიგოლა - 1 წლის, ახალშობილი, გარდაიცვალა 1860 წელს, იოვანეს ძმები: 1. მინასა - 25 წლის, გაშვებული იყო, ისაკა - 16 წლის, ახალშობილი, იოვანეს ძმის ოჰანეზას შვილი მარქარა - 7 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი - 8. მამრი - 29. მღერძი - 19.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლები და მათ შორის სულნი თორმეტს იანვარს ამას სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსწნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვე პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელსა ზედაც ხელს ვაწერთ კნენა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანოვის მოურავნი სოსია მამა მთავრის შვილი, ხოსრო ბალა შვილი და ნინიკა პავლე შვილი. რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით და ხელ(ი)ს ჩამორთმევით ხელს ვაწერ სვიმონ ბეჟანის ძე გიგაური“ (ხელმოწერილია).

სოფელ ახალგორში გენერალ-მაიორის თავად ჯამბაკურიან-ორბელიანოვის კნენა ნინოს ყმანი (რუსული ტექსტი):

კომლი 1. გრიგორ თანდილას ძე სირუნა შვილი - 5 წლის, ახალშობილი, ამისი ძმა ს(ე)რაფიონ - 4 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 2. ზურაბ გიქუას ძე სირუნა შვილი - 35 წლის, №15

რიცხვი დედაკაცთა - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 3. არუთინა გიქუას ძე სირუნა შვილი - 30 წლის, №15

ამისი ძმები: 1. დათიკო - 25 წლის, გაშვებული იყო, 2. ბაღდასარა - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 4. იაკობ სიმონის ძე სირუნა შვილი - 27 წლის, გაშვებული იყო, ამისი ძმები: 1. ვანო - 19 წლის, 2. მელქუა - 12 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 5. გიქუა კონუას ძე ფიჩულიაშვილი - 30 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილი კონა - 4 წლის, ახალშობილი.

ძმა გიქუასი სანდრუა - 26 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 6. ბეჟანა ჰეპანას ძე ღურგლი შვილი - 45 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილი სოსია - 13 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 7. აღა კარაპეტას ძე ღურგლი შვილი - 45 წლის, გაშვებული იყო, ამისი ჰეპანა - 23 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 8. ზაქარა სოსუას ძე ოსეპა შვილი - 25 წლის, გაშვებული იყო,

ამისი ძმები: 1. აფრიამ - 20 წლის, გაშვებული იყო, 2. გიორგი - 18 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 9. გიორგი ფილიას ძე ფილია შვილი, 40 წლის. №19

რიცხვი დედაკაცთა - 1.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 10. თათულა გიქუას ძე გრემელი შვილი, 36 წლის. №13

ამისი შვილები: 1. წყალობა - 13 წლის, ახალშობილი, 2. გაბოა - 7 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 11. დარჩია ზურაბის ძე მოსესა შვილი, 36 წლის. №28

ამისი შვილები: 1. ზურაბა - 15 წლის, ახალშობილი, 2. მოსუა - 7 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 12. მარქარა ისაიას ძე მოსესა შვილი, 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 13. გაბუა მურადას ძე მოსესა შვილი, 35 წლის. №28

ამისი ძმები: 1. მიხაკო - 29 წლის, გაშვებული იყო, 2. ეგორ - 23 წლის, გაშვებული იყო, 3. გაბუა - 18 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

სომეხთ გრიგორიანთ სარწმუნოებისა.

კომლი 14. იასე გიორგის ძე წიპტაური, 40 წლის. №10

ამისი ძმა გაბუა - 25 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

მართლმადიდებლური სარწმუნოებისანი.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ახალგორის ნაცვალი ივანე ხახიაშვილი და აღმორჩეულნი კაცნი (კონკრეტული პირები მითითებული არაა), რადგანაც ივანე ხახიაშვილმა წერა არ იცოდა, ამისი თხოვნით და ხელ(ის) ჩამორთმევით ხელს ვაწერ(თ) არუთინა სირუნა შვილი (ხელმოწერილია), ბეჟანა ღურგლი შვილი“ (ხელმოწერილია).

ენეინა ნინო ორბელიანის ყმა (ახალი) (რუსული ტექსტი):

კომლი 15. ნინიკა ბარდიმას ძე ხუბულური - 40 წლის,
ამისი ძმა გლახა - 27 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

მართლმადიდებლური სარწმუნოებისანი.

კომლი 1850 წელს გადმოსახლდა ამატურიდან.

კომლი - 15. მამრნი - 36. მდედრნი - 31.

აღწერა დადასტურებულია ნაცვალის ივანე ხახიაშვილისა და აღმორჩეული პირების აღა
ამირუმოვისა და მელქუა კაკინოვის მიერ.¹ (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 166-207).

ახალგორში საკუთარ მამულზე მცხოვრები გლეხები იყვნენ: მზარეულიშვილები,
მეარაყიშვილები, სტეფანოვები, ტერტეროვები, ამირუმოვები, პოპოვები, დეშუროვები, 14 კომლი,
50 მამაკაცი და 40 ქალი (90 სული), რომლებიც მიჩნეულნი იყვნენ სომხებად და
გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად, წიპტაურები, ბუღბუთოვები და დოლმაზაშვილები,
4 კომლი, 12 მამაკაცი და 10 ქალი (22 სული), ქართველები, მართლმადიდებელი
სარწმუნოების. სულ: სახელმწიფო გლეხები 18 კომლია, 62 მამაკაცი და 50 ქალი (112 სული).

მემამულის მიწაზე დასახლებული სახელმწიფო გლეხები იყვნენ ბაბულაშვილები, 1
კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი (4 სული), ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

დავით ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: ბურდინოვები, კაკუჭაშვილები, ამირუმაშვილები,
ოსეფაშვილები, მოსესაშვილები, ხახიაშვილები (ხახალაშვილები), ფირყულაშვილები,
ჯანიაშვილები, 11 კომლი, 37 მამაკაცი, 21 ქალი (58 სული), სომხებად და გრიგორიანული
სარწმუნოების მიმდევრებად მიჩნეულნი, დეკანოზისშვილები, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 4 ქალი, 6
სული, ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები, სულ: 12 კომლი, 39 მამაკაცი, 25 ქალი,
64 სული.

დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ყმები იყვნენ: ღურგლიშვილები, ნაზუქაშვილები,
ფრიდონაშვილები, დოლმაზაშვილები, მზარეულიშვილები, პავლეშვილები (პავლიაშვილები),
შაველაშვილები, გიგუაშვილები, მეარაყიშვილები, რომლებიც სომხებად და გრიგორიანული
სარწმუნოების მიმდევრებად არიან მიჩნეულნი, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ, თუნდაც
პავლიაშვილი, რომელიც ქარჩოხის ხეობიდან უნდა ყოფილიყო მიგრირებული ეთნიკურად
ქართველი იყო, დოლმაზაშვილები კი მიჩნეულნი არიან ქართველ მართლმადიდებლებადაც და
სომეხ გრიგორიანელებადაც. დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ყმები იყვნენ ასევე ერთნიკური
ოსები, მართლმადიდებელი ქრისტიანები: ბოლოთაშვილები, ხუბაშვილები, გაბარაშვილები,
გალოშვილები, 5 კომლი, 6 მამაკაცი, 2 ქალი, 8 სული. საეკლესიო ყმები იყვნენ მელთაურები,
1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 3 სული, კომლი იმყოფებოდა გორის მაზრის სოფელ ტყვიავში.
სულ: 17 კომლი, 43 მამაკაცი, 23 ქალი, 66 სული.

გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანსკის ყმები იყვნენ: მღებრიშვილები და ხოცუაშვილები, 3
კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი, 11 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული
სარწმუნოების მიმდევრებად.

კონა მირმანოზის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: ღურგლიშვილები, საგიაშვილები
და ოსეფაშვილები, 4 კომლი, 10 მამაკაცი, 8 ქალი, 18 სული, მითითებულნი სომხებად და
გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

ესტატე მირმანოზის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: უმარილოშვილები, 2 კომლი, 2
მამაკაცი, 2 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №254, ანაწერი №2 საქმე № 255, ფურცელი 166-207

სოლომონ ზურაბის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ სტეფანაშვილები, 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი, 3 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: მეარაყიშვილები, ოსეფაშვილები, 2 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 8 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

ალექსანდრე, მიხეილ, ნიკოლოზ ლევანის ძეების მიწაზე ცხოვრობდნენ, ოლუაშვილები, ჯანიაშვილები, ელჩუაშვილები, ბერიაშვილები, შაულაშვილები, 5 კომლი, 16 მამაკაცი, 10 ქალი, 16 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: ლომუაშვილები, ჯანიაშვილები, შაველაშვილები, 3 კომლი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, 10 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

რევაზ შალვას ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: მეარაყიშვილები, გათენაშვილები, 3 კომლი, 7 მამაკაცი, 4 ქალი, 11 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

ბიძინა რევაზის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: როსტევეანაშვილები, ოუაშვილები, 4 კომლი, 19 მამაკაცი, 12 ქალი, 21 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

ელიზბარ პავლეს ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: ფირუაშვილები, გელუაშვილები, მოსესოვები, 3 კომლი, 12 მამაკაცი, 6 ქალი, 18 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

გიორგი დავითის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ: ბისოშვილები, მამასახლიშვილები, ხეჩტურაშვილები (ხაჩატურაშვილები), დურგლიშვილები, ამირუმაშვილები, საკიაშვილები, 9 კომლი, 18 მამაკაცი, 8 ქალი, 26 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

გენერალ-მაიორის თავად მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის კნენა ქეთევანის ყმები იყვნენ: ამირუმაშვილები, დათიაშვილები, უსეფაშვილები, დურგლიშვილები, მოსესაშვილები, 8 კომლი, 29 მამაკაცი, 19 ქალი, 48 სული, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად.

გენერალ-მაიორის თავად ჯამბაკურ-ორბელიანის კნენა ნინოს ყმები იყვნენ: სურუნაშვილები, ფირულიაშვილები, დურგლიშვილები, ოსეპაშვილები (ოსეფაშვილები), ფილიაშვილები, გრემელიშვილები, მოსესაშვილები, 13 კომლი, 32 მამაკაცი, 29 ქალი, მითითებულნი სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად, წიპტაურები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 3 სული, ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები და აშატურიდან გადმოსახლებული ხუბულურები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 3 სული. სულ: 15 კომლი, 36 მამაკაცი და 31 ქალი (67 სული). როგორც მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, მოსახლეობის ძირითად ნაწილი მიჩნეულია სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად, გარკვეული ნაწილი კვლავ ქართველებად და მართლმადიდებელ ქრისტიანებად არიან მითითებულნი. ვხვდებით სხვადასხვა მებატონეთა მიწაზე მცხოვრებ ეთნიკურ ოსებსაც, რომლებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ.

რაც შეეხება გვარების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობას, სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად მითითებულნი: მზარეულოვები (მზარეულიშვილები) – 3 კომლია, 10 მამაკაცი, 8 ქალი (18 სული); მეარაყიშვილები - 6 კომლი 19 მამაკაცი, 12 ქალი (31 სული); სტეფანოვები (სტეფანაშვილები) – 6 კომლი, 20 მამაკაცი, 15 ქალი (35 სული); ტერტეროვები (ტერტერაშვილები) – 2 კომლი, 10 მამაკაცი, 6 ქალი (16 სული); ამირუმოვები

(ამირუმაშვილები) – 4 კომლი, 20 მამაკაცი, 14 ქალი (34 სული); პოპოვები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი (3 სული); დემუროვები (დემურიშვილები) – 2 კომლი, 4 მამაკაცი, 5 ქალი (9 სული); ბურდინოვები (ბურდინაშვილები) – 3 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული); კაკუჭაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი (4 სული), ოსეფაშვილები (მოხსენიებულნი არიან უსეფაშვილებადაც) – 8 კომლი, 22 მამაკაცი, 18 ქალი (40 სული); მოსესოვები (მოსესაშვილები) – 7 კომლი, 21 მამაკაცი, 13 ქალი (34 სული); ხახიაშვილები (ხახალაშვილები) – 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი (5 სული); ფირყულაშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 1 ქალი (7 სული); ჯანიაშვილები - 3 კომლი, 9 მამაკაცი, 3 ქალი (12 სული); ღურგლიშვილები - 8 კომლი, 22 მამაკაცი, 15 ქალი (37 სული); ნაზუქაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი (2 სული); ფრიდონაშვილები - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 6 ქალი (11 სული); დოლმაზაშვილები - 2 კომლი, 7 მამაკაცი, 4 ქალი (11 სული) (ერთი კომლი აღწერილია, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, მეორე - გრიგორიანელი); პავლეშვილები (პავლიაშვილები) – 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი (6 სული), რომლებიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქარჩოხის ხეობიდან უნდა იყვნენ ჩამოსახლებულნი, ამ გვარის ხალხი ძირითადად ცხოვრობდნენ სოფლებში: პავლიანთკარი, შატაკიანთკარი, ჭორჭოხი და იყვნენ ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები; შაველაშვილები (მოხსენიებულნი არიან შაულაშვილებადაც) - 3 კომლი, 7 მამაკაცი, 5 ქალი (12 სული); გიგუაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 1 ქალი (5 სული); მღებრიშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი (8 სული); ხოცუაშვილები - 2 კომლი, 2 მამაკაცი (2 სული); საგიაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი (5 სული); საკიაშვილები - 1 კომლი, 1 მამაკაცი (1 სული); უმარილოშვილები - 2 კომლი, 2 მამაკაცი (2 სული); ოლუაშვილები - ოუაშვილები (ოვაშვილები) – 2 კომლი, 7 მამაკაცი, 5 ქალი (12 სული); ელჩუაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი (6 სული); ბერიაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი (4 სული); ლომუაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი (7 სული); გათენაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი (5 სული); როსტევეანაშვილები - 2 კომლი - 15 მამაკაცი, 8 ქალი (23 სული); ფირუაშვილები - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 3 ქალი (10 სული); გელუაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი (5 სული); ბისოშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი (6 სული); მამასახლიშვილები - 1 კომლი, 1 მამაკაცი (1 სული); ხეჩეტურაშვილები - ხაჩატურაშვილები - 3 კომლი, 6 მამაკაცი, 2 ქალი (8 სული); დათიაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი (6 სული); სირუნაშვილები - 4 კომლი, 9 მამაკაცი, 9 ქალი (18 სული); ფიჩულიაშვილი - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი (7 სული); ფილიაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი (3 სული); გრემელიშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი (5 სული). სულ: 95 კომლი, 289 მამაკაცი, 195 ქალი (484 სული). ამ მონაცემებს თუ გამოვაკლებთ დოლმაზაშვილების მართლმადიდებელ ქრისტიანებად მიჩნეულ ოჯახს, მივიღებთ 94 კომლს, 285 მამაკაცს, 192 ქალს (477 სული).

ქართველებად და მართლმადიდებელ ქრისტიანებად მითითებულნი არიან: წიპტაურები - 3 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი (11 სული), ისინი ასევე ქარჩოხის ხეობის სოფელ კვერიათიდან (წიპტაურთკარი) არიან მიგრირებულნი, ბულბუთაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი (7 სული); დოლმაზაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი (7 სული); ბაბულაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი (4 სული); მელთაურები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი. სულ: 7 კომლი, 18 მამაკაცი, 14 ქალი (32 სული).

აშატურიდან გადმოსახლებული სუბულურები, რომლებიც მითითებულნი არიან, როგორც ოსები, მართლმადიდებელი ქრისტიანები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი (3 სული).

აღწერაში ვხვდებით ასევე დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ოსი ეროვნების ყმებს „სოფლის ხალხს“, მართლმადიდებელ ქრისტიანებს: ბოლოთაშვილებს - 2 კომლი, 3 მამაკაცი (1 სული); ხუბაშვილებს - 1 კომლი, 1 მამაკაცი (1 სული); გაბარაშვილებს - 1 კომლი, 1

მამაკაცი, 1 ქალი (2 სული); გაღოშვილებს - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი (2 სული). სულ: 5 კომლი, 6 მამაკაცი, 2 ქალი (8 სული). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1886 წლის მონაცემებით ახალგორში მხოლოდ 1 ოსი ეროვნების ოსი მამაკაცი ცხოვრობდა.

1860 წლის აღწერაში სულ ნაჩვენებია: 107 კომლი, 311 მამაკაცი, 209 ქალი (520 სული). შემავაშებულ ცნობებში მითითებულია 102 კომლი, 276 მამაკაცი, 196 ქალი (472 სული), როგორც ჩანს, გათვალისწინებული არაა ახალგორიდან გადასახლებული კომლები და გარდაცვლილი ადამიანები. ახალგორიდან გადასახლებულან: ღურგლიშვილები გრაკალში და ძალისში, ნაზუქაშვილები - ცხინვალში, მეღთაურები - ტყვიაშვილები, შაულაშვილები (შავლაშვილები) - კასპში; მოსესოვები (მოსესაშვილები) - თბილისში...

დომინანტი გვარები იყვნენ: ოსეფაშვილები (8 კომლი), ღურგლიშვილები - 8 კომლი, მოსესაშვილები - 7 კომლი, სტეფანაშვილები - 6 კომლი, მეარაყიშვილები - 6 კომლი... ახალგორის მცხოვრებთა შორის ყველა ეს გვარი გვხვდება ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობებიდან მოყოლებული, მათ გარდა ახალგორში ოდითგან მკვიდრობდნენ: ფირყილაშვილები, გათენაშვილები, საგიაშვილები, დათინაშვილები, როსტევეანაშვილები, სირუნაშვილები, ელჩუაშვილები, ოუაშვილები, ფჩილუაშვილები (ფაჩულაშვილები), ამირუმაშვილები, გერმელიაშვილები (გრემელიშვილები), ხეჩტურაშვილები, ფირალაშვილები, ხახიაშვილები, ჯანიაშვილები, უმარილოშვილები, შავალაშვილები (შაველაშვილები - შაულაშვილები)... შედარებით ახალი დამკვიდრებულები უნდა იყვნენ მთის სოფლებიდან ჩასული პავლიაშვილები, ამატურიდან გადასახლებული ხუბულურები და ა.შ. კვერიათიდან მიგრირებული წიატაურები 1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის დროსაც გვხვდებიან, ამავე აღწერაში ელჩუაშვილები ქართველებადაც არიან მითითებულნი და სომხებადაც, მაგალითად ნონია ელჩუაშვილი ქართველია, ალაბეგ და სიმონ ელჩუაშვილები - „სომხები“. 1860 წლის აღწერის დროს კი ელჩუაშვილები მხოლოდ გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევართა შორის გვხვდებიან.

1873 წლის აღწერაში „სულ დროებით ვალდებულნი გლეხნი საბატონო მამულზედ მცხოვრებნი და სახელმწიფო მამულზედ არიან 126 კომლი და სულნი... შემავაშებულ ცნობებში ჯერ მითითებულია 292 მამრობითი სქესის და 222 მდედრობითი“, მაგრამ შემდეგ შესწორებულია და 292-ის ნაცვლად მიწერილია 296.¹

1886 წლის მონაცემებით ახალგორში ცხოვრობდა 146 კომლი, 352 მამაკაცი, 282 ქალი, სულ: 634 სული, აქედან სომხებად და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრებად მიჩნეული იყო 131 კომლი, 318 მამაკაცი, 255 ქალი (573 სული), მართლმადიდებელ ქრისტიან ქართველებად მითითებულია 14 კომლი, 33 მამაკაცი, 27 ქალი (60 სული), მართლმადიდებელ ოსებად - 1 კომლი, 1 მამაკაცი.²

1939 წლის აღწერის დროს ლენინგორის (ახალგორის) მოსახლეობა 1 413 სულს შეადგენდა (729 მამაკაცი, 684 ქალი), 1959 წელს - 1 573 სული (717 მამაკაცი, 856 ქალი), 1970 წელს - 1 917 სული (889 მამაკაცი, 1 028 ქალი), 1979 წელს - 2 216 (1047 მამაკაცი, 1 169 ქალი), 1989 წელს - 2 705, აქედან ქართველი - 1 650, ოსი - 873, რუსი - 27, სომეხი - 134, უკრაინელი - 6, თათარი - 1.³

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 226, ფურცელი 299-355.

² Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Душетский уезд, Ксанский участок, Тифлис, 1893, ст. 74

³ მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020

1989 წლის მოსახლეობის აღწერით, მთლიანად ახალგორსა და ახალგორის სოფლებში 12 080 ადამიანი ცხოვრობდა, 2002 წლის მონაცემებით - 7 650 ადამიანი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იყო 1 დაბა, 7 სოფლის საკრებულო და 83 სოფელი. მოსახლეობის 85,1% ქართველი გახლდათ, 14,3% - ოსი, 0,2% - რუსი, 0,2% - სომეხი, 0,1% - აფხაზი. ქართველი ეროვნება ჭარბობდა 54 სოფელში, ოსი - 10 სოფელში.¹ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აღდგა სამართლიანობა და ახალგორში მცხოვრებმა ქართველებმა, რომელთა წინაპრებიც ბედის უკუღმართობის გამო სომხებად იყვნენ მიჩნეულნი, დაიბრუნეს ისტორიული გვარები.

1989 წელს ახალგორს ეროვნული მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ესტუმრნენ. მათ ურჩევით მოსახლეობისთვის არქივში მოეძიათ ცნობები წინაპართა ეროვნებისა და სარწმუნოების შესახებ, რამაც დიდ წილად განაპირობა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.²

1934-1990 წლებში ახალგორი ცნობილი იყო ლენინგორის სახელით, 1960 წელს სადაბო ცენტრად გამოცხადდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიბრუნა ისტორიული სახელწოდება, თუმცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ოკუპანტებს ისევ გაახსენდათ მისი საბჭოური სახელი და დღესაც ლენინგორის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ახალგორში ცხოვრობდნენ: ამირანაშვილები, მერაბიშვილები, მეარაყიშვილები, გათენაშვილები, დურგლიშვილები, მუხაშვილები, სირაშვილები, ობოლაძეები, მღებრიშვილები, ოვაშვილები, ტატიშვილები, კაკილაშვილები, კაკაბაძეები, ოსეფაიშვილები, დემურიშვილები, ბურდიაშვილები, მზარეულიშვილები, თორელაშვილები, ტიგიევი, ჩარაევი, ვალიევი, ჩერტკოევი, ბაშარულები, ჩიტიშვილები, ჩიტაშვილები, პავლიაშვილები, ოლაძეები, ოდიშვილები, ბერიძეები, გოლოევი, კიბილოევი, მელაძეები, მილაძეები, დოლიშვილები, მწითურები, ყველაშვილები, მელთაურები, ბიტაროევი, ბელოევი, ხუბაევი, ჩიგოევი, მორბედაძეები, ტატუნაშვილები, გელაშვილები, ბერიანიძეები, ბაქაქურები, ბასილიძეები, ელკანოევი, ქისიევი, ქასოევი, ყურაულები, მიდელაშვილები, მარგიევი, დუდაევი, ბურდულები, ელოშვილები, ილურიძეები, იათაშვილები, როინიშვილები, ოქრუაშვილები, ხუციშვილები, ხოცუაშვილები, ბალხამიშვილები, საბიაშვილები, თინიკაშვილები, ბალაშვილები, გიგაურები, ჟივიძეები, ქურთაულები, ხაჩიროევი, ხერკელაძეები, ხინჩაგოევი, ჯარმელიშვილები, ჯაბანაშვილები, ჯიოევი, რაზმაძეები, კეტიშვილები, მაჭარაშვილები, ხაჩიძეები, ხახუტაშვილები, კაიშაურები, ბაკლანოევი, ბასილაშვილები, ბასიკაშვილები, შერმაღინები, ბულბუთაშვილები, მახარაშვილები, ტიტველაშვილები, ჩოჩელები, ჩოხელები, ჩაბოშვილები, ფსუტურები, საბანაძეები, შიუკაშვილები, როსტევანიშვილები, ქენქაძეები, მაწიაშვილები, ახლოურები და სხვები...

სამწუხარო რეალობაა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ახალგორში დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად შეიცვალა: „ახალგორში ეხლა სულ სხვა ხალხია, ოსებია, რუსებია, რა ვიცი რა ეროვნების ხალხია, ლეკები... რო შევდივარ ახლა ახალგორში, ჩემი ბიძაშვილი (ვლადიკავკაზში ცხოვრობდა და ეხლა ჩამოვიდა) მუშაობს ემვედში, სადაც ვიზებს აგრძელებენ და ისიც კი ამბობს, სუ შემოსული ხალხიაო. მე რომ ახალგორში ჩავდივარ, ასე მგონია, სადღაც ვარ-თქო. სოფლებშიც სულ იმათ დაიკავეს ყველაფერი!"³ ფრეზეთში მცხოვრები დევნილის ეს მონათხრობი ძალაუბრებურად გვახსენებს მეცხრამეტე საუკუნეში რუსებისაგან დასჯილ აფხაზეთის მიმართ ნათქვამ ცნობილი ეთნოგრაფის თედო სახოკიას სიტყვებს:

¹ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003, გვ. 117

² თ. ცაგურიშვილი, ქსნის ზეობა, იკოთი, ჟურნალი კარიბჭე, 01.06.2007

³ ნ. ჯალაბაძე ნ., ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში, კრ., ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, 2015, გვ. 101

„აჭრელდნენ მცხოვრებნი, აჭრელდა ეთნიკური შემადგენლობა. გესმით რუსული, ქართული, ბერძნული, სომხური, მეგრული ყაბალახი, ოსმალური ფესი, რუსული კარტუზი - ერთმანეთშია არეული. აქაურობას ყურს რომ უგდებთ, თქვენ თავს ეკითხებით, ეს მკვიდრი ამა ქვეყნისა რაღა იქნა? როგორ მოხდა, რომ მის სუფრას სხვები მოსხდომიანო“¹

დღეს ახალგორის მოსახლეობის დიდი ნაწილი წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს, ნაწილი - საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგრძელებს მოღვაწეობას...

Davit Akhlouri

Gori State University

THE POPULATION OF AKHALGORI IN THE 60S OF THE 19TH CENTURY RESUME

The present research presents the population of Akhalgori in the 60th of XIX, currently occupied by Russia. Akhalgori used to be the political and administrative centre of the historic region of Ksani. It is situated on the left side of the river Ksani, 66 km away from Tbilisi. It has always been populated since the Neolithic period. After the invasion of Tamerlan into Ksani region and demographic changes Armenians might have settled next to Georgians.

For a better understanding of the demographic conditions XVII-XIX century manuscripts have been looked through including the second half of the XVII century historical sources where they speak about Tsilkneli benefit, “Dasturlamali” by King Vakhtang VI, the Tbilisi Vilaieti list of 1728, the description of Kartli and Kakheti on April 5, 1770, statistics of the late XVIII century Ksani region, the description of Kartli and Kakheti kingdom, Ioane Batonishvili’s toyal accounts of 1803, Russian cameral accounts. All these have thoroughly been studied and compared to the cameral description of the 60th in XIX century. Due to its importance the data are especially monitored and paid attention to. It’s worth mentioning that the archived material is published for the first time.

While speaking about the population of Akhalgori we should pay attention to the topic of Georgians’ becoming Armenians. The reasons and consequences have also been widely discussed there. In the accounts of 1860 the most part of the population is considered to be Armenians, and their confession is named as Armenian Gregorian. In the research we meet peasants living on their own lands as well as living on their lords’ ones. The biggest part lived on the lands of nobility who belonged to the Ksani nobility family. Grigol Bagrationi- Mukhranski also had some serfs there.

In the accounts of 1860 there are: 107 households, 311 men, 209 women (520 in total). In the final accounts 102 families, 276 men and 196 women (472 in total) are given. It seems they didn’t take into account the families migrated from Akhalgori and the dead. As for the migrants, from Akhalgori the Durglishvili household moved to Grakli and Dzalisi, the Nazukashvilis - to Tskhinvali, the Meltauris - to Tkviavi, the Shaulashvilis (Shavlashvili) - Kaspı, the Mosesovis (Mosesashvilis) - to Tbilisi.... The dominant names were: Osepashvili, Durglishvili, Mosesashvili, Stephanashvili, Mearakishvili... Since the Ksani region statistical accounts all these households are met among Akhalgori population so far.

At the end of the research the XIX century cameral and XX century entire accounts, carried out after 1860, are mentioned and the first national account (carried out in 2002) is well analyzed together with the current demographic conditions.

¹ დ. ახლოური, რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში, „ჩვენი უნივერსიტეტი“, №8, დეკემბერი, 2011, გვ. 47

საქართველოს წარსულისა და კულტურის ისტორიის გერონტი ქიქოძისეული გააზრება

ერების ისტორიის განვითარების სხვადასხვა საფეხური კულტურის განვითარება-სრულყოფითაც გამოირჩევა. როგორც მწერალი, ესეისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე (1888-1960) საფუძვლიანად შენიშნავდა. ცვალებადობას სულიერ შემოქმედებაში ერი ყოველთვის ტოვებდა სფონქსიკით უცნაურ ნიშნებს და ამით აღწევდა უკვდავებას.

კულტურის განვითარების პროცესის კვლევა გერონტი ქიქოძემ დაუკავშირა ქვეყნის ისტორიული წარსულისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგების ესთეტიკურ და ფსიქოლოგიურ ანალიზს, რაც განსაკუთრებით წარმოჩინდა მის წერილში „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ 1944 წლის №29-ში. აღნიშნულ წერილში ავტორი ცდილობს გაერკვეს იბერიისა და კოლხეთის კულტურული ყოფის განვითარების პროცესებში, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობასა და ქართველი ერის წარმართულიდან ქრისტიანობაზე გადასვლასთან დაკავშირებით მომხდარ ცვლილებებში. წერილი არაა გაჯერებული ციტატებით და უფრო ესეის შთაბეჭდილებას სტოვებს, ამიტომაც მას სხვადასხვა დარგის მკვლევარნი იყენებდნენ მხოლოდ გ. ქიქოძის მოსაზრებათა დაფიქსირებისა და უფრო ნაკლებად კვლევისათვის.

მეორე, შესწავლილი წერილი, „მესხეთი“ (1916 წ.) გ. ქიქოძის მიერ შექმნილია საქართველოს სამხრეთი ნაწილის (ტაო-კლარჯეთი, მესხეთი) მნიშვნელოვანი როლის გამოკვეთის მიზნით ქვეყნის გაერთიანების პროცესში.

წერილი „აფხაზეთი საქართველოს ურთიერთობიდან“ ეხება აფხაზთა და ქართველთა ისტორიული ერთობის მიზეზებსა და მიზნების ანალიზს, ხუროთმოძღვრების ძეგლების, სხვა მატერიალური კულტურის ნივთების წარმოშობისა და მნიშვნელობის საკითხებში და სასარგებლოდ სადღეისოდ როგორც ზოგადად ისტორიული წარსულის, ისე კულტურის კვლევის პროცესში. აღნიშნულ საკითხებზე სტატიების სიღრმისეული შესწავლა კარგად გამოკვეთს გერონტი დიდ ქიქოძის ერუდიციასა და კულტურის ისტორიის კვლევაში აქტიურ როლსა და მნიშვნელობას.

გერონტი ქიქოძის (1888-1960) ამ შესანიშნავი ინტელიგენტის, მწერლის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის, ღვაწლი, წარმოდგენილია რა გურამ გვერდწითელის, გურამ ასათიანის, ირაკლი კენჭოშვილის, ლელა მელაძის და სხვა მკვლევართა ნააზრევში, უმეტესწილად, ეხებოდა შემოქმედთა შესახებ ნააზრევის ანალიზს, ძირითადად ლიტერატურათმცოდნეობითი კუთხით. წინამდებარე სტატიაში კი ვცადეთ გ. ქიქოძის ზოგიერთ წერილში საქართველოს, მისი ისტორიის, კულტურის შესახებ მხოლოდ მისეულ შეხედულებათა რეტროსპექცია, რასაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა ერთი საუკუნის მანძილზეც კი.

როგორც თვით გ. ქიქოძე წერდა „ზოგიერთ ერს თავი დევგმირებისა და ციკლოპების შთამომავლად მიაჩნდა, მათ მიაწერდა ვეებერთელა ყორეების და მიწის ზვინების გაკეთებას. ამ რწმენას საქართველოში არანაკლებ მტკიცე საფუძველი აქვს, ვიდრე სხვაგან ჩვენი წინაპრები მართლაც, ცალთვალა დევების მსგავსი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. ვახუშტი ბატონიშვილი ზოგიერთ ქართულ ტაძარს სამართლიანად გმირთნაკვეთს უწოდებს: მათი ბოდები, თაღები და

კედლის ლოდები. ისეთი ზომისაა, რომ მხოლოდ გმირებს შეეძლოთ მათი გამოკვეთა. ასეთი იყო მაგალითად, ბანას ტაძარი ტაოში, არტანუჯისა - კლარჯეთში, ბაგრატისა იმერეთში, თილვისა ქართლში, მაგრამ გასაოცარი იყო არა მარტო დიდი ზომა და პროპორციები, გასაოცარი იყო ისიც, თუ სად და რა პირობებში აშენებდნენ ტაძრებს და სხვა შენობებს. ზოგიერთი ტაძარი და ციხე-სიმაგრე თვალუწვდენელ კლდეზეა აზიდული, ზოგიერთი მონასტერი უდაბნოშია გაშენებული¹. სწორედ იმ ფაქტს გამოკვეთს ავტორი, რომ ქართველი ერის გამორჩეულობაც დაადასტუროს და სიამაყით აცხადებს, რომ ასეთ პატარა მიწაზე ამდენი შემონარჩუნებული ტაძარი ნიშნავს მამულიშვილთა გამძლეობისა და სულიერი ამაღლებისაკენ სწრაფვისა: „ამ მხრივ ის ღვიძლი შვილი იყო ძველი ქართველობისა, რომელშიც სიფხიზლე და აღფრთოვანება იყო შეუღლებული“². სწორედ ამ კუთხით შლის ერის, მისი წარსულისა და კულტურის ისტორიას გერონტი ქიქოძე საანალიზოდ შერჩეულ წერილებში: „მესხეთი“ (1916 წ.), „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“ (გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944 წ. №29), „აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობიდან“. მან წერილებისა და ესეების გამოქვეყნება ჯერ კიდევ 1905 წ. დაიწყო. ლაიფციგის, ბერნის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულმა დიდი ცოდნა შეიძინა ფილოსოფიაშიც ასეთი განსწავლულობით გ. ქიქოძე ესთეტიკური-ფსიქოლოგიურ ჭრილში იხილავს საანალიზო საკითხს. რაც შეეხება საქართველოს, მისთვის პირველ რიგში ის სპეციფიკაა მნიშვნელოვანი, რაც გაპირობებული იყო ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, კავშირებით უახლოეს მეზობლებთან, მათ ენებთან, კულტურებთან და იმ ღრმა ესთეტიზმთან, რაც გამოვლინდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა წერილი „მესხეთი“, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის ათიან წლებში გამოქვეყნდა. ავტორი სწორედ გეოგრაფიულ მდებარეობაზე ამახვილებს აქ ყურადღებას: „დასავლეთ საქართველოს პინტისა და შავი ზღისაკენ აქვს პირი და ბიზანტიას უცქერის. აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთისკენაა დაფუძნებული. ხოლო მესხეთი თავისი სამხრეთ-დასავლეთი წვეთი მცირე აზიაში იჭრება.

გეოგრაფიულ მდგომარეობას (ალბათ, აქ მდებარეობას უნდა გაულისხმოდეს ავტორი - თ.გ.) დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ფსიქოლოგიისა და ისტორიისათვის: ჩვენი სულიერი თვისებები და ჩვენი წარსული, სხვათა შორის, ჩვენი გეოგრაფიული წარსულითაც აიხსნება. საშუალო საუკუნეებში საქართველომ შუამავლის როლი შეასრულა. მან ბედნიერად შეაკავშირა სამი მნიშვნელოვანი ელემენტი კულტურისა: ბიზანტიური, ორიენტალური და ელინისტურ-კლასიკური. მაგრამ ეს შეკავშირება ისე მოხდა, რომ წარმოიშვა სრულიად ახალი ეროვნული სახე, რომელიც ნათლად განსხვავდებოდა როგორც ბიზანტიურ და სპარსეთის, ისე წინა აზიის კულტურისაგან“³.

გ. ქიქოძე ცალ-ცალკე მსჯელობს ბიზანტიური და კლასიკურ-ელენურ კულტურების შესახებ და იძლევა მეტად მნიშვნელოვან დასკვნებს, რომელთა ნაწილი საკუთრივ ავტორისაა, ნაწილი განმტკიცებული სხვადასხვა მკვლევართა ნააზრევის მოშველიებით.

გ. ქიქოძის აზრით ბიზანტიური კულტურა ვერ აღმოჩნდა ძლიერი და გამძლე. მან ისარგებლა ნაწილობრივ იუსტინიანეს კოდექსით და ქრისტიანულ სქოლისტიკაზე დამყარებული „ნაადრევად დაბერდა და გაშეშდა“ ამიტომ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარება მიდიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რაც ევროპული ტომების მიერ კლასიკური კულტურის განადგირების გამო ჩამორჩა მცირე აზიას, სწორედ მცირე აზიიდან მოსულმა ხუროთმოძღვარმა ანთიმეოსმა და ისიდორემ დაიწყეს სოფიოს ტაძრის აგება, ასეთ შემთხვევაში კი საქართველო უფრო ახლოს იდგა სირიასა და წინა აზიასთან, ვიდრე დასავლეთი ევროპა.

¹ გერონტი ქიქოძე, „წერილები, ესეები, ნარკვევები“, „მერანი“ თბილისი, 1985, გვ. 193-194

² იქვე, გვ. 194

³ იქვე, გვ. 196

აქედან გამომდინარედ, ასკვნის გ. ქიქოძე „პირი, ელ ქრისტიანულ საუკუნეებში მან (მცირე აზიამ - თ.გ.) განსაკუთრებით პლასტიკური ხელოვნების და ხუროთმოძღვრების სფერო, შესამჩნევად წინ გაუსწრო დასავლეთ ევროპას“¹, ამიტომ „საშუალო საუკუნეების პირველ ნახევარში საერთოდ მესხეთი და კერძოდ, ტაო-კლარჯეთი ჩვენი ქვეყნის მეთაური იყო. მესხი სჭარბობდა ამერსა და იმერს“ „ერთობლივი ქართლის იდეა პირველად ტაო-კლარჯეთში განტყცდა“, სადაც გაძლიერდა ბაგრატიონთან გვარი, რომელიც „მთელი საქართველო სამეფო სკიპტრის ქვეშ გააერთიანა“² ამდენად გ. ქიქოძის აზრით, ტაო-კლარჯეთმა იგივე როლი შეასრულა, როგორც გერმანიის ისტორიაში პრუსიამ³.

აქედან გამომდინარე გასაკვირი არაა - ასკვნის გ. ქიქოძე, „მესხები სხვა ქართველებს ხშირად სჯობნიდნენ“, რამდენადაც მათი ქვეყანა უფრო ახლოს იყო იმდროინდელ განათლებულ ქვეყნებთან. აქ იყო საუკეთესო მონასტრები, რომელთაც მდიდარი წიგნთსაცავები ჰქონდათ, აქ ყვავდა აკადემიები და იქ ითარგმნებოდა ბერძნული სასულიერო და საერთო თხზულებები“⁴ აქ გ. ქიქოძე იჩენს პირუთვნელობას და ცდილობს ამასვე როგორც ევროპის სახელმწიფოები, ისე საყვარელი სამშობლოს, საქართველოს, მიმართა.

ისტორიკოსების, ქართული კულტურის ნაშთების (სასახლელები, საცხოვრებლები და სხვ.) მკვლევართა წინაშე ხშირად ისმება კითხვა, რატომ არ შემორჩა ისინი დღემდე? პასუხი არაერთგვაროვანი იყო: მტრის ხშირი თავდასხმების, საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარე განუწყვეტელი ომების, ხანძრების შედეგად განადგურდა, გაქრა, ჩვენამდე ვერ მოაღწია. ეკლესია-მონასტრების შენობები შემორჩა, ამასთანავე ფრესკული მხატვრობაც და უამრავი საყოფაცხოვრებო თუ ფუფუნების საგანიც შემორჩა (რაზეც მეტყველებს არქეოლოგიური გათხრები).

ეს კითხვები ავტორსაც დაბადებია და პასუხს ეძებს ელინისტური ეპოქისა ისტორიკოსებსა თუ ფილოსოფოსებთან, ამავდროულად გათხრების მასალებში. ამიტომ წერილი „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“ სწორედ მცხეთაში, არმაზის ნეკროპოლისის გათხრების შედეგებზეც მოგვითხრობს.

გ. ქიქოძეს მოჰყავს ფაქტი ალუტარქეს პომპეუსის ცხოვრების აღწერიდან: „იმერთა მეფემ პომპეუსს საწოლი, მაგიდა და ტახტი მიართვა. ყოველივე ბაჯადლო ოქროსაგან გაკეთებული და სთხოვა: მიიღე როგორც ჩემი მეგობრობის საწინდარიო; პომპეუსმა ყოველივე ეს ქვესტორებს გადასცა სახელმწიფო სალაროში შესანახად. ეს ცნობა დამახასიათებელია არა მარტო იბერიის მეფის სიმდიდრისა, არამედ მისი ფსიქოლოგიისთვისაც“⁴.

ამასვე მოწმობენ არმაზის ნეკროპოლისის გათხრისას იარუსები დაკრძალულებისა, რომელთა მიხედვით შეიძლება ვისმჯელოთ გვაროვნული წყობილებიდან პიტიანშობის სამთავროებამდე ადამიანთა ყოფაზე.

გერონტი ქიქოძეს მოჰყავს ტაციცესის მიერ მოთხრობილი რადამისტისა და ზენობიას ისტორია და ასკვნის: „ეს პირქუში სული, ეს სტიქიონური ვნებათა ღელვა ძლიერ დამახასიათებელია იბერიელებისათვის, როგორც ის დამახასიათებელია მათი მომდევნო თაობებისა, შუა საუკუნეების ქართველობისათვის, მათი გული თითქოს დასშულია ნელთბილი განცდებისათვის; პოლიტიკური პატივმოყვარეობა, სქესობრივი გრძნობა, მეშურნეობა მათში დაუცხრომელი, ხანდახან გამანადგურებელ წვას იწვევს და როდესაც ჩვენ არმაზის ნეკროპოლიდან ამოღებულ პორტრეტულ გემმაზე ბერძნულ წარწერას კვითხულობთ, ქალის მიერ ქმრისადმი მიძღვნილ - „ძევას, ჩემო სიცოცხლევ“, ეს უბრალო სენტიმენტალით

¹ იქვე, გვ. 197

² იქვე, გვ. 198

³ იქვე, გვ. 199

⁴ გერონტი ქიქოძე, „ეტიუდები და პორტრეტები, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, 1958, გვ.8

ფორმულად კი არ უნდა მივიღოთ, არამედ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ძახილად, რომელიც შეიძლება ქმრის ნაადრევი სიკვდილით იყო გამოწვეული“¹

გ. ქიქოძეს სწორი დასკვნით, ძნელი წარმოადგენია, რომ ყველა ეს მხატვრული ნაწარმოები იბერიაში უცხოეთიდან იყო შემოტანილი ალბ-მიცემობის ან საჩუქრად მიძღვნის გზით. უფრო დასაჯერებელია, რომ კავკასიის ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ბრინჯაოს ეპოქიდან ამდენი მნიშვნელოვანი საგანძური დარჩა, მხატვრული ხელოსნობის ტრადიციით არ შეწყვეტილა მომდევნო ეპოქებშიც“².

ასევე ცდილობს მკვლევარი იმის უარყოფას, თითქოს „იბერიელებს განვითარებული მწერლობა ჰქონოდა და ქრისტიანობას სრულიად გაენაწევრებინოს. არსად დედამიწის ზურგზე ეს ქრისტიანობას არ ჩაუდენია, ძნელი დასაჯერებელია, რომ მარტო იბერიაში ჩაიდენდა“³. ამიტომ დასაბუთებისათვის ავტორი აყენებს თეზას: „თუ ქართული წარმართული ლიტერატურის ძეგლები არ დაგვრჩა, საფიქრებელია ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი ქრისტიანობამ მოსპო, არამედ იმით, რომ ისინი საზოგადოდ არ არსებებულან (ხაზი ჩვენია -თ.გ.), ხოლო, რაც შეეხება წარმართულ ღვთისმსახურებას, ამას გ. ქიქოძე ხსნის მთის ხევისბერების მსგავსად ზეპირი ლოცვით, აქვე კოლხეთში დამწერლობისა და ლიტერატურის არქონა გ. ქიქოძესთან ახსნილია იმით, რომ „მათი ეროვნული თვითგამორკვევა გვიან მიიღეს“ და რომ ქრისტიანობა იბერიელებზე გვიან მიიღესო, ისიც ბიზანტიელების ზეგავლენით, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული ქრისტიანული მწერლობა ჰქონდაო, ამავე წერილში გერონტი ქიქოძე წარმოსახვით აცოცხლებ ძველი მცხეთის სურათს თავისი კრამიტინი სახლებით და მშენიერი სასახლეებით.

გ. ქიქოძის ზოგი ზემოთმოყვანილი მოსაზრება შეიძლება საკამათოც იყოს 21-ე საუკუნის მკვლევართა შორის, მაგრამ თვით წარმოდგენა და ახსნა მეტად ბუნებრივად და ლოგიკურად დამაჯერებლად გამოიყურება.

რატომ აღმოჩნდა აფხაზეთი საქართველოს განსხვავებული წარსულითა და აწმყოთი? ამის მიზეზებს გერონტი ქიქოძე ისევ ისტორიაში ხედავს. პირველი მდებარეობა, რამაც განაპირობა მისი დამოკიდებულება ჯერ ბერძნებთან, შემდეგ ბიზანტიასთან, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, სამეგრელოსთან. ასე მხატვრულად აღწერს ავტორი: „აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები ხელს უწყობდა იქ თავისებური კულტურულ-განვითარებულიყო. იგი პირმოპოვნებული იყო ევქსინის ზღვისაკენ, რომელიც სრულიად ისეთი არასტუმართმოყვარე არ იყო, როგორც დღევანდელი სახელწოდების მიხედვით შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ... ზურგით აფხაზეთი მიბჯენილი იყო კავკასიონის ქედის მაღალ კედელს, რომელიც მას იცავდა ცივი ჩრდილოეთის ქარებისა და ველური ნომადებისაგან. ვიწრო გაგრის ყელი სრულიად ადვილი დასაცავი იყო, აღმოსვლეთით კი აფხაზეთის ეთნიკურად და კულტურულად მახლობელი ტომები მეზობლობდნენ“⁴ („აფხაზეთი-საქართველოს ურთიერთობიდან“) ელნურ მითოლოგიასთან მჭიდრო კავშირი აფხაზური-მეგრულ ფოლკლორშიც აისახა, მეგრელებს და აფხაზებს თავისუფლების სიყვარული და ცნობისმოყვარეობა ახასიათებდათ „მათი პლასტიკური ნიჭი ადვილად გამოვლინდა მათ არქიტექტურულ ძეგლებში, ხოლო დღეს მათ გარეგნობასა და მიზრა-მოზრაში ვლინდება. ბოლოს ნაწილობრივ ამ გავლენით უნდა აიხსნებოდეს მათი ყოფაცხოვრების კლასიკური უბრალოება“⁵.

¹ იქვე, გვ. 10-11

² იქვე, გვ. 11

³ იქვე, გვ. 12

⁴ გ. ქიქოძე, „წერილები, ესეები, ნარკვევები“, თბილისი, „მერანი“, 1985, გვ. 220

⁵ იქვე, გვ. 221

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ აფხაზეთმა ორი საუკუნით უკან მიიღო ქრისტიანობა. ამით იგი ისევ და ისევ დამწერლობისა და ლიტერატურული ძეგლების არარსებობას ხსნის.

ეთნიკურად ჭრელი აფხაზეთი მურვან-ყრუს შემოსევებმა აქციეს (VIII ს.), როდესაც იქაურობა თავშესაფრად იქცა ქართველი ემიგრანტებისათვის, რამაც ხელი შეუწყო არა მარტო მათ ეთნიურ შემადგენლობის შეცვლას, არამედ მთლიანი საქართველოს შეგნების შეტანას მათ მოსახლეობაში და საქართველოს გაერთიანება¹

მაგრამ მუხაჯირობის დროის მოვლენებმა XIX საუკუნეში როდესაც მოსახლეობის თითქმის ორი მეოთხედი დაჰკარგა გადასახლებულთა ადგილი მამულად უცხოელმა ახალშენებმა დაიჭირეს. აფხაზეთის ძირძველი ტერიტორია ეთნიურად აჭრელდა².

გერონტი ქიქოძე ამის საჩვენებლად წარსულსაც მიმართავს, იხსენებს ლეონ II მიერ იმერეთის ქალაქ ქუთაისში გადმოსვლას პროვინციის ცენტრის გადატანით, ბაგრატ III (რომელიც დედით აფხაზი იყო და მამით ქართველი) ღვაწლს აფხაზეთის საქართველოსთან გაერთიანებაში და მოჰყავს ნიშნულად ბესლეთის ზიდის (სოხუმის მახლობლად) ქართული წარწერა.

წერილს გ. ქიქოძე ასრულებს გიორგი შერვაშიძის მაგალითით, რომელიც სამაგალითო იყო აფხაზურ-ქართულ ურთიერთობაში.

თვით ზემოთმოყვანილი წერილი კი მოწმობს ქართველი მკვლევარის მიუდგომლობისა და იმის ჩვენებას, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო საუკუნეთა მანძილზე და ეს ხორციელდებოდა არა დაპყრობის, იძულების, არამედ ხალხთა მჭიდრო კავშირის მეშვეობით, რასაც ვერ დამალავს ისტორია.

გერონტი ქიქოძის ზემოთგანხილული წერილები ცხადყოფენ (თავად ავტორის ერუდიციასთან ერთად) როგორ უნდა იმსჯელოს მკვლევარმა ერის, ქვეყნის წარსულზე თუ ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად არ მოიშველიებს უტყვე მოწმეს - არქეოლოგიური გათხრების შედეგებს, რომელთაც ერთ პრიზმაში გაატარებს და მიუხედავად ზოგიერთი სადისკუსიო თემებისა აჩვენებს ეროვნების როლსაც ქვეყნის წარსულისა და კულტურის ისტორიაში.

¹ იქვე, გვ. 223

² იქვე, გვ. 224

Tamar Gogoladze
Gori State University

**GERONTI KIKODZE'S UNDERSTANDING OF THE HISTORY OF GEORGIA'S PAST
AND CULTURE
RESUME**

The various stages of the development of the history of nations are distinguished by the development and also by perfection of culture. As a writer, essayist, literary historian and critic, Geronti Kikodze (1888-1960) thoroughly observed, the nation always left strange patterns in spiritual creativity like a sphinx, thereby achieving immortality.

Geronti Kikodze linked the study of the process of cultural development with the aesthetic and psychological analysis of the country's historical past and the results of archaeological excavations, which was especially evident in his article "From the Psychology of the Ancient Iberians", which was published in the newspaper "Literature and Art" in 1944, No. 29. In this letter, the author tries to understand the processes of development of the cultural life of Iberia and Kolkheti, the importance of the geographical location of Georgia and the changes that occurred in connection with the transition of the Georgian nation from paganism to Christianity. The letter is not saturated with quotes and gives the impression of an essay, and that is why researchers of various fields used it only to record G. Kikodze's opinions and, to a lesser extent, for research.

The second, studied letter, "Meskheta" (1916) was created by G. Kikodze in order to highlight the important role of the southern part of Georgia (Tao-Klarjeti, Meskheta) in the process of unification of the country.

The letter "From Abkhazia-Georgia Relations" deals with the analysis of the reasons and goals of the historical unity of Abkhazians and Georgians, the origin and significance of architectural monuments and other material cultural objects, and is useful today, both in the process of studying the historical past in general and culture. An in-depth study of the articles on these issues clearly highlights the erudition of great Geronti Kikodze and his active role and importance of the study of cultural history.

დავით აღმაშენებლის ისტორიული და ლიტერატურული სახე

დავით აღმაშენებელი ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო-პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფალი იყო საქართველოს ისტორიაში. მან თავისი გონივრული უნართა და ნიჭით კარგად გაიაზრა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა და შორსგამიზნული რეფორმების განხორციელებით შესძლო არამარტო საქართველოს გათავისუფლება, არამედ შექმნა უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც ინერციით დიდხანს უძლიერესი იყო აღმოსავლეთში და დასავლეთში. მასზე მრავალი გამოკვლევა და მხატვრული ნაწარმოებია დაწერილი, მაგრამ ასეთ დიდ მამულიშვილზე კიდევ მეტია საჭირო. ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ვასელ ბარნოვის (ბარნაველის) „ცოდვა სიჭაბუკისა“, კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალიგია „დავით აღმაშენებელი“, ჯანსუღ ლეონიძის „სული აღმაშენებელი“, ანა კალანდაძის ლექსში „ფეხი დამადგით“.

ჯანსუღ ლეონიძემ მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ისტორიულ თემატიკას. მწერალი დაინტერესდა ეროვნული გმირებით: დ. აღმაშენებელი, გ. სააკაძით და სხვ. ხუთი საუკუნე აშორებს ერთმანეთს ამ ისტორიულ გმირებს, მაგრამ ერთნაირი ძლიერი სული, მამულისათვის თავდადება, სამხედრო ნიჭი და ქვეყნისადმი სიყვარული მათ ერთმანეთთან ანათესავებს. „სული აღმაშენებელი“ ასახავს დავით IV ეპოქას. ავტორი ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ხატავს მის მეფურ პორტრეტს. იძლევა მეფის ზნეობრივ და ინტელექტუალურ სახეს. ამასთან ახასიათებს მისი მეფობის ეპოქას და პოლიტიკურ ვითარებას. მეფე, რომელსაც ძალიან უმნიშვნელო ტერიტორია ჰქონდა თავის განკარგულებაში, ქმნის უძლიერეს სახელმწიფოს. ეს არის ხორცშესხმული ეროვნული იდეალი, როგორც მეფის, ისე პიროვნების. შემთხვევითი არ იყო, რომ 1963 წელს მსოფლიო მეფესარდალთა შორის სამხედრო-პოლიტიკურ კონკურსზე დავით აღმაშენებელმა პირველი ადგილი დაიკავა კონკურსში მონაწილეთა სია ფრანგებმა შეადგინეს., მასალა გამოქვეყნდა ჟურნალში „Вокруг света“ 1964,06.

მან უკან მოიტოვა ალექსანდრე მაკედონელი, ქსერქსე, დარიოსი და სხვა მრავალი. ეს გამარჯვება განაპირობა მისმა სამართლიანმა ბრძოლამ ქვეყნისთვის და მისმა ჰუმანურმა პოლიტიკამ სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მიმართ. ამავე დროს მას არ აღმოაჩნდა არც ერთი სამხედრო და პოლიტიკური ხარვეზი სტრატეგიაში. კ. გამსახურდიას მხატვრული ტრილოგიის „დავით აღმაშენებელი“ – შემდეგ „სული აღმაშენებელი“ მკვეთრად გამოხატული გაბედული ნაბიჯია. ეს ნაწარმოები ეპოქას და გმირს სულ სხვა ასპექტში წარმოაჩენს. „დავით აღმაშენებელი“ ეს არის წარსულისა და ისტორიული გმირების რომანტიული ხედვა, აქ წყდება სიუჟეტური ხაზი, იქ, სადაც ყველაზე ნათლად უნდა წარმოჩენილიყო დავით აღმაშენებლის სამხედრო ნიჭი, ეროვნული სული და ერის მონოლითური ძალა, ეს არის დიდგორის ომი და თბილისის აღება, რაც მხოლოდ მემკვიდრის სიტყვაძუნწი თხრობით არის გადმოცემული, ხოლო ჯ. ლეონიძის „სული აღმაშენებელი“ წარსულის რეალისტური ხედვაა, აქ სწორედ იმ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებსა ყურადღება გამახვილებული, სადაც ნათლად ჩანს დავითის, როგორც სარდლის, ისე მეფის ფენომენი. ავტორი არ ალაპაჯებს მხატვრულ პასაჟებს, პირიქით, ნებისმიერ დეტალს ანალიტიკურად ახასიათებს. მეფის ყოველი რეფორმა, ყოველი გადაწყვეტილება, ხმლის ყოველი მოქნევა მხატვრული – კომენტარებით, სრულყოფილად და

ამომწურავად მოაქვს მკითხველამდე. იმდენად დამაჯერებელია თხრობის ეს სტილი, რომ მკითხველს არც ერთ შეკითხვას არ უტოვებს.

„სული აღმაშენებელი“ ეს არა მარტო ავტორის გემოვნების შედეგია, არამედ გონიერულობის ნაყოფიცაა

ანა კალანდაძე თავის ცნობილ ლექსში „ფეხი დამადგით“ პოეტურად ასახავს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უძლეველი მეფის დავით აღმაშენებლის სურვილს, რომელსაც ქართველი ერი 800–900 წელია ინახავს.

ხალხური თქმულების მიხედვით, აღმაშენებელმა სიკვდილის წინ მოისურვა გელათის შესასვლელ ჭიშკარში დარკაღვა, რომ ყოველ შემსვლელს ფეხი დაედგა მისთვის. მეფის ამ ზეპირად ნათქვამი ანდერძის რეალობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ იგი შესასვლელშია დაკრძალული, რაც მისი ნების გარეშე ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა, რადგან მეფეს, როგორც წესი, ასაფლავებდნენ ტაძარში პრესტიჟულ ადგილას. ამდენად, გადმოცემა მეფის ანდერძის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. ეს თქმულება გახდა „ფეხი დამადგით!“ ლექსის წყარო. ერთი მხარეა ნაწარმოების შექმნის საფუძველი, ხოლო მეორე – მისი მხატვრული წარმოსახვა. ამ მხრივ ანა კალანდაძის „ფეხი დამადგით!“ სრულყოფილი, საინტერესო და ამაღლებულია. ძლიერია იგი თავისი პოეტიკით, იდუმალი და ღრმა შინაარსით. პოეტი მეფის სიტყვებს გადმოგვცემს მშვენიერი პოეტური გრადაციით. „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან...“¹ ეს ოდნავ განსხვავებული ფრაზების გამეორება ქმნის თითქმის ცხრაასი წლის წინათ გარდაცვლილი მეფის სახის ალუზიას, რომელიც აძლიერებს ემოციას და მკითხველზე განუზომელ ზემოქმედებას ახდენს. ამოგნებელია ის ფაქტი, რომ ყველაზე ღვაწლმოსილი მეფე, რომლის სახელთანაა დაკავშირებული არა მარტო ერის ხსნა, არამედ ქვეყნის სიძლიერე და სახელმწიფოს განმტკიცება, ასე თავმდაბლად, ასე ცოდვილივით, მწირივით ითხოვს შეწყალებას, რომ ფეხი დაადგან და თანაც გულზე.

„ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან, წყალობა ჰყავით...“

ძნელი გასაანზრებელია, რატომ სთხოვს, რატომ ევედრება მეფე ერს, რომ ფეხი დაადგან გულზე. ისტორიულად მეფე თავისი ნების ახსნა-განმარტებას არ იძლეოდა და არც პოეტი არ იძლევა ამაზე პასუხს, რაც უდავოდ ავტორისეული მიდგომაა ისტორიისა და ისტორიული გმირისადმი. ამიტომ იგი მოკლედ ათქმევინებს მას „საქართველოს ყოვლის მპყრობელმან ვისურვე დავით“.

მეფის ძლიერება უბრალოდ და მარტივად არის წარმოდგენილი, რომ იგი „საქართველოს ყოვლის მპყრობელია“ და რომ ამ ძლიერმა პიროვნებამ და მეფემ ისურვა ეს. ამით იგი შეახსენებს ერს, ვინ სთხოვს მას ფეხი დაადგან გულზე, რაც თავისთავად მისი თხოვნის თუ სურვილის შესრულების აუცილებლობას აძლიერებს.

ავტორის პოზიცია მეფის ამ სურვილისადმი გადმოცემულია დიალოგის ფორმით. მეფისადმი მიმართვაში გამოხატავს ავტორი თავის დამოკიდებულებას მეფისა და მისი სურვილის მიმართ და ცხადია, ამით წარმოაჩენს პოეტურ ხედვას, რომელიც შეიძლება მკითხველის აზრის ასოციაციას ქმნიდეს.

„ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები?“² – ეს ფრაზა მიგვანიშნებს, რომ მეფე ეკლესიური თვალთახედვით მოიაზრება ლექსში, ეკლესიურად კი ყოველი კაცი ცოდვილია. მაგრამ აქ საჭიროა უფრო ღრმა ანალიზი.. როგორ უნდა გავიგოთ, რომ წმინდანი მეფე ცოდვილია, წმინდანობა და ცოდვილობა ერთმანეთს გამორიცხავენ. საკითხის ობიექტურად გააზრებისათვის ორი ასპექტია გასათვალისწინებელი. პირველი – მეფის ქრისტიანული, ეკლესიური თავმდაბლობა, მეორე – გარკვეული რელიგიური წესის აღსრულება. პირველს

¹ ა. კალანდაძე, «ფეხი დამადგით», თბ., 1985, გვ. 146.

² ა. კალანდაძე, «ფეხი დამადგით», თბ., 1985, გვ. 146.

გვაფიქრებინებს მეფის “გალობანი სინანულისანი”, ხოლო მეორეს, წმინდა გიორგის ხატთან დაკავშირებული რიტუალი.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ “გალობანი სინანულისანი” ცოდვილი კაცის დაწერილი არ არის. იქ არ ჩანს, რომ ცოდვების გამო ევედრება მეფე უფალს. იგი უფალს სთხოვს მფარველობას, როდესაც მეფე აღარ იქნება და რიგით მოკვდავად მიეახლება მას, მაშინ სთხოვს შემწეობას:

«ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, არა სჯულთაებრ ვიხუმიენ, შეუბანი უქმ იქმენ, ყვაგილოვნებაი დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრაი, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!»¹. დავით აღმაშენებელი თავის გალობაში არახილულის და ზეციურისადმი სწრაფვას და “უფალთან მსგავსების დაკლებას” ახსენებს და ამას თვლის იგი ერთგვარ გადახრად სჯულისაგან და არა ცოდვად უფლის წინაშე. არც ამ სტრიქონებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მეფე დავით აღმაშენებლის მძიმე ცოდვაზე. ეს კვლავ ქრისტიანული, პიროვნული და მამულიშვილური თავმდაბლობაა ერისა, ქვეყნისა და უფლის წინაშე. საერთოდ, “გალობანი სინანულისანი” ფსალმუნად გაიაზრება და ჩვეულებრივი ლექსიც რომ იყოს, არ ვიქნებით ობიექტურები თუ ყველა იქ გამოთქმულ აზრს ავტორზე გავავრცელებთ.

მეფე თავისი ფსალმუნით გამოხატავს თავის რელიგიურ ხედვას და ამავე დროს იგი ითხოვს ძველი ქართული რელიგიურ-ტრადიციული წესის აღსრულებას, რომელიც წმინდა გიორგის ხატთან სრულდებოდა.

ძველ საქართველოში წმინდა გიორგის ხატის წინ გარკვეულ დღეს სრულდებოდა მსხვერპლშეწირვის იმიტაცია-რიტუალი. შეწირული ბერი თავისი ნებით წვებოდა ხატთან, შესასვლელში. ყველა შემსვლელი ადგამდა ფეხს, ძირითადად გულზე. როგორც არ უნდა სტკენოდა “შეწირულს” სხეული და რამდენ შემსვლელსაც არ უნდა დაედგა მასზე ფეხი. იგი არა მარტო არ გაინძრეოდა, არამედ არ იმჩნევდა ტკივილს. ამ გზით იგი თავის თავზე იღებდა მათ ცოდვას, ვინც ფეხს ადგამდა, ხოლო ფეხის დამდგმელი იწმინდებოდა ცოდვებისაგან².

აღნიშნული რიტუალი მე-19 საუკუნის დასაწყისშიც ფიქსირდება. ამ საკითხზე ინფორმაცია შემონახულა გაზეთ “კავკაზის” ფურცლებზე (№229-230, 1878 წ.). რომელიც გვამცნობს აწყურში ამ რიტუალის ჩატარების შესახებ. ანალოგიური რიტუალი 1950-იან წლებამდე სრულდებოდა გერის წმინდა გიორგის, ლომისის და სხვ. ეკლესიებში.

ეს რელიგიური ტრადიცია გვაფიქრებინებს, რომ დავით აღმაშენებელი ამ მიზნით გამოთქვამს სურვილს, ფეხი დაადგას ყველამ, რომ მან იკისროს ქვეყნისა და ერის ცოდვები და განწმინდოს ქართველი ხალხი, არა ერთგვარადი ფეხის დადგმით, არამედ იმდენჯერ, რომ “ფეხქვეშ გაცვითონ საფლავის ლოდი ყურძნის მტევნებით”.

პოეტისათვის არ არის აუცილებელი ისტორიული ინტერპრეტაცია. იგი ძლიერი პოეტური ექსპრესიით მიმართავს მეფეს “ისეთი ცოდვა რა გაქვს მეფევ მიუტევები?”³. ეს კითხვა ეჭვს ბაღებს მკითხველში მეფეის დაფარულ ცოდვაზე. თუმცა იქვე აბათილებს ამ ეჭვს:

“ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს, რაი გადარდებს?

გასწიე იგი “ნიკოფსიითგან დარუბანდამდე”⁴.

ლექსის მიხედვით დავითის ასეთი ღიმილი ღვაწლი ერის წინაშე გამორიცხავს განსაკუთრებულ ცოდვას და მის თავმდაბლობაზე ამახვილებს ყურადღებას:

“თუ ეს მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით”.

¹ დავით აღმაშენებელი, «გალობანი სინანულისანი», ქართული პოეზია, ტ. I. თბ., 1979, გვ. 164.

² ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ.1, თბ., 1979, გვ. 92.

³ ა. კალანდაძე, «ფეხი დამადგით», თბ., 1985, გვ. 146.

⁴ ა. კალანდაძე, «ფეხი დამადგით», თბ., 1985, გვ. 146.

ესეც გარკვეულ წილად მეფის სახეს ქმნის, იგი მათიანის მიხედვით რიგითი მებრძოლის ჯავშნით იყო მოსილი და ასევე უბრალოდ დაიკრძალა. ხოლო მომდევნო ტაეპში პოეტი კვლავ უბრუნდება მეფის უცოდველობის საკითხს:

“თუ ცოდვილი ხარ, მაშინ “მეფეო რაღა ქნან ცოდვილთ...” პოეტური წარმოსახვა თითქოს ნელდება მეფის მიერ უპასუხოდ დატოვებული

ავტორის ამ კითხვების შემდეგ, მაგრამ მომდევნო სტრიქონში ძლიერდება პოეტური განცდა ”– ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველთა”¹. საუკუნეთა მიღმური სამყაროდან შორეული, იდუმალი ამოძახილივით ჟღერს ეს სიტყვები, რომლებითაც წარმოჩენილია მეფის ნების უზენაესობა და შეუვალობა, მისი ქრისტიანული თავმდაბლობა და ქვეყნის ერთგულება.

Vakhtang Inauri

Samtskhe-Javakheti State University

HISTORICAL AND LITERARY IMAGE OF DAVID AGMASHNEBELI RESUME

David IV the Builder's contribution is immeasurable in the history of Georgia—not only in Georgia but throughout the Caucasus, the East, and the West. He accurately assessed the country's condition, its domestic and foreign political situation, and, through his grand and significant political, economic, religious, and military reforms, not only saved Georgia but transformed it into a strong, just, and battle-ready state. His historical Image was shaped by the royal chronicler, who fully depicted David's reign, his personal life, his dedication to the country, and his struggle to strengthen Christianity. This chronicler preserved for future generations his ideal image and his invaluable service to Christianity and the nation. Despite the abundance of writings about this great king, his contributions have not yet been fully exhausted. In Georgian literature, several highly artistic prose works have been created about him, including Vasil Barnovi's historical novel “The Sin of Juvenility”, Konstantine Gamsakhurdia's tetralogy “David the Builder”, and Jansug Gvinjilia's “The Soul of the Builder.” From a historical perspective, the work of academician Roin Metreveli, “David IV the Builder” is particularly significant, as these authors have shaped both the historical and literary image of David IV. In modern prose, David's character is reflected from a contemporary perspective. His personality takes center stage, depicted against the backdrop of his state activities. This approach allows for a deeper understanding of the king as an individual, with human emotions and feelings that are ultimately subordinated to royal interests. In other words, David sacrifices his personal life for the development of the state. Anna Kalandadze's poem “Step on My Grave” is dedicated to King David and portrays his historical and literary image as a ruler with deep Christian humility and a rich inner spiritual world. The poet artistically conveys David's grave and his final testament by incorporating folk traditions. The poem also reflects his personal strength as a king, as well as the hagiographic principles of silence and humility. “Step on My Grave” is one of the finest poetic masterpieces of 20th-century Georgian poetry. It stands as a magnificent canticle to a saintly and invincible king.

¹ ა. კალანდაძე, «ფეხი დამადგით», თბ., 1985, გვ. 146.

ორი მნიშვნელოვანი თარგმანი

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და საუბარი იქნება XX საუკუნის ევროპული ისტორიოგრაფიის ორი შედეგის ქართულ ენაზე თარგმანზე. XX საუკუნის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, „ანალების“ სკოლის მესამე თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის, აღიარებული ლიდერის, მეტრის, ჟაკ ლე გოფის წიგნზე „ევროპის დაბადება“¹ და XX საუკუნის დიდი გერმანელი მეცნიერის მაქს ვებერის თხზულებაზე „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმური “სულისკვეთება”². შეიძლება ჩვენი ნაშრომი წარმოადგენდეს ამ ორ წიგნზე რეცენზიას, შეიძლება ეს იყოს ამ თემაზე დაწერილი საინტერესო ისტორიოგრაფიული ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი. ჩვენ სუბიექტურად ეს უფრო გვსურს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი სურვილია. რა არის სინამდვილეში დაე ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს.

ქართულ ისტორიოგრაფიას და არც მის წინამორბედს საბჭოთა ისტორიოგრაფიას, არ გაუკეთებია იმ სიახლეების ანალიზი, რომელსაც ადგილი აქვს ისტორიულ მეცნიერებაში უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. ამას აქვს მნიშვნელობა და აძნელებს დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარების გაცნობიერებას. მრავალგზის აღგვინიშნავს, რომ საბჭოთა პერიოდში ისტორიოგრაფიული გამოკვლევები იწერებოდა ძალზე მარტივი, პრიმიტიული, სქემის მიხედვით. ის რაც ახლოს იყო მარქსიზმთან, ცხადია, ძალიან კარგია და მისაღებია, ხოლო ის რაც არ შეესატყვისებოდა მარქსიზმს, ბუნებრივია, მიუღებელია და უმაღლესად არაკონსტრუქციული კრიტიკის ობიექტი. აქცენტი კეთდებოდა კრიტიკულ-განმაქიქებელ ტონზე, ხოლო მათი პოზიტიური გამოცდილება ქიმს იქით რჩებოდა და თამაშვარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ნეოკანტიანელების და „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების საქმიანობისადმი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, ამის კარგი მაგალითი უნდა იყოს. საბჭოთა ისტორიოგრაფია „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებს უფრო მეტად წყალობდა, ვიდრე ნეოკანტიანელებს და მაქს ვებერს, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები უფრო ახლოს იყვნენ მარქსიზმთან, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ აქცენტს აკეთებდნენ სოციალ-ეკონომიკურ ისტორიაზე, მაგრამ მათთვის მიუღებელი იყო საკითხისადმი ვიწროფორმაციული მიდგომა. აჭარბებდა გერმანელი ისტორიკოსი გერჰარდ რიტერი, როდესაც ამბობდა, რომ „ანალების“ სკოლა მარქსიზმითაა დაავადებული“. სინამდვილეში მსგავსი არც არაფერი ყოფილა. „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების კრიტიკა მარქსისტული პოზიციებიდან კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის სულისკვეთებას და სულაც არ წარმოადგენდა საბოლოო ჭეშმარიტებას, როგორც ეს სურდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას. ამგვარი გულგრილი დამოკიდებულებების ნიშნულია მარკ ბლოკის წიგნის „ისტორიის აპოლოგიის“ გამოცემაზე რეაქცია. აკად. ალექსანდრე ნაროჩნიცკის თქმით „ეს იყო სერიოზული პოლიტიკური შეცდომა“. ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ატარებდა კონფრონტაცია ნეოკანტიანელებთან და მაქს ვებერთან. მათი ეპისტემოლოგიური ძიებები

¹ ლე გოფი ჟ. ევროპის დაბადება, ფრანგულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ, თბ., 2024

² ვებერი მ. პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება, გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ, თბ., 2024

პრინციპულად უპირისპირდებოდა მარქსიზმს, მისთვის დამახასიათებელი ტოტალური ობიექტურობის იდეას. პირიქით, ისინი ფიქრობდნენ, რომ წარსულის აღქმა რელატიურია, შედარებითია. ამიტომ მაქს ვებერის ბრალდება მარქსიზმში უსაფუძვლოა. სინამდვილეში არავითარი უფესკრული “ანალების” სკოლის ისტორიკოსებს და ნეოკანტიანელებს შორის, როგორც ეს “ანალების” სკოლის ისტორიკოსებს ესახებოდათ, მათი მთავარი ტონისმიმცემი იყო ჟაკ ლე გოფი, არ არსებობდა. ნეოკანტიანელების სახელთან ასოცირდებოდა გრანდიოზული გადატრიალება ეპისტემოლოგიის, ისტორიის შემეცნების საკითხში, მათ პრობლემა ონტოლოგიის სფეროდან გნოსეოლოგიის კრილში გადაიტანეს, ხოლო “ანალების” ისტორიკოსების სახელს უკავშირდებოდა “კოპერნიკისეული გადატრიალება” ისტორიკოსის პროფესიაში. ისინი ერთი და იგივე საკითხს მიუდგნენ სხვადასხვა პოზიციებიდან. ნეოკანტიანელები ისტორიის ეპისტემოლოგიის თვალსაზრისით, “ანალების” სკოლის ისტორიკოსები კონკრეტული ისტორიული გამოკვლევების პოზიციებიდან.¹

ჟაკ ლე გოფის შრომებისადმი, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართულ მედიევისტკაში გულგრილმა დამოკიდებულებამ დაისადგურა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ეს დამოკიდებულება კი არ შეიცვალა, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, არამედ ძალაში დარჩა. 2004 წელს პროფ. გურამ კუტალიას რედაქციით გამოსულ შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოში, „ანალების“ ისტორიკოსების შრომები, მათ შორის, ბუნებრივია, ჟაკ ლე გოფის საინტერესო გამოკვლევები, ბიბლიოგრაფიის სიაში მოხსენიებული არაა.² ეს თანამედროვე ქართული მედიევისტკის აქილევის ქუსლად მიგვაჩნია. თუ საბჭოთა წლებში ამას რაღაც გამართლება მაინც გააჩნდა ის „იდეოლოგიური კონტროლის“ გამოძახილი გახლდათ. დღეს ამას ვერ ვიტყვით. რა თქმა უნდა, ეს არაა შემთხვევითი. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. უნდა დავეთანხმოთ ცნობილ რუს მედიევისტს პროფ. არონ გურევიჩს, რომ „ვმისობთ, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის გავლენა ჯერ ისევ ძლიერია“.³ სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია მაინც და მაინც დიდად არც პროფ. არონ გურევიჩის შრომებს წყალობს, რაც გამართლებული არ უნდა ჩანდეს და მიუღებლად მიგვაჩნია. დღეს ქართული მედიევისტკის კონსერვატიზმის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის პროფ. არონ გურევიჩის გულისტკივილი. „ყმაწვილებო, ის რასაც თქვენ ისმენთ ლექციებზე და კითხულობთ შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოებში, ეს არაა ის შუა საუკუნეების, რომელზეც საუბრობს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება, არამედ ეს გახლავთ გაუფერულებული, კასტრირებული, უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ეპოქა ათასი წლის მანძილზე“.⁴

ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება აკად. როინ მეტრეველის წიგნი „მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის შუასაუკუნეობრივი სამყაროს წაკითხვის შემდეგ“,⁵ რომელიც, როგორც წიგნის სათაურიდანაც კარგად ჩანს, ფრანგი ისტორიკოსის

¹ Гуревич А. История историка, М., 2004. გვ. 111

² შუა საუკუნეების ისტორია, გ. კუტალიას რედაქციით, ნაწილი პირველი.

³ Гуревич А. დასახ., ნაშრ., გვ. 120

⁴ Гуревич А. დასახ., ნაშრ., გვ. 195

⁵ მეტრეველი რ. მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის “წარმოსახვითის შუასაუკუნეობრივი სამყაროს” წაკითხვის შემდეგ, თბ., 2005. ანთაძე კ. კალანდაძე მ. საინტერესო ნაშრომი ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის წიგნზე, ლიტერატურული საქართველო, 17 ივნისი, 2005.

თხზულების გაცნობით გამოწვეული დადებითი ემოციების გამოძახილი უნდა იყოს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ფრანგი ისტორიკოსის მოძღვრებამ სულ სხვა შუა საუკუნეების შესახებ, რომელიც ასე განსხვავდებოდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის შუა საუკუნეების ისტორიისგან.¹ ამ თემას ეხება ახალგაზრდა ისტორიკოსის ნინო ლაშხის საინტერესო ნაშრომი „ინტერდისციპლინარული კვლევის საკითხები „ანალების“ სკოლის წარმომადგენლებთან. (ლუსიენ ფევრი, მარკ ბლოკი, ჟაკ ლე გოფი)“.² უეჭველად, საინტერესო საკითხია, მაგრამ ცოტათი თამამი ნაბიჯი ხომ არაა? აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის, რომ უფრო უმჯობესი ხომ არ იყო, რომელიმე ერთ მათგანზე გაგვემახვილებინა ყურადღება?

ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კიდევ უფრო მეტად კრიტიკული იყო ნეოკანტიანელების და მაქს ვებერისადმი საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ თავიდანვე შეუტია ნეოკანტიანელებს და მაქს ვებერს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ცნობილი მეცნიერის პროფ. ალექსანდრე ნეუსიხინის საინტერესო ნაშრომი მაქს ვებერზე, სადაც მან სცადა შედარებით ობიექტურად გარკვეულიყო გერმანელი მკვლევარის ძიებებში. ავტორს არაკონსტრუქციული კრიტიკის ნიაღვარი დაატეხეს და არ აპატიეს ეს მცდელობა“.³ აღსანიშნავია, რომ მისი გამოძახილი გვხვდება იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ცნობილი ისტორიკოსი პროფ. გრიგოლ ნათაძე აჭარბებდა თითქოს „ალექსანდრე ნეუსიხინმა ხოტბა შეასხა მაქს ვებერს“.⁴ ძალიან ხმამაღალი ნათქვამია. ყურადღებას იპყრობს და საინტერესოა მაქს ვებერზე გერმანელი ისტორიკოსის, დიუსელდორფის უნივერსიტეტის პროფესორის, ვილჰელ მომზენის ნაშრომი „მაქს ვებერი და ისტორიული მეცნიერება“.⁵ შეიძლება ითქვას, რომ ის მაქს ვებერის ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფია. მის შრომებს დადებითად გამოეხმაურნენ და მის გარშემო კონსტრუქციული მეცნიერული პაექრობა გაჩაღდა. თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში სულ უფრო ძალუძად იგრძნობა მაქს ვებერის მოძღვრებისადმი მეცნიერული მიდგომა. კრიტიკულ-განმაქიქებელი ტონი ჩაანაცვლა აკადემიურმა მიდგომამ.⁶ ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ცნობილი მედიევისტის პროფ. არონ გურევიჩის შრომები, „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებისგან განსხვავებით უნდა აღინიშნოს, რომ ნეოკანტიანელებზე და მაქს ვებერზე, ძალიან ცოტა იწერება. ეს, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს და მასში ისტორიის ეპისტემოლოგიის, შემეცნების, გნოსეოლოგიის, საკითხისადმი, ქართველი ისტორიკოსების გულგრილი დამოკიდებულების გამოძახილი უნდა დავინახოთ. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ პროფ. ფარნაოზ ლომაშვილის წიგნი „ისტორიის ფილოსოფიის ისტორია“⁷ ფილოსოფოს ზურაბ ხასაიას წიგნი „გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ“, სადაც ერთი მოზრდილი თავი, სწორედ, ჩვენთვის საინტერესო საკითხს

¹ კალანდაძე მ. ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის ხანგრძლივი შუა საუკუნეების კონცეფცია. კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას 70 წლისთავისადმი, თბ., 2007, კალანდაძე მ. ჟაკ ლე გოფი - ფრანგი „ისტორიის მამა“, ისტორიანი, 9, 2014.

² ლაშნი, ნ. ინტერდისციპლინარული კვლევის საკითხები „ანალების“ სკოლის წარმომადგენლებთან.. (ლუსიენ ფევრი, ფერნან ბროდელი ჟაკ ლე გოფი, ეთნოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია, ინტერესთა ურთიერთ გადაკვეთა და ინტეგრაციის პერსპექტივები, თბ., 2004.

³ Неусыхин А. Эмпирическая социология Макса Вебера и логика исторической науки, в кн.: „Проблемы Европейского Феодализма“, М., 1974

⁴ ნათაძე გრ. ჩაპიტულარე დე ვილლის. ერთი ნიმუში ფორმალურ ლოგიკური მიდგომისა ისტორიის კვლევაში, უნივერსიტეტის შრომები, სერია 1. 1936

⁵ Момзен В. Макс Вебер и историческая наука, новая и Новейшая история, №4, 1990

⁶ Патрушеев А. К вопросу об оценке Макса Вебера Современной буржуазной историографии, История и историки. 1976. М. 1979. Патрушеев А. Ренессанс Макса Вебера, Новая и новейшая история, №1. 1993.

⁷ ლომაშვილი ფ. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2., თბ., 2007

შეეხება. „ნეოკანტიანელები ისტორიის შესახებ“¹ ამ პრობლემატიკას შეეხება ჩვენი ნაშრომი „გრანდიოზული გადატრიალება ისტორიულ მეცნიერებაში“, რომელიც შევიტანეთ „ისტორიოგრაფიული ეტიუდების“ პირველ ნაწილში“.² დღეს უნდა ითქვას, რომ ამ მემკვიდრეობისადმი ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება უკვე აღარ იგრძნობა წარსულს ჩაბარდა, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია. ეს ორი თარგმანი, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

დღეს, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარება, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უმთავრესად, ორი გარემოებით უნდა იყოს განპირობებული. ერთს სავსებით სამართლიანად ექცევა სათანადო ყურადღება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეს წარმოადგენს. რაც შეეხება მეორე მხარეს, აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს პოზიტივისტური ისტორიოგრაფია, ამას ვერ ვიტყვით. მისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ დაისადგურა და პორიზონტს მიღმა დარჩა. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას საკმაოდ არასახარბიელო მემკვიდრეობა ხვდა წილად. ერთის მხრივ ეს გახლავთ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, ხოლო მეორეს მხრივ კი პოზიტივისტური ისტორიოგრაფია, მისთვის დამახასიათებელი ვიწრო ემპირიზმით, შიშველი ფაქტოლოგიით, ისტორია აღწერით, თხრობით. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დღესაც ქართულ ისტორიოგრაფიაში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ისტორია შემგროვებლური მეცნიერებაა. ასე იქცევა ძალიან ბევრი. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტაცია გაგრძელდა. იგი პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ზღურბლზე შეჩერდა. ეს ევროპული ისტორიოგრაფიის დონეა, მაგრამ გუშინდელი დღეა და არა ხვალისდელი. „უპრობლემო ისტორია“ რომლის მიმდევრები იყვნენ პოზიტივისტები შარლ ლანგლუას და შარლ სენიოზის თავკაცობით,³ ჩანაცვლა „ისტორია პრობლემატ“, რომლის მომხრედ გვევლინებიან „ანალების“ სკოლის დამაარსებლები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი.⁴ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული სიტუაციის დალაგების საქმეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბარიერის მნიშვნელობის შეუფასებლობა, რაც, ჩვენი აზრით, შეიძლება შეინიშნება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ამგვარი დამოკიდებულება ცალმხრივი იქნება და აღნიშნულ პრობლემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.⁵

ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე, ჩვენი აზრით, საინტერესო გარემოებას, რომელიც ნიშანდობლივი უნდა იყოს. ერთი. როგორც კი ისტორიას გავათავისუფლებთ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისგან ხელში, სწორედ, პოზიტივისტური ისტორიოგრაფია შეგვჩერება. მისთვის ნიშანდობლივი ვიწრო ემპირიზმით, შიშველი ფაქტოლოგიით, ისტორია თხრობით, აღწერით. მეორე. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი კარგი ნაშრომი იწერება, მაგრამ ისინი არ ცილდება პოზიტივისტური

¹ ხასაია ზ. გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ., 2014

² კალანდაძე მ. გრანდიოზული გადატრიალება ისტორიულ მეცნიერებაში, ისტორიული ძიებანი, 8-9 2006., კალანდაძე მ. ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011

³ Ланглуа Ш.Сеньобое Ш. Введение изучение истории, тб. 1899

⁴ Февр Л. Бои за истории, М., 1990, Блок М., Апология истории, М., 1986.

⁵ კალანდაძე მ. XX-XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტაციების ევოლუცია, თბ., 2024. გვ. 78-173. კალანდაძე მ. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის არასახარბიელო მემკვიდრეობა, ქართული ლიბლომატია. წელიწადი 20, 2024.

ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს. როგორც უკვე ითქვა, ეს ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა და არა დღევანდელი ან ხვალისდელი. და კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი, რომელიც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დაძლევის პროცესი, ჩვენი აზრით, შეიძლება გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდეს, ვიდრე პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დაძლევის პროცესი. ამიტომ ამ ფაქტორის შეუფასებლობა, როგორც ჩვენ გვგონია, ცხადია, არ ღირს.

ვერ ვიტყვით თითქოს ქართული ისტორიოგრაფია არ ცდილობს შექმნილ სიტუაციას თავი დააღწიოს. სინამდვილეში ეს ნამდვილად არაა ასე. ადგილი აქვს გარკვეულ პოზიტიურ ძვრებს, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს, გასაკეთებელი კიდევ უფრო ბევრია. ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით. ჩვენი აზრით, უმთავრესად, აქცენტი კეთდება რაოდენობრივ და არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებზე, რაოდენობრივი ცვლილებების, თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, დროში საკმაოდ გაიწელა და ძნელი სათქმელია როდის დასრულდება. როგორც ჩვენ გვგონია, ქართული ისტორიოგრაფია ვითარდება სიფართოვეში და არა სიღრმეში. მისი მთავარი პრობლემა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეიფორიული განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ, ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. პანიკის საფუძველი არ არსებობს ამ პრობლემის დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის.

ერთ-ერთ ასეთ რეალურ გამოსავლად თარგმნილი ლიტერატურა გვესახება. თუ უწინ, საბჭოთა წლებში, ამას ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან სხვა სახელმწიფოში ვცხოვრობდით, დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, შემდეგ, მან სულ სხვა დატვირთვა შეიძინა და შეიძლება ითქვას, რომ უფრო აქტუალური გახდა. ახლა მსოფლიო ისტორიული აზროვნების შედეგები ქართულ ენაზე შეიქმნა ხელმისაწვდომი. ეს ორი წიგნი ამის საუკეთესო ნიმუშია. ეს ხელს შეუწყობს ქართული ისტორიოგრაფიის გამრავალფეროვნებას. ის გაცილებით უფრო მდიდარი გახდება. გაჩნდება ახალი იდეები. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს თარგმანი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. ასეთი თარგმანები გვეხმარება შევავსოთ ის ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში გაგვაჩნდა. ეს თარგმანები სავსებით გამართლებული უნდა ჩანდეს და ხელს შეუწყობს ქართულ ისტორიოგრაფიას იმ სიძნელების გადალახვაში, რომელიც დგას მის წინაშე დღეს და რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია ეს თარგმანები დაგვეხმარება, შევეცადოთ გავცდეთ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოებულ წრეს, რომელშიც აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. გადალახონ ისტორიის შემეცნების საკითხში მარქსისტულ-ჰეგელიანური მიდგომა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი მთელი XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მარქსისტულ-ჰეგელიანური მიდგომის მომხრედ შეიძლება იქნას მოაზრებული თვით დიდი ივანე ჯავახიშვილი.¹

აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი აქტუალური საკითხი, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. რამდენად არის მზად თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ასეთი თვისებრივი, ხარისხობრივი, ნახტომისათვის? საკითხი არის პრინციპული და მასზე პასუხის გაცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ეხება მეტად აქტუალურ საკითხს. რამდენად შეძლებს ის წინსვლას?

¹ კალანდაძე მ. ივ. ჯავახიშვილი და ისტორიის ეპისტემოლოგიის საკითხები, თსუს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ნაკვეთი IV. თბ., 2024. კალანდაძე მ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის კვლევის მეთოდები, თსუს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ნაკვეთი VI. თბ., 2013.

ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფია ასეთი ძირფესვიანი ცვლილებებისათვის დღეს მზად არ არის. ამას მომზადება ჭირდება. რა გამოსავალი არსებობს? უნდა ითქვას, რომ ქართველი ისტორიკოსები ისტორიის მეთოდოლოგიის, გნოსეოლოგიის, პრობლემებისადმი დიდ დაინტერესებას, არც წინათ და არც ახლა, არ იჩენდნენ. ამ პრობლემატიკისადმი ამგვარი გულგრილი დამოკიდებულება ქართული ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ამისათვის სასურველი იქნებოდა მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური პრინციპების და ორიენტირების საფუძვლიანი განახლება. ეს, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული რამდენად შევძლებთ ახალ სიმაღლეებზე გასვლას, რომელიც პასუხობს XXI საუკუნის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, ეს ორი თარგმანი ამ საქმისათვის მომზადების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად, შეიძლება მივიჩნიოთ. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

არაფერი გადაჭარბებული არ იქნება იმაში თუ ვიტყვით, რომ ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის (1924-2013) სახით საქმე გვაქვს ფრანგული და არა მარტო ფრანგული, ევროპული მედიევსტიკის ერთ-ერთ კორიფესთან. ის გახლავთ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების მესამე თაობის ერთ-ერთი გამორჩეული და თვალსაჩინო წარმომადგენელი, მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ევროპული მედიევსტიკის კლასიკაა. მან თვისებრივად, ხარისხობრივად, წაწია წინ ევროპული მედიევსტიკა. ახალ მაღალ სიმაღლეებზე აიყვანა. მან მოგვცა შუა საუკუნეების ისტორიის საინტერესო, განსხვავებული ხედვა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი სოლიდური გამოკვლევები „წარმოსახვითი შუასაუკუნეობრივი სამყარო“ და „სხვა შუა საუკუნეები“. მან გადატრიალება მოახდინა მედიევსტიკაში. მას გააჩნია წარსულის საკუთარი ვერსია, რომელიც ემყარება შუა საუკუნეების ისტორიის ახლებურ, საინტერესო, წაკითხვას, ინტერპირებას. „ლე გოფმა თანამიმდევრულად გააფართოვა, გააღრმავა და განაახლა მიდგომა შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლისადმი. შემდგომ წიგნში („წარმოსახვითი შუასაუკუნეობრივი სამყარო“) კი სამ ასპექტს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. პირველი, ესაა დრო - ისტორიკოსის კვლევის პრივილეგირებული საგანი; მეორე, მეცნიერის კულტურასა და ხალხურ კულტურას შორის ურთიერთ-დამოკიდებულებანი; მესამე, ისტორიულ-პოლიტიკური ანთროპოლოგია. ამ უკანასკნელი პრობლემის კვლევისას მეცნიერმა პოლიტიკური ისტორიისადმი გაზრდილი ინტერესის ახალ კალაპოტში ჩაყენება მოიწადინა“.¹ ეს თვით „ანალების“ სკოლის ფონზე წინგადადგმული იყო. როგორც ცნობილია, „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების პირველი თაობის წარმომადგენლები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი, პოლიტიკური ისტორიის თხრობას, პოზიტივისტებისგან განსხვავებით, პრიორიტეტულად არ მიიჩნევდნენ და გულგრილად ეკიდებოდნენ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. „ანალების“ სოციოლოგიური ორიენტაცია. მათი კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ფერნან ბროდელი ფართო პროპაგანდას უწევდა ისტორიის და სოციალური მეცნიერებების კავშირს. ისტორია სოციალური მეცნიერებაა. ჟაკ ლე გოფმა ხაზი გაუსვა, რომ ამ შეცვლილ გარემოშიც შეიძლება მოიძებნოს პოლიტიკური ისტორიის კუთვნილი ადგილი და ის ქიშკი მიღმა არ უნდა დარჩეს. ეს გამართლებული არ იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ჟაკ ლე გოფი ამ თემას სულ სხვაგვარად მიუდგა. მან პოლიტიკურ ისტორიას ახალი სიცოცხლე დაუბრუნა. „ეს ახალი აღმასვლა ფერნანდელი პოლიტიკური ისტორიისა მეტად საინტერესო ჩანს შუა საუკუნეებში. სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის მნიშვნელოვანი წვლილი პოლიტიკურ ისტორიაში იყო ის, რომ მათ განსაზღვრეს მისი ცენტრალური ცნებებისა და კვლევის ძირითადი მიზნები, როგორიცაა ცნება ხელისუფლება და მისი შემადგენელი რეალიები. პოლიტიკურმა ისტორიამ

¹ რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ. გვ. 3.

ხელახლა შეიძინა ვერბალური ღირსება, რომელიც შეცვლილ მენტალობასთანაა დაკავშირებული“.¹

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჟაკ ლე გოფის ნაშრომს გამოარჩევს პოლემისტური ტონი. ის ცდილობს თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა, რომელიც არსებობდა ისტორიოგრაფიაში. განმანათლებლები, ვოლტერის თავკაცობით, შუა საუკუნეების ისტორიას განიხილავდნენ როგორც ბნელეთს, სტაგნაციას, რეგრესს. დიამეტრალურად განსაზღვრულ პოზიციაზე იდგნენ XIX საუკუნის დასაწყისის რომანტიკოსები. ისინი აიდილებდნენ ამ ეპოქას და მას შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენდნენ. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ჟაკ ლე გოფის იდეა „სულ სხვა შუა საუკუნეები“ ის პრინციპულად განსხვავდებოდა არა მარტო პირველი ორისგან, არამედ უპირისპირდებოდა შუა საუკუნეების ისტორიაზე იმ წარმოდგენას, რომელიც დომინირებდა XIX საუკუნეში პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ძალისხმევით.

ერთი სიტყვით, ჟაკ ლე გოფის წიგნები წარმოადგენდა ახალ სიტყვას ევროპულ მედიევისტიკაში. მის კიდევ ერთ თვალშეუვლებელ მწვერვალს. სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს.

ჟაკ ლე გოფის წიგნი-შედეგრი „ევროპის დაბადება“, რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე, ამ ხანგრძლივი და კოლოსალური, შრომის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება. არ შეიძლება არ გაგახსენდეს XIX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ედუარდ ფრიმენის სიტყვები. „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“. ფრანგი ისტორიკოსის ერთ-ერთი მათგანია. მისი წარმატებების გასაღები, სწორედ, აქ ძევს.

„ამ საეტაპო ნაშრომში, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ გამოჩენილი ფრანგი მედიევისტი ჟაკ ლე გოფი თანამედროვე ევროპის წარმოშობის საფუძვლებს იკვლევს. ავტორი პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ცვლილებების შესახებ ისტორიული წყაროების ანალიზსა და ღრმა განსჯაზე დაყრდნობით გვიხსნის, როგორ ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებიდან თანამედროვე ევროპის სტრუქტურები და მახასიათებლები.

ლე გოფი სიღრმისეულად განიხილავს ევროპული კონტინენტის ათ საუკუნოვან პერიოდს: ინსტიტუციების, იდეებისა თუ ხალხთა ურთიერთობების მნიშვნელობას, რამაც დღევანდელი ევროპის არსი და რაობა განაპირობა.

ისტორიისა და პოლიტიკური რეფლექსიის გამაერთიანებელი ამომწურავი ნაშრომი საშუალებას გვაძლევს წარსულის პრიზმაში გავიაზროთ ევროპული სამყაროს განვითარების პერსპექტივები და სამომავლო გამოწვევები“.

საინტერესო იქნება მოკლედ გადავავლოთ თვალი ნაშრომის შინაარსს, სტრუქტურას, არქიტექტონიკას. ის შედგება შესავალის, ექვსი თავის, დასკვნის, ქრონოლოგიის და ბიბლიოგრაფიისაგან. პირველი ნაწილი სამი მონაკვეთისაგან შედგება: პატარა შესავალი, მცირე წინასიტყვაობა და ყველაზე საინტერესოდ მიგვაჩნია მესამე მონაკვეთი: „პრელუდია: შუა საუკუნეებამდე“. წიგნის ხერხემალს წარმოადგენს ექვსი თავი, რომელიც ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული. 1. ევროპის პირველსახის მონახაზი IV-VIII საუკუნეები; 2. შეუდგარი ევროპა: კაროლინგების სამყარო VIII-X საუკუნეები; 3. ევროპა როგორც ოცნება და პოტენციური შესაძლებლობა. მეათასე წელი. ოტოს იმპერიული ევროპა; 4. ფეოდალური ევროპა XI-XII საუკუნეები; 5. ქალაქების და უნივერსიტეტების მშვენიერი ევროპა XIII საუკუნე. ევროპის წარმატებები XIII საუკუნეში; 6. შუა საუკუნეების შემოდგომა თუ ახალი დროის გაზაფხული?

¹ იქვე, გვ. 26

ჟაკ ლე გოფის წიგნი „ევროპის დაბადება“ მჭიდრო კავშირშია მის იდეასთან „ხანგრძლივი შუა საუკუნეების“ შესახებ. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ასეთი ნაბიჯი გამართლებული არ იქნებოდა. მას ევროპის დაბადების პროცესი ხანგრძლივ პერიოდად წამოუდგენია.

„პირველი ფენა IV-VIII საუკუნეებში, ბარბაროსების შემოსევების და რომის იმპერიის ტერიტორიაზე მათი დასახლების პერიოდში გაჩნდა. ეს ევროპის პირველი სახის მონახაზია.

შემდეგ, VIII-X საუკუნეებში კაროლინგური ფენა ჩამოყალიბდა. ეს შეუმდგარი ევროპაა, რომელმაც თავისი მემკვიდრეობა მაინც დატოვა.

დაახლოებით 1000 წელს ევროპა გამოიკვეთა, როგორც ოცნება და პოტენციური შესაძლებლობა.

მას მოსდევს XI-XII საუკუნეები. ფეოდალური ევროპა.

XIII საუკუნიდან იბადება ბრწყინვალე ევროპა. თავისი ქალაქებით, უნივერსიტეტებით, სქოლასტიკით, ტაძრებით, გოთიკით.

და ბოლოს XIV-XV საუკუნეების განსაცდელები არყევს ევროპას, მაგრამ ვერ ანგრევს პროტოევროპულ სტრუქტურებს.

ვფიქრობთ, ეს წიგნი იმავე პრინციპებით აეწყო, როგორც თავად ისტორია - ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფენის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის შესაბამისად. ეს მიდგომა ისტორიული პერიოდების განხილვას ითვალისწინებს. რაც, იმედია მკითხველს არ გადალღის: აქ იგი ბევრ ახალ სახესა და სირთულეებს შეხვდება, რომლებიც მნიშვნელოვანია ერთიანი ევროპული სივრცის დღევანდლობისა და პრობლემების გასაგებად.¹

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციასთან და შიდაპერიოდიზაციასთან. ფრანგ ისტორიკოს გააჩნია საკითხის საკუთარი, ორიგინალური, ხედვა. მას ორი ასპექტი აქვს. ერთი შუა საუკუნეების ისტორიის ტრადიციულ პერიოდიზაციასთან ასოცირდება. მეორე კი ხანგრძლივი შუა საუკუნეების იდეას უკავშირდება. ის სავსებით იზიარებს ისტორიის სამწევროვან დაყოფას. ძველი, შუა საუკუნეები და ახალი ისტორია. შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდად მას ესახებოდა IV-XV საუკუნეები, რომელსაც თავის მხრივ კიდევ ყოფს სამ ნაწილად. ადრეული შუა საუკუნეები (V-VIII სს.) განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (IX-XIII სს.) რომელიც თავის მხრივ კიდევ ორ მონაკვეთადაა გაყოფილი. (IX-XI საუკუნეები) და XII-XIII საუკუნეები და XIV-XV საუკუნეები გვიანი შუა საუკუნეები ან ადრეული ახალი დრო. ამავე დროს ჟაკ ლე გოფი ფიქრობს, რომ საკითხი სულაც არაა ისეთი მარტივი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანს, ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. მან დაამუშავა ხანგრძლივი შუა საუკუნეების იდეა, რომელიც მისი აზრით, ქრონოლოგიურად მოიცავს მეტად ხანგრძლივ პერიოდს მესამე საუკუნიდან მეცხრამეტემდე. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს და, პირველ ყოვლისა, მასში ფერნან ბროდელის შეხედულების გამოძახილი უნდა დავინახოთ. ის ყურადღებას ამახვილებს არა მარტო იმ დინამიკურ ცვლილებებზე, რომელიც ისტორიაში ხდებოდა, არამედ მზერას მიაყრობს სტატიკურ მდგომარეობას, როდესაც ისტორიამ სვლა შეანელა, ერთ ადგილზე გაჩერდა, გაიყინა. სწორედ, ფერნან ბროდელის ეს მოსაზრება დაედო საფუძვლად ჟაკ ლე გოფის კონცეფციას „ხანგრძლივი შუა საუკუნეების“ შესახებ.²

ჟაკ ლე გოფი ხაზს უსვამს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპის ცხოვრებაში XVI საუკუნის დასაწყისის, რეფორმაციის შემდეგ. (რაციონალიზმი, აზროვნების სეკულარიზაცია, მეცნიერების განვითარება, ტექნიკური პროგრესი, სამრეწველო გადატრიალება). ყველაფერი ეს ისტორიული პროცესის დინამიკური განვითარების მახასიათებელია. ეს იყო მედლის ერთი მხარე, რომელიც ჟაკ ლე გოფს ძალიან კარგად უნდა

¹ ლე გოფ. ჟ. დასახ. ნასრ., გვ. 29

² კალანდაძე მ. წიგნი მანიფესტი (ფერნან ბროდელი), ცისკარი, №8, 1992.

ჰქონოდა გაცნობიერებული. მედალს გააჩნია მეორე მხარე, რომელიც მას მხედველობიდან არ გამოპარვია, უყურადღებოდ არ რჩება. შუა საუკუნეების სტრუქტურების ტრანსფორმაცია ძალზე დუნედ, ზანტად, მიმდინარეობს. ნელი ტემპით გამოირჩევა. ისტორიული პროცესის განვითარება სტატიკურ ხასიათს იძენს. გარდაქმნა ხდება ძალიან ნელა. ამას უწოდა ჟაკ ლე გოფმა „ხანგრძლივი შუა საუკუნეები“.

პირველ ყოვლისა, სასურველი იქნებოდა ჟაკ ლე გოფის ეს იდეა „ხანგრძლივი შუა საუკუნეები“, სწორედ, გავიგოთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჟაკ ლე გოფი ამ მონაკვეთს რეფორმაციიდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, შუა საუკუნეების ისტორიად აღიქვამს. ეს სწორი არ იქნება. მისი აზრით, ეს გახლავთ ახალი დრო, როდესაც ისტორიული პროცესების განვითარება გამოირჩევა, როგორც დინამიურობით, ისე სტატიკურობით. ძველი შუა საუკუნეების სტრუქტურები ზანტად, დუნედ, თმობენ პოზიციებს. ეს არის „ხანგრძლივი შუა საუკუნეები“.

ყურადღებას მივაქცევთ ერთ საინტერესო გარემოებას, რომელიც სასურველი იქნება, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს. აქ იმაზეა საუბარი, რომ მისთვის უცხოა საკითხისადმი სწორხაზოვანი, ფორმაციული დამოკიდებულება, რაც, ძალზე დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ამიტომ ჟაკ ლე გოფის შეხედულებების მარქსისტული, ფორმაციული პოზიციებიდან კრიტიკა, დღეს ძალზე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. ფრანგი ისტორიკოსი ახალ ისტორიას არ განიხილავს, როგორც კაპიტალისტური წყობილების ისტორიას. მისი მიდგომა გაცილებით უფრო საინტერესოა. ის არ ასოცირდება უცილობლად პროგრესთან. ის მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც წინსვლასთან, რომელსაც უპირატესობა ენიჭება, ისე სტატიკურობასთან, უძრაობასთან. პროგრესი უპრობლემოდ არ ხორციელდებოდა. აქცენტი კეთდება არა საზოგადოების განვითარების პროცესების რევოლუციური გზით განვითარებაზე, როგორც ამას მარქსისტული ისტორიოგრაფია ჩადიოდა, არამედ პრიორიტეტი ენიჭება ევოლუციურ განვითარებას.

ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჟაკ ლე გოფის ძიებების აპოლოგეტური შეფასება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. საკითხისადმი აკადემიური დამოკიდებულება, ცხადია, ძალიან კარგია, საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს პოლემისტურ ტონს. ახლა მან აკადემიური ხასიათი შეიძინა და წმინდა მეცნიერულად უფრო წონადი გახდა. უნდა დავეთანხმოთ ცნობილ რუს მედიევისტს პროფ. არონ გურევიჩს, რომ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჟაკ ლე გოფი, ფრანკოცენტრისტები, ყველაზე უფრო უკეთეს შემთხვევაში რომანოცენტრისტები არიან. ისინი იკვლევენ საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, ხოლო სამყარო რომელიც რომანულენოვანი ქვეყნების მიღმა რჩება, მათთვის პერიფერიულ თემად რჩება... ისინი ემყარებიან მხოლოდ ფრანგული და რომანულ მასალას.¹

საინტერესოა რა ადგილს მიაკუთვნებდა ჟაკ ლე გოფი ევროპის დაბადების საქმეში XIV-XV საუკუნეებს. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური, რომლის შესახებაც ისტორიკოსებს შორის ერთსულოვნება არასდროს არ ყოფილა. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი საუბრობდა XIV-XV საუკუნეების საერთო ევროპულ კრიზისზე. ამგვარი მიდგომა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, აზრთა სხვადასხვაობას განაპირობებს და საკამათო შეიძლება იყოს. ზოგიერთი ისტორიკოსი XIV-XV საუკუნეებს მიიჩნევს როგორც შუა საუკუნეების დასასრულს და ახალი ისტორიის დასაწყისს. ამ მოსაზრებას უჭერდნენ მხარს „ბიზნესის სკოლის“ ამერიკელი ისტორიკოსები. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი დევიდ ნეფი ამტკიცებდა „კაპიტალიზმი ყოველთვის არსებობდა ცივილიზებულ სამყაროში“. ფაქტობრივად, ის პოპულარობას უწევს კაპიტალიზმის მარადიულობის იდეას, რაც, ალბათ, მაინც დიდ

¹ Гуревич А. დასახ. ნაშრ., გვ. 134

სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ცნობილი ბელგიელი ისტორიკოსის ანრი პირენის თქმით „კაპიტალიზმი იმაზე უფრო ძველია, ვიდრე გონიათ“. ფრანგ ისტორიკოსი ფ. მორო რენესანსიდან XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე ეპოქას განსაზღვრავს როგორც „სავაჭრო კაპიტალიზმის“ ეპოქას. სასაქონლო ფულადი ურთიერთობების გაიგივება კაპიტალიზმთან, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. აქ შუა საუკუნეების ისტორიის დამთავრება და ახალი ისტორიის დაწყება ნაადრევი უნდა ჩანდეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XIV-XV საუკუნეები არც კლასიკური შუა საუკუნეების ისტორიის დასასრული არ ყოფილა, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ისინი კლასიკური ფეოდალიზმის ხანად მიიჩნეოდნენ XI-XV საუკუნეებს. კლასიკური შუა საუკუნეების ქრონოლოგიური საზღვრები ხელოვნურადაა გაწელილი და გარკვეული კორექტივების შეტანას მოითხოვს, დაზუსტებას საჭიროებს ბოლო ორი საუკუნე. ეს არის გვიანი შუა საუკუნეების ისტორია. ყველაზე კარგად მისი ისტორიული მნიშვნელობა განსაზღვრა ჰოლანდიელმა მეცნიერმა იოჰიმ ჰოიზინგამ. ეს იყო „შუა საუკუნეების შემოდგომა“.¹

შესაძლოა, XIV-XV საუკუნეების კრიზისის კონცეფციის გამოძახილი შეინიშნება ჟაკ ლე გოფის წიგნში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის ამას აკეთებსა ძალზე ფრთხილად, ცდილობს შეარბილოს საქმის ვითარება და აქცენტს აკეთებს არა დაცემაზე, სტაგნაციაზე, არამედ, ტრანსფორმაციაზე, მუტაციაზე. ხაზს უსვამს, რომ ის პროგრესული ტენდენციები, რომელიც არსებობდა ამ ეპოქის ეკონომიკაში, არსად არ გამქრალა, კვლავ განაგრძობს არსებობას, ვითარდება. მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ „კრიზისი არყვეს, მაგრამ ვერ ანგრევს პროტოევროპულ სტრუქტურებს“. ჟაკ ლე გოფი ფიქრობს, რომ XV საუკუნის მიწურულს კი არ მთავრდება შუა საუკუნეები, არამედ გრძელდება, რასაც მან „ხანგრძლივი შუა საუკუნეები“ უწოდა. შუა საუკუნეების ისტორიის ტრადიციულ პერიოდიზაციას აქ დაესვა წერტილი. ახლა გადავდივართ განსხვავებულ მიდგომაზე, რომელსაც მან „ხანგრძლივი შუა საუკუნეები“ დაარქვა. პრიორიტეტულია არა მარტო დინამიკა, არამედ სტატიკური მდგომარეობა, უძრაობა, შუა საუკუნეების სტრუქტურები თავისი მოუქნელი ეკონომიკით და კონსერვატიული პოლიტიკით.

ახლა მოდით ერთი კორიფედან გადავიდეთ მეორეზე, შეიძლება უფრო დიდზე. XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ მეცნიერებაში, უდავოდ, ერთ-ერთ გამორჩეულ და კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს, გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, მაქს ვებერი (1864-1920). ის იყო ფართო დიაპაზონის მეცნიერი. მან თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში და იქ თავისი წარუშლელი კვალი დატოვა: ისტორია, ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკონომია, ისტორიის ფილოსოფია. ამიტომ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს თუ რა იყო მისი ვიწრო სპეციალობა. ერთნი ფიქრობდნენ, რომ ის იყო ისტორიკოსი, შესაძლოა, ამ აზრისაკენ უფრო იხრება მისი ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი ბიოგრაფი ვილჰელმ მომზენი. მეორენი მიიჩნევენ, რომ ის იყო ფილოსოფოსი. მესამენი უფრო იმ აზრისაკენ იხრებიან, რომ ის იყო სოციოლოგი. ამ მოსაზრებამ ქართულ რეალობაში გაიჟღერა. ხოლო მეოთხენი მასში ხედავენ პოლიტიკონომიის სპეციალისტს. ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ მაქს ვებერის სახით საქმე გვაქვს პოლიტიკონომიის სპეციალისტთან. სხვათა შორის, ის საკუთარ თავს პოლიტიკონომიის სპეციალისტად უფრო აღიქვამდა. მის ვიწრო სპეციალობად პოლიტიკონომია მოიაზრება. მისი წიგნი „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალისტური „სულისკვეთება“, ვფიქრობთ, ამის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია შეიძლება იყოს.

¹ Хейзинга Й., Осень средневековья, М., 1988

ის ორი ნაწილისაგან შედგება: პრობლემა და ასკეტური პროტესტანტიზმის პროფესიული ეთიკის იდეა. თავის მხრივ ეს ორი მონაკვეთი კიდევ დაყოფილია რამდენიმე ნაწილად. პირველი სამად: აღმსარებლობა და სოციალური ფენები, „კაპიტალიზმის სულისკვეთება“ და პროფესიის კონცეფცია ლუთერის მიხედვით. კვლევის ამოცანა. მეორე: საერთო ასკეტიზმის რელიგიური საფუძვლები, ასკეტიზმი და კაპიტალიზმი.

მაქს ვებერის ეს თხზულება XX საუკუნის პირველი წლების მეცნიერების შედეგია. ერთ-ერთ თვალშეუვლებელ მწვერვალს წარმოადგენს. ის ერთნაირად დაინტერესებთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს: ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს, ეკონომისტებს, მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

„გერმანელი სოციოლოგის, მაქს ვებერის (1864-1920) „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ 1905 წელს გამოიცა და რელიგიური სოციოლოგიის ფუნდამენტურ ნაშრომად არის მიჩნეული. ვებერი იკვლევს და ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: რატომ განვითარდა მოდერნული კულტურა დასავლეთ ევროპაში და არა, მაგალითად, ჩინეთსა და ინდოეთში და როგორ ყალიბდებოდა შრომის ეთიკა საუკუნეების განმავლობაში. ამ კითხვაზე პასუხს ის დასავლურ რაციონალიზმში ეძებს და შესაბამისად, დასავლური რაციონალური აზროვნების თავისებურებებს იკვლევს. ვებერის თვალსაზრისით, პროტესტანტულ ეთიკასა და კაპიტალიზმს შორის მჭიდრო კავშირია. პროტესტანტული, შესაბამისად, კალვინისტური მსოფლმხედველობა და კაპიტალის დაგროვების კაპიტალისტური პრინციპი, ისე როგორც დაგროვების კაპიტალისტური პრინციპი, ისე როგორც მოგების რეინვესტიცია, ინდუსტრიალიზაციის საფუძვლად ჩამოყალიბდა. ეკონომიკის მოდერნულ ეთნოსსა და ასკეტური პროტესტანტიზმის რაციონალურ ეთიკას შორის კავშირის კვლევა ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა. ავტორი ამტკიცებს, რომ კაპიტალის მფლობელებს, უმეტესად პროტესტანტები წარმოადგენდნენ, კათოლიკეები კი, რომლებიც ჰუმანიტარულ განათლებას ანიჭებდნენ უპირატესობას, გერმანიის შრომით საქმიანობაში ნაკლებად იღებდნენ მონაწილეობას. ავტორის მიზანი კულტურის ყოვლისმომცველი ანალიზი არ გახლავთ. მისი კვლევის საგანია გარკვეული რელიგიური და ეკონომიკური პირობების თანხვედრა“.

ვერ ვიტყვით, თითქოს მაქს ვებერმა „ყველაფერი ყირამალა დააყენა“, აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და მასში ვებერის მოძღვრებისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნეგატიური დამოკიდებულების გამოძახილი მოჩანს. დღეს ამგვარი ხედვა უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია. უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია შეეცადა გაესწორებინა ეს შეუსაბამობა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯია. ის პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია. მაქს ვებერის თხზულების ქართულ ენაზე თარგმნა მისასალმებელია და, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საქმე გვაქვს მაქს ვებერის თხზულების რეაბილიტაციის მცდელობასთან. შესაძლოა, მაქს ვებერი აჭარბებდა კალვინიზმის ისტორიულ მნიშვნელობას, მაგრამ მაქს ვებერის მიერ კალვინის მოძღვრების დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და მასში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ.

გერმანელი მკვლევარი ყურადღებას მიაპყრობს იდეების ისტორიას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პერიფერიულ თემას წარმოადგენდა და ხშირად ვერ ხვდებოდა კადრში. სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. ამჯერად, სრულიად განსხვავებულ მიდგომასთან გვაქვს საქმე. ეს, ცხადია, საინტერესოა. რას გვთავაზობს გერმანელი მკვლევარი? მაქს ვებერის მიხედვით, კალვინიზმი (პურიტანიზმი) მთლიანად კაპიტალიზმის, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, პოლიტიკისა და ეთიკის მთავარ ამოსავალ წერტილად იქნა გამოცხადებული. მარქსისტებისგან განსხვავებით, მაქს ვებერი ფიქრობდა, რომ ეკონომიკა

იდეოლოგიის საფუძველი კი არ არის, არამედ პირიქით. იდეოლოგია უდევს საფუძვლად ეკონომიკას. ის იდეოლოგიის პროდუქტია. ფაქტობრივად, ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მარქსისტულ მოძღვრებას ბაზისის და ზედნაშენის შესახებ და შეიძლება ითქვას, რომ ამას წარმატებით აკეთებს. ამგვარი მიდგომა, ცხადია, მიუღებელი იქნებოდა მაქს ვებერის მარქსისტი ოპონენტებისათვის და მათ არ დაახანეს და გერმანელ მეცნიერს არაკონსტრუქციული კრიტიკის ცეცხლი დაატეხეს თავს, რაც მაქს ვებერის ძიებების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

მაქს ვებერის ღრმა რწმენით, კაპიტალიზმი ადამიანებმა შექმნეს, მაგრამ ამო რაღაც იდეები ამოძრავებდათ. ეს, მაქს ვებერის აზრით, მენტალური ხასიათის უნდა ყოფილიყო. ადამიანები უფრო პრაგმატულები, პრაქტიკულები, გახდნენ. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ისინი უფრო ხელმძღვრეულები გახდნენ. ისე არ ფლანგავდნენ თავიანთ ქონებას. მას უფრო თხილდებიან. რამ განაპირობა ასეთი მკვეთი ფერისცვალება? მაქს ვებერს ამაზე პასუხი მზად აქვს. მისი აზრით, ის იდეოლოგიის სფეროში უნდა ვეძიოთ. ამ მკვეთრი მეტამორფოზის მიზეზი მხოლოდ ახალი იდეები შეიძლება ყოფილიყო. ეს გახლდათ კალვინიზმი (პურიტანიზმი). მაქს ვებერის თანახმად, სწორედ, ახალი იდეები, კალვინიზმის (პურიტანიზმის) მოძღვრება დაედო საფუძვლად ახალ ურთიერთობებს, კაპიტალიზმს, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლა, ახალი რელიგიისათვის ბრძოლას უკავშირდებოდა. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. მათ ვერ მოეწვევებოდა ურთიერთს. ეს სწორი არ იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ მაქს ვებერი ძალიან კარგად გაერკვა ამ რთულ საკითხებში და შეეცადა მის სწორედ გადაწყვეტას. მისი მთავარი დამსახურება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ჩვენი შეხედულებით, ამ ორ თარგმანში ერთი ვიწროდგომატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოვებული წრის გარღვევის ერთ-ერთი მცდელობა შეიძლება დავინახოთ. მისი მთავარი მიზანი, ვფიქრობთ, სწორედ „ამაში უნდა მდგომარეობდეს“.

ამრიგად, მისასაღებლად მიგვაჩნია XX საუკუნის ევროპული ისტორიოგრაფიის, არ მომერიდება ვთქვა, ორი შედეგის ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის თხზულების „ევროპის დაბადების“ და გერმანელი მეცნიერის მაქს ვებერის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომის „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ ქართულ ენაზე თარგმნა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამას წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, მნიშვნელობა გააჩნია. ის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე. ეს საინტერესო უნდა იყოს. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს თარგმანები საშუალებას გვაძლევს უფრო კარგად და ახლოს გავიცნობიეროთ, ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევები, მისი პოზიტიური გამოცდილება, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში ან არ ვიყავით ინფორმირებული ან თუ ვიცოდით რამე, მხოლოდ მარქსისტული ინტერპრეტაციით. ეს, ცხადია, ამ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ბუნებრივია, ის სულაც არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას, როგორც ეს საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეგონა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩინში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის მიზეზი, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა.

ამ ორი ნაშრომის თარგმნას დიდი მნიშვნელობა აქვს, წმინდა შემეცნებით დატვირთვასთან ერთად, მეცნიერულად წონადია და გვიჩვენებს თუ რა გზით შეიძლება წავიდეთ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლის ერთ-ერთ საიმედო გარანტიად გვაქვს წარმოდგენილი. გვიჩვენებს რა თვალშეუვალ სიმაღლეებს მიაღწია

ისტორიულმა მეცნიერებამ ევროპაში და სად ჩავრჩით ჩვენ. რატომ ჩამოვრჩით? რა უნდა გავაკეთოთ რომ ეს ჩამორჩენა დავძლიოთ და განვითარების ნორმალურ გზას დავუბრუნდეთ? უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თარგმანი გვეხმარება შევავსოთ ის ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში გაგვჩნია. ყველაზე კარგი კი ისაა, რომ ის ახალი იდეებით ამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას, რაც მას, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულების შემდეგ, ნამდვილად ესაჭიროება. ეს სტიმულს მისცემს მის წინსვლა, განვითარებას. ამიტომ თარგმნილ ლიტერატურაზე აქცენტის გაკეთება სავსებით გამართლებული უნდა ჩანდეს. ეს სწორი ნაბიჯია. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი ხასიათის შრომების თარგმნა საშუალებას მისცემს ქართულ ისტორიოგრაფიას შეეცადოს თავი დააღწიოს ერთი მხრივ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ხოლო მეორეს მხრივ კი, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოებულ წრეს, რომელშიც ის აღმოჩნდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა წლებში. კარგად გაიცნობიეროს, რომ ისტორია სულაც არ გახლავთ შემგროვებლური მეცნიერება, როგორც ეს პოზიტივისტებს ეგონათ. პრიორიტეტული იქნება არა „უპრობლემო ისტორია“, რომელზეც აკეთებდნენ აქცენტს პოზიტივისტები, შარლ ლანგლუს და შარლ სენიობოსის თავკაცობით, არამედ “ისტორია პრობლემა”, რომელსაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ “ანალების” სკოლის ისტორიკოსები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მისი დამაარსებლები, ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ სასურველი იქნებოდა თუ ქართულ ენაზე ითარგმნება ევროპის სხვა გამოჩენილი ისტორიკოსების ნაშრომები. ეს მხოლოდ წაადგებოდა საქმეს და ხელს შეუწყობს ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლა, განვითარებას, პროგრესს. შეეცდება გამონახოს გამოსავალი ამ რთული ვითარებიდან, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით. გაცილებით უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ისტორიის მეთოდოლოგიის და გნოსეოლოგიის საკითხების დამუშავებას, რომლის მიმართაც ქართველი ისტორიკოსები როგორც წინათ, ისე დღეს, ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენდნენ. სასურველი იქნებოდა თუ ეს სურათი შეიცვლებოდა. ასეთ შემთხვევაში ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი წინსვლა, განვითარება, პროგრესი, რეალურ ხასიათს შეიძენს და არაილუზორულს, როგორც ეს დღესაა. ის გაცდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის და პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მოჯადოებულ წრეს. ისტორია აღარ იქნება მხოლოდ შემგროვებლური მეცნიერება. გაჩნდება ფართო არჩევანის საშუალება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პროგრესის საიმედო გარანტი გახდება.

Merab Kalandadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
TWO IMPORTANT TRANSLATIONS
RESUME

The present work is of a historiographical nature and concerns two significant translations published in 2024. One is the book “The Birth of Europe” by the famous French historian, one of the recognized leaders and prominent representatives of the third generation of the “Annals” school, Jacques Le Goff (1924-2013), and the other is the masterpiece of the great German scientist Max Weber (1864-1920). “The Protestant Ethic and the Capitalist Spirit”. Both of these works are important achievements of European historiography and represent one of the invisible peaks. Therefore, the translation of these two masterpieces should seem completely justified and is the right step. It enriches modern Georgian historiography with new ideas and will make it even more

diverse. This is, of course, very good and represents a step forward after Soviet historiography, it appears to us as a significant acquisition of Georgian historiography of the post-Soviet period. The translation of these two masterpieces is interesting and contains some hints on how we can sort out the difficult situation that has arisen in Georgian historiography today. This is of great importance and such translations are relevant.

A narrowly dogmatically understood Marxist-Leninist ideology was forcibly imposed on Georgian historiography of the Soviet period, which represented the last instance of truth. History does not have one truth. This path leads to a dead end. This led to the theoretical and methodological discolouration of Georgian historiography of the Soviet period. It can be said that these two translations should be seen as one of the realistic solutions to this Chinese situation that has been created. It enriches Georgian historiography of the post-Soviet period with new ideas. This is, of course, very good and undoubtedly represents a step forward after Soviet historiography. We think that their goal should lie precisely in this. One of its main tasks should be to free Georgian society, and among them, first of all, of course, Georgian historiography, from the influence in which it has found itself over the past few decades. The main thing is that these two translations clearly point us to a new path of development that Georgian historiography can take.

First of all, it should be noted that these two translations indicate to modern Georgian historiography how it can escape the unfavorable legacy that it inherited from a narrowly dogmatically understood Marxist-Leninist ideology on the one hand and from positivist historiography on the other. Let us try to break the vicious circle in which it has found itself over the past few decades, through the efforts of a narrowly dogmatically understood Marxist-Leninist ideology and positivist historiography. Even today, many Georgian historians are convinced that history is a cumulative science. "Unproblematic history" is a priority. Getting rid of positivist historiography will not be as easy as it might seem at first glance, it is only the tip of the iceberg. Therefore, sorting out the current situation in Georgian historiography without overcoming the barrier of positivist historiography would be very difficult and would not provide us with a complete, comprehensive picture of this topic. Therefore, it would not be appropriate to underestimate the importance of positivist historiography in sorting out this situation.

Such translations have another advantage, the omission of which should not seem justified and will not give us a complete, exhaustive idea of its significance. It will familiarize us well with the achievements of European historiography, about which we have either not been informed for a long time, or have been aware of it through its Marxist interpretation. It does not represent the last instance of truth and well expresses the point of view of one historical school. History does not possess one truth. This path leads to a dead end. The key to the crisis of Soviet historiography lies precisely here.

We can talk about its double burden. One shows us in which direction it would be desirable for Georgian historiography to go. It offers us one version of this. Second. It will allow us to escape from the vicious circle of a narrowly dogmatically understood Marxist-Leninist ideology and positivist historiography, in which it has found itself over the past few decades. It will help us sort out the difficult situation that has arisen in Georgian historiography today. Let us try to find new ways.

ახალსენაკის განაშენიანება და გარეგნული იერსახე XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის ათიან წლებში

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ქალაქი სენაკი ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. იგი დღესაც საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძს წარმოადგენს. გასული საუკუნის 70-იან წლებში ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამ და რკინიგზის სადგურის მშენებლობამ ხელი შეუწყო ქალაქის წარმოქმნასა და შემდგომ ზრდა-განვითარებას. სენაკმა თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით მალე დაჩრდილა სენაკის მაზრის (აღრინდელი ოლქის) ყოფილი ცენტრი, რომელსაც მოგვიანებით ძველი სენაკი ეწოდა, ხოლო დღევანდელ სენაკს – ახალსენაკი (Сенаки, Ново-местечка).

სენაკის ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად (წინაქალაქად, დაბად) ფორმირება 1870 წლიდან იწყება. აქედან მოყოლებული, მისთვის მიანიჭებული ფუნქციის მიხედვით, იგი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ცენტრს და სავაჭრო-სახელოსნო დაბას, სადაც განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა და სხვ.¹

ამჟამინდელი ქალაქ სენაკის (ყოფილი ახალსენაკის), როგორც დასახლებული პუნქტის, დაწინაურება ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას უკავშირდება. ახალსენაკში სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ისტორია XIX ს-ის რეფორმისშემდგომ პერიოდს უკავშირდება. ნიშანდობლივია, რომ დაბის განაშენიანება და გარეგნული იერსახის ცვლა ასევე ემთხვევა ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანისა და ახალსენაკის ბურჟუაზიულ რელსებზე გადასვლის პერიოდს. მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდით გამოიკვეთა დაბის ცხოვრების თვისებრივად ახალი პერიოდი².

XIX ს. II ნახევარში ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარი ცვლილებები დადებითად აისახებოდა სავაჭრო-სახელოსნო დაბის გარეგნულ იერსახესა და განაშენიანებაზე, რაც გამოიხატებოდა ეროვნული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ფორმების ახალ კლასიკურ სამშენებლო არქიტექტურასთან შერწყმაში. დაბა სწრაფი ტემპით იძენდა დამახასიათებელ კოლორიტულ სახეს³.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის 70-80-იან წლებში სამშენებლო ტექნიკის მიმართულებით დაწყებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, სამშენებლო რეგლამენტაცია, მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში მოექცა სამშენებლო კანონმდებლობის ჩარჩოებში – სამშენებლო არქიტექტურაში ფართოდ გავრცელებული ხის მასალა გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან უმეტესად ჩაანაცვლა წითელმა

¹ მსჯელობისათვის იხ. *კეკელია ი., ბალათურია ე.*, ასე იწყებოდა სენაკი (ქალაქის წარმოქმნისა და ზრდა-განვითარების ისტორიიდან), ქუთ., 2022, 3, 197.

² *კეკელია ი., ბალათურია ე.*, ასე იწყებოდა სენაკი, 197-198.

³ *კეკელია ი., ბალათურია ე.*, ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 198.

აგურმა. ამ მხრივაც სენაკი დღესაც გამორჩეული ქალაქია დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქალაქის ტერიტორიაზე (აქაც და სხვაგანაც), სამწუხაროდ, თავი იჩინა ქაოსმა და თვითნებურმა მშენებლობებმა, რაც კოლორიტს უკარგავს სენაკს¹.

რამდენადაც ქალაქის იერსახის, მისი განუმეორებელი კოლორიტის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის უმთავრესია საზოგადოებრივი და სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობების, მოსახლეობის განაშენიანების ხუროთმოძღვრული კომპლექტები და ქუჩების ქსელი, წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, ახალსენაკის ახალი ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცელი სწორედ ამ ჭრილში განვიხილოთ².

ახალსენაკის განაშენიანების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა გვართა დასახლებანი. ზედა სალომიოსა და მენჯის სანატორიუმს შუა მდებარეობს *საგეგენა* – გეგენაების უბანი. შხეფის აღმოსავლეთ ნაწილში, გრიგალავეების გვარით დასახლებულ უბანს *საგრიგალო*//*საგირგალო* ეწოდება. მდ. ციის ნაპირზეა *საეჯიბიო*. საეკლესიო გლეხები – ეჯიბები სოფელ სახარბედიოს პირველმოსახლენი ყოფილან (საზიაროა სახარბედიოსთან). ზედა სალომიოში თულაძეების გვარით დასახლებულ მიკროუბანს *სათულაძო* ჰქვია. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, საკინწურაშვილოსა და სახაჯალიოს შუა კალანდარიშვილების უბანი *საკალანდარიშვილო*//*საკალანდარისკუო* მდებარეობს. ორეკეშთან მდებარეობს კვირკველების უბანი *საკვირკველიო*. შხეფის ჩრილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ეკის მთასა და სახოფერიოს შუა მდებარე უბანს *საკინწურასკუო*//*საკინწურაშვილო* ჰქვია. გორდიდან სამი ძმა კინწურაშვილი ჩამოსულა, ერთმანეთის ახლოს დასახლებულან და გამრავლებულან. გვარის ორი შტოს მიხედვით არსებობს ორი ქვეუბანი: *მიკოზონარეფი* „აღმოსავლელნი; იქითურნი“ და *მიკოზონარეფი* „დასავლელნი; აქეთურნი“. საგრიგალოს დასავლეთით, საკუჭაღალის სათავესთან უცხოვრიათ კუჭავებს. ამიტომ ამ უბანს *საკუჭა(ო)* ერქვა. ქუთაის-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალის გაღმა-გამოღმა მდებარეობს *ზედა სალომიო* (რკინიგზის ხაზის ჩრდილოეთით) და *ქვედა სალომიო* (რკინიგზის ხაზის სამხრეთით). შხეფის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობენ ნინუები და, შესაბამისად, უბანს *სანინუო* ეწოდება. მას სამხრეთით ესაზღვრება *სასახოკიო* – სახოკიების უბანი შხეფის ციხესა და ტეხურისპირა ჭალას შუა, სოფ. ძველი სენაკის საზღვართან. ციის მარცხენა მხარეს ფილიების გვარის დასახლებას *საფილიო* ეწოდება. საკინწურაშვილოს დასავლეთით, ეკის მთის ძირამდე მოსახლეობენ ქაჩიბაიები და უბანს ჰქვია *საქაჩიბაიო*. უწინ საქაჩიბაიო სოფლის სტატუსით (28 კომლი, 124 სული) თეკლათის სასოფლო საბჭოში ერთიანდებოდა. ტობაღელესა და საკუჭაღელეს შუა მდებარეობს ჩემიების უბანი *საჩემიო*. სანინუოსა და სასახოკიოს შუა მდებარეობს *სადიდიგურო*, სადაც ორიოდე კომლი დიდიგური სახლობს. აქვე, ტობაღელესა და ჯიხამ სუკს შუა მდებარე გორას სადიდიგუროსუკი//სადიდიგუროგოლა ჰქვია. საკუჭაღელესა და საკალანდარისქუოს შუა დასახლებულ უბანს *სახოფერიო*//*სახუფერიო* ეწოდება. მდ. ციის მარჯვენა მხარეს, *სახუხუოში* ხუხუას გვარისკაცი მოსახლეობენ. შხეფის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უბანი იწოდება *საჯანჯღაო* (გვარი ჯანჯღა(ვა))³.

ლონდონში გამომაველ გაზეთ “Daily News”-ში 1877 წლის 29 აგვისტოს დაიბეჭდა უცნობი ავტორის სპეციალური კორესპონდენცია კავკასიაში მოგზაურობის შესახებ, სადაც მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ახალსენაკზე: „მთავარი სავალი გზა ჯერ შედის, შემდეგ მიუყვება და უერთდება ყველაზე დიდ, დამთრგუნველ ჭანჭრობს, რომელიც საკმაოდ მოზრდილ მანძილზეა გადაჭიმული რიონის ორივე მხარეს ფოთამდე, კერძოდ, ზღვის სანაპირომდე... ზემოთ ხსენებული უშველებელი ჭანჭრობი გარშემორტყმულია ხშირი, უსიერი და მოზრდილი ტყეებით, დახლართული

¹ იქვე, 198.

² იქვე, 198-199.

³ შრდ.: *საჯანჯღა* – ჯანჯღაების უბანი ძველ სენაკში, საქანთარიოსა და ჭიჭე შხეფს შუა.

ეკალბარდებით, ჯუნგლებით. სიცოცხლისთვის საშიშ ამ ადგილებში აქა-იქ მცირე დასახლებებია გაბნეული, თუმცა ოდნავ უფრო შემალლებულ, საცხოვრებლად შედარებით ვარგის მიწებზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელ მხარეში ციებ-ცხელებაა მოდებული. მიუხედავად ყველაფრისა, ფოთისა და სენაკის დამაკავშირებელი რკინიგზის გაყვანა სწორედ ამ ტერიტორიაზე გრძელდება. საუბარია დაახლოებით ოცდაათ მილზე. როგორც ამბობენ, გზის გაყვანამ ასობით რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე უკვე შეიწირა. ზაფხულის მაღალი ტემპერატურის გამო. გასაოცარიცაა, უფრო სავალალო შედეგი რომ არ დადგა“¹.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქუთაისიდან 50 კერსით დაშორებულ სოფელ ძველ სენაკში ღამე გაატარა ქუჩაზე ჩამწკრივებულ ხის სახლთაგან ერთ-ერთის პირველი სართულის აივანზე, განთიადის დადგომისთანავე კი მოგზაურობა გააგრძელა. „ძველი სენაკი, რომელიც ერთ დროს მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი სავაჭრო პუნქტი გახლდათ, ნელ-ნელა უფასურდება და მდგომარეობაც შეუქცევადად უარესდება, რადგან აქ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ახალი სოფელი – ახალი სენაკი გაჩნდა. ორივე სოფელი 1500-2000 ფუტის სიმაღლეზე, ტყეებით შეფენილი მთაგრეხილის ქვედა კალთაზეა გაშენებული. ძველი სენაკის ზემოთ გრძელდება გზა, რომელიც იღუმალ, სუროთი დაფარულ ციხესიმაგრემდე აღის², საიდანაც თვალწარმოტაცი ხედი იშლება. ეს ციხესიმაგრე ოდესღაც დადიანებს ეკუთვნოდა და სამეგრელოს მთავრებს მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

მთის ქვედა კალთას მიუყვება საფოსტო გზა. მისი ოთხი-ხუთი კერსის ნელი ტემპით გავლის შემდეგ მივუახლოვდით ახალ სენაკს, რომლის განაპირად დგას მისტერ რაისის სახლი. ის გახლავთ ინგლისელი, რომელიც კარგა ხანია კავკასიაში ცხოვრობს... მისტერ რაისი შესანიშნავი მებაღეა და ცნობილია თავისი ატმების, ნექტარინისა (ვაშლატამა) და სხვა არაერთი ხილის მოშენებით... მისის რაისი და მისი ქალიშვილები დამატებით საქმიანობასაც ეწევიან. მათ თავად იტვირთეს ჩაის, სურსათ-სანოვარისა და ყოფის შემამსუბუქებელი ნივთების დარიგება იმ დაჭრილ-დაავადებული ჯარისკაცებისთვის, რომლებიც ბრძოლის ველიდან ჯერ ადგილობრივ ლაზარეთში, მოგვიანებით კი ქუთაისისა და სურამის საავადმყოფოებში გადაანაწილეს. ჩემი იქ ყოფნისას ას ოც მეგრძოლამდე მოიყვანეს, უფრო მეტად დაავადებული, ვიდრე დაჭრილი“³. უთუოდ ეს ინგლისელი მებაღე მისტერ რაისი უნდა იგულისხმებოდეს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – თედო სახოკიას (1868-1956 წწ.) შემდეგ ცნობაში: „იყო ერთი აქ დასახლებული ინგლისელის ეზო-ბაღი, სადაც მარტვილის სიმინდს გარდა, ვხედავდით სხვადასხვა ტროპიკულ და კულტურულ მცენარეებს, რომელთა აღმოცენება აქაურ ნიადაგს შეეძლო და ჩვენ კი სასწაულად მიგვაჩნდა“⁴.

აღნიშნული კორესპონდენცია ინტერესს იწვევს XIX ს-ის 70-იანი წლების ახალსენაკის ისტორიის რამდენიმე მომენტის დასადგენად: 1. ფოთი-სენაკის რკინიგზის დაახლოებით 30-მილიანი მონაკვეთის გაყვანა განხორციელებულა ადამიანის სიცოცხლისათვის მეტად საშიშ, ციებცხელებიან ადგილებში; 2. აქა-იქ გაბნეული დასახლებები საცხოვრებლად შედარებით ვარგის მიწებზე, შემალლებაზე მდებარეობდა; 3. ერთ დროს მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი პუნქტის – ძველი სენაკის დაცემა მას შემდეგ დაიწყო, რაც რკინიგზის გაყვანის შემდეგ ახალი სოფელი – ახალი სენაკი გაჩნდა. ორივე სოფელი მთის ქვედა კალთებზე იყო გაშენებული და აქვე გადიოდა საფოსტო გზა ძველი სენაკიდან ახალსენაკის მიმართულებით; 4. ახალსენაკში ამ დროისათვის არსებობდა ლაზარეთი, სადაც ომში დაჭრილი და ციებ-ცხელებით დაავადებული ჯარისკაცები მკურნალობდნენ.

¹ "Daily News", 1877 წ., 29 აგვისტო; მსჯელობისათვის იხ. იხ. *კეკელია ი., ბაღათურია ე.*, ასე იწვებოდა სენაკი, 2022, 201.

² იგულისხმება შხეფის ციხე – ავტ..

³ "Daily News", 1877 წ., 29 აგვისტო.

⁴ *სახოკია თ.*, როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955, 168.

მაშასადამე, ახალსენაკის, როგორც დასახლებული პუნქტის, წარმოქმნას, კორესპონდენციის ავტორი სწორედ რკინიგზის ხაზის გაყვანას უკავშირებს.

ცნობილია, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის პირველი უბანი ფოთიდან ყვირილამდე 1871 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა¹. ეს იყო მთავარი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა საქართველოში, რამაც ბიძგი მისცა საგუბერნიო ქალაქებსა და მხარეებს შორის ახალი სამიმოსვლო გზების გაყვანას, ზიდების მშენებლობას, ახალი სამრეწველო-სახელოსნო პუნქტებისა და ქალაქების (სამტრედია, აბაშა, ახალსენაკი, ზესტაფონი...) წარმოქმნას და მათ ირგვლივ მოსახლეობის თანდათან დაჯგუფებას². ახლადწარმოქმნილ პუნქტებში ხელოსნობისა და მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქციის მეტად გავრცელებას³.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანა, ახალი ქალაქებისა და დაბების წარმოქმნასთან ერთად, ძველ და უკვე არსებულ ქალაქებზეც ახდენდა გავლენას. მ. ნიკოლეიშვილის შეფასებით, „იწყება ამ ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ისინი იწყებენ გარდაქმნას ბურჟუაზიულ ქალაქებად, მაგრამ ეს პროცესი არ ყოფილა ერთგვაროვანი ყველა ქალაქისათვის. ზოგიერთი ქალაქი, რომლებიც ხსენებული რკინიგზის ხაზის გარეთ დარჩა, დაქვეითებას იწყებს და თანდათან ჰქრებიან ასპარეზიდან. ისინი ადგილს უთმობენ ახლად წარმოქმნილ ქალაქებს, მაგრამ ამ პროცესსაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ. იწყება მათ შორის მეტოქეობა-დაპირისპირება“⁴.

1873 წელს ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩივარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო. რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7,5 ვერსით აუხვია გვერდი, ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება, დაქვეითება და უმთავრესად სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამე ხარისხოვან ადმინისტრაციული ცენტრის დონემდე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა, – ძველმა ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია. მალაზიები უიმედოდ ელოდებოდა ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების ან მრავალრიცხოვანი აუქციონერების ირგვლივ...“⁵

ქუთაისის ეკონომიკური მნიშვნელობის დაქვეითების ნიკოლაძისეული დახასიათება შეიძლება განზოგადდეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩენილ სავაჭრო ცენტრებზეც. ფოთი-თბილისის ხაზის საგუბერნიო ქალაქიდან 8 კმ-ის დაშორებით გაყვანამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქუთაისს. სამაგიეროდ ქვემო სამეგრელოში აბაშამ და ახალსენაკმა დაიწყო აღორძინება. ეს პუნქტები ბანძის, ძველი აბაშის, ძველი სენაკისა (ყოფილი სენაკი) და მარტვილის სერიოზული კონკურენტები შეიქნა. სენაკის (ახლანდ. ძველი სენაკის) ნაცვლად ახალსენაკი დაწინაურდა, ძველ აბაშას აბაშა ჩაენაცვლა, ორპირს – სამტრედია, რედუტ-კალეს (ყულევს) – ფოთი და ა. შ.

1879 წელს კავკასიაში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ჟიულ მურიე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა თბილისსა და ზუგდიდში. მან მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობები შემოგვინახა დაბის განაშენიანების შესახებ. მურიეს ცნობით, ახალსენაკი სამაზრო ცენტრს წარმოადგენს 1870 წლიდან. აქ გადის ფოთი-ტფილისის რკინიგზის სადგური 80 კომლით, ერთი

¹ საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 85.

² საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 92.

³ საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 105-106.

⁴ *ნიკოლეიშვილი მ.*, დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმისშემდგომი პერიოდი), ქუთ., 1994, 39-40; მსჯელობისათვის იხ. *კეკელია ი., ბაღათურია ე.*, ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 204-205.

⁵ *ნიკოლაძე ნ.*, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962, 559. მსჯელობისათვის იხ. *კეკელია ი., ბაღათურია ე.*, ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 206.

ეკლესია და ორი სკოლა. ამათგან ერთი სკოლა ნახევრად სემინარიაა. ასევე აქ არის ნაჩალნიკის რეზიდენცია, მომრიგებელი სასამართლო, წერილებისა და ცხენების ფოსტა, ხაზინა და ტელეგრაფი. ახალსენაკი გარშემორტყმულია ჭაობებით და ზაფხულში მძვინვარებს ციებ-ცხელება. ქარსაცავები ძალიან ცოტაა და ხშირად უბერავს აღმოსავლეთის ქარი¹. წიგნში მოგზაური ცალკე გამოყოფს 140-კომლიან დასახლებულ პუნქტს – სენაკს (ახლანდ. ძველ სენაკს), ერთი სკოლითა და ერთი ეკლესიით, რაც, მისი თქმით, წინათ აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციას და სამაზრო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო ამჟამად აქ რამდენიმე უმნიშვნელო სავაჭრო დუქანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარტსა და აგვისტოში სამი დიდი ბაზრობა იმართება². ინტერესს იწვევს ახალსენაკის მახლობლად მდებარე სოფელ თეკლათის შესახებ მურიეს შემდეგი მსჯელობაც: აქ ორი ეკლესია და 418 კომლია. ქუთაისიდან მომავალი გზა მას ორ ნაწილად ყოფს. ეს გზა სოფელს საშუალებას აძლევს სწრაფად დაუკავშირდეს მარანს, ქუთაისსა და ზუგდიდს. სავაჭრო გზას წარმოადგენს აგრეთვე პატარა ნაკებისათვის სანაოსნოდ გამოსადეგარი მდინარე ცივი, რომელიც რიონს ერთვის. თეკლათი სამეგრელოს ერთ-ერთი ყველაზე ილბლიანი სოფელია, რომელსაც აქ გამავალი რკინიგზის გამო შეუძლია უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინოს³. თეკლათის „ილბლიანობა“ იმაში მდგომარეობდა, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, როცა ფართო გაქანება მიეცა რკინიგზის მშენებლობას, სწორედ მისი ტერიტორიის ხარჯზე გაფართოვდა თეკლათს, ძონძირსა და შხევს შორის აღმოცენებული დაბა ახალსენაკი.

XIX ს-ის II ნახევარსა და XX საუკუნის ათიან წლებში ახალსენაკის ცხოვრებაში მომხდარმა არაერთმა მნიშვნელოვანმა ამბავმა ასახვა ჰპოვა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ეს ცნობები ზოგჯერ სულაც მწირი და ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, თუმცა დაბის ყოველდღიურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე, განაშენიანებასა და გარეგნულ იერსახეზე მრავალფეროვან და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, ზოგჯერ კი სრულიად უჩვეულო რაკურსით გვაჩვენებს ამა თუ იმ მოვლენას და გვიხსნის მნიშვნელობას. საგულისხმო ცნობების შემცველია აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწეების – შალვა დადიანის, თედო სახოკიას, იპოლიტე ვართაგავასა და სხვათა მოგონებები...

ცნობილი მწერალი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია (1868-1956 წწ.) XIX ს-ის 70-80-იანი წლების ახალსენაკის საინტერესო აღწერას გვაძლევს. 1882 წელს სასწავლებლის აქ გადმოტანამ დიდად შეუწყო ხელი დაბის წინსვლას, აქ აღებ-მიცემობის განვითარებას. 1876 წელს აქ სულ ათიოდე სამიკიტნო და ორიოდე საფართლო ხის დუქანი თუ იყო, შარავზის იქით-აქეთ. ახლა კი ქვითკირის დუქნები გაჩნდა ფართლეულისა და საბაყლო დუქნებით. გამრავლდა სამიკიტნოების რაოდენობა და მათი მუშტარიც. 350 სულამდე შეგირდი, მათი ხშირად ჩამომსვლელი მშობლები და სასწავლებლის მასწავლებლობა, რა თქმა უნდა, ისე დიდ საზოგადოებას ქმნიდა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეწყო დაბის ზრდა-განვითარებისათვის. სულ უკანასკნელი, ასი მღვდელი მაინც მოიყრიდა თავს სენაკში სამი-ოთხი დღით. ყველანი აქაური სასაღილოების მუშტრები იყვნენ და ყოველ კრებაზე, სულ უკანასკნელ 200-300 მანეთს დასტოვებდნენ სენაკში⁴.

რკინიგზის გაყვანას მოჰყვა ბურჟუაზიული დასახლებისათვის დამახასიათებელი საწარმოო, სახელოსნო, სავაჭრო, საფინანსო, ადმინისტრაციული ობიექტებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება-ჩამოყალიბება.

¹ *ჟიულ მურიე*, სამეგრელო (ძველი კოლხეთი), ფრანგულიდან თარგმნა ვლადიმერ ანთელავამ. ორიგინალს შეადარა, შეასწორა და გამოტოვებული ადგილები თარგმნა ანა ჭეიშვილმა, შენიშვნები და სამიხედობი დაურთო ბეჟან ზორავამ. თბ., 2018, 240; მსჯელობისათვის იხ. *კეკელია ი., ბაღათურია ე.*, ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 206.

² *ჟიულ მურიე*, სამეგრელო, 240.

³ *ჟიულ მურიე*, სამეგრელო, 240.

⁴ *სახოკია თ.*, როგორ ვიზრდებოდი ძველად, თბ., 1955, 182-183; მსჯელობისათვის იხ. *გრიგოლაშვილი რ.*, მოწამე მთავარბუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), თბ., 2012, 16-17.

ბ. დავითაია და ბ. ბარკალაია აღნიშნავენ, რომ სარკინიგზო მაგისტრალის თბილისი-ზესტაფონის მონაკვეთის ამოქმედებამ კიდევ უფრო გაზარდა დაბა ახალსენაკის როლი და მნიშვნელობა. რკინიგზის სადგური გაშენდა ქალაქის სამხრეთ მხარეს, დღევანდელი მშვიდობის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე, ამჟამინდელი გადასასვლელი ხიდის დასავლეთ მხარეს. სადგურის წინა ბაქანი წარმოადგენდა ერთსართულიან, გადახურულ ნაგებობას, რომელსაც უკანა მხარეს ჰქონდა ორსართულიანი მინაშენი, მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბით, სადაც 1930-იან წლებში ოჯახთან ერთად უცხოვრია სადგურის უფროსს – კოტე ჯაიანს¹.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებას, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას და გზების კეთილმოწყობას, დამატებით ახალი გზების გაყვანას, ბაზრების, იარმარკების (ბაზრობების) დაფუძნებას და სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებების რიცხვის ზრდას.

აღმოსავლეთ სამეგრელოში ასეთი სავაჭრო უბნები მოეწყო ახალსენაკში, ძველ სენაკში, ბანძაში, ნაოღალევში (მარტვილი), ნოქალაქევში, სალხინოში, ლეძამაძეში, სუჯუნასა და აბაშაში. კვირის გარკვეული დღეები, ბაზრობის დღეები დაინიშნა მასობრივი ვაჭრობისათვის.

ასევე ცალკე შენობაში ხდებოდა ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი მარცვლეულის აწონვა. ის ადგილი, სადაც საამისოდ განკუთვნილი ხის ფიცრული ნაგებობა იდგა, *საყანთროს* სახელით არის ცნობილი. ეს არაბულ-თურქული სიტყვა ქართული ენის დასავლურ კილოებს – გურულსა და იმერულს, ასევე მეგრულ ენასაც, *ყანთარი* ფორმით უსესხებია, რაც „სასწორს, ცალსასწორას“ ნიშნავს; საყანთრო კი ის ადგილია, სადაც სასწორი დგას (ან იდგა)².

1895 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ იანვრის პირველ რიცხვებში იჯარით გაიცა ახალი საყანთროს აშენების შესახებ ნებართვა, მაგრამ ორი თვე სრულდება, რაც ძველი დაანგრიეს, ახალი კი არ აშენებულა³.

„ამჟამად სენაკელების ერთადერთი დღიური ვარამი და საჭირობოროტო საქმე გახლავთ სასწორი (საყანთრო), – წერდა გაზეთი იმავე წლის №151-ში, – რომელმაც აქაურების დიდი ყურადღება მიიზიდა. საქმე იმაშია, რომ სენაკში „საყანთრო“ აშენებულია იმ დროსა, როდესაც აქ პირველად დაუწყიათ ღუქებისა და შენობების აგება. მას შემდეგ რასაკვირველია დაბამ ერთიასად იმატა, როგორც ღუქებისა რიცხვით, აგრეთვე მცხოვრებლებითაც. ამიტომ დღეს უნდათ ხსენებული საყანთრო შუა გულ ქალაქის ადგილში დადგან. ატყდა ქიშობა, ატყდა მედგარი ბრძოლა, სასტიკი ბრძოლა თვითარსებობისთვის. სენაკი ორ დარად გაიყო. ამათ ერთს უნდა ახალს ადგილზედ გადაიტანოს საყანთრო (შუა ქალაქში), ზოგს ისევ ის ძველი ადგილი, სადაც ახლა არის. ამიტომაც თხოვნას თხოვნა მოსდევდა ბ. გუბერნატორთან. ასე და ამგვარად აირია მონასტერი. გუბერნატორმა ეს საქმე ადგილობრივ მაზრის უფროსს, ბატონ ი. ქავთარაძეს მიანდო გასარჩევად. ბატონ მაზრის უფროსმა უარი განაცხადა, რათა მასში მომხრეებს ეჭვი არ შეეტანათ. ამიტომ მაზრის უფროსი სთხოვდა გუბერნატორს, იქიდან საგანგებოდ კერძო პირი გამოეგზავნა ამ საქმის გასარჩევად. ბ. გუბერნატორმა გამოგზავნა გუბერნიის კანცელარიის უფროსი მმართველი ბ. მალევესკი, რომელიც მოვიდა სენაკში 24 ივნისს. 25-ში დაათვალიერა ჯერ ახალსენაკის ადგილმდებარეობა. შემდეგ ინახულა ძველი და ახალი ადგილი „საყანთროსი“, გასინჯა იგი კარგად და მოახდინა საზოგადო კრება, ვინც კი მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. შემდეგ ამისა შეკრიბა ყოველივე ცნობა შემდგარ კომისიებისაგან და გაემგზავრა ქუთაისში. ახლა კი აქაურები დღე-დღეზედ მოელიან საყანთროს შესახებ გადაწყვეტილებას და იმას, თუ რომელ „პარტიას“ გაუღიმებს ბედი და ვის დარჩება

¹ დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, თბ., 2016, 37.

² ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2010, 228; მსჯელობისათვის იხ. კეკელია ი., ბაღათურია ე., ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 209-210.

³ „ივერია“, №47, 1895.

გამარჯვების ბურთი და მოედანი. ჩვენდა სამწუხაროდ, თითოეული „პარტია“ ხელმძღვანელობს ამ საქმეში პირადი (კერძო) და არა საზოგადო ინტერესებით¹.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან იწყება კერძო მობინადრეთა საცხოვრებელი სახლების დაბის ცენტრში კონცენტრაცია, რაც იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ მწარმოებელი ძალა დაინტერესებული იყო საკუთარი ნაწარმის რეალიზაციით. ამიტომ ცდილობდა თავისი საცხოვრებელი და სავაჭრო-სახელოსნო ფართის იქ მოთავსებას, სადაც მომხმარებელთან დაკავშირების უკეთესი საშუალება იქნებოდა. ცხადია, საამისოდ ყველაზე ხელსაყრელი პირობები ბაზრის გარშემო მდებარე გზებზე იყო შექმნილი და სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსახლებული ვაჭარ-ხელოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ასეთი ადგილები ახალსენაკში დროულად დაეკავებინათ. ქალაქის ახლანდ. III საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სავაჭრო სახლი ჰქონია მიხა ცაავას².

ცნობილი კრიტიკოსი, მწერალი და პედაგოგი იპოლიტე ვართაგავა (1872-1967 წწ.) თავის მოგონებებში საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი მოწაფეობის პერიოდის (XIX ს-ის 80-90-იანი წწ.) ახალსენაკის გარეგანი იერსახის შესახებ: დაბის ქუჩები არ იყო მოკირწყლული და იდგა ტალახი. აქა-იქ ქუჩებში ხის ფარღალა სახლები იდგა. ერთი ქვის ან აგურის, და ჯიჯიხიების ქვის ორთვალიანი ღუქის გარდა, სხვა არაფერი იდგა. ასახელებს აგრეთვე ქალაქის ყასაბის – აზნაურ ბახვა ლაბახუასა და მისი მეუღლის – ლოლუას მშვენიერ კარ-მიდამოს (სადაც მასთან ერთად მდგომარედ იდგა გულუ კობახიძე და კიდევ ხუთი მოსწავლე), რომელიც იდგა განაპირა უბანში, ინალიშვილის ოჯახს, ჯობავას ხის სახლს და სამიკიტნოს, ვაჭარ ჭანტურიას, რომელსაც ჰყავდა „დროვები“ და „ფურგონები“, ასევე ბზის ხეებით მოვაჭრე ივანე კეშელავას³.

დაბის სწრაფი ზრდა-განვითარების შესახებ ახალსენაკის სასწავლებლის მოწაფე, შემდეგში ცნობილი მწერალი თედო სახოკია წერდა: გაიზარდა თვით მოსახლეობა დაბისა, ეგრეთ წოდებული, მოქალაქენი, ქალაქურ წესზე მცხოვრებნი. თუ ამ ათი წლის წინათ სულ ათი სახლი არ იდგა აქ და დაბის გარშემო ადგილები ჭაობებს და ღორ-კამეჩების საგორებელ საფეხლებს წარმოადგენდა, ახლა არხები გაჭრეს, დაწრიტეს წყალი და ზოგი ხისა და ზოგიც ქვითკირის სვეტებზე სამთვალისანი და ოთხთვალისანი შენობები წამოჭიმეს. გაჩნდა სასტუმრო რესტორნებით ან როგორც აქ ეძახდნენ – რესტორაციები. გაჩნდა ქუჩებიც, სხვადასხვა ხელოსნებიც. ერთი სიტყვით, საძირკველი ჩაყვარა მომავალ ქალაქს, რომელსაც, თავისი მდებარეობის წყალობით ზრდა-განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნდა. თვით დაბის გარშემო მდებარე სოფლებს და მის უბნებსაც სწრაფი ზრდა დაეტყო. დაბამ შორეული ადგილებიდან მოიზიდა ხალხი იმ ადგილისაკენ, სადაც ცხოვრება ქალაქური იყო და ცხოვრებისათვის საჭირო წყარო მრავალნაირი. ყოველივე ამის მთავარი მიზეზი იყო სასწავლებელი. აქაურ მოსახლეობას მოწაფეობა დიდ შეღავათს აძლევდა. რა თქმა უნდა, მთავარი საარსებო საშუალება ხვნა-თესვა (სიმინდისა) და საქონლის მოვლა იყო, მაგრამ მეორე ადგილი მოწაფეობის შენახვას ეჭირა. ოჯახი არ იყო, სულ უკანასკნელი ხუთი მოწაფე არ ჰყოლოდა პანსიონერად და თან არ ცდილიყო თავისი სახელი, როგორც მოსწავლეების კარგი შემნახველისა, უფრო და უფრო გაეთქვა⁴.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ახალსენაკში სწრაფი ტემპით დაიწყო სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სახელოსნო ობიექტების, სასტუმროების, რესტორნების, კერძო მობინადრეთა საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სხვათა, მშენებლობა, რისთვისაც სამშენებლო მასალის მოპოვება შესაძლებელი იყო დაბის დასავლეთით, ნახევარ ვერსზე მდებარე სოფელ ზემო თეკლათში არსებულ ქვის კარიერში. ამ სოფელში ორას კომლზე მეტი

¹ „ივერია“, №151, 1895.

² მსჯელობისათვის იხ. *კეკელია ი., ბაღათურია ე.*, ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 210.

³ *ვართაგავა ი.*, მოგონებები, I, თბ., 1956, 29-31, 32-33, 36, 37, 39.

⁴ *სახოკია თ.*, როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955, 183.

მცხოვრებია, – წერდა გაზეთი „ივერია“, – ეს სოფელი შესანიშნავია დაფნის ტყით, რომელსაც დიდძალი მუშტარი ჰყავს. უფრო საზღვარგარეთ მიაქვთ. ამავე სოფელშია ქვის ქარხანა, რომელშიაც დიდი მუშაობაა. ახალსენაკის შენობებისათვის აქედან მიდის ქვა. ეს ქვა ვგონებთ სხვადასხვა დაბა-ქალაქებშიც კი მიაქვთ. ამ ქვისას კირსაც კი სწვავენ... პუბლიკაციაში ყურადღება გამახვილებულია სენაკის მოუწესრიგებელ გზაზე. არ არის ხიდები, – გვაუწყებს ავტორი, – გზაზე ისეთი ტლაპოა, რომ ზოგს ურემი ემსხვერვა, ზოგს ხარ-კამეჩი ეფლობა, ზოგს ცხენ-ჯორი და სხვა. მიცვალებულის ეკლესიაში წაღებაც კი უჭირთ¹.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ახალსენაკში თავმოყრილი იყო ხელოსნური მწარმოებელი მასის საგრძნობი რაოდენობა. დაბის ცენტრალურ უბანში, ბაზრის ქუჩაზე განლაგებული იყო სამჭედლოები. ზოგს იგი საკუთარ სახლში ჰქონდა გამართული. ქალაქის III საჯარო სკოლასთან, რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაზე, რკინეულობის სამჭედლო ჰქონდათ მიხა და სამსონ ფოფხაძეებს². სამჭედლო ყოფილა აგრეთვე აღმაშენებლის ქუჩაზე, სახარბედიოსკენ მიმავალ გზაზე, საკირის გადასახვევთან (იქ, სადაც ამჟამად ბენზინგასამართი სადგური „ფენიქსი“ მდებარეობს)³.

თედო სახოკია შენიშნავს, რომ ქვეყნიერებას ასე მოწყვეტილად სენაკში კაცი არა გრძნობდა თავს. იგი ცენტრალურ ადგილად ითვლებოდა მთელი სამეგრელოს სამღვდელოებისათვის. აქ იყო ფოთი-თბილისის რკინიგზის სადგური, მისვლა-მოსვლა თბილისს, ქუთაისსა და სხვა რკინიგზის ხაზზე მდებარე ადგილებთან, მარტვილთან შედარებით, ერთი-ათად გაადვილებული იყო. ამასთანავე, აქ იყო მაზრის სხვადასხვა დაწესებულება: აფთიაქი, ორკლასიანი სასწავლებელი, ხაზინა, აბანო, სატუსალო... ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც იმდროინდელ სამაზრო ქალაქს ახასიათებდა⁴.

დაბის ცენტრში არსებობდა კლუბი, სადაც ხშირად იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები, იმჟამად ახალსენაკში მცხოვრები ქართველი მსახიობის, დრამატურგ ავქსენტი ცაგარლის მეუღლის – ნატო გაბუნიას (1859-1910 წწ.) თაოსნობით.

იმ პერიოდის ახალსენაკისთვის უცხო როდი იყო გაუფრთხილებლობით, შურისძიებით, ან გამიზნულად, დაზღვეულ ქონებაზე – შენობა-ნაგებობებზე ხანძრის გაჩენის შემთხვევები. 1894 წლის ხუთ ივნისს, ნაშუალამევს, პირველ საათზე, ცეცხლი გაუჩნდა თავად ფარნაოზ მხეიდის შენობას, – წერდა გაზეთი „ივერია“, – რომელშიც ამ რამდენიმე წლის წინათ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი იყო მოთავსებული. ცეცხლი უცებ გადავიდა იქვე ახლო ბესარიონ ხოჭოლავას სახლზეც და ორივე სახლი ორი საათის განმავლობაში სულ ერთიანად ფერფლად იქცა. როგორც ამბობენ, ორივე შენობა დაზღვეული ყოფილა. მხეიდის შენობაში არავინ ცხოვრობდა და ხოჭოლავა კი თითონ ცხოვრობდა თავის ცოლ-შვილით. ხოჭოლავას სტუმრები ჰყოლია. ყველა ცდილობდა, რომ რაიმე გადაერჩინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი გადაარჩინეს⁵.

1898 წელს უცნობმა ბოროტმოქმედმა კლუბის შენობას ცეცხლი წაუკიდა და ნაცარტუტად აქცია. ახლა აქაური საზოგადოება, წერს გაზეთი „ივერია“, ხელმეორედ შეუდგა კლუბის დაარსებაზე ზრუნვას. ამ დღეებში ამ საქმის თაობაზედ მოლაპარაკება ჰქონდათ აქ და დაადგინეს, რომ ხელახლა ვითხოვოთ კლუბის დაარსების ნებართვა⁶.

¹ „ივერია“, №50, 1898.

² საბჭოთა პერიოდში აქ იყო საჩუქრების მაღაზია.

³ მსჯელობისათვის იხ. *კეკელია ი., ბაღათურია ე.*, ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 213.

⁴ იქვე.

⁵ „ივერია“, №123, 1894.

⁶ „ივერია“, №212, 1898.

პრესაში აქა-იქ წავაწყდებით ინფორმაციებს დაბაში არსებული ბულვარის შესახებ. ავტორი შენიშნავს, რომ სამი წლის წინ გაკეთებული ე. წ. ბულვარი (ბაღი) უყურადღებოდაა მიგდებული და ეკლესიის აშენება ისევ გრძელდება¹.

როგორც ირკვევა, ბულვარი დაბაში ბევრად ადრე არსებობდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზეთ „ივერიაში“ 1894 წელს გამოქვეყნებული შემდეგი პუბლიკაცია: მოვიდა თუ არა ახალი მაზრის² უფროსი, ბატონი ქავთარაძე, უწინარეს ყოვლისა თავისი ყურადღება ქალაქის სისუფთავეს მიაქცია. სხვათა შორის, განახლდა ჩვენი მრავალი წლის გაუქმებული „ბულვარი“, რომელიც ოთხფეხა საქონლის საძოვრად იყო გადაქცეული. მაზრის უფროსმა ქალაქის დეპუტატებს გამოუცხადა, რომ დასაჯდომი სკამები გაემართათ და გაიმართა კიდეც. ამ ბულვარის ნაკლოვანება ის არის, რომ გრძელია და განი არა აქვს. ამის გამო მაზრის უფროსმა ამ საგნის თაობაზე აღძრა ლაპარაკი და სურს ის შუაგული ადგილი ქალაქის „ბულვარად“ გადაკეთდეს. ღმერთმა ინებოს, თუ ეს საქმე გამოვა³.

მაზრის უფროსი დიდად დაინტერესებული ყოფილა ეკლესიის მშენებლობით. როგორც გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი პუბლიკაციით ირკვევა „ეს ერთი თვე იქნება, რაც ახალ-სენაკში მოვიდა მთავრობისაგან ახლად დანიშნული სენაკის მაზრის უფროსი ბატონი რეზანოვი. მან ეკლესიის მშენებლობას შესწირა 50 მანეთი. აგრეთვე იკისრა შემოწირულობათა შეგროვება, ეკლესიის სასარგებლოდ. მაზრის უფროსს მხარს უჭერს სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ფარნაოზ მხეიძე, რომელიც ამ ეკლესიის აღმშენებელ კომისიის თავმჯდომარედ ამას წინად იქნა არჩეული“⁴. გაზეთი „ივერია“ ამასთანავე იუწყებოდა, რომ რკინიგზის სადგურის ქალაქისკენ გადმოტანის მაგიერ ხიდი გააკეთეს, მაგრამ ეს ხიდი ერთობ მოუხერხებელია⁵.

ეკლესია ქალაქის ტიპის დასახლებისთვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ამიტომაც ბუნებრივია, დაბის მესვეურები განსაკუთრებულ დაინტერესებას გამოიჩინდნენ მისი მშენებლობის საქმისადმი. გაზეთი „ივერია“ უფრო ადრე, 1890 წელს იუწყებოდა, რომ ახალსენაკს 15 ოქტომბერს ეწვია ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარქოსი პალლადი. მან ქალაქის მოსახლეობას გრძნობით აღსავსე სიტყვით მიმართა და დაავალა, რომ თუ გინდათ ქალაქმა წინ წაიწიოს, ეკლესია უნდაა ააგოთო. მაშინვე აირჩიეს კომისია და მემამულეებსაც სთხოვეს დახმარება. ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კნენა სალომე მხეიძისამ და დაიწყო ხელმოწერები ფულის შესაგროვებლად. ასევე კრებდა ფულს აწ უკვე გარდაცვლილი ბლადოჩინი, დეკანოზი ნიკოლოზ კალანდარიშვილი. კომისია სთხოვდა თეკლათის საზოგადოებას, სადაც 600-ზე მეტი მცხოვრები იყო, დახმარებოდა ეკლესიის მშენებლობას სამშენებლო მასალით⁶.

XIX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისისათვის ახალსენაკში მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრის არსებობაზე მიუთითებს დეკანოზ ნიკოლოზ კალანდარიშვილის გარდაცვალების შესახებ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგი⁷. დამკრძალავ საგანგებო კომიტეტს, სხვა საჭირო ღონისძიებებთან ერთად, დაკრძალვის ცერემონიალის გეგმაც ჰქონდა შემუშავებული. გეგმის მიხედვით სასულიერო პირის დაკრძალვის პროცესიაში მონაწილეობდნენ: ახალსენაკის თავადაზნაურობა, აქაურ საერო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მოხელენი, ახალსენაკის სამხედრო გარნიზონი ორიგად, ახალსენაკის სასულიერო და ნორმალური სამოქალაქო სასწავლებლების, საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოსწავლეები და მგალობელთა გუნდი, უმაღლესი წოდება, ინტელიგენცია,

¹ „ივერია“, №121, 1902.

² იგულისხმება სენაკის მაზრა – ავტ.

³ „ივერია“, №162, 1894.

⁴ „ივერია“, №105, 1902.

⁵ „ივერია“, №86, 1902.

⁶ „ივერია“, №222, 1890.

⁷ გარდაიცვალა 1892 წლის სექტემბრის მიწურულს, 53 წლისა.

თავად-აზნაურთა წინამძღოლები, ქალაქისთავები, კერძო დაწესებულებათა მფლობელები და ა. შ. გარდაცვლილს წესი აუგეს ნატოჩაოს წმ. გიორგის ეკლესიაში. ამ განრიგის შესაბამისად წესრიგს საგანგებოდ არჩეული 25 კაცი იცავდა¹.

მოგვიანო ხანის ახალსენაკის განაშენიანების შესახებ ყურადღებას იპყრობს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, საიდანაც ირკვევა, რომ სენაკში, გიმნაზიის ქუჩაზე, ცხოვრობდა გ. გამზარდია, რომლის სახლშიც განთავსებული ყოფილა სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის კანცელარია².

ახალსენაკი არ უჩიოდა რესტორნებისა და სასტუმროების ნაკლებობასაც. 1885 წლის გაზაფხულზე ცაიშიდან ახალ-სენაკში ჩამოსულმა³ დიდმა ილია ჭავჭავაძემ ღამე გაათენა სასტუმროში, რომლის მეპატრონე იყო თეიმურაზ კაკაბაძე. მან საუცხოო მასპინძლობა გასწია, თვითონ ითამადა და თქვა: „იონა მეუნარგიასი მადლობელი ვარ, მეფისტოლა კაცის მასპინძლობის ღირსი რომ გამხდაო“. გამგზავრებისას ილიასა და მის თანმხლებ პირებს სასტუმროს მეპატრონემ ქირა არ გადაახდევინა.

1919 წელს აქ რესტორანი ჰქონია ბოლშევიკურად განწყობილ თეოფილე კარანაძეს. ამ რესტორნის ერთ-ერთ კაბინეტში 1919 წლის აგვისტოში ჩატარდა ბოლშევიკთა სამაზრო კონფერენცია. პირველი სხდომა ღამით ჩატარდა სოფელ ახალ-სოფელში, მეორე – ქალაქ ახალსენაკში, სასტუმრო „ფრანციაში“, მესამე – მდ. ტეხურის პირას, ახალსენაკიდან 2 კმ-ის დაშორებით, ხოლო მეოთხე და უკანასკნელი ახალსენაკის ზევით, თეკლათის დედათა მონასტრის გზის სიახლოვეს, ტყეში. რესტორანი ჰქონია აგრეთვე სტრაჟნიკ კილასონიას, სადაც 1919 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში გამართულა ახალსენაკის სამაზრო კომიტეტის სხდომა.

XIX ს-ის 80-იანი წლებისათვის ახალსენაკი საკმაოდ დაწინაურებულ დასახლებას წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი, როგორც მნიშვნელოვანი სამრეწველო-სავაჭრო და კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრის, მოსახლეობის სწრაფი ზრდა რეფორმისშემდგომი პერიოდის ერთ-ერთი არსებითი და დამახასიათებელი ნიშანია. პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილის მართებული შეფასებით, „ქალაქის მოსახლეობის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა აღინიშნება მას შემდეგ, რაც დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა და გაიხსნა მოძრაობა თბილისზე გავლით ბათუმიდან ბაქომდე, რამაც უდაოდ გააადვილა და ხელი შეუწყო მოსახლეობის მოძრაობის გაძლიერებას, მის ტერიტორიულ ადგილგადანაცვლებას. ყოველივე ამან სერიოზული როლი შეასრულა და არსებითად განაპირობა მხარის მივარდნილი რაიონებიდან და კუთხეებიდან სოფლის მოსახლეობის ქალაქში მოზღვაების მძლავრი პროცესი“⁴.

ზემოთ თქმულის სიცხადეში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი გავიხსენებთ იმას, რომ 1886-1897 წწ. თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 103, 5%-ით. ამავე წლებში ორჯერ მოიმატა მოსახლეობის რაოდენობამ ბათუმშიც⁵.

1887 წლის მონაცემებით სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებიდან ახალსენაკში საცხოვრებლად გადმოვიდა 1213 მოსახლე. მცხოვრებთა რიცხვის საგრძნობლად ზრდასთან ერთად ღაბის ცხოვრების

¹ გრიგოლაშვილი რ., მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი), თბ., 2012, 27-30.

² „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919.

³ ბ. დავითაიასა და ბ. ბარკალაიას ცნობით, ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით 1885 წელს გამოემგზავრნენ და ბანძიდან ზუგდიდისკენ მიმავალნი ახალ სენაკში შეჩერდნენ ღამის გასათევად. იხ. დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატთან, 38. იყო კი პირიქით: ბანძიდან ცაიშში ჩასული ილია სტუმრობდა ჯერ იონა მეუნარგიას, ცაიშიდან კი ახალსენაკში ჩამოსულმა ღამე გაათია კაკაბაძის სასტუმროში და მეორე დღეს მატარებლით გაემგზავრა თბილისში.

⁴ ნიკოლეიშვილი მ., დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმისშემდგომი პერიოდი), ქუთ., 1994, 19-20; მსჯელობისათვის იხ. კეკელია ი., ბაღათურიას ე., ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 227.

⁵ ტყეშელაშვილი ნ., ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, 52.

მეორე, ასევე უმთავრესი, დამახასიათებელი მოვლენა იყო სწრაფი ეკონომიკური განვითარება კაპიტალისტური გზით, რაც გამოიხატებოდა ახალი სავაჭრო დაწესებულებების ზრდასა და ტერიტორიის გაფართოებაში.

ახალსენაკის ზრდა-განვითარება დღის წესრიგში აყენებდა სხვადასხვა სახის სახელმწიფო დაწესებულებების დაარსებასაც. საარქივო და პრესის მასალებიდან ირკვევა, რომ აქ არსებობდა სასამართლო დაწესებულებანი, სახაზინო პალატა, სამაზრო ციხე¹ და ა. შ.

დაბის ტერიტორიაზე მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის კონცენტრაციამ დღის წესრიგში დააყენა სასაფლაოს გახსნის საკითხიც. „ჩვენს დაბას დღემდე სასაფლაო არა ჰქონდა, – ვკითხულობთ გაზეთ „ივერიაში“, – რის გამოც მეტის-მეტად შეწუხებული ვიყავით. ამას წინათ აქაურ მემამულეს, თავად ხურუმიძე მიქელაძეს მიმართა ქალაქის გამგემ, რომელიც სთხოვდა ცოტა იაფად დაეთმო თავისი მიწა ქალაქისთვის. ქველ-მოქმედმა თავადმა ერთ ქცევაზედ მეტი ადგილი უფასოდ დაუთმო ქალაქს სასაფლაოსთვის“². ამ ცნობიდან ძნელია იმის გარკვევა, თუ დაბის რომელ სასაფლაოს გულისხმობს კორესპონდენციის ავტორი და ვერც იმის დადგენა შეუძელით, თუ სად ცხოვრობდა თავადი მიქელაძე, მაგრამ, სავარაუდოდ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ე. წ. ძმათა სასაფლაო, რაც მდებარეობს ახლანდ. ქუთაისის ქუჩაზე, ქალაქიდან თეკლათის ღელათა მონასტრისკენ მიმავალ გზაზე.

XIX ს-ის მიწურულს გვხვდება ცნობები ახალსენაკში გამართული დოღის შესახებ. 29 ივნისს, პეტრე-პავლობას, – გვაუწყებს გაზეთი „ივერია“, – გაიმართა ბურთაობა, რასაც წინ უსწრებდა დოღი. შუადღის თორმეტ საათამდე დოღი გათავდა, რამაც დიდად ასიამოვნა საზოგადოება და 25 ცხენში ათი ვერსის (დანიშნულ ადგილამდის) მანძილში პირველი ჯილდო მიიღო ორზოლიას ცხენმა. ნაშუადღევს ხუთ საათზე დაწყებულ ბურთაობაში მონაწილეობას იღებდნენ თავადები, მაგრამ ცოტა არ იყოს, ბოლოს სამღურავი იხმოდა, რადგანაც რიგიანად არ ყოფილან განაწილებულნი, თუ ვის საით უნდა წაეღო ლელობურთი... ამ დღის სეირის სანახავად იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან მრავალი ქალ-კაცი იყო ჩამოსული. მოხუცებს არ უნახავთ ამდენი თავმოყრილი ხალხი ახალ-სენაკში. თითქმის მთელი ქალაქი გადაჭედილი იყო ქალით თუ კაცით. დღეობამ და ჯარიანობამ მზიარულად და უხიფათოდ ჩაიარა. არავითარი ჩხუბი და აყალ-მაყალი არ ყოფილა. ამისი მადლობელი უნდა ვიყვეთ მაზრის უფროსის, ბატონ ი. ქ. ქავთარაძისა და ბოქაულის ტ. ა. ასათიანისა, რომლებიც სულითა და გულით მონდომებულნი იყვნენ, რომ მშვიდობიანობა არ დარღვეულიყო. როგორც ხმა დადის, მომავალი წლის ივნისის თვეში იარბურკობა იქნება. წერილის ავტორი ტრიფონ კალანდარიშვილი აღნიშნავს, რომ ამავე დღეს, ქუთაისის დრამატული დასის წევრებს, კნინა ანეტა მხეიძისა და ბატონ ვ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოუდგენიათ ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად – „თამარ ბატონიშვილი“, და ვოდევილი ერთ მოქმედებად, ვ. ბალანჩივაძის „უბედური დღე“. იმავე საღამოს დასს საგანგებოდ გაკეთებულ ვეებერთელა ფარდულში დაუდგამს ისტორიული დრამა „სამშობლო“. ამ დღეს კარგი ვაჭრობა ჰქონდათ მეფუტკრეებსა და სურსათ-სანოვავით მოვაჭრე მიკიტნებსაც³.

პეტრე-პავლობის დღესასწაულზე ხალხმრავლობა ახალსენაკისთვის უცხო არ ყოფილა მომდევნო წლებშიც. იმავე გაზეთის 1903 წლის №139-ში ვკითხულობთ: „ამ ჟამად ახალ-სენაკს ცოტა ფერი მიეცა, რადგან პეტრე-პავლობის დღესასწაულისთვის მრავალ ხალხმა იყარა თავი, როგორც სამეგრელოდამ, ისე საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდანაც. იმართება ჭიდაობა გამოჩენილის მოჭიდავე ნესტორ ესებუასი. ქუთათური ქართული სცენის მოყვარენი წარმოდგენებს მართავენ. 29 ივნისს მარულა იქნება. ლულ-ლიმონათები ხომ იყიდება და იყიდება“⁴.

¹ სენაკის მაზრის სატუსალო წარმოდგენდა ორსართულიან, კვითკირის ნაგებობას, რაც მოგვიანებით საცხოვრებელ სახლად გადაკეთდა. იგი დაანგრიეს გასული საუკუნის 70-იან წლებში. სატუსალო მოქმედებდა 40-იან წლებამდე, ქალაქის დასავლეთ უბანში, დღევანდელი ვახანიას ქუჩაზე. იხ. *დავითაია ბ., ბარკალაია ბ.*, სენაკის მატიანე, თბ., 2016, 32.

² „ივერია“, №227, 1892.

³ „ივერია“, №145, 1898.

⁴ „ივერია“, №139, 1903.

ახალსენაკში არსებულია ე. წ. ტანცმეისტერის სახლი, სადაც ნოქრები თავისუფალ დროს ატარებდნენ. ამასთან დაკავშირებით გაზ. „თანამედროვე აზრი“ წერდა: „არ შემიძლია არ უსაყვედურო ადგილობრივ ნოქრებს, როდესაც ყველა ადგილობრივი მოწინავე პირები ცდილობენ საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღებაზე. აქაური ნოქრები, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყონ და ენერგიული დახმარება გაუწიონ საზოგადო საქმეს, ისინი ბალდადურების და მაზურკის სწავლას ანდომებენ თავისუფალ დროს, ყოველ საღამოობით მოიქცებიან დანიშნულ ადგილზე („ტანცმეისტერის“ სახლში) და იქ ატარებენ თავისუფალ დროს. ამ მხრივ ისინი ძლიერ ნიჭსა და ენერგიას იჩენენ და დანიშნულ დროზე, ყოველთვის თავის ადგილზე არიან. ამავე დროს მათში ძლიერ ცოტანი მოიპოვება ისეთი, რომელნიც ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ. სამწუხაროდ, მათ ბაძავენ შეგირდები“¹.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მშენებლობის საკითხსაც. 900-იანი წლების ახალსენაკში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, რადგან წყალსადენი და ელექტროგანათება ბურჟუაზიული სავაჭრო-დაბა-სოფლების აუცილებელ და ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა. სენაკში „იყო ბუხრიანი სახლებიც, – იგონებს თედო სახოკია, – რასაც მარტვილში ვერსად დავინახავდი. გარდა ამისა, ვხედავდი, რომ სენაკელები მზის სინათლეს არა სჯერდებოდნენ და ღამით ხელოვნურად ანათებდნენ დაბას ნავთის ღამძებით, რაც, ცოტა არ იყოს, გვაკვირვებდა. ერთი სიტყვით, მიყრუებულ, ღვთისა და კაცისაგან მოძულებული ადგილიდან გადმოვდიოდით განათებულ ადგილას, სადაც ცივილიზაციის ნაყოფს უნდა ვზიარებოდით“².

1902 წელს სენაკის მაზრის უფროსად დაინიშნა რეზანოვი, რომლის თაოსნობით დაბა ახალსენაკის მთავარ ქუჩებში დაიდგა სამი ელექტრონ-ბენზინის ახალი სისტემის ფარანი. თითოეულ ფარანს ათასი სანთლის სინათლე ჰქონდა. „ტელეფონის“ ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი პუბლიკაციაში შენიშნავს, რომ ახლა კიდევ სურთ სამი ამგვარივე ფარნის შეძენა და დადგმა³.

ახალსენაკი ზუგდიდს, მარტვილსა და ახლომახლო მდებარე სოფლებს უკავშირდებოდა არცთუ ისე რიგიანად მოწესრიგებული გზებით. 1903 წლის ცნობით, ახალსენაკსა და ზუგდიდს შორის მანძილი 42 ვერსია. ომნიბუსები დადის ყოველდღე. დილის რვა საათზე ახალსენაკიდან გასული ომნიბუსი ხეთის სადგურზე იყო დილის ათ საათზე, ხოლო ზუგდიდში – 12 საათსა და 45 წუთზე. ზუგდიდიდან 2 საათზე გამოსული ტრანსპორტი ხეთაში იყო 4 საათზე, ხოლო ახალსენაკში – 6 საათსა და 15 წუთზე. ახალსენაკიდან ხეთამდე და ზუგდიდიდან ხეთამდე ერთი მგზავრის ადგილი ღირდა 1 მან. და 10 კაპ., ხოლო ახალსენაკიდან ზუგდიდამდე – 1 მან. და 20 კაპ. ერთი ფუთი ბარგის ღირებულება შეადგენდა 21 კაპიკს. ბავშვები, რომლებიც ხელით სატარებელნი იყვნენ, მგზავრობის საფასურს არ იხდიდნენ, ხოლო ათი წლის ბავშვის სამგზავრო თანხა ნახევარი ფასი იყო. გადაადგილების მნიშვნელოვანი და უმთავრესი საშუალება იყო ამიერკავკასიის რკინიგზა. იმავე წლის მონაცემებით სამიმოსვლო ბარგის ფასები რკინიგზაზე ასეთი იყო: ახალსენაკამდე – I კლასი – 7, 90 კაპ., II კლასი – 4, 74 კაპ., III კლასი – 8 მან და 16 კაპ.

ახალსენაკში განაშენიანების ყველაზე ძველ უბნად მიჩნეულია ამჟამინდელი რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩები, სადაც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო სავაჭრო-სახელოსნო ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტების მშენებლობა, რომელთა უმეტესი ნაწილი სადღეისოდ უკვე გამქრალია, ზოგ ადგილზე კი გვხვდება უკვე რეკონსტრუირებული შენობები. ამ ქუჩებზე იწყებს ჩამოყალიბებას ახალი უბანი, ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობებით. უნდა ითქვას, რომ ამ ორ ქუჩას დიდი მნიშვნელობა აქვს XIX ს-ის უკანასკნელი მესამედისა და 900-იან წლებში განხორციელებული საქალაქო მშენებლობის დასახასიათებლად. ესაა ეკის მთისძირში,

¹ „თანამედროვე აზრი“, №186, 1915.

² *სახოკია თ.*, როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955, 168.

³ „ივერია“, №121, 1902.

აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გაშლილი დასახლება, რას სწორედ რუსთაველის ქუჩაზე ვითარდებოდა, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობდა სწორი რელიეფი და ბაზართან სიახლოვე. სწორედ ამ ცენტრალური ქუჩით უკავშირდებოდა ახალსენაკი გარესამყაროს. ეს გზა ნოქალაქევ-ძველი სენაკიდან მოემართებოდა, გამოივლიდა ქვაშხორს (სოფ. შხეფში) და ახალხორს, ჩაუვლიდა ახალსენაკის ბაზარს და მიემართებოდა სოფელ თეკლათისაკენ; აქედან კი გზის ერთი შტოთი შესაძლებელი იყო შავიზღვისპირა ქალაქ ფოთში, ხოლო მეორე შტოთი ზუგდიდში მოხვედრა. „რუსთაველის ქუჩა, არა დღევანდელი მასშტაბით, მაგრამ თავიდანვე მთავარი ქუჩა უნდა ყოფილიყო, – წერენ ბ. დავითაია და ბ. ბარკალაია, – რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო მიმართული. დაბის ცენტრში მას არაერთი მოკლე ქუჩა კვეთდა, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და, პირიქით“¹.

ახალსენაკის საერთო-სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების დღემდე მოღწეული ნაგებობებიდან უნდა გამოიყოს ამჟამინდელი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის შენობა, ყოფილი სატუსალო, რაც ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საპირფარეშოდ და საკუჭნაოდ არის გადაკეთებული! გასული საუკუნის დასაწყისშია აგებული აგრეთვე ცენტრალური ბაზრის შესასვლელში მდგარი ერთსართულიანი ნაგებობა, სადაც იარაღის საწყობი ყოფილა. 1902 წელს დაბის ცენტრში ძიგურის წითელი აგურით აშენდა ორსართულიანი შენობა, რაც დღესაც დგას დ. ვახანიას ქუჩაზე (№10). ამჟამინდელი მეპატრონის თქმით, ამ სახლში თავდაპირველად ჰოსპიტალი, ხოლო შემდეგ აფთიაქი იყო განთავსებული. 20-იან წლებში სახლი პედაგოგ მალრაძეს (თუ მალნარაძეს?) ეკუთვნოდა. 1960 წელს სახლი შამელა გამზარდიას შეუძენია, ახლა კი მისი შვილიშვილის – ეკა გამზარდიას საკუთრებას წარმოადგენს. მეორე სახლში უწინ განთავსებული ყოფილა ჯერ ღვინის სარდაფი, შემდეგ – პურის საცხობი, ამჟამად კი სავაჭრო ობიექტია. სახლი ჯუმბერ ჩარგაზიას შთამომავალთა საკუთრებაშია². ძველი შენობებიდან საინტერესოა აგრეთვე სავაჭრო ცენტრი და ორსართულიანი სახლი, აგებული 1908 წელს (დღესაც შემონახულია).

გარკვეული კულტურული, მხატვრული და ყოფითი ღირებულების მქონე ეს შენობები აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს.

¹ დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, თბ., 2016, 37; მსჯელობისათვის იხ. კეკელია ი., ბაღათურია ე., ასე იწყებოდა სენაკი, 2022, 241-242.

² დავითაია ბ., ბარკალაია ბ., სენაკის მატიანე, 85-86.

Igor Kekelia

Doctor of History

Edisher Baghaturia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**EVILUTION OF URBAN DEVELOPMENT AND EXTERNAL APPEARANCE OF
AKHALSENAKI IN THE LATE 19TH CENTURY AND EARLY 20TH CENTURY**

RESUME

The development of Senaki as a city-like settlement began in 1870. It served as an administrative center and trade-workshop settlement, playing a significant role in farming, cattle breeding, cottage industry, and more.

During the late 19th and early 20th centuries, the socio-economic changes in Akhalsenaki had a positive impact on the town's external appearance and urban development. This was evident in the combination of traditional national architectural forms with new classical building structures, giving the town a vibrant and distinctive look.

Considering that public and civic buildings, architectural ensembles, and street networks greatly influence the overall appearance and unique identity of a city, this article discusses an important chapter in the new history of Akhalsenaki in relation to these factors.

იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა XVI საუკუნეში

1517 წელს, იერუსალიმის დაპყრობით გახარებულმა სელიმ I-მა (1512-1520), შემწყნარებლობა გამოიჩინა და იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილებაში დატოვა იერუსალიმსა და მის გარეთ არსებული წმიდა სალოცავები, რომლებიც ხალიფა უმარისა (634–644) და წინა სულთნების მიერ მიეცა. ამ ეკლესია-მონასტრებს შორის მოექცა ქართველთა ეკლესია-მონასტრებიც.

სელიმ I-ის ბრძანებულებამ ძალზე გაანაწყენა ლათინები და სომხები, რომლებიც იერუსალიმში დამკვიდრებას ცდილობდნენ. ამიტომ არა მხოლოდ XVI საუკუნეში, არამედ ოსმალთა ბატონობის ხანგრძლივ პერიოდში (1517-1917) იერუსალიმის საპატრიარქოს უმთავრესი გამოწვევა წმინდა მიწის სალოცავების მათგან დაცვა იყო. იმავე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა იერუსალიმის ქართული თემიც.

1520 წელს სელიმ I გარდაიცვალა და ოსმალეთის ტახტზე ავიდა სულეიმან I (1520-1566), რომელმაც ყურადღება ევროპაზე გადაიტანა. 1521- 1532 წლებში სამჯერ გაილაშქრა უნგრეთზე, ორჯერ – ავსტრიაზე.

სულთან სულეიმანის ევროპაში პირველი ლაშქრობის შემდეგ, ავსტრიის იმპერატორმა კარლოს V-მ (1519-1556) სულთან სულეიმანს მისწერა წერილი, რომელშიც თავისი თავი „იერუსალიმის მეფედ“ მოიხსენია. ამით განრისხებულმა სულეიმანმა 1523 წლის 18 მარტს გამოსცა ბრძანებულება, რომლის საფუძველზეც, ფრანცისკანელები სიონიდან გამოაძევეს, მათი მონასტერი კი მეჩეთად გადააკეთეს.¹

როგორც ჩანს, ქართველებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და საკუთარი უფლებების დაცვა გადაწყვიტეს. 1523 წლის არაბული ჰუჯეთის თანახმად, ქართველთა ილუმენმა, სავულამ (საბამ.), სასამართლოში სარჩელი შეიტანა ფრანცისკანელთა ილუმენის – ფრა-დონატოს წინააღმდეგ, რადგან „მაშინ სიონზე ძეგბარე წმ. მონასტრის (იგულისხმება დავით წინასწარმეტყველის კოშკი – თ. მ.) ნაწილის უმთავრესი მფლობელები ქართველებიც იყვნენ... ვინაიდან ქართველთა ილუმენმა ძველი და მტკიცე საბუთები წარადგინა, სასამართლოს მიერ გამართლდა“. დოკუმენტი ხელმოწერილია იერუსალიმის მსაჯულის – სალესის მიერ, 929 წლის ზილჰიჯე თვის 14-ს (=1523 წლის 24 ოქტომბერს).²

სიონიდან გამოაძევებული ფრანცისკანელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ უკან დასაბრუნებლად, მაგრამ ნებისმიერი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. ამიტომ განიზრახეს იერუსალიმში დამკვიდრებულიყვნენ – ეყიდათ ან დაექირავებინათ იბერიელთა მონასტერი სახელწოდებით „დაირ-ალ-‘ამუდ“ („სვეტისა“). ადვილი არც ამის განხორციელება აღმოჩნდა. წინააღმდეგობას წააწყდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, რაც კარგად ჩანს ოსმალთა ხანის 942 წლის I შა’ ბანის (1536 წლის 25 იანვრის) იერუსალიმის შარიათის სასამართლოს

¹ Χρυσοστόμου Παπαδοπούλου, 'Ιστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων, ἐν Ἀθήναις 1970, 508.

² Θ. Α. Ἀριστοκλέους, Κωνσταντίου Α', Βιογραφία καὶ συγγραφαὶ αἱ ἐ λάσσοις ἐ κκλησιαστικαὶ καὶ φιλοσοφικαὶ , καὶ τίνες ἐ πιστλαὶ τοῦ αὐ τοῦ, ἐ ν Κωνσταντινουπόλει 1866, 281; ix. agreTve: Ἀνάλεκτα Ἱεροσολιμιτικῆς Σταχυολογίας ὑ πὸ Ἀνθίμου Παπαδοπούλου - Κεραμέως, IV, Ἐν Περουπόλει 1897, 446-447, დოკ. N 29.

ოქმიდან. სწორედ ამ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ფრანცისკანელები 1536 წელს ქირით შევიდნენ ქართველთა მონასტერში „დაირ-ალ-‘ამუდ“, იმ პირობით, რომ მათმა რიცხვმა არ გადააჭარბოს 24-ს, არ შეისყიდონ დაქირავებული მონასტერი, არც შეაკეთონ, არ შეიძინონ საკუთრება იერუსალიმში, არ შეაწუხონ იბერიელი და ბერძენი ბერები და ა. შ.¹ მაშინ ქართველებს ფრანცისკანელებისათვის მიუქირავებიათ მონასტრის ყველა შენობა - ნაგებობა, ეკლესიის გარდა.² 1546 წლის ჰუჯეთიდან კი ირკვევა, რომ შარიათის სასამართლომ ივერთა ხსენებული მონასტრისთვის გადასახდელ წლიურ ქირად 100 სულთანური ფლური დაადგინა.³

1541-1542 წლებში ქართველები და ფრანცისკანელები ერთმანეთს ისევ დაუპირისპირდნენ. ამჯერად ფანცისკანელთა წინამძღვარმა, ფრა დონატომ, სარჩელი შეიტანა ჯვრის მონასტრის წინამძღვრის, საბას, წინააღმდეგ. სადაო გახდა გოლგოთას ეკლესიაში ქართველებისა და ფრანცისკანელების კუთვნილ ადგილებს შორის გამყოფი ზოლი.⁴ ფრა დონატოს მტკიცებით, გამყოფი ზოლი ფრანცისკანელების საკუთრებას წარმოადგენდა. 1541 წლის შარიათის სასამართლომ გადაწყვეტილება ქართველთა სასარგებლოდ გამოიტანა.⁵

ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ქართველთა მაშინდელი გამარჯვებები განაპირობა არა მხოლოდ იმან, რომ ქართველებმა „ძველი და მტკიცე საბუთები წარადგინეს“, როგორც ამას 1523 წლის 24 ოქტომბრის არაბული დოკუმენტი გვაუწყებს, არამედ ოსმალეთის ხელისუფლების მტრულმა დამოკიდებულებამ ფრანცისკანელთა მიმართ.

სულთან სულეიმანის მტრული დამოკიდებულება ფრანცისკანელთა მიმართ, ქართულ საისტორიო თხზულებებშიც აისახა.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი, ბერი ეგნატაშვილი, გვაუწყებს: „წარმოუგ ზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახეთისასა ლევანს, ვითარმედ: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდათანი სჯულისა თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ ესენი და თქუენდა მომიცემიო“. ქართველმა მეფეებმა ილაშქრეს იერუსალიმზე, „განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი“. კმაყოფილმა სულთანმა დანაპირები შეასრულა და ქართველებს „მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯვრის მონასტერი და სხუანი მონასტერნი... სიველითა მტკიცითა“.⁶

¹ ჰუჯეთში ჩამოთვლილია ის პირობები (10 პუნქტი), რომლებსაც ფრანცისკანელები უნდა დამორჩილებოდნენ. შედგენილია არაბულ ენაზე. ვსარგებლობთ მისი ბერძნული თარგმანით: Θ. Α. Ἀριστοκλέους, Κωνσταντίνου Α', Βιογραφία ..., 248-250; Ἀνάλεκτα, IV, 443- 445, dok. N 23. იერუსალიმის შარიათის სასამართლოს ოქმთან დაკავშირებით, იხ. აგრეთვე: გ. ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში, თბ., 2018, 172.

² Θ. Α. Ἀριστοκλέους, Κωνσταντίνου Α', Βιογραφία ..., 281; Ἀνάλεκτα, IV, 1897, 446-447, დოკ. N 27.

³ Θ. Α. Ἀριστοκλέους, Κωνσταντίνου Α', Βιογραφία..., 250.

⁴ გოლგოთა ქართველებს გადაეცა 1308 წლის 5 აპრილის დადგენილებით, ეგვიპტის სულთნის ან-ნასირ ნასირ ად-დინ მუჰამადის მეორე მმართველობის დროს. გოლგოთას გამო, დაპირისპირება ქართველებსა და ფრანცისკანელებს შორის მოხდა 1396, 1491-1493 წლებში. 1491 წელს შარიათის სასამართლომ ქართველებს დაუკანონა გოლგოთას ჩრდილოეთი ნაწილი, ფრანცისკანელებს კი – სამხრეთი ნაწილი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამოიყო ზოლი – დაიდო რკინის წნელი, რკინის სამი საყრდენით, რომლებიც ერთმანეთისაგან ყოფდა მოღავეებს. 1493 წ. ქართველებმა დაკარგეს გოლგოთა. 1512-1513 წლებში, ბენა ჩოლოყაშვილის აქტიურობით, დავა კომპრომისით დასრულდა. ქართველებს დარჩა ჩრდილოეთი ნაწილი, ფრანცისკანელებს – სამხრეთი ნაწილი, გ. ჯაფარიძე, ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514, წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), საისტორიო კრებული, I, თბ., 2011, 110; მისივე: ქართველთა სავანეები ..., 119-120, 171-172.

⁵ გ. ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები ..., 171-172.

⁶ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, 354. ქართველ მეფეებში იგულისხმება:

წყაროში ლაშქრობის თარიღი დასახელებული არ არის. ამავე ცნობას, მცირედენი განსხვავებებითა და შევსებებით, გვაწვდიან ვახუშტი ბატონიშვილი და ტიმოთე გაბაშვილი. ამ ცნობებმა ქართველ მკვლევართა დიდი დაინტერესება გამოიწვია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში და დღემდე არ განელეულა. მკვლევართა ერთი ნაწილი ქართველთა მიერ იერუსალიმის იარაღით აღებას გამოირიცხავს. სხვანი თვლიან, რომ იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობა ნამდვილად მოხდა. თითოეულმა მათგანმა თავისებურად დაასაბუთა „ლაშქრობის“ მიზეზიც და დროც (1517 ან 1527 წელი). ამ განსხვავებული თვალსაზრისების შესახებ, ბევრი რამ ითქვა და დაიწერა.¹ ამიტომ წარმოგიდგენთ მხოლოდ ჩვენს დაკვირვებას:

ვინაიდან იერუსალიმის ქართულ თემს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოსთან, ამიტომ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, როგორ აისახა მასზე იმ დროის პოლიტიკური ვითარება, რა სახის წინააღმდეგობებს წააწყდა.

1526 წლის გაზაფხულზე სულეიმან I-მა მეორედ გაილაშქრა უნგრეთზე. ვიდრე უნგრეთისკენ დაიძვრებოდა, იერუსალიმის ბერძნული ეკლესიის პატრიარქს, დოროთეოს - ატალას (1505-1537) განუახლა სელიმ I-ის მიერ 1517 წელს ბოძებული ფირმანი, რომლითაც იერუსალიმის წმ. სალოცავები, ეკლესია-მონასტრები, მათ მფლობელობაში მყოფი სახლები, ბაღები და სხვა ქონება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ხელში დატოვა.² როგორც ჩანს, სულეიმან I-მა სწორედ მაშინ შემოიღო წმინდა საფლავის მოხილვის კანონიც,³ რადგან 1526 წელს იერუსალიმში შედგა სინოდი კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის და ანტიოქიის პატრიარქების მონაწილეობით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1443 წლის შემდეგ იერუსალიმში სინოდი არ შემდგარა⁴ და იმასაც, რომ კონსტანტინეპოლის დაცემის (1453) შემდეგ წმინდა მიწაზე პილიგრიმობაც კი შეზღუდული იყო, ნათელი გახდება, რომ სულთან სულეიმანმა ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები ფრანცისკანელთა დასაბრკოლებლად შემოიღო. ამიტომ სრულიადაც არ არის გამორიცხული, 1526 წლის გაზაფხულზე სულთან სულეიმანს თავისი წარმომადგენელი საქართველოში წარმოეგზავნა და ქართველი მეფეებისათვის თავიანთი სალოცავების დაცვისკენ მოეწოდებინა. ტიმოთე გაბაშვილიც ხომ ქართველ მეფეთა იერუსალიმში „ლაშქრობის“ მიზეზად ფრანცისკანელების წინააღმდეგ ბრძოლას ასახელებს: „განყარენით ფრანგნი მუნით და დაიპყრენით, რამეთუ სამკვიდროცა არს თქვენი“.⁵

ერთი სიტყვით, 1526 წელს უნგრეთში სალაშქროდ მიმავალმა სულთან სულეიმანმა ევროპელ ქრისტიანებს იერუსალიმში მეორე ფრონტი გაუხსნა, რომელშიც ბერძენი და ქართველი ბერები ჩართო. ამიტომ ვფიქრობთ, ქართველი მეფეები იერუსალიმში ჩავიდნენ, მაგრამ არა სალაშქროდ, არამედ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე უფლებების განსამტკიცებლად.⁶

ქართლის მეფე გიორგი (1525-1527), იმერეთის მეფე ბაგრატ (1520-1574) და კახეთის მეფე ლევანი (1510-1527) – [თ. მ.]

¹ თვალსაზრისებისა და ბიბლიოგრაფიისათვის იხ.: გ. ჯაფარიძე, იერუსალიმზე ქართველთა ლაშქრობის შესახებ 1516-17 ან 1527 წლებში. — ჟურნ. ქართველოლოგია, 3 (2011): 5-19; მისივე: ქართველთა საგანგებო..., 163.

² Χρυσόστομος, Ἡ storia ..., 509.

³ წმინდა საფლავის მოხილვის კანონის გამოცემის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. იხ.: ც. აბულაძე, წმინდა საფლავის მოხილვის ოსმალური კანონი, მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIX, 2001, 373-379.

⁴ Χρυσόστομος, Ἡ storia..., 510-512.

⁵ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, 79-80.

⁶ T. მესხი, რომელი ისტორიული მოვლენა დაედო საფუძვლად ზეპირგადმოცემას ქართველთა იერუსალიმში ლაშქრობის შესახებ?, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XVI, თბ., 2025, 141-149.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობიდან ისიც ჩანს, რომ იმ დროს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს უფლებები ქართულ ეკლესიებზე ნომინალური იყო. სულთან სულეიმანმა 1526 წელს იერუსალიმის წმინდა სალოცავები, ბალები და სხვა ქონება ბერძნული საპატრიარქოს ხელში კი დატოვა, მაგრამ ქართული ეკლესიების დაცვა ქართველ მეფეებს მიანდო.

ამ აზრს გვიმყარებს ისიც, რომ 1525 წელს სულთან სულეიმანმა გამოსცა ფირმანი, იბერთა ვაკუფებისა და პრივილეგიების შესახებ.¹ 1527 და 1532 წელს კი – იმასთან დაკავშირებით, რომ მუსლიმებმა არ შეაწუხონ იბერიელები მათ მფლობელობაში მყოფ ბალებსა და ვენახებში.² ამასთან, 1540 წლის ორი ჰუჯეთი თანხვედრაშია 1392 წლისა და უფრო ადრინდელ ჰუჯეთებთან, რომ გოლგოთა ქართველებს ეკუთვნის.³

ქართველები მნიშვნელოვან დაბრკოლებებს აწყდებოდნენ აგრეთვე არაბი მუსლიმების მხრიდან. იმის გამო, რომ ჯვრის მონასტერი ოდესღაც (სულთან ბაიბარის დროს, 1272 თუ 1273 წ. – თ. მ.) გადაკეთებული იყო მეჩეთად, მოითხოვდნენ მის აღდგენას. 1546 წელს სულთან სულეიმანმა ბრძანება გასცა, რომ ჯვრის მონასტერში აღარ ყოფილიყო მინარეთი და მეჩეთი. ეს ბრძანება რამდენჯერმე განახლდა. 1546 წელს კი, არაბების პროტესტის მიუხედავად, სულთან სულეიმანმა ნებართვა გასცა ჯვრის მონასტრის შეკეთებაზე.⁴

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ვითარება შეიცვალა.

1558 წელს, ქართველთა და ბერძენთა დიდი პროტესტის მიუხედავად, საფრანგეთის ელჩის ენერგიული ჩარევით, ფრანცისკანელებმა გოლგოთას ნაწილის დაუფლება შეძლეს.⁵

იმავე 1558 წელს, ისევ საფრანგეთის ელჩის მხარდაჭერით, ფრანცისკანელებმა დაიწყეს ბრძოლა დაირ-ალ-‘ამუდ-ის ეკლესიის დასაუფლებლად, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1536 წელს ქართველებმა ფრანცისკანელებს მიაქირავეს დაირ-ალ-‘ამუდ-ის მხოლოდ შენობა-ნაგებობები, ეკლესიის მიქირავენას კი არ დათანხმდნენ. იერუსალიმის საპატრიარქოს არქივში დაცულია 1558-1559 წლების სასამართლო პროცესების რამდენიმე ჰუჯეთი,⁶ რომლებშიც აღნიშნულია, რომ დაირ-ალ-‘ამუდი ქართველების მონასტერი იყო. ამ ჰუჯეთებიდან ერთ-ერთი (1559 წლისა), იმასაც გვაუწყებს, რომ ილუმენმა იოაკიმემ ფრანცისკანელებისგან მიითვალა ორი წლის ქირა – 200 სულთანური ფლური.⁷ მიუხედავად ამისა, 1561 წლის იანვარში, სულთან სულეიმანის კარზე გამართულ სასამართლოზე, რომელსაც ფრანცისკანელი ბერები ესწრებოდნენ, მოსამართლემ მუსლიმთა მოწმობით დაადგინა, რომ დაირ-ალ-‘ამუდი ქართველებმა ფრანცისკანელ ბერებს ოდესღაც უკანონოდ წაართვეს. შესაბამისად, სულთან სულეიმანმა, საგანგებო ფირმანით, დაირ-ალ-‘ამუდის ეკლესია ფრანცისკანელ ბერებს დაუმტკიცა.

სულთან სულეიმანის ამ ფირმანმა ფრანცისკანელები გააძლიერა, მოიპოვეს იერუსალიმში ცხოვრების უფლება, რაც ადრე ეკრძალებოდათ. რომის პაპის, პიუს II-ის (1559-1565), განკარგულებით, დაირ-ალ-‘ამუდი მაცხოვრის სახელზე აკურთხეს და უწოდეს შტ. შალვატორ.

¹ Ἀνάλεκτα, IV, 508, დოკ. 100.

² Ἀνάλεκτα, IV, 450, dok. N 3; 460, დოკ. N 4.

³ Ἀνάλεκτα, IV, 447, დოკ. N 30 და 31, თანხვედრაშია ჰუჯეთთან 21 1491 წლისა.

⁴ Ἀνάλεκτα, IV, 469, დოკ. 18; Χρυσοστόμου, Ἡ Ἐρὰ Μονὴ τοῦ Σταυροῦ καὶ ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικὴ Σχολή, Ἐν Ἱεροσολύμοις, 1905, 35, 36.

⁵ Χρυσοστόμου, Ἡ ἱστορία..., 523.

⁶ Α. Τσελίκας, Καταγραφή του αρχείου του Πατριαρχείου Ιεροσολύμων, Δελτίο του Ιστορικού και Παλαιογραφικού Αρχείου, τομ. Ε', Αθήνα 1992, 218-220; ორი ჰუჯეთი – 1558 წლის 14 ოქტომბრისა და 1559 წლის აგვისტოს დამდეგისა მიმოხილული აქვს გ. ჯაფარიძეს თავის წიგნში, ქართველთა სავანეები..., 172-176.

⁷ Ἀνάλεκτα, IV, 445, დოკ. 24.

1562 წლის 22 მაისის (=969 წლის რამაზანის თვის 18) ჰუჯეთის თანახმად, „ქართველთა ილუმენმა, ბასილმა“, ფრანცისკანელებს 80 სულთანურ ფლურად, 40 წლით მიაქირავა მთელი ბაღი, რომელიც აკრავს მონასტერს დაირ-ალ-‘ამუდ. ფრანცისკანელები ქირას იხდიან წელიწადში ორჯერ.¹ სამწუხაროდ, დოკუმენტიდან არ ჩანს, ბაღის იჯარით გადაცემა ნებაყოფლობით მოხდა, თუ ამ შემთხვევაშიც გარკვეულ ზეწოლას ჰქონდა ადგილი.

1565 წელს სამცხიდან იერუსალიმს წავიდა სურხანის შვილის – ვარაზის წარგზავნილი ფილიპე შაქარაშვილი, რომელმაც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში წელიწადნახევარი გაატარა. მის მიერ მიტანილი „საიერუსალიმო თეთრით“ დახმარება აღმოუჩინა იერუსალიმის სავანეებს (ჯვრის მონასტერს, გოლგოთას, კათამონს, წმ. გიორგის ეკლესიას და სხვ.). ზოგი აღადგინა, ზოგი შეამკო, ზოგს დაგირავებული ბარძიმ-ფეშხუმი დაუხსნა.²

ასეთი ერთჯერადი დახმარებები ქართულ მონასტერთა მძიმე ვითარებას ვერ ცვლიდა. ეს კარგად ჩანს როგორც ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან, ასევე სულთან სულეიმანის ფირმანებიდან. ქართველებს იმდენად გაუჭირდათ, რომ ვეღარ იხდიდნენ ეკლესიებიდან და მამულებიდან მიღებული შემოსავლის მეათედს, რის გადახდაც ოსმალეთის ხელისუფლების მიერ დადგენილი კანონმდებლობით ევალებოდათ. ამიტომ 1550 წელს სულთან სულეიმანმა გამოსცა ბრძანებულება, რომ მათთვის გადასახადი გადაევადებინათ. მსგავსი ბრძანებულება გამოსცა აგრეთვე 1564 წელს.³

ქართველთა ეკონომიური გაჭირვებით ისარგებლეს სომხებმაც. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ქართველებმა დაირ-ალ-‘ამუდი და მისი ბაღი ფრანცისკანელებს იჯარით გადასცეს, სომხებმა შესთავაზეს ქართველებს მათთვის იაკობ ზებედეს ძის დიდი მონასტერი მიექირავებინათ. დაიყოლიეს ქართველი ბერები, ათი წლის ქირა (500 ოქრო) ერთად გადაუხადეს, ამის დამადასტურებელი საბუთიც ჩამოართვეს და შევიდნენ მონასტერში. ამის შესახებ იერუსალიმის სასამართლოს მიერ არაბულ ენაზე დაიწერა ჰუჯეთი, რომელიც გადაეცა იერუსალიმის პატრიარქ გერმანოსს, რომელიც ხელშეკრულების გაფორმებას ესწრებოდა. შემდეგ ხელშეკრულება განაახლა პატრიარქმა სოფრონიუსმა (1579-1608), რადგან ათი წელი უკვე გასული იყო. სოფრონიუსმა ქირის საფასური 200 ოქროთი გაზარდა, მაგრამ როდესაც დრო მოვიდა და თანხა მოითხოვა, სომხებმა მისი გადახდა არ ისურვეს, ისევ 50 ოქროს გადახდა მოინდომეს, როგორც გერმანოსის დროს იხდიდნენ. სოფრონიუსმა მათ სასამართლოში უჩივლა და დაამტკიცა, რომ ცრუობდნენ, სრულად მიიღო 200 ოქრო და ამის დამადასტურებელი ჰუჯეთი, რომელიც, პროკოპი ნაზიანზელის თანახმად, სხვა ჰუჯეთებთან ერთად, იერუსალიმის საპატრიარქოში ინახება.⁴

1558-1559 და 1561 წელს დაირ-ალ-‘ამუდ-თან დაკავშირებული სასამართლო დავები რომ ფრანცისკანელთა სასარგებლოდ გადაწყდა, ამას მკვლევრები იმით ხსნიან, რომ იმ დროს ფრანცისკანელთა ლობი სულთნის კარზე ძლიერი აღმოჩნდა. ეს მართლაც ასე იყო. თუმცა,

¹ Ανάλεκτα, IV, 446, დოკ. N 26..

² ელ. მეტრეველი, მასალები..., 89, 147 (აღაბი 112); ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, 118. ქრიზოსტომოს პაპადოპულოსის თანახმად, იერუსალიმის პატრიარქმა გერმანოსმა (1537-1579) ფილიპე შაქარაშვილი ჯერ ბერად აღკვეცა, შემდეგ კი მაცხოვრის საფლავის ეკლესიის პრესბიტერად დაადგინა (Χρυσοστόμους, Η Ίερά Μονή τῶν Σταυρῶν ..., 35, 36. Χρυσοστόμους, Ἡ σπορία..., 525). სამწუხაროდ, ქრიზოსტომოსი წყაროს არ უთითებს.

³ Ανάλεκτα, IV, 469, დოკ. N 19 და N 20.

⁴ Προκοπίου μοναχοῦ Ναζιανζινοῦ, δραγομάνου τοῦ Πατριαρχείου τῶν Ἱεροσολύμων, Ἱεροσολῶν Καταπατούμενη (μετὰ τοῦ παρρητήματος Ἀνθίμου μοναχοῦ τοῦ ἑξ Ἀρχιῆλου, γραμματέως τοῦ Κοινοῦ τοῦ Παναγίου Τάφου, Ανάλεκτα, Γ', 1897, 155-156; Προκοπία Ναζιανζίνα Αραβογλύ, Ποπιραεμὴ Ἱερουσαλὶμ = Προκοπία Ναζιανζίνα Αραβογλύ, Ποπιραεμὴ Ἱερουσαλὶμ, ΠПС XIX, вып. I-й, С.-Петербург, 1904, 165-166.

ფრანცისკანელებს იმ დროსაც ძლიერი ლობი ჰყავდათ, როდესაც სულთან სულეიმანის ბრძანებით, ისინი სიონიდან გააძევეს (1523), მაგრამ მაშინ სულეიმანს გადაწყვეტილება არ შეუცვლია.¹ ამიტომ კეფიქრობთ, 1561 წელს დაირ-ალ-‘ამუდ-ის ფრანცისკანელებისთვის დაკანონებას, საფრანგეთის ელჩის აქტიურობასთან ერთად,² ხელი შეუწყო სხვა გარემოებამაც:

1537 წელს სულთან სულეიმანი გენუელებთან საზღვაო ბრძოლაში დამარცხდა. სამაგიეროდ, კათოლიკეებს წმინდა მიწაზე პილიგრიმობა აუკრძალა. იმავე წელს (1537) სულთან სულეიმანმა თავისთან დაიბარა იერუსალიმის ბერძნული ეკლესიის ახლად აღსაყდრებული პატრიარქი გერმანოსი (1537-1579), რომელსაც 1538 წელს განუახლა სელიმ I-ის (1512-1520) მიერ იერუსალიმის საპატრიარქოსადმი ბოძებული ფირმანი და პრივილეგიებიც მიანიჭა.

სულეიმანის მიერ პატრიარქ გერმანოსისადმი ბოძებულ ფირმანში იერუსალიმის ეკლესია-მონასტრები დასახელებულია იმავე თანმიმდევრობით, როგორც სელიმ I-ის მიერ 1517 წელს გაცემულ ფირმანში. ოღონდ, ჯვრის მონასტერი მოიხსენიება როგორც „*მონასტერი მეგრელ-გურჯთა, ჯვარისა*“.³

ეს ცვლილება, როგორც გაირკვა, განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1535 წელს იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-მ (1510-1565), სამცხე იმერეთს შეუერთა, აჭარა და ჭანეთი კი გურიელს გადასცა. ბაგრატ მეფეზე განაწყენებული ლევან დადიანი 1535-1538 წლებს შორის სულთან სულეიმანს ეახლა და ერთგულება გამოუცხადა. სამცხის დაკარგვით უკმაყოფილო სულეიმანი შეთავაზებას დათანხმდა და ლევან დადიანს, ერთგულების სანაცვლოდ, ჯვრის მონასტერზე უფლებები დაუმტკიცა. შესაბამისად, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ლევან დადიანმა უარი უთხრა იმერეთის მეფეს, ბაგრატ III-ს, მონაწილეობა მიეღო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში 1543 და 1545 წელს,⁴ 1538 წლის ფირმანი იყო.⁵

ამას მოჰყვა ის, რომ 1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი, რომლითაც ოსმალეთს ერგო იმერეთი, გურია, სამეგრელო და სამცხის დასავლეთი ნაწილი (ტაო-შავშეთი და კლარჯეთი). ირანს – აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი, ახალციხე), რამაც კიდევ უფრო მეტად გაართულა საქართველოში პოლიტიკური ვითარება.

1557 წელს ბაგრატ III-ისა და გიორგი II გურიელისგან შევიწროვებული ლევან დადიანი (1533-1572) სულთან სულეიმანს სტამბოლში ეწვია. მაშინ სულთანმა ლევან დადიანს ცხრა საბრძოლო ზომადი მისცა.⁶

¹ როდესაც ფრანცისკანელები სიონიდან გააძევეს, საფრანგეთის მეფემ, ფრანცისკო I-მა (1515-1547), შუამავლის როლი იტვირთა. 1528 წელს სულეიმანს სთხოვა, ფრანცისკანელები სიონზე დაებრუნებინა, მაგრამ სულთნისგან მტკიცე უარი მიიღო, Χρυσοστόμους, 'Ιστορία..., 508.

² საფრანგეთის მეფის, ანრი II-ის (1547-1559) თხოვნით, სულთან სულეიმანმა 1559 წლის 17 ივნისს გამოსცა ფირმანი, რომლითაც გაანთავისუფლა დატყვევებული ფრანგი პილიგრიმები და წმ. მიწაზე თავისუფალი გადაადგილების ნება დართო, Χρυσοστόμους, 'Ιστορία..., 523.

³ «Τὸ μοναστήριον τῶν Μεγγρελίδων Γκιουρτζιδων»: Ἀνάλεκτη, III, 1897, 223. «Монастырь Креста, принадлежащий Мингрельцам Грузинам»: ППС, т. XIX, вып. I-й, 1904, 236.

⁴ სულთან სულეიმანი სამცხეზე გავლენის დაკარგვას ვერ შეეგუა. 1543 წ., იმერეთის დასასჯელად, გამოგზავნა მუსა (მუსტაფა) ფაშა 22 000-იანი ჯარით. მაშინ ქართველებმა გაიმარჯვეს. 1545 წელს სულთანმა გამოგზავნა ჯარი დიარბექირისა და არზრუმის ფაშების სარდლობით. ამ ბრძოლაში, სოხოისტას ველზე, ქართველები დამარცხდნენ.

⁵ თ. მესხი, ჯვრის მონასტრის სტატუსი სულთან სულეიმან I-ის (1520-1566) მიერ 1538 წელს გაცემულ ფირმანში და მისი შედეგები, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 2025, 88-93.

⁶ ამ ვიზიტის შესახებ წერს ლევან II დადიანი რატიათა მიმართ ბოძებულ გუჯარში. იხ.: ექვთიმე თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909, 79.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ სულთან სულეიმანმა 1561 წელს დაირ-ალ-‘ამუდი (იოანე ღმრთისმეტყველის ეკლესია) ფრანცისკანელებს დაუკანონა.

1566 წელს სულთან სულეიმანი გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა სელიმ II (1569-1574). არც სელიმ II-ისა და არც მისი მომდევნო სულთნის, მურად III-ის (1574- 1595), დროს ოსმალეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

სელიმ II-მ (1569-1574), ტრადიციისამებრ, იერუსალიმის პატრიარქ გერმანოსს ფირმანი განუახლა. მურად III-მ (1574- 1595) – პატრიარქ სოფრონიუსს. ქართველი ბერ-მონაზვნები კი იმავე პრობლემებით განაგრძობდნენ ცხოვრებას.

1568 წლის არაბული ჰუჯეთი გვაუწყებს, რომ ორმა იბერიელმა ბერმა, იოსებმა და ბარნაბამ, საჩივარი შეიტანეს ფრანცისკანელების წინააღმდეგ, რომლებმაც ფულისა და ცრუ ჩვენების მეშვეობით, ივერიელებისაგან დაქირავებული მონასტერი მიიტაცეს. სელიმ II-მ ბრძანება გასცა, საკითხი შეესწავლათ და ეკლესია ქართველებისთვის დაებრუნებინათ.¹ ჩვენი აზრით, ჰუჯეთში მოხსენიებული ბერი ბარნაბა უნდა იყოს ჯვარის მამა ბარნაბა თბილელი, იოსები კი – ის იოსებ არქიმანდრიტი, რომელიც, ელ. მეტრეველის ჯვარის მამათა სიის მიხედვით, XVI საუკუნის მიწურულს ჯვარის მამად მოღვაწეობდა.²

შემდგომი ხანის დოკუმენტებიდან ნათელია, რომ ფრანცისკანელებს დაირ-ალ-‘ამუდი არ დაუტოვებიათ. როგორც ჩანს, ისევ ქირით ცხოვრებაზე შეუთანხმდნენ ქართველებს. სამწუხაროდ, არც ქირის რიგიანი გადამხდელები აღმოჩნდნენ. იერუსალიმის სასამართლოს 984(=1576) წლის ჰუჯეთის თანახმად, ქართველი ბერების ვედრების შედეგად, მეფის საგანგებო კაცის მიერ გაიგზავნა განჩინება, რომ ფრანცისკანელებს, რომლებსაც არ სურდათ გადაეხადათ დაირ-ალ-‘ამუდი-ისათვის შეთანხმებული წლიური ქირა, აუცილებლად უნდა გადაეხადათ. სასამართლოზე, ფრანკებს, ქართველების თანადასწრებით, განუცხადებიათ, რომ მათ ეს ქართული მონასტერი სულთან სულეიმანმა სიონის სანაცვლოდ უბოძა. ცხარე კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ ფრანცისკანელებს ქართველებისათვის ყოველწლიურად დამატებით ორმოცი სულთანური ფლური უნდა გადაეხადათ.³ იხდიდნენ თუ არა ფრანცისკანელები დაკისრებულ თანხას, ამის საბუთები არ ჩანს.

სულთან სელიმ II-ის 1568 წლის ბრძანებულება ეხება ჯვრის მონასტრის მამულებიდან მიღებული შემოსავლის მეათედის გადახდას.⁴ სულთან მურად III-ის (1574-1595) 1575 წლის 11 იანვრის (=28 რამაზანი, 982) ფირმანი კი კრძალავს ივერიელი ბერების ვაკუფური მამულების გაყიდვას,⁵ რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველთა ეკონომიკური მდგომარეობა ისევ მძიმე იყო. სავარაუდოდ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ნელ-ნელა იერუსალიმში ქართველ ბერთა რიცხვი შემცირდა. გერმანელი პილიგრიმის, ს. შვაიგერის თანახმად, 1581 წელს მან იერუსალიმში მხოლოდ ხუთი ქართველი ბერი ნახა.⁶

ფრანცისკანელებმა დაირ-ალ-‘ამუდი და მისი ბალი არ იკმარეს, სიონზე მდებარე სასაფლაოს მითვისებასაც შეეცადნენ. ამის დასტურია იერუსალიმის მსაჯულის 1005 (=1596-1597) წლის ჰუჯეთი, რომელიც ეხება იერუსალიმში გაგზავნილ სამეფო ბრძანებულებას, რომ დაეზუსტებინათ სიონის მთაზე ლათინთა, ქართველთა და ბერძენთა სასაფლაოს საზღვრები. ბრძანებულებაში ისიც აღნიშნული ყოფილა, რომ წლების წინ, მამლუქების ბატონობის დროს,

¹ Ανάλεκτα, IV, 445, დოკ. 27. ჩვენი აზრით, ჰუჯეთში მოხსენიებული ბერი ბარნაბა უნდა იყოს ჯვარის მამა ბარნაბა თბილელი, იოსები კი – ის იოსებ არქიმანდრიტი, რომელიც, ელ. მეტრეველის ჯვარის მამათა სიის მიხედვით, ჯვარის მამად XVI საუკუნის მიწურულს მოღვაწეობდა. იხ.: ელ. მეტრეველი, მასალები..., 37-39.

² ელ. მეტრეველი, მასალები..., 37-39.

³ Ανάλεκτα, IV, 445, დოკ. 28.

⁴ Ανάλεκτα, IV, 469, დოკ. 22.

⁵ Ανάλεκτα, IV, 461, დოკ. N 12.

⁶ S. Schweiger S., Raysebeschreibung aus Deutschland nach Constantinopel und Jerusalem, Nürnberg 1613, 288.

ფრანცისკანელებს ნება დართეს აეშენებინათ სახლი წინასწარმეტყველ დავითის საფლავთან, მათ კი, სახლის ნაცვლად, ააშენეს ეკლესია წმ. ქალწულ მარიამის სახელზე, რომელიც 825 წელს(=1422), სულთნის ბრძანებით, დაანგრიეს.¹ როგორც ჩანს, მაშინ (1595/1596) ფრანცისკანელებმა ქართველთა სასაფლაოს მითვისებაც შეძლეს, რადგან შემდგომი ხანის დოკუმენტებში სიონზე ქართველთა სასაფლაო აღარ მოიხსენიება.²

XVI საუკუნის 60-იან წლებში არაბი მუსლიმები კიდევ უფრო მეტად გააქტიურდნენ. საჩივარი შეიტანეს ჯვრის მონასტრის მამათა წინააღმდეგ. სულთან სულეიმანმა 1564 წლის ფირმანით მოითხოვა, გამოეკვლიათ ჯვრის მონასტერში ოდესღაც არსებობდა თუ არა მეჩეთი და მინარეთი.³ 1565 წელს კი გამოსცა ფირმანი, რომ ჯვრის მონასტერში მეჩეთი და მინარეთი არასოდეს ყოფილა.⁴

არაბი მუსლიმები ამ ბრძანებულებებმა ვერ შეაჩერა. 1571 წლის ჰუჯეთის თანახმად, სულთნის ბრძანებით, დამასკოს შარიათის სასამართლოს მსაჯულსა და მუფთის დაევალით გამოეძიებინათ საქმე იმ მეჩეთისა, რომელიც ჯვრის მონასტრის კარიბჭესთან მდებარეობდა და დაედგინათ ის ცვლილებები, რაც ქართველებმა მეჩეთის ძველ ნაგებობაში შეიტანეს. დამასკოდან იერუსალიმში ჩასული მსაჯული და მუფთი მივიდნენ იმ ადგილზე, სადაც მეჩეთი უნდა ყოფილიყო. მათ თან ახლდნენ იერუსალიმის ლივის ამირა და მავლა. „მათთან ერთად იყო მუსლიმების დიდი ჯგუფი და მრავალრიცხოვანი კრებული ღვთისმოსავ მონოთეისტებისა“.⁵

მსაჯულსა და მუფთისთან მივიდა მუსლიმების ჯგუფი და წარადგინეს სარჩელი, რომლითაც უჩიოდნენ ჯვრის მონასტრის ბერებს: ნაბა საბას ძეს, იოსებ სასარის ძეს, შილა დადას ძეს, მიჰრილ შალვას ძეს, ირსემა მიხეილის ძეს, დაშრი საბას ძეს, კალაჰბურ ხრისთავლურის ძეს, შალვა ვასაკის ძეს და იარქმა ჯაქმა კოსტას ძეს, იმის გამო, რომ „ზსენებული ადგილი ძველი დროიდან იყო დიდებული მეჩეთი – ისლამური მიჰრაბით და მის [შენობის] ზევით კი – ისლამური მინარეთი, რომელიც დაინგრა, ზოლო მისი კვალი [ქრისტიანებმა] წარხოცეს და მეჩეთს სახე იმით შეუცვალეს, რომ მის ორ კარებს შორის ააგეს გამყოფი კედელი, რომელიც მიმართულია ჩრდილოეთისკენ, რათა შექმნილიყო ორი შენობის შთაბეჭდილება, და, რომ მათ გადააქციეს ის თავიანთ სატრაპეზო სახლად, რომლის შუაში თავიანთი ალათის შესაფერისი რამ ააგეს. ზემოხსენებულმა [ქართველ ქრისტიანთა] თემმა ეს მტკიცებულებანი მართებულად არ მიიჩნია“.⁶

ამის შემდეგ, მუსლიმებმა წარადგინეს „ასლი შარიათის დავთრისა“, რომელიც დათარიღებული იყო 1569 წლის თებერვლის შუა რიცხვებით. ამ საბუთის მიხედვით, „აღნიშნული ადგილი იყო ძველი მეჩეთი, ისლამური მიჰრაბითა და ისლამური მინარეთით“. ქართველებმა, როცა ეს საბუთიც უარყვეს, მაშინ მოსარჩლეებმა მოიყვანეს მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს დავთრის ასლის სისწორე. შემდეგ „მეჩეთის უკანა ნაწილში აღმოჩნდა ძველი მიჰრაბი და ქვა, რომელზედაც ზსენებული მეჩეთის [აგების] თარიღია. [ქვა] ნამტვრევებად იყო ქცეული და მისი წარწერიდან არ ჩანდა რა, გარდა ბასლამასი. მაჟლამ,

¹ Ἀνάλεκτα, IV, 447-448, dok. N 34.

² თ. მესხი, ქართული სასაფლაოები იერუსალიმსა და მის შემოგარენში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, 19 (1), გორი, 2020, 122-125.

³ Ἀνάλεκτα, IV, 512, დოკ. N 147.

⁴ Ἀνάλεκτα, IV, 469, დოკ. N 21.

⁵ სალამე ო., გერშონ ბენ ორენი., ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით, თბ., 1991, 10-11.

⁶ იქვე, 19-20.

მსაჯულმა და მუფთიმ ბრძანეს “მოშორება და დანგრევა ორ კარებს შორის არსებული კედლისა, რომელიც მაშინვე იქნა დანგრეული”¹

ე. მამისთვალიშვილს მიაჩნია, რომ ღოკუმენტში დასახელებულ ქართველ მამათა შორის პირველი – ნაბა საბას ძე, ჯვარის მამა ბარნაბა თბილელი უნდა იყოს, რომელიც იმავდროულად თბილისის მთავარეპისკოპოსიც იყო. მის სახელთან დაკავშირებულია ჯვარის მონასტერში კულტურული საქმიანობის გამოცოცხლება.²

ოსმალეთის ხელისუფლება, იერუსალიმში სხვადასხვა ქრისტიანულ თემებს შორის ძალთა თანასწორობის შენარჩუნების მიზნით, ზოგჯერ ქართველების დამცველად გამოდიოდა. ამის მტკიცებულებად ე. მამისთვალიშვილი იმოწმებს სულთნის 1577 წლის ბრძანებულებას, რომელშიც არ არის აღნიშნული სულთნის სახელი, მაგრამ თარიღის მიხედვით ის იყო მურად III (1574-1595). სულთანი იერუსალიმის ყადის და სანჯაყებს მიმართავს: „გურიისა და იმერეთის მთავრების ელჩებმა მაცნობეს, რომ იერუსალიმში არსებული ქართველთა სალოცავები, რომლებიც უძველესი დროიდან მათ საკუთრებაში იყო, ფრანგებმა და სომხებმა მიიტაცეს. ებრძანებ, რომ: მოიხმეთ იერუსალიმის წარჩინებულები, გააცანით ვითარება და გაარკვიეთ, ეს სალოცავები ძველთაგან ნამდვილად ქართველებს ეკუთვნის თუ სხვებს? მხოლოდ თავდაპირველ მფლობელებს მიეცით საშუალება, რომ მოილოცონ ეს ადგილები, ხოლო დანარჩენებს აუკრძალოთ! შედეგი წერილობით წარმომიდგინეთ! 985 წლის 25 მუჰარამი / 1577 წლის 14 აპრილი“.³

იბერიელ ბერ-მონაზვნებს არა მხოლოდ არაბი მუსლიმები, არამედ ოსმალეთის ხელისუფლების მოხელეებიც ავიწროვებდნენ, რადგან სულთანი სელიმ II 1567 წლის ფირმანით ბრძანებს, რომ აუკრძალონ მმართველებსა და მათ ხელქვეითებს, მოსთხოვონ იბერიელებს ხორბალი, საპონი და ზეთი.⁴

მსგავს პრობლემას ეხება კიდევ ერთი საბუთი, 1585 წლის 12 აგვისტოსი, შედგენილი იერუსალიმის მსაჯულის კანცელარიაში. საბუთის შედგენის მიზეზი წარმოდგენილია შემდეგნაირად: „ჩვენს მავლასთან... მოვიდა იოვანე გიორგის ძე, ქრისტიანი ქართველი, ღვთისმეტყველი... ქრისტიან ქართველთა თემის [წარმომადგენელი] დიდებულ იერუსალიმში და წარმოადგინა მისი ხელით დიდებული ბრძანება სულთნისა, რომელსაც ღვთის შეწევნით სრული ძალა აქვს“. [ბრძანების] მოკლე შინაარსი შემდეგია: „ქართველ ქრისტიანთა თემი, რომელიც ცხოვრობს დიდებულ იერუსალიმში, ფლობს მიწებს, ზვრებს და მონასტრებს და რომ ზოგიერთი ალ-ლაჟანდიდა⁵ ავიწროებს მათ, უკანონოდ იღებს მათგან ფულსა და სარჩოს, რომ სომეხთა, ფრანკთა და ნესტორიანთა ქრისტიანული თემები და დანარჩენი ქრისტიანული თემებიც თავს ესხმიან მათ და უკანონოდ იღებენ მათგან ფულს, და რომ არ ეგების ვინმემ შეავიწროოს ისინი და არც რომ აიღოს მათგან რაიმე უკანონოდ. და როდესაც მონასტრებისაგან რაიმე ძველი ნაწილი დაინგრევა, აღდგეს დანგრეული ძველი [ნაწილი] იმის გარეშე, რომ აშენდეს რაიმე ახალი – შარიათის მსაჯულისთვის შეტყობინებით. [იოვანემ] სთხოვა ჩვენს მავლას, ზემოხსენებულ მსაჯულს, რომ შეეტანა ეს [ბრძანება] სასამართლო დავთარში და ამოეწერა მისთვის ჰუჯატი, რათა არავის შეევიწროვებინა ის, არ დასხმოდა თავს – არც მუსლიმი და არც ქრისტიანი და არვის გაეცა [მტრულად] ხმა მისი თემისთვის, და არც რაიმე აეღო მათგან უკანონოდ. ჩვენი მავლა, ხსენებული მსაჯული, დაემორჩილა დიდებულ ბრძანებას

¹ სალამე ო., გერშონ ბენ ორენი., ქართველები იერუსალიმში..., 21-22.

² ე. მამისთვალიშვილი, ოსმალეთის სულთნების ფირმანები იერუსალიმის ქართული მონასტრების შესახებ (XVII ს.), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენციის (გორი, 12-13 დეკემბერი, 2014) სამეცნიერო შრომების კრებული, გორი, 2015, 38-43.

³ ე. მამისთვალიშვილი, ოსმალეთის სულთნების ფირმანები..., 41.

⁴ Ἀνάλεκτη, IV, 475, დოკ. N 2.

⁵ ოსმალთა მმართველთა პირადი ამაღლის ჯარისკაცი.

და შეიტანა ის სასამართლო დავთარში იმავე დღეს და დაწერა ეს, რათა იყოს ხელწერილი საჭიროების შემთხვევაში...”¹

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ნათელია, რომ ქართველმა ბერებმა მთელი XVI საუკუნე ფრანცისკანელებთან, სომხებთან და არაბ მუსლიმებთან დავაში გაატარეს. ისიც ნათელია, რომ ვიდრე საქართველოსა და ოსმალეთს შორის, სამცხის გამო, ურთიერთობები დაიძაბებოდა და მტრული გახდებოდა (1535), ოსმალეთის ხელისუფლება იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი ლოიალობას იჩენდა. 1543 და 1545 წელს იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის, დასასჯელად გამართული ომების შემდეგ, ოსმალეთის ხელისუფლების დამოკიდებულება იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მიმართ შეიცვალა.

Tamar Meskhi

Ilia State University

G. Tsereteli Institute of Oriental Studies

**THE CONDITION OF GEORGIAN CHURCHES AND MONASTERIES
IN JERUSALEM IN THE 16TH CENTURY
RESUME**

Sultan Selim I (1512–1520) delighted by the conquest of Jerusalem, acted with tolerance and left under the authority of the Greek Orthodox Church of Jerusalem those holy shrines in and outside the city that had been granted by Caliph Umar (634–644) and previous sultans. Among these churches and monasteries were also the Georgian churches and monasteries.

Selim I's decree deeply angered the Latins (the Franciscans) and the Armenians, who were striving to establish themselves in Jerusalem and to gain control of the holy shrines. Therefore, during the period of Ottoman rule (1517–1917), the principal challenge of the Greek Orthodox Church of Jerusalem was to protect the shrines of the Holy Land from them. The Georgian community of Jerusalem faced the same challenge.

The research revealed that in 1523 Georgians and Franciscans clashed on Mount Zion over the church located at the Tomb of the Prophet David. In 1541–1542, the dispute concerned the Church of Golgotha. On both occasions, the court ruled in favor of the Georgians. In our view, the Georgian victories were determined not only by the fact that the Georgians presented “old and solid evidence,” as an Arabic document dated 24 October 1523 informs us, but also by the hostile attitude of the Ottoman authorities toward the Franciscans.

In 1536, the Franciscans entered the Georgian monastery of **Dayr al-‘Amud**, located in Jerusalem, as tenants. In 1558 and 1559, the Franciscans attempted, through the courts, to seize the said monastery from the Georgians. In 1561 they indeed achieved their aim: Sultan Suleiman (1520–1566) legally granted **Dayr al-‘Amud** to the Franciscans. In 1558, the Franciscans also managed to occupy part of the Church of Golgotha.

At exactly the same period (1562–1565), because of economic hardship, the Georgians leased the large monastery of **James (Zebedee’ son)** to the Armenians, which the latter later usurped. Arab Muslims, for their part, demanded the restoration of a mosque and a minaret at the **Monastery of the Cross**.

Thus, until relations between Georgia and the Ottoman Empire became strained (1535) and turned into open hostility, the Ottoman authorities displayed a loyal attitude toward the Georgian churches and monasteries in Jerusalem. In the second half of the 16th century, the situation changed to the detriment of the Georgians.

¹ სალაშქო ო., გერშონ ბენ ორენი., ქართველები იერუსალიმში..., 23-24.

არმაზის კერპის საკითხი ქართულ-ხეთური და ქართულ-ირანული რელიგიური მიმართებების მიხედვით

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმართული რელიგიური სამყარო და სისტემა. ამ მიმართულებით ყველაზე აქტიური განხილვის საგანია ფარნავაზის მიერ შემოღებული არმაზის კულტი, რომლის შესახებაც ძალზედ ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება და შეხედულებაა გამოთქმული. ეს ურთიერთწინააღმდეგობანი, მეტწილად არმაზის კულტის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით წარმოიშობა. შევეცდებით მკითხველს მოკლედ გავაცნოთ საკითხის გარშემო არსებული ძირითადი შეხედულებანი, ხოლო შემდეგ წარმოვაჩინოთ ჩვენ ხედვას.

ისტორიოგრაფიული მიმოხილვა (ძირითადი ორიენტირები)

არმაზის კულტის საკითხთან დაკავშირებით ორი ძირითადი შეხედულება გამოიყოფა. ერთნი მას ირანულ რელიგიურ წრესთან აკავშირებენ, ხოლო მეორენი-ხეთურ-მცირე აზიურთან. ერთ-ერთი პირველი, ვინც არმაზის კულტის დეფინიცია სცადა აკად. ნიკო მარი იყო. მარმა თავის ნაშრომში არმაზი დაუკავშირა სპარსულ აჰურამაზდას, თუმცა მან იქვე გამოთქვა ეჭვი, რომ თუ ფარნავაზი ორმუზდის ანუ ზოროასტრიზმის მიმდევარია იგი არ უნდა დაეკრძალათ არმაზის კერპის წინ, ვინაიდან ზოროასტრიზმი სასტიკად კრძალავს მიცვალებულის მიწასთან შეხებას.¹ არმაზის კულტის საკითხს ასევე შეეხო გერმანელი დიპლომატი და ორიენტალისტი ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკი, მანაც არმაზი და აჰურამაზდა ერთმანეთს დაუკავშირა.² შედარებით განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა მიხაკო წერეთელმა 1924 წელს გამოცემულ ნაშრომში “ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა”. მიხაკო წერეთელი აღნიშნავს: “სახელი მთავარის ღმერთისა არმაზ შეიძლება უდრიდეს სპარსულ ორმუზდს, ე.ი. აჰურამაზდას... შესაძლებელია ქართულ წარმართობაზე ისეთი დიდი გავლენა მოეხდინა მაზდაიზმს, რომ არმაზი (აჰურამაზდა) სახელად დასდებოდა მთავარ ღმერთს წარმართ ქართველთა. მაგრამ აქ კი ჩვენ წყაროებში გაბნეული საგულისხმეო ცნობები დიდ ეჭვს გვიბადებს-ეს არმაზი მართლა აჰურამაზდა იყო, თუ მხოლოდ სახელი გადვიდა მისი ქართველთა მთავარ ღვთაებაზე? ჩვენის ფიქრით მარტო სახელთანა გვაქვს აქ საქმე და არა თვით სპარსთა ღმერთ აჰურა-მაზდასთან. თვით ხასიათი არმაზისა, როგორც ის არის გადმოცემული ქართულ წყაროებში, არ არის სრულიად ხასიათი აჰურა-მაზდასი, არამედ ხეთელთა ღმერთის თეშუბის-ელვა-ჭექის, ატმოსფეროს ღმერთისა”.³ აღნიშნულ საკითხს გვერდს ვერ აუვლიდა აკად. ივანე ჯავახიშვილი. იგი მიუთითებდა, რომ არმაზს აჰურამაზდასთან სახელის გარდა სხვა მეტი საერთო არაფერი ჰქონდა. ივანე ჯავახიშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა და გარკვეული ეჭვიც კი გამოთქვა საერთოდ არმაზის კერპის არსებობის შესახებ. მისი თქმით არმაზის კულტის არსებობის ერთადერთ გარემოებად გეოგრაფიული სახელი არმაზ-ციხე გვევლინება, რომელსაც

¹ Н. Март, Боги языческой Грузии по древне-грузинским источникам, Санкт-Петербург, 1901, гл. 6

² О. Wezendonk, Über georgisches Heidentum (Verlad der “Asia Major”), Leipzig, 1924, гл. 77-91

³ მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინეპოლი, 1924, გვ. 79-80

ჯავახიშვილი, ძალზე ფრთხილი ვარაუდით “ქალდეურ მეფეთა შორის მიღებულ სახელ არამესთან” აკავშირებდა.¹ აღნიშნული საკითხი სპეციალურად არ უკვლევია, თუმცა თავის სრულად განსხვავებული შეხედულება გამოთქვა აკად. კორნელი კეკელიძემ. იგი თავის სტატიაში “ქრისტიანობა და მითრანიზმი” არმაზის კერპთან დაკავშირებით აღნიშნავს: “...ახლო ვიქნებით სიმართლესთან, თუ ვიფიქრებთ, რომ გულუბრყვილო მემკვიდრე ტყველა მონათლა არმაზის სახელით ის კერპი, რომელიც ნათლად წარმოადგენდა მითრას ბარელიეფს, გამოხატულებას. მართლაც, მითრა ყველა დღემდე აღმოჩენილ ბარელიეფზე წარმოდგენილია როგორც მხედარი: მას ასხია სამხარე, თავზე ახურავს ჩაფხუტისებური ქუდი და ხელში უჭირავს ალესილი ხანჯალი, რომლითაც ის ხარსა ჰკლავს.”²

არმაზის კულტის შემსწავლელ ისტორიოგრაფიაში ახალი ეტაპი დაკავშირებულია ანა ბოლტუნოვას სახელთან, რომელმაც წამოაყენა მოსაზრება, რომ არმაზი უნდა მომდინარეობდეს ხეთურ-მცირე აზიური მთვარის ღვთაება არმასგან.³ ამ მოსაზრებას იზიარებდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები გიორგი მელიქიშვილი⁴ და ანდრია აფაქიძე.⁵ განსახილველ საკითხს შეეხო აკად. გრიგოლ გიორგაძეც, თუმცა არმასთან აკავშირებს იგი არმაზს თუ თეშუბთან რთული გასამიჯნავია,⁶ სავარაუდოა რომ უკანასკნელი ვერსიისკენ უფრო იხრება, თუმცა სხვა სტატიაში წერს, რომ მათ შორის ტოლობის ნიშანს მაინც არ სვამს.⁷

ჩვენ საუკუნეში არმაზის კულტის შემსწავლელ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა მესამე მიმართულებაც, რომელიც არმაზს ხელოვნურად სამეფო მმართველობის მიერ ჩამოყალიბებულ კულტად თვლის და აღნიშნავს, რომ მასში რამდენიმე რელიგიური ნაკადი ერთიანდება, თუმცა ამ შეხედულებებს შორისაც საკმაოდ არის სხვაობა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.⁸ ჩვენი ხედვაც უფრო მეტად, სწორედ, ამ უკანასკნელ ვერსიასთან ავლენს მეტ სიახლოვეს.

არმაზის კულტის წარმოშობის საკითხისათვის

არმაზის კულტის საკითხთან დაკავშირებით წამოიჭრება რამდენიმე სადისკუსიო საკითხი. პირველი საკითხი, რომელსაც უნდა შევეხოთ უკავშირდება ფარნავაზის განდმრთობას არმაზის კერპის სახით. ეს მოსაზრება მომდინარეობს “მოქცევაი ქართლისაჲს” და “მეფეთა ცხოვრების” ფრაზიდან, რომლის მიხედვითაც ფარნავაზმა კერპს საკუთარი სახელი დაარქვა, რადგან თურმე საპარსულად ფარნავაზი არმაზია. აქედან გამომდინარე უამრავი მკვლევარი მყარად ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ რომ საქმე უნდა გვქონდეს ფარნავაზის აპოთეოზთან მისსავე სიცოცხლეში. “მოქცევაჲ ქართლისაჲს” და “მეფეთა ცხოვრების” ტექსტები თითქოს ერთი და იმავეს ამბობენ,

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად ტ. I, თბილისი, 1979, გვ. 149

² კ. კეკელიძე, ქრისტიანობა და მითრანიზმი, წიგნში ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტ. II, თბილისი, 1945, გვ. 351

³ А. Болтунова, К вопросу об Армази, Вестник Древней Истории №2, 1949, гв. 236-240

⁴ Г. Меликишвили, К истории Древней Грузии, Тбилиси, 1959, гв. 112

⁵ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963, გვ. 78

⁶ გ. გიორგაძე, ხეთურ-არმაზული “ტრიალები”, მნათობი №7, 1985, გვ. 156

⁷ გ. გიორგაძე, კიდევ ერთხელ არმაზის კერპის დეფინიციისათვის, ანალები №2, 2004, გვ. 9

⁸ ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან “მოქცევაი ქართლისაჲს” და “ქართველ მეფეთა ცხოვრების” მიხედვით, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2006, გვ. 93-108; ვ. ვაშაკიძე, ძველი ქართული წარმართული ღვთაებები და სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა, ერთიანი ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე, წიგნში საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბილისი, 2014, გვ. 181; L. Gordeziani, I. Tatišvili, Hittite Elements in the Iberian State Cult of Armaz, Studies in Honour of Ahmet Ünal Armağanı, 2016, გვ. 267-273

მაგრამ ეს პასაჟები რამდენადმე მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მოვიყვანთ ორივე მათგანს: “მოქცევაი ქართლისაჲში” გკითხულობთ: “და შემდგომად მისსა დადგა ფარნავაზ. მან აღმართა კერპი დიდი ცხვ(რ)სა ზედა, და დასდგა სახელი მისი არმაზი.”¹ ლეონტიმეტყველ ცნობაში ასეთი რამე იკითხება: “და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა”.² “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ავტორი არსად არ აღნიშნავს, რომ ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქვა. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ფარნავაზის განდგომის შესახებ მოსაზრება, სწორედ, ამ ლეონტიმეტყველ ცნობას ეფუძნება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ძალზედ საინტერესო და ჩვენის ფიქრით მართებული შეხედულება აქვს ჩამოყალიბებული ქართველ ისტორიკოსს გონელი არახამიას. მოგვყავს ვრცელი ციტატა მისი ნაშრომიდან: “აღნიშნული მსჯელობისთვის “მეფეთა ცხოვრების” ავტორს სხვა წყარო, გარდა “მოქცევაჲს” ზემოთ მოტანილი ცნობისა, არა აქვს, ამიტომ მას საფუძვლად ედება არა სხვა წყარო, არამედ თვით “მოქცევაჲს” ფრაზის-ფარნავაზმა “აღმართა კერპი... და დასდგა სახელი მისი არმაზი”-არასწორი გაგება. მოტანილი ფრაზის ნაცვალსახელი “მისი”, რომელიც კერპს მიემართება, “მეფეთა ცხოვრების” ავტორის მიერ გააზრებულ იქნა ფარნავაზთან მიმართებაში, რის შედეგად წყაროს ფრაზაში ჩადებული აზრი-ფარნავაზის მიერ კერპის სახელწოდებად არმაზის დაწესება-შეიცვალა იმით, რომ კერპის სახელწოდება არმაზი ფარნავაზმა თავისი სახელის მიხედვით დაარქვა. წყაროს აღნიშნული ფრაზის ასეთი გაგების შედეგად წარმოიშვა შეუსაბამობა: მეფის მიერ “სახელსა ზედა თჳსსა” შექმნილი კერპის სახელწოდება “არმაზი” და იმავე მეფის სახელი ფარნავაზი არ ემთხვევიან ერთმანეთს. ეს შეუსაბამობა ახსნას მოითხოვდა და “მეფეთა ცხოვრების” ავტორმა ეს იმით სცადა, რომ “ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა”-ო. ამრიგად “მეფეთა ცხოვრების” ცნობა, რომლის თანახმად კერპი არმაზი ფარნავაზმა შექმნა “სახელსა ზედა თჳსსა... რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა”, აღნიშნული კერპის შესახებ “მოქცევაჲს” მცდარი ცნობის აზრობრივად არასწორი გაგებით მიღებული ფაქტის მცდარადვე ახსნის შედეგია”.³ ამრიგად ამ მსჯელობით ცხადი და ნათელი ხდება, რომ “მოქცევაჲს” “დასდგა სახელი მისი”, სრულებითაც არ ნიშნავს იმას რომ ფარნავაზმა კერპს საკუთარი სახელი დაარქვა, ნაცვალსახელი მისი, როგორც გონელი არახამიამ აჩვენა ეკუთვნის მას ვისაც ეს სახელი ეწოდა და არა სახელის დამრქმევს. ამრიგად, მტკიცება, რომ ფარნავაზმა საკუთარ სიცოცხლეში თავი ღმერთად გამოაცხადა ძალზედ სათუო ჩანს. ამ მოსაზრების განმტკიცება ფარნავაზის სიზმრის მოხმობით კი ნაკლებ გასაზიარებელია, რადგან ამ მოარული სიუჟეტით, რომელიც ძველ სამყაროში ყველგან გვხვდება და უბრალოდ მეფის რჩეულობას უსვამს ხაზს, რთულია ვამტკიცოთ კაუზალური კავშირი ფარნავაზის მისტიკურ სიზმარსა და მეფის სავარაუდო დეიფიკაციას შორის. ამავე პრინციპით მაშინ შესაძლებელია, რომ ვამტკიცოთ ლუი XIV-ს, “მეფე მზეს” განმდროშობაც. აქვე ვერ დავეთანხმებით მარიამ გველესიანის მტკიცებას, რომ ფარნავაზის ეპოქაში დიადოხოსთა და მმართველთა დეიფიკაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო,⁴ თუ ამ პერიოდში ალექსანდრეს მემკვიდრეებს შორის მსგავსი შემთხვევები გვაქვს ეს

¹ შატერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გივინიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979, გვ. 320

² ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 25

³ გ. არახამია, “მოქცევაჲ ქართლისაჲს” და “ცხოვრება ქართველთა მეფეთა”, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბილისი, 1991, გვ. 57-58

⁴ მ. გველესიანი, არმაზის კერპის კულტურულ-ისტორიული ასპექტები (არმაზის კულტის დეფინიციისათვის), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2003, გვ. 45

ძირითადად გარდაცვლილებთან დაკავშირებით ხდება. გარდაცვლილი მეფის კულტი და ცოცხალი მეფის კულტი რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა აღვნიშნავთ რომ ფარნავაზის განმდრთობა მისი გარდაცვალების შემდეგაც არაფრით არ დასტურდება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით მეტი გამზიარებული აღმოაჩნდა არმაზის კერპის ხეთური წარმოშობის ვერსიას. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოს ის გარემოება, რომ როდესაც ტერმინ “ხეთურს” იყენებენ მასში ოდენ ნესიტურს იშვიათად მოიაზრებენ ხოლმე, იმიტომ რომ ხეთურში გულისხმობენ “...სხვადასხვა ანატოლიურ ტრადიციას, რომელთა სიმრავლე დასტურდება ხეთურ ტექსტებში”¹ და სწორედ, ამის გამო გაგება იმისა თუ რა არის უშუალოდ ინდოევროპელი ხეთებისა რთულია ხოლმე. როგორც აღვნიშნეთ ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებობს არმაზის არმასგან მომდინარეობის თეორია, რაც მეტწილად გაზიარებული შეხედულებაა. აღსანიშნავია, რომ აჭურამაზდა-არმაზის მოწინააღმდეგენი წერენ მხოლოდ სახელშია მსგავსებაო, თუმცა აქვე შეიძლება დავსვათ შემხვედრი შეკითხვა და სახელის მსგავსების გარდა რითი მტკიცდება არმა-არმაზის მიმართების საკითხი? არგუმენტები არც ამ შემთხვევაში გამოიყურება ძალზედ რეპრეზენტაბელურად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ საკითხს შეეხო გრიგოლ გიორგაძეც. მას ხეთურ-მცირე აზიური წარმოშობის თეორიის სასარგებლოდ მოჰყავს ორი მთავარი არგუმენტი: ტრიადების საკითხი და გარეგნული აღწერილობის მსგავსება. გრიგოლ გიორგაძე წერდა, რომ “მთავარ ღვთაებასთან ერთად. ...წყვილი ღვთაებანი ქმნიდნენ ღვთაებათა ე.წ. ტრიადას, რომელიც ფუნქციონალურად ერთ დიდ კულტს განასახიერებდა. ძირითად და წყვილ მცველ თუ მსახურ ღვთაებათა ასეთი “ტრიადები” როგორც ჩანს დამახასიათებელი იყო მხოლოდ ხეთურ-ხურიტული სამყაროსათვის”.² ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოს, რომ არსად არ ჩანს თითქოს გაცი და გა არმაზის მსახურები იყვნენ და ერთ დიდ კულტს განასახიერებდნენ. ჩვენი აზრით შემთხვევითი არაა, რომ სადაც კი არმაზის კერპის აღმართვაზეა საუბარი იმ პასაჟებში გაცი და გას კერპების ხსენებასაც ვერ ვხედავთ. ასევე დისონანსის შემოძტანად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გაცი და გა, გიორგაძის ვერსიით მსახური ღვთაებები, ოქროსა და ვერცხლისაგან არიან დამზადებულნი, ხოლო ტრიადის მთავარი წევრი ნაკლებპირფასი მასალისგან, სპილენძისგან. ამ წინააღმდეგობის შესახებ გრიგოლ გიორგაძემ თავადაც მიუთითა, თუმცა ახსნა არ მოუცია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ტრიადები, მხოლოდ ხეთურ-ხურიტული სამყაროსათვის არ იყო დამახასიათებელი. იგი გვხვდება ეგვიპტურ, შუმერულ-აქადურ, სემიტურ და მათ შორის ზოროასტრულ სისტემაში. ღვთაებრივი ტრიადების არსებობა სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა ძველი სამყაროს წარმართული პანთეონებისათვის, ამიტომაც ხეთურსა და არმაზულს შორის კავშირი (ეს უკანასკნელი საერთოდ თუ არსებობს იმ შემთხვევაში) გენეტიკურია თუ მხოლოდ ტიპოლოგიურის ფარგლებში ჯდება რთული სათქმელია. თუმცა უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ ძველანატოლიურ ტრიადებს გარკვეულწილად განსხვავებული იკონოგრაფიული ფორმაც აქვთ. ცხადია, ძველ წარმართულ რელიგიურ სისტემებს შორის ტიპოლოგიური მსგავსებები ვერ გახდება საფუძველი ვამტკიცოთ მათ შორის რაიმე გენეტიკური კავშირის არსებობა. თუმცა ცხადია, ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ ხეთურსა და ქართულს შორის არ იყოს გენეტიკური კავშირებიც, მაგალითად, გენეტიკური კავშირის ნათელ ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს სამყაროს ვერტიკალურ ზონებად დაყოფა. აღსანიშნავია, რომ ხეთურ კოსმოლოგიურ სისტემაში ვხედავთ, როგორც სამყაროს ორწევრიან, შედარებით არქაულ, ასევე სამყაროს სამწევრიან, შედარებით გვიანდელ, დაყოფასაც, რაც ასევე დამახასიათებელია სკნელების

¹ ირ. ტატიშვილი, ლ. გორდუზიანი, კიდევ ერთხელ ხეთურ-ქართული პარალელების შესახებ, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XIV, 2011, გვ. 167

² გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი, 1988, გვ. 147-148

“ქართული სისტემებისათვის”,¹ აქაც შესამჩნევია სამწვერიანი და უფრო ადრინდელი ორწვერიანი დაყოფა. ამიტომაც ვთვლით, რომ მცირე აზიური სამყაროს გავლენა ქართულ რელიგიურ წარმართულ სამყაროზე ხელაღებით უარსაყოფი არ არის. პირიქით, ზემოთ მოყვანილი მაგალითი ადასტურებს, რომ მცირე აზიური რელიგიური ნაკადი ქართულ წარმართულ სამყაროში არსებობს და ის გავლენას ახდენს წარმართული მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. ამის კიდევ ერთ მაგალითს ჩვენი აზრით მზისა და მთვარის წარმართული ღვთაებების სქესი წარმოადგენს.

არმაზის კულტის საკითხზე მსჯელობისას გვერდს ვერ აგუვლით არამაზდის კულტს არმენიაში, რომელიც სომხური წარმართული პანთეონის უმაღლეს ღვთაებად მიიჩნეოდა. არმაზი-არამაზდის მიმართებებს ყურადღება მიაქცია მარიამ გველესიანმაც. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სომხური წყაროების მიხედვით სომხური წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაება არამაზდი განეკუთვნება ე.წ. კრეაციონისტ ღვთაებას. არამაზდის შემოქმედობის საილუსტრაციოდ გველესიანს მოჰყავს აგათანგელოსის ცნობა, რომელშიც სომხეთის მეფე თრდატ III არამაზდს ზეცისა და მიწის შემოქმედად მოიხსენიებს, ამასთანავე აგათანგელოსი პირდაპირ წერს, რომ სომეხთა უზენაესი ღვთაება არის “სიუხვისა და ნაყოფიერების მომნიჭებელი”.² აქედან გამომდინარე არამაზდსა და არმაზს შორის გენეტიკური კავშირის დასადგენად უნდა გაირკვეს ჰქონდა თუ არა შემოქმედი ტიპის ბუნება არმაზს. ამ ცნობებს ორგანულად ერწყმის “მოქცევაჲ ქართლისაჲში” დაცული ცნობები, სადაც მეფე მირიანი ქართლის წარმართულ ღვთაებებს ასე უხასიათებს წმინდა ნინოს: “...აჰა ესერა, ღმერთნი ღიღნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყანისა ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი...”³ ამ პასაჟშიც, შესაძლოა ჩანდეს ხაზგასმა შემოქმედებით ბუნებაზე შემოქმედებითი ბუნების მატარებელი იყო აჭურამაზდა, ამიტომაც, სავარაუდოა, რომ არმაზისა და არამაზდის კულტების გაჩენა დაახლოებით ერთდროულად უნდა მომხდარიყო, თუმცა ქართული არმაზი ბევრად განსხვავდება, აჭურამაზდასაგან, მაშინ როცა არამაზდი უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს მასთან. ქართული წარმართული ღვთაება არმაზი ერთდროულად აერთიანებს საკუთარ თავში როგორც მეომარ, ისე ამინდის და შემოქმედ ღვთაებას. ეს სამგვარობა მისი ბუნებისა ჩვენი აზრით განპირობებულია ღვთაების სინკრეტული ხასიათით, რომელიც საკუთარში თავში აერთიანებს ირანულ და მცირე აზიურ რელიგიურ ნაკადს.

დასკვნა

დასკვნის სახით ჩვენი ხედვა საკითხის შესახებ ასეთია: არმაზი არის სინკრეტული ღვთაება, რომელშიც სუბსტრატის, ძალზედ არქაულ შრეებში აისახა ანატოლიური სამყაროსათვის დამახასიათებელი რელიგიური წარმოდგენები, რასაც მოგვიანებით დაერთო სპარსული რელიგიური წრე, რომელმაც სინკრეტული ღვთაების სახე მოგვცა. ამ ვარაუდს შეიძლება ზურგი გაუმაგროს იმ ფაქტორმაც, რომ დღეს ის, რაც ხეთური წყაროების ხაიასას, ასურულის დაიაენსა და ურარტულის დაიუხსა და კოლხას მოიცავს გააზრებულია ერთი

¹ ირ სურგულაძე, ტერმინ “სენელის შესახებ, ანალები №1, 2004, გვ. 74-76

² მ. გველესიანი, ქართული არმაზი, სომხური არამაზდი და ირანული სამყარო, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები VIII, 2003, გვ. 7

³ ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 106

ტერიტორიული სივრცის სხვადასხვა სახელწოდებებად.¹ ამ გეოგრაფიულ სივრცეს ემთხვევა “მოქცევაჲ ქართლისაჲს” არიან ქართლიც, რომელიც შეიძლება ანატოლიური და ირანული რელიგიური დინებების შემკრებად იქცა. ცხადია, რომ თუ ასეთი სინკრეტიზაცია მოხდებოდა მასში ადგილს დაიმკვიდრებდა წმინდად ქართული წარმართული შრეც. არ არის გამორიცხული, რომ არმაზში ადგილობრივი მთვარის თაყვანისცემის ელემენტებიც გაერთიანდა. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ არმაზის კერპი აღიმართება იმ ადგილას, სადაც დაკრძალულია ქართველთა ეთნარქი ქართლოსი. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავსვათ საკითხი, რომ არმაზის კულტში შესაძლოა არეკლილიყო ანატოლიური, არიული და ქართველური რწმენა-წარმოდგენების სისტემა, რამაც არმაზის განსაკუთრებული სახე მოგვცა და რამაც ასე გაართულა არმაზის კულტის დეფინიცია.

Zaza Karchava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**THE ISSUE OF THE ARMAZ CULT ACCORDING TO GEORGIAN-HITTITE AND
GEORGIAN-IRANIAN RELIGIOUS RELATIONS
RESUME**

The pagan religious world and system of the Kingdom of Kartli (Iberia) is an unresolved problem in Georgian historiography to this day. The most active subject of discussion in this direction is the cult of Armaz introduced by Parnavazi, about which many contradictory opinions and views have been expressed. These contradictions arise largely in connection with the issue of the origin of the cult of Armazi. We will try to briefly introduce the reader to the main views surrounding the cult of Armazi, and then we will present our own vision.

Georgian literary tradition credits the first king of Kartli, Pharnavaz I of Iberia, with the raising of the idol Armaz – reputedly named after him – on a mountain at his capital, and the construction of an Armazi fortress. The Life of Nino (9th or 10th century) describes the statue of Armazi as "a man of bronze standing; attached to his body was a golden suit of chain-armour, on his head a strong helmet; for eyes he had emeralds and beryls, in his hands he held a sabre glittering like lightning, and it turned in his hands". The same account asserts that its subject, a 4th-century female baptizer of Georgians Saint Nino, witnessed the celebration of a great feast of dedication for the idol, and as she began praying, the idol was burnt by lightning.

There are two main views on the issue of the cult of Armaz. One connects it with the Iranian religious circle, and the other with the Hittite-Asia Minor one. There is a third view that considers Armaz an artificial syncretic deity created by the royal authorities.

In our opinion, Armaz is an artificially created syncretic deity, combining the Iranian, Anatolian, and ancient Georgian pagan system.

¹ ლ. გორდუზიანი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათისთვის (ლურსმული ტექსტების მიხედვით), კრებულში საქართველო-უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა), 2019, გვ. 180

სარკის (სარკის) წმინდა გიორგის ისტორია

სარკის(სარკის) წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი მდებარეობს ძამის ხეობაში რუისისა და ურბნისის ეპარქიაში ქარელიდან სამხრეთით 6 კილომეტრის დაშორებით ულამაზეს მთის კალთაზე, რომელიც თავისი მაღლმოსილებით მორწმუნეთა უწყვეტ ნაკადს იზიდავს. ძნელად სავალ გზას ულამაზეს ბუნებაში შევყავართ ეს ადგილი მიწიერ სამოთხეს მოგვაგონებს. სარკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია თარიღდება XVII საუკუნით იგი დაშენებულია ჯვრისებრი გეგმის ძველ ეკლესიის საძირკველზე.

სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაში შედის: სარკის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი, გალავანი, სამძალე სამარხები და ბერების საცხოვრებელი კელიები.

სარკის წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ არსებული ისტორიული ცნობები მცირეა პირველი ისტორიკოსი, რომელიც იხსენიებს სარკეს არის ვახუშტი ბატონიშვილი იგი მაშინდელი საციციანოს აღწერისას მოგვითხრობს: "ხვედურეთის დასავლეთით არს მონსტერი ყინწვისს, წმინდა ნიკოლოზისა გუმბათიანი, დიდშენიერად ნაშენი, მაღალს ადგილსა ზედა; ზის წინამძღვარი. ამის სამხრით, მთასა შინა, არს სარკეს მონასტერი უგუმბათო,ფრიად კეთილნაშენი და აწ უქმი. როგორც ჩანს მონსტერი ამ დროისათვის არ იყო მოქმედი. მონასტრის შესახებ არსებული ცნობები კი ძირითად ჩვენამდე მოღწეულია ლეგენდების სახით.¹

გაზეთ ივერიის 1899 წლის 13 ნოემბრის №245, ნომერში დაიბეჭდა სტატია სარკის წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ დ.მოლოდინაშვილის მიერ დღემდის ზოგიერთმა ქართველმა არც კი იცის არსებობა ამ ფრიად შესანიშნავ ხატისა და იგი უნებურად გაჰკვირდება კიდეც, რასა ჰნიშნავსო სახელწოდება „სარკის წმინდა გიორგი“².

ქარელის რკინიგზის სადგურის გასწვრივ, საციციანოს მთის უმთავრეს მწვერვალის კალთაზედ არის აშენებული საუცხოვო ეკლესია მშვენიერის გეგმით, სარკის წმინდა გიორგის ეკლესიად წოდებული ეს ეკლესია თავისი სიძლიერით იზიდავს მლოცველებს არამც თუ საქართველოს ყველა კუთხეებიდან არამედ სათათეთიდანაც სადაც ზვარაკები ბლომად იკვლის. ეკლესია აგებულია კვიტკირის კედლებით,რომლის კედლებიც თეთრად არის შეღებილი. თეთრად შეღებილი კედლები დამახინჯებულია მრავალი მლოცველების წარწერებით იგი არასასიამოვნო სურათს წარმოადგენს წერს სტატიის ავტორი და არ შეეფერება მლოცველების საქციელს სიწმინდის მიმართ. ეკლესიის სიგრძე უდრის 15 ადლს, სიგანე 10 და სიმაღლე კიდეც 20 ს. გუმბათსა და ოთხივე კედელში ფანჯრები აქვს დატანებული,რომელთაგან სინათლე უხვად ეფინება მთელს ეკლესიას. კანკელიც კვითკირისაა, რომელზედაც ტილოზედ დახატულია ხატები არის გაკრული. ამჟამად სიძველის გამო მხატვრობა სასურველად აღარ ეტყობა . ზემოდან ეკლესია ახლად არის თუნუქით დახურული, რომელ წელში ან ვის ხელშია აგებული ეს ეკლესია, ამაზედ არავითარი ცნობა არ არის, მაგრამ მისი გარეგანი შეხედულება და გეგმა ამტკიცებს მის სიძველეს. მცხეთის დიდებულ ტაძარს წააგავს მხოლოდ გარედან, შიგნით კი ჯვრის მსგავსია და არცერთი სვეტი არ სდგას.

მრავალ შემოწირულობასა და ხატებს შორის, უფრო ღირს შესანიშნავია წმინდა გიორგის ხატი, რომელსაც სიმაღლე სამი ადლი აქვს და სიგანე 2. მარჯვენა კუთხეში დახატულია

¹ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ, 1973, გვ. 344.

² გაზეთი „ივერია“ №245, 1899.

ტყით შემოსილი საციციანოს მთა, რომლის მწვერვალზედაც თეთრი ეკლესია არის გამოხატული ზედ წარწერით „სარკის ეკლესია არის“. იქვე ტყის პირში თეთრ ცხენზე წმინდა გიორგი ჩვეულებრივი სამოსით და ცხენზედ უკან უზის ლამაზი ყმაწვილი, ასე ოთხი ხუთი წლისა, ხავერდის ქულაჯაში გამოწყობილი. წმინდა გიორგის ამგვარ ფრესკას ჯერ არსად არ გვხვდება და ალბათ არც იქნება სადმე, რადგან ამ მხატვრობის შესრულება მხოლოდ ამ ეკლესიას მიეწერება. ამ ხატს შემდეგი წარწერა აქვს „1856 წელს თებერვლის იესა დღესა შამოგწირე ხატი ესე წმინდა გიორგის სარკის ეკლესიას მე თავადმა გიორგის ძემ პაატა ციციშვილმა მეოხედ სულისა ჩვენისა. უფალო იყავ მლოცველ ჩვენდა და მოსახსენებლად ძველთა და ახალთა მამათა და მშობელთა ჩვენთა ანტონისაგან დახატული.

არაერთი სასწაული უკავშირდება სარკის წმინდა გიორგს, სარკეობა ანუ დღეობა დანიშნულია გიორგობის თვეს სადაც, უამრავი ადამიანი იკრიბება და 23 აპრილს.

შემთხვევით ერთ თათარს აქ გაუვლია და რაკი ეკლესიის კარი ჩვეულებრივ ღია დაუნახავს, რაც წასაღებად მოხერხდებოდა წაუღია, მაგრამ გასცდენია თუ არა მის საზღვარს, წინ ფეხი ვეღარ გადაუდგამს. შეჰხვეწნია გაქვავებული თათარი: ოღონდ ამჟამად განმანთავისუფლე და საუკეთესო მოზვერს დაგიგლავო! თათარს ნივთები უკან დაუბრუნებია და დანაპირებიც აუსრულებია. ამის შემდეგ დაიდო დასაბამი თათრებისთვის ამ ეკლესიის და მისი სიძლიერის თაყვანისცემისა. აღთქმისამებრ დადიოდნენ სარკის წმინდა გიორგში და სწირავდნენ კურატებს და ძვირფას სამკაულებს.

სარკის წმინდა გიორგის მონასტრის დაარსების შესახებ მოგვითხრობს ერთი ლეგენდა: ქარელში, სოფელ სალოლაშენთან, არის "დედოფლის მინდორი" და "დასასრულად" წოდებული ადგილი, რაც წმინდა, შენახულ ადგილს ნიშნავს. აქ გლეხკაცი არც ხნავდა და არც საქონელს აძოვებდა. დაცვისა და ხელშეუხებლობის ნიშნად ამ მდელოს ხნულით სარყავდნენ (შემოსაზღვრავდნენ). ერთ-ერთი სარყვის დროს დაღლილ გუთნისდედას ჩასძინებია და საკვირველი ჩვენება უხილავს. გამოღვიძებულს არავისთვის გაუმხელია, ღვთის ნიშანს ელოდა, რომელსაც ხვნა უნდა შეეფერხებინა. მართლაც, თურმე სარყვისას გუთნეული შედგა და ადგილიდან აღარ იძვროდა. მეხრეს ხარებისთვის გასაფიცებლად შოლტი გადაუკრავს და გუთნის შემაფერხებელი მცენარეთა ფესვები შეუგინებია. მაშინვე უსულოდ დანარცხებია მიწას. ის ადგილი გაუთხრიათ და დიდმოწამე გიორგის ქვაში ნაკვეთი ხატი გამოჩენილა. (ეს ხატი დაბრძანებულია სარკის წმინდა გიორგის მონასტერში და სარკის წმინდა გიორგის ხატის სახელითა ცნობილი) სიზმარეული უწყებით, გუთნისდედას ბარელიეფი უნდა ამოებრძანებინა, გაუხედნავ მოზვრებშებმულ ურემზე დაედო და ღვთის ნებისთვის მიენდო, სადაც ხარები დაღლილნი დაწვებოდნენ, იქ უნდა აეგოთ დიდმოწამე გიორგის სახელობის ეკლესია. უღლეულმა თრიალეთის ქედს მიაშურა. ეკლესიისკენ მიმავალი გზის შუა წელზე საჯვარედ წოდებული შესასვენებელი ადგილია. აქ შეჩერებულან დაღლილი ხარები და მერე გზა გაუგრძელებიათ. დღეს აქ მორწმუნენი ძალის მოსაკრებად ჩერდებიან. ბოლოს, არაქათგამოცლილი ხარები დაწოლილან. ამ ადგილას სამ მონაზონს ღვთის შემწეობით აუგია სარყის წმინდა გიორგის ეკლესია და მონასტერი დაუარსებია.¹

ამ ლეგენდას ერთგვარად ავსებს გაზეთ ივერიის 1899 წლის №245 დ. მოლოდინაშვილის სტატია შევეცდებით მოკლედ გადმოგცეთ სტატიის შინაარსი, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ამ შესანიშნავი მონასტრის შესახებ: აი რას წერს სტატიის ავტორი: „ერთ არადეთელ გუთნის დედას, როდესაც შუა დღის ხარ-კამეჩი გამოეშვა გუთნიდან და ძილის მისცემოდა, შემოსმოდა უცნობი ხმა : „გუთანი რომ შეაბა და გაატარო სახნისი ორჯერ წამოდება, მაგრამ ამას არავითარი ტურადლება არ მიაქციო, მხოლოდ მესამედ წამოდების დროს, შეაჩერე გუთანი

¹<http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/sarkis/sarkis.htm>

მოთხარე ის ადგილი და ამომიყვანე. შემდეგ მორეკე შენი გიჟი მოზვრები, შეაბი ღირღიტში მე ზედ დამაკარი და გაუშვი, იმათ იციან საითაც გამიტაცებენო“. მართლაც ასე მოქცეულა გუთნის დედა. პირველად და მეორედ რომ წამოსდებია გუთანი ყურადღება არ მიუქცევია. მესამედ სეუცერებია გუთანი, მოუთხრია დასახელებული ადგილი და ამოუყვანია ახალშობილი ხორციელი ბავშვი, რომლისთვისაც სახნისის წამოდების დროს მარჯვენა მხარე დაემაგებინა ეს ბავშვი ისეთი მშვენიერი სახისა ყოფილა რომ სარკესა ჰგვანებია. აქედან წარმოდგარა ზემოთ აღწერილი ეკლესიის სახელწოდება „სარკის წმინდა გიორგი“. შემდეგ შეუბამს გიჟი მოზვრები გუთნის დედას ღირღიტში, ზედ დაუკრავს ეს „ხორციელი ბავშვი“ და მიუწებებია თავი. საკვირველი ისა ყოფილა, რომ ეს გიჟი მოზვრები თავისდაუნებურად მოსულან და უღელში თვითონ გაუყვიათ თავი, თუმცა სხვა დროს მთელი სოფელი დასდევდა ხოლმე დასაჭერად. ამ მოზვრებს გაუტაციათ ეს „ხორციელი ბავშვი“ მიუყვანიათ მაღალ მთაზედ, იმ ადგილას სადაც ეხლა აგებულია ეკლესიის სახელობაზედ ნიში- „საჯვარედ“ წოდებული. რამდენიმე ხანი ეს „ხორციელი ბავშვი“ აქ ყოფილა. კიდევ ერთი ცნობა რომელიც დაკავშირებულია სარკის წმინდა გიორგთან მოგვითხრობს, რომ ამ ადგილას კაცი ვინმე სჭრიდა ხეებს, რამდენ ხესაც მოსჭრიდა იმდენ ხეს ჭრილობა სწრაფად უმთელდებოდა. დიდად უკვირდა ამ კაცს და არ ეშვებოდა. ბოლოს მოესმა ხმა: „ხმა და ამ ადგილსას დაუსახლება თვით ადგილი ამიშენეთ ეკლესია, ჩემი საუკუნე სავანე იქ უნდა დამკვიდრდესო“. ამ კაცმა ეს ამბავი სოფელელებს აუწყა და ერთობლივი ძალით აუშენებიათ ეს ეკლესია. მას შემდეგ ეს ხორციელი ბავშვი იმყოფებოდა ამ ეკლესიაში გადმოცემის მიხედვით საკვირველი კიდევ ის არის რომ ეკლესიის კარი დღე და ღამ დაუკეტავია და მისი სიწმინდეს არანაირი სულიერი არსება არ მიეკარება ბოროტის განზრახვით.

სარკის წმინდა გიორგის მონასტერს უკვშირდება კიდევ ერთი ლეგენდა: ერთხელ ყიფიანებს ცხვარი მიუყვანიათ სარკის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ტრადიციისამებრ, ცხვარი ტაძრისთვის უნდა შემოეტარებინათ. ჭედილა ხელიდან დასხლტომიათ და სამი კილომეტრით დაშორებულ ყინწვისის ეკლესიისკენ გაქცევიათ. დადევნებულ ყიფიანს საოცრება უნახავს - ცხვარი გზის უჩვენებლად ყინწვისის ეკლესიაში მისულა. თურმე გარს სამჯერ შემოუარა და კვლავ სარკის ეკლესიისკენ გამოსწია. ეკლესიის კარებთან წინა ფეხები მოიდრია და დაჩოქილმა თავი მიწას დაადო. ამის ხილვით შეძრული ხალხი შემოქმედს განადიდებდა და უფალს მადლობას სწირავდა.

სარკის წმინდა გიორგი განსაკუთრებით უშვილოთა შემწეა, ჩვილთა მფარველი. ძველ დროში მომხდარ სასწაულებს თუ ლეგენდის საბურველი ჰბურავს, არც ჩვენს დროში მომხდარი სასწაულების სიმცირეს უჩივის –დღესაც ნახავთ აქ მოსულ უამრავ წყვილს, რომლებიც ამ ხატის მოსალოცად მოდიან. მადლიერების ნიშნად ეს ოჯახები ეკლესიას აკვნებს სწირავდნენ და წლების წინ ეკლესიის გარშემო, თურმე, უამრავი აკვანი იდგა. ყოფილა შემთხვევა, რომ ურმით მის კარამდე მიყვანილი დავრდომილი თავისი ფეხით შესულა მონასტრის ეზოში.

კართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, რომელიც თარიღდება 1447 წლის 25 დეკემბრით სარკე შეუწირავთ ალექსანდრე მეფისთვის.¹ „ხვედურეთს რაცა ძველთაგან მცხეთისა ყოფილა და არის, სარკე მისითა შესავლითა... ესე სულკურთხეულსა მეფეთა მეფესა ალექსანდრეს შესწირნეს თარხნად თავისუფლად და შეუვლად დაემტკიცეს“²

სარკის წმინდა გიორგი მოუნახულებია შიდა ქართლში მოგზაურობის დროს ღიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილს 1848-1849 წლებში. ღიმიტრის აღწერის მიხედვით მონასტერში არ იყო წარწერები და ნაგები იყო გაუთლელი ქვით. ეკლესიის გარშემო ყოფილა ნასახლარები. ეკლესიის შიგნით უნახავს ორი ხის ჯვარი. პატარა ჯვრის კვარცხლბეკზე ყოფილა

¹ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები(XI-XIXსს), ტექსტი გამოსცა შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ, თბ, 1970, გვ. 191.

²იქვე. 192

სამკუთხედად შესრულებული წარწერა, რომელიც მეღვინეთუხუცესიშვილს გადმულია და ეკლესიის ჩანახატიც შეუსრულებია. ეს წარწერა დაცულია ხიდისთავის უჩაბუკაში: ეკლესია ესე სარკის წმ. გიორგი არის ფ“დ დიდი გაუთლელის ქვით ნაშენი და შიგა ზოგან აგურჩატანებული სდგა საციციანო ტყიან მთათა შუა მაღლობზედ, რომელსა წინ უძევს მცირე ვაკე და გარს ტყეთა შინა მაღლობლად მისსა სჩანს ბერებთა სამყოფი ნასახლარები, ეკლესია ზედა გარედამ და შიგნით არა ვითარმე საჭირო წარწერილება არა იპოვების. შიგ ასვენია ორი ხის ჯვარი ერთი დიდი, მეორე პატარა, რომელთ ზედა ეგრეთვე არა სწერია, მხოლოდ რომელ ქვაზედაც პატარა ჯვარი დგა, იმ ქვაზედ სწერია სამკუთხეზედ ესრედ“¹ როგორც ამ წარწერიდან ჩანს სარკის მონასტერში სამონასტრო ცხოვრება მონასტრის დარსებიდან ყოფილა. და როგორც ჩანს მონასტრის გარშემო ეს ადგილი მოსახლეობით ყოფილა დასახლებული. დღეს აქ მოსახლეობა აღარ ცხოვრობს. ჟამთა სიამის გამო ათეული წლების განმავლობაში მონასტერი არ იყო მოქმედი 1997 წელს მონასტერში კვლავ განახლდა ხეთის მსახურება მეუფე იობის ლოცვა კურთხევით ამჟამად მონასტერი მოქმედია. მონასტრის გარშემო განთავსებულია ბერების საცხოვრებელი კელიები.

Teona Shavlokhashvili
Sukhumi State University
THE HISTORY OF ST. GEORGE OF THE MIRROR
RESUME

The Monastery of St. George of Sarke is located in the Dzama Gorge in the Ruisi and Urnisi diocese, 6 kilometers south of Kareli, on the slopes of a beautiful mountain, which attracts a continuous stream of believers with its grace. A difficult road leads into beautiful nature, this place reminds us of an earthly paradise. The Church of Saint George of Sarke dates back to the 17th century. It was built on the foundations of an old church with a cruciform plan.

The monastery complex includes: the Monastery of Saint George of Sarke, a fence, crypts and monks' living cells.

There is a little historical information about the Monastery of St George. The first historian to mention Sarke was Vakhushti Batonishvili. A legend tells us about the founding of the St George Monastery of Sarke. This legend is somewhat complemented by an article by D. Molodinashvili which published in the newspaper Iveria, No. 245, 1899. Provides important information about this magnificent monastery. St. George of Sarke was visited by Dimitri Meghvinetukhutsesishvili during his trip to Shida Kartli in 1848-1849. According to Dimitri's description, there were no inscriptions in the monastery and it was built of unhewn stone. There were settlements around the church. It seems that this place around the monastery was once inhabited. Today, the population no longer lives here. Due to the times, the monastery was not operational for decades. In 1997, the monastery resumed its services with the blessing of Bishop Iob. Currently, the monastery is operational. The monks' living quarters are located around the monastery.

¹ი. აღიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ, 2016, გვ. 67.